114
1931

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა

13

9–10

1 9 3 1

05
ე-73

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შერთდეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7905

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ორგანო

421.

№ 9—10

სექტემბერი-ოქტომბერი

წელიწადი მეოთხე

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი 1931 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა
შეკ. № 2775. ტირ. № 2100
მთავლ. № 1838.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბელის ქ. № 13
ხელოვნების სასახლე. ტელ. № 1—65
კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

ილო მოსაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსები ალაზანზე.

ძველი რომანტიკა.

მე აქ რამდენჯერ ამიშლია
ქარში აფრები!
მხვევია ღამე ნაბადივით,
წვიმა და თქეში.
ეხლაც მაგონებს
დღეებს გაფრენილს
ელვით და მეხით დახეული
ხეები ტყეში...
მე ამ მხარეში გავატარე
დღეები ნორჩი:
ბავშობა, სარმა
და კისრულის გდება ბეჭიდან...
წავიდნენ დღენი ფოთლებივით,
სიხარულს მოვრჩი
და სხვა გრიგალი
შემდეგ მეჭიდა.
აი მინდორი,-სწორ ამხანაგს
გარს რომ ვიკრებდი.
ვეძებ ალაზანს:
წინ მკვდარივით მიძევს ხეობა.
მაშინ აბა
რას ვიფიქრებდი·
მოვარდნილ ტალღებს
ეს ამბავი შეემთხვეოდა.
ვეძებ ალაზანს,
წინ ბავშობის გზები მიგია.
დამშრალ ბუდეში დარჩენილა
მარტო ქვიშანი.
წასულხარ წყალო
და დუდუნით თან წაგიღია:
ძველი დრო
და ძველი ნიშანი!

საუბარი ჩემს თავთან.

აბა გახედე! ორი კიდური:
გალმა-გამოღმა მიწა რძიანი.
იქით ჩანჩქერი გადმოკიდული
და აქეთ არხი ალაზნიანი,
რკინის ჯებირებს მდინარე არღვევს,
მორბის ტალღების მძლავრი ჩქაფანით;
შენ კი ვერა გრძნობ ეპოქის ძარღვებს
და იგრიხები როგორც ლაფანი.
დღეს ეს ბუდე და მდინარე სხვაა
გადმოვარდნილი კლდეზე ჯიხვივით.
არხზე დარხეულ ვერხვების ხმაა,
არხში-დაბმული რაშის ჭიხვინი.
თუ სიხარულმა არ დაგკრა გულში,
მაშ რალას მისდევ დღეებს ჩანჩალით.
შეძვერი სადმე თხუნელას ღრუში,
ან დაიბჯინე მკერდზე ხანჯალი!

გახარებული სოფელი.

შვიდას წელიწადს დევის მწვადივით
მიწა დადაგულ მზეზე შხიოდა,
შვიდას ცეცხლიან წელიწადივით
მიწას წყალი და პური ჰშიოდა,
ჩვენებურებო, იწოდით მზეში;
გებუგებოდათ მამულ-დედული.
ერთად მესმოდა ბავშობის წლებში
თქვენი კვნესა და გუთნიდედური.
დღეს იმ ცრემლების სათავე დაშრა,
მეც დარდი მიზნებს ველარ ამირევს.
მიწას მკერდამდე დაესო დაშნა
და წლების ჯავშანს გლეჯენ ყამირებს.
32 სოფელი გწყალობს,
32 სოფელი ბღავის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულხარ დიდო ალაზნის წყალო
და ცეცხლ დაყრილი მინდვრები ჰყვავის.
32 სოფლის ადგილი
ამ გულთან ერთი ცეცხლით გუგუნებს
ბორბალოს მთიდან გადმოვარდნილი
არხში რომ ტალღა დაიდუდუნებს.

ბამბა და პური.

აჰა შედეგიც:
მორჩა წავიდა
დრო უთვალავი ჭირის მნახავი.
უთხარით ყველას:
ვისაც თავიდან
არა სჯეროდა საქმე ახალი.
უამბეთ ყველას:
ეს გამარჯვება
როგორ აიღეს ბრძოლით გმირებმა
და როგორ შესძლო
მტკიცე მარჯვენამ
ურწმუნო გულთა მონადირება.
აი გადამწყვეტ წელთა ჭიდილი:
ლამის დაგლიჯონ მკერდი ღვედებმა,
ოფლით და სისხლით შემოჭედილი
ქვა-ქვას და რკინა-რკინას ედება.
აჰა ეს ველიც: უთვალავ მომკალს
შრომა ჩაუბამს ამხანაგურად.
ყოველ დღე ვუცქერ თვითეულ ლომკაცს
პური და ბამბა მოაქვს აგურად.
მეც ამ სტრიქონებს ქვებივით ვაწყობ,
იქნებ ეს ლექსიც იყოს კედელი.
დღეს ნაღმებს აწყობს
და უნდა აწმყოს
სიტყვა:
ბრძოლის და საქმის მჭედელი.

საქმე ახალი.

ამხანაგებო, დღეს კოლმეურნე
ამსხვრევს ცხოვრების მძიმე სარაზებს
და მეც სოფლელი, როგორც მეურმე
ჩემს ბედს მივმღერი გაშლილ შარაზე,
ვმღერი გათლილი ლერწმის ლექსებით,
თითქოს ჩანჩქერი მიაწყდა ღელეს
და დამტკბარ თვალით ვეალერსები
შრომის ბარაქით გაჭედილ ველებს.
ვხედავ ქვეყანა სხვა გზებით მიდის,
გავლილი შარა ცეცხლმა შეღება
და ორი გულის ბრძოლას და ჭიდილს
ჩემს გულშიც, მორჩა-ბოლო ეღება...
გათავდეს, ახალ სავალზე თუნდა
შემხვდეს თეთნულდის შავი ფრიალო,
ჩემი ცხოვრება დღეიდან უნდა
როგორც ხანჯალი შევატრიალო.
დღეს ლექსი უნდა იყოს მეხივით:
გავდეს ფოლადს და გავდეს პიტალოს.
პოეტი თუა გულგატეხილი
სხვა გული უნდა გამოითალოს:
პოეტს ეძახის მისი სახელი:
დიდი ეპოქის ცეცხლში დაიწვას,
ყოველი ქვის და რკინის ნახევი
მკერდით.
სისხლით
და ლექსით დაიცვას.
გაშალოს დიდი პოემის ამბავ
ხარაჩოები ცამდე აშლილი,
მისცეს ქვეყანას პური და ბამბა,
მისცეს ფოლადი და ქვანახშირი!

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲐᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ

1.

ლურჯი ქედები აწეულა ცაში კოშკებად...
თრიალეთის მთას ორთქლი ასდის, როგორც ნისლები,—
აქ ლალუმებით კლდე-ლოდები როცა მოსკდება:
ჩნდება ჰაერი კვამლიანი და ნაცრისფერი!...
ჩნდება ღრუბლები ავსებული მოშაო ბურით,
ტყდება გორები ველურ დროის ხმით ჩაკირული,—
ჩახჩახებს ღამე ღველფიანი და ანთებული,
ჩახჩახებს მთები ასროლილი და დაკიდული!...
ბრუნავს რკინები
ჩასობილი მთაში კბილივით,
არის ვეფხური გამძაფრება და დაჯახება,—
ჩაყრილ მადანის მკერდი გდია გადაქლიბული,
ჩათვლემილი მთის
ბუნება და ყოფნა ახლდება!..
დაიძრა მთები!—
მტკვარ გაღმისკენ მიდის ხრიალით...
ბაგონეტკებმა გამოჭამეს მადნის ნოყიო,—
ცემენტი გვინდა და გორებო თქვენც ახმიანდით,
რომ სივრცე სუსხმა და სიცივემ არ ჩამოყინოს
არ ჩამოყინოს ეს მიდამო: თეთრი, ნაცარა,
დავდალოთ ცეცხლში ცემენტის მთა, ცემენტის გორა.
აგერ ლალუმმა მთას სიმდიდრე ამოაცალა
და ღრუბელივით გაღმისაკენ გადაისროლა.
მტკვარი აიმღვრა,—
დაილექა ცემენტის ხრეშით,
აიმღვრა მტკვარი მოდუდუნე, ბარათაშვილის,—
დღეს მანქანები მუშაობენ: გუგუნით, ხვნეშით:
მთების გარედან ჩაკბენილი და მთების შიგნით
ბარათაშვილს, რომ ცრემლით ჰსურდა დარდის გაქრობა,
მაშინ გარშემო იყო დარდი, იყო მოწყენა,—
დღეს რონოდების გადაფრენით არის ლაშქრობა
და მტკვარზე რბიან გაგიჟებით დღე-ღამ: ორწყებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარც კამარა იხედება მტკვარში კრიალით...
ცა გაიბოლა ალმოდებულ კვამლის გუნდებით,—
სიცოცხლეს ანთებს ცემენტის მთა დამსკდარ ქვიანი
და სისხლს ახელებს უცნაური აგუგუნებით!..
გუგუნებს მთები! გუგუნებენ ჩვენი გულებიც,
თქვენც დამკვრელებო! თუ გულები ისევ ზვიადობს,—
ქალაქს: ცემენტი, ანდეზიტი და აგურები,
უნდა სიცოცხლე და ცხოვრება ავამზიანოთ!...

2.

მე გალმა ვიყავ,
სადაც ველურ გორებს ებრძვიან,
სადაც რკინები და მკლავები ბურში ბულრაობს,
სადაც მწყემსების მთვლემარე მთას ალარ ეძინა.
და ელვარებდა ელსანთლებით ბორცვი ულამო!..
ეხლა გამოლმა გამოვედი: მინდა კორპუსში
ვიგრძნო ქარხანის გულისცემა და სიდიადე,
სადაც შრომის და გამძაფრების ქარი მოზუის...
ენტუზიაზმით დამკვრელებს, რომ აგანთიადებს!..
აქაც ღრიალი გაგიჟებულ ელვიურ ძრავთა,
აგრიალებულ წისქვილების ვუცქერ დოლაბებს,
ვუყურებ მბრუნავ ღუმელებში ღადღადა ხანძარს,
ვუყურებ მილებს გაშავებულ კვამლს, რომ ბოლავენ
და სხეულს ზარავს, სისხლის შრიალს უმატებს დენას,
კუნთები თრთიან კვამლშერეულ ალში ნახვევი,—
გრძნობამ ძარღვები სიხარულით ისე დატენა,
რომ ჩემს გარშემო დახარბებით თვალებს ვახელდი!..
თვალებს ვახელდი ჩემს გარშემო შრომის თარეშით,
აშიშინებულ გაშმაგებას ვსვამდი მილებით,
შეშლილ გრიალში გავიცანი მე ცეცხლ-ფარეში
და ვესაუბრე ამხანაგურ საქმის მხილებით!..
ჩემს შეკითხვაზე:
— როგორ მიდის ტემპების საქმე?...
მან ჩაახველა და ღიმილით მომცა პასუხი,—
— ტემპები ხარობს!
ბოლშევიკურ ტემპებისაკენ!—
ასეთნაირი გაქანება გვაქვს დასახული!..
აქ ზღვა არ არის უზვირთებო: წყნარი და მშვიდი,
არც აფრიანი იალქნები სჩანს დარხეული,
სადაც ოცნებას მზიან გულზე ნაზად გაშლიდი,
სადაც შეგეძლოს რომანების შექმნა ხვეული!..
აქ არის მთები: გრანიტივით მკრივი, მაგარი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ არის ცეცხლი და ლითონთან ყოფნა, ალერსი,
სადას მუშაობს მანქანები მთელი გრაგანით
და სიცხეშია აღველფება უმხურვალესი!..
როცა მთას ებრძვი,
თუ ძარღვები ძალას მოგაწვდის,
რა გული გასძლებს არ ჩაღვარო ოფლის ღვარებად,—
თუ არ შესწირე დაბკვრელობას: შენი დრო, ღვაწლი,
მზემ გაგინათოს ალისფერად მაშინ გზები—რათ?..
— მე რა მეთქმის?
ცეცხელფარეშმა ხომ სთქვა ხალისით,
მისი თვალებიც ღუმელებში რიცხვს ახმიანებს,—
იზრდება მკერდი ძლევამოსილ სოციალიზმის
და მთებიდანაც გადმოყრილი ხრეში ხრიალებს!..
ტემპი და ტემპი!
ბოლშევიკურ ტემპებისაკენ!
ასეთნაირი გაქანება გვაქვს დასახული,—
ჩემს შეკითხვაზე:
— როგორ მიდის ტემპების საქმე?—
მან ჩაახველა და ღიმილით მომცა პასუხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი ლექსი

დაზგასთან.

ღამემ სული დალია.
აინთო ცის კიდური.
ცა ხანძარს ჰგავს ალიანს,
ციდან გადმოკიდული.
რა ნაზია, რა კარგი,
დღეს ეს დილა სისხამი,
ყვავილებით ნაქარგი,
პირნაბანი ცის ნამით!
აგერ მტკვარსაც ტივები
ზურგზე აუკიდია...
და ურმებიც, თივებით,
ვერის ხიდზე მიდიან.
აგუგუნდა ქარხანაც
ამ დიდების არეში,
თითქოს ბრძანებს: ამ ხანად
არვინ შრომის გარეშე!
ეს ვინ არის დილის სხივს
რომ მოასწრო დაზგასთან,
სოცშეჯიბრის დეკადს ხსნის,
აწყობს პროდუქტს დასდასათ?
მანქანების რკალებში
ელავს, თითქო შანთია,
და მის დიდრონ თვალებში
მზის სხივები ანთია?—
ის მუშაა, ხუნდები
ვინც დალეწა, დაჰყარა,
და საკუთარ კუნთებით
სჭედავს ახალ სამყაროს!

ინდუსტრია.

დღეს სულ სხვა დროა, სხვა ხანა,
საქმის და გაქანებისა,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგუნით მოდის ქარხანა,
ომია მანქანებისა!

—

გინახავთ ცეცხლის ზეიმი
ელვა რომ სწყდება თვალზედა?
ამაღლებულხართ ზე იმით
განცდის უმაღლეს მთაზედა?
თუ არ გინახავთ, იხილეთ,
დღეს არის მისი დღეობა:
ღუმელი ღვივის, ჩიქილებს
იხვევს ლითონის მზეობა.
განგაშებს საქმე მუშური,
ცვივა შავი ქვის ლოდები
და, როგორც ყველი თუშური,
მოგორავს რკინის ზოდები!

—

დღეს სულ სხვა დროა, სხვა ხანა,
საქმის და გაქანებისა,—
გუგუნით მოდის ქარხანა,
ომია მანქანებისა!

ვარლამ ფურული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბმური იზრდება

სარემონტო ქარხნის დამკვრელ მუშა-კომკავ
შირეულს ამხ. ანტ. ბალამწარიშვილს.

მწყემსი იყავი
და დედის-ერთა,
ჯერ კიდევ ბავში,
მოჯამაგირე.
შაშვთა ჭახჭახით დილა გიცქერდა,—
თემს რომ გაცილდი,
გაინაპირე.

—

გორიდან დაძრულ მატარებელით
ეწვიე ტფილისს ნორჩი, პატარა.
ობლობა იყო შენი მხლებელი,
ქოხმა
ნაღველი, გამოგატანა.

—

მთებში ჩამჯდარი დედა-ქალაქი
მკლავზე ეწვინა ფუნიკულიორს.
აკვირდებოდი ქუჩებს აქა-იქ,
არ გავდა სოფლის შარა-გზებს მყუდროს.

—

ელბაქიძიდან
კუს ყრუ ნაბიჯით
ტრამვაის სვლაში გარბოდენ ქვები,
ვირს აგინებდა ტეტია ბიჭი
ხესთან რომ იდგა მაწვნის ქილებით.

—

შენს ყურადღებას იქცევდა კიდევ
ვერის ხიდი და მგზავრები ხშირი,
მაგრამ სიხარულს არ უჩნდა კიდე,
როცა ქარხნისკენ იბრუნე პირი.

—

პირველად ნახე
აშლილ-დაშლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლმავალი და
ჩიხზე რონოდა.
იცანი სანდრო გულისაშვილი
წინად რომ შენთან წიგნი მოჰქონდა-

—

და ასეც მოხდა...
წარმოებაში
დაიწყე შრომა,
რკინის გადნობა.
ცხოვრებამ მალე გაგთალა ბავშ
გაგიტკბა დრო და ზეინკალობა.

—

გულს კი, გაექცა მწყემსური სევდა,
გაჰქრა ნაღველი სოფლის მდელოსი.
იბრძვი და
ტემპის გმირობას ჭედავ
ინდუსტრიალურ დაზგის ეპოსით.

ა. ბეზიმენსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ტ ე ვ ა

სიმშვიდე!
რა საჭიროა პანიკა და ღრიალი.
დაე, აშენდეს სიტყვების ლაშქარი.
ო, სიძულვილო! შენ კომისრად გვეყოლები,
ორგანიზატორად ჩვენ გვეყოფა უტეხი ნებისყოფა.
ჯარის სარდლად ჩვენი გონება იქნება
და პოლიტ-ხელმძღვანელად — პარტიული გულები.

*
* *

სიმშვიდე,
ვერაგ მტრისადმი
უნდა ვაწარმოოთ მკაცრი შეტევა.
დაე, მჭუხარე რეზოლიუციების ცხენოსნებმა
მოახდინონ უეცარი თავდასხმა.
იქ კი, ერთის დარტყმით გავარღვევთ შეხუთულ ჰაერს
და ჩვენი ჯარი დაიძახებს — „ცეცხლი!“
დაიგუგუნებს აზრების ბატარეია
და ტანკების მრისხახება გასწევს წინ და წინ.

*
* *

ბრიტანეთი — დამპყრობი ქვეყნიერებისა!
ბრიტანეთი! — აი, ჩვენი ბოროტი მტერი.
ბრიტანეთი... მაგრამ ის ბრიტანეთი კი არა,
რომელიც მაღაროებში, ქარხნებში, ფაბრიკებში,
მინდვრებში, ნავთსაშენებში და ხომალდებზე —
გათელილია მძიმე ქუსლით, ეწევა აუტანელ შავ მუშაობას
და პურის ნაცვლად ნახშირსა ღრღნის, —
არამედ —
ბრიტანეთი უტვინო მეფეებისა,
ბრიტანეთი პორფირიანებისა და ცილინდროსნებისა,
ბრიტანეთი რკინის ღიპიანი ბანკებისა,
ბრიტანეთი დრედნოუტებისა და ტყვიებისა,
ბრიტანეთი შეღებილი ტუჩებისა და სისხლისა,
ბრიტანეთი წკეპლებისა და ფოქსტროტებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთი, რომელიც უნამუსოდ ლოცულობს
მეფის სადიდებლად დახოცილ გვამებზე,
ბრიტანეთი მძვინვარე ძალმომრეობისა,
ბრიტანეთი მკვლელებისა და არამზადებისა—
ფრაკებით, ჯოხებით, ჯვრებით და ცბიერი სიტყვებით,
აი, ეს, ეს,
ეს ბრიტანეთია ჩვენი მოსისხლე მტერი.

* * *

სიმშვიდე!
რა საჭიროა პანიკა და ღრიალი.
დაე, აშენდეს სიტყვების ლაშქარი.
სიმშვიდე!
ჩქარის ნაბიჯით, ლაშქრული სიმღერით
ჩვენ გავივლით მგმინავ დედამიწაზე.
ბრიტანეთო ყველგან გხედავთ შენ...
ყველგან გვეჩხირები თვალებში,
ყველგან, მეთქი, სადაც სისხლია და უსამართლობა,
სადაც მუშათა ჯაფა და ნაოფლარი
ჩირქდება კრიალა ოქროთი.
შენ კი მედიდურად დაბრძანდები და სასტიკ,
ლამაზად გადაჭიმულ ტყავის ხელთათმანებით
მსოფლიოს დაუშუშებელ ჭრილობას აღიზიანებ.
ყველგან გხედავთ... ყველგან სადაც კი
უსამართლობისაგან და შიმშილისაგან...
სადაც ხმლისა და ტყვიების წყალობით
ჰკვნესის ღარიბ-ღატაკი ხალხი.
ჩვენ გვესმის ეს კვნესა და სიკვდილის
წინად მათი უკანასკნელი ამოძახილი:
ბრიტანეთო! წყეულ იყავ შენ!..

* * *

წინ! წინ! ჩვენ ვხედავთ ჩინეთის გაშლილ სივრცეს,
გვესმის ამბოხების ხმა და ბრძოლის იარაღთა ჩხარუნი.
იქ, ჩინეთის მშრომელთა გულის მინდვრები
ტკივილებითაა დათესილი და
ინამება წმინდა რისხვის გამაცოცხლებელი წვიმით.
ჩინეთის გვერდით კი სდგას ბრიტანეთი—
აბჯარ-ასხმული, ზარბაზნებ-მომართული,
აფურთხებს ცეცხლსა და ფოლადს—
და სხვის ჭუჭყიან ღალატს ოქროთი აჯილდოვებს.
ბრიტანეთო! აი, ამ ჩინეთში მთელმა მსოფლიომ დაინახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი მშვენიერი და კმაყოფილებით გაჟღენთილი სახე;
აქ, ამ ჩინეთში, სადაც უამრავი დაფლეთილი გვამებია,
სადაც რიკშაში შებმული ყულები წელში არიან გაწყვეტილნი,
სადაც ათასეული მცირე-წლოვანები
გავარვარებულ ქარხნებში დღედაღამე შეუსვენებლივ მუშაობენ,—
აი, აქ, ბრიტანეთო ამ ჩინეთის თრიაქის ბურანში,
საფლავებზე ცეკვის დროს
დავინახეთ შენი მშვენიერი და პეწიანი სახე.
ბრიტანეთო! შენ, ეი ბრიტანეთო! გაიგე, იგრძნე:
რომ მთელი ჩინეთის მიწა-წყალზე
არ მოიპოება ერთი მტკაველი მიწაც კი—
სადაც არ ჰქუხდეს ეს გავარვარებული სიტყვა:
ბრიტანეთო! წყეულ იყავ შენ!..

* * *

აი, ინდოეთის პალმები. აი, ეგვიპტის ქვიშიანი უდაბნოები,
აი, ავსტრალია, აი, ფიცხი ტრანსვაალი.
მიწასთან გასწორებული მონები იტანჯებიან
და სულს ღაფავენ შენს მაგარ ჭანგებში.
ჰეი, ბრიტანეთო! გამოიბრტყე შენივე
ზარბაზნის ტყვიებით ეგ გამოტენილი ყურები,
რათა უფრო მკაფიოდ მოისმინო
ეს ლამაზი და საალერსო სიტყვები:
ბრიტანეთო! წყეულ იყავ შენ!..

* * *

რაზმებო, წინ! აი, ქვეყნები, რომლის ბაირაღსაც
არ ამშვენებს ბრიტანეთის ამაყი ლერბი!
მაგრამ საბჭოთა ქვეყნის დროშის წინააღმდეგ
ვიღაცის ფარული ხელი მალავს ოქროებს
და ფაქიზად გაწმენდილ თბილ რევოლვერს.
აი, გაზით და იარაღით სავსე ყუთების მთები,
აი, აყეფებული შტრეიკბრეხერები, საპყრობილეები, ბორკილები,
აი, მუქარა, მლიქვნელობა, ფული, ფული და კვლავ ფული
ყველას უმჟღავნებენ, ჰოი, ბრიტანეთო,
რომ ამ ნიღაბებს ქვეშ იმალება
შენი ვერაგი და კმაყოფილებით გაჟღენთილი სახე.
ლოზანის და ვარშავის ტყვიების ხმაურში,
ჯალარა არხანგელსკის ახალ ფარაჯაში,
დენიკინის რაზმებში, ლენინგრადის ყუმბარებში,
გაჭირვებულ გერმანეთში, გააფთრებულ ლიტვაში,
ესტონეთის დორბლებში, სიგურანცის ციხეებში,—

ყველგან, ბრიტანეთო, ყველგან შენი ხელი სჩანს.
ჩვენ ყველგან გხედავთ, ბრიტანეთო, ყველგანა გცნობთ
და ყველგან ერთდაიმავე შეძახილით გაქებენ და გადიდებენ:
ბრიტანეთო! წყეულ იყავ შენ!...

„წყეულ იყავ შენ?“ არა! უნდა ამოვშანთოთ ეს სიტყვა,
ეს უილაჯო და გამოფიტული სიტყვა.
ჩვენ არ ვიცით წყევლა! ჩვენ არ შეგვიძლიან წყევლა!
წყევლა და კრულვა—უძლურთა საქმეა.
ჩვენ მხოლოდ მოქმედება შეგვიძლიან—აი, ჩვენი საქმე.
ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ—აი ჩვენი სწორი გზა,
ბრიტანეთო! გაახილე თვალი და მიმოიხედე:
მაღაროები კბილებს გიკრაჭუნებენ,
ქარხნების მილები მუშტებ-მოღერებულნი გემუქრებიან,
ბრიტანეთო! გაახილე თვალი და მიმოიხედე:
ჩვენს ნახნავ-ნათესებში შრომის ოფლი აორთქლდა
და ეს ჩვენი გაზი გიბრმავებთ თვალებს.
ჩვენი გლეხების ქოხმახებს კუნთები გაუმაგრდათ,
ჩვენი ქარხნის თვალები ბრწყინვალეთ ანათებენ,—
ამას, ბრიტანეთო, ყველგან დაინახავ ყოველ ქვეყანაში...
გაახილე, თვალი, ბრიტანეთო, და მიმოიხედე:
ეს ჩვენა ვართ! ჩვენ! ჩვენ!..

*
* *

ჩვენ სიტყვების ჯარით ვაწარმოებთ შეტევას,
ჩვენ ყველაფერი ვიცით—
ვიცით, რა ტკბილია მშვიდობიანი მუშაობა.
ჩვენს ქვეყანაში ხარაჩოები აღიმართა,
ჩვენმა ცულმა ააწყო ახალი სიმღერა.
მაგრამ როცა ჰაერი მძიმდება და ომის
ღრუბლები ჩამოწოლას აპირებს—
ჩვენ არ შეგვიძლიან შევაკავოთ მრისხანე ტანკები
და სიტყვების ლაშქარი თავისით მიიწევს ბრძოლისაკენ.
გაახილე თვალი, ბრიტანეთო, და მიმოიხედე:
აი, ჩვენი ქალაქები და სოფლები—
შრომითა და აღმშენებლობით ოფლში გაწურული.
გაახილე თვალი, ბრიტანეთო,
აი, ჩვენ და ჩვენი ბალღები,
აი, ჩვენი ქარხნები, ჩვენი მაღაროები, ჩვენი ყანები:
ჯერჯერობით ჩვენ სიტყვების რაზმებით გიმასპინძლდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ გაკადნიერდები და მუშტს მოგვიღერებ
ჩვენ მყის დავტოვებთ ცულებს, ბირდაბირებს
და მუშტზე მუშტით გიპასუხებთ.—
დაინახავ, როგორ მწკრივად, როგორ მხარდამხარ,
ვით ერთი კაცი, გამოვალთ საბრძოლველად...
და მთელ დედამიწაზე ზეიმით და ზარით
დაიჭექებს ბრძანება: „ცეცხლი!“
და ჩვენი სიტყვა — იქცევა საქმედ!

თარგმნა **ი. გრიშაშვილმა.**

სიმონ წვერავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაჭრილი გუსლი [1])

უსახლკარო ჯოტო ახალგაზრდობაშივე გაიპარა რუსეთში. მასში ბორგავდა დაუდეგარი ადამიანის მისწრაფება, იგი გრგვინავდა და ლამობდა საზღვრების გადმოლახვას.

ცხოვრების ფსკერიდან მოწოლილი ბოლმა ასკდებოდა მის ისედაც დამძიმებულ გულს, ვით მაღალკლდოვან მთებს ბურუსში გახვეული ლეგა ღრუბლები.

ცეცხლივით აინთებოდა ჯოტოს დამჭკნარი სახე და ისევ დაცხრებოდა ზღვასავით, რომელმაც გადაიტანა მოვარდნილი ტალღების რისხვა.

ამგვარი ცხოვრებით ჯოტო ფიზიკურად გამაგრდა, ახალგაზრდული სისხლით გაიტენა ძარღვები და დავაჟკაცებულ სახეზე ირიბულად გამოჩნდა ნაოჭები.

ჯოტოს არ აწუხებს ასეთი მდგომარეობა, რადგან დრო ელვის სისწრაფით გავიდა და ხედავს, თუ როგორ იმსხვრევა ძველი, ხავსმოდებული დროის ნაშთები.

მის თვალწინ სკდება მეფის სასახლის მოჩუქურთმებული მოაჯირები. ზარბაზნების ზუილი რუსეთის ველებს ეფინება. ყუმბარები ხეთქავენ ასწლობით ნაგებ გუმბათებს. ინგრევა ძველი ქვეყანა და იღუპება ძველი ფსიქოლოგიის ხალხი.

* * *

ოქტომბრის გულიდან ამოვარდნილი აჯანყება იშლება. ქუჩები სისხლის მორევით ივსება.. წითელგვარდიელთა დაგუბებული ბოლმა ბომბასავით სკდება, და მეფის სასახლეში გამაგრებულ იუნკრებს კერენსკისთან ერთად მიერეკებიან ქალაქიდან.

ყოველი დღე ახალი ბრძოლის ფურცელს შლის.

პეტერბურგი თავისი უძველესი რევოლუციონერობით ქედმაღლივ დასცქერის მიდამოებს და აზვირთებულ ნევის ტალღებთან ერთად ებრძვის კერენსკის უკანასკელ შემოტევას „ცარსკოე სელო"-დან.

გულთა ძგერა ქუჩებში მოარულ წითელგვარდიელთა ფეხების ბიჯებთან ერთად ბრძოლის რიტმს ჰქმნის.

---

[1]) დასაწყისი იხ. „მნათობი" № 7—8.

ჯოტო ერთი ამ წითელგვარდიელთაგანია.

ის აღფრთოვანებულია, თითქოს ფეხებს მიწაზე არ აკარებს, დახტის. ფიქრი წარსულის შესახებ სადღაც გადაიკარგა, მიიმალა გაურკვევლობის ნაპრალში, და მის მაგივრად გამომზეურდა დღევანდელობის საკითხი, თუ როგორ გაიმარჯვებს ეს ბუმბერაზული აჯანყება.

ამ ფიქრებით გატაცებული, ჯოტო იბრძვის რუს ამხანაგებთან ერთად, ის უფრო დარწმუნდა თავის სიძლიერეში, როცა ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს პოლონეთის მხარეზე „ჩეკა"-ში სამუშაოდ.

ახალგაზრდა ჯოტო მალე ეჩვევა საიდუმლო საქმეებზე მუშაობას.

სიფრთხილე, თავდაჭერილობა, მოთმინების უაღრესი განვითარება, ყოველგვარ კომბინაციაში გარკვევა და დავალების შესრულება გადაიქცა ჯოტოს განუყრელ მეგობრად.

ჯოტო თავის თავს არ ეკუთვნის, ის საერთო საქმეებში ტრიალებს. სერიოზული საქმეების გახსნა, თეთრგვარდიელთა ოფიცრების მოღალატური მოქმედება, ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ამბავია, და მის თვალწინ ასეთი სურათები იხატება სხვადასხვა საღებავით.

* * *

სამოქალაქო ომი მწვავდება. ახლად შემდგარი წითელი არმია ზრდის პროცესშია. ძველი ჯარის ოფიცრები ნაწილობრივ წითელ არმიაში დარჩენ.

თეთრგვარდიელთა ნაწილები თავდასხმებს აძლიერებენ.

ჯოტო მათ წინაალმდეგ ბრძოლაში გაიზარდა და, დახელოვნებული „ჩეკისტი"-ს თვალებით, სადღაც ჯურღმულში მიმალულ, გამოჩარხულ საქმეებს ხელში იგდებს.

იმ ღამესვე იქ ცეცხლი ჩნდება და ყველაფერს სპობს;

აი, ახლა, როცა ჯოტო მოღლილ-მოქანცული იწვა ერთ ნესტიან ოთახში, ქუჩიდან ავტომ მიაყვირა.

— ნეტავი ვინ უნდა იყოს?

და ისევ თავი მიდო ბალიშზე. ავტომ ისევ დაიყვირა, და კარებში შემოვარდა უცნობი ქალი, საიდუმლო ბარათით.

ბარათის გახსნამდე ჯოტომ გადახედა უცნობ ქალს, რომელსაც წითელარმიელის ტანისამოსი მებრძოლის იერს აძლევდა.

ბარათი გახსნა, წაიკითხა:

„ჯოტო, სასწრაფოდ გაჩნდი № 2 ნაწილში, ქუჩა №-ში ოთახი № 5. დაეპატიმრე მთელი კრება. შენებური სიდინჯით და დაკვირვებით შეუდექი საქმეს".

ჯოტო ოდნავ გაფითრდა, ხელი შუბლზე მიიდო და იმ წამსვე მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდა ოთახიდან. ტელეფონით გამოიწვია მზეერავი რაზმი—ორმოცდაათი წითელარმიელი, მხედრულად შემოტრიალდა და ფორდის ავტოში შოფერს მიუჯდა გვერდით.

უცნობი ქალი, რომელსაც სახელად ტოსია ერქვა, შეურაცყოფილი დარჩა ჯოტოს საქციელით.

— როგორ? გამოცდილ „ჩეკისტ" ქალს არ მენდობა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობდა გულში ტოსია.

— მეც თქვენთან მოვდივარ!

და ტოსიამ შედგა მარჯვენა ფეხი ავტოში. ჯოტომ მკვახედ მიუგო:

— დროს ნუ მაკარგვინებთ, მე უნდა გავაკეთო ეს საქმე!

და შოფერს უბრძანა ავტო დაეძრა ადგილიდან.

დაბალი და მკვრივი ტანის ტოსია შეირხა, შოფერს ხელი უტაცა საჭეზე.

— ფეხს ვერ დასძრავ! შენთან ერთად მე მაქვს მონდობილი ამ საქმის ხელში ჩაგდება! ნუ გგონია, რომ მე არ გამოგადგები. შენ ჯერ ბავში ხარ. არ გინახავს და გიჩვენებ, თუ როგორ შემიძლია საქმის გაკეთება.

ჯოტო ყოყმანობდა, არ სჯეროდა, თუ ქალი გამოადგებოდა ასეთ საქმეში.

— ერთი რომ ზარბაზანი გასკდეს, მაშინვე კივილს მორთავს, მთელი საქმე დამელუპება,—ფიქრობდა ჯოტო.

დრო აღარ იცდიდა. ჯოტო დათანხმდა. უკან ტოსიას გვერდით დაჯდა.

ავტო ბნელაში ისე მისრიალებდა, რომ ხმასაც ვერ გაიგონებდით. ქურდული გაქანებით შეიჭრენ მოტიტვლებულ ველებში, სადაც რუსეთის მკაცრ ყინვებს ყველაფერი გადაეთეთრებია.

გამოჩნდა წითელარმიელთა ბანაკი.

— მივუახლოვდით. ახლავე უნდა ვიცოდეთ. ვინ რას გააკეთებს. არ უნდა დავიბნეთ.

— ახლავე, ახლავე,—დაუმატა ტოსიამ.

— მე შიგ შევვარდები, შენ, ტოსია, წითელარმიელები უნდა მომაყოლო უკან. ჩემი შესვლისთანავე უნდა შემოერტყას ალყა თეთრგვარდიელთა არალეგალურ შტაბს. აი, უკვე მოსჩანს ის შენობა, სადაც ისინი უნდა იყვნენ.

ტოსია წამოდგა, მებრძოლის გამომეტყველებით მიანათა თვალები ჯოტოს.

— არა, მე უნდა შევიდე, დაგანახვებ ნამდვილი „ჩეკისტი“ ქალის ფიგურას, ახლა მეტს არაფერს ვამბობ.

ჯოტოს გულისმოსვლა დაეტყო.

— ეს ხომ დაღუპვაა, მე უნდა შევიდე!..

ლაპარაკში ავტო უკვე გასცდა წითელარმიელთა ბანაკს, ესეც არის უნდა შევიდეს დანიშნულ ადგილას. იქვე ახლოს დაბლობში მზვერავ წითელარმიელთა თოფების წვერები გამოჩნდა. წითელარმიელებმა იცვნეს ავტო და არ შეაჩერეს.

ავტო პატარა გორაკთან შეჩერდა.

მოქმედებას უნდა შედგომოდენ, რომ ჯოტომ მიმართა ტოსიას:

— მაშ შენსას არ იშლი? პასუხისმგებლობაც შენზეა!

— შევასრულებ კიდევაც!—სთქვა ტოსიამ და ორივე ხელში მაუზერი დაიჭირა.

— სწრაფად და ფრთხილად შემოარტყი წითელარმიელები შენობას, ჯოტო. აი, ხედავ, სანთელი ბჟუტავს. უთუოდ იქ იქნებიან.

და ტოსია გაქრა.

ჯოტო კიდევ არ არის დარწმუნებული ტოსიას ერთგულებაში.

მზვერავები მუცელზე ხოხვით შემოერტყენ შენობას ყოველი მხრიდან. სიბნელით მოცული გარემო უფრო ხელსაყრელია ტოსიასთვის. აქ მისი პატარა

ტანიც გამოსადეგი შეიქნა. მიწაზე გაინართხა და სულმოუთქმელად მიეპარა შენობის კარამდე. შესავალი კარი ორ თეთრგვარდიელს დაეკავებინა.

როგორ მოიქცეს?

ტოსია შეჩერდა წამით. მოიფიქრა:

— მოვკლავ, მაგრამ რომ მომასწრონ თოფის გამართვა? მაშინ ხომ ჩაიშლება მთელი გეგმა?

ორივეს დასტაცოს ხელები? ვერ მოერევა. მაშ როგორ მოიქცეს?

ძნელი ამოცანაა, გადაწყვეტა კი აუცილებელია, დრო არ ითმენს.

ჯოტო მიუხვდა ტოსიას გაჭირვებას და მზვერავებიდან ათ კაცს უბრძანა ორივე მხრიდან მიპაროდენ მცველებს.

ტოსიამ თვალი მოჰკრა ამხანაგების მოახლოვებას და იმედიანად დააკვირდა პირდაღებულ მცველებს, რომელთაც ერთ წამში სიკვდილი მოელისთ.

არმიელები მიუახლოვდენ.

მცველებმა თითქოს შეამჩნიეს, მიმოიხედეს და დათვალიერებაც ვერ მოასწრეს, რომ წითელარმიელებმა უხმოდ მოგუდეს.

ტოსიამ იხელთა დრო, რევოლვერამოწვდილი შევარდა ოთახში, სადაც კრებაზე ოცდაათამდე თეთრგვარდიელი ოფიცერი იყო. ტოსიამ შემზარავი ხმით მიაძახა:

— ხელები ზევით! არ გაინძრეთ! დაპატიმრებული ხართ!

ოფიცრებს სასაცილოდაც არ ეყოთ ტოსიას ასეთი საქციელი.

— ვინ? ერთი ჩიტივით ქალი...

და ამ დროს წითელარმიელები,—ზოგი ფანჯრებიდან, ზოგი წინა და უკანა კარებიდან,— თოფებგამართულნი შემოცვივდენ ოთახში.

ახლა კი წაუხდათ საქციელი ოფიცრებს და ხელები სამხედრო სისწორით ასწიეს მაღლა.

ჯოტო აღფრთოვანებულია, ხან ერთს ეცემა ყელში და ხან მეორეს.

ტოსიამ დასტაცა ხელი მაგიდაზე დაყრილ ქაღალდებს და გასცა ბრძანება.

— აყარეთ იარაღი! გამოიყვანეთ გარეთ!

წითელარმიელებმა ბრძანება შეასრულეს. ყველანი „ჩეკის“ სარდაფებში მოათავსეს.

— ახლაც არ გჯერა ჩემი?—უთხრა ტოსიამ ჯოტოს. ჯოტომ დარცხვენილად შეხედა თვალებში მას. ის გრძნობდა ტოსიას გამოცდილებას და მოხერხების სიძლიერეს. მას მიუწდომელ სიმაღლედ მოეჩვენა ქალის ასეთი მამაცობა და სტრატეგიული მოფიქრება.

— ეს კარგი ამხანაგი ვიშოვე, აწი სულ მას წავიყვან საქმეებზე,—ფიქრობდა ჯოტო.

იმ დღიდან ტოსია ჩასწვდა ჯოტოს გულის სიღრმეში, მან დაინახა მისთვის არაჩვეულებრივი მეგობრის მბრწყინავი თვალები, რომელნიც მუდამ ნებისყოფის სიძლიერით და „ჩეკისტი“ს სიმტკიცით კიაფობდენ.

ორი მებრძოლის გული და სული გაერთიანდა ერთ მთლიან რგოლად.

მათი დაცილება მხოლოდ სტიქიას თუ შეეძლო.

ტოსია, ხასიათით მაგარი, ამხანაგური სულისკვეთებით მდიდარი, ყოველთვის იტაცებდა ჯოტოს გულწრფელ სურვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო არ ჰქონდათ ერთად დამსხდარიყვენ და ეგბაასათ ერთმანეთ ... ... საქმეებზე.

გაცნობა ბრძოლების და ქუხილების დროს მოხდა.

მათი დაცილებაც ქუხილებმა შესძლო.

* *
*

ოქტომბრის აჯანყების ტალღა რუსეთის მთელ ტერიტორიას მოედო.

თეთრგვარდიელები დღითი-დღე პარტიზანულ თავდასხმებით ვიწროვდებიან და კილომეტრობით სტოვებენ თვალუწვდენელ საომარ ველებს. ჯოტო და ტოსია მათ უკან მისდევენ, მუშაობენ, ახალ-ახალ გეგმებს ადგენენ.

ერთ საღამოს ორივე გამოიძახეს „ჩეკაში". ისინი დანიშნულ დროზე გამოცხადდენ დავალებათა განყოფილების გამგე ივანე პოპოვთან.

— ტოსიას და ჯოტოს ჩემი სალამი! ძალიან გათამამდით, არა?

ტოსიამ წყრომით შეხედა პოპოვს.

— არა, შენზე კი არ ვამბობ, და ჩვენ ქართველ ჯოტოზე. ვიხუმრე. ეს რომ აქ მოვიდა, სულ ბავში იყო, ახლა დიდი გამოცდილი კაცია, და მეც მას ვუთხარი. ეს სხვათა შორის იყოს, ახლა კი საქმეზე ვილაპარაკოთ: თქვენს შორის ერთერთი უნდა გადავიდეს თეთრგვარდიელებში, თავი საიმედო ადამიანად მოაჩვენოს და ჩაეწეროს მათ რაზმში. ხომ იცით, შემდეგ რას იზამთ... საქმე ძალიან ძნელია, დიდი მოხერხებული კონსპირატორობაა საჭირო. რომელი გაბედავთ?!

ორივემ ხმა გაკმინდა და ორივემ ერთად გადაწყვიტა წასვლა.

— ტოსია, შენ უფრო გამოდგები ამ საქმეში! ჯოტო საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლას მოგიწყობს.

შეთანხმდენ.

ტოსია მეორე დღესვე გადაიპარა პოლონეთის საზღვარზე დიდის გაჭირვებით. დაარწმუნა ოფიცრები, რომ ნამდვილი მონარქისტია და სულით და გულით სურს მათთან მუშაობა.

ასე ჩაირიცხა ტოსია რაზმში. რომ მოეპოვებია თეთრების ნდობა, ამისათვის დაუახლოვდა ერთ ოფიცერს, ბოლოს მეუღლეც შეიქნა მისი. გულში კი ზიზღსა და სიძულვილს გრძნობდა მისდამი, მაგრამ საქმისათვის ასე სჯობდა.

შეიძლება ჯოტოს სწყენდა ტოსიას ასეთი საქციელი?

არა, ისიც დარწმუნდა, რომ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი საშუალება უნდა გამოიყენოს ადამიანმა· ტოსიასთვისაც საშუალება არ არის ეს ამბავი?

დაიწყო ტოსიას უაღრესად კონსპირატული მოქმედება. ქმარი მას ყველაფერს ანდობდა.

ტოსიამ რამდენიმეჯერ მოახერხა გეგმების და რუკების გადმოტანა. წითელარმიელები ამ გეგმების საშუალებით ანადგურებდენ თეთრგვარდიელთა რაზმებს.

ტოსია უფრო და უფრო მიძვრებოდა საიდუმლო საბუთებში.

ბოლოს ძნელი შეიქნა მუშაობა. ქმარმა იჭვი მიიტანა ტოსიაზე, ეს არ დარჩა შეუმჩნეველი უკანასკნელისათვის.

— გადაწყვეტილი ამბავია,—უნდა გავიპაროთ, მაგრამ ისე უნდა წავიდე, რომ ახალი გეგმა, რომელიც გუშინ შეიმუშავეს, თან უნდა გავიტანო,—ამბობდა ტოსია.

დღეები მდიოდა.

მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. მოპარული გეგმებით წითელარმიელები დღითი-დღე იმარჯვებდენ. თეთრგვარდიელებმა საზღვრის მცველი რაზმი უფრო გააძლიერეს. არაფრის გატანა არ შეიძლება ხელით.

მაშ როგორ მოიქცეს ტოსია? მარტო, ხელცალიერი ხომ ვერ გადავა?

ამ ფიქრებში გართულს რაღაც მოაგონდა, შემოტრიალდა და თავისი კარგი ნაცნობ ვალიასკენ გაექანა.

ვალია ტოსიას ძველი ნაცნობი და მეგობარი იყო. კერენსკის დროს ვალია ერთ ოფიცერს გაჰყვა ცოლად. ოფიცერი დენიკინელი შეიქნა და ვალიაც თან წაჰყვა მას.

წინად ტოსია ყველაფერს ანდობდა მას, როდესაც ვალია მასთან მუშაობდა რუსეთში. ახლა კი არ იცის, გამოუტყდეს თუ არა საიდუმლოებაში? შიშობს ტოსია: ვაი თუ გასცეს?

— არა, რადაც გინდა დამიჯდეს, მოვახერხებ!

ტოსია მივიდა ვალიასთან.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ ტოსია გამოუტყდა ვალიას და გააცნო გეგმა, თან დაპირდა სამშობლოში მშვიდობიან გადაყვანას.

ვალია ცივ უარს დაადგა.

— ეს ხომ ჩემი დაღუპვაა, ორივეს დაგვხვრეტენ! არა, მაგას ვერ ვიზამ!— ამბობდა აკანკალებული ხმით ვალია.

ტოსია უგრძნობლად წამოვარდა ზეზე.

— ყველაფერი გაგაცანი, ახლა გინდა საერთო საქმე გააფუჭო? აი, ამ რევოლვერს ხომ ხედავ, ტყვიას გულში დაგახლი, თუ კი აო დამთანხმდები. სულერთია, მეც ხომ მომკლავენ. სთქვი ჩქარა, სანამ შენი ქმარი მოვიდოდეს!

ვალიამ შეშინებული ხმით წამოიძახა:

— გეთანხმებით... მხოლოდ მითხარი, რაში გამოიხატება ჩემი მოვალეობა.

— მომყე და გიჩვენებ, რაც უნდა გააკეთო!

ორივენი ერთ ბნელ კარავში შევიდენ. ტოსიამ ამოიღო შაი ხაზებით დაქსელილი გეგმა და უბრძანა:

— აი, ეს უნდა გადმოხატო ჩემს ზურგზე!

— ზურგზე? ზურგზე? გაგიჟდი?!

— დიახ, ხომ ხედავ, გავგიჟდი. ხელით გატანა არ შეიძლება, ზურგზე უნდა გადახატო და ისე უნდა გადავიპაროთ ორივე.

ვალია შეუდგა მისთვის სამძიმო მუშაობას. ხელები არ ემორჩილება, სულიერ ტანჯვას განიცდის.

ტოსია ამჩნევს ვალიას აღელვებულ მდგომარეობას და ეკითხება თავის თავს:

— გამოსავალი სად არის?

პასუხიც იქვე ამოსჭრა მსხვილი ასოებით, რომელსაც ირგვლივ ხიბნელით მოცული გარემო წერტილებივით მოხაზავს. წერტილები [illegible] ერთმანეთში, და პასუხი მკაფიოდ დატრიალდება.

— საჩქაროდ... საჩქაროდ... დღეს... ხვალ...

სამ დღეში ყოველი წერტილი, ყოველი ხაზი გადაიტანა ვალიამ ტოსიას ზურგზე.

მეოთხე დღეს ორივე გაიპარა თეთრგვარდიელთა ბანაკიდან.

როცა ტოსიას ამბავი დიდხანს ვერ გაიგო ჯოტომ, მოინდომა საზღვარს მიახლოვებოდა.

— შეიძლება დააპატიმრეს, ვუშველი რაიმეს,—სთქვა ჯოტომ.

* * *

საზღვარზე მცველები არ ჩანდენ.

ტოსია აღელვებული და აცახცახებული გადმოდიოდა ვალიასთან ერთად. უცებ გაისმა თოფების გრიალი, და ორივე უსულოდ დაეცა მიწაზე.

იქვე ახლოს ჯოტოს რაზმი იყო დაბანაკებული. თოფების ხმაზე რაზმი წამოიშალა, გაჩაღდა პარტიზანული ომი.

რაზმელებმა ფეხებით გადათელეს ტოსია.

მოესმათ ხრინწიანი ხმით კვნესა.

ჯოტო გაფითრებული დასწვდა ტოსიას, მაგრამ მისი ახალგაზრდული სიცოცხლე უკანასკნელად ესალმებოდა იქაურობას.

ჯოტოს მხოლოდ გაურკვეველი სიტყვები ესმოდა ტოსიასაგან.

— ზურგი... ზურგზე...

მაგრამ ჯოტომ ვერ გაიგო რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

ირგვლივ გარემო ჩამობნელებული იყო.

ბინდი ბურავდა მიდამოს.

თოფების კიამლის სუნში უკანასკნელად ამოისუნთქა ტოსიამ ჯოტოს მკლავებზე.

მეორე დღეს ტოსია და ვალია „ჩეკა"-ში მიიტანეს. ჯოტო დაინტერესებული იყო, თუ რას ნიშნავდა ტოსიას სიტყვები:

— ზურგი... ზურგზე.

გადაუწია ჯოტომ ტოსიას მწვანე მაუდის ხალათი, და გაყვითლებულ ზურგზე გამოჩნდა შავი ფერებით დახაზული გეგმა—თუ როგორ უნდა აეღოთ თეთრგვარდიელებს № ქალაქი.

ჯოტო ნაღვლიანად დააცქერდა ტოსიას გაცივებულ სხეულს.

* * *

ირგვლივ ზარბაზნები ჰქუხდა, ქვევით კი ყამირ მიწაში ეშვებოდა ტოსიას ცხედარი.

* * *

ეს იყო მაშინ, როცა რუსეთის ველებზე ზარბაზნების ქუხილი გრიგალივით გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეში, ეს იყო მაშინ, როცა თეთრგვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიელთა ხროვა რუსეთის ნოყიერ, შავნიადაგიან მიწაზე უკანასკნელ სისხლს ჭლვრიდა.

ამ სისხლში ჯოტო ბევრჯელ შეცურებულა, ბევრჯელ შეუნგრევია თეთრგვარდიელებისთვის გულის ფიცარი, პირცეცხლიანი არ დარიდებია მათ უკანასკნელ გაანჩხლებას, მძლავრი იერიშები მიუტანია, ჩამოუბნელებია მიდამოები ქუხილით და, ცეცხლის ალში გახვეული, ფერფლად უქცევია.

ეს იყო წინად.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ამ წლების ქარტეხილებმა ჯოტო საქართველოს გასაბჭოების მებრძოლად ამოატივტივა, და მას შემდეგ, როდესაც მარტის მზიან დღეში გაისმა ბრძანება საქართველოში წითელი არმიის შექმნის შესახებ,—ჯოტო ამ დროიდან მუშაობს წითელ არმიაში ასეულის მეთაურად.

სულ ორი დღეა, რაც იგი გამოემშვიდობა სოფელ ლებალათურიას კომუნარებს, მაგრამ მას ეს ორი დღე ორ თვედ ეჩვენება. თვალები ევსება სიხარულის დამტევ ცრემლებით. თოფის წამალში აფეთქებული გული განიერდება და მასში ჩუმად, თითქოს მალულად, კომუნარების სისხლი შემოდის, არტერიები ილარება ამ შემოჭრილი სიმხურვალით და კომუნის საკუთარი თვალებით დანახვის, საკუთარი ხელებით შეხების მისწრაფების შიმშილად ექცევა მას.

ჯოტოს უნდა, რომ ყოველთვის კომუნარებთან იყოს, აძლევდეს მათ დარიგებას მუშაობაში, უკვლევდეს ეკლითა და ბარდებით დაქსელილ გზებს და კულაკების სურვილებისაგან გადმოსროლილ შხამის ბაცილებს თვალებს უწვავდეს.

კომუნა ჯერ ახლად ფეხადგმულია, და ყოველი პატარა ჯირკი ჩვილ ბავშვივით წააფორხილებინებს, დაეცემა, ცხვირპირს დაიმტვრევს. თუმცა ეს დაცემა არ იქნება უკან დამწევი, არამედ მხოლოდ პირველი ხანა, ბავშობიდან სივაჟკაცეში გადასვლის ხანა. ამ დროს ჯოტოს ხელი სუროსავით შემოესალტება მათ საზარდ, ლერწამივით მოქნეულ ტანს, თვალები კი ვარსკვლავებით გაჭედილ ცასავით გაუნათებს ბილიკებს.

ბარდღა ბარათელიას თანამესუფრეთა აზრებიც დაიხვეწება ამ სინათლეში და გამოჩნდება ნალექ მირაჟებად, რომელშიაც ამღვრეულია კომუნის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი.

ხელისგულივით გამოჩნდება, მასზე დასობილი ნემსის წვერები, სისხლის წვეთებით და საწამლავით მოსველებული, შეებმიან ერთმანეთს. ამ ბრძოლაში პირველი გამარჯვება ჯოტოს მიერ ამხედრებულ კომუნარებს ხვდათ წილად.

და ამ მეორე შეტევასაც გაუნათებს გზას ჯოტოს მძლავრი და უტეხი აზრები, ჯოტოსი, რომელმაც ღორის ბუნაგად აქცია თავისი სოფლის შეძლებული ხალხის ცხოვრება.

* * *

როცა ლეგიონის კარვები მიჰფენოდენ მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარეს და ზემოდან წარმომდგარი საღამოს ჟამი ღამურასავით იმზირებოდა კარვებში, მთელი დღის მანძილზე სამხედრო წრთვნით, საბრძოლო ტაქტიკით თავდამძი-

მებული და რბენით და ხოხვით მუხლებ დამტვრეული წითელარმიელები კარვებში მიწოლილიყვნენ.

მათ დაუფლებოდათ ღონედაცლილი ადამიანების სიტკბრებით ალსავსე ძილი და არ ესმოდათ—ამ სიბნელეში, როგორ მირახრახებდა განიერ კალაპოტში მტკვარი. ზაჰესისაგან ფრთებმოტეხილი ტალღები ნელმდინარეობაში შედიოდა აქა-იქ, და მხოლოდ მაშინ მოისვენებდა ადამიანის ყური მათი ხმაურისაგან.

ჯოტოს თვალები უცნაურ სიფხიზლეს მოეცვა, მას არ ეკარებოდა ფიქრების დამარბილებელი ძილი. იგი გაჰყურებდა კარავიდან მიდამოებს. მის თვალწინ იშლებოდა მინდვრებზე გადამწვანებული პურების გაუჭრელი ჩრდილები. ღამის გაუტეხელ წყვდიადში მათი შრიალი მას აგონებდა თავის სოფელს და ცხენისწყლის პირად ატეხილი ფშიარების რხევას, რომლებზედაც ყორნების ბუდეები ირწევიან.

მოგონებები უფრო ღრმავდებოდა, და ის იძირებოდა ფიქრების ნაცრისფერ ტბაში. დღისით ალმურში დასიცხული სახე გრილდებოდა მტკვრიდან მობერილი ნიავით.

ამ სურათებში მკაფიოდ მოსჩანდა ბათლომეს გაფითრებული სახე, სისხლის ღვარში ჩაგორებული. მას თავზე წამოდგომოდა თმებგაწეწილი ბარბალე და რაც ძალ-ღონე ჰქონდა, კიოდა საზარლად. მის ირგვლივ ხალხი ხითხითობდა. მათი თვალები მხოლოდ ერთ წერტილს მისჩერებოდენ—იქ, სადაც ლაზარეს გადმოკაკლული თვალები უკანასკნელად ღვრიდა სიმწუხარის ცრემლებს.

ამ მოგონებამ ჯოტოს სახე, წონასწორობადარღვეული, უფრო შეაშფოთა. ბოლმა ყელზე მოებჯინა, მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ ყველაფერი ეს ამ ახლო წარსულიდან ალებული ამბებია, ამან კი სიხარული გამოიწვია მასში. ამ დროს მოისმა ნაბიჯები.

ჯოტო გაიტრუნა. სიჩუმეში სიბნელე უფრო გაუვალი შეიქნა. ჯოტომ ფრთხილად გამოჰყო თავი კარავიდან და მისთვის უცნობის დაძახილზე:

— კიდევ არ გეძინება, ჯოტო?—შიშნაკრავივით შეიტანა თავი კარავში და ტანი დამალა.

— შენ გეუბნები, ჯოტო!

— ვინა ხარ?

— ვერ მიცანი?!, მე ვარ, პავლე!

და ჯოტომ დარცხვენილი სახე ძირს დახარა, მერე ზევით აიხედა და პავლეს ისე მიაცქერდა თვალებში, თითქოს პირველად ხედავდა მას დღეს და თითქოს სურდა ამოეცნო ხორკლიან პირის კანზე ამოყრილი შავი წერტილებით, თუ სად შეხვედრია მას ეს კაცი.

— რაღაც, უძილობა დამჩემდა ამ ბოლო დროს!

— ალბათ ჩვენი გოგონები თუ შეგიყვარდა და იმიტომ არ ეკარება შენს თვალებს ძილი!—სიცილით უთხრა პავლემ მას და თუნუქის ჭურჭლიდან წყალი მოსვა.

— ხომ არ დამცინი, პავლე?

— რატომ უნდა დაგცინო, განა არ შეიძლება, რომ სიყვარულმა მოიტაცოს შენი გული? ან და რა იქნება ამით, ხომ არ დაირღვევა ჩვენი ცხოვრების წესრიგი, ეს ხომ არ იქნება პარტიული ხაზის ღალატი? უბრალო საქმეა;

სხეულს მოწყურდა სითბო, ალერსი, ხვევნა, სიტკბოება და აღგზნებული ვნებების დაცხრომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე ისე ხარბად დაეწაფა ამ სიტყვების წარმოთქმას, რომ ეტყობა ამოსაცნობი იყო—ჯოტოს გულის მოსაგებად ამბობდა ამას, თუ საკუთარ სხეულში მიძინებული პატარა სურვილებისათვის სურდა ფრთების შესხმა.

— თითქოს ასკეტი ვიყო, ისე მეუბნები, პავლე. რასაც შენ ამობ, ჩემთვის ყველაფერი ხილული და ნაცნობია, როგორც ეს თოფი, ეს ნიღაბი და ეს კარავი თავისი მოწყობილობით. შენ ალბათ არც კი გეცოდინებოდა სამხედრო საქმის შესახებ რაიმე, როცა მე რუსეთის სამოქალაქო ომებში ვიღებდი მონაწილეობას. იქ გავიცანი ნამდვილი ქალი, რომელშიაც დუღდა სიცოცხლე. მას სახელად ტოსია ერქვა. ტოსიამ რევოლუციის სამსახურში დალია თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე. მე მაშინ ვიგრძენი, თუ რას ნიშნავდა გამბედავი ქალის თავგამეტება. არა მარტო ეს მხარე მომწონდა მასში, არამედ შინაბუნებითაც მიმზიდველი იყო. მე მას ვეტრფოდი, მაგრამ ის გამისხლტა ხელიდან. მისგან მხოლოდ დამრჩა ხსოვნად ყრუდ ამონაკვნესი სიტყვები: „ზურგი... ზურგზე". ეს სიტყვები რაღაც უცნაურად ამედევნა მას შემდეგ, არ მავიწყდება, უფრო მძლავრად მომესმება ეს ხმები, როცა წარმომიდგება მისი გალურჯებული ტანი და ზურგზე ტუშით დახატული გეგმა, ეს გეგმა მან თეთრგვარდიელებს მოპარა. ალბათ ახლა, როცა მისი სხეულის არცერთი ნაკვთი არ გადურჩებოდა ცივ მიწას შეუჭმელი, ის ნახაზები, სისხლით შეფერილი, მკრთალ ზოლებად იქნება დაქსელილი სამარეში. ამას იმიტომ გეუბნები, რომ გაიგო, მეც შემიძლია სისხლით, ხორცით და აზრებით შევიყვარო ადამიანი და გავიხადო ის ახლობელ მეგობრათ. ეს მხოლოდ ნაწილაკია ჩემო ჯერძო ცხოვრების ფრონტიდან.

ჯოტო ამას ისე ამბობდა, რომ გეგონებოდათ მართლაც ტოსიას წინაშე იდგა და დასცქეროდა მის ცხედარს, რომელსაც მიწაში ასვენებდენ.

მაშინ ზარბაზნების ზუილი ისმოდა ირგვლივ და ისე იძირებოდა ტოსიას სხეული არარაობის წიაღში.

ახლა კი ჯოტოს ირგვლივ სიწყნარეა, რამდენიმე წლის მანძილზე ქარტეხილებით მოპოებული. იგი ახლა იხედება ამ სიწყნარეში, განიერი თვალებით იპყრობს მიდამოებში ყოველი საგნის მოძრაობას.

— მართლა, ჯოტო, ძალიან მომეწონა გუშინ შენი მოხსენება, სოფელში რომ კომუნა დაგიარსებია, იმის შესახებ. პირველი ყუმბარა იმ უბანში გადაგისროლია, აწ კი სხვაც თან მოჰყვება. კარგი ნაბიჯი გადავდგით ჩვენც, რომ შეფად ეგ კომუნა ავიყვანეთ. დავეხმარებით ყოველმხრივ, ამ ხანად კი საჭიროა ხუთი გუთნის და ბელტების დასაფშვნელი რკინის ფარცხის გაგზავნა,—ეუბნებოდა პავლე მას და თან იგონებდა თავის სოფელს, სადაც დახეთქილი მიწა გაზაფხულზე დახვნის დროს ლოდებივით ამოჰყრის ბელტებს.

— მისწრებაა,პავლე, რასაც შენ ამბობ. ჩემ სოფელში ისეთი ბელტები იცის, რომ კურდღელიც ვერ გადაახტება. თოხს რომ დაარტყამ ყუით, ტარი ხელში ჭრიალობს. ნაფარცხავი ხარი კი ფეხებსაც ვერ გადაათრევს მაღლა. რკინის ფარცხი დედას უტირებს, მარილივით დაფშვნის ბელტებს, მით უმეტეს, ყელი თუ შეურჩია ალოზე, სულ დახვარხვალდება ნათესი.

ჯოტო ამ სიტყვებში გამოთქმულ შინაარსს რალაც არაჩვეულებრივად განიცდიდა და დიდი სიყვარულით ამბობდა, ხელის გულს სრესდა თითებით, ბედები ხომ არ დარჩენილა კიდევო, მაგრამ როცა ხელები დახეთქილი ჭრილობებისა ტების მტვრევით, მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ახლა კი მისი ნატამალიც არ ამჩნევია ხელის გულებზე.

ჯოტო მოუთმენლად მოელის მორიგ შვებულებას. შვებულება მას ორი თვის შემდეგ მოუწევს. მაშინ ნახავს ჯოტო საკუთარი თვალებით, თუ რა შედეგი გამოიღო მისმა თაოსნობამ. ბათლომესაც გადაეხვევა ყელზე. თუმცა ბათლომე არ ეგვანება წინად ნახულს, იგი ალბათ ცალფეხა, ჯოხზე დაბჯენილი იქნება.

ამ ფიქრებში რომ არის ჯოტო გართული,—პავლეს ძილი მოეკიდა ნამთვრალევი კაცივით, თავმა დასძლია და კარავში მიწვა.

ჯოტოს ესმის პავლეს ხვრინვა. ბოლოს მანაც იგრძნო უძილო ღამის სიმკაცრე და, უძილობასთან ბრძოლაში შებმულმა, ხვალინდელი დღის მოახლოების მოლოდინში სიბნელეს შეუერთა თავი, პავლეს ხვრინვას ბანი მისცა, მაგრამ უფრო ბოხი და ბარიტონის ხმასავით მოღუღუნე.

* *
*

უცნაური ძალა შემოიჭრა სოფელ ლებაღათურიაში კომუნის დაარსების გამო. კომუნის ირგვლივ ათასი ხვრელით და ათიათასი ქსელით იჭრება მზერა და ამ მზერაში შემოპარული მტრული განწყობილება.

იგი შეიძლება, და მტრის ჯარებით ალყაშემორტყმულ ქალაქივით გრგვინავს კომუნის საერთო საცხოვრებელში მოთავსებული ოცი ოჯახის ყოველი წევრი.

წიწილების გროვაში ჩამოვარდნილ ქორივით დატრიალდა ეს ახალი ძალა ამ სოფელში, რამაც დააფრთხო შეძლებული ხალხის ფუფუნებითი ცხოვრების სიმშვიდე. მათი მისწრაფება არასოდეს არ გასცილებია საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას და ფიქრს, ამიტომაც ასე გააფთრებით და გამგელებით იყურება მათი ბდღვრიალა თვალები. თვალებში ცრემლების მაგივრად სისხლიანი ლორწო ჩამდგარა.

— არ მართლდება შენი მარჩიელობა, რაფია: კომუნა ორ დღესაც ვერ იარსებებს.—უთხრა ბარდღას თანამესუფრემ და ბარდღაზე არა ნაკლებ შეძლებულმა გლეხმა რაფიას.

რაფიას წინაშე თითქოს დიდი ამოცანა იდგეს გადასაჭრელი. მან თვალები დახუჭა, წარბები გადმოაფინა თვალებზე და მხოლოდ წამწამები აათამაშა. გახსნილი წამწამებიდან დროგამოშვებით გამოჩნდებოდა თვალის თეთრი ნაწილი ნახევარ მთვარესავით. მერე სახე გამართა და თითქოს ეს ქვეყანა ხელში სადავეებით ეჭიროსო, დამშვიდებული ხმით უთხრა კირილიას:

— კაცო, სული კბილით ხომ არ გიჭირავს, რა გაჩქარებს, სიჩქარით ქვეყანა ვის აუშენებია. ჩვენ ბოლშევიკებივით სულწასულები კი არა ვართ, რომ ვირბინოთ წინდაუხედავად. არა, ჩვენ თანდათან ვიცით ყველაფრის გაკეთება. ასე მიყოლებით უნდა მოხდეს მათი გაპარვაც აქედან.

ამით რაფიას სურდა გულუბრყვილო ადამიანის წადილი დაეკმაყოფილებია, თან თავისი ნათქვამი მასთან—კომუნა ორ დღეში გაქრებაო, და ამ აზრის

წინააღმდეგობა ახლა ნალაპარაკევთან როგორმე უნდა შეეთანხმებია, მაგრამ ამ ორ აზრს შორის პირდაღებული უფსკრული რაფიასაც თავისკენ ეპატიჟებოდა. გამოუსვლელ ჩიხში მომწყვდეული, ის თავს მაინც იმედს აძლევდა.

რაფია ამჩნევდა, რომ მის მიერ დასმული საქმის დიაგნოზი გატეხილ დაირასავით ხრიწინებდა. იგი უფრო ეფლობოდა უიმედობაში, მაგრამ მოსაუბრის თვალში რომ არ ეგრძნო დამცირება, მაინც ატარტალებდა ენას უტიფრად, ნაცარქექიასავით ჯოხით ხაზავდა გეგმას ცხელ ნაცარში, ქუჩაზე რომ იყო დაყრილი.

— რაფია, შენ ბარდღაზე უფრო გლახა ყოფილხარ: თუ გახსოვს, მე შეგხვდი 21 წლის 27 თებერვალს, აი აქ, დათაიე ტოლიკეს ჭიშკართან. შენ გაცეცხლებული, თვალებცრემლიანი მოდიოდი ფოსტიდან. მე შეგაჩერე მაშინ და გკითხე ტფილისის ბედზე, შენ კი მიპასუხე: ახლა გავიგეთ ტელეფონით, რომ ტფილისი აიღეს, მაგრამ საქართველოში ვის გაუძლია, რომ მაგენმა მოიდგან ყელი.—ორი თვის შემდეგ მათ ბუნდღას ვერ ნახავს კაცი". ხომ გახსოვს ეს სიტყვები? მართალია, გლახა მოსაგონებელია მაშინდელი მწუხარება ახლა, როცა ეს ნაღველი ან დავიწყებაშია მიცემული, ანდა შეთხელებულია მისი სიმძიმე, მაგრამ მაინც მახსოვს და ახლა რომ ვადარებ მაშინდელ სიტყვებს ბოლშევიკებზე და ახლა თქმულს კომუნის დაშლაზე, ამის შემდეგ ეჭვი მეპარება. არ იქნება ურიგო, თუ ვიტყვი, რომ ამ ორ აზრსა და შეფასებას შორის დიდი მსგავსებაა, იმ მხრივ, რომ ორივე აზრი გამტყუნდა. აწი არაფერი არ დაეჯერება თქვენს სიტყვებს და თქვენს ფანტაზიას მომავალი ბედნიერების შესახებ, ეუბნებოდა რაფიას კირილე ზედმეტი დამაჯერებლობით.

და მასში ჩანდა იმედგაცრუებული ადამიანის ღიმილი და საკუთარი თავის დაცინვა.

რაფია კი გასცქეროდა კომუნარების მუშაობას. გულში მენშევიკური ბუნების სიმხდალე თანდათან უძლიერდებოდა. იგი გრძნობდა დამარცხების თვალსაჩინოებას და უიმედობის ზღვიდან იბზირებოდა თვალებდაკუსული. ამ მდგომარეობიდან ამოსვლას ანდომებდა მთელს ძალღონეს.

ატატო კი, რაფიას ცალიერ სიტყვებზე ჩამოკიდებული, ყოველდღე მოელოდა ბარდღას დაბრუნებას გადასახლებიდან, მაგრამ იგი არ ჩანდა. ლოდინმა გული მოუხარშა, თვალები ჩამოუტყავდა ქუჩისაკენ მზერით.

რაფიას, როცა დასჭირდებოდა, ბარათელიას დაცვაში ნაღველსაც კი ამოა ქაფებდა, მაგრამ როგორც კი ჩამოვარდებოდა ლაპარაკი ატატოსთან მიწებისა და სახლის ხელმეორედ გაყოფის შესახებ, მაშინ ატატო ქორივით მიაფრინდებოდა მას თვალებში.

რაფია გრძნობდა მაშინ მისდამი სიძულვილის და ზიზღის აუტანელ სიმძიმეს, რაც მას ლოდივით ჩამოწოლოდა. უფრო მეტად განიცდიდა ამ წუთებს, როცა უმზერდა კომუნარების ამოძრავებულ სხეულს, სიბეჯითეში გამჯდარს. გული ეუბნებოდა ჩუმად:—არ გამართლდა შენი აზრი, რომ ზარმაცებმა მოიყარეს თავი ერთად და ვერაფერს გააკეთებენო.

ამას ბარდღაც კი ფიქრობდა, მაგრამ ამ აზრის ხმამღლა თქმისათვის და საკუთარი მისწრაფების გამარჯვებისათვის ბრძოლაში იგი ახლა მოშორებულია აქაურობას. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ რაფია უფრო ჩუმია, შეუძლია

უფრო მეტი შხამი და გესლი გადმოანთხიოს, ამას კი იშვიათად გაუგებენ, რადგან შეუძლია თავის დაჭერა იქ, სადაც საჭიროა და სადაც მიგვიყვანს ერთობა მას ჩიტივით მოიტაცებს.

ამიტომ არის, რომ რაფიამ შეინახა თავი საიმედო ადამიანად თავის მოჩვენებით და ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარტიასთან ლოიალობით.

რაც დრო მიდის, კომუნა იზრდება, მაგრდება, და რაფიას აზრების და კომბინაციების დამარცხება ნათელი ხდება, ეს კი უკვე ააშკარავებს მის სხეულში დამალული პატარა მხეცის სულისკვეთებას, ამიტომ ყოველი ახალი დღე, კომუნის კარმიდამოში გასხივ-სნებული, აცლის მის სხეულს გარედან შემოსილ ლოიალობის ფერებს, და ყველასათვის გასაგები ხდება რაფიას მტრული განწყობილება.

*
* *

ლუკა წულაიას, სანამ კომუნაში შევიდოდა, მუდამ წალდი ეჭირა ხელში და დაქაქანობდა უკანა ეზოში. მოუსვენარი სურვილი, რომ უმოქმედოდ არ ყოფილიყო, ჩვეულებად გადაექცა და საქმეც რომ შემოლეოდა გასაკეთებელი, მაინც გადავიდოდა უკანა ეზოში, ხელში წალდს მოიმარჯვებდა და ტყეში ამოსულ ეკლის ხეებს წმენდდა ზედმეტი შტოებისაგან.

ყოველთვის ისმოდა მისი მარჯვენისაგან მოქნეული წალდის ჩახაჩუხი. უფრო კი უთვალთვალებდა, რომ ძროხები არ შემოპაროდენ ახლად ამოყრილ თხილნარში ჩვილი ყლორტების დასაკვნეტად. თუ საიდანმე ტყეში შემოჩვეული მსუყეჯიქნიანი ძროხები გამოყოფდენ თავს, ლუკას მზად ჰქონდა წალდი რქასა და რქას შუა დასარტყმელად. მერე პატრონის დედას შეუკურთხებდა, დაფეთებული ძროხები აჰყრიდენ უკანა ფეხის ჩლიქებს და რამდენიმე მეტრზე ისროდენ მიწას.

დაულელტეხილებული ტყეები, და ამ ტყეების მიღმა რომ ტრიალი საყანეებია, ზეგანი ადგილებით მოჭარბებული, ლუკას ეზოს ეკრა ჩრდილოეთის მხრიდან.

ლუკას ეზო ახლად დაარსებულ კომუნის ფარგალშია მოქცეული, შიგ კი ლუკა ძველებურზე უფრო მარჯვედ, ძველებურზე უფრო ფხიზლად ქაქანობს, უყვირის საქონელს, მიდენის მათ შორს, რომ არ შემოადგან ფეხი კომუნის ფარგალში.

მუხლებ დაკოტავებული და მკლავებდაკაპიწებული კომუნის წევრები გამურულ კისრებს აგრძელებენ, თავმოძულებული ურტყამენ თოხის ყუას თესვის დროს მიწიდან ამოცვენილ ბელტებს და რიყესავით გადაროხილ ნაოშავზე აყოლებენ ფარცხს.

ლუკა კმაყოფილია, რომ დროებით კომუნის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად მას შეუთავსეს მემინდვრეობის დარგის მოვლა-პატრონობა.

მტრების გულის მოსაკლავად, რომელნიც საკმაო რაოდენობით ჰყავს კომუნას, ლუკამ მთელ სოფელს დაასწრო ყანების დახვნა და ახლა უკვე თესვის მიწურულში იმყოფება. იგი მადლიანი თვალებით დასცქერის დამუშავებულ მიწას, რომლის შუაგულში ფერდეგანიერი და ძვალმსხვილი კამეჩები კისერდაძაბრულები დაათრევენ რკინის ფარცხს. ფარცხის კბილები შეუბრალებლად ღადრავს ნაოშავ მიწას.

— მაგენის ოჯახი ააშენოს ღმერთმა, რავა ჩვენი საქმე გააკეთეს, რომ გამოგვიგზავნეს გუთნები და ფარცხები, მაგრამ ძალიან გულმოსული ვარ ალმასკომზე: რავა არ შეეძლოთ მაგენს, რომ წრეულსვე მოეხდინათ ჩვენთვის მიწათმოწყობა და რაც ჩვენ ხელში მიწებია, ყველა ერთ ფარგალში მოეზომათ! მა-

შინ ხომ არ მოგვიხდებოდა წანწალი ერთი ადგილიდან მეორეში და წითელმა არმიამ რომ მანქანები გამოგვიგზავნა, უფრო გამოსაყენებელი და საყოფიერი იქნებოდა,—სთქვა ლუკამ და თან გადასძახა საქონელს თავისი ცივი ხმით:

— აცი, აცი, თქვე პატრონმკვდრებო, თქე საყასპეებო!

ლუკას საყვედური, რომ კომუნას აღმასკომმა ვერ მოუსწრო მიწების შემოფარგვლა ერთ ნაკვეთში, ნაწილობრივ მართალია, თუმცა ვისაც კი დაუნახავს ამ სოფლის კბილებ დაღრჭენილი და თვალებგადმობრუნებული შეძლებული გლეხების მგლური სახეები, ის კარგად მიხვდებოდა ამ საქმის მოწყობის სიძნელეს.

ახლა კი, როცა ლუკას მეთაურობით ნაწილი გლეხობისა შებმია მიწას დასამორჩილებლად, ისინი მაცდური გამომეტყველებით ევლებიან თავს მათ მუშაობას და ცდილობენ ყოველი გამოხედვის დროს ჩააბნელონ კომუნის მცხუნვარე მზე.

— შე დედაგაღლეტილო, რომ მითრეულხარ აღმასკომია თუ რაღაც ჯანდაბაა და მოგითხოვია ჩემი მიწების მიზომვა კომუნისათვის, ვინ მოგცა მაგის უფლება?!--ეუბნებოდა ლუკას ამავე სოფლის შეძლებული გლეხი ანტონა კოპალიანი, რომელსაც სიბრაზისაგან თვალები და სახე ისე წამოწითლებოდა, რომ გეგონებოდა ვინმეს ცეცხლში გადაუგდიაო.

ლუკამ კარგად იცოდა ანტონას ჯიუტი და შურით სავსე ხასიათი, ამიტომ პირველად მას რბილი და დაბალი ხმით შეხვდა.

— შენს მიწებს კი არ ვთხოულობ, კაცო.

— აბა რა ოხრობას?

— ოხრობა და უბედურება შენს ოჯახში იყოს, ჩვენ კი გვინდა სხვა არ შევაწუხოთ და საყანეები ერთ ფარგალში გვქონდეს. მიწამ მიწის მეტი რა იცის?! რა ისეთი ხვითო შეიქნა შენი მიწა, რომ გადაცვლა არ შეიძლება?! მარა შენგან ვის უნახავს ხეირი, მე რომ ვნახო! ჩამოთრეულხარ საიდანღაც და გინდა სული შეგვიხუთო!

ამ სიტყვებმა კოპალიანზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა, მას წარბიც კი არ შეუხრია, რომ ეგრძნო ამ ადამიანის გულიდან ამონასროლი სიტყვები. თითქოს წელდაუსრულებელი და ტუჩებზე რძეშეუშრობელი ბავში ელაპარაკებოდეს მას, ისე ეპყრობა იგი ლუკას.

ერთხელ, როცა საშინელი სიცხეები ჩამოდგა და სიმინდს გახმობა ელოდა, მთელი გლეხობა გაეფინა ყანებში, ამოძრავდა ნიჩბები, ბარები, თოხები, ლაგმები ჩადგეს არხებში, ლაგმებში ფიცრები ჩააწყვეს, წყალი დაგუბდა და დაგუბებულ მდინარეს მიმართულება შეუცვალეს.

ანტონამაც შეაბა ხარები ურემში, დააყარა ზედ სალაგმე ფიცრები და შეიჭრა ყანაში. მივიდა თუ არა ყანაში, გაუთხარა ნაპირები მდინარეს და ვეებერთელა ცემენტის ლაგმებში ჩაწყობილი დიდრონი ფიცრებით დაუკეტა წყალს სასულე. წყალმა ნარვალი გაიკეთა მის ყანაში, ნახევარ საათში დაიარა მთელი შემოკავებული ყანა.

როცა წყალმა შუშხუნით მიაწია ბოლომდე, ანტონამ წყალს არ მისცა გადასასვლელი გზა, წყალი დაგუბდა ყანაში და დამუხლებულ სიმიდებს თითქმის ტაროების ამოსაღებ წვერებამდეც კი მიუწია.

ამ დროს იქვე თხრილებში ლუკას უფროსი ბიჭი ხუტუნია აბალახებდა ხარებს. ხარები მადიანად გლეჯდენ წყლიან ბალახს.

ანტონას ყანაში ტბასავით დაყენებული წყალი მოაწვა ფხრილს, რომელშიც ხუტუნიას ხარები იყო ჩამდგარი. შემთხვევით, დამშეული ხარი ფეხებით შედგა თხრილზე, პირი შეუპოტინა თხმელის ფშიარებს. გაჟღენთილმა მიწამ ველარ გაუძლო წყალს, რომელიც ანტონას ყანიდან ღელესავით გადმოეშვა თხრილში.

ანტონას გაუმაძღარი გული აფეთქდა. ის სწვდა ხუტუნიას ყელში, დაუწყო გინება—წყალი რატომ მომპარეო, ხუტუნიას ხარები ამოაყვანია თხრილიდან და შეშინებული ბიჭი წინ გაიგდო, თან ხელში დაიკავა თხმელის ნეშო, რომელიც ხარს პირით მოეგლიჯა. გზაზე ყველას უჩვენებდა ამ პატარა ნეშოს და ყველას ეუბნებოდა: ასე მაქცევს, ასე მლუპავს და ასე მიმტვრევს თხმელებსაო.

ვინც კი იცნობდა მას, ყურადღებას არავინ აქცევდა, ხოლო ვინც არ იცნობდა მის ხასიათს, წამით შეჩერდებოდა, მოუსმენდა, მაგრამ მერე ხელს ჩაიქნევდა და გულში სულელ და გაფუჭებულ ადამიანად სთვლიდა.

აქედან მოყოლებული, ანტონა ლუკას ოჯახს ჭაჭყანა ძაღლივით ულრენს. ამიტომ არის, რომ ლუკას ასე გაცოფებული უყურებს და სურს რომ შეუბოროკოს ხელ-ფეხი კომუნის მოქმედებას. გული უკვდება, როცა ხედავს კომუნარები ასწრებენ ყანების დათესვას.

— სულ რომ იხტუნოთ და ძაღლებივით იყეფოთ, შენი არ შეგვეშინდება. შე ცხვირჩაპარტყნილო ქოსა! რას შემოგვჩენიხარ, გიკვდება გული, არა? ჯერ სადა ხარ! აწი უნდა უყურო, რა დღეში ჩაგაგდოთ. წელს თუ არა, გაისად მაინც ერთ ფარგალში გვექნება მიწები და აბა გამოდი და დაგვიმაგრდი მაშინ, თუ კაი ბიჭი ხარ!—ეუბნებოდა ხმამაღლა ლუკა მას და გულში ფიქრობდა: „დავსვამ უჯრედში საკითხს, დადგენილებას გამოვიტან და მერე დამიმაგრდეს წინ“.

და ისე მსუბუქად ისევ თავისუფლად გრძნობდა თავს, თითქოს ვისმეს გამოეცალოს მისთვის სიმძიმე.

ტყვიასავით წვრილი და მოგრძო თვალები, ორად გაპობილი ცხვირით დამშვენებული, ანტონას სახეზე იფერფლებოდა კომუნარების მიერ ადენილი მტვრისაგან. წამწამებზე ფიფქებივით ჩამოთოვლილი მტვერი სასაკლაოს ძაღლივით დასისხლიანებულ თვალებს ცრემლებით ალბობდა.

— ნეტავი შენ, თავს რომ იწუხებ მაგისთვის! არ იცი, რაც შვილი ბრძანდება? ანტონიას ქვეყანა იცნობს, როგორც უმეზობლოს და გაუტანელს. მაგისას კაცი არ ჩადის სამუსაიფოდ. ვერც ნახავ ვერასოდეს, რომ მაგის სტოლზე ვინმემ ჭიქა ჭიქაზე მიაჭახუნოს და სადღეგრძელო სთქვას. გამოწყვეტილია ხალხში მაგ ცოდვის შვილი, მაშქა ღორივით ღლოფინობს ყოველთვის, საშინელი ხარბია, მაგის თვალს ვერ გააძღებს, მთელი ქვეყანა რომ დაუმტკიცო საკუთრად! ისეთი მყრალი და ბინძური კაცია, რომ რიონი და ცხენისწყალი ვერ გარეცხავს,— მონდომებით და გულწრფელობით ეუბნებოდა ბონდო იქვე ახლოს მდგომ ლუკას. მთელი სისრულით მოხაზა ბონდომ ანტონას კაიკაცობა, რომელზედაც სულ რომ ალაპარაკო ბონდო, მასალა და სიტყვა არ ექნება საძებარი.

ანტონა მარტო არ არის, მას ზურგს უმაგრებენ მასავით დაუნდობელი გველის წიწილები. ისინი ახლა ქურდულათ ისვრიან მტრულ მზერას ლუკას

ამხანაგებისადმი, მაგრამ მათ თვალთაგან გადმოსროლილი არცერთი ნაპერწკალი არ სწვავს კომუნარების გამჭრიახ გონებას და შორსმჭვრეტელ თვალებს. ისინი დადინჯებული მოძრაობით და აუღელვებელი სულისთქმით მუშაობენ, რომ მოათაონ თესვის უკანასკნელი დღე.

ლუკაც გახარებულია, რომ მისი დარგი არ ჩამორჩება მუშაობაში სხვა დარგებს და რომ ამით კომუნის მუხლებში აყენებს სივაჟკაცის დღეებს, ისე, როგორც კვალში ჩათესილი სიმინდი, ფხვიერ მიწაში გამოხვეული, თავისუფლად შლის ფესვებს.

ასე იშლება მის გულში სიხარული და დაფანტული სიხალისის ნაპერწკლები.

ლუკამ დაამთავრა კომუნის ყანების დათესვა. დარებიც კარგი დაესწრო, და მას გული იმედიანად აქვს ახლა, რომ ერთი კვირის შემდეგ მიწიდან სიმინდი ამოიჭრება ნემსის წვერებივით და მართლაც ნემსებივით დაესობა კომუნის მტრებს გულზე.

* * *

ბონდო ბუგულია ოცდამეხუთე წელში იყო ახლად ფეხშედგმული, რომ მის მუხლებში შემოიჭრა კომუნის დღეები.

მასთან მუშაობას და ყოფნას ყველა ერიდებოდა, რადგან მასში ხედავდენ რაღაც გამოუცნობ ადამიანს, რომელსაც შეუძლია მთელი დღეობით ოფლში გაიწუროს და ღამით კი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ნაბადივით მოიხუროს.

მისთვის დღე და ღამე სულ ერთი იყო, ის არ ერიდებოდა სიცივეს, სიბნელეს, რადგან ის ბნელეთის მოციქულებმა პატარაობიდანვე აიძულეს შეზრდოდა სიმკაცრეს ცხოვრებისას და მრისხახებას ყინვიანი ღამეებისას.

დაწყნარებული გარემო ბინდით დანისლულ წყვდიადში სარკესავით გამოაკრთობს ხოლმე ბონდოს ნახშირისფერ სახეს და აწეწილ თმებს. იგი ამ სიწყნარეში მოალაჯებს და ესმის საკუთარი სულისთქმა და ტკბილი ხმები. და ბონდო მაშინ ამჩნევს, რომ ის სასიამოვნო და გრძნობების დამაყუჩებელი ხმები, რომელიც მას ესმის მისი პირიდან ამოდის.

მაშინ ტუჩებთან მიიტანს ხელს და უფრო ტკბილად და უფრო ხმამაღლა ააკივლებს საკუთარ სხეულში აფორიაქებულ სევდას, რომ ამცნოს მთელ მოსახლეობას, თავისი ფიქრების გამძაფრებული რხევა.

ასეთი კრიალა ხმებით შემოდის სოფელში ბონდო, როცა დაგვიანებით მოაჭრიალებს რიყიდან ურემს. ყველას მოესმებოდა მისი ხმა ძილში, ყველა ტკბებოდა მით, ზოგი თავსაც-კი წამოსწევდა, გადაწევდა ფანჯარაზე ჩამოფარებულ ზეწარს და გაიხედავდა გარეთ, მაგრამ სიბნელეს ვერ სჭრიდა ნაბძინარევი თვალები, და ცნობისმოყვარე ადამიანი ისევ მიდებდა თავს ბალიშზე.

და ყველამ იცოდა, რომ ის ბონდო იქნებოდა.

აქამდე ანტონა კოპალიანი და რაფია ბარათელიაც კი შენატროდენ მის ხმას, მის მუდამ მხიარულ მოქცევას ტირილში თუ ქორწილში.

მაგრამ უცნაური რამ დატრიალდა ბონდოს ირგვლივ. თითქოს შეიცვალა ყველაფერი, თითქოს მისი აზრები რაღაც გულცივად დაებეს. იგი რატომღაც ვერ ახდენს ახლა გავლენას ანტონაზე, რაფიაზე და ამ მგლისფერი ორი ძაღლის

ამყოლ ძველ ნააზნაურალ ვასილ ბიაძეზე. ეს უეცარი ფერისცვალება ამ ხალხის სისხლსა და ხორცში შეიჭრა და უფრო გამომჟღავნდა მაშინ, როცა ბონდოს კომუნის ზვარისათვის ღამით მოჰქონდა ვენახის ნერგები. იგი მაშინ დარბილებული ხმით ღიღინებდა, და დაწყნარებულ არეში სასიამოვნოდ გაისმოდა მისი ხმები ლილისფერ ცის სიღრმეში.

— რა კარგად მღერის, მამა, ის კაცი,—ჟღურტულით უთხრა ანტონას უფროსმა შვილმა ბაბუთანამ, როცა მოესმა შარა გზიდან მოახლოებული ურმის ფრთხილი სვლა და შიგ შერეული ტკბილი ხმები.

ანტონა აიმრიზა, სახე დაემანჭა, ისეთი დაიღრიალა, რომ მეორე ოთახში მყოფი ცოლშვილი კინაღამ გააქცია სახლიდან.

— რა არის, მამაჩემო?—გაფითრებული სახით შეეკითხა მას ნახევრად ტანშიშველი ბაბუთანა (ეს სახელი მას მისმა ბაბუამ შეარქვა, სინამდვილეში მას კაკო ერქვა).

— იგი კომუნის ხმაა, შე მამა ძაღლო!

— მერე რა, თუ კარგად მღერის?

— სუ! არ თქვა, კარგიც რომ იყოს, უნდა აძაგო, ყურშიც არ გაიჭაჭანო მეტი არ იცი შე გომბიო?!

— რა ვიცი, ამდენხანს შენც მოგწონდა და...

ამ პატარა შეჯახებით გაიხსნა საიდუმლოება, თუ რატომ დაუწყო ბონდოს ასე საშინელი გამომეტყველებით ყურება ანტონას, ვასილის, და რაფიას ცოლშვილმა.

ამ დღიდან ბონდოსათვისაც გასაგები შეიქნა მათ მიერ ყოველი თითის განძრევა და წარბების შერხევაც კი.

ამიტომ ბონდო ჭარბად მოზღვავებულ ენერგიას უსაზღვროდ შლის. ახლა მას კომუნამ მევენახეობის ხელმძღვანელობა ჩააბარა. უფრო მეტი სიძლიერით აწვება ამავე სოფლის შეძლებული გლეხების გამოფიტულ თავებს მისი მოქმედება, რაღაც ახალის, ჯერ სოფლისათვის შეუცნობელი ცხოვრების მოწყობის ბრწყინვალე აზრი.

— ბიჭო, ლარივით გაარტყი ბოლომდე კვალი, თვარა დაგვცინებენ, არ ცოდნიათ მუშაობაო. ხომ იცი, ახლა მოჩერებული არიან კოჭებში, თუ რას გავაკეთებთ და რას წავახდენთ. თითებზე ითვლიან ჩვენს დღეებს. ალბათ მოელიან იმ დროს, როცა მათი აზრით, შესძლებენ ზურგზე შემოჯდომას. მარა ვინ მოასუნიებს?—ეუბნებოდა ბონდო ვენახის ნერგების ჩაყრის დროს ამავე კომუნის წევრს კიკილია აბზიანიძეს.

კიკილია ხელობით მჭედელია, მაგრამ ახლა ის ბონდომ გამოიყვანა სამუშაოდ, როგორც მკლავღონიერი კაცი. კიკილიას ხელები უსაქმურად არასოდეს ყოფილა, რომ მასზე დაემყარებიათ იმედი კომუნის მტრებს.

ამიტომ, როცა ლუკა ახლად გადაბრუნებულ მიწაში ჰყრიდა ვენახის ნერგს, წურბელასავით შავი გულის და მსახიობივით მოქნილი ენის პატრონი ვასილ ბიაძე აჩრდილივით გადმოადგა მათ გაალმასებულ მუშაობას თავზე, ააცანცარა თეთრი ულვაშები, თხის წვერებივით ქვევით ჩამოშვებული, მალალი და წვრილი ტანი, გრძელ ფეხებზე წამოსკუპებული, შიმშილისაგან გაძვალტყა-

ვებულ ცხენივით გაათოხარიკა, მერე მკერდებჩამტვრეულივით მიეყუდა ეკლის ხეს და ლუკას ესროლა უკმეხი და მისი პირიდან მრავალჯერ ამოსული მწარე სიტყვები.

— რომ ვინიცობაა არაფერი გამოგივიდესთ, მაშინ!

— რაო მოოთავე, რა გინდოდა გეთქვა!

— სად მიძვრები.

ამ მოურიდებელმა გინებამ კიკილიას ტანი ზვინივით უზარმაზარი, ჯარასავით დაატრიალა. ჩაქუჩისაგან დაძარღვული ხელები მან წელზე შემოიდო და ერთ ადგილზე უძრავად იდგა ცირკის მოჭიდავესავით. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, პირქუში სახე ცეცხლის ალივით მიანათა თვალებში, უცებ პირი დააღო და საზარელი ხმით დაიღრიალა ყველას გასაგონად:

— ვასილიკა, უუუ! შე პირიდან გაღლეტილო, შემოგელია საყლაპავი? მოდი აგერ, გაჭმევ შენი.....

კიკილიას ბავშებიც აჰყვენ ყვირილით:

— უუუ! უუუ! უუუ!

და შეიქნა ისეთი ღრიალი, რომ გეგონებოდათ სასაკლაოში ხარები ბღავიანო.

— ვასილიკა, რავა შემოგხვევია შარვალი უკან, ბიჭო, ძაღლები ხომ არ გეცენ? მარა ძაღლებს რა უნდოდა შენთან, როცა შენ თვითონ არა გაქვს საჭმელი, დაწანწალობ ქუჩებში და თუ ვინმე წამოგიგდებს რაიმეს, ძაღლივით დაუწყებ ღრღნას. შენ გგონია, ერთხელ თუ ამოავსე მაგ გაუმაძღარი მუცელი, აწი არაფერი დაგჭირდება?—კიდევ დაუმატა კიკილია აბზიანიძემ და მიწაში ჩადებულ ნერგს უშველებელი ფეხებით ძირი მოუტენა.

ლუკა კი, თითქოს ვერ ამჩნევდა ვასილის მოსვლას, განაგრძობდა გამართულ კვლებში ნერგის ჩაყრას, მაგრამ მერე იძულებული გახდა შემობრუნებულიყო ვასილის დაძახებაზე:

— იი! შე გლახის შვილო, გიკვირს, ცოცხალი რომ ხარ? ახლა თქვენ მიწებს რომ ეძახით და აი კიდევ, რასაც ასე მისწვდება თვალი, სულ ჩემი არ იყო?

— ახლა?

— ახლა აი ამ მუცელს ხომ ხედავ, აქ ჩავიდა ყველაფერი, აბა რა გგონია შენ, მე თუ მოვკვდები, მერე თუნდაც ქვეყანა დაქცეულა და შენც მომყოლიხარ უკან.

— მე არა და შენ კი ჩაძაღლდები მალე, შე დანაფსულო! თვალები არ გამისწორო, გაიწიე იქით, თფუ შენი თვალი ქვას!

კომუნის ბავშვებმა, მავთულებს რომ მართავდენ, ერთად დაიყვირეს:

— თფუ, შენი თვალი ქვას!

— თფუ, შენი თვალი ქვას, ვასილიკა!

ბიაძე ტყვიანაკრავივით შებრუნდა, ერთი კიდევ მოავლო თვალი სავენახედ დამუშავებულ მიწას, ბურდღუნ-ბურდღუნით აყარა ტლინკები და თოხარიკი ცხენივით აჩიქჩიქდა.

ვასილს განსაკუთრებით ეჯავრებოდა აბზაიანიძის დანახვა. ალბათ მთელს თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება მას და კომუნის წევრებს ის ხმაური, რაც კიკილიამ მოუწყო ორი დღის წინ.

რაღაც მოუცილებელ ჭირივით აეკვიატა კიკილიას ის აზრი, რომ ხვალ სათევზაოდ წასულიყო ცხენისწყალზე. მარტო კი მას არ ᲘᲣᲠᲓᲐ წასვლა. ამ სურვილის შესაᲐᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ამიტომ დაითანხმა კომუნარები, თან არაკომუნარებიც შემოიერთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა.

ურმებით, ფიცრებით, თოხებით და ბარებით დატვირთული გავიდენ სოფლიდან მდინარისაკენ. ᲯᲔᲠ ერთი კილომეტრითაც კი არ იყვენ დაცილებული სოფლიდან, რომ ამ ახლად გათენებულში, ჭალებში კაცის ხმაც რომ არ ჭაჭანებდა, საიდანღაც გამოჩნდა ვასილი, რიყიდან პირდაპირ სახლში მომავალი.

მის დანახვაზე ყველა ერთად აყვირდა:

— აუუ, დაღუპულა დღეს ჩვენი საქმე!

— აჰ!!! აჰ!!! არაფერი გამოვა!

— ტყვილია, ამხანაგებო, არაფერი გამოვა დღეს, დავბრუნდეთ, ამბობდენ ისინი.

ლუკა ჩუმად იყო, მაგრამ მერე მანაც ამოიღო ხმა:

— კაცო, რას ცრუმორწმუნეობთ, მაგის თვალები რას გვიზამს!

— იმას, რომ მაგი გუშინ შემხვდა გზაში და ფეხი ისე წავამტვრიე ქვაზე, რომ ცერი კინაღამ წავიგლიჯე, გული შემიწუხდა, ქალებმა ძლივს მომაბრუნეს.

— მართალია, მე ამასწინად სოფლის შემოსავალში შემხვდა, ტყიდან წნელი მომქონდა; მისი შემოხედვა და ხარების დაფეთება ერთი შეიქნა. ურემი გადამიბრუნდა თხრილში და ახლად გათლილი ხელეები შაბიმივით მივამტვრიე.

ამ ლაპარაკში და ხმაურში რომ არიან, კიკილია აბზიანიძე რაღაც მოუფიქრებლად გაექანა წინ. კიკილია მირბის და თან შარვლის სათავეში იკიდებს ხელებს. გლეხები გაკვირვებული დარჩენ. მათი ჩაკრულ—ჩამოკრული სიტყვები გაცივდა. ესეც არის უნდა ეცეს კიკილია ვასილს სახეში, რომ უცებ მის წინ სწრაფად შემობრუნდა, და საᲯᲓᲝᲛᲘ მიუშვირა.

გლეხებში ატყდა ხარხარი და შეუჩერებელი სიცილისაგან გაისმოდა სულმოუთქმელი ხველა და ხორხოტი. მათ ხელები მუცელზე მოიკიდეს და სიცილით ჭიპზე სკდებოდენ.

— აწი ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, მაგის თვალი აწი ვერ გასჭრის!—დაიყვირა კიკილიამ და მუხლებამდე ჩამოგდებული შარვალი ხელში მოთოკა.

ამის გამო ვასილი საშინლად გაბრაზდა, მაგრამ რას გახდებოდა, ამიტომ თავჩაღუნული წავიდა სოფლისაკენ, გულში კი აბზიანიძისადმი მტრობის გრძნობებმა ფესვები გაიდგა.

და ეს დღე ვასილის ხსოვნაში დაუვიწყარია ახლა თვალნათლად წარმოუდგა ვასილს ეს ამბავი, როცა ის თავზე გადმოსცქეროდა კიკილიას მუშაობას სავენახე მიწის გადმობრუნების დროს.

კომუნის საერთო საცხოვრებლიდან სავენახე ადგილები ნახევარი კილომეტრით თუ იქნებოდა დაშორებული. ტრიალი მინდორი, რომელიც ღორების

და ბატების საბალახოს წარმოადგენდა მთელი ათეული წლების განმავლობაში, ახლა ლუკას ხელმძღვანელობით და კიკილიას რკინის ღერძებივით გრძელი ხელების შემწეობით დაყოფილია ოთხ ნაწილად: ერთი მხარე არშინის სიღრმეზე და სიგრძეზე ბრუნდება. ბარი არ სჭრის მიწას და კირკებით თხრიან ქვიან ნიადაგს.

მეორე ნაწილი კი გადმობრუნებულია და ცხენის დამწვარ ნაკელს აყრიან ურმებიდან. მესამე ნაკვეთი დამუშავებულია, და ჯანიანი ფეხები, ბარებზე დაბჯენილი, იღებს ვენახის ნერგის ჩასაფლობს. მეოთხე კი გაკეთებული მოჩანს, რიგში ჩაყრილი ნერგი ამშვენებს დამუშავებულ მიწას.

ისმის გლეხების ხიმღერა, ქალების კისკისი და ბავშვების უდარდელი ჟრიამული.

— საწნახლები აქედანვე უნდა მოვამზადოთ!—უთხრა კიკილიამ ბონდოს. მან წარმოიდგინა, თითქოს ყურძნის მწიფე მტევნებით ამოვსებულ საწნახელში იდგა მისი ფართე ფეხი და თითქოს სწურავდა ტკბილ ყურძენს. ნერწყვი მოუვიდა, მაგრამ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ჯერ ეს ნატვრა მხოლოდ ოცნებაა, თუმცა განსახორციელებელი,—აიღო დოქი ხელში და ჭის წყალი ვიწროყელიან, დოქით კინკილით გადაუშვა ყელში. ტკბილი მაჭრის შესმის მოწოლილი ნდომა მადიანად დაიკმაყოფილა ამ ცივი წყლით. თითქო აღელვებული ზღვა დამცხრალიყოს, ისე ჩაქრა მასში ეს წინგასწრებული სინამდვილე და სულიერი ლტოლვა რაღაც ახალი ხილვის.

დინჯმა ფიქრებმა გრძნობების დაქანცული განცდანი გონებაზე დალექვით დააწყნარა, მაგრამ მის სახეზე მაინც გარბის ლურჯი და ხან კი მოლილისფერო სახეები აფოთლილი ზვარის სინედლით და მწიფე ყურძნის მტევნებით დამძიმებული.

და მასში იკიდებს ფეხს სექტემბრის ნელთბილი დღეები, ყოველგვარი ნაყოფით დაყურსული; თაფლის სიტკბოება და საქონლის სიმსუქნე ერთნაირად აფართოებს კიკილიას განიერ სტომაქს, ამიტომ ის უფრო ხალისიანად და ცოცხლად გამოიყურება.

— ბიჭო, რაღაც ისე აგიტკბარუნდა პირი და ისე ააკრაჭუნე კბილები, რომ, მგონი, მოგინდა მუცლის ჭიის გამახარებლის ჩასხმა. სამი წელი და მერე ჩვენს კომუნას ღვინო არ დაელევა ისე, როგორც ბარდღას ატატოს არ გამოულევია ჩვენს საგინებლად სიტყვები. მაგ ენაწაგდებული დედაკაცი ჩვენი გინებას და ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს. მადლობა გვითხრას მაგ შარახვეტია დედაკაცმა, რომ არ მივაყოლეთ ბარდღას უკან; გუშინწინ დახვედრია ჩვენს ქალებს გზაში და თუ სადმე ბინძური სიტყვა არსებობს ქვეყენაზე, ყველასათვის მოუხსნია თავი.

— შენ გგონია მარტო ატატო იქცევა ასე? არ მოგიკვდეს ჩემი თავი! მას სხვებიც ეხმარებიან. რაფიეს და ვასილიკეს ცოლშვილს მეტი რა საქმე აქვთ. დაჯდებიან სახლის ლაფარეში და ვინც გაივლის და გამოივლის, ყველას დასცინიან, ყველას რაღაც კილს გამოუძებნიან, რაღაც ზედმეტ სახელს შეარქმევენ. შენს თვალწინ ყველას ლანძღავენ. შენ რომ წამოხვალ მათგან, მაშინ შენზე დაიწყებენ ლაპარაკს. ასეთი უსაქმური ხალხია მაგ ადამიანები! რას იზამ, ენაზე ბოქ-

ლომს ხომ ვერ დაადებ? მოგეცეს ლხენა, დღე მაგათ დავაყენო, მაგრამ ხელში რომ ვერ ჩავიგდე? ისე გავუხდი ცხვირპირს, რომ ვერ მიცნონ. ლომის ბორბალივით მოვღუნავ წელში, თვალებს კატასავით ამოვთხრი, — თითქოს მართლაც მკლავებში ჰყავდეს გამომწყვდეული კიკილიას ისინიო, ისე ღუნავს მკლავებს სახსრებში და მკერდს იღეღავს ამ სურვილის გადმოშლის დროს.

იგი ამ დროს ფართედ გადაჭიმულ სავენახე მიწებზეა დაბჯენილი და დამშეული ადამიანის თვალი დაჰყურებს მათ.

სავენახედ შემოლობილ მიწების მარჯვნით სიმინდის, პურის, ლობიოს და სოიას ყანებია. ლამაზად ამოსულან მიწიდან და მწვანედ ბიბინებენ, მცხუნვარე მზით აქათქათებულები ამშვენებენ გაზაფხულის მრავალფეროვან მინდორ-ველებს.

იქვე ახლოს ისმის კომუნის ქალების ლაპარაკი. შრომის რიტმით გახელებული სახეები ოქროსფრად ბრწყინავენ. შიგ მოჩანს ტერეზია. ის მხიარულად გამოიყურება. ტერეზია დიდად დაინტერესებულია კომუნის მებოსტნეობის განვითარებით, რომ ამით შექმნას კომუნის მაგარი ხერხემალი, მიწის ნოყიერი წვენით დამბალი.

* * *

ტყის ნადირივით გაურბის ტერეზია იმ წუთების მოგონებას, როდესაც ტანჯვა, დამცირება, ფეხქვეშ გათელვა და გესლით სავსე ბოღმა ბევრჯელ ჩანთხეულა მის სხეულში მოვარდნილ ნიაღვარივით. ის მაშინ წელგატეხილი ეგდო, თვალებზე ცრემლი არ აშრებოდა, ხელებს კი საქმე არ ელეოდა. და რამდენადაც აწვება ფიქრი მას წარსული დღეების შესახებ, იმდენად ტერეზია ვეფხის კლანჭებიდან თავდახწეულივით ეშვება ახალი ცხოვრების მირაჟმოხვეული ფიქრების ტბაში. იგი ეუფლება ამ ახალს, ჯერ მისთვის შეუცნობელს, და ხედავს, თუ როგორი სისწრაფით იცვლება ყველაფერი მის ირგვლივ, ხედავს, თუ თვითეულ მის ხელის მოქნევას კომუნის ბოსტანში და მისი წარბების თვითეულ შერხევას ცხოვრების ტატნობზე რაოდენი სიხარული და აღტაცება ახლავს თან.

თითქოს ტანი აუმჩატდა ტერეზიას. მის ირგვლივ ჰაერი შეთხელდა, და ამ ახალმა ნიავმა აიტანა ის მაღლა, ცის სილურჯეში, სადაც კიკილია აბზიანიძის კრიალა და დამატკბობელი ხმები უერთდება ბამბასავით აწეწილ ღრუბლებს. იგი ეშვება ამ სიმსუბუქეში ოდნავ გაცრეცილი და პირქუში სახით და გრძნობს, რომ ეს აღტაცება, ეს სიხარული და სხეულის ყოველ უჯრედში ჩამდგარი რაღაც უცნაური ძალა, სიხალისის და სიცოცხლის გამაღვივებელ ექსტაზში აღგზნებული, მან იგრძნო იმ დღიდან, როცა ბარდღა ბარათელია უკანასკნელად მიებჯინა მის სხეულს და წურბელასავით ამოწოვა ცხელი სისხლი.

ტერეზიას არ უნდა მოიგონოს ეს სიცოცხლის მომწამვლელი წუთები, მაგრამ მუცელზე ყოველ ხელის შემოდების დროს რატომღაც აგონდება ეს ამბავი მისდაუნებურად, მაშინ ფიქრობს დავიწყებას მისცეს საშინელი ფიქრები და აზრი, რომელიც მას ადევნებია ქურდი კაცივით და არ სცილდება, სანამ არ შეუჭვრეტს შინაგანი ყოფის სამყაროში, სადაც ეს მოუშორებელი აზრი გულში ულიტინებს, სულს უხუთავს და გრძნობებს ატყვევებს...

და რამდენადაც ეწაფება მის სხეულს ასეთი ფიქრები, ამდენად ის მეტის მონდომებით და მეტის სიძლიერით აფრქვევს საკუთარი ძალღონიდან გადმოშლილ სიუხვეს კომუნის საბოსტნე ადგილებში.

ტერეზია ბოსტანშია ჩამდგარი. თვითონაც მუშაობს და კომუნის ქალებსაც ამუშავებს. კომუნის საბოსტნე ადგილები საერთო საცხოვრებლიდან რამდენიმე მეტრით არის დიცილებული. გულია ბოსტანს, სადაც ტერეზიას ირგვლივ კომუნის ქალები იწურებიან ოფლში,—ამშვენებს დახნული მიწები და შიგ ჩათესილი ხახვი, კარტოფილი, ჭარხალი, ლობიო და სხვადასხვა ბოსტნეული. საბოსტნედ დამუშავებული მიწა კვალებად არის დაყოფილი, რომ არ შეერიოს ერთი სახის ბოსტნეული მეორეს.

კომუნის ბოსტანში პატარა არხებია გამოყვანილი. ზაფხულში, როცა საშინელი სიცხე ჩამოწვება, წყალი მდინარიდან შემოიჭრება, კომუნის ბოსტნეულს ფესვებს გაუსველებს, და მის ფოთლებს შეემატება სილურჯე, ღეროებში ჩაგუბდება წყალი.

ტერეზიას სხეულს კი დროგამოშვებით ეუფლება რაღაც გამოუცნობი მწუხარება, მაგრამ როცა მისი თვალები ჩაიძირება ირგვლივ საბოსტნედ დამუშავებულ ადგილებში, მაშინ მას ეუფლება სიხალისე, სიცოცხლის გამამხნევებელ აზრებში გამოხვეული, და თვალების ღრმა უპეები ცრემლებით ევსება. გრძელი წარბები მაღლიდან ეფინება თვალებს, წამწამებზე კი კომუნის გამარჯვებული დღეები, შრომის ბარაქიანობით აღვსილი, მწიფე ყურძნის მტევნებივით დაეკიდება მას.

— ტერეზია!

— აქა ვარ.

— ცუციკოს უთხარი, მე რომ მდოგვისა და ჭარხალის თესლი გამოგატანე, კარგ ადგილას ჩათესე, თვარა მოგკლავთქვა!—უთხრა ტერეზიას ბარბალემ, რომელიც სულ ახლა მოსულიყო საერთო საცხოვრებლიდან.

ბარბალეს თვალებს იტაცებდა ლამაზად და სუფთად დამუშავებული მიწები. ყოველ მის სიტყვას თან ახლდა სითბო და სიყვარული კომუნის თვითეული საგნისა, განსაკუთრებით კი მას იზიდავდა საოჯახო საქმიანობა, ბოსტანი და ვენახში მუშაობა.

— ხომ იცით, როგორ მიყვარს ბოსტანში მუშაობა? პირდაპირ მსიამოვნობს, როცა ვუყურებ მიწიდან ამოწვერილ, ჭარხალს, კომბოსტოს და სხვა მწვანილეულს, ახლა კი ჩემი ხელები უმოძრაოდ არიან. ვემორჩილები ბავშვების განებივრებულ სურვილებს, და ბურთივით მათამაშებენ. სწორედ არ შემიძლია ასე ყოფნა, რავარც კი იქნება საერთო კრება მოწვეული, მაშინვე დავსვამ ამ საკითხს გასარჩევად. მართლა, ახლა უნდა წავიდე სახლში, თვარა ბავშები სახლს გადმოაბრუნებდენ. ტერეზია, შაშკლავი და ომბალო ბევრი ჩათესე მიწაში, ნუ დეიზარებ, შენ გაზრდას, აბა შენ იცი!—და ბარბალემ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას. გაუმაძღრად დაიტვირთა სიხარულის დაუშრეტელი წყაროთი და გაექანა საერთო საცხოვრებლისაკენ, სადაც მის მოხუცებულ სახეს და ტკბილ ენას მოუთმენლად მოელოდენ კომუნის ბავშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცუციკო, დათოხნილ მიწას ცხენის დამწვარი ნაკელი მოაყარე??—უთხრა ტერეზიამ ბონდო ბუგულიას ცოლს.

ცუცამ ოდნავ გულმოსული ხმით გულუბრყვილოდ უთხრა მას:

— რავა ბგონია შენ? დავაყრიდი, აბა რას ვიზამდი? ეს კი არა, ის უნდა იკითხო, ვინ შეჭამს ამდენ მწვანილს, რომ ვსთესავთ უზომოდ??

ცუცამ ამ სიტყვის თქმის შემდეგ ერთი წუთით ფიქრები წარსულში გადარეკა. მაშინ კი, როცა ამ ფიქრებით იყო მისი თავი დამძიმებული, ისე პატარა ნაკვეთ მიწაზე ცხოვრობდა ცუცა, რომ, თუ ფრთხილად და თავდაჭერილად არ იქნებოდა, თხილის წნელით დალობილ ქოხიდან გარეთ გამოსვლისას ცხვირპირს მიამტვრევდა ბარდღა ბარათელიას საზღვარში ჩაყოლებულ ეკლის მესერს. თუ ვინმე მაღალი კაცი შემოვიდოდა მის ქოხში, წელში უნდა მოღუნილიყო მშვილდივით, თორემ ქოხში არ გაიმართებოდა მისი ტანი. მეზობელს ხასიათი თუ მისცემდა და წისქვილიდან დაფქვილს ჩამოუტანდა, მაშინ იგი ურემს შარაზე დააყენებდა, ბონდო მოიკიდებდა ზურგზე ფქვილიან ტომარას და კრუსუნით შემოიტანდა სახლში, რადგან ურემი რომ შემოეყვანა ეზოში ურმის მისაბრუნებლად ხარები უნდა გამოეშვათ უღლიდან.

ცუცას ბოსტანი განისაზღვრებოდა ათი ძირი კომბოსტოთი, რამდენიმე ძირი პირპილით და ნიახურით. თუ კი მიწაში შემთხვევით ჩავარდნილი კვახის მარცვალი ამოვიდოდა, მის ღეროს სახლზე მიყუდებულ ჭოკს ააყოლებდენ, რომ მეზობლის ეზოში არ ამოეყო თავი.

და ყოველ შემოდგომაზე ბონდოს ბურულიან სახლის სახურავზე ჩანდა რგვალი და ტანთეთრი, ოდნავ მონაცრისფერო კვახები, ნეშოებით შეფოთლილი.

ყველაფერი ეს წარმოიდგინა ცუცამ. თითქოს ძარღვები გადაიჭრაო, თითებზე იკბინა მაგრად, მას ამ დროს უნდოდა ტერეზიას მისამართით თქმული სიტყვები ისევ მუცელში ჩაებრუნებია, მაგრამ ეს გულუბრყვილოდ წამონასროლი ფრაზები უკვე გადმოლაგებული იყო პირიდან და უკვე იყო.

სწორკუთხოვანად დაყოფილი საბოსტნე მიწები ტერეზიას ხელმძღვანელობით მუშავდება. დათოხნილი ადგილები იფოცხება სახახვესავით, იშლება ტრაქტორით გადმობრუნებულ ყამირ მიწასავით და იგი კომუნის საერთო შრომაში მეტად დიდმნიშვნელოვან ადგილს იჭერს. მწვანილეულის ყოველ ნაწილში დამზადებული რკინანარევი სინოყივრე კომუნარების ხერხემალს ამაგრებს, რომ ამ ხალხის კუნთებმა არ იგრძნონ დაღლა შრომაში და არ მოაკლდეს მათ ბარაქა. ამ კოლექტიური მუშაობის დროს ტერეზიას სხეულში შეპარული ნაღველი ხან გაყუჩდება და ხან ამოქაფდება.

* * *

კომუნარები მაგიდებს შემოუსხდენ სასადილოში. მათში არ ჩანს ტერეზია მრავალი ფიქრით თავჩაქინდრული. ამას კარგად ამჩნევს ლუკა, მადიანად რომ ილუკმება პურს. იგი იცქირება სასადილოში, მერე სამზარეულოში იჭვრიტება, მაგრამ ტერეზია არსად ჩანს.

რამდენი დღეც აკლდება წელიწადის შორეულ მანძილზე გაწოლილ დღეებს ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავივით, იმდენი გულის წყრომა, [illegible] ტება გუბდება მასში საკუთარი თავისადმი. ვაშლივით მსუყე და [illegible] ლოყები ყვითლად იფერფლება, დნება და თითქოს სადღაც ქრება. მის პირისახეს სიმსუქნე შემოეცალა, ის ოთხმოცი წლის მოხუცივით ჩამოხმა, თვალები ამოუშავდა. უპეებმა ღრმა ნარვალი გაიკეთა ირგვლივ.

ტერეზიას არ უნდა შეერიოს კომუნარებში, არ უნდა, რომ მას შემოხედონ იჭვის თვალით, მერე ხედვა ქვევით ჩამოაყოლონ ტანს და დღითი დღე წამოზრდილ, წამობერილ მუცელზე შეაჩერონ თვალის მოძრაობა. ამიტომ გაურბის ტერეზია ხალხს, კომუნარებს, ამიტომ არის, რომ მარტოობისაკენ დაქანებული ვერ გრძნობს, თუ როგორ გამოეყო ის კომუნარებს და როგორ ველურივით დადის შორი-შორს, თითქოს საერთო ყოფიდან ამოვარდნილიყოს აგურივით და სადღაც ქუჩაში დავარდნილიყოს სთველის დროს სიმინდის ტაროსავით, რომელსაც შარა გზაზე მოხეტიალე ღორები სჯიჯგნიან, სჭამენ. ასე ეჩვენება მას ბოროტი ზრახვებით პირსავსე ხალხი, უფრო კი ბარდღა, რაფია და სხვა მისთანები, რომელნიც თითქოს იმ ღორებივით სჯიჯგნიდენ მის სხეულს, მიწაზე დაგდებულს.

რამდენი დღეც მიდის ამ ყოფაში, იმდენი უცხო, ორაზროვანი და მისთვის შეუთავსებელი აზრები ეხვევა მას, რაღაცას სურს ჩაუწვილოს ყურში, მოიტაცოს წიწილივით და მერე კი გააკეთებინოს ის, რაც ამ მისთვის შეუცნობელ ფიქრებს სურს.

ამიტომ ტერეზია მთელს დღეებს ბოსტანში ატარებს, საერთო საცხოვრებელს არ ეკარება, რცხვენია კომუნის ყოველი საგნის შეხედვაც კი.

ამიტომ არის, რომ ტერეზია ახლაც ბოსტანში დადის მარტო. უცებ რაღაც მოაგონდა მას, ამ დროს მუცლის ტკივილი დაეწყო, თითქოს ვინმე იწვეს შიგ და ნამძინარევი თვალებით ლამობდეს ზევით წამოდგომას. ტერეზია იმზირება ირგვლივ და თუ ვინმე გამოჩნდება შორი ახლოს, ტკივილებს ყელშივე ახრჩობს, მუცელზე ხელებს იჭერს, მერე მუხლებში იკეცება და ქვითინს იწყებს გულმოკლულივით. თვალებიდან მდუღარესავით გადმოდის ცრემლები, ჩამოუდის ლოყაზე და უსველებს წინსაფარს.

და თუ დროგამოშვებით ტერეზიას შემოსცინებს ეს ღია ცა და ეს მწვანედ მოჩარდახებული მიდამოები, სამაგიეროდ ამ წუთიერ სიმშვიდეს თან აედევნება ბარდღა ბარათელიას გამგელებული პირისახე, დორბლითა და ცოფით ამოვსებული; იგი შემოანათებს ტერეზიას თვალებში დასაკლავ ხარივით და მერე მისი მსუნაგი სურვილები გველივით შემოეხვევა ტერეზიას მაღალ ტანს.

ტერეზია ამ დროს ირხევა, შფოთავა ემატება და გულმოწყვეტილივით ფართხალებს მისთვის მიუღებელ და შეუცნობელ ფიქრებში.

და იგი ოდნავი სიმშვიდით ისევ წამოდგება, მიმოიხედავს, თვალებს ერთ მყარ წერტილს მიაპყრობს, დიდხანს მიაჩერდება მას, მერე კი გიჟივით ჟინმორეული დააფრთხობს თავში აფოფრილ ფიქრებს.

— სანამდის ვიყოთ ასე, სანამდის უნდა მიყურებდენ შესაჭმელ ხარივით? არა, მე ხომ არავინ არაფერს არ მეუბნება? მაგრამ მე მაინც ასე მგონია, ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჩვენება, მაშასადამე, ასედაც იქნება, და როგორ გავუსწორო თვალები მათ? მაშ როგორ მოვიქცე??

თითქოს ზღვაზე დარწეული ჩასაძირი გემის ერდოზე იდგეს ტერეზია და დაღუპვის წუთებში მომწყვდეული ირხეოდეს სიცოცხლესა და სიკვდილს შუა ტლანქი ზღვის ტალღებს შორის,—ასე ირხევა ახლა ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ტერეზია და, გამოუვალი ფიქრების სიღრმეში შეჭრილი, უიმედოდ ასავსავებს მკლავებს, რომ რაიმეს შეახოს ხელები, დაიმაგროს თავი და იგრძნოს სიმშვიდე. უცებ რაღაც მოაგონდა, მაგრამ სანამ მასზე დაფიქრდებოდა, ასწონიდა და მერე იტყოდა რაიმეს, ენამ დაასწრო და წინანდელზე უფრო კივი ხმით და წინანდელზე უფრო გაბედულად დაიყვირა:

— დაგახრჩობ ჩემი ხელებით!—და შემოიჭირა მაგრად მუცელზე ხელები. ტკივილები, რომელიც გაყუჩებული იყო ღრმად ჩაძინებულ ბავშვივით, ახლა ერთბაშად დაიძრა ადგილიდან და საშინლად შემოაწვა ტერეზიას.

— არა, ამას არ ვიზამ, კომუნის მტრების გულს არ გავახარებ, მათ სალაყბოდ არ დავარდები, ჩემი ბრალი ხომ არ არის—პატრონი არავინ მყავდა, დამიმარტოხელა, დამიმორჩილა, შიშისაგან ვერაფერი მეთქვა, მრცხვენოდა ყველაფერ ამის გაცხადება, თუ ასე წამოვიდოდა საქმე და მუცელი ცხვირამდის წამომებერებოდა, ეს რომ მცოდნოდა, მაშინ რაღაცას მოვახერხებდი. დამნაშავე ვარ, რომ მაშინვე არ ავყვირდი, პირში დავიგუბე სათქმელი, ამას ახლა უფრო მწვავედ ვგრძნობ, მაგრამ გამოსავალი სად არის ახლა?

ბოძის წვერივით ჩაერჭო მის გულში ეს კითხვა. ამ წუთში ყველაფერი აირია მის ირგვლივ, თითქოს რაღაც უცნაური ძალა შემოიჭრა მის სხეულში, თავი ძირს დახარა, თვალები მკერდს ქვევით წამოწეულ მუცელს გააყოლა და მერე გონზე მოსულ ადამიანივით წამოიძახა:

— ბარბალეს გავუმხელ, გამოცდილი ქალია, დარიგებას მომცემს სწორ გზაზე დამაყენებს, თვალებს ამიხელს. ეგება მოვშორდე ამ ადგილს, რომ ვგდივარ და ვერ მომიფიქრებია აქედან წასვლა.

და ტერეზია, ამ ფიქრების სისველით ოდნავ წახალისებული, მიდის წინ საერთო საცხოვრებლისაკენ. მიდის და ეს ფართე და შავი თვალები იყურებიან შორს ცხოვრების ხვეულებში, ფიქრები ხან ფრთაშემოტეხილი ქორივით ეშვება მიწაზე და ხან კი ცაცხვის რტოებზე გადმომსხდარი ყორნებივით ჩამოსჩხავლებენ იქაურობას, მერე ქვევით ჩამოფრინდებიან, და ცაცხვის ხეივანი ჩრდილებ-ჩამოშვებული აიკეცება მათ ფრთებში.

* * *

საერთო საცხოვრებელში მხოლოდ ბავშები არიან, მათ ბარბალე უთვალთვალებს. კომუნარები კი მოფენილნი არიან სამუშაობებზე. ჯერ მათ კუნთებს არ შეპარვია მოსვენების წყურვილი, ტერეზიასაც ასეთ დროს უნდა ბარბალესთან ლაპარაკი. ამიტომ ეზოში მოგროვილ ბავშებს გვერდი აუარა, პირდაპირ ბარბალესაკენ წავიდა.

ბარბალემ მოჰკრა თვალი ტერეზიას და იმ წუთშივე გამოვიდა სახლიდან, გამოექანა მისკენ.

ტერეზიამ თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა. ბარბალე მიუახლოვდა მას. ოდნავ გამოურკვეველი იქვი, რომელიც მასში ყოველთვის იფარავდა თავს ტერეზიას შესახებ, ახლა, მისი ასეთ მდგომარეობაში დანახვისთანავე, უფრო მეტად გაიზარდა, გაღრმავდა, და გაფითრებულ სახეზე ყოველი წერტილის მოძრაობა დაუკავშირა გულის სიღრმეში შემოპარულ, მაგრამ ჯერ დაუსაბუთებულ აზრს. ეს აზრი ბარბალეს მოხუცებულობაში შესულ მეხსიერებას ახალი ფიქრების დარაჯად დაუდგა, ახლა კი ეს შეურყეველი დარაჯიც გაფითრდა, დაიბნა და ბარბალეს ფიქრებში ღელესავით შემოუშვა, უფრო მეტი სიძლიერით, მისთვის დაუჯერებელ იქვთა კრებული.

და გაიმართა მის თავში სხვადასხვა აზრების, ფიქრების და მომქმედი საგნების ჯირითი. მერე მან ტერეზიას მიაპყრო თვალები მაცდურად და მის სახეზე რაღაც საშინელი მწუხარება და მღელვარება ამოიკითხა.

— რა მოგდის, ქალო, რასა ჰგავს შენი საქციელი? რომ გატყეურდი და არ გვეკარები, არ გრცხვენია? რას ფიქრობ, არ იტყვი? რაღაც ამ ბოლო დროს არ მომწონს შენი საქციელი, რაღაც გაწუხებს, რაღაც გაღელვებს და საკუთარ ტყავში იხრჩობი. შეიძლება რაიმე გიჭირს, რათ არ გვეუბნები, კომუნამ უფრო დიდი საკითხი გადასჭრა, ბათლომეს ჩვენი დადგენილებით მუხლი მოვჭერით, რომ მისთვის სიცოცხლე შეგვენარჩუნებია და რა მოხდა ისეთი შენს თავზე, რომ ვერ გიშველოს კომუნამ? სანამდის გინდა ასე იარო გარეულ ბატივით. არავის არ მიეკარო, კომუნარებს გაექცე? ხომ იცი, ეს ჩვენი საერთო ცხოვრების ღალატია, კომუნის წესების დარღვევაა. შეიძლება არ მოგწონს აქ ცხოვრება, კომუნარებთან ყოფნა, მუშაობა? შეიძლება ისევ ბარდღა ბარათელიასთან და ატატოსთან გირჩევნოდეს, აა??...—და ამ ბოლო სიტყვის თქმისთანვე ტერეზიამ ხარივით იყვირა.

— ააა! რას ამბობთ, ნუ გამაგონებთ მაგ სიტყვებს! ვაიმე, რა იფიქრე შენ! ეს რომ არ გეთქვა ჩემთვის, შეიძლება არც მეთქვა ყველაფერი, ახლა კი თუნდაც მუცელსაც ამოვირეცხავ, არაფერს დავტოვებ შიგ, არაფერს არ დაგიმალავ: დავიღუპე, ბარბალე, სამუდამოდ, მოვიჭერი თავი ხალხში. მითხარი, როგორ მოვიქცე. როგორ შემოვუარო თავი ამ მოვარდნილ მეწყერს, რომელიც სულს მიხუთავს და გულს მიკლავს?—გულის წყრომით და ნაღველამოქაფებულივით შესჩივლა ტერეზიამ მას.

ბარბალე თანდათან ერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში, მაგრამ კარგად ვერ გაეგო საქმის ვითარება, ამიტომ შიშნაკრავი ხმით მიმართა ტერეზიას.

— არ მესმის, ტერეზია, რას თხოულობ. გარკვეულად მითხარი, რა ამბავი დატრიალდა შენს თავზე, შეიძლება მართლაც შემიძლია დახმარება:

— ორსულად ვარ, ბარბალე! ამომახდინა სული, დამღუპა, დამიმორჩილა, ვერ ვიყვირე, ვერ გავაგონე ჩემი ამბავი ქვეყანას. ამაში დამნაშავე ვარ!—ტერეზია ლაპარაკის დროს ბარბალეს არ აშორებდა თვალებს, მაგრამ, როგორც კი შეატყო ბარბალეს გააფთრება და თვალების ამღვრევა, მერე კი ენას კბილი მაგრად დააჭირა და თვალებიდან გადმოღვრილ ცრემლებს გზა მისცა.

— უუიმე!.. უუიმე! რა ესმის ამ ჩემს დასავსებ ყურებს, რა მითხარი, შე უბედურო ტერეზია, რას ხედავს ამას ჩემი თვალები?? ამიტომ გაქვს ეს ოხერი

მუცელი წამობერილი? ხომ მოტეხე ძვალი კომუნარებს? სად გამოვყოთ თავი აწი? ყველა ჩვენზე დაიწყებს ლაპარაკს, ყველა მოჩერებულია კოტეში! ვაი რავა ჩავვარდებით ჩვენი მტრების ყბაში, რავა საქვეყნოდ დაგვაგდე, შე მიწაგასახეთქო! სანამ ამას მეტყოდი, ვერ მოიკალი თავი? რას ¦მეუბნებოდი ამას?

ბარბალე ისე აიმღვრა, ისე შეშფოთდა, გეგონებოდა კომუნის საერთო ყოფაში ყუმბარა ჩამოუგდია ვილაცას და ყველაფერი გადაუბრუნებიაო.

ტერეზია კი არ მოელოდა ბარბალესაგან ასეთ რისხვას და გაკიცხვას, ამიტომ იმედდაკარგული ადამიანის ქცევა უფრო გააფართოვა, დაბნეულობამ მისი სხეული მოიტაცა, აცახცახდა, შმუშვნა დაიწყო და, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, მუცელზე შემოიკრა ხელები, თითქოს მისი სხეულის ნაწილი არ ყოფილიყო, ისე დაუწყო ცემა. მაშინ ბარბალე მიხვდა, რომ მისმა სიტყვებმა ცუდად იმოქმედა ტერეზიაზე, გადააჭარბა აღელვების დროს და ამიტომ ახლა საჭიროა დამშვიდება, გრძნობების დაყუჩება. ეს წუთიერი აღელვება. რომელიც გამოწვეული იყო კომუნის სახელის შელახვის გულის ტკივილით, ახლა თითქოს გაქრა. ცხოვრებაში გამოცდილი ქალის გონებამ წუთიერი აღელვება დაიმორჩილა, მან ერთი წამით ჩაიხედა წარსულში და ყვავილებივით ამოკრიფა ცხოვრების ფსკერიდან სიმშვიდე, დაკვირვება, სულგრძელობა, და სინანულის გრძნობით შეპყრობილმა ხელი დასტაცა ტერეზიას. აღელვება, შფოთვა, გაკვირვება და განრისხებული სახე ნელ-ნელა შეიცვალა, გარდაიქმნა და, მიანათა ტერეზიას თვალებში, გაუცინა, რომ მოვარდნილი უბედურება არ დაქანებულიყო უფსკრულისაკენ, რაიც ამ წუთებში მოსალოდნელი იყო.

— დამშვიდდი, არაფერია, მით უმეტეს, კომუნაში შემოსვლამდის მოხდა ყველაფერი. დაგეხმარები, რაღაცას გავაწყობთ, არც ასე შეიძლება, შენ რომ იქცევი. უნდა გაერიო ხალხში, უნდა იცოდეს კომუნამ რა გიჭირს და რა გილხინს, აბა სხვანაირად როგორ იქნება? შენ თუ რაიმე მოგვიდა, ეს მთელი კომუნის უბედურებაა. შენ მარტო არ ხარ, შენი პატრონი კომუნაა!—ეუბნებოდა ლმობიერად და ტკბილად ბარბალე.

ტერეზიამ კარგად იცის, რომ ახლა ის თავის თავს არ ეკუთვნის, კომუნის სისხლი და ხორცია, მაგრამ რაღაც უცნაურმა სურვილებმა, რომელიც მის ყოფაში გველის წიწილებივით შემოიჭრენ, ტერეზია საკუთარ რკალში ჩაკეტეს, თვალები ჩამოუბნელეს და წინ გახედვის საშუალება მოუსპეს. ამას არც თვითონ მოელოდა, მისდა უნებურად მოხდა, ყოველ შემთხვევაში ის ასე ფიქრობდა.

— ყველაფერი მესმის, ყველაფერი წარმოდგენილი მაქვს და ამიტომ უფრო ვიტანჯები. მითხარ, ბარბალე, მაინც როგორ მოვნახო გამოსავალი ამ მდგომარეობიდან?

— კომუნა გადაწყვეტს ამ საკითხს!

— როგორ, კრებაზე დასვამთ??

— აბა როგორ იქნება, ამას თავისებური დადგენილება სჭირდება!

— მანამდის თავს მოვიკლავ და კრებაზე არ გამოვალ ამ საკითხის გარჩევის დროს! ბარბალე, არ დამღუპო ქალი, ასე არ მოიქცე, როგორც შენ ამბობ ახლა ყველას შესახედავად ნუ დამწვავ, ნუ მომისპობ სიცოცხლეს. რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვანაირად მოაწყვე ეს საქმე. ნუ ჩამაგდებ შვაგულ ცეცხლში!—ეხვეწებოდა ტერეზია ბარბალეს.

ტერეზია ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ მისი საქმე ასეთ ხასიათს თუ მიიღებდა და მერე იგიც კომუნის საერთო კრებაზე იქნებოდა გამოტანილი, ეს არ ეგონა მას. თუ ოდესმე მის სიცოცხლეში რაიმე ამის მსგავსი მომხდარა და მის მეხსიერებას შემორჩენია მოსაგონებლად, ყველაფერი ეს მის წინაშე გადმოიშალა ღრუბელთა სიმუქეში. და იგი ნისლჩამოშლილ მთებივით ჩამოდგა მის თვალებში, როგორც წარსულის ყოველგვარი სახე, სხვადასხვა ფერით შემკული.

გულდამშვიდებული ადამიანის სახე მას ენატრება დასანახავად. რომ დამშვიდდეს, ძარღვები დაიწყნაროს და ჩამქრალ ვულკანივით ჩამცხრალი შეხვდეს კომუნარების ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალებს. თუმცა მისი იმედები ახლა ბარბალეს მოხუცებულობაში და ცხოვრების გამოცდილებაში იძირება გემივით, მაგრამ დაუნდობელი ადამიანის მსხვერპლად გადაქცეული, საკუთარ თავსაც არ ენდობა. ამიტომ ბარბალეს სთხოვს, ემუდარება, რომ არავის გააგებინოს მისი ამბავი სამარცხვინო და კომუნის სიამაყის წელგამღუნავი.

რამდენ წელს გაუვლია ბარბალეს ცხოვრებაში, იმდენი ნაოჭი გაჩენილა მის შუბლზე. მის ნაოჭებში მწუხარების გაუხსნელი სურვილები ჩაწოლილა. ეს სურვილები და მისწრაფებანი ახლა გამოფხიზლებულა, მოუკრებია ძალ-ღონე და დახნულ-დათესილი მიწების სიუხვით გამაძღარი ცდილობს ტერეზიას დამშეულ გრძნობებში შეიტანოს გუბეში ჩამდგარი წყალის სიმშვიდე და მთიდან მოხეთქილი მეწყერის სიძლიერე.

ასეთია ბარბალეს სხეულში გაუჭრელი სურვილები, რასაც ტერეზია შეტრფის, როგორც თაფლს დათვის გამტკბარი გემოვნება.

* * *

საღამოს ნელთბილი ნიავი დაიძრა. მზე მიიწურა სათევზაოდ დაწრეტილ მდინარესავით. ტერეზიას ფიქრებშიც შევიწროვდა მისთვის უცხო შეუცნობელი აზრები, რომელიც მას ამ ბოლო ხანებში აედევნა ლანდივით. იგი ახლა რაღაც უცნაურ ტკივილებს განიცდის, მუცელში რაღაც ინძრევა, მაგრამ, ხვალინდელი დღის გათენებას მოწადინებული, ის ივსება გამძაფრებული რხევით მისთვის ხილული მწუხარების ხლართში, თითქოს ფაცერში გაბმული თევზი იყოს, რომელიც მოელის მეთევზის დასველებული ხელის შეხებას.

და ეს იმედები თან ჩაიყოლა მზემ ჩასვლისას. მიდამოს სიბნელე შემოესია ლაშქარივით და დაღლილ-დაქანცულ კომუნარებს კი ძილის ტკბილი გრძნობა თვალებზე გადმოეფარა ნისლივით. წარბები ღაწვებივით გადმოეფინა წამწამებს და კომუნის საერთო ყოფაში მხოლოდ ტერეზიას სუნთქვა ისმოდა მორეულ ქვითინივით.

* * *

გაბოროტებული ადამიანების ხითხითი თითქოს შენელებულა, და ისინი ხმაჩახლეჩილნი კნავიან კატის ცინდლებივით. კულაკების წინასწარმეტყველება—სოფელ ლებაღათურიაში ახალად დარსებული კომუნა საპნის ბუშტივით გასკდე-

ბაო, არ გამართლდა. ახლა არც ამათ სჯერათ ეს გულუბრყვილობა, რომელშიაც ამ რამდენიმე ხანს შერეული იყო კულაკების გადარჩენის მოსანებელი იმედები.

უკბილო ჭორებით დაინტერესებულ ხალხში მღელვარება შემოჭრილა, უიმედობის ტბაში შეცურებულნი თვალებს ვერ უჩერებენ კომუნის ეზოდან გადმოსულ ურმებს. თითქოს მათ ზურგზე მიდიოდენ გზად კომუნის ხარ-კამეჩები, ისე იწურებიან და იზნიქებიან წელში ისინი.

ამ სოფლის კულაკების და კომუნის მტრების ფიქრები ახლა სულ აღწერილია და ჩამოთოვილ მთებივით გარინდულა მავი სახეები, საშინელი ავდარი წამოსწრებიათ თავზე, ვერ ასწრებენ ახალი ღონისძიებების გამონახვას, რომ კომუნის ფესვები ამოუგდონ ხალხის გულიდან. ამ ბრძოლაში და ამ ზრუნვაში მათი სახეები გაოცებულია, გაფითრებულია. კომუნის ყოველდღიურ ზრდა-განვითარებას მათი გონება ჩამოუბნელებია ნისლით და გაუვლია ღრუბლებით.

ამიტომ არის, რომ არ უნდათ გაიხედონ კომუნის კარმიდამოში, ამიტომ არის, რომ მათ თვალებში ჩამდგარა სისხლი.

მაგრამ ამ დროს ვიღაცამ მათ შეკრულ, მოწყენილ, მოღრუბლულ ფიქრებში შემოაგდო კომუნის ჩირქის მომცხები ამბავი. და გახელებული ხალხის სურვილი დაეწაფა ამ ამბავს. თითქოს ვინმეს ძაღლების ხროვაში შემოეგდოს ხარის დიდი ძვალი დასახრავად, ისე ეცენ კომუნის მტრები ამ სიტყვებს, ველურის სიხარბით ჩააფრინდენ ამ ამბავს და ღორის ეშვებივით გადმოყრილი კბილები გაჰკრეს და გამოჰკრეს კომუნის სხეულს დასაგლეჯად. ეს ამბავი მათ ყურებში წივილით შემოიტანეს ატატომ და რაფიამ.

— კომუნა გახრწნილია, ერთმანეთს დარევიან, როგორც კურო მოზვრებში ატეხილ ძროხებს; არეულა მათი ცხოვრება, ახლა კი უცვლელად დაიშლებიან, მერე კი მათ ეშმაკიც ვერ მოუყრის თავს, დაიკარგებიან უტარო დანასავით,— ყვიროდა გახარებული სახით და ბოხი ხმით რაფია თავის თანამგრძნობთა გასაგონად.

ატატო ამ ხმამაღალ სიტყვებს თავის წვრილ ხმას ცივი კივილით უერთებდა. ამუთ სურდა, რომ მისი ხმა ყველას გაეგონა. გაკაპასებული იფაფრებოდა, იმანჭებოდა და გულზე ხელებდაწყობილი მიდიოდა იქით, სადაც მისი სიტყვები უფრო მეტს გასაქანს პოულობდა,ან სადაც მალამოსავით აშუშებდა კომუნის ბასრი ხმალით დაჭრილ კულაკების გულს.

— მანიც, რა გაიგე, რაფია?—მოუთმენლად შეეკითხა ვასილ ბიაძე მას და თან იქვე მდგომ ატატოს მაცდური თვალებით გადახედა.

— რავა რა გევიგე, კაცო; ტერეზია დაუორსულებიათ თურმე მუცელი ცხვირზე აქვს ჩამოკიდებული, ყველაფერი ეს შინაურულად გავიგე, ჩუმად მივეპარე და მათ ჩხუბს ყური მოვკარი.

ბაყაყივით თვალებგადმოკუსული და მელასავით თარსი სახე ახლა უფრო გაეხვია მტრული განწყობილებების სამოსელში და ვნებააშლილი ულაყ ცხენივით შემოუჩიქჩიქა ატატოს ირგვლივ. მან თვალები ატატოს სქელსა და განიერ ტანის ნაწილებზე შეაჩერა ერთი წუთით, თითქოს მისი ვნებანი აიშალა და ჩამოჯდა ატატოს გამთბარ ტანზე, მერე ვნებადაოკებული შმუშვნით წამოდგა ზე-

ზე და მუხლებდამსხვრეულივით წაიფორხილა. მან კარგათ ვერც კი მოიგონა რაფიას სიტყვები, როდესაც ატატოს მისჩერებოდა ამიტომ ცხრამსხვავეობამ მოითხოვა მეტი ყურადღება მისდამი და დამნაშავესავით დაბალი ხმით ჰკითხა რაფიას:

— კი, მაგრამ შენ როგორ გაიგე?

— შენ რა გინდა, მე კი გავიგე და, ერთი სიტყვით, ასეა საქმე, როგორც მე გეუბნები. განა ამაში ეჭვი შეგდის? რაც ქვეყანაზე არ მომხდარა, იმას როგორ მოვიგონებ? ვითომდა რა გამოჩნდენ ახლა ეგენი, კომუნა—რომ დაარსეს? მაგ საწყლებს ჰკვა—რომ ჰქონოდათ, კომუნაში ნახევარზე მეტი რაოდენობით მდიდრები უნდა შეეყვანათ, თვარა რომ შეიყარა თავი ამდენმა ღარიბმა, რა უნდა გააკეთონ ერთმანეთის გაუპატიურების მეტი? აბა ერთი წარმოიდგინე, ვასილიკა: ტანზე მაგათ არაფერი აცვიათ, კაცებს ნიფხვებიც კი არა აქვთ. და როდესაც დასხდებიან ანთებული კერიის პირად, სასირცხო რამეები მოუჩანთ ამ დროს მათ წინ ქალები მუშაობენ, რაღაც-რაღაცეებს აკეთებენ, ისინიც ტიტვლები არიან. ერთმანეთისას პირდაპირ უყურებენ. ჰოდა ამის შემდეგ რა დააკვებდათ? კაცს ერთ წუთში გადაუტრიალდება სისხლი და მერე მანაც არ იცის რას შვრება,—ეუბნებოდა რაფია ვასილ ბიაძეს.

ვასილიკას ამ ლაპარაკის მოსმენის დროს ყელზე ნერწყვი ადგებოდა, წამწამებს მალი-მალ ახახამებდა, გრძელ ულვაშებს ზევით იპრეხავდა, რომ მის მაცდურ სახეს მეტი სიდიადე მისცემოდა. მას ენატრებოდა ის უდარდელი ცხოვრება, როცა უფრო მეტი გასაქანი ჰქონდა. მაშინ ვასილი ამ სოფლის ბატონ-პატრონი იყო. ბარდღაზე უფრო მეტი მოხერხება ჰქონდა, რომ ცხოვრებიდან ამოეკრიფა ყველაფერი, რაც მისთვის სიტკბოებას შეიცავდა; თუნდაც ეს სიტკბოება ასეული ხალხის სიკვდილით ყოფილიყო მოპოებული, ამისათვის ის არც კი შეწუხდებოდა. და როცა ამაზე ფიქრობს ვასილი, იმავე დროს სინანულს გრძნობს, თუ რატომ არ შეხვდა ტერეზიას ბარდღასას მოსამსახურედ ყოფნის დროს.

— ყოფილიყო ჩემსას, ხომ დარჩებოდა წმინდა? რაღაც უცნაური კმაყოფილებით და სიხარულათ ამბობდა ატატო ამას და თან ვასილის მაცდური თვალების ქვეშ იკეცებოდა, დამორჩილებული ადამიანის სახეს ღებულობდა, თანდათან ვასილის აშლილი ვნებების გავლენის ქვეშ ეჭცეოდა, ვასილი კი ტკბებოდა ამ ამის გაგებით, მასში რაღაცა ამოუხსნელი, ნანატრი სიხარულით და ტკბილი ოცნება ისხამდა ფრთებს სადღაც შორს გადასაფრენად, რომ დასხმოდა თავზე ამ ბედნიერებას ქორივით და ამოეწოვა მისაგან სიტკბოება. უფრო კი მას აწვალებდა ის აზრი, თუ ვინ გახდა ბედნიერი და ვინ იჯერა გული ტერეზიას სხეულის ლოშნით. ამიტომ არის, რომ ნაღვლიანად იმეორებს თავისთვის: „რატომ ვერ გავიგე, თუ ის ამისთანა პურმარილიანი ქალი იყო?“.

მაგრამ იმავე დროს გულის სიღრმეში შემოპარული მაცდური სურვილი, რომ ატატო ახლა მარტოა, ბარდღა სადღაც შორს არის, ვერ მისწვდება მას, ატატოს კი უკაცოდ ცხოვრება არ შეუძლიან რა გააჩერებს, ვინ დააკმაყოფილებს ამ ადამიანის შეჩვეულს და განებივრებულ მოთხოვნილებებს?“—ეს აფიქრებს მას. მკვდრის პატრონივით გულზე ხელები დაწყობილი და თავჩაღუნული, ის

ალმაცერად ჩასცქერის თვალებში ატატოს რომ აგრძნობინოს, ის, რაც უნდა ახლა და რაც ატატოსათვისაც არ იქნება საზარალო თუ ის ამ წუთში მიუხვდება ვასილს. არც ისე ძნელია ატატოსათვის ამის გაგება, რადგან ვასილი ლამის არის სულში ჩაუძვრეს. მისი ხელები ნელნელა მიცოცავენ ატატოს მკერდისაკენ, სადაც მრგვალი და მსუყე ძუძუები ბალიშებივით რბილად იკეცებიან ხელის ყოველი მიკარების დროს. თუმცა ატატო ხნით არც ისე ახალგაზრდაა, მაგრამ ბარდღას მოშორების შემდეგ რაღაც არაჩვეულებრივად გამოიცვალა, თავის უპეებში სიხალისის ნაპერწკლები უბზინავს, ლტოლვა ცხოვრების სიტკბოებისაკენ უღვივდება, ტანიც თითქოს უფრო [illegible]აუმჩატდა, სხეულში რაღაცა აწვალებს, რომ წურბელასავით ამოწოვონ ზედმეტი სისხლი და დაამშვიდონ მისი მხურვალე გრძნობების ტკბილი ტრფობა.

როცა ვასილი მიანათებს ატატოს თვალებში თავის წვრილს და გრძელ სახეს, მაშინ ყველაფერი ნათელი ხდება, მაშინ ატატო იბნევა, თითქოს სისხლმა გადმოუარაო, წითლდება და იმის მაგივრად, რომ თავი დახაროს ძირს, მოცილდეს ამ წუთებს, ის ბნედიანი ადამიანივით იწყებს ბარბაცს, ცეცხლივით გახურებულ ხელებს აფოთიალებს მანამ, სანამდის ბიაძის გრძელი და ხმელი ხელები მას არ შემოევლება უდიდესი სიყვარულით და სანამ ატატოს ვნებებს არ მისცემს კალაპოტს იდინოს დღესავით მის სხეულში.

და მერე, როცა გაივლის ეს წუთები, ატატო, თითქოს თავის უკმაყოფილო იყოს, უკანაც არ მოიხედავს, ისე გარბის სახლისაკენ.

ვასილ ბიაძე ერთხელ კიდევ ახვიხვინდება ცხენივით, და ეს მაღალი კაცი სარგადაყლაპულივით მოწყდება ადგილიდან მსუნაგი ძაღლივით, რომელმაც ქათმის საბუდარში ახლად დადებული კვერცხები გადასანსლა.

ასე ახლაც.

ვასილი იწვის იხრაკება საკუთარ ტყავში. მას სრულებითაც არ აწუხებს ის ამბავი, რომ ტერეზია დაორსულდა, ან კომუნას ამით ჩირქი მოეცხო. არა კი არ აწუხებს, უხარია კიდეც, მაგრამ ამაზე უფრო ის უხარია, რომ ატატო მას დღეს რაღაცა უცნაური გამოხედვით უყურებს, მგონი კიდეც იწვევს მასთან მივიდეს, ხელი მოჰკიდოს და გაიგოს, თუ როგორ სწყურია მას ახლა კაცის ხელის შეხება, კაცთან ახლოს დგომა, რომ ამით უფრო ტკბილად იგრძნოს ფუფუნებით ცხოვრებაში აშლილი ვნებების მოძრაობა, იგი მარულასავით ჯირითობს ახლა მის ფიქრებში, რომ იხილოს სინამდვილე, ამ წუთში განცდილი.

ამიტომ ატატოც შეკრთა, შეფიქრიანდა და მის თვალებში ამოიკითხა ყველაფერი, რაც მან ახლა განიცადა.

* * *

როცა მოსაღამოვდა და კომუნის ჯარმიდამოში ჩამოდგა მთელი დღის მანძილზე აფუსფუსებული ადამიანების მკერდები, ტერეზია ერთხელ კიდევ აცახცახდა ამ ეზოკარში აფართხალებულ შინაურ ფრინველებივით. მან მორიდებით შესთავაზა გულს სიმშვიდე კომუნარების თვალების ასახვევად, მაგრამ მისდაუნებურად ამ გაცვეთილმა გრძნობებმა ვერ შეიკავა თავი და ამ წუთში განიცადა მწუხარების შეუჩერებელი ტკივილი, თითქოს ვინმეს ბოროტი ხელები

ნემსებივით სჩხვლეტდეს მის ფიქრებში დანისლულ აზრებს, — ისე ეკლაკნება და ფითრდება ტერეზია. იგი ეძებს შორიახლოს თავშესაფარ ადგილს, მაგრამ ამ დროს ყანიდან მხარზე თოხგადებული ბონდო ბუგულია მას უსიტყვოდ და ფრთხილად ჩამოჰკრავს ხელს მხარზე.

ტერეზია შეკრთა, უცებ მობრუნდა მისკენ და დაინახა თუ არა ბონდო, დააპირა იმ წუთში აქედან გაპარვა, მაგრამ ეს მოუხერხებელი შეიქნა და მანაც, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, გაუცინა ბონდოს ძალაუნებურად.

ბონდო კი კარგად ამჩნევს ყველაფერს, იცის საქმის ვითარება, ამიტომ არ ჩერდება მასთან, არც სურს აგრძნობინოს, რომ იცის რაიმე მის შესახებ, ამიტომ ასევე წყნარი, ნელი და ჩვეულებრივი სულისთქმით მიდის საერთო საცხოვრებლისაკენ.

იმ საღამოს ბარბალემ ლუკას, როგორც კომუნის ხელმძღვანელს, კომუნის საერთო კრება მოაწვევინა. ერთ მთავარ საკითხად დღის წესრიგში ტერეზიას საქმე დასვა.

მართალია, ბარბალე შეპირდა ტერეზიას: არ გაგაცხადებ, დავმალავ, საიდუმლოდ შეგინახავ ნამუსსაო, მაგრამ ტერეზიას მუცელი არ იწახავდა შიგ ჩასახულ ბავშს დიდხანს და ბარბალეს როგორ შეეძლო არაფერი არ ეთქვა მის შესახებ? ბავში თანდათან იზრდებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ მასაც უნდა ამოეთქვა სული ამ კარმიდამოს სუფთა და გრილ ჰაერში, მაშინ კომუნას შემოემატებოდა პატარა ადამიანის მოძრაობა, რომელიც თავისი ჭყვირილით ყველას ამცნობდა თავის დაბადებას. მაშინ ხომ ყველა გაახელდა თვალს, ყველა გაიგებდა და მიხვდებოდა, თუ საიდან გაჩნდა ეს ღლაპი, ასე მონდომებით, ასე გამუდმებით მტირალი. „საიდან გაჩნდა“?—ამას იკითხავდენ კომუნარები და არც არაფერი იქნებოდა გასაკვირი, არაჩვეულებრივი, მაგრამ თუ კი მათ წინასწარ არ ეცოდინებოდათ ამის შესახებ რაიმე, რასაკვირველია, ეს ამბავი მათთვის მოულოდნელი ხილვის გრძნობით იქნებოდა განცდილი და რაღაც უცნაურად და უხეშად დააწვებოდა კომუნარებს. ფიქრი, თუ საიდან და როგორ გაჩნდა ეს ახალი წევრი ახალი კომუნისა, რომელსაც არ აქვს წარმოდგენილი, თუ რაოდენი შრომა, სისხლი, ფიქრი და მონდომება დახარჯეს ამ კომუნის დაარსების დროს კომუნარებმა. შემატებულს არც ის ეცოდინებოდა, თუ ვინ გააჩინა ის ქვეყანაზე, ვინ მისცა მას უფლება ასე უდარდელად ეჭყვირა ამ საერთო საცხოვრებელში.

ტერეზია ხომ არაფერს ეტყოდა მას, ან რას გაიგებდა? კომუნარებმა კი არც ახლა იციან ვინ შემოიტანა მათ ყოფაში ეს მოუფიქრებელი, ეს მათთვის წარმოუდგენელი და დაუჯერებელი სურათი. ამიტომ არ გაემტყუნება ბარბალეს, თუ მან გატეხა პირობა და მოურიდებლად ათასჯერ გაზომვისა და მოფიქრების შემდეგ, სვამს საკითხს ტერეზიას მუცლის შესახებ.

ბარბალეს ცხოვრებაში იმდენ გამოცდილებას მოუყრია თავი, რომ მას კარგად შეუძლია გამოიყენოს ეს გამოცდილება ამ საქმეში. და თუ ვინმე დააპირებს კომუნაში ტერეზიას სახით დატრიალებულ ამბის გაზვიადებას, მაშინ ის მათ სახეში მიაგებებს მისთვის ჩვეულ ენით ძველი გამოცდილებებიდან შემონახულ სიდინჯეს და მის მეხსიერებაში ფრთხილად მოკალათებულ გულწრფე-

ლობას და არავის, არც შინაურს და არც გარეშეს, არ მისცემს ნებას, რომ კომუნას ჩირქი მოსცხონ.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ბარბალე რატომ შეშფოთდა ამ ამბის გარეველად გაგების დროს? ეს გრძნობა ეხლაც განიცდის მის არსებაში ბრძოლას ძველსა და ახალ შეხედულებებს შორის დღევანდელ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ამიტომ ბარბალე დროგამოშვებით დაფიქრდება, წარმი იდგენს ყველაფერს, თავს ნაღვლიანად გადააქნევს გვერდზე, თითქოს ვინმეს ემუქრებოდესო, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი განცდაა, რომელსაც ბარბალე ყოველი ღრმა და საფუძვლიანი მოფიქრების დროს არ იკარებს ახლოს და შორს აძლევს გზას, რომ მოცილდეს აქაურობას.

ახლა კი ბარბალე მარტო იმით არის დაინტერესებული, რომ ამ თავის ახლობელ ამხანაგებში შემოიტანოს ტერეზიას საკითხის არსში გარკვევა, შეგნება და მერე ალაპარაკოს ეს ხალხი მის შესახებ. და თუ ეს ვერ შესძლო ბარბალემ მაშინ კომუნის საერთო კრებაზე ხმაური გაძლიერდება და კომუნის მტრებს შემოემატებათ კიდევ ერთი ლუკმა ჭორი საღეჭად.

ატატოს ამ ამბის გაგების დროს გული გაუგანიერდა ზედმეტი სიხარულის გამო, თუმცა ტერეზიას დაორსულების შესახებ მას ამ ორი დღის წინ უთხრეს ყველაფერი. ახლა კი სავსებით დარწმუნდება ამაში და უფრო მეტი სისავსით, და უფრო მეტი უტიფრობით შეეცდება დაკარგული ცხოვრების სამაგიეროდ კომუნას მიახალოს უკმეხი სიტყვების კორიანტელი. იგი ამით დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებას—იხილოს კომუნა გახრწნილი, გაპარტახებული და დაშლილი, ისე, როგორც მის კერძო, ინტიმურ ცხოვრებაში შემორჩენილი ოჯახური სინიდისი გაათახსირა, ქვაბივით გადმოაბრუნა და ათარეშა ვასილ ბიაძის მგლურმა სურვილმა.

ბარბალე ამას კარგად გრძნობს.

ამიტომ ზედმეტი სიფრთხილით და მეტად დაბალი ხმით ამბობს ამის შესახებ საერთო კრებაზე სიტყვას:

— ცხოვრებაში არაფერი არ უნდა გაუკვირდეს ადამიანს, ყველაფერი მოსალოდნელია; მე ამდენი ხნის ქალი ვარ, კარგად ვიცი წარსული ცხოვრების სიმწარე, რომელიც ყოველ ჩვენგანს აწვალებს დაუსრულებლად, მაგრამ ახლა სულ სხვა ხალხი ვართ, ამიტომ შეგნება, მოთმინება და დაკვირვება მეტი გვმართებს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვართ სულ ახალი ცხოვრების წარმომადგენლები, ამიტომ რასაც მე გეტყვით ამხანაგებო, დამშვიდებით უნდა მოისმინოთ.

— სთქვი, ბარბალე, რა გინდა?—უთხრა ცუცამ მას.

ბარბალე კი ამბობდა ამ სიტყვებს, თითქოს მისთვის ჯოტოს გამოეგზავნოს წერილი და მას კითხულობდეს.

ბარბალემ განაგრძო:

— თქვენ ალბად კარგად ამჩნევთ ტერეზიას თუ რა მოსდის მას ამ ბოლო დროს. ის ყველაზე სანაქებო ქალი იყო იმით, რომ ისახელა თავი თავისი დაუზარებელი შრომით. ის არ ზოგავდა ძალ ღონეს და კიდეც დასტოვა კარგი ნახელავი, ჩვენს ბოსტანში რომ შეხვიდეთ, გული გაგინათლდებათ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ესეც მივიღოთ მსედველობაში.

— მაინც რა გინდა, ქალო, არ იტყვი?—გაოცებული გამომეტყველებით შეეკითხა ბარბალეს ცუცა.

კრებაზე დამსწრე კომუნარები კარგად ამჩნევდენ ტერეზიას გარიყვას კომუნის საერთო ცხოვრებიდან, მაგრამ მიზეზი ყველამ არ იცოდა. ახლა კი დადგა ის წუთები, როცა ყველაფერს უნდა მოეხსნას თავი და გადმოლაგდეს ისე, როგორც არის დალაგებული ბარბალეს თავში.

— ჰო და ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ხომ ამჩნევთ, ქალი როგორ მსხვილდება? არ გიფიქრიათ ამაზე? წყეულმა ადამიანმა თავისი მოქმედებით არ დაინდო ტერეზია და იგი ახლა ორსულად არის.

— ორსულად არის?

— რას ამბობ, ბარბალე, მაგას, არ გცხვენია?—მიაყარეს მას ეს სიტყვები გაკვირვებით, თითქოს რაღაც მოულოდნელი რისხვა დაატყდათ თავზეო. მრისხანე გამომეტყველებამ თავი იჩინა მათ ქცევაში. ირგვლივ იყურებიან, რაღაცას დაეძებენ მათი თვალები ხარბად და გატაცებით. აი უკვე ესროლეს ხედვა ტერეზიას ჩაკეცილ ტანს, თვალებიდან მოწყვეტილი სიმკაცრის ცრემლები დააყარეს კოხივით, მაგრამ ტერეზია აქვითინდა და მისმა ზლუქუნმა სიჩუმისა და სიმშვიდის პირობა დაშალა. ამიტომ მისი ტირილი ყველას მკაფიოდ მოესმა.

ბარბალემ მას ყურადღება არ მიაქცია, განაგრძო ლაპარაკი, მაგრამ აი, ახლა ისიც მოიღუშა, თითქოს ტერეზიას თვალებიდან გადმოღვრილი ცრემლები ესხმოდეს მის გულს და წვიმის თქეშში გაგდებულ ადამიანივით ალბობდეს მის სურვილებს, აზრს და ჯანსაღ განწყობილებებს.

— ეს არის სულ, რაც უნდა მეთქვა, ამით ვამთავრებ ჩემს სიტყვას, მაგრამ ამასთან ერთად მოვითხოვ იქონიოთ წინდახედულება და გაითვალისწინოთ დანაშაულის ჩადენის დრო და მისი ადგილი, თუ სად და როდის, რა პირობებში მოხდა...—ასე დაამთავრა საუბარი ბარბალემ. მან თავის ნალაპარაკევს განგებ არ გაუკეთა დასკვნა. ის უკდის ირგვლივ შემოხვეულ ხალხს, თუ რას იტყვიან ტერეზიას ორსულობის შესახებ, მერე კიდევ გამოსთქვამს თავის აზრს.

* * *

ბონდოს ცოლი მეტად მხიარული ქალია. იგი ტერეზიას ხელმძღვანელობით მუშაობდა ბოსტანში, მაგრამ რაც აქ ითქვა მის შესახებ, ცუცასათვის ყველაფერი ახალია, პირველი გაგონებაა, მას არასოდეს არაფერი შეუმჩნევია მისთვის, შეიძლება იმიტომ, რომ საერთოდ ცუცა ზერელედ უყურებს ყოველგვარ მოვლენას, მისი რაობის და ბუნების გამოსარკვევად არ იწუხებს თავს, არ სწვდება მოვლენის სილრმეში, მის ამოსაცნობად, რომ ამით მის წინ გადაიშალოს სინამდვილე, რომ ამის შემდეგ დაასაბუთოს ესა თუ ის ბრალდება ან ესა თუ ის მოთხოვნილება. ამიტომ მას ამ წუთში ბევრი არ უფიქრია და სიტყვა მოითხოვა:

— დიდუ! დიდუ! იკახპე, შე ცეცხლმოკიდებულო?? ეს რომ მცოდნოდა, ამდენხანს რავა მოგეკარებოდი ახლოს, აა!? ვერ თქვი, შე მიწაგასახეთქო, თუ ღმერთი გაგიწყრა? რას გიგავს, ქალო, მაგ მუცელი? ამხანაგებო, ჩემის აზრით, ტერეზია უნდა გავრიცხოთ, რათ გვინდა აწი მისი ხელმონაკიდები საქმე?—

ზედმეტი სიჩქარით, მოუფიქრებლად და ტერეზიას ახლანდელი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად ლაპარაკობდა ცუცა. მისმა სიტყვებმა სხვებზე კუდი გავ ლენა მოახდინა.

ღია ფანჯარასთან სკამზე ჩამომჯდარი ერთი მოხუცი დედაკაცი წამოწითლდა, თითქოს სირცხვილის გრძნობა დაეუფლა ამ წუთებშიო და გარეთ იმზირება უსაზღვრო სივრცეში, რამდენიმე წუთის შემდეგ მან თავი გადმოხარა ამხანაგებისკენ, მერე გულში გარბენილი წყრომა ამოავსო საშინელი სიტლანქით და მანაც ცუცასავით წამოიყვირა:

— რა უნდა მაგისთანა ხალხს ჩვენს საერთო ოჯახში! ხომ აგვსვარა ტალახიან ღორივით! ვინ შემოათრია მაგ დედაკაცი?? ალბათ ქვეყნის ნამოახლარი იქნება; გაწუწკებული თუ არის ასეთ რამეებზე, შენ შეაჩერებ ახლა მის გემოვნებას? მას რა ეკუთვნის ჩვენგან, იცით? რა და ცხენის კუდზე უნდა გამოვაბათ თმით და ასე ვათრიოთ!

პირდორბლიანი და თავშეუკავებელი ამბობდა ის ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებოდა.

მამაკაცებშიც შემოიჭრა სიძულვილის გრძნობა ტერეზიასადმი. იმათაც განიზრახეს სასტიკად მოპყრობოდენ მას, მაგრამ ლუკას ფხიზელი გონება კარგად ამჩნევდა, რომ ზედმეტი ლაპარაკით მიზანს ვერ მიაღწევდენ, ამიტომ ლუკა მათ აჩერებდა, რომ აღელვებისაგან თავი შეეკავებიათ, ამით კი მათი განზრახვიდან ამოჰქონდა მოქმედების გული, ძარღვი და მათ სურვილებში გამოკვეთილი აზრები. ის ანელებდა ამ არასასიამოვნო ქცევათა გამოხატულებას, რაც ახლა უმრავლესობის სახეზე შეიძლებოდა ამოგეკითხა, მაგრამ ლუკამ მაინც ვერ შესძლო საბოლოოდ მათი შეჩერება.

— მე არ ვიყო კიკილია აბზიანიძე, თუ არ გავიგე ვინ გვიქნა ასეთი თავმოსაჭრელი საქმე! ვინ იფიქრებდა, თუ ჩვენში მოხდებოდა ასეთი სამარცხვინო ამბავი, ისიც ტერეზიას მიერ? ამას ახლა თუ დავიჯერებ, თორემ მაშინ რომ ვინმეს ეთქვა ჩემთვის, ყურთანაც არ მივიკარებდი და კინწის კვრით გავაგზავნიდი გარეთ, როგორც ბავშების მიერ გასროლილ ბურთს, მაგრამ ახლა რა უნდა უთხრა ტერეზიას? რომ მეტყოდეს ვინ ჩაიდინა ეს საქმე, ხომ ვუტირებ დედას! ამ ხელებს ხომ ხედავთ? ჰო და მე ვეყოფი მარტო, თქვენ არ მინდებხართ, მხოლოდ ის მითხარით, ვინ არის ის ღდინძალი, რომ გავაძრო სიქა! ტერეზია, ქალო! რომ იგნისავ ხელებით მაგ თვალებს, რა დროს ტირილია, როცა რომ მოგიპოტინეს ხელი, თხასავით მაშინ ვერ იყვირე, ან ვერ იბღავლე? ახლა რას აკეთებს შენი მოთქმა! კომუნას ტირილით ვერაფერს შეძენ. თუმცა შენი ტირილი და კივილი სადღაც გაგეპარა, ანდა, უფრო მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩაგიწყდა მაგ ხმა ყელში, თხასავით მაინც ავპეტელდებოდი. არ გამაგონო შენი ქვითინი! მითხარი ვინ არის ის ადამიანი? ხომ გესმის! აქ დამალვა და ხელის დაფარება არ შეიძლება. თუ იტყვი ამას, მაშინ მე იმის მომხრე ვიქნები, რომ შენ ყველაფერი გეპატიოს, მაგრამ იმ კაცს კი მაგრად დავაძვალბილებ შენგან მოწონებულს, აბა რა გგონიათ თქვენ, კიკილია აბზიანიძე ვაინში ნამყოფი ბიჭია, ავსტრიის ფრონტზე ნაბრძოლები, ამას გარდა არც ერთი ქალაქი არ დამრჩენია უნახავი, დაუთვალიერებელი. ხომ იცი ჩემი მოტყუილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება. მე კი ვასილიკა ბიაძეზე მაქვს ეჭვი, თუ ის არის, როგორც ქორი, ისე გავგლეჯ მაგ უბედურს.

კიკილია აბზიანიძე ამ სიტყვებს ისეთი მონდომებით და ისეთი გულისწყრომით ამბობდა, რომ ყველა მას შეჩერებოდა თვალებში, აბა როდის აფეთქდება ეს უზარმაზარი ადამიანი, როდის გააფთრდება და როდის დაარტყამს ამ სპილოს ფეხების მსგავს ხელებს მაგიდაზეო.

კიკილიამ კარგად იცოდა, რომ ჩხუბი, ცემა და ყველაფარი ის რაც ამ სოფლის მდიდრებისა და კულაკების წინააღმდეგ ჩაუდენია მათ წელში გასატეხად და გასანადგურებლად, კომუნაში დაუშვებელი იყო—ახლა ასეთი მეთოდებით ბრძოლა საკუთარ რიგებში გაჩენილი უკმაყოფილების წინააღმდეგ არ შეიძლება. ამიტომ მისი სიტყვები იქ მყოფმა კომუნარებმა ისე გაიგეს, როგორც კომუნის სხეულზე დაყრილი მტვრის ან ნაგვის გადასაწმენდად მოქნეული ცოცხის შრიალი.

— ვინ იყო ის ჩვენი ცოდვით სავსე?—იკითხა ლუკას ცოლმა. მას უფრო ის აინტერესებდა, თუ ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც ტერეზია ასეთ ყოფაში ჩააგდო, მაგრამ ეს მხოლოდ მას აინტერესებდა, სხვები კი რაღაც უცნაურად გაეტაცა ფიქრს ტერეზიას შესახებ. გაცხარებული ლაპარაკი ხშირად მოჭარბებულ ყვირილად იქცეოდა. მათ სუნთქვა უძლიერდებოდათ და სახეზე სიწითლე შემოჰპაროდათ, როგორც დაუმწიფებელ ვაშლს ხშირად მწველი სიცხეებისაგან შეელალება გვერდები.

ბარბალე იმზირება ამ დაჭიმული მდგომარეობის ფონზე, თითქოს სიმძიმით აწვებოდეს მას ეს დედამიწა და ეს ლილისფერი ცა, ფერად ღრუბლებში აწეწილი და უსაზღვრო სივრცეებით გულგადაშლილი.

— უნდა მოვკლათ! რას უცდით! განა მაგი სიცოცხლის ღირსია?

— დედა! დედა! რა გვიენა, რავა დაგვაგდო საქვეყნოდ! კიკილია, შე მოსასპობო, მისი გალახვა რას გიშველის? მასთან რა გინდა, ეს არის დასახრჩობი, უნდა წამოაქციო ახლა და რაც სიგრძე აქვს, იმდენი განი უნდა მისცემერე უნდა გააშიშვლო და ცივი წყლით და ჭინჭარით უნდა დაუშუშხო ტანი,—სთქვა ცუცამ ზედმეტი აღელვების დროს.

— რას უყურებთ ქალებო, კაცებო! გადავაგდოთ აქედან. სადაც უნდა იქ წავიდეს, მხოლოდ ჩვენს სახელს ნუ ახსენებს.

— მართალია. აბა აქ რა უნდა!

— მაგას შევხედავ თვალებში?

— მაშინ ხომ უნდა დეევითხარო თვალები, მაგრ რომ არ მოვსპო აქედან??—ეს სიტყვები ახლა არა მარტო ცუცას ამოდიოდა პირიდან, არამედ მას სხვებიც შემოემატენ ნელ-ნელა.

*
* *

სოფლის ღრიანცელი, რომელიც რამდენიმე ასეული ადამიანის სხვადასხვა აზრს იხვევს გულში მავთულივით, ამ წუთში თითქოს დადუმდა. მხოლოდ მათი ნელი და მიწყნარებული სულის თქმა ისმის. სულგანაბულნი უსმენენ კომუნის საერთო საცხოვრებლიდან გადმოსროლილ ხმებს. ეს ხმები ზოგიერთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახელებულ მისწრაფებებს უფრო ახალისებს მათთვის სასიამოვნო ამბის [illegible]ბაგებით და ამ ყოფაში მოქცეულნი ქარისგან დარწეულ [illegible] სირხევიან.

ბარბალემ შეატყო, რომ კომუნარების აზრებში რაღაც არევ-დარევა შემოჭრილა, სწორად ვერ უდგებიან საკითხს, ამ შემთხვევაში ვერ იჩენენ სიფხიზლეს, სიჩქარის გამო ვერ სწვდებიან მოვლენის სიღრმეში. იგრძნო ეს და განიზრახა გაანთავისუფლოს მათი გონება ზედმეტი მსჯელობისა და ძალდატანებისაგან, თორემ ტერეზიას ირგვლივ დატრიალებული ამბავი ისე განვითარდება, რომ მთელი სოფელი გაიგებს კომუნის შინაურ საიდუმლოებას, მერე კი უტიფრად დაუწყებს ატატო ბარბალეს მზერას. და ამ მზერას თან გამოაყოლებს გესლიან სიტყვებს. ბარბალე ამას ვერ მოითმენს და შეიქნება ჩხუბი იმისათვის, რომ კომუნის ცხოვრებაში არავინ არ შემოიტანოს ბინძური ხელებით შავი ლაქა, რომელიც არასოდეს არ წაიშლება კომუნარების მეხსიერებიდან.

*
* *

დავა გრძელდება. ისმის დაუსრულებლივ ერთი და იგივე სიტყვები ტერეზიას წინააღმდეგ. ტერეზია კი თავჩაქინდრული, ფიქრებად გადაქცეული მიყუდებია კედელს. ტირის, თვალებში ჩამდგარ ცრემლს იწმენდს და ხან კი ქურდულად გახედავს კომუნარებს, მაგრამ რა წამში მოჰკრავს თვალს გაცოფებულ ადამიანების გამომეტყველებას, პირისახეს იმალავს და ყელში მობჯენილი ბოლმა ვერც მუცელში გადაუტანია და ვერც ყელიდან ამოუსვრია.

ამღვრეული თვალების გაცეცხლებული მზერა უმაღლეს საფეხურს აღწევს, რომლის იქით სიგიჟე და ძარღვებ აშლილი ადამიანების თავშეუკავებელი ბოდვაა. კრების საერთო განწყობილებაში და აქა-იქ ზოგიერთ წევრებს შორის წრეს გადასული ადამიანების რაღაც საშინელი მოქმედება მოჩანს.

კომუნის თავდავიწყებით სიყვარულს და სიამაყეს მათში ვერ მოუნახავს ერთი მთლიანი კალაპოტი, რომლიდანაც ამოსვლა მათ დანაშაულად და კომუნის წესების დარღვევად ჩაეთვლება.

ამიტომ ამ უსაზღვრო გაანჩხლებას, თავდადებას და გულით დაძგერებას კომუნის კომუნისტური სინიდისის დასაცავად—მათ შინაგან ბუნებაში ყველაფერი აუფორიაქებია და კომუნის კოლექტიურ ყოფაში უკვე გამქრალი კერძო საკუთრების ფსიქოლოგია და კერძო ცხოვრების დამახასიათებელი თვისებები, რომელსაც კომუნარებმა კომუნაში გამოსვლისთანავე ლახვარი ჩასცეს გულში და კომუნის მიწაზე ფეხის დადგმით ჩაწიხლეს მისი გაუმაძღარი და გაუტანელი გრძნობანი,—ახლა თითქოს გამოცოცხლებულა, თავი წამოუყვია, ნიადაგი მოუსინჯავს და პირგახსნილი ცდილობს დაიბრუნოს კარჩაკეტილი ძაღლური ცხოვრების დაკარგული ერთგულება.

ბარბალე და ლუკა კარგად ხედავენ ამ სურათს. მათ წინაშე მთელი სირთულით გადმოიშალა კომუნის ცხოვრებაში შემოჭრილი ამბავი, რომელმაც არევდარია კომუნარების აზრები და ფიქრები და დაუნდობლად ამხილა ძველი ცხოვრებიდან შემორჩენილი ძველი ადამიანის შეხედულება ქალის პირადი ცხოვრების და მისი შეგნებული თუ შეუგნებელი მოქმედების შესახებ.

კრების საერთო განწყობილება ისე აიწეწა, რომ ლუკამ ნაწილობრივ უკვე დაკარგა ნორმალურ კალაპოტში კომუნარების ჩაყენების იმედი. ყველას სწვდება თავისი დამაჯერებელი სიტყვებით, ყველას გატეხას უპირებს თვალებით, მაგრამ ცუცას და მისი თმნამგრძნობი დედაკაცის მეტად მწვავე სიტყვებმა ისე გააბრაზა კომუნის წევრები ტერეზიას წინააღმდეგ, რომ ლუკას გადაჭრითი მოთხოვნა ლაპარაკის შესაწყვეტად თითქოს არავის არ ესმის, არავის არ უნდა დაემორჩილოს, პირიქით, ყველა ერთად ლაპარაკობს.

ლუკა დაიბნა.

— ბარბალე, მეტი გზა არ არის, კრება უნდა დავშალოთ!

— რას ამბობ, ლუკა, სანამდის უნდა დატოვო ეს ხალხი ამ მდგომარეობაში, ხომ მოკლავენ იმ საწყალ ადამიანს, თუ რაიმე განაჩენი არ გამოვიტანეთ?

— ჯოტოს შევუთვალოთ, ჩამოვა, ეგება დაგვეხმაროს, მას უფრო დაუჯერებენ, მოერიდებიან, თორემ, როგორც ხედავ, ჩვენ ვერაფერს გავხდებით. მე მჯერა, რომ ტერეზია ბევრ რამეშია დამნაშავე, მაგრამ ის მაინც ასეთი მოპყრობის ღირსი არ არის. რა მოგვდის ეს? ვინ არის, რომ ასე გვიმღვრევს კრებას? ნუთუ მთელი კომუნის წევრები ჩვენი წინააღმდეგი არიან? მაშ რატომ საერთო ენა ვერ გამოგვინახავს?— უთხრა დაბალი ხმით ლუკამ დაფიქრებულ და გაჯავრებულ ბარბალეს.

— ჯოტო დავიხმაროთ!

— მეტი გზა არ არის!

— ეს ხომ ჩვენი სისუსტეა?—და ამ სიტყვებმა დააფიქრა ლუკა. მან ამ წუთში ყველაფერი წარმოიდგინა, მაგრამ ას მაინც არ სჯერა, რომ მან ვერ შესძლო კომუნის საერთო განწყობილების გამომუშავება ამ საკითხში. გულში რალაც უღიტინებს, ფიქრობს: რა კარგად მიდიოდა კომუნის დღეები, მუშაობა, დაწყნარებული ვიყავით, ვმუშაობდით ყველა გამოუკლებლივ. არავინ არ გრძნობდა სინიდისის ქენჯნას, ახლა კი, რომ მივდივარ ქუჩაში, ყველა მე მიყურებს, მგონია, ყველა ტერეზიას შესახებ მელაპარაკება, რა მოხდა ისეთი, რომ ასე სასწრაფოდ შეიცვალა კომუნის ცხოვრების მშვიდობიანი, დაუღალავი, წმინდა ფაქიზი შრომა ამ მშფოთვარე, ქარიშხლიანი დღით, როცა ჩემი არავის სჯერა? მართლა ხომ სისუსტედ ჩაგვეთვლება, რომ ერთი მეტად მტკივნეული საქმე შეგვხვდა და ვერ გადავწყვიტეთ რიგიანად? ამაზე უფრო დიდი საქმეები არ შეგვისრულებია? ამაზე უფრო რთული არ იყო კომუნის დაარსების დროს კულაკების წინააღადეგ ბრძოლა? რად ღირს ჯოტოს და ლაზარეს შეჯახების სურათის მოგონება, ან ბათლომესათვის ფეხის მოჭრა კომუნის გამარჯვებისათვის ბრძოლაში? ჰო და ამის შემდეგ როგორ უნდა გამიჭირდეს ტერეზიას თავზე დამტყდარი უბედურების ლეჩაქივით მოხდა? რაც იყო, იყო, და ნუთუ ტერეზიას, პატიოსან მშრომელ კომუნარს მოვიცილებ თავიდან და ქვეყნის მტრებს გადავუგდებ საჯიჯგნად? არა, ამას არ ვიზამ! მაშინ სად არის ახალი ცხოვრების ახალი სიტყვა, აზრი, მაშინ ჩვენ ხომ არ ჩავითვლებით მოწინავე ხალხად, არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ყოფაცხოვრებითაც? არა არა, ამას არ დაუშვებ! ჰო და მივსცემ ნებას ძველი ადამიანის დახავსებულ

ცხოვრებას გაიმარჯვოს ახალზე? არა, ამას არ ვიზამ. მაშ როგორ მოვიქცე?— აქ დაფიქრდა ლუკა, მერე თავი მაღლა აიღო და განაგრძო:

— არც ასეა საქმე. მართალი ხარ, ბარბალე, სისუსტედ ჩაგვეთვლებ- ახლა ჯოტოს გამოწვევა. ვეყოფით ამ საქმეს, ჩვენც მოვუვლით კომუნის თვითეული წევრის ცხოვრებაში გაჩენილ ავადმყოფურ მოვლენებს, როგორც დღემდე გვიპატრონებია ერთმანეთისათვის... ჩაფიქრდა ლუკა... რათ შემოგეარა უიმედობის მდინარის წვეთები, რომ კრებას ვერ უძღვები ასეთ მდგომარეობაში? აბა კარგად დააკვირდით, ჩემო თვალებო, ამ კრებას რატომ გაჩუმებულან სხვები? ცუცათი და მისი თანამგრძნობი დედაკაცით ხომ არ ამოიწურება მთელი კრება? ცუცას არასოდეს არ ეტყობოდა, რომ ის ჭკვიანი და დინჯი ქალი იყო, ჰო და რას ჩავცივებივართ მის ლაპარაკს და არ ვეკითხები დანარჩენებს? მაშ ესეც ჩემი სისუსტეა. ადამიანს ცხოვრებაში ყველაფერი მოუვა, მერე ამიტომ უნდა დავიბნეთ, ავტეხოთ ყვირილი, კივილი და ვერ მოვძებნოთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალება? არა, ასე არ შეიძლება! მაშ, ჩემო თავო, მოთოკე ხელში ამ ხალხის ნება-სურვილები და მომართე ჩვენს ცხოვრებაში დალექილი ძველი ჩვეულებები და ძველი კარჩაკეტილი თვისებების წინააღმდეგ"—ასე ფიქრობდა ლუკა თავისთვის გულში. მან ამით გამოარკვია თავისი თავი, მიხვდა სად არის ახლა საკითხის ნამდვილი დედააზრი. მან ისიც გამოარკვია, რომ ამ განიერ ოთახში, სადაც მხოლოდ რამდენიმე სკამი და გრძელი მაგიდებია, ლუკას პირდაპირ თვალებში მისჩერებიან კომუნარები. ამღვრეულ სახეებში მათ ეტყობათ, რომ სურთ აგრძნობინონ ლუკას: აქ აზრის დაბნევა არ შეიძლება, რადგან თუ ის გასინჯავს თვითეულის მაჯისცემას, მისწრაფებას და ტერეზიას ირგვლივ მომხდარი ამბის საფუძველზე წარმოშობილ შეხედულებას კომუნის საერთო ცხოვრების შესახებ, მაშინ ლუკა დარწმუნდება, რომ კომუნარებისაგან კრებაზე სამი თუ ოთხი პიროვნების ერთი და იგივე ხმები ისმის.

— ამხანაგებო! მეტი ლაპარაკი არ არის საჭირო. საკითხი გამორკვეულია, რაც მოხდა, მას სხვა რამით ვერ შესცვლი. არც იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ გავაზვიადოთ კომუნარების საშიშროება ამ ყოფაყცხოვრებით საკითხში. იგი; მართალია, წარმოიშვა ჩვენს წიაღში, მაგრამ მას გვერდის შემოვლა უნდა გონიერად, და არ ყვირილით. ცუცას და მის ამხანაგებს თუ დაუჯერეთ, მაშინ ტერეზია აქვე არის მოსაკლავი, ან უნდა გავაგდოთ კომუნიდან. მერე, რა გამოვა აქედან? შევიტანთ რაიმე ცვლილებას ჩვენს ყოფაცხოვრებაში? არა! მხოლოდ ვიზამთ მას, რომ ტერეზიას გავაგდებთ ქუჩაში სამარცხვინოდ, ამით დავღუპავთ მას, როგორც ახალგაზრდა ადამიანს, მტრების გულში კი ჩვენივე ხელებით შევიტანთ იმ იმედს, რომ კომუნა იშლება და იხრწნება. მეკითხებით, ამხანაგებო, გინდათ ამ მოფლის კულაკებმა და საერთოდ მოსისხლე მტრებმა გაიხარონ ან იჯირითონ ცხენებივით ჩვენს ზურგზე და ილაპარაკონ ჭორები, როგორც მათ უნდათ?

— არა, არ გვინდა!!

— ჩვენ მხოლოდ ამბის გაგება გვინდოდა!

— ჰო, მართალია, ლუკა რასაც შენ ამბობ, ბარდღას, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
და სხვებს გულს გაუხარებს!

— არა ხართ მართალი, ტერეზიამ ყველა დაგვსვარა ტალახიან ღორივით!

— ისე გაიარე, ცუცა, რომ ნულარ მიედები ტალახში ამოგორებულ ღორს და მაშინ სუფთად იქნები, — ასეთი პასუხი მისცეს ლუკას მიერ დასმულ საკითხებს კომუნარებმა.

ლუკას იმედების მთელი ლაშქარი მოაწვა, რომ ამ საკითხს დადებითად გადასჭრის და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცებს კომუნის მჭიდრო მთლიანობას ცხოვრების ყველა საკითხში.

* * *

ბარბალეს გული ხაროობდა.

მისი თვალები ვერცხლისფრად ბრწყინავდენ სიხარულისაგან. თუმცა ხანში შესული ადამიანის გამოხედვა ბარბალეს არსებაში სიცოცხლის უდიდესი სიყვარულით და წარსულის გამოცდილების მძლავრი გაჭანებით გამოიყურება. მას ძველი შავბნელი ცხოვრება გაუვლია, ბილიკები გაუკვერავს, ოდნავ წელში მოხრილა ამ წლების მანძილზე, თვალის უპეებში ღრმა განცდათა ნაგუბარი ჩასდგომია ცხენის ნატორალივით. შუბლზე დაღარულ ნაოჭებში აქა-იქ მეტის მეტად დიდი ნარვალი გაუკეთებია უსაზღვრო მწუხარებაში გამოწრთობილ ადამიანის ფიქრთა დენას, როგორც განიერი მდინარის კალაპოტიდან ამოვარდნილ ჩქეფს, რომელიც საყანეებზე გადავლის დროს სტოვებს პატარ-პატარა ღელეებს და ღარებს. იგი წააგავს ხნულში ღიად დარჩენილ გუთნის უკანასკნელ ღარს.

და ამ წუთში, როცა ლუკას მიერ გადმოხეთქილ სიტყვებში ჩანს აზრის სისწორე, სიჯანსაღე და გარკვეულობა, ბარბალე დიდად კმაყოფილი რჩება. მის გაღიმებულ სახეზე ისახება და ვლინდება ტერეზიასადმი ამხანაგური და დედაშვილური სიყვარული, მაგრამ არა ძველი ადამიანის, რომელიც ყოველ დროს იმაზე ფიქრობს, თუ ყველაზე უკეთესად როგორ მოაწყოს საკუთარი ცხოვრება სხვის უბედურებაზე, არამედ მშვიდ, მახვილ აზრებს და განწყობილებებს სურს ამხანაგური დახმარება და ამხანაგური ზეგავლენა იქონიოს ტერეზიაზე. ბარბალესთვის სულ ერთია ტერეზია იქნება თუ კომუნის სხვა რომელიმე წევრი. ის ყველას გულთბილად მიუდგება, ყველას ამხანაგურად გაიცხავს, ყველას ამხანაგურად შეიყვარებს.

ლუკამ თითქმის ყველას სახეზე ამოიკითხა: „გავიგეთ, გავიცანით ტერეზიას დანაშაული და მისი საქციელი ამ ამბავში, აქ არაფერი მომხდარა ისეთი, რომ ამით კომუნას თავი მოეჭრას, ან კომუნამ მოიცილოს თავიდან საუკეთესო მომუშავე ქალი. რა ვუყოთ, თუ დაორსულდა. ბავშვი შეეძინება, არა? ძალიან კარგი! ამით კომუნას შეეძინება ერთი წევრი. ცუდია, მერე, ეს?? შეიძლება ის არის დამაფიქრებელი, რომ ბავშის მამა სხვა არის? ეს ხომ ტერეზიას ბრალი არ არის, ან და ამას რათ ვარჩევთ აქ? ამიტომ, ლუკა, მოათავე ამ საკითხის გარჩევა, ნუ აგვიანებ“.

* *
*

ტერეზია კი თავაუწევლად იდგა. ღია ფანჯრებიდან შემოჭრილი ნიავი ჩამოშლილ თმას მას ბეჭებზე აფენს; ამ დროს მისი გამოხედვა იტევს კომუნარების აზრებს და სურვილებს, ის ფიქრობს ამ მოზღვავებული, ნამდვილ ამხანაგური თბილი გრძნობების შესახებ, რომელიც ბარბალესა და ლუკას მეთაურობით მოაფინეს კომუნარებმა ამ მიდამოებში სათესლე ხორბალივით. უფრო კი მას აღელვებს ამ ყოფაში მოქცევა. რატომ შეცდა, რატომ ვერ გაახილა თვალი და ვერ შეიგნო, რომ ქვეყანა ჩალით არ იყო დახურული? მეორეს მხრივ ცუცას საქციელი, მისი ლაპარაკი და სახის რაღაც საშინელი გამომეტყველება ტერეზიას აღონებს, აფიქრებს. რატომ მოექცა მას ასე ცუცა, რომელსაც ტერეზია დიდ პატივს სცემს? მაგრამ მას უცებ მოაგონდა: ცუცა შეუგნებელი ქალია, სიბნელესა და სიყრუეშია გამოზრდილი. არავინ იყო ამდენხანს მის გაჭირვებულ ცხოვრებიდან გამომყვანი, სწორ გზაზე დამყენებელი, მასწავლებელი. ის ჩაფლული იყო სიღარიბის მორევში. უკულტურობის წუმპეში ჩავარდნილს, არ ჰქონდა საშვალება აზროვნების განვითარებაზე ეფიქრა, ამიტომ არის მისი სიტყვა უხეში, ტლანქი, გაუთლელი, ამიტომ არი, მისი აზრი ჩლუნგი, მოუხეშავი, პირბლაგვი... ტერეზიამაც წარმოიდგინა ყველაფერი ეს და ფიქრობს: „აქ საწყენი არაფერია, რადგან მას ამ შემთხვევაში მეტს ვერ მოთხოვ, ის ახლად შემოსულია კომუნაში. მომავალში კომუნა თავისი კომუნისტური მსოფლეხედველობით და ალმზრდელობით შესძლებს ცუცას თავში შეიტანოს სწავლ-განათლების გაჩირაღდნებული ლამპარი; მაშინ ცუცა არ ალაპარაკდება ოთხმოცი წლის დედაბერივით, რომელსაც არ სწამს ახალი ცხოვრება და, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ გაახანგრძლივოს თავისი ძალლური ცხოვრება“.

ამ მოვლენას ტერეზია უფრო კარგად ასაბუთებს, როცა წარმოიდგენს თავის საკუთარ თავს, თუ რა დაემართა მას შეუგნებლობით. მაგრამ ვინ შექმნა ტერეზიას არსებობაში ეს შეუგნებლობა? ტერეზიას აქაც ერთი პასუხი აქვს მზად: წარსულმა ცხოვრებამ, როცა ეკონომიური მდგომარეობა მას ხელს არ უწყობდა სწავლა-განათლება მიეღო.

ლუკამ განუზომელი სიმძლავრით შემოიკრიბა ძალლონე, ცერებზე შედგა მაგიდას ჩინარივით გადმოადგა მაღლიდან, მერე ხელები წამოიკაპიწა და მთელს კრებას გადასწვდა.

— მაშ, ამხანაგებო, საქმე ასეა: ამ ლაპარაკის გამო რაიმე დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. თუ ვინმეს ამ საკითხზე უნდა წინადადების შემოტანა—მეტი ლაპარაკი, მგონი, საჭირო არ არის.

— მართალია, გვეყოფა!—წამოიძახა კიკილია აბზიანიძემ. მას სხვებიც გამოექომაგენ.

— თუ მართალია, მაშინ მე მომეცით სიტყვა წინადადებისათვის, სთქვა ბონდომ.

მან დაიწყო!

— ჩემის აზრით, მართალია, ერთი თვალით რომ შევხედოთ ან საქმეს' ტერეზიას დიდი დანაშაული მიუძღვის, მაგრამ მეორეს მხრივ არ ღირს ამ ამბის საქვეყნოდ გამოტანა და ტერეზიას კომუნის საერთო ოჯახიდან მოწყვეტა.

— ამისათვის რას მოითხოვ შენ?—შეეკითხა ლუკა მას.

— მე რაც მინდოდა, ვთქვი, ახლა დავუმატებ. დავტოვებ ტერეზიას კომუნის რიგებში.

— ბავშს რა უყოს??—წამოიძახა მაქსიმემ.

აქ ცოტა შეჩერდა ბონდო. ხელისგული ხუთივე თითით დაურჩა პირზე დაფარებული. სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ყველას დაება ენა. ბარბალე ზის მაგიდის ახლოს და უყურებს, თუ როგორ ჩააჩუმა ამ ხალხის ნება—სურვილი ბავშის ხსენებამ.

— ბავში უნდა მოიწყვიტოს!—ციგად ისროლა ცუცამ სიტყვა, თან მის გვერდით მჯდომ ამხანაგებს ჩურჩული დაუწყო.

ეს სიტყვა ყველას საშინლად დააწვა, განსაკუთრებით კი ტერეზიას. იგი ნაწილობრივ დამშვიდებული იყო, რადგან კრების საერთო განწყობილება მის სასარგებლოდ იყო მომართული, ახლა კი აიმღვრა ყველაფერი.

— აბა მაგის ბავშს ჩვენ გამოვზრდით?

— ვისია რა ვიცით ჩვენ?

ლუკას ესმის ეს სიტყვები, არაფერს ამობს, ჩუმად დგას.

კიკილია თვალებს ხარივით აბრიალებს. მას უნდა გაიგოს: ვინ არის ბავშის მამა. აშკარად ამ საკითხის დასმა უჭირს. შეიძლება ამ სიტყვამ ბევრი უკმაყოფილება გამოიწვიოს, ამიტომ კიკილია გაჩერდა, არაფერს ამბობს.

— ამხანაგებო,—დაიწყო ლუკამ,—ჯერ გადავწყვიტოთ პირველი საკითხი: დარჩეს თუ არა ტერეზია კომუნაში?

კომუნარებმა მთლიანად ასწიეს ხელები, სამიოდე დედაკაცის გამოკლებით.

— დარჩეს!

— ჩვენც ეს გვინდოდა!

— მაშასადამე, ვადგენთ, რომ ტერეზია რჩება ჩვენი კომუნის წევრად და ჩვენც მას მოვუვლით!—დაუმატა ლუკამ.

— ახლა მეორე საკითხი. ბავშს რა უყოთ? აქ გამოითქვა აზრი—ბავში მოიცილოსო. ჩემის აზრით, ეს რომ მოვითხოვოთ ტერეზიას, ეს ჩვენთვის სამარცხვინო საქმე იქნება. ამისთვის მაგრად გაგვლანძღავენ და სამართლიანიც იქნება, ჯერ ერთი იმისთვის, რომ ეტყობა ქალს მუცელში ბავში დიდი უნდა ჰყავდეს, მეორეც იმისთვისაც, რომ რა იქნება, თუ ერთი ბავში აჭყვირდება ჩვენს კომუნაში სხვა ბავშებთან ერთად. მით უმეტეს, რაც შევერთდით, რაც კომუნა დავარსეთ, ბავში არ დაბადებულა კომუნაში.

— მერე ნაბუშარით დავიწყოთ ბავშების გამრავლება?!—მორცხვად წამოიძახა მაქსიმემ.

— რატომ ნაბუშარით, განა ის ჩვეულებრივი ადამიანი არ არის?

მატად რთულ ფორმებში იშლება აზრთა წინააღმდეგობა. ზოგიერთებს ვერ მოუნელებიათ, რომ ტერეზიას ბავში ეყოლოს ვილაცასგან და ის გახდეს კომუნის მემკვიდრე.

ეს სულმოკლე ადამიანები თანახმანი გახდენ ტერეზიას კომუნაში დატოვების, მაგრამ ბავშის დაბადებას კი ეწინააღმდეგებიან.

— ტერეზია ვის ეკუთვნის?—იკითხა ლუკამ. მას ერთად უპასუხეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კომუნას.

— მაშ მისი ბავში ვის უნდა ეკუთნოდეს?!

ერთი წუთით შესდგა კრების ყურადღება, მერე ისევ წამოიძახეს.:

— ბავშიც კომუნას უნდა ეკუთვნოდეს!

— სწორია! აბა ჩვენს სისხლსა და ხორცს სხვას მივგვრით ეზოში?—სოქვა ბონდომ და თავის მეუღლე ცუცას ტუჩზე ხელები მიაფარა, რომ არაფერი წამოეყრანტალებია.

ბონდო ძალიან წუხდა, რომ ცუცას ჯერ ვერაფერი შეასმენინა, ცუცა მას ხშირად არცხვენს დაუკვირებილი ლაპარაკით. მაგრამ ბონდოს იმის იმედი აქვს, რომ ცუცას ჩააბამს სხვადასხვა წრეში, იქ ცუცა ისწავლის, განვითარდება და მერე ბონდოზე ნაკლები ცოდნა და გამოცდილება არ ექნება.

ბარბალე ამდენხანს ჩუმად იჯდა. შეატყო რა, საკითხის საბოლოოდ გადაჭრა რთულ სახეს ღებულობსო, განიზრახა გავლენის მოხდენა იმ ამხანაგებზე რომელნიც ბავშის შესახებ იჩენდენ დაბნეულობას და არასწორ მიდგომას. ამიტომ ღრმად დააკვირდა მათ ჩამობნელებულ თვალებში, რომელთაც ბინდი გადაჰკვრიათ, რაც არ აძლევს მათ საშუალებას სწორი და ჯანსაღი შეხედულება იქონიონ ირგვლივ მყოფ საგნებსა და მოვლენებზე. ბარბალე თავისი გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი თვალებით თითქოს გადაწმინდა ეს სიბნელე მთებიდან ამდგარ ღრუბლებივით, რომელიც კულულებად დახვეული მიდის მაღლა.

— ტერეზიაც ჩვენია და ბავშიც ჩვენი უნდა იყოს. კომუნა არ ჩაიდენს ისეთ რამეს, მერე რომ მიაფურთხონ მას თვალებში, ამისთვის ვიდრე ბევრს ვილაპარაკებდეთ, საჭიროა დავუკვირდეთ რას ვამბობთ, ვისთან გვაქვს საქმე, როგორ გვიცქერიან ჩვენი მტრები და ამავე დროს ეს ჩვენი მოქმედება რა გავლენას მოახდენს კომუნის არაწევრ მშრომელ გლეხებზე, რომელნიც კომუნის კარებზე უკაკუნებენ ჯოხს შემოსასვლელად. დღეს თუ ხვალ ეს გლეხები ჩვენთან უნდა მოვიდენ, ნუ დავაფეთებთ მათ ცუდი საქციელით, რასაკვირველია, ნურც ისე მოვიქცევით, რომ ყველა უარყოფითი მხარე შევალამაზოთ გარედან და დავმალოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს ცხოვრებაში. არა, ამას არ მოვითხოვ. მოკლედ—მე მოვითხოვ ბავში ეყოლოს კომუნას, და ეს იქნება პირველი ბავში, რომელსაც არ ეცოდინება რა არის კერძო საკუთრება!

ყველას მოეწონა ბარბალეს აზრი.

სანამ ბარბალე იტყოდა ამ სიტყვებს, ბავშის ხსენების გამო ისევ აიმღვრა კომუნარების გონება, მათში თავი იჩინა უთანხმოებამ, ისევ გაირღვა შენაერთშედულებული ფიქრების ხვეულები, ამიტომ ბარბალეს სიტყვებმა კომუნარების აფორიაქებულ თავებში სიმშვიდე შეიტანა.

უხარია ლუკას. ის კმაყოფილია ბარბალეს გამოსვლით, მაგრამ იმდენად მძლავრად დაძრულა დაბნეულობის თვალუხილავი ლაშქარი ცუცასა და მის ახლო მჯდომ კომუნის წევრებში, რომ ლუკას უჭირს მათი დამშვიდება. იგი ცდილობს გააგებინოს მათ, რომ ამ საკითხის გამწვავება ხელს შეუწყობს კომუნის სახელის გატეხას, ამით კი კომუნის გავლენას მთელს მოსახლეობაზე შეასუსტებენ მტრების გულის მოსაგებად.

— შემოტანილია ბარბალეს მიერ წინადადება, რომ ჩვენს კომუნას ტერეზიას მიერ ეყოლოს ბავში. მეტი წინადადება ხომ არ არის?—სთქვა ლუკამ.

— მე მაქვს!—დაიძახა ცუცამ. მას მაქსიმემაც ბანი მისცა, ცუცა გათამამდა.

— სასტიკი წინააღმდეგი ვარ ასეთი წინადადების. მოვითხოვ, რომ ტერეზიას არ ეყოლოს ბავში, მოიწყვიტოს, თუ უნდა დაახრჩის კიდეც, ერთი სიტყვით, ბავშის ხმა არ გავიგონოთ! როგორ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ კომუნას ტერეზიას მიერ ეყოლოს უკანონო ბავში? აბა დაუკვირდით: ის ბავში ყვირილისა და ჭყვირილის შემდეგ წამოიზრდება, თვალწინ გვეყოლება, უნდა ვეთამაშოთ, მოვეალერსოთ, გამოვზარდოთ და განა შეიძლება ასე მოვიქცეთ, როცა ყოველ მის დანახვაზე მოგვაგონდება, თუ როგორ წაბილწა ტერეზიამ ჩვენი სახელი?

— არ გვინდა, ამხანაგებო, ცუცას აგიტაცია! რას გვასწავლის, თუ როგორ მოვიქცეთ! ამხანაგო ლუკა, ერთი ჩვენც მოგვხედე, ნუთუ ამ კრებაზე მარტო ცუცა არის? ჰო.და მოვითხოვთ, რომ ტერეზიას ეყოლოს ბავში, ჩვენ მას შევინახავთ ტერეზიასთან ერთად!—ასე მიმართა ლუკას კიკილია აბზიანიძემ.

ლუკამ საკითხი ამოწურულად მიიჩნია, სავსებით დარწმუნებულმა იმაში, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება, მან კრებას მიმართა:

— ვინ არის მომხრე, რომ ტერეზიას ბავში ეყოლოს, ასწით ხელები!

ამ სიტყვის გულიდან ამოხეთქისთანავე, ჯერ ბონდომ ასწია ხელი, მერე კიკილიამ, ლუკამ, ბარბალემ და მათ ხელებს ნელ-ნელა შეუერთდა კრებაზე დამსწრე კომუნარების თითები.

ცუცამ დამარცხება იგრძნო. უფრო კი ვინ დამარცხდა? ლუკას უნდა სთქვას, არა, ლუკას კი არა, მისი სახის გამომეტყველება და ნებისყოფის სიმტკიცე ლაპარაკობს, რომ დამარცხდა ძველი ქვეყნის ზნე—ჩვეულებები და ძველი ადამიანის უკანასკნელი გაბრძოლება, რომელსაც თავი მოუკალათნია ცუცას სხეულსა და ფიქრებში.

მართლაც რომ დამარცხდა ცუცას არსებაში შემოპარული მტრის განწყობილება, რის შესახებ არაფერი იცის ცუცამ. მას ჰგონია, კარგ საქმეს აკეთებს, თუ ტერეზიას წინააღმდეგ იბრძვის. ცუცა თვითონ საკუთარი ხელებით გაუჭეშყდა თავს ამ გველური აზრების მატარებელ არსებას, რომელიც მას შემოპარვია სხეულში, მაგრამ არ იცის მისი არსებობა. იგი მისდა შეუმჩნევლად შემოძვრა მაშინ, როცა ცუცას თავში მაგრად მოიდგა ფეხი სიბნელემ და უკულტურობამ. ცუცა არ გრძნობს მტრის არსებობას, რომელიც მის გულში და თავში ზის ციხის დარაჯივით. რას იცავს? ვის ებრძვის? ვინ არის ეს ადამიანი, რომ ამაგრებს მას? არ იცის ცუცამ. ამიტომ იცავს ამ მავნე აზრებს იგი. საუკუნეებით დაგროვილი ბნელი და ჩამორჩენილი აზრები ცუცას არსებაში დასაკლავ ხარივით აბრიალებს თვალებს. იგი ხან გამძაფრდება ქარიშხლიან დღეებივით და ხან კი დაყვავდება ნაფოტაზე მოტყუებულ ძაღლივით. როცა მტრის განწყობილება ნოყიერ ნიადაგს შოულობს, მაშინ მისი სიძლიერე საშინელ გავლენას ახდენს ცუცაზე.

კომუნამ შეამჩინია ამ აზრების არსებობა ცუცას ორგანიზმში. ამიტომ ცდილობს თავი გაუტეხოს ცუცას გაგებით გულწრფელი სიტყვების შიშმა არსებულ და ამოფარებულ მტრების შავად ჩამობნელებულ სახეებს — და ამ ყაბნელით დანისლულ მიდამოებს, რომელიც აპირებს მტრის ლაშქარივით შემოეხვიოს კომუნას, მაგრამ ამაოდ,—ამ მტრულ განწყობილებას დაეჯახა ცხოვრების ბუნებრივი განვითარების შედეგად მიღებული ჯანსაღი ადამიანების ჯანსაღი აზრების სიძლიერე.

და იგრძნო ცუცამ და მის უკან ამოფარებული ადამიანების აზრებმა დამარცხება. იგი ყველასათვის თვალსაჩინოდ მოსჩანს. არა თუ მოსჩანს, არამედ ანათებს, მაგრამ დამარცხებულთა ფიქრები არ ცხრება, მოძრაობს, ბორგავს, კიდევ აპირებს ზეზე წამოდგომას, მუხლების გამაგრებას, ჭაობიდან ამოსვლას. შეხედეთ, როგორ აიფოფრა მისი თმები გაჭენებული ცხენის ფაფარივით, თვალები გაუბრწყინდა, სასტიკი ომი გამოუცხადა იმ ახალს, რომელიც დადგინების პროცესშია და კომუნარების სურვილებშია შეჭრილი.

* * *

ჯერ კრების მდივნის კალამს მელანიც არ შეშრობოდა, რომ კომუნის ირგვლივ შემოხვეულმა მტრის მზერამ ერთხელ კიდევ გააფათურა თავისი სისხლიანი ხელები და ლორწოიან გარსით სავსე თვალები შეუგნებელი ადამიანის თავში.

იგი ახლა ანათებს მისი შავბნელი თვალებით ცაცას არსებაში და ეს გაჩირაღდნებული ლამპარი მოჩანს ისე, თითქოს შემოდგომის ბნელ ღამეში დაძრწოდეს დამშეული მგელი ჭალებში დარჩენილი ცხოველების გასაგლეჯად.

მაშინ მგლის თვალები ცეცხლს ანთებს სიბნელეში და მოჩანს ანთებულ ჩირაღდანივით. ასეთია ახლა კომუნის საერთო კრებაზე მისი თვალების გამოხედვა. აი, უკვე წამოდგა ცუცა, სიტყვა მოითხოვა:

— საკითხი გადასწყვიტეთ, ხომ?

— გადავწყვიტეთ! რათ კითხულობ, თავიდან ხომ არ უბრუნდები საკითხს?

— არა, თავიდან კი არ ვუბრუნდები, ბოლოდან მინდა დავიწყო. საკითხი თუ გადაწყვეტილია, მაშინ გვითხრას ტერეზიამ ვინ არის მაგ ბავშის მამა!!

ზოგიერთების ცნობისმოყვარეობით დატვირთული აზრები, რომ გაეგოთ ვინ იყო ბავშის მამა, უფრო გაღრმავდა, გაიშალა და მათ ნაწილობრივ თანაგრძნობით შეუჭვრიტეს ცუცას სიტყვების დედა აზრს.

კიკილია აბზიანიძესაც მოეწონა ეს სიტყვები, რადგან მისი მიზანი იყო გაეგო: ვინ არის ის ადამიანი, რომელმაც ასეთი არევ-დარევა გამოიწვია კომუნარების ცხოვრებაში.

ტერეზიას კი ამ სიტყვების გამაყრუებელმა ხმებმა ყურები ამოუვსეს ქვებით და გული მოჰგლიჯეს ძარღვებიდან. ულონოდ ჩაიკეცა ის მუხლებში, უნდა დაეცეს, მაგრამ ბარბალემ შეაჩერა.

ეს ხმები ყველასათვის დამაფიქრებელი შეიქნა. ამ წუთში ყველამ გაახილა თვალი ფართედ, ყველამ უცნაურად შეუჭვრიტა ტერეზიას გულის სიღრმეში, სადაც საიდუმლოებით მოცული გამოუცნობი ადამიანის მგლური გამოხედვა

ფატრავს მჭრელ დანასავით სიბნელეს და თავისი ბოროტი თვალებით, ბოროტი გრძნობებით ანთხევს შხამს და გესლს კომუნის წინაალმდეგ.

ლუკას ფიქრები ჩაიძირა ამ უსაზღვრო განწყობილებების ზღვაში. იგი ჩაეშვა ღელვის დროს შუაგულში გემიდან გადასროლილი ლუზასავით. იგი დავიდა ამ ხალხის სხეულში გამჯდარი აზრების ფსკერამდე, დაიტვირთა ამ ხალხის გრძნობებით, ფიქრებით, ცნობისმოყვარეობით, და ამიტომ დაიძრა ის ერთი წერტილიდან, თითქოს კლდე ყინული დაძრულიყოს მთიდან ზღვაში ჩასაშვებად. ტერეზიას გაფითრებული სახით შეეკითხა:

— სთქვი, ტერეზია, ვინ არის ბავშის მამა?

— არ შემიძლია, ვერ ვიტყვი!—ტანჯვით და წვალებით უპასუხა ტერეზიამ მას. სახეზე სინიდისის ქენჯნის დაუსრულებელი ტალღა შემოასკდა.

ოღონდ ასეთი კითხვა არ დაესვათ ტერეზიასთვის და ის მგონი ბავშის მოშორებასაც დასთანხმდებოდა. შეირყა ის ადგილი, რომელზედაც ამ ხუთი წუთის წინ მაგრად გრძნობდა თავს ტერეზია, შეირყა მისთვის ეს ქვეყნიერებაც... თითქოს მის ირგვლივ ყველაფერი ტრიალებს, გარბის, ერთმანეთს ეხეთქება, უფრო კი ტერეზია ეხეთქება ცხვირპირით სახლის კედლებს. ჭექა-ქუხილივით გადმოსროლილი სიტყვები მის გულში იჭრება, და გული მეხის დანაცემ მუხასავით სკდება, ცეცხლი ეკიდება, და იწვის ის ერთად-ერთი იმედი, რომლის ფერფლად გადაქცევის შემდეგ ტერეზიას თავის სიცოცხლე არაფრად არ მიაჩნია.

ახლა როგორ მოიქცეს? სთქვას ყველაფერი? მაშინ ხომ ამხედრდებიან მის წინაალმდეგ ცუცა და მისი ამხანაგები? შეიძლება სხვებიც აიყოლიონ! არ სთქვას? მაგრამ ლუკაც რომ მათი გავლენის ქვეშ მოექცა, ლუკაც რომ დაინტერესდა? როგორ აიცდინოს პასუხის მიცემა თავიდან?! სად ხარ ბარბალე! შემოხედე ტერეზიას, როგორ იგრიხება თოკივით ეს ქალი, შეიძლება შენ შესძლო ამ შურდულივით გადმოსროლილი კითხვის პასუხის გაცემა? მაგრამ ბარბალეც რომ სდუმს?!..

— მეტი არაფერი დამრჩენია, უნდა ვთქვა!!..

— შენთვის ხომ სულ ერთია, დადგენილება შენს სასარგებლოდ მივიღეთ, ახლა კი კომუნამ იცოდეს, ვინ არის ბავშის მამა,—კიდევ გაუმეორა ლუკამ.

ტერეზიამ შეკრული კბილები ოდნავ გახსნა, ნელ-ნელა აამოძრავა პირი და ხმადაბლა მილეული ხმით ძუნწად გადმოისროლა სიტყვა:

— ბარდღ..... ამ სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ კრებაზე არაჩვეულებრივი გუგუნი და ხმაური შეიქნა.

— ბარდღა!

— ბარდღა!!

— ბარდღას შვილი გაზარდოს კომუნამ?!

— მან მოგვისპო სიცოცხლე და მისი შვილი გავზარდოთ?!

— ეგება ბავშიც მას დაემსგავსოს!!

— ხალხო! რას გაჩერებულხართ, ხომ არ გაგიჟდით, დავხიოთ ჩვენი დადგენილება, თორემ მაგის შვილი რომ გეიზრდება, გველის წიწილასავით დაგვიწყებს კბენას!!

— ხომ გითხარით, ასე იქნება-თქვა?!

ასეთი ჟინმორეული სიტყვები გაისმა ბარდღას სახელის გაგონებაზე. მაშინ ყველას თვალსაჩინოდ წარმოუდგა ბარდღა ბარათელიას ოჯახის მტრობა, დევნა და შემოტევა კომუნის წინააღმდეგ. მაშინ ყველას თვალწინ გადმოეშალა ჯოტოზე თავდასხმის მოწყობა კომუნის დასაშლელად და ყველას მოაგონდა კომუნის მიერ გაღებული მსხვერპლი ბათლომეს მუხლის მოკვეთის სახით.

ეს ამბავი არც ისე დიდი ხნისაა, მას შემდეგ მხოლოდ ექვსმა თვემ განვლო, ბათლომე ჯერაც არ გამოსულა საავადმყოფოდან. ამიტომ ბარათელიას სახელის ხსენებამ გახსნა ის ჭრილობა, რომელიც მისგან მიიღო კომუნამ.

* * *

ასე დაირღვა მყუდროება.

ასე დაიშალა სიძულვილი ბარდღას წინააღმდეგ ქარავანივით.

ასე დამძიმდა თვითეულ კომუნარის თავი ამ ახლად გაგონილ ამბის სიუხვით, თითქოს ვინმეს წისქვილის ქვები დაეტრიალებინოს მათ მუწუკიან გულმკერდზე.

და ახლა იჩინა თავი სიძნელემ ამ ახალ მოვლენაში გარკვევის დროს. ერთის მხრივ არაფერია, რადგან კომუნამ გამოიტანა დროებითი ხასიათის დადგენილება ტერეზიას შესახებ, მაშ მეტი რა არის საჭირო? მაგრამ ლუკაც რატომ გაჩუმებულა, რატომ არ ამბობს რაიმეს მოკვეთილად და გასაგებად ამ საქმის ირგვლივ, რომ ეს ხალხი სწორ გზაზე დადგეს? მასაც ეწყინა? თუნდაც ასე იყოს, ტერეზია რა შუაშია აქ? განა ტერეზია არ იტანჯებოდა ბარდღას ხელში, განა ტერეზია არ იყო, რომ ხელიდან გამოუსხლტა მას და გახარებულმა და აღფრთოვანებულმა მოაშურა კომუნაში?—ყველაფერი ეს დაუტრიალდა ლუკას თავში.

ის ფიქრობს: მერე რა, იყოს ბავშის მამა ბარდღა ბარათელია, რას გვიშლის ხელს, მისი შვილი კი პატარა კომუნარი იქნება, ჩვენთან გაიზრდება, ძარღვებში კომუნის სისხლი ჩაუდგება. არა! არა! არ არიან მართალნი, რომ ეს ბავში დავაჟკაცების შემდეგ ჩვენ დაგვიწყებს კბენას გველივით. ნუ ვაყოვნებ. ამდენი ტანჯვაც არ შეიძლება ადამიანის, მაგრამ რატომ მჭეჭკავს რაღაც გულში, რატომ მტკივა გული? რატომ მაწვება მეც წარსულის სიმძიმე? არა! ეს არ შეიძლება, უნდა გავთავისუფლდე ასეთი აზრებისაგან,—ფიქრობდა თავისთვის ლუკა.

ხალხი კი ამ ოთახში ზანზარებდა, ერთმანეთს ებრძოდენ, პირში სიტყვას სტაცებდენ. ამგვარ მდგომარეობაში მყოფნი თანდათან ღელდებოდენ.

ლუკა უყურებდა მათი განრისხებული სახეების საშინელ მოძრაობას და ეძებდა შესაფერ დროს, რომ დაეწყო მათი დამშვიდება, მაგრამ ხმაური თანდათან ძლიერდებოდა,შორს მიდიოდა ზღვის ტალღასავით. ბოლოს ისე გაძლიერდა ეს ხმაური, რომ არ ჩაეტია საიდუმლოების რკალში და გადმოეშვა კომუნის კედლების გარეთ, კომუნის ეზო-კარში. ეს ხმები გაიშალა მტრის ლაშქარივით ახლობელ მიდამოებში. ყველას ჩაუწივლა ყურში. შეიქნა ჩურჩული, მოთქმა და გესლიანი ხითხითი კომუნის მტრების შორის. ისინი ხომ ამ დროს შესტრფო-

დენ! გაიხარა მათმა გულებმა. აუსრულდათ ნატვრა—კომუნა შიგნიდან გაიხრწნებაო. ასე ფიქრობდენ ისინი. ასე უნდათ მათ, რომ იყოს; და ესე—ესმით მათ კომუნის შინაგან ყოფაში მომხდარი პატარა ამბის შინაარსი და მისი მნიშვნელობა.

— მართალია, მერე, ეს?

საკმარისია შეიხედოთ დამშვიდებულად კომუნის თვითეული წევრის ფიქრებში, აზრებში და ამ წუთში მეტად-გმძაფრებულ გრძნობებში, რომ დარწმუნდეთ ამ მოსაზრების სიყალბეში. იგი ფანტაზიაა ბატრის ხარბი ბუნების, იგი მხოლოდ სურვილია კომუნის მტრების, რომელთა თავები დამძიმებულა მტროების წყურვილით, როგორც თოვლით ამოვსებული ხევები გაზაფხულის მწველი დღეების მოლოდინში.

აბა შეხედეთ ბონდოს, როგორ გამოიყურება ის? თუმცა ამ წუთში მისი გაბრწყინებული სახე ოდნავ დაჩრდილა და ჩამოაბნელა ბარდღას სახელის გაგონებამ, მაგრამ ის მაინც დამშვიდებული გრძნობებით უყურებს ამ ამბავს. მას ესმის, რომ მისთვის სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს ბავშის მამა. ტერეზია კომუნას ეკუთვნის და მისი ბავშიც კომუნის საკუთრებას შეადგენს. მართალია, მას ეზიზღება და უმძიმს ბარდღას მოგონება, მაგრამ მისთვის ამ შემთხვევაში მდგომარეობა არ იცვლება.

აბა შეხედეთ ლუკას, როგორი დამაჯერებელი გამომეტყველებით დასცქერის კრების წევრებს, რომ დაარწმუნოს ისინი ამ თავშეუკავებელი აღელვების უსაფუძვლობაში!! იგი მთელი ძალ-ღონით ცდილობს კომუნარების დამშვიდებას და ამ წუთში ნიაღვარულად მოვარდნილი გულისწყრომის შესაგუბებლად, რომ მან არ გადმოლახოს წესიერების ნაპირები, არ მოეფინოს ამ ხალხის ნება-სურვილებს და ჯანსაღ განწყობილებებს მხრჩოლავი გაზებით მოსაწამლავად.

ლუკამ იგრძნო ამ საქმის სირთულე კრების დასასრულს.

კრებაზე ხმაურობა ხანგამოშვებით წყდება, ხან კი მაღლა, მაღლა მიდის ოთხ კედელს შუა გამოჭედილი სიტყვების სიძლიერე და მაშინ იჭექება ეს ოთახი ყოველი სიტყვის სიმკვეთრით.

ეს აღელვებული ხალხის გრძნობები ზღვასავით უნდა დაცხრეს.

გემივით ირხევა ტერეზიას სხეული. იგი ყოველ წუთში მოელის ამ აბობოქრებული ხალხის მიერ შექმნილ განწყობილებებში ჩაძირვას. მერე კი ძნელი იქნება მისი სიცოცხლის დაღუპვისაგან გადარჩენა, რადგან ქვესკნელივით ადუღდება მისი ფიქრები და მთებიდან ჩამონარეცხ შლამივით დაილექება ფსკერზე, სადაც წყლის სინოყივრით გამაძღარი ღზვის ბალახები შემოეხვევა მას ტანზე. ამ ბალახებში მყოფი ცხოველები შემოესევიან მას, ისინი დაკბენენ და მოწამლავენ ტერეზიას.

მართლა ზღვას ჰგავს ამ კრებაზე მყოფი კომუნარების განწყობილება? მართლა ჩაიძირება შიგ ტერეზია? ლუკამ თუ ვერ შესძლო ამ ხალხის ახლავე დაწყნარება, მაშინ მართლაც ჩაიძირება შიგ ტერეზია. მერე მას ცხოვრების ფსკერზე მართლაც ზღვის ცხოველებივით და ზღვის ბალახებივით დახვდებიან კომუნის მტრები: ატატო, რაფია, ბარდღა, ვასილი და მრავალი სხვა, რომელნიც მოყურებულნი არიან, თუ როდის გადუგდებს კომუნა მათ საკერძედ ტერეზიას, რომ დაუწყონ მის სხეულს ჯიჯგნა.

კომუნამ იცის როგორც მოიქცეს.

მან თავისი აზრი, ამ ხუთი წუთის წინ დადგენილება [illegible], შიგ შეიტანა. ლუკა ამ მდგომარეობას აუღებს ალღოს. აქ [illegible] არაფერია. მართალია კომუნა სულ ექვსი თვეა არსებობს, მართალია ისიც, რომ ამ ახლომახლო სოფლებში მხოლოდ ეს ერთი კომუნა არსებობს, რომელსაც არ შეეძლო მუშაობაში რაიმე გამოცდილება მიეღო, მაგრამ ლუკას ხელმძღვანელობით ამ საკითხზე ჯანსაღი შეხედულება აქვს.

— ამხანაგებო! საკმარისია ამდენი ლაპარაკი,—დაიწყო ლუკამ,—მე იმისთვის გავჩუმდი, რომ მინდოდა თქვენთვის მეცლია, თუ რას იტყოდით, ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ვერ მსჯელობს სწორად, თუმცა საკითხის არსებითად გადაჭრის დროს ამ ამხანაგების უმრავლესობა სწორად მოიქცა —ტერეზიას კომუნაში დატოვება მოითხოვეს, ხმა მისცეს, მაგრამ როგორც კი გაიგონეს, რომ ბავშის მამა ბარდღა ბარათელიაა, სულ დაიბნენ, თავბრუ დაესხათ, ყოველგვარი ზომიერების გრძნობა დაკარგეს.

მართალია, ამხანაგებო, გული გეტკინებათ, როცა მოიგონებთ ბარათელიას ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ, მის მიერ ჯოტოს მოკვლის განზრახვას და ბართლომეს ცალ ფეხზე დატოვებას, მაგრამ ჩვენ კერძოდ ბარდღასადმი ამოძრავებულმა ზიზღმა და სიძულვილმა თვალები არ უნდა აგვიხვიოს და ბრმასავით ხრამში არ უნდა გადაგვჩეხოს. ხომ გაგიგონიათ, რომ გობის ნარეცხ წყალს ბავშიც თან გააყოლესო! და ასე არ მოგვივიდეს ჩვენც. ამხანაგებო, აქ გადასარევი და მოუთმენელი არაფერია. თუ გნებავთ, მეტს გეტყვით: ტერეზია ამ ამბის გახსნის შემდეგ უფრო მართალია, უფრო შესაცოდებელია.

— რატომ?—წამოიძახა ცუცამ.

— იმიტომ, რომ ბარდღა ბარათელიას თქვენ ყველანი იცნობდით, თუ რა გაუმაძღარი და გახრწნილი სულის პატრონი იყო. ტერეზია კი მის ოჯახს ემსახურებოდა, მას შეეძლო ძალდატანებით ხელში ჩაგდება.

— მართალია, ამხანაგებო! ჩამიგდო ხელში, სული ამომახდინა, დამტანჯა. ისე დამეტაკა, რომ ძვლები დამიმტვრია, ვერ გავუძელი...—ამოიკვნესა ტერეზიამ, როცა ლუკას მიერ წარმოთქმული სიტყვები მას პირდაპირ გულში მოხვდა ისარივით და აგრძნობინა განცდილი მწუხარება და გულის ტკივილი.

— ხომ გესმისთ ახლა!? ჰო და საქმე გავათავოთ.

* * *

ლუკას სიტყვების შემდეგ კრებაზე თანდათან სიმშვიდე ჩამოვარდა. აქა-იქ ჩურჩული მაინც მოისმის. კიკილიას გვერდით მჯდომი ბონდო თავის მეუღლე ცუცას მისჩერებია თვალებში და ჰიპნოტიზორივით მკაცრი და უძრავი სახის გამომეტყველებით ცდილობს ცუცაზე გავლენის მოხდენას, რომ მან არაფერი სთქვას, გაჩუმდეს, მოუსმინოს სხვას, თორემ მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდება და იგი ბონდოს მძიმედ დააწვება.

ლუკა კრებას ამთავრებს.

საკითხები სულ ამოწურულია. ახლა მხოლოდ მისი დამთავრებაა საჭირო. ამ დროს კომუნის ეზოს ჭიშკარი გაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმა ძაღლების საშინელი ღრენა, ყეფა და წკმუტუნი.

ეს ხმები შემოიჭრა ოთახში, სადაც კრება მიმდინარეობდა.

ამ ხმებმა ყველას ჩამოურბინა, თითქოს რაღაც ახალს, მათთვის სასარგებლოს და არაჩვეულებრივს იტყობინებოდა ძაღლების გაბმულ ყეფაში შერეული წკმუტუნი, რომელიც ვიღაც უცნობი კაცის მოფერებითი მოპყრობით იყო გამოწვეული.

ლუკა კი ცდილობს ამ წუთში მოათავოს ეს საქმე, რომელიც მთლიანად კომუნას ეხება და კერძოდ კი ტერეზიას, ამიტომ მან ყურიც არ ათხოვა ძაღლების მიერ ატეხილ ხმაურს, მან კრების სახელით საკითხი ამოწურულად და სწორად გადაჭრილად მიიჩნია. იგი ეძებს მკაფიო და მოკლეშინაარსთან სიტყვებს დადგენილებაში შესატანად. მდივანი მას მისჩერებია შოშიასავით, თუ როდის მისცემს წინადადებას ოქმში შესატანად.

— ჩვენი წინანდელი დადგენილება ტერეზიას შესახებ.....

და ამ დროს რაღაც უდიდესი სიძლიერით და უდიდესი განცვიფრებით ტყვიასავით შემოვარდა კრებაზე ეზოში შემთხვევით გასულ კიკილია აბზიანიძის დაძახილი.

— ბათლომე მოვიდა, ბათლომე მოვიდა, ამხანაგებო!

ნიაღვარივით მოვარდნილი სიხარულისაგან კომუნარების ფიქრები გაიშალა და იგი გადაიქცა ამ წუთში წარსულ მოგონებათა სურათების გალერეიად, თუ როგორ იბრძოდა ბათლომე ამ კომუნის დასაარსებლად ჯოტოსთან ერთად, როგორ გადაარჩინა სიკვდილს კომუნის მეთაური ჯოტო და თუ როგორ წაიყვანა ის საავადმყოფოში.

მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა, მაგრამ დავიწყებას არ მისცემია ის წუთები, როცა მთელი კომუნა გაშლილი ფრონტით იბრძოდა ირგვლივ შემოხვეული მტრების წინააღმდეგ. მაშინ ამ ბრძოლის შუაგულში იდგა ბათლომე. იგი იბრძოდა ვეფხვივით, მის რკინის ნებისყოფას და ბრძოლით გაჟღენთილ სურვილებს თან უჯეროდა სხეულის გაუტეხელი გამძლეობა, რომელიც გამოიჭედა მიწასთან და ცხოვრების უკულმართ ფენებთან წარსულ ბრძოლებში აი, ასეთი ფიქრები გადმოიშალა კომუნარების თავებში.

და კომუნარები წამოიშალენ ერთბაშად, როცა გამოირკვა, ამ ახლად გაგონილ ამბის სინამდვილე.

კრებაზე ისეთი გრიალი, ხმაური, მოძრაობა და სირბილი შეიქნა, რომ კარებში გასვლისას კომუნარები ერთმანეთს ასკდებოდენ, ნაწილი ფანჯრებიდან გადახტა, ერთ წუთში ოთახი სულ დაიცალა, დარჩა მხოლოდ სკამები და ოქმის ქაღალდი მაგიდაზე, რომელშიდაც წინადადების უკანასკნელი ორი ფრაზა დაუმთავრებელი დარჩა.

კომუნარები ეზოში საომარ ფრონტივით გაიშალენ, მაო წინ გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც სახეზე ყვითელი ფერი გადაკვროდა, მას პირზე სიმსუქნე შემოცლოდა. მხოლოდ თვალების უპეებში შემორჩენილი სინათლით იცნობდით, რომ ის იყო ბათლომე ლომია, საავადმყოფოდან ახლად გამოსული.

ისინი აღფრთოვანებით ეხვეოდენ ბათლომეს, ზოგი პირს უკოცნიდა, ზოგი თვალებსა და ზოგი შუბლს. ბარბალემ კი მთელი პირისახე დაუკოცნა. რომ

არ წაქცეულიყო ბათლომე და გაეძლო ამ ატალღებული ხალხის სიხარულის სიმძლავრისთვის, ის მაგრად ებჯინებოდა საგანგებოდ გაკეთებულ ბოხებს იღლიაში, რომელიც გადაჭრილი მუხლის მაგივრობას ეწეოდა.

სოფლის მოსახლეობა აღრფთოვანებით უყურებდა კომუნის საერთო საცხოვრებელში შემოჭრილ სიხარულს, მათ შორის მყოფ ღარიბ და საშუალო გლეხობაში მძლავრად იღვიძებდა და იშლებოდა თანაგრძნობის და სიხარულის ვანცდები ბრძოლებში გამარჯვებულ კომუნარისადმი. კერძოთ ბათლომეს გაბრწყინვებული თვალებით უმზერდენ ისინი და მათ გულში ქუხილივით ღმუოდა ახალი ცხოვრების შრომითი შემოქმედება ამ კომუნის სახით.

კომუნარებმა ბათლომეს მკლავებში ამოხვიეს ხელები და ისე წაიყვანეს საერთო საცხოვრებლისაკენ, რომელიც გულია მინდორში ოკეანეს გემივით იდგა ბრძოლის და შრომის ჟინით დატენილი.

ბათლომე იძირება აღფრთოვანების ტალღებში. სურს დიდხანს უმზიროს მიდამოებს, ეზოკარს, სიმინდებს, ტყეებს, რომელიც მას სულ სხვანაირად ეჩვენება ახლა, მაგრამ ამის ირგვლივ შემოხვეული კომუნარები თითქოს თვალთახედვას უბნელებენ და ვერ იხედება წინ ბათლომე.

* * *

კომუნის კარმიდამო მოიცო საერთო სიხარულმა. ხალისიან ადამიანების სიცოცხლეს შემოემატა ახალი ძარღვი, რომელიც ამ სოფლის კულაკებმა გაიმეტეს წელში გასაწყვეტად.

ლუკა ამ საერთო სიხარულში უფრო მძლავრად იტვირთება სულ ახალი იმედებით, მისი თვალები თანდათან განიერდებიან, მზერას აძლიერებენ და გულში შემოტბორილ შრომის განცდებს კომუნის ველებზე ყუმბარასავით ისვრიან, მიმოაფენენ.

იმუქება მთები ღრუბლების ქარავანით. იშლება ცის სილურჯეში სხვადასხვა ფერის ცისარტყელები და ლუკას თავში ამ ცისარტყელასავით ირკალება ერთი აზრი: ტერეზიას საქმე, რომ არ დამთავრებულა? ბათლომემ, რომ გაიგოს? მაშინ! მაშინ ხომ უნდა შეწუხდეს და დაიტანჯოს ბათლომე ამ ამბის გაგების გამო? გაიფიქრა ეს ლუკამ და თან მოაგონდა, რომ კომუნის საერთო კრებას ტერეზიას შესახებ დადგენილების გამოტანა არ დაუმთავრებია. მაშინვე გაიქცა და შევიდა იმ ოთახში, სადაც ერთი საათის წინ კრება მიმდინარეობდა.

მაგიდაზე კვლავინდებულად გადაშლილი იყო დაუმთავრებელი ოქმი. იქვე ეგდო ოქმი და კალმისტარი მელანშეუშრობელი. ლუკამ ხელში აიღო ოქმი. გადაიკითხა· გაფითრდა, ისევ გადაიკითხა და დააკვირდა. თვალებს არ უჯერებს ხომ არ მატყვილებსო, მაგრამ სინამდვილე იყო, რომ ვაღაცას ოქმში დაუმთავრებელი წინადადება „ჩვენი წინანდელი დადგენილება ტერეზიას შესახებ...·." ასე დაუმთავრებია „ჩაითვალოს სწორად და ტერეზიას ეყოლოს ბავშვი ვინც არ უნდა იყოს მისი მამა".

მაშინ ლუკას თავში რაღაც გამამხნევებელი ფიქრები შემოიჭრა. და მან იგრძნო გამარჯვება ყოფაცხოვრებითი ფრონტზე. უცებ ზურგისკენ მიიხედა

თვალებში შემოანათა ფანჯრის უკან მდგომმა ცუცამ გაცინებული თვალები და პირისახე. ლუკა დაიბნა: როგორ! ცუცას მიერ არის ეგ სიტყვები მიტანილი ოქმში თუ? ის ხომ სასტიკი წინააღმდეგი იყო? ასე მალე მოულბა გული ტერეზიას მიმართ? ამას ვერ დავიჯერებ. შეიძლება ბათლომეს მოსვლამ იმოქმედა?—ამ დროს ცუცამ შემოაღო კარები და ხელი ჩამოართვა მაგრად ლუკას;

— დიახ, მე ჩავწერე ოქმში მაგ სიტყვები, თუ საჭიროა ხელსაც მოვაწერ!

— მერე როგორ მოხდა ეს?

— ბათლომე დავინახე ცოცხალი და მე მას შევახვედრებ რაიმე ცუდს?

— თუ დარწმუნებული არა ხარ?

— აწი ხომ დავრწმუნდები?

იყო ცუცას პასუხი.

*
* *

ბარბალეს თვალში ბათლომე მეორედ დაბადებულივით ისახება, იგი უყურებს მას გაუმაძღრად და მისი გადაჭრილი მუხლი შარვალის ტოტით შემოხვეული მის ფიქრებში საზარელი ხმით შრიალებს.

მას აგონდება ის ბნელი ღამე, როცა გრიალი ატყდა მის პატარა ოთახში. როცა ჯოტო სასიკვდილოდ გამზადებული ტუჩებს იკბენდა, ხელებს აკანკალებდა მოწოლილი ჟინის გამო და როცა ბათლომე შემოვარდა ლომივით ამ გამძაფრებულ მდგომარეობის დროს, და ამ ფიქრებმა ბარბალე შეარხია, დააბნია და მისი აზრები ცაცხვის ტოტებივით დახარა ძირს.

ბათლომე შეეკითხა მას

— ჯოტო სად არის?

ბარბალე გამოერკვა ფიქრებიდან.

პასუხის თქმაც ვერ მოასწრო, რომ კომუნის ჭიშკარი შემოაღო ეტლის ლატანი. ეტლიდან ჯოტო გადმოვიდა. დაინახა თუ არა ბარბალემ სირბილით გაექანა მისკენ, მას სხვა კომუნარებიც დაედევნენ, ბათლომეც აბორძიკდა იღლიაში ამოდებული ჯოხებით. მიდის მისკენ, მიდის მაგრამ მის აღმაფრენას ფეხები არ ემორჩილება. გადაჭრილი მუხლის ბოლოში შემოხვეული შარვლის ტოტი შემოეხსნა, ძირს ჩამოეშვა, ქარი მაგრად ქრის და შარვლის ტოტს აქანებს აქეთ-იქით სიცალიერის გამო. ბართლომე მაინც მიდის, ყუუადღებას არ აქცევს, აი აგერ მინდორში დასობილ პალოს წამოედო შარვლის ტოტი, მძლავრად დასწია რაღაცამ, უნდა წაიქცეს და ამ დროს მას შემოეხვია ჯოტოს მკლავები.

— ნუ გეშინია ბათლომე აქა ვარ?—მიაძახა მას ჯოტომ და ეს ორი ადამიანი ისე გადაეხვია ერთმანეთს, რომ გეგონებოდათ ერთმანეთს შეაკვდენო.

ასე გაიშალა კომუნაში სიხარულის ზღვა.

ასე იგრძნო კომუნამ ახალი ძალის შემომატება მის ძარღვებში. და ამ ხალხის გულები მოტორივით აგუგუნდა მიდამოებში. ამ გუგუნში ტერეზიას სიხარული და თვალების მოძრაობა გამოირჩევა ყველასაგან. მას დაავიწყდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსული, დაავიწყდა გუშინდელი დღეც და ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორი იქნება ხვალინდელი დღე, კომუნაში.

— გააკეთეთ ლუკა ახალი რამ კომუნაში?

— ჩვენი მუშაობა ჩემო ჯოტო, დღიდან დაარსებისა სულ ბრძოლაში მიმდინარეობს, რამდენი რამ არ გადავიტანეთ, რამდენი დამცირება, ლანძღვა და გინება მივიღეთ. ყველას პირში ვეტაკებოდით, ყველას წელში ვტეხავდით, ვინც კი ჩვენს წინააღმდეგ გადმოშლიდა მგლურ სურვილებს. მტრები კი ბევრი გვყავდა. ახლაც ბევრი არიან. ამ წუთში გრძნობენ ისინი ჩვენს გამარჯვებას და ძალლებივით გვიღრენენ. სათესი ფართობი გავადიდეთ. პური და სიმინდი სამყოფი გვექნება, საერთო საცხოვრებელი ავაგეთ, ბოსტანი კარგი გვაქვს, ვენახიც ორი წლის შემდეგ ღვინოს მოგვცემს, მანქანები და მუშა-ხარ-კამეჩები გვაკლია, მიწები ჯერ ერთ ფარგალში სულ ვერ მოვაქციეთ, საბავშო ბაღი არ გვაქვს, სასადილო სულ ახლა ავიშენეთ, ერთი სიტყვით რაღა ბევრი გავაგრძელო ჩვენი არსებობის დღეები, რომელიც სულ ექვს თვეს შეადგენს ჩხუბში, ბრძოლაში, შრომაში და ორგანიზაციულ გამაგრებაში გავატარეთ, მე თუ მკითხავთ ჩვენი ისტორია, ესე იგი ჩვენ ვიმყოფებით პირველ საფეხურზე, მთავარი მუშაობა აწი მოგველის —დინჯათ და დაკვირვებით სთქვა ლუკამ.

— სამაგიეროთ აწი გაიშლება ჩვენს კომუნაში ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა. ტრაქტორი, რომელიც გამოვიწერე რუსეთიდან და რომელიც ამ დღეებში იქნება ჩამოტანილი აქ, მთელს გადატრიალებას მოახდენს ჩვენი კომუნის ცხოვრებაში, მაშინ გვიყურონ კომუნის მტრებმა, როგორ გადმოვაბრუნებთ ამ მინდორ ველებს არშინის სიღრმეზე და როგორ მოსავალს მოვიყვანთ კარგად დამუშავებულ მიწაზე. როცა ჩამოდგება ჩვენი კომუნის აყვავების გაზაფხული, მაშინ ბევრი შემოგვეხვეწება კომუნაში შემოსვლას, წარსული ორგანიზაციული ბრძოლები და შრომა ჩემო ლუკა მაგრად დაედება საფუძვლად მომავალ მუშაობას.

ტრაქტორის გაგონებამ კომუნარებში გადმოშალა შეუჩერებელი წყურვილი რომ იხილონ ამ მანქანის გუგუნით შემოსვლა სოფელ ლებაღა თურიაში, როგორც ზღაპრული მდევის დაუძლეველი მოქმედების მოგონება მათ მეხსიერებაში.

კომუნა ხარობს. კომუნას დღესასწაული აქვს დღეს და იგი გულზვიადობით დაყურებს სოფლის მოსახლეობის სიჭრელეს, მას სჯერა საკუთარი თავის სიძლიერის, და მოქმედების, ეს მისწრაფება ყველას უღვივის და ყველას ამხნევებს მათი პირველადი მეთაურების: ჯოტოს, და ბათლომეს კომუნაში ყოფნა.

სოფელმა არ იცის რა არის ტრაქტორი.

ტრაქტორი კი მათ არ ეკითხება არაფერს;

ის მოდის, მისი გუგუნი მოისმის შორიდან.

კომუნარების გულმკერდი ირხევა ამ ხმაურით და იტვირთება ამ ახალი იმედების სიმძლავრით მათი შრომის განცდებით დაქინდრული ფიქრები.

ეს იყო 1925 წლის დასაწყისში.

პირველი ნაწილის დასასრული.

ნ. შანშიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანზორ

გადმოკეთებული ვს. ივანოვის „14-69“-დან.

მონაწილენი:

ანზორ ჩერბიუ.
მანსურ.
ხალილე.
1-ლი, 2-რე } მებადურები
ილია ივანოვი.
სერგეი პეტროვ.
ჩინელი.
მოხუცი ჩეჩენი.
ჭალარა ინგუში.
სადგურის უფროსი.
ინგლისელი.
კაპიტანი.
პატრულის უფროსი.
1-ლი, 2-რე } ჯარისკაცები
მირზა.
ლტოლვილები.
პარტიზანები, მუშები.

მოქმედება პირველი.

ზღვის სანაპირო, სადაც თავდება ქალაქის ნაწილი. ორი მებადური, პატრული და უფროსი.

(უფროსი და პატრულები ამოდიან).

1-ლი მებადური—ჩუა ბალაიჰბურ?
2-რე მებ.—შეიტანუნ კულხურ სარ ჩუარიო?
1 ჯარის-კაცი—შეჩერდით!
უფროსი—ვინ ხარ?
1 მებადური—ჩავხარე ბუჰუ! მშვიდობიანი მცხოვრები—მეთევზეები!
2 მებადური—ჰო, მართალია ჩავხარუ ბუჰუ! ჩვენ მებადურები ვართ. ანზორთან ვმუშაობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის-კაცი—ხელები ზევით.
გიცნობთ რა ვაჟბატონებიც ბრძანდებით!
უფროსი—გაჩხრიკეთ!
1 **ჯარის-კაცი**—გადაცმულები დადიან!
ხშირად თქვენისთანების ქურქში „წითელი" იმალება.
2 **ჯარის-კაცი**—ეი, ყონალ! არაფერი გაქვს?
1 **მებად.**—რა უნდა მქონდეს?
ბადე მაქვს!
ჯარის-კაცი—თუთუნს არ ეწევი, კარდაშ?
მებად.—აქვს ჩემს ამხანაგს!
— იუსუფ! თუთუნი უნდათ!
2 **მებად.**—თუთუნი? არა მაქვს, ვალლაჰ!
ჯარის-კაცი—ამოიღე, თორემ... მიგაძალლე!
1 **მებად.**—იუსუფ! მიეცი!
2 **მებად.**—თუთუნი ცოტა მაქვს... დუქანი შორს არის! ვალლაჰ ძალიან შორს
არის და არც იშოვება.
ჯარის-კაცი—ჩამოდი რაც გაქვს!
მაშადი დონლუზ შენ აქ რა გინდა?
მებად.—თევზებს ვიჭერთ... ვყიდით ბაქოში, პეტროვსკაში. ყველგან რკინის-
გზაზე!
(პატრული გადის)
2 **მებად.**—ყაჩალთალ ხირიურდა ხირიუსა პაპიროსია მუ.
1 **მებად.**—ყაჩალ თურან აზტბან, კვანტეი ხამალა ბურლეიბუნ.
2 **მებად.**—ორი მოწევა-ღა მქონდა! ორი!
არ მეგონა თუ აქაც პატრული გაივლიდა.
აბა ეს რა თავისუფლება არის?
ორი მოწევაღა მქონდა, ორი!
1 **მებად.**—წითლები გარეკეს...
თეთრები მოდიან...
ზღვისპირზე და რკინისგზაზე კაპიტანის ჯარია.
ჩვენი ქალაქი მაგათ აიკლეს...
ჩვენი ანზორის სოფელი მაგათ აიკლეს...
ჩვენი ანზორის სოფელი მაგათ გადასწვეს.
2 **მებად.**—ხომ გითხარ, ავბარგოთ ეს ნავები და მთაში წავიდეთ-მეთქი!
1 **მებად.**—მთაში კი გადარჩნენ?
თემები ყაზახებმა მიწასთან გაასწორეს.
იმ დღეს რომ ცეცხლის ალი სჩანდა,
თურმე ანზორის სოფელი იწოდა.
2 **მებად**—საწყალი ანზორ! იმისი სახლკარი?
1 **მებად.**—იმისი სახლკარი
2 **მებად.**—ჰო, რად გასჩუმდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 **მებად.**—რად გავჩუმდი? ძნელია სათქმელად!
2 **მებად.**—ეეე! ვიცი, ნუ მეტყვი!
1 **მებად.**—დასწყევლოს! ახმა მაინც სად დაიკარგა?
2 **მებად.**—ახმა ანზორთან იქნება!
1 „ —ჯერ იმას ვეტყოდი—ის ადვილად მოახერხებდა.
2 „ —რას ეტყოდი?
1 „ —ანზორის ამბავს..- ის ყველაფერს იოლად უცქერის. დიდი მწუხარება რომ იყოს სიცილში ატარებს! უთუოდ ქალაქში გაჰყვებოდა. ვალაჰ არ ვიცი როგორ ვუამბო საწყალი ანზორ, რომ გაიგებს ვალაჰ არ აპატივებს!
ჯავრს იყრის...
2 **მებად.**—ჩუმად! აქეთ მოდიან... აი, ეგ არის სისხლიანი კაპიტანი! დავიმალნეთ თორემ...
(ნავში ჩაძვრებიან).
1 „ —ვარანტუი ზიმიხ.
2 „ —ლოხვსა ხვანსარ!

კაპიტანი. წინ შეხვდება მირზა.

მირზა.—ბატონო კაპიტან!
ეს მე ვარ, მირზა „ეფენდი“!
კაპიტანი.—მირზა! შენ—აქ? რა ამბავია?
მირზა.—დინიკინის არმიიდან!
სასწრაფო დავალებით!
საქმე გართულდა. წითლები აღარ ხუმრობენ...
თქვენს ჯავშანო მატარებელზეა მთელი იმედი!
კაპიტანი.—მე კი... სხვა გეგმებს ვაწყობდი... მაგრამ არაფერია! ჯერ მაგრად ვართ, მეც და ჩემი ჯავშანოც.
მირზა.—ინებეთ დავალება.
(ბარათს აწვდის. კაპიტანი ნერვიულად ხსნის და კითხულობს).
მეც, თქვენო უმაღლესობავ, შტაბის დადგენილებით თქვენს თანაშემწედ დამნიშნეს! თქვენ თვითონ თხოულობდით ერთგულს და გაბედულს!
კაპიტანი.—სასიამოვნოა!
მირზა—დღეს მთელი დღე დაგეძებდით... ვიყავ ჯავშანო მატარებელზედ... ბატონო კაპიტან; მემანქანეს კარგათ იცნობთ?
კაპიტანი—კარგად!
მირზა—მის თანაშემწეს—კაჩეგარს?
კაპიტანი—როგორც ყველა, ისიც ვითომ რევოლიუციონერია, „ფრაზებს“ ისვრის! მაგრამ თავში არაფერი უყოია...
მის გვერდით სხვა დარაჯებიც დგანან .. ვერაფერს გაბედავს.
მირზა—მართალია, ბატონო კაპიტან, დღეს თითქმის ყველა ჰბოდავს...
საერთო სენია. მაგრამ მე ეჭვიანი ვარ და, სჯობდა, სხვა აგეყვანათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი—სხვა? არაფერია. ვერაფერს გაბედავს...
ვინ იცის, სხვა უარესიც გამოდგეს. ალბად იცი შტაბის გეგმა?

მირზა—დიახ! უსიკვდილოდ სამ დღეში უნდა აიღეთ პეტროვსკი! რადგან წითლები მაგრდებიან... თავს წავიდნენ...
სურსათს არ ანებებენ...
გზა მოჭრილია!..

კაპიტანი—ჯავშანო მატარებელით უფრო რთული ოპერაციების მოხდენა შემიძლიან!
იქნებ ჰგონიათ, მეც სხვა გენერლებივით ევროპაში გავიქცე? არა, რუსეთი უნდა ვიხსნა!

მირზა—ამის გარდა, ამ რაიონში შეუმჩნევიათ ინგუშების და ჩეჩნების პარტიზანები... მათ თურმე, რუსი კომუნისტები ხელმძღვანელობენ!

კაპიტანი—ვიცი!
ეგ ჩემმა ცოლის ძმამ მითხრა!
მაგრამ მტვრად ვაქცევ!

მირზა—ნუ თუ კაპიტან?!

კაპიტანი—რაო, რა გიკვირს?

მირზა—ნუ თუ, ბ-ნო კაპიტან, ცოლი შეირთეთ?

კაპიტანი—მერე, რა არის აქ საკვირველი? იქნება ბგონია, ალარ შემეძლოს? ო! ო! ციც! არ გაბედო! ჩვენ ის ამხანაგები ალარ ვართ, რაც ვიყავით! შენ ჩემი თანაშემწე ხარ.

მირზა—ვინ თავმკვდარი მაგას ფიქრობდეს... მიხარიან... მინდა მოგილოცოთ...

კაპიტანი—მირზა—ეფენდი! ყველაფერს ვეშურები! იცი რა მითხრა ამას წინად მკითხავმა?
რასაც მოიწადინებ და ხელი მიგიწვდება, თუ არ შეასრულე, შემდეგ გვიანლა იქნებაო?
გესმის?
მე მინდა უფრო მეტი!
უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე გაქცეულ დიდ მთავარს! რუსეთის ბედი თითქო მხრებზე მაწვება, მაწუხებს, მაწუხებს. ჩემი ჯავშანო მატარებელი მიხვეჭს სახელს და დიდებას.
(წასვლას აპირებს).

მირზა—ნება მიბოძეთ, მეც თქვენთან ერთად...

კაპიტანი—არა! შენ წადი და ერთი ორი გირვანქა ტკბილეული იყიდე...
დავპირდი ჩემს დანიშნულს...
ვარიას!..

მირზა—ვარიას? ვიცი!
მხოლოდ დანიშნულნი ხართ?
მაშ ჯერ ქორწილი არ გადაგიხდიათ?

კაპიტანი—კმარა დაკითხვა. გავიწყდები რომ...

მირზა—მესმის!..

(კაპიტანი გადის. მირზა თვალს გააყოლებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური კაცია!
(მოტრიალდება წასასვლელად, ანზორს შეხვდება).

ახმა—ხამალა ბურლეიბურ.

ანზორ—შაიტანუნ კულხუნ სარ ჩუარიო.
ახმა! მირზა! საიდან?

ახმა—მცანა ცუა ხვაურ ხვალილსა ბურტიუ.

ანზორ—ვარანტუი ზიმიხ ლოხვსა ხვანსარ.

მირზა—გამარჯობა ანზორ!

ანზორ—ჰეი, რა ბჭყვრიალა ეპოლატები დაუკერებიათ...

ახმა—ალბათ ძალიან ერთგული იქნები!

მირზა—მაშ! „ჩინი“ მომცეს!

ახმა—და ეგ „ჩინი“ თვალში ჩხირი.

მირზა—შენ ჰეი!

ახმა—ბოდიში. ციჭოუ ყოოჩინა.

მირზა— ანზორ! ისე ნულარავინ მომეპყრობა, როგორც ერთ დროს.

ანზორ—გეტყობა ეხლა „დიდი კაცი“ გამხდარხარ!

ახმა—ამ ჯოხს რაც გინდა ჩააცვი—ჯოხი—ჯოხია!

მირზა—მაგ ჯოხს ზურგზე დაგამტრევ!

ახმა—როგორ შეიძლება, ძველი ნაცნობი უნდა შეიბრალო.
მეორეც ეს ჯოხი უბრალო არ გეგონოს. ერთს პოლკოვნიკს და ორს პრაპორჩიკს სცემა.

მირზა—ახმა! ენა დაიმოკლე, თორემ...

ანზორ—კარგი! ჩვენს აულში რა ამბავია!..
რას იტყვი იქაურს?

მირზა—მე პირდაპირ არმიიდან მოვდივარ!

ანზორ – მერე როგორ გამოგიშვეს?

მირზა—ავტომობილით!

ახმა—საკვირველია, რომ ავტომობილი განდეს!

მირზა – ანზორ! გააჩუმე, თორემ.

ანზორ—გაჩუმდი ახმა!

ახმა—მე გავჩუმდე და მაგან ილაპარაკოს? განა იმდენი რა მოუმატა პაგონმა?

მირზა—ახმა! მაგ დაცინვისათვის...

ანზორ – კმარა ნუ სჯავრობ!
ახმა, ერთი მეზობელი მყავდა. ჩემსავით გლეხი. მამა რომ მოუკვდა, გადაიკარგა. ომი რომ დაიწყო, თურმე „დენჩიკად“ წაიყვანეს. ეხლა კი აფიცერია და იმასავით „პაგონებს“ ატარებს.
(ახმა იცინის).
შენ, ალბად, პორუჩიკი იქნები!

მირზა—პორუჩიკი? დენჩიკი... (სიცილი) შენ იცი... ანზორ! მე მხოლოდ ამ სალახანას ვაპატიე! რადგან არ ღირს მაგასთან... (ხმის აწევით) რის პორუჩიკი? უფრო მეტი! მირზა—ეფენდი!

ანზორ—ოჰო. ეფენდიც?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმა — ეგ საიდან? ენვერ ფაშამ ხომ არ გიბოძა?
მირზა—ინგლისელმა, დენიკინის შტაბში.
ანზორ—ოჰო. დენიკინამდე მიახწიე?
მე კი მეგონა ჩვენს სოფელს ვერ გასცილდებოდი!
მირზა—რაო?
ანზორ — არა, ნუ-მიწყრები! მეც ამას იქით ეფენდის დაგიძახებ.
ახმა—მირზა-ეფენდი—სალამ—ალეიქ!
რა თანამდებობაზე ხარ დანიშნული?
ანზორ—ის უფრო ცხენოსანში გამოდგებოდა!
ახმა—გახსოვს, დაღესტანში ცხენი რომ მოიპარე...
მირზა—ანზორ! გააჩუმე, თორემ.
ანზორ—თავიდანვე ცხენი უყვარდა.
ახმა—შენახვის თავი კი არ ჰქონდა.
გახსოვს, კალოზე ანზორმა რომ ყური აგიწია...
მირზა—მაგას ვის უბედავ?
ანზორ—ეეე, ჩემო მირზა! შენთვის ყვირილიც კი ვერ უსწავლებიათ!
ახმა—ჩვენი დიდ ყურაც ყვირის და უფრო აზრიანად, როცა მოშივა!
მირზა—მე შენ გიჩვენებ...
ანზორ—წადი, წადი მირზა!..
შენ რომ ფული გმართებს უნდა მეთხოვნა, მაგრამ დრო არ არის...
ახმა—ეხლა დიდი კაცი ხარ, ეფენდი! იქნებ ძველი ვალები გადაიხადო!
მირზა—მე თქვენ გიჩვენებთ! ანზორ! მიფრთხილდი!
ანზორ—მე?
ახმა—ჰო შენ! ანზორ, უფრთხილდი კიდევ არ შემოგელახოს!
მირზა—იცი, რა დღეს დაგაყენებ?
ახმა—მაგ მუქარით შენი ბღარტები შეაშინე!
შენ ხომ არ გინდა ეგ აპელატები...
ანზორ—გაჩერდი! ახმა. მირზა, რატომ ინებე ასეთი მუქარა, ვითომც რა გვწ-
ყინა?
ახმა—ის რომ ვალი გაახსენეთ!
ის, რომ მამა შენს ფულები დასტყუა...
მირზა—ეგ სიცრუეა, მაგრამ შენზე კი რომ ამბობენ.
ანზორ—რას ამბობენ?
მირზა—ვილაც რუს კომუნისტებს დასდევსო...
პარტიზანებს მფარველობსო... იცი რა დღე დაგადგება?
ანზორ—კიდევ? კიდევ?
მირზა—იცი, რა დღეს დაგაყენებ?
ახმა—ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრა!
ანზორ—რა დღე უნდა დამაყენო?
შენ მაგის ძალა არ შეგწევს!
ხმალი ჰკიდია, ვითომც ვაშკაცია და ვერაფერი — გაუბედია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა—შენთვისაც მოვიცლი...
(შეხვდება მატროსს პეტროს).
რატომ კაზარმაში არა ხარ? ღამით რას დაეხეტები?
შენ უფროსს მოახსენე თოფქვეშ...
მე თქვენ გიჩვენებთ! (გადის).

5.

პეტროვ და ანზორ.

ანზორ—პეტრო! გამარჯობა!
პეტროვ—ანზორ! შენ დაგეძებდი!.. მინდოდა მენახე... მეგონა აქ არ დამიხვდებოდი.
ანზორ—რა საქმე გქონდა?
რამდენი ხანია, აქ ვარ! თევზის რთველია.
ეხ, ეს მეთევზეობა ჩვენი ხელობა არ არის და მამაჩემიც აკი მიშლიდა, მაგრამ თუ აქაურობას არ ვეპატრონე, ყაზახებს მიაქვთ...
ერთი გამეყიდა და მერე ჰაიდა შინისაკენ!
ახმა—ალბად ჩემზედაც მეზობლის გოგონებს თვალი რჩებათ!
პეტროვ—მაშ სახლში არ ყოფილხარ?
ანზორ—კვირაზე მეტია!
პეტროვ—ანზორ! ვერ არის კარგი ამბავი...
ანზორ—შენ ხომ კაცს გუნება უნდა გაუფუჭო...
ახმა—კარგი სთქვი, თორემ ავი ბევრია ქვეყანაზე!
ანზორ—ნამეტნავად გლეხი სულ წვალებაშია.
ახმა—თუ ძმა ხარ, შუბლი გაიხსენ... ერთი გაიცინე.
ანზორ—რა დაგემართა?
ახმა—გულიდან დარდი გადაიგდე—რა ჩვენი საქმეა დარდი!
ანზორ—პეტრო! აი, მე ხომ უსწავლელი კაცი ვარ, ვებრძვი ცხოვრებას და გულში ვღიღინებ! ამის გამო მეურნეობა კარგათ მიმყავს... ოჯახიც კარგათ მყავს. ცოლი, ორი შვილი მანსურ და იბრაჰიმ... ორივეს ბაბუამ დაარქვა სახელი...
მანსურ! უფროსია!
ერთი ცხრის! მეორე შვიდის...
ახმა—ჰოი! მე იმათ ვენაცვალე!
მამაზე ძლიერ ახმა უყვართ, რადგან ახმა ქალაქიდან ზიზიებს მიუტანს ხოლმე!
პეტროვ—ვიცნობ შენ ოჯახს!
ანზორ—წასვლა, მოსვლა, ნახირი, მწყემსი...
მოდი შენ და უსწავლელი გაუძღვეს ამდენ საქმეს!
მერე ასეთ არეულ დროებაში....
ახმა—ნასწავლი უფრო ვერ გაუძღვება.
იმათ ყვითელი სისხლი აქვთ! უნდილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროვ— მართალია! ანზორ.. მინდა შეგატყობინო...
ანზორ—არ მოგისმენ.
პეტროვ—თქვენს თემში აჯანყება ყოფილა...
ყაზახები გაგზავნეს...
ანზორ— რის აჯანყება! ტყუილია!
ახმა—ჩემს იქ ყოფნის დროს მილიციონერთან კინკლაობა მოუვიდათ... მარტო ერთს წაუსვეს...
ანზორ—პეტრო, ბოლმას ნუ ამიშლი...
გაიხსენ ეგ შუბლი!
აკი ამბობდი, კომუნისტმა დარდი არ იცისო!
პეტროვ—ანზორ! უნდა გითხრა...
ანზორ—არ მოგისმენ!
რა ძალა გაქვს, ილაპარაკო?
ახმა—თუ ძმა ხარ, დაჩუმდი!
ომში ნამყოფებმა ბევრი ლაპარაკი იცით!
პეტროვ— ახმა! შენ არ იცი.
ანზორ! ძმა მომიკლეს!
ანზორ—ძმა?.. ფუი დალახვროს!
ახმა—ალაჰმა დაამკვიდროს...
ანზორ—მაშ ქალაქში კიდევ აჯანყება დაუწყიათ?
პეტროვ—ქალაქშიაც და თემებშიაც.
ანზორ—კიდევ დამარცხდებიან! ქალაქში ძნელია ბრძოლა!
პეტროვ—ზოგიერთი რუსი ამხანაგები ქალაქიდან გამოიქცნენ...
ჩვენი თავმჯდომარეც—ილია ივანოვიც! შესაპყრობად დასდევენ...
იქნებ შენ შეიფარო.
ანზორ—პეტრო! თქვენს ომში ვერ ჩავერევი! ვერც ვისმეს შევიფარებ!
(სიჩუმე. პაუზა)
პეტრო! თუ ჩემს ბინასთან შემთხვევით ვინმე გაივლის, შევიბრალებ, შევიფარებ, პურს ვაჭმევ... ხომ გესმის?
პეტროვ—კარგი! კარგი! ვიცი, რასაც მეუბნები!
ახმა—ჩემიც ყოველი იმედი გქონდეს... შევინახავ...
არ გავცემ.
(პეტროვი გადის).

6.

ანზორ და მებადურები.

ახმა—საწყალი, პეტრო!
მებადურები—ანზორ!
ანზორ—ვინ ხართ?
ახმა—ამ ვირთხებს ვერ ხედავ?
ანზორ—მანდ რას აკეთებთ? თხრილში რად იმალებით?
1 მებად.—შენ გეძებდით, ანზორ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ—და მერე თხრილში მეძებდით?
2 მებად.—არა! აქ პატრულს დავემალეთ!
ჯიბეში თამბაქო მქონდა, წაიღეს!
ანზორ—პატრულს?
1 მებად.—ანზორ! გაძნელდა ცხოვრება! კაცს გული უტირის!..
ახმა—გული კი არა ფეხები. ახლა შენ მოჰყე წუწუნს!
2 მებად.—(პირველს) მე ხომ გეუბნებოდი, ანზორს არ ეცოდინება მეთქი, თორემ უბედურებაზე მოვიდოდა.
ანზორ—რის უბედურება? ხომ არ ბოდავ?
ოთხი დღის წინად ქალაქში თქვენ თვითონ არ გამაცილეთ?
1 მებად.—(მეორეს) აი, ხომ გითხარ, როცა დაბრუნდება, მაშინ...
ახმა—თქვენ ეი, თხის თავებო, თქვით და გაათავეთ.
2 მებად.—რაკი ასეა, გეტყვით პირდაპირ.
ახმა—აბა, ეცადეთ და უკულმა თქვი!
ჩქარა, შე დამდგარო!
2 მებად.—დიდი უბედურება მოხდა...
ხალხმა გამომგზავნა...
მითხრეს: წადი, ანზორ ნახე, ომია საჭირო!
ახმა—ჯან! მერე, მერე? კიდევ რა დაგაბარეს?
ანზორ—თემი ტყუილად არ შეგაწუხებდათ! სჩანს, მართლა გაჭირვება იქნება!
ორივენი—დიდი გაჭირვება!
ახმა—(აჯავრებს) „დიდი გაჭირვება“. აბა რას იწონის? რა სიგრძე აქვს? რა სიგანე. სთქვი, რა ენა ჩაგივარდა?
1 მებად.—ჩვენს სოფელს ყაზახები შემოესივნენ...
ანზორ—ყაზახები? კიდევ აწიოკებენ?
ახმა—ცუდი ამბავია, მაგრამ ჩვენი ბიჭები. რა გუნებაზე არიან?
2 მებად.—ბიჭები? ვინც გაუმკლავდა—აღარ არიან...
ვინც გადარჩა—გაიხიზნენ.
ანზორ—ძველი შურის ძიებაა!
მამი-ჩემის დროს ხუთმეტი სოფელი აჰყარეს, მიწებში თვითონ ჩადგხენ...
1 მებად.—დღეს უარესი ხდება!
ანზორ—უარესი?
1 მებად.—ტყვიისმფრქვეველები დაგვიდგეს... საღამოთი სამუშაოდან რომ ვბრუნდებოდით, დიდს და პატარას დაუშინეს...
ანზორ—დიდს და პატარას?
ახმა—იუსუფ, ჰა? რაო? როგორ თუ დაუშინეს?
2 მებად.—პატარასაც!
ანზორ—(ანთებული, შემკრთალი, თავზარდაცემული) პატარასაც? ოხ, იბრაჰიმ, ჩქარა მითხარ, ჩემი რომელი ბავშვი?
1 მებად.—შენს საბძელ-კალოს ცეცხლი ედებოდა...
ანზორ—ცოლ-შვილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მებად.—ცეცხლის ალი გუგუნებდა, თითქოს მოსთქვამდა, ბელელსაც ეოედო. ქარს დამწვარ ხორბლის სუნი მოჰქონდა.

ანზორ—ცოლ-შვილი?

ახმა—შაითან! ჩქარა!

1 მებად.—კალოზე რომ მიველით, ერთი მეზობელი შენს ცოლს დასტიროდა...

ახმა—ჩემს ძალოს? ბისკონას!

ანზორ—შვილები გადარჩნენ?

1 მებად.—დედას გულში ჩაეკრა დახოცილები...

ანზორ—ალაჰ! (ღმუილი აღმოხდება).

დედასთან ერთად ორივე! დიდიც! პატარაც.

ახმა—მანსურ, იბრაჰიმ!

ანზორ—ოხ! შვილებო!

(წასდგამს ფეხს, წაბარბაცდება).

ორივენი—გახიზნული ხალხი შენ გელოდება...

ანზორ—უბედურო ანზორ! შენ კი...

ბავშვებისთვის ფეხსაცმელი უნდა...

იამან! ანზორ!

7.

პეტროვ—აი, გაგაცნობ!

მთაშიაც და ბარშიაც დიდი გავლენა აქვს!

პირდაპირი, პატიოსანი!

ანზორ—მანსურ! იბრაჰიმ... ჩემო შვილებო.

რატომ თქვენს გვერდით არ ვიყავ!

ილია—თითქოს ჩვენ გვიმზერს და ვერ კი გვამჩნევს.

ანზორ—დამწვარი სუნი ჩემი ბავშვების... ვალლაჰ!

ილია—ანზორ, შენზე ბევრი კარგი გაგვიგია.

ანზორ—რა გაგიგიათ?

რომ დამწვარ გვამის სუნი ქარს მიჰქონდა?

რომ დედა დახოცილ ბავშვებს დასტიროდა,

არ შეიბრალეს და ისიც ზედ დააკლეს?

ვალაჰ!

პეტროვ—ესენი წავიდნენ, საქმე გვაქვს შენთან!

ანზორ—სად უნდა წავიდნენ?

არსადაც არ წავლენ. ეხლა მით უფრო მჭირდებიან.

პეტრო! სადღა შევიფარებ შენს ამხანაგებს? ცეცხლმა გადასწვა!

ტყვიამ დახოცა. იამან! შაითან!

პეტროვ—ვიცით, მიტომ გვინდა მოგელაპარაკოთ!

ანზორ—შენ იცოდი, და არ მითხარ?

პეტროვ—აი, გეტყვის ამხანაგი, რაც საჭიროა!..

ილია—მეჩქარება და ცოტაოდენ შეუძლოდაც ვარ...

ლაჭრილი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ—უნდა წახვიდე? არა, ჩემთან იყავ...
ალარ დავინდობ.

ილია—მოკლედ და გულახდილად გეტყვი ანზორ!
მე ვარ რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ილია ივანოვ.

ანზორ—შენ ჩემი ძმა ხარ, თუ მირჩევ შურის ძიებას, თუ მირჩევ,
ჩემი ბავშვების მკვლელებს სამაგიერო მივუზღო, რისთვის ეცოცხლოს ანზორ ჩერბიჟმა?

ილია—თავმჯდომარე ვარ იმ ორგანიზაციისა, რომელიც ქალაქში აჯანყებას ხელმძღვანელობდა, რომ გენერლების და ინგლისელების ხელისუფლება დაგვემხო.
ეს იყო მესამე აჯანყება!

პეტროვ—ცოტა დაბლა... მე დავზვერავ.

ილია—ეს იყო მესამე უშედეგო.
მრავალი ამხანაგი დაგვეღუპა.
დაჭრილი რევკომის წევრი თავის ამხანაგს, სოციალისტს, ქალაქის თავს,—შეეფარა, მან-კი გასცა. ეხლაც ბევრი საჭიროებს, სადმე თავი შეაფაროს.
ეს მხოლოდ დროებით...
ამ ახლო მომავალში საქმე სხვანაირად შეტრიალდება.
როგორ უნდა მოახდინო რევოლიუცია, რომ დაამარცხო ხალხის მტრები.
არ არის ადვილი საქმე... არა.
ანზორ! ამისათვის ბევრი უნდა იცოდე!
ამის გარდა, საჭიროა როგორც წარსულის და ამწყოს, ისე სიკვდილისადმი სიძულვილიც!
აი, შენ, ანზორ, პატივცემული და სახელოვანი ჰყოფილხარ! დიდი გავლენა გქონია, არა მარტო შენ ხალხში, მეზობელ ხალხშიაც. ყველგან გიცნობენ. და რომ შენმა შურისძიებამ ნაყოფი გ.მოიღოს, უნდა გქონდეს აზრი და გეგმა... იდეია... გესმის იდეია.
ამისთვის შენთან უნდა იყოს იდეური ხელმძღვანელი, ეს მხოლოდ კავშირის დასაჭერად. . იქ ჩვენთან ქალაქში...
მე ვსტოვებ შენ მეგობარს პეტროვს!..
პაპიროზი ყოველთვის სახლში მავიწყდება.
(დაბეჯითებით).
ანზორ! ამის პირობას გაძლევ და ვკისრულობ კიდეც, რომ ქალაქი მხარს დაგიჭერს, თუ თქვენი სოფლები გამოილაშქრებენ! მანამდე მე ისევ ქალაქში დავბრუნდები!

ანზორ—ქალაქში მარტო?

ილია—ეს ამხანაგი იყოს თქვენთან! მაგას თქვენ კარგათ იცნობთ და ენდობით კიდეც!
(ჯიბეში ხელს ჩაიყოფს და რევოლვერს ამოიღებს)
პორტსიგარის ნაცვლად, რევოლვერი წამომიღია!

ეხლა შენ იცი! შენ შეგიძლია ხალხს თავისუფლება მოუტანო! გესმის თავისუფლება!

მიიღე როგორც მანდატი!

(რევოლვერს გადასცემს. გადის).

ანზორ—თავისუფლება. ჭყულთარსარ! გადასწყდა!

იბრაჰიმ დასწვით ეგ ბადე! წადით მთებში! მთა უნდა დაიძრას! უთხარით, ანზორ ჩერბიჟმა ომი გამოაცხადა!

პეტრო, შენ ძმა მოგიკლეს, მე მთლად ოჯახი ამომიწყვიტეს.

გუანნენხანა ინთი ყამლესუნნა!

1 მებად.—ვარანტუი ზიმახ ლოხვსახვანსარ.

2 „ —ქარჭი, ქაჭირ, ქარჭრუ...

ახმა—ხანანუ ლახსუნნუ, ბუჰანნუ.

(დაეშვებიან).

ფარდა.

მოქმედება მეოთხე

(შეშინებულნი აქეთ-იქიდან გამოდიან)

დედაკაცი მანტოში—რატომ არ იძვრის ჯავშანო?

იქნებ პარტიზანები...

სადგურის უფრ.—არ ვიცი—არაფერი არ ვიცი...

მასწავლ. ბატონებო! როგორ შეიძლება? სიმშვიდე უნდა დაიცვათ! სულის წონასწორობა არ უნდა დაირღვეს!

დედაბერი—მოითმინეთ! სუნი არ გცემთ? არაფერს გრძნობთ? სადმე ანზორი ცეცხლს წაუკიდებდა.

მოხუც. დედაკაცი—მე ხომ გეუბნებოდით, პარტიზანები შეგვიპყრობენ და ამოგვხოცავენ მეთქი!

ისინი ჩვენისთანებს არ ინდობენ! არ სჯობია ისევ აქ დავრჩეთ?

დედაბერი—როგორ თუ დავრჩეთ, თქვენ შიშით შეპყრობილი, არ იცით რას ლაპარაკობთ.

დედაკაცი მანტოში—ირგვლივ პარტიზანები გვარტყიან! თურმე ანზორი იერიშით მოდის!

მასწავლებელი—თუ დედა-კაცი იტყვის, დამტკიცება აღარ სჭირდება! მოაჭორებენ, ზღაპარს იტყვიან, უკვე დამტკიცებულია, როგორც ორჯერ-ორი!

გაიგეთ!

ანზორი არ არსებობს!

აბსტრაქციაა! ტრანსცენდენტალური წარმოდგენა!

დედაბერი—აბსტრაქცია თქვენ თითონა ხართ. მე დანამდვილებით გავიგე, რომ გუშინ ანზორს ორასი კაცისათვის ყელი გამოუჭრია.

მოხუცი—იმ ორასში ქალებიც ერევნენ?

დედაკაცი მანტოში—აი, აი, სადგურის უფროსიც. ხომ არ იცით ანზორი ახლოა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად. უფროსი—არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.
ლტოლვილები—პარტიზანები! ანზორი!
რა გვეშველება!
მირზა (მაუზერს იშიშვლებს).
ეი, სდექ, რას მიჰქარავთ?
კაპიტანი მიგვიძღვის...
(მისდევს).
დედაკაცი მანტოში—ხედავთ, ჯავშანო ჯერ კიდევ არ იძვრის!
ან როდის წავა, არც ის ვიცით!

კაპიტანი და მირზა.

კაპიტანი—ამ ნახევარ სმათის წინად განკარგულება გავეცი,
მატარებელი დაძრულიყო...
რად გვაჩერებენ?
პეტროვსკიდან რა ცნობა არის?
მირზა—პეტროვსკა არ გვიპასუხებს.
კაპიტანი—ა! როგორ!
მირზა—დასაზვერად ყაზახები გავგზავნე.
ამბავი მოიტანეს: მავთულის ხაზი გადაჭრილიაო.
სანამ შეაკეთებენ, მე ვფიქრობ, პარტიზანები.
კაპიტანი—ყველგან პარტიზანები გელანდება!
მირზა—კი არ მელანდება... ასეა!
ანზორი ჩვენებს მუსრს ავლებს! ო, არ ვიცოდი,
თორემ ხელში მყავდა...
კაპიტანი—მირზა! რემონტისთვის მუშების ჯგუფი შეადგინე!
თუ ლიანდაგი აყრილია, სასწრაფოდ შეაკეთონ...
მუშებს მზვერავები!
მატარებლის ახლო ვაგონში მოათავსე!
მირზა—მესმის! ინებეთ კორესპონდენცია!
კაპიტანი—ჰო! ასე! წყალი ააღებინე!
ბლომად ნახშირი!
მარდათ! სასწრაფოდ!
ხაზზე გლეხები ხომ არ შეუმჩნევიათ?
მირზა—გლეხებს მტრული განწყობილობა აქვთ.
კაპიტანი—განა მე განწყობილებას გეკითხები? განწყობილებას მხოლოდ შენა
სდევ...
პეტროვსკას შეატყობინე... სასწრაფოდ! მოდის ჯავშანო საშველად!
იხსნის რუსეთს და მის მონარქიას...
მირზა—ბატონო კაპიტან! ყაზახები მეკითხებიან: ხიდის დასაცავად ხომ არ
წავიდეთო!
კაპიტანი—რად გეკითხებიან, როცა მათ თავიანთი ოფიცრები ჰყავთ?
მირზა—იმათ აღარ ჰყავთ ოფიცრები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბ. მანტოში—თქვენი ჯავშანო, იმედია, არ დაგვტოვებს!
ამბობენ: ანზორი თავის რაზმით აქეთ მოდისო.

კაპიტანი—ანზორი აქეთ?
დრო არ მაქვს სალაპარაკოთ! ნუ მიშლით!

დედაბ. მანტოში—ანზორი თავებს დაგვჭრის...
განა არ იცით, ის თურმე...
(ლტოლვილები ეხვევიან, უკან მისდევენ).

კაპიტანი—მე ყველაფერი ვიცი! დამეკარგენით! შედით ვაგონში! მე გიცავთ, გესმით, მე ვარ თქვენი მფარველი!
წადით! მომშორდით!
(ლტოლვილებს მირზა ერეკება. სადგურის უფროსი კარიდან შეშინებული იცქირება. შემოჰყავთ დაპატიმრებული გლეხი—ინგუში).

გლეხი—ვარანტუი ზიმიხ, ლოხვსა ხვანსარ.

მირზა—ვინა ხარ? ხაზი ვინ გადასჭრა? იცი რას გიზავ? ხაზი ვინ გადასჭრა?

გლეხი—შაითან რა ვიცი.

მირზა—იცი რას გიზავ?
ხიშტზე აგაგებ!
სად იმყოფება ანზორი!

გლეხი—მე რა ვიცი. მე სულ გარეშე კაცი ვარ!
მინდორიდან მოვდივარ.

მირზა—ხანანუ.

კაპიტანი (ხელში ტელეგრამით).
ვინ არის ეს გლეხი?

მირზა—ინგუშია! მიდიოდა! დაიჭირეს!
(სადგურის უფროსი. მირზას სხვა ლენტებს ჩაუდებს და გადის).
ჩემის მოსაზრებით, ანზორის რაზმისა უნდა იყოს!

კაპიტანი—შენის მოსაზრებით? უჰ, რა ცხელა!

მირზა—გვატყობინებენ ახლო სოფლები და რამდენიმე სადგური პარტიზანების ხელშიაო!

კაპიტანი—(ტელეგრამას უჩვენებს).
თითქოს ზღვიდან ჯარი უნდა მოეშველებინათ?
სად არის ჩვენი მთავრობა?

მირზა—ეგ თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ!

კაპიტანი—მართალია!
სად არის ჩემი მარჯვენა შულაევი?

მირზა—„სტანიცაში“ ჩამოახრჩეს!

კაპიტანი—სახაროვი?

მირზა—იქნება სადმე: ან მკვდარი, ან ცოცხალი!

კაპიტანი—ეგეც მართალია!
ჯარების მთავარსარდალი?

მირზა—ო! ეგ ვიცი, არც ვიცი!
ამბობენ... ფსტ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი—რას ჰქვიან: ფსტ!
მირზა—არ ვიცი, ასე ამბობენ: მოკურცხლესო!
კაპიტანი—ფუ! როგორ წახდნენ!
ჩვენა ვართ, მირზა, ჩვენა ვართ მარტო! რუსეთს ჩვენი იმედი აქვს!
გაგზავნე ყაზახები ხიდზე სადარაჯოდ!
გავარღვევ ჯავშანო მატარებლით?
ქვას ქვაზე არ დავტოვებ! (მირზას სიჩუმის შემდეგ)
პარტიზანი დაიხვრიტოს.
გლეხი—ბატონო, მე რას მიპირებთ?
მირზა—რას გიპირებთ? უკან გამომყე!
სხვები ხიშტზე აგაგებდნენ...
გამჩენს მადლობა უთხარ, რომ სიკვდილის წინ ოფიცრებს შეხვდი.
(გადის).
1 ჯარისკაცი—შენ ჰეი! კოხტა ჩექმები და ჩოხა ჩაგიცვამს! შენთვის ეგ საჭირო
აღარ არის. გაიძვრე, რომ მერე არ ვეწვალო.
(გლეხი წაღებს იხდის. ჯარისკაცი მკლავზე გადაიკიდებს).
ასე! ეხლა არა გიშავსრა!
შენს გვამს აღარავინ შეაგინებს! აბა გასწი!
ჩეჩენი—სად? სად?
მე არაფერი ვიცი, მე არაფერი ვიცი. არ მინდა, არ მინდა, რა
მინდა.
ჩემი დედა მარტოა, ჩემი პატარა ძმა მარტოა.
ჯარისკაცი—ადექ შე ძაღლო (ინგუში მუხლებზე ეხვევა)
ჩეჩენი—არაფერი ვიცი, არაფერი ვიცი, არ მინდა, არ მინდა.
ჯარისკაცი—ადექ.
ჩეჩენი—დედა, დედა. (სროლა. ბავშვი შემოირბენს კივილით).
დედა—რა მოხდა? რა ამბავია?
შვილი—იქ... იქ...
(შემორბის სადგურის უფროსი).
დედა—ნუ თუ თავს დაგვესხენ?
სადგ. უფროსი—არაფერი ვიცი! არაფერი!

იბრაჰიმ და ჩინელი.

იბრაჰიმ—დაჯექ.
ჩინელი—აქ დავჯდა?
იბრაჰიმ—ჰო, ჰო, მარჯვედ იყავ, ყველგან დაზვერე.
თვალყური კარგათ გეჭიროს. ანზორ არ შეარცხვინო.
ჩინელი—თვალა-ყურა მონახა.

მემანქანე და სადგურის უფროსი.

მემანქანე—თქვენ თუ სადგურის უფროსი ხართ, უქუდოთ არ უნდა გამოხვიდეთ! თუ კანონია, უნდა ატაროთ კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად. უფროსი—(ფანჯარაში გადაჰყოფს ხელს და ქუდს იხურავს)
იცით, ბატონო ნიკიფოროვ! ზარს დავრეკ!
(მიდის ბუფორის თეფშთან).
თავბრუ დამასხეს! დავთრები ამირიეს.
სჯობია წახვიდეთ!

მემანქანე—თუ მიბრძანებენ, მე მზად ვარ!
თუმცა ეს ზარი არ არის, მაგრამ რაკი დაგიკიდია...
თუ განკარგულება არ იქნება ნება არ გაქვთ დარეკოთ!

ჩინელი—ცემუშკაა! ცემუშკა!

მემანქანე—(ჯიბეს მიუშვერს) ჩაყარე ორი! პატენტი გაქვს!

ჩინელი—პატენტი არა ვარა!
ა? ისა ვინა ვარა?

მემანქანე—ჯავშანის კამანდირი!

ჩინელი—ხო ჯავშან მაშინა დიდაა...
სალდათი ბევრაა ცემიშკა ბევრა გაყიდე.

მემანქანე—მთელ კალათას იყიდიან.
(აჯავრებს. სადგურის უფროსი ოხრავს).

ჩინელი—სალდატა ბევრაა? კაპიტანა ერთაა.
ოციცერ ორაა? მეტი არა ვარა.

მემანქანე—ოფიცერი ორი ჰყავს! მერე, შენ რად ჰკითხულობ?

ჩინელი—კაპიტანა ერთაა? ოფიცერ ორაა?

მემანქანე—რას ჩამაცივდი?

სადგ. უფროსი—(შემოდის) მაწამებენ! პირდაპირ მაწამებენ!
არ ვიცი ვის დავემორჩილო?

მემანქანე—კანონს! რასაკვირველია, კანონს!

ჩინელი—კაპიტანა ერთაა?

მემანქანე—რა საქმე გაქვს კაპიტანთან?
(სადგურის უფროსი ეფარება).

ჩინელი—კარგი კაპიტანაა. ცოდაა... ოავა ტკივაა...
(შემოდის კაპიტანი და მირზა მეორე მხრიდან).

კაპიტანი—მირზა, იმ პარტიზანს უნდა დავკითხო!

მირზა—უნდა დაჰკითხო? მკვდარს როგორ უნდა დაჰკითხო?

კაპიტანი—აღარ არის? ჰო, ასე სჯობს. აუცილებელია!
გარშემო ერთგული ხალხი უნდა მყავდეს.

მირზა—მუშები სადგურზე აღარ არიან!

კაპიტანი—მაშ რა იქნენ?

მირზა—გაიქცნენ!

კაპიტანი—გაიქცნენ?!
უბრძანე მათი ბინები გადასწვან!
ჩვენ კი მივდივართ, მივდივართ პეტროვსკაზე!

მირზა—მესმის! ბატონო კაპიტან!
სადგურის უფროსს დაჭრილი ყაზახი ატყობინებს, პარტიზანებს ხიდზე იერიში მოაქვთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი—მიჩვენეთ მთხრობელი!

სადგ. უფრ. დაჭრილი უგონოთ არის!

ამბობს: პარტიზანებს უნდათ ხიდი ააფეთქონო!

კაპიტანი—ხიდი? ა!.. მაშ გზა უნდა გადაგვიჭრან?

ა?.. მირზა, თუ ხიდი ააფეთქეს.

მაშინ მშვიდობით...

ო... ო!.. ღენერალო სპასკი. შეგიძლიათ ეხლა კმაყოფილი ბრძანდებოდეთ.

გარშემო გზები მომიჭერით, შემომამწყვდიეთ ამ ველურ მთებში. ამ სამხეცეთში! თქვენ კი ფეხებზე გკიდიათ ყველაფერი ეს... არა! მე კიდევ შემიძლია შევიჭრა ქალაქში, თავი დიქტატორად გამოვაცხადო და რუსეთი ვიხსნა. დიახაც შევიჭრები და მაშინ დამცველი ღენერალი სპასკი კედელთან. თავის დისწული სურს მომათხოვოს და ამ სამხეცეთში კი მომამწყვდია?.. შეგეშინდა ჩემი ქალაქში დარჩენა? გადატრიალების გეშინიათ, ვიაჩესლავ ალექსეევიჩ? აა! მაგრამ მესმის თქვენი ოინები. პეტროვსკა მეამბოხეებს დაუთმეთ, ხიდი პარტიზანებს ააფეთქებინეთ და მე კაპიტანი კი ამ სამხეცე მთებში მომამწყვდიე. მაგრამ ბასტა! ჩვენ ფოლადში ვსხედვართ, ჩვენ უძლეველნი ვართ. დავანგრევთ... დავამსხვრევთ... მირზა!.. წინ!.. ა-ა-ა-ა!..

(გული ულონდება. ყელში ხელებს იტაცებს. ეშვება ძირს. მირზა მიეშველება. იჭერს)

მირზა—ეხლავ გაივლის. ბატონო კაპიტან.

სიცხეა ბ-ნო კაპიტან.

კაპიტანი—მართალია ცხელა!..

ოჰ!.. როგორ მიბრუის თავი... ყველაფერი ტრიალებს მესმის მთიელი გლეხის ლაპარაკი...

მირზა—ანზორის?

კაპიტანი—არა! ჩვენ რომ დავხვრიტეთ! თითქო სიზმარში ვხედავ... იყო, აღარ არის... ვფიქრობ და ფიქრი აღარ მემორჩილება...

აზრი დაიბურა!

მირზა—(ჩინელს) შენ ჰეი! კოკაინი არა გაქვს?

კაპიტანი—ჰო, ეგ კარგი იქნება!

ჩინელი—არაა!

მირზა—მაშ რა გაქვს?

ჩინელი—ცემიშკა იო.

მირზა—ა, შე! ჭინკა! პარტიზანებს ემხრობით. ყველა დასახრჩობი ხართ!

კაპიტანი—დიახ, დიახ!.. ორდენზე წარგადგენ.—მირზა! მემანქანეს დამიძახე.

(მირზა მიდის)

ოხ!.. როგორ მტკივა თავი. ნუ თუ რუსეთი ველარ უნდა ვიხსნა?.. არაფერია... აი, ქორწილიც კი ვერ მოვასწარ... შემრცხვა დაჩქარება. ნიშნობის შემდეგაო, ამბობდა დედა ჩემი, უნდა ცოტა მაინც მოიცადოო. სულელი... სხვა, რომელიმე ხეპრე ჩაიგდებს ხელში... ჩემს

№ 14-69
ბიბლიოთეკა

ვარიას, მასთან დაწვება... ხეპრე... აი. ჯავშანო მატარებელი
უკანასკნელი სიტყვა რუსეთის ტეხნიკისა.
(შემოდის მემანქანე).

მიღებულია ბრძანება! პირდაპარ ქალაქზე. ჩვენთვის რყევა არ არსებობს—არსებობსკანონი! ნიკიფოროვ უნდა შეასრულო დავალება.
მართალია, სიკვდილს თვალებში უნდა უცქიროთ.
უნდა გავარღვიოთ! გიორგის ჯვარი!

მემანქანე—მე, როგორც სისხლით ყაზახი, ერთ დროს ჯარშიაც ნამსახური, ვეცდები შევასრულო!

კაპიტანი—დიახ! დიახ! არავის დავინდობ!
ქვას ქვაზე არ დავტოვებ!
ცეცხლი და მახვილი.
(გადიან).

ჩინელი—(მარტო. კალათას გადმოაბრუნებს და რევოლვერს ამოიღებს).
ვნახე აქ არის... კოკონა! კაპიტანა, მამაძაღლა.
(შემდეგ ახტება და ბუფერის თეფშს სცემს).
ერთა. ორა. სამაა.
(გარბის).

სადგ. უფროსი—ვინ რეკავს?

ფარდა.

დასასრული შემდეგ №-ში

მიხეილ ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსენა მარაბდელი

რომანი

თავი მერვე

შავი ძვრივი

ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ ბარათაშვილსა.
ხალხური სიმღერა

მაშინ არსენა მარაბდაში არ ყოფილა.
ხალ ხური რწმენა.

არსენა ქვიშხეთიდან მარტო წამოვიდა. სიმონა ცხოვრებაძე იქ დარჩა. მას ჰსურდა დედ-მამა ენახა და ბატონისთვისაც თვალყური ედევნებინა. ოძელაშვილი ჯერ სოფელ ჭალაში ჩავიდა, საცა აბაშიძე მძვინვარებდა, და ეს ბატონიც მოარჯულა. მერე მტკვარს დაჰყვა და ქალაქისკენ წამოვიდა. გზა-და-გზა მოყვრები ჰყავდა და ისე არ ჩაივლიდა, რომ არ მოეკითხა. ყველგან ერთსა-და-იმავეს ხედავდა, ერთი-და-იგივე ესმოდა: გლეხობა ძრწოდა იმის გამო, რომ მას სალდათად უპირებდნენ გაყვანას.

— თავს შევაკლავთ და არ წავალთ!—მტკიცედ ისმოდა ყოველ მხრივ.

და იგი დრტვინავდა იმიტომაც, რომ ხარ-კამეჩი, ურემი, მუშა ხელი და სარჩოც აღარ შეარჩინეს. მათ ყველა გზები დატკეპნეს, ყველას თავი მოაბეზრეს და აღარ იცოდნენ ქვისთვის ეხალათ თავი თუ ქვა ეხალათ თავში, კიდევ ეჩივლათ თუ მეათეჯერ აჯანყებულიყვნენ, ეხლა კი არსენას შესჩიოდენ და მას უკანასკნელ იმედსავით ეჭიდებოდნენ:

— გვეუბნებიან, ომია და მოიტაო, —ჩიოდენ, – მაგრამ რაც რუსი მოვიდა, ომი აღარ თავდება. უწინ წელიწადში ერთხელ-ორჯელ გავიდოდით, ეხლა კი ნიადაგ ომში ვყრივართ. ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ. რუსები გვეუბნებოდნენ, ჩვენ იმისთვინ მოვედით, რომ ომი მოგაშოროთო, ნამდვილად კი ხან დაღესტანს ვეომებით, ხან ერევნის ხანს, ხან განჯისას, ხან შირვანისას, ხანაც ჯანდაბისას და უფრო ხშირად კი ყველას ერთად, და ამ სისხლის-ღვარს ბოლო აღარ უჩანს. არსენ, გვიშველე!

ომს მართლა აღარ უჩანდა ბოლო. ეს ურჩხული უკვე ოცდაათ წელიწადს მძვინვარებდა და ოცდაათიც უნდა გასულიყო, სანამ კავკასიის დაპყრობა დას-

რულდებოდა. სალაშქროდ არავინ არ გაჰყავდათ იძულებით, მაგრამ ოჯახის განიავებას ისევ ქუდზე კაცის წაყვანა სჯობდა. გლეხს ქონებრივი სერნეული გატეხილი ჰქონდა და წელში გაწყვეტილ ხვლიკივით იკლაკნებოდა. სამართალს ეძებდა და მსაჯულის ენა არ ესმოდა. ქალაქში საქმისათვის მიდიოდა და უცხო მოხელემ მისი ცხოვრებისა არა იცოდა-რა. ბატონთან მივიდოდა საჩივლელად და ისიც მოხელის მხარეზე იყო. მოხელეს მიადგებოდა და ისიც ბატონისკენ იყო. უწინ რაღაც იმედი ჰქონდათ რუსის მეფისა, მაგრამ მალე გაუცრუვდათ. რუსები დაჰპირდნენ, შვიდ წელიწადს არავითარ ხარკს არ გამოგართმევთო, მაგრამ უმალვე გასტეხეს სიტყვა და წინდაწინვე ორი წლის ხარკი გადაახდევინეს. თავიანთ ქალალდის ფულს თვითონაც არ იღებდნენ და ოქროს და ვერცხლს მოითხოვდნენ. უწინ ქართველებს უარესი ჭირიც ენახათ. მაგრამ ხატებისთვის ხელისხლება მაინც ვერ გაებედნათ, ეხლა კი ერთმორწმუნე რუსის მოხელემ ეკლესიები დააცალიერებინა და ოქრო-ვერცხლი მეოთხედ ფასად მიიღო.

ზოგან რომ მამაკაცი აღარ ეყოთ, ურმებში დედაკაცები შეაბეს. მოხელე აკრეფილ გადასახადს ჰფლანგავდა, მთავრობა კი ამ გადასახადს ხელმეორედ ახდევინებდა გლეხებს. ბატონიც გაავდა და გახარბდა, რადგან რუსს იმის მხარე ეჭირა. გლეხი განაპირებული იყო, ტაფაში იხარშებოდა და აღარ იცოდა სად ეპოვნა სამართალი, ან იყო კი მისთვის სადმე, სამართალი?

ამგვარი ჩივილი არსენას ყოველ მხრივ ესმოდა და თვითონაც მომჩივანივით ღონდებოდა, რადგან ჯერ ძალა არ შესწევდა რათა რკინის მთებივით დამყარებული ადათი და კანონი გამოეცვალა. მაგრამ თუ რომელიმე თავად-აზნაურის ან მოხელის დიდს უსამართლობას მოჰკრავდა ყურს, არ დაიზარებდა და, შორსაც რომ ყოფილიყო, უმალვე იქ გაჩნდებოდა. ასე ჩაიარა ოძელაშვილმა ქარელი, გორი და კასპი, მერე მუხრანზე მოუხვია და ქსანის დაყოლებით მცხეთისკენ დაეშვა. შიო მღვიმესთან ბერების ბორნით გავიდა არმაზისკენ და ქვეით ჩაუხვია. დიდი გზა ტყე-ტყე მიდიოდა. უკვე ჯვრის-მონასტერი და სვეტი-ცხოველის გუმბათი გამოჩნდა.

ოძელაშვილი მხიარულად იყო, რადგან შიო-მღვიმის ბერებმა სამონასტრო ღვინო დაალევინეს და გემრიელი სადილიც მოართვეს. ლურჯა ნაბიჯით მიჰყავდა და ღიღინებდა.

უცებ ფოთლიანიდან ვიღაც ახალგაზრდა გამოვარდა, თოფი დაუმიზნა მას და მიაძახა:

— ჩქარა ცხენიდან ჩამოდი და იარაღი დაჰყარე, თორემ გაგათავე!

— ვინა ხარ, ბიჭო?—იკითხა გაოცებულმა მარაბდელმა და ლურჯა შეაყენა.

— ვინა ვარ და არსენა გახლავარ. განა ვერ მიცანი?—უპასუხა ყაჩაღმა.

— უკაცრავად გახლავარ, რომ არსენა ვერ ვიცანი.—ღიმილით მიუგო ოძელაშვილმა და ჩამოხტა.—ამას იქით მეცოდინება და პატივსაც გაახლებ. ეხლა რა გნებავს ოძელაშვილო?

— ეხლა იარაღი დაჰყარე და გამომყე.

— შენ ჰეი, პირყვითელავ,—უცებ შეიცვალა ნირიც და კილოც არსენამ,—იცი რას გეტყვი? მე თვითონ გახლავარ არსენა და შენ თვითონ დააგდე ეგ მურდალი თოფი, თორე...—და ნელი ნაბიჯით გაალაჯა ყაჩაღისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იარაღი დაჰყარე და ნუ მოდიხარ, თორემ გესვრი!—ისევ შეჰკივლა ჭაბუკმა.

— მე თავად გახლავარ მეთქი არსენა. გეუბნები ეგ თოფი დააგდე, თორემ სიმხდალით გაგივარდება და ინანებ. ანდე ხელიც გიკანკალებს.

— ნუ მატყუებ! შენ არსენა არა ხარ!—და მისი ხმა გაბზარულ ქვაბივით აჟღარუნებდა.—შესდექი მეთქი, თორე გესვრი!

არსენა ერთი წამით შესდგა, მანძილი გაზომა. ყაჩაღი თრთის და იქნება სიმხთალით მართლა დასცალოს თოფი. მერე თვალის დახამხამებაზე დაიღუნა, ფოცხვერივით ისკუპა და სწორეთ იმ დროს აჰკრა ლულას ორი თითი, როცა თოფმა გრიალი გაადინა. თავმომწონე ლურჯამ მრისხანედ დაიჭიხვინა და მოვარდა. თოფის ქუხილი გაღმა კლდეებს მიასკდა და უკანვე დაბრუნდა.

არსენას ცალი ხელით ეჭირა ყაჩაღის საყელო, ბალღსავით აბორიალებდა და ასე არიგებდა მას:

— იიჰ, შე წუნკალო, შენა! აკი გითხარი, სიმხდალით გაგივარდება მეთქი. არც ეხლა დაიჯერებ, რომ ნამდვილი არსენა ვარ?

— მჯერა, მჯერა!—ეხვეწებოდა ყაჩაღი.—წელანვე დავიჯერე, მაგრამ უცაბედად გამივარდა. ცაში გავისროლე და მაპატიე.

— ეს არის ცაში გასროლა?—ჰკითხა ოძელაშვილმა და ტყვიით გახვრეტილი ქუდი და შავად შეტრუსული ქოჩორი აჩვენა.—შე ცინგლიანო! შე მურდალო! შე წუპაკო შენა!

ხელი გაუშვა და იგივე ხელი ისე გაჰკრა ყბაში, რომ ლაწუნი მტკვრის გალმა გავარდა. ყაჩაღი წაიქცა და ისევ წამოდგა. არსენამ მეორე სილა ამოჰკრა და ისევ მარცხნივ გადმოხარა. მერე კვლავ მარჯვენა დაუხვედრა და წელში გაასწორა.

— შე ყურმუსალო, საკუთარი ვაჟკაცობა რომ აღარ გეყო, ჩემი სახელი ისესხე? ისესხე და ლაფში ათრევ, განა!

აქამდე თითქო ხუმრობით ულაწუნებდა, ეხლა კი ერთი ისეთი მოახვედრა ყურის ძირში, რომ ყაჩაღი ბღავილით დაეცა და მუდარით მოეხვია მუხლებზე. არსენამ ფეხი წაჰკრა და—

— ადე და შენი ნადავლი მაჩვენე. ჩქარა!—უბრძანა.

ორმოციოდე ნაბიჯი გაიარეს ტყეში და ტაფობზე გავიდნენ. დიდი მოლი გაცარცულ ხალხით, ცხენებით და ურმებით იყო სავსე. ამოდენა ხალხს, შიშველს და საცვლის-ამარად დატოვებულს, ერთი კაციც ჰყოფნიდა: ის თოფ-მომარჯვებული უვლიდა ბათ გარშემო და დრომდე წასვლის ნებას არ აძლევდა.

— ლაყე ბიჭო, შენც აქა ხარ?—მიაძახა იმ კაცს არსენამ.—ხომ გეუბნებოდი, ძმად არ გამომადგები და საყაჩაღოდ წადი მეთქი. ფუჰ შენს კაცობას! აბა, ეგ თოფი დააგდე და აქ მოდი!

„ლაყე ბიჭმა“ არც თოფი დააგდო და არც მივიდა. უმალვე ფოთლიანში შევარდა და ლაწუნით გაიქცა.

— სად მირბიხარ, დედალო!—მიაძახა არსენამ და სიცილი გააყოლა. „ლაყე ბიჭი“ ავ საქმეზე იყო გავარდნილი და რამდენიმე თვის წინათ მარაბდელს ხვეწნით თავი მოაბეზრა. ოძელაშვილმა ჯერ არ იძმო. მერე მიიღო, გამოსცადა

„ლაყე ბიჭის“ სახელი მიაკერა და ტყიდან კინწისკვრით და პანჩურით გამოაგდო.

გაცარცულთა გროვაში ყველა ჯურის ხალხი მოსჩანდა: ქართველი და რუსი, ურია და სომეხი, თათარი და ოსი, ხნიერი და ახალგაზრდა, მამაკაციც და დედაკაციც, ვაჭარიც და გლეხიც, აზნაურიც და მოხელეც, ზოგი ქალაქში მიმავალი და ზოგიც იქიდან მომავალი. არსენამ ამ გაჭირვებულ ბრბოს თვალი მოავლო და განრისხდა:

— რა ჩემი გამჩენი გაგიწყრათ, თქვე ტიელებო?! ორმა წიტიანმა ბიჭმა ამოდენა ხალხი როგორ დაგჯაბნათ?!

ტყვეებმა ყაყანი ასტეხეს. თავს იმართლებდენ: ზოგს იარაღი არა ჰქონდა, ზოგმა ამოღება ვერ მოასწრო, ზოგი მარტო მრდიოდა და ზოგიც სისხლის დაღვრას მოერიდა.

მარტოდ-დარჩენილმა ყაჩაღმა ზიზღით ჩაიცინა და არსენას უთხრა:

— განა ეს ხალხი გამოსარჩლების ღირსია? ამას წინათ ჭოპორტის გზაზე ერთ აზნაურს წინ გადაუდექი. იარაღიც არ ამოიღო. მათრახით ამაჭრელა და გამიშვა. ესენი კი ცხვარივით მოელალებიან. ერთს რომ დავჭყიტლებ ხოლმე, ლამის სული გასძვრეთ. ზოგს გაუტენელი თოფი აქვს. ზოგს ფალია არა აქვს დაყრილი, ზოგისა ნესტიანია, ურიებს კი დამბაჩები ბოხჩის ძირში უწყვიათ. განა ეს ფარა ხალხია?

ურმის ქვეიდან ვიღაც შიშველი ბერი გამოძვრა, და როცა წელში გასწორდა, იმ ბრბოს კისრით-თავამდე ასცდა. ასცდა და ჯერ აუგის ოფლი წასკდა და მერე კი შავ მთვარესავით გაიბადრა:

— ჩემი არსენა!—წამოიძახა მან და დარცხვენილი წამოვიდა, თანაც ბანჯგლიან მკერდს და სასირცხო ალაგს იფარებდა.—რა ფეხბედნიერი კაცი ყოფილხარ, ძმაო!

— ფილადო, შენც აქა ხარ?—გაოცდა ოძელაშვილი, მაგრამ ტყვე-ხალხი მასზე უფრო მეტად გაოცდა. არსენაო?! მაშ ეს ყოფილა ნამდვილი არსენა? მაშ ის წუპაკი ყველას სხვის სახელით აშინებდა? მაშ გამართლებულა იმ ხალხის ნათქვამი, ვისაც ყაჩაღის არსენობა და არსენას ყაჩაღობა არა სჯეროდა. და სანამ შეჭარხლებული ბერი და მარაბდელი ერთმანეთს მოიკითხავდნენ, ტყვე-ხალხს ნირი შეეცვალა. ერთი მხრივ ამაყობდენ, რომ ისინი არსენამ გაანთავისუფლა და სახელოვანი ვაჟკაცი ნახეს, მეორე მხრივ კი ისიც სცხვენოდათ, რომ ნამდვილმა არსენამ კი არ დაცარცვა ისინი, არამედ აი ამ ცრუმ და კიდევ ვიღაც „ლაყე ბიჭმა“, რომელიც ეს-არის ეხლა გაიქცა.

— შენ რაღა გინდოდა ამ გზაზე, ფილადო?—ჰკითხა ბერს არსენამ.

— მე შიო-მღვიმის მონასტერში გეახლები. შესაწირავი მიმქონდა, მაგრამ ამ მეკობარმა ყოველივე ამართვა, კრულ იყოს მისი სახელი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!—და ფილადელფოსმა ყაჩაღს დედაბერივით მიაყარა ქოქოლა.

— დავლა სად დამალე ბიჭო?—ჰკითხა არსენამ ყაჩაღს.

იქვე ტყეში დაემალნა. წავიდნენ და ხის ძირში ნადავლის ვეება გროვა აღმოაჩინეს. ხარბ ყაჩაღს ყველაფერი წაერთმია: იარაღი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ჩითეული და საკვები, ლოგინი და საცერი, ფარდაგიც და ლურსმანიც,

ვარგისიც და უვარგისიც. ტყვეები თავდაპირველად ტანისამოსს ეცნენ და იქვე ჩაიცვეს. მერე თავიანთ ნივთებს დასწვდვენ და უმალვე გაინაწილეს.

ბერმაც თავის შავი ანაფორა, კუნკული და წულები იპოვა და გადაიცვა. მერე კნეინა ხორეშანის მიერ ბისონით მოქარგული დაფარნა იპოვა და უბეში ჩაიჩარა. შემდეგ ასეთივე ოლარიც ალმოაჩინა და ისიც უბეში ჩაიტენა. თანაც დაუმატა;

— ღვთისნიერი დედაბერია ჩვენი კნეინა ხორეშანი. ამას წინათ მარაბდაში დამპატიჟა და შუამთისათვის მრავალი რამ გაიღო, ეს დაფარნა და ოლარი კი შიო-მღვიმეს შესწირა და ამიტომ მოვდიოდი. მაგრამ შენი ნახვაც ძალიან მინდოდა, შვილო არსენ.

ძალიანი უნდოდა. დიდი ხანია დაეძებდა, რად დასჭირდა ბერს არსენა? აბა ეხლა რა დროსია! ქალაქში ხომ არ მიდის ოძელაშვილი? დიაღ, ქალაქისკენ მიემგზავრება. მაშ კეთილი და პატიოსანი. ბერიც დღესვე დაბრუნდება და არსენას სტუმარი იქნება. ოძელაშვილის სუფრას უქებენ და ბერს ჰსურს ერთხელ იმანაც იგემოს. სად შეხვდებიან ერთმანეთს? ორთაჭალაში, „იმ მედუქნესთან“. იცნობს ბერი ლოპიანას? როგორ არ იცნობს! ორბელიანები, ბარათაშვილები და დიგვარიანი თავადები მუდამ იმ მედუქნის მუშტრები არიან და რამდენჯერმე ბერიც წაიყვანეს. ასეთ ალაგებს ძალიან ერიდება, მაგრამ.—

— მაგრამ მეც კაცი ვარ და ეშმაკიც სხვაზე მეტად მე მეტანება.—გაიმართლა თავი ბერმა და ბალახში ჩაყრილ ნაყარ-ნუყარს მიეტანა.

არსენამ ბალახში რაღაც ქაღალდს მოჰკრა თვალი, აიღო და ჩაათვალიერა. ეს იყო „აქტი გონიერი“—წესდება შეთქმულთა, დაწერილი რელიგიურ-მისტიურ კილოზე, ალსავსე ლოცვებით, ფიცით და მასონურ პრინციპებით და დარიგებით შესახებ იმისა, თუ რა სიფრთხილით უნდა ყოფილიყო არჩეული ძმობის წევრები და რა სიმძაფრით უნდა შეენახათ მისი საიდუმლოებანი. გარდა ამისა „აქტში“ ეწერა, რომ იესო ქრისტე შეთქმულთა შორის პირველი წევრი იყო და რომ ამ ძმობაში მდაბიო არ უნდა ყოფილიყო არჩეული.

მარაბდელი უმალ მიხვდა ყველაფერს. აი თურმე რისთვის მიდიოდა ფილადოლფოსი შიო მღვიმეში!

არსენამ ფილადოს გადახედა.

ბერი შეშფოთებული იყო. მეხუთეჯერ მოიჩხრიკა ჯიბეები და ერთხელ კიდევ გადააქოთა მიწაზე დარჩენილი ნაყარ-ნუყარი. ოძელაშვილი მიუხვდა. ქაღალდი იმავე ალაგას დააგდო, განზე განდგა და იკითხა:

— რას ეძებ ფილადო?

— მე? იმას...—დაიბნა ბერი—ერთ ქაღალდს.

— აგერ ის ხომ არ არის?—და თვალით ანიშნა.

ბერი სიხარულით აენთო. ფიცხლავ მივარდა, აიღო, დაჰკეცა, ჯერ უბეში ჩაიდო, მერე შალვრის ჯიბეში გადაიდო, იქიდან წულის ყელში გადაიტანა და ბოლოს ისევ უბეში ჩაიჩარა, თან სიამით იღიმებოდა და ჰსურდა რაღაც ეთქვა. მაგრამ არა სთქვა-რა და განზე გადგა.

— ხალხო, ამ კაცს რა უყოთ?—იკითხა ერთმა და ყაჩაღზე მიუთითა.

— ჩავაქვავოთ!—დაიძახა ერთმა.

— პოლიციას გადავცეთ!—შესძახა მეორემ.

— ჩავაქვავოთ! ჩავაქვაოთ!—დაიძახა უმრავლესობამ და ერთ ერ ქვებს დასწვდნენ.

ყაჩაღი ფეხებში ჩაუვარდა არსენას და შეჰღაღადა. არსენამ ხალხი შეაჩერა და ყაჩაღს ჰკითხა:

— რას იტყვი, რასა მპირდები?

— სვეტი-ცხოველს ვფიცავ, რომ აღარ ვიზამ. მაგრამ აღარც შენ მიმესვლება და ისევ შენ უნდა მიპატრონო.

— მე გიპატრონო?—და არსენა ჩაფიქრდა. მერე უთხრა:—ხვალ დილით ისნის ხიდზე გამოდი და იქ მომიცადე. ეხლა კი ეგ იარაღი აქ დაჰყარე და წადი. შენი ვინაობა გამიგონია და მგონი მორჯულდე.

ყაჩაღს ზედ ხანჯლის მეტი აღარა ჰქონდა-რა. ისიც მოიხსნა, დააგდო ფოთლიანში შევარდა და თან გაცარცულთა ჟრიამული გაიყოლა.

— ხალხო, არსენას მადლობა გადავუხადოთ!—დაიძახა ერთმა.

— გადავუხადოთ! გადავუხადოთ!

და ყველანი ოძელაშვილს შემოეხვივნენ. ზოგი მკლავზე ჩამოეკიდა, ზოგი ხელს ართმევდა, ზოგი საკოცნელად იწევდა და ზოგიც ფულსა და და სამკაულს სჩრიდა ხელში. ოძელაშვილმა საჩუქარი არ მიიღო და უთხრა:

— ხალხო, მე არც მადლობა მინდა და არც საჩუქარი. გული მერჩოდა და გიშველეთ, მორჩა და გათავდა. წადით და ყველას უთხარით, არსენა ყაჩაღი არ არისთქო. გარდა ამისა, ვისაც რამე შეგიძლიანთ, ქვრივ-ობოლს დაურიგეთ და გადაეცით არსენამ მოგართვათქო. ეხლა კი მშვიდობით და გამარჯობით იყავით.

გლეხები ღონივრად მოეხვივნენ და მოინდომეს გამოჰყოლოდნენ, მაგრამ არსენამ არ ისურვა, ყველას გამოეთხოვა და ქალაქისაკენ მოჰქუსლა. ეხლა კი ჩქარობდა ოძელაშვილი, რადგან ეფიქრებოდა, ამ ამბავმა არ ჩამისწროს და ხელჯოხოსნები სადმე ვერაზე ან გარეუბანში არ დამიხვდენო. ბერი კი ჯერ იქვე მტკვარზე მეტივეს გაურიგდა, შემდეგ ბორნით გავიდა გაღმა და შიო-მღვიმელ ძმებს კნეინა ხორეშანის შესაწირავი და თავის „აქტი გონიერი“ და ძმური ხვევნა-მოკითხვა მიართვა.

* * *

ამასობაში სპარსეთ-რუსეთის ომი თავის გზით მიდიოდა. პასკევიჩი მედგრად მიიწევდა არეზისკენ, მაგრამ მიუხედავათ რუსების გამარჯვებისა ჯავადბულახთან, აბას-აბადის ციხე მას კარს არ უღებდა. მაშინ მთავარსარდალს პასკევიჩს მისი ცოლის ნათესავი დიპლომატი და პოეტი გრიბოედოვი მოეშველა.

ციხის მთავარ ბურჯად ნახჭევანელი ექსან ხანი ითვლებოდა. ოდესღაც, ოცდათოთხმეტი წლის წინათ, მის მამას ქელ-ალი-ხანს სპარსეთის წინანდელმა შახმა აღა მაჰმადმა თვალები დასთხარა. შვილმა შურისძიება ჩაინერგა და ველარ მოინელა. ბოლოს დრო იხელთა და აღა მაჰმადის ვალი ეხლანდელ სპარსეთს გადაუხადა. როცა ჯარში მყოფმა გრიბოედოვმა ექსან-ხანს ამბავი გაიგო, შუამავალი მიუგზავნა მას და მოლაპარაკება გააბა. გაბა და ექსან-ხანი ციხის-

თავს მიუსია. ექვს ივლისს ნახჭევანელებმა დანარჩენ მეციხოვნე ჯარს იარაღი აჰყარეს და მეორე დღეს ციხე რუსებს ჩააბარეს. იმავე ხანებში, ისევ გრიბოედოვისავე წყალობით, ყარაბაღის ხანი მეხტი-კულიც გადაუდგა სპარსელებს.

მარცხით გულგატეხილმა აბას-მირზამ ზავი მოითხოვა. გრიბოედოვი ეწვია მას და ერევან-ნახჭევანის სახანეობის დათმობა და საომარ ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. ამავე დროს რუსებს უნახავი სიცხე დააწვა. მთელი ჯარი ნაპირზე გადმოგდებული ლოქოსავით ეყარა და უწყლობით იხრჩობოდა. აქა-იქ ხოლერამაც გაჰკრა. პასკევიჩს უწყლობის, სიცხისა და ხოლერისა უფრო მეტად შეეშინდა, ვიდრე სპარსულ „უძლეველ“ ხმლისა. და ჯარი ბუღითა და ხაშმით სავსე ბარიდან ყარა-ბაბას ქედის გრილ კალთებზე ამოიყვანა. აბას-მირზას ეგონა, რუსი გარბისო და გრიბოედოვი ხელცარიელი გამოისტუმრა.

ამავე დროს პასკევიჩს საალყო ზარბაზნები და მეფის მტკიცე ბრძანება მიუვიდა: თავრიზს თავი დაანებე და ჯერ ერევანი აიღეო. და პასკევიჩიც უმალვე სამზადისს შეუდგა.

მოხელეებმა და ოფიცრებმა დრო იხელთეს და ტფილისისაკენ გამოეშურენ. ყველაზე მეტი ხალისით ქართველები მოდიოდნენ, რადგან მათ მოუთმენლად ელოდებოდნენ დედა, და მამა, ცოლი და შვილი, დანიშნული, მეგობრები, ნაცადი გრილი ჰაერი და საკუთარი პურ-ღვინო. გარდა ამისა, თავად-აზნაურთა მარშალი უნდა აერჩიათ და ესეც მოიმიზეზეს.

სომხეთის ოლქის მომავალმა მოურავმა და ეხლა კი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურმა ალექსანდრე ჭავჭავაძემაც დრო იხელთა და ერთი კვირით დაბრუნდა. ოჯახი წინანდალში ჰყავდა, მაგრამ უდროობის გამო კახეთში ასვლის მაგიერ ცოლშვილი ტფილისში დაიბარა. მისი სახლი მარმარილოს წყაროს პირდაპირ გზაჯვარედინის ზემო კუთხეში იდგა. ორსართულიანი შენობა კრამიტით იყო დახურული. მას თაღიანი ფანჯრები ჰქონდა და ირგვლივ თეთრად და ცისფერად შეღებილი განიერი აივანი ერტყა, რომელსაც ზემოდ ქართული ხარატის არშია ჰქონდა მოვლებული. სახლი ოთხივე მხრივ ბაღში იდგა, მას ორი კარი ჰქონდა და ორივე კარისკენ მიმავალი გზები ვაზის ხეივნებით იყო დაჩრდილული.

მზე გადაწურული იყო და აივნის ორთავ მხარეს უკვე ჩრდილი დასწოლოდა. ჭავჭავაძეს სტუმრები ჰყავთ. ყველანი ცხენებით და ფაეტონებით მოსულან. ეტლებიც და ცხენებიც მარმარილოს წყაროსთან შეუგროვებიათ და აბანავებენ, წყალს ასმევენ და რეცხავენ. თანაც მხლებელნი და მეეტლენი რიგის გამო მეთულუხეებს და პატარა ბიჭებს ედავებიან. ზემო აივანი სტუმრებით არის შეკუნწლული. ხალიჩებით და ფარჩა-ხავერდის ბალიშ-მუთაქებით დაფენილ ტახტებზე ხნიერი და ახალგაზრდა კნეინები სხედან, ხოლო მათ წინაშე და მოშორებითაც ახალგაზრდა ვაჟები და რამდენიმე ხნიერი თავადი და მოხელე ზის, სდგას, და სეირნობს.

ორ მრგვალ მაგიდაზე, თოვლივით თეთრ სუფრაზე, ფაიფურის საჩაიე ჭურჭელი კრიალებს. იმგვარივე მოზრდილ ლარნაკებში მასპინძლის ბაღებიდან მოტანილი ხილი ქათქათებს. ჯერ მარიამობა არ ყოფილა და ხილი ნაკურთხი არ არის, მაგრამ რა ბედენაა: ჭავჭავაძის ოჯახი რუსულ-ევროპულ წესს

მისდევს და აქაურ ადათისაგან მცირე რამელა შერჩენია. ზოგი სტუმარი ჩაის არა სვამს და ცივი თეთრი წინანდალი ურჩევნიან, ქალებმა კი ტკბილი მალაგა და პორტვეინი დაიჩემეს, რომელსაც მასპინძლის ფრანგი შეღვინე ამზადებს წინანდალში. კნეინები ამ ღვინოს ბროლის ფინჯნებით სრუტავენ და დაბალი ხმით საუბრობენ.

დრაგუნთა ფორმით გამოწყობილი მასპინძელი, ნაპაჟევი, ოდესღაც ვოლტერიანელი და აჯანყებული, ეხლა კი ყველაზე არისტოკრატიულ პოლკის ბრწყინვალე პოლკოვნიკი და ქართველი პოეტი, დიდი მოხელე, მემამულე, შვილი უკვე დაფხრეწილ 1783 წლის ტრაქტატის ავტორისა და ერეკლე მეფის ელჩის გარსევანისა—შუა ტახტზე ჩამომჯდარა, ცივ წინანდალს სვამს, სტუმრებსაც ასმევს. შავსა და თხელ ულვაშებს იგრეხავს და ხნიერ ორბელიანებს და თავის მომავალ სიძეს გრიბოედოვს ესაუბრება.

წვერ-ულვაშ გაპარსულ გრიბოედოვს ლურჯი ფრაკი აცვია, მკერდზე ერთი ორდენი ჰკიდია, კისერი მაღალ საყელოში აქვს ჩამძვრალი და მოსაუბრეს დიდრონი სათვალეებით უგდებს ყურს, თვალები კი ოთხი ქალისკენ მიურბის და ველარ გადაუჭრია, იმ ოთხში ვინ უფრო ლამაზია: მარიამ ორბელიანი, მანანა ორბელიანი, მასპინძელი სალომე ორბელიანი თუ მისი უფროსი ქალიშვილი ცამეტი წლის ნინო, რომელსაც გრიბოედოვმა მურილიოს მადონა დაარქვა და თვალიც დაადგა.

ორბელიანთა ოთხივე ქალს ევროპიულად აცვია და აივანიც ორბელიანთა გვარით არის სავსე და დიასახლისი კნეინა სალომეც ორბელიანთა ჩამომავალია. აქ არიან გრიგოლი და მისი ძმა ზაქარია, ერეკლე მეფის შვილი-შვილი ალექსანდრე, ვახტანგი, დიმიტრი და მათი მახლობელი ნათესავი ყაფლანი. ლუარსაბიც და თემურაზიც, ტასოც და ეფემიაც, ხვაშაგიც, ანაც და მაიკოც. უკლებლივ ყველა ახალგაზრდას სამხედრო მუნდირი აცვია, ხნიერებს კი ისევ ყურთმაჯიანი კაბა და ლამაზი ქულაჯა შეუნარჩუნებიათ.

ვაჟების ერთი ჯგუფი და სამი ლამაზი ქალი გრიგოლ ორბელიანს დაუტყვევებია, თვითონ შუაში სდგას და ომის ამბებს უამბობს, თანაც ყველას და ყველაფერს ოდნავ ამასხარავებს. ომში ქეიფს იყო მოწყურებული და დანაკლისი ერთბაშად აინაზღაურა: ერთი დღე და ღამე ლოპიანას ბაღში გაატარა და ორმოცი მეგობარი დაათრო. ალექსანდრე ჭავჭავაძემაც იკადრა და ეწვია. ალექსანდრე ადრე გამოიპარა, სხვებმა კი ჯერ საარი მოისმინეს და მერე დილის მწვადი გრიგოლის საკუთარ ბაღში გაწიწკნეს. ეხლა თითქმის ყველანი ნაბახურევი არიან და აქედან ყაფლან ორბელიანს გაჰყვებიან, რომელიც გრიგოლს საკუთარ ბაღში გადაუხდის სამაგიეროს.

ელიზბარ მაღალაშვილი და ზაალის ქალი მარო მოშორებით დასეირნობდენ, მაიორი არლოვი თავის ტოლს ვერ ჰპოულობს: ხან დაროს აედევნება, მაგრამ თითქოს ეცოტავება და ორბელიანებში ერევა, მაგრამ აქაც თავის ალაგას არ არის და გრიბოედოვს მოუჯდება. მაშინ ჭავჭავაძე ჩუმდება და მაიორიც მეხუთეჯერ იცვლის ალაგს და ახალ ჯგუფს ეტმასნება. დავით ბარათაშვილი სუმბათაანთ ქალს ეარშიყება. ხოლო მისი სნეული ცოლი კუთხეში განაპირებულია და კატას ეალერსება. ჭავჭავაძე კახელია და სტუმართა შორის იქაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადებიც მრავლად მოსჩანან. ჩოლოყაშვილები, ქვაბულაშვილები, ვაჩნაძეები, მაყაშვილები და ჯორჯაძეები ორბელიანებს ეჯიბრებიან და თუ მათ ნინო მოსტაცეს, ხელს ხმალზე გაიკრავენ და არასგზით არ დაანებებენ. მაგრამ არც ესენი არიან მარტონი. აქ მყოფი ათიოდე სხვა მოქიშპე მაინც ეყოლებათ, უცებ ოთხი მათგანი ერთად შემოვიდა: გრაფი ტორნაუ, სენიავინი, უკვე გადაყენებულ „ერმოლას“ ნათესავი, ერმოლოვი და პასკევიჩის შტაბის უფროსი მუდმივ პირმოლუშული პოლკოვნიკი მურავიოვი. ახალმოსულებმა ყველას ცალ-ცალკე მისცეს სალამი და ლამაზ ქალების ჯგუფს მიეკედლნენ. გრიგოლ ორბელიანმა მაშინვე შესცვალა ლაღი კილო და საუბარი იმან კაზი მოლაზე, მურიდებზე და დაღისტანზე გადაიტანა, რომელიცე ხელახლა ადუღებულიყო და საცაა უნდა აფეთქებულიყო. ბოლოს მან ერთი რამ აღნიშნა ხაზგასმით:

— ყვენ კავკაზი დავიპყარით, ყარაჩავლებიც კი დავიმორჩილეთ, ოსებიც მოვათვინიერეთ, ჩაჩნები და ჩერქეზებიც შევმუსრეთ, ჭარ-ბელაქანიც დავამშვიდეთ და თითქო ყველგან გავიმარჯვეთ, მაგრამ ბრძოლის უნარი მაინც ვერავის ვერ მოუსპეთ. ოცდაათი წელიწადია რაც უზარმაზარი რუსეთი ერთ მუჭა ხალხს წელიწადში რამდენჯერმე ამარცხებს, მაგრამ დამარცხებული კვლავ გაშმაგებით იბრძვის და მგონი ოცდაათ წელიწადს კიდევ იბრძოლებს.

და საუბარი ამ გზას გაჰყვა, ჭავჭავაძის ჯგუფში „მკვდარ ლომზე“ ერმოლოვზე უკვე თავისუფლად მსჯელობდენ.

— როგორც ირკვევა, პასკევიჩი და თქვენ ერთი და იგივე აზრს ადგეხართ.— ეუბნებოდა თავადი და პოეტი მასპინძელი დიპლომატს და პოეტს გრიბოედოვს.—ერმოლოვის ხერხები მოძველდა. მეტის-მეტად შურიანი ანპარტავანი, უხეში და მკაცრი კაცი იყო. საცა საქმე ორი ტკბილი სიტყვით უნდა გაკეთებულიყო, იქ ერმოლოვი ზარბაზნებს აგრიალებდა, თქვენ კი ისევ სპარსელების ხელით დაიპყარით სპარსული ციხე და ყარაბაღი მაგ ენის წყალობით მოიმხრეთ. აი ეს არის ჭკვიანი პოლიტიკა.

— ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს.—ჩაერია მელიტონ ბარათაშვილი და გადაუთარგმნა:—ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო.

დიპლომატი არ უნდა წითლდებოდეს, მაგრამ გრიბოედოვმა ქებას ველარ გაუძლო და ოდნავ აილანძა, მერე უბის წიგნაკი ამოიღო და ახალი ანდაზა ჩაიწერა, თანაც დაშავებული მარცხენა ნეკი გამოიჩინა, რომელიც დუელის დროს იაკუბოვიჩმა დაუგონჯა.

ორ გადიას—ინგლისელს და ფრანგს—მასპინძლის ორი პატარა ქალიშვილი კატო და სოფიო გამოჰყავთ და სტუმრის მისალმებაში და უცხო ენებში ავარჯიშებენ. მათი უფროსი დაი ნინო თითქმის უკვე ნასწავლია და უმცროსებს ეშველება.

— ვეჟო, ასეთი ამბავი გაგონილა?—მოისმა ამ დროს დაგვიანებით მოსულ ზაალის შეძახილი და აივანზე მარაბდის ბატონის გაშლილი მკლავები და ჩამოშვებული ვეება ყურთმაჯები გამოჩნდა.

— რა ამბავია? რა მოხდა?—გაისმა ყოველ მხრივ.

— გეკითხებით, ასეთი ამბავი გაგონილი მეთქი? ყმა ბატონს მოუვარდეს, ულელში შეაბას და ახვნევინოს? გამაგებინეთ მეთქი ასეთი ამბავი? ბუნტია, მაშ რა ჯანდაბაა!

— ვინ? როდის? სად?—ისევ მოაყარეს აქეთ-იქიდან.

— ვიღა იქნებოდა არსენას გარდა?—თითქო გაოცდა ზაალი და მის მიერ გადმოგდებულმა სახელმა აიგანი წამოშალა. წელან სტუმარ-მასპინძლებმა ყველანი გაიხსენეს—აბას მირზაც და ბურბონებიც, ალექსანდრე ბატონიშვილიც და ბელადი კაზი მოლლაც, პასკევიჩიც და ერმოლოვიც, და არსენა კი დაივიწყეს.

— ვინ შეაბა არსენამ უღელში?—სთქვი რადა, შე დალოცვილო, რაღას აჭიანურებ!

ზაალი განგებ სჭიმავდა. ბოლოს ერთხელ კიდევ ამოიხვნეშა და საზეიმო კილოზე გადმოაგდო:

— ვინ და ქვიშხელი სუმბათოვი.

— ალექსანდრე? მუხრან ბატონის სიძე?—მართლა გაოცდენ სტუმარ-მასპინძლები.—სად? როგორ? როდის?

— როგორ და, აგერ თვითონაც მოდის და ჰკითხეთ.—და წინ თავის ნათესავი გამოუშვა, რომელმაც აივანზე ვეება ღიპი და სქლად შეხვეული კისერი გამოიტანა.

— თავადიშვილებს და კეთილშობილებს ვახლავარ.—მიესალმა ბაგრატიონის სიძე ყველას და შემდეგ ქალებს ხელები დაუკოცნა, შუაში ჩადგა. მასპინძელს მიუბრუნდა და თავგადასავალი უამბო.

მაშ როგორ მოხდა ეს ამბავი? არსენას ქვიშხეთში მოკეთეები ჰყოლია. სუმბათოვს ამას წინად ხარ-კამეჩი დასჭირდა. გლეხებმა მოუყვანეს, მაგრამ ზაალის ნამზარეულევის ძმამ ლაცაბიძემ, რაზმაძემ და გიგიტაშვილმა თავიანთი საქონელი ტყეში გადამალეს და თვითონაც დაიმალნენ. ბატონი ამას ვერ მოითმენდა და თვითონ გლეხები და მათი გომბიო—ქალები შეაბა.

— რა დიდი ამბავია, ვეჟო! ეხლა ყველანი რუსის კანონით ვცხოვრობთ—по русски закону живем.—წამოაყრანტალა ზაალმა და თვითონაც გაოცდა იმის გამო, რომ ყველამ მას გაოცებით გადმოხედა.

— უკაცრავად, თავადო—წყენით გააწყვეტინა გრიბოედოვმა,—რუსულ კანონში ყმების შებმა არა სწერია.

— არა სწერია, მაგრამ აქ გვაჩვენეს და ჩვენც მივბაძეთ. ამაზე მეტი რა გინდა, ვეჟო! მელიტონ, გადაუთარგმნე, თორემ „მივბაძეთ“ რუსულად არ მეხერხება.

ვეჟო, რად აიმრიზენ ყველანი? ზაალს აზრადაც არ მოსვლია რუსების წყენა. მთელი ქვეყანა დაუმოწმებს, რომ ის ბავშობიდანვე მათი ყურმოჭრილი ყმა იყო (მელიტონ, გადაუთარგმნე!“) და მუდამ ამბობდა, რომ რუსული ბატონყმობა სჯობდა ქართულს („მასპინძლებო, დაუმოწმეთ!“).

მასპინძელმა დაუმოწმა, შებმულმა ბატონმა კი განაგრძო:

გლეხებმა ერთი აყალმაყალი ასტეხეს და არსენას შეატყობინეს. იმ „ყაჩაღმა“ მას კადნიერი წერილი მოსწერა. მერე თვითონაც მოჰყვა, მტკვრის ნაპირას „უიარაღოს“ მოასწრო და იქვე გუთანში შეაბა. მერე ცხენი მოუკლა და გაიქცა.

— მაშ რა მექნა?—დაასრულა სუმბათოვმა.—ყელზე ხანჯალი დამიჭირა და მეც ხარივით შევები.

— ვეჟო გაგონილა?!—აღშფოთებით შესძახა ზაალმა და ეგონა სხვებიც რისხვით იფეთქებენო, მაგრამ აივანმა წყრომის ნაცვლად სიცილით იფეთქა. პირველად დიასახლისმა ჩაიცინა, მერე კნეინებმა ჩაიხითხითეს, შემდეგ ახალგაზრდები აჭიხვინდენ და ბოლოს მასპინძელი და ხნიერებიც აჰყვნენ.

— სასაცილო მომაკვდინებელია—ფრანგულად ჩაულაპარაკა ჭავჭავაძემ გრიბოედოვს.

— ნეტა შებმული ბატონი მენახა!.. ამაზე სასაცილოს რაღას ნახავდი!.. მუხრან ბატონის სიძე ულელში?.. დიდი მასხარა ვინმე ყოფილა ეს ვილაც არსენა.—აღარ აცდიდენ ერთმანეთს ახალგაზრდები.

მასპინძლის შვილმა პატარა დავითმა, რომელიც შემთხვევით დაესწრო ამ საუბარს, უმალვე დახატა ხართან ერთად შებმული ბატონი და თავის დას ნინოს მიაჩეჩა, თვითონ კი ისევ ბაღში ჩავარდა, სადაც მას ტოლ-ამხანაგები ტატე ბარათაშვილი, ილიკო და ვახტანგ ორბელიანები, ლევან მელიქიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და ისაკა თუმანიშვილი უცდიდნენ. სურათი ხელით-ხელში გადადიოდა და სიცილის ახალ აფეთქებას იწვევდა. მომავალი სიძე-სიმამრი ილიმებოდნენ, მელიტონი მუჭაში იცინოდა, მაიორი ცხენივით ფრუტუნებდა, ზაალი და შებმული ბატონი კი წყენით შესცქეროდნენ ერთმანეთს და სიცილის დასრულებას უცდიდნენ.

— ვეჟო,—წამოიძახა ბოლოს ზაალმა,—რაკი ჩვენს თავს ჩვენვე დავსცინით, სჩანს ჩვენი საქმე სულ წასული ყოფილა.

— სიცილი შეთხელდა, ზოგმა კი სულაც შესწყვიტა, რადგან მარაბდელ ბატონის ნათქვამში სიმართლემ გამოხეთქა.

— კეთილშობილნო,—წამოიძახა კისერშეკრულმა ბატონმაც,—ნუ იცინით, თორემ ინანებთ და გვიანლა იქნება. გლეხებიც იცინიან და თანაც ხანჯლებს ლესავენ. ხვალ თქვენი ჯერიც დადგება და მეც გავიცინებ. მთავრობას ჩვენი მოვლის თავი არ ჰქონებია და ჩემს თავს ისევ მე უნდა უპატრონო.

— მთელი ქვეყანა არსენაზე ლაპარაკობს და ვერ გამიგია ვინ არის, რა კაცია და რამ მოუპოვა ამოდენა სახელი?—იკითხა ჭავჭავაძემ. პასუხი ყოველ მხრივ მიაყარეს:

— ყოჩაღი ბიჭია.

— ნამდვილს ვაჟკაცია.

— უძლეველი მოჭიდავეა... მოჯირითე... ძალიან ლამაზი... მარდია და თამამი.

— საქართველო სავსეა ყოჩაღი ბიჭებით, მოჭიდავეებით და ლამაზებით, მაგრამ მათი სახელი არსენას სახელს ოდნავაც ვერ დაეტოლება.—სთქვა მასპინძელმა.

— ვეჟო, მოახლე მომტაცა და ყაჩაღად გავარდა.—მიეშველა ზაალიც.

ჭავჭავაძე არც ეხლა დაკმაყოფილდა:

— ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს ათი-ათას ქალს მაინც იტაცებენ და თითო ტყეში ხუთი ყაჩაღი მაინცა ზის. მითხრეს, რაც წრეულს გლეხის ოჯახში

ვაჟი დაბადებულა, თითქმის ყველასთვის არსენა დაურქმევიათო. რაკი ხევი ძლიერ ხმაურობს, სჩანს შიგ დიდი წყალიც ყოფილა.

— არსენების დროებაც დაგვიდგა?—მწარედ ჩაიცინა სუმბათაშვილმა.

— ვეჟო,—წამოიძახა ზაალმა,—მთელი თრიალეთი არსენას დღეგრძელობას ლოცულობს და ამაზე მეტი რა გინდათ!

— ქართლიც.—დაუმატა სუმბათაშვილმა.

— კახეთიც.—მიაწოდა ჯორჯაძემაც.

— ვიცი, გამიგონია,—სთქვა მასპინძელმა—მეც მაგიტომ მოგახსენებთ, არსენა მარტო ყოჩაღი ბიჭი არ გახლავს მეთქი. გლეხობას ლამაზი თვალებით ვერ მოხიბლავდა და ვერც ჭიდაობით აწირვინებდა პარაკლისებს. თქვენ რაღას გვიბრძანებთ, ბატონო მაიორო?

არლოვი თითქოს ამასღა ელოდა. წინ წამოიჭრა და მოახსენა: რა მოსატანია ჭიდაობა, მოახლე და ლამაზი თვალ-ულვაში? არსენა გლეხების ბელადია. ბატონსაც ეურჩება და ხელმწიფესაც, აღარც ომი გვინდა, არც მთავრობა, არც კანონი და არც გადასახადიო, უნდა ბატონებიც გავჟლიტოთ, მათი მამულიც გავიყოთ და ბატონ-ყმობის სახსენებელიც მოვსპოთო.

— ეხლა კი მესმის.—სთქვა ჭავჭავაძემ და სხვებმაც უმალვე დაუდასტურეს:

— აგრე იქნება, უეჭველად მართალია.

— ვეჟო, მეც მაგას გავიძახი და არ მიჯერებენ.—წამოიძახა ზაალმა.

— როცა დედიან-ბუდიანად ამოგვხოცავენ, მაშინღა დაიჯერებენ,—დაუმატა სუმბათაშვილმა.

ერთი წუთით აივანი შიშით და სისხლით შეიღება. მაგრამ იგი მასპინძელმა გაჰფანტა:

— ნუ გვაშინებთ, კნიაზებო, ღმერთი მოწყალეა. ჩვენში ფრანციცული რევოლიუცია არც ყოფილა და არც იქნება. ჩვენი გლეხი სხვანაირი მირონით არის ნაკურთხი, ხოლო ნიკოლოზ პირველი უბედურს და უნიათო ლუი მეთექვსმეტეს არა ჰგავს.—და სუსხიანად მიჰმართა არლოვს:—თქვენო კეთილშობილებავ, ის ერთი კაცი რა გახდა, რომ აქამდე ვერ დაგიჭერიათ? ჩვენი თავად-აზნაურების ჩივილი გუმბრშიც კი მომდიოდა.

მაიორს თითქო ბებერაზე ფეხი დაადგესო: აიღმიჭა, აილანძა და პირი ააცმაცუნა, მაგრამ ჭავჭავაძემ აღარ დააცალა და ზურგი შეაქცია, თანაც დაუმატა:

— მე იძულებული ვიქნები მათს აღმატებულებას მთავარმართებელს ვთხოვო, რათა მან ეს საქმე უფრო ბეჯით კაცს მიანდოს.

უფრო ბეჯითს მიანდოს? დღეს თუ ხვალ მაიორი ბორჩალო-თრიალეთის სამხედრო უფროსად უნდა დანიშნონ (უკვე წარდგენილიც არის), ხოლო ეს ძლიერი თავადი, პასკევიჩის გავლენიანი მეგობარი, საქმეს უნგრევს მას და დაქვეითებას ჰპირდება.

ელიზბარ მალალაშვილმა წინ წამოიწია, დავით ბარათაშვილიც წამოდგა და თითქმის ერთად ალაპარაკდენ:

— შინაურისა შინაურმა უფრო იცის... ხემა სთქვა: ცული ... დამაკ-ლებდა შიგ რომ ჩემი ჯიშისა არ ერიოსო... ჩვენ მოგვანდონ და ... ...ოვეში შებოჭილს ჩაგაბარებთ.

ჭავჭავაძემ არა უპასუხა-რა, ხოლო აქამდე მდუმარე ალექსანდრე ორბელიანმა ჭმუნვით მიმართა სუმბათაშვილს:

— კნიაზო, მე თქვენზე უმცროსი გახლავართ და ჩემგან სიტყვის შებრუნება არ გეკადრებათ, მაგრამ ერთ რამეს მაინც მოგახსენებთ, ხარ-კამეჩი გაკლდათ და გლეხები შეგიბიათ. ბიძა-ჩემი ზაალი ბრძანებს, რუსებს მივბაძეთო. მეც გამიგონია, რომ რუსების მოხელეებსაც დაჰკლებიათ ხარები და ჩვენი დედაკაცები შეუბიათ. იმათაც რამდენჯერმე ჩაუდენიათ და თქვენც ერთხელ თუ სამჯერ შეგიბიათ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ისტორია ამ ერთ შებმას წესად გადააქცევს და ჩვენი ჩამომავალნი იტყვიან, ჩვენი წინაპრები გლეხებს ურემში აბამდნენო, მაშინ ერთი მოსარჩლეც კი აღარ გამოგვიჩნდება და თავადის სახელწოდება ისე წაიმურტლება, რომ მისი გახსენებაც კი უკადრის საქმედ ჩაითვლება. მე მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი გახლავართ და ვალად მაძევს ჩვენი წოდება სუფთად შევინახო და ეს სიტყვაც ამიტომ მოგახსენეთ, თორემ...

ამ ზრდილობიანმა საყვედურმა კამათი გამოიწვია. ყველამ იცოდა, რომ ეს ორბელიანი უწინდელ ბატონ-ყმობას აღმერთებდა, ეხლანდელს კი ჰკილავდა და ჩუმ-ჩუმად ყველაფერს რუსებს აბრალებდა. ამიტომ ზაალმა თავის წელანდელ უხეშობის გამოსწორება მოისურვა რუსების წინაშე და ორბელიანს შეეკამათა.

საუბარს უსიამოვნო იერი დაეტყო. დიასახლისმა კნეინა სალომემ პატარა ტატეს მოკრა თვალი, რომელიც ეზოდან ამოსროლილ ბურთისთვის ამოსულიყო, და თითის ქნევით მოიხმო იგი. მას ჰსურდა კამათი მოესპო და ხმამაღლა მიჰმართა ყველას:

— კნიაზ ზაალ, ალექსანდრე, ბატონებო, გთხოვთ მშვენიერი ლექსი მოისმინოთ. ფრიად ნიჭიერი მომავალი მგოსანი თავის ბიძის გრიგოლის „სადღეგრძელოს“ წაიკითხავს.

ტატემ გაიწია, მაგრამ არ გაუშვეს. მოკამათენი გააჩუმეს და ყველანი სმენად გადაიქცნენ. დიასახლისმა გრიგოლი, მელიტონი და ეფემია მოიშველია, მათს აწითლებულ ტატეს ყურში რაღაც დაპირება ჩასჩურჩულა და დაითანხმა. ბალღმა ყოყმანით ახედა თავის ბიძას გრიგოლს, რომელიც ამ-ქვეყნიურ ღმერთად მიაჩნდა, და როცა მისგან დასტურის ღიმილი მიიღო, ოდნავ გაფითრდა, დიდრონი აღმოდებული თვალები მოავლო ჭერ-კედელს და შემკრთალი ხმით დაიწყო.

ავტორის დისწულს ეს პოემა თავისებურად ჰქონდა შემოკლებული. მას რჩეული ნაწყვეტები ამოერჩია, ოსტატურად გადაება და დიდრონი პოემიდან ხუთიოდე წუთის საკითხავი ლექსი გამოეჭრა:

> გუნდი და გუნდი ვაჟკაცთა სჩანან მამულის მფარველნი,
> ზოგნი აზატის დამმხობნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი.

მკითხველს ხმა გაუმაგრდა, გაუკაჟდა, აუფრთოვანდა და სახეც შეეცვალა: გაუფითრდა, აუთრთოლდა და გულწასულს დაემგვანა. მხოლოდ თვალებმა მოუმატეს კრიალს და ხელებმაც მოუხშირეს კანკალს.

შემდეგ ერევნის დილა ჩაიკითხა და შთაგონებით დაასრულა:

ჩვენც აღვდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ,
და დღეს ვინც ველარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ.
დასრულდა, გაჭრა სიზმრები ესე ლხინიცა ღამისა.
წავიდეთ სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო ხვედრისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასრულა, მოსხლტა და გაიქცა, თანაც ტაში და „ვაშა“ გაიყოლია. სტუმრების ტაში და აღფრთოვანებული თვალები ეხლა ამ ლექსის ავტორს მიუბრუნდა. გრიგოლ ორბელიანი თვითონაც ოდნავ ფერწასული იყო და ყველას თავდაჭერილ სალამს აძლევდა, თვალებით კი უკვე შემწიფებულ ნინოს ელამუნებოდა, რომელიც თითქოს სხვებზე მეტად იყო მოხიბლული და მის თვალებსა და ღიმილში მადლობა და აღტაცება თრთოდა.

ერთ ლექსს მეორე და მეხუთე მოჰყვა. გენერალ ახვერდოვის ქვრივმა თავის მოწაფეს ნინოს გრიბოედოვზე უყო თვალი და სათქმელს მიახვედრა. ამას წინათ რუსის პოეტმა, თავის კომედიის რამდენიმე მონოლოგი გადაუწერა და აჩუქა.

ნინო ოდნავ გაწითლდა, მაგრამ თავი ვერ დააღწია, რადგან სხვებიც მიაჩერდნენ მას და სიჩუმე ჩამოაგდეს. მან თავი ჩაღუნა და თითქო ჩაფიქრდა. შემდეგ ისევ ასწია, ხელი ხშირ დალალებზე გადაისვა, მუქწითლად ალანძული სახე კედელს მიაპყრო და მორცხვი ხმით დაიწყო ჩაცკის უკანასკნელი მონოლოგი;

Слепец! Я в ком искал награду всех трудов?
Спешил! Летел! Дрожал! вот счастье, думал, близко!
. . . . . .
С кем был? куда мена закинула судьба?
Все гонят! все клянут! . . . . . .
Вон из Москвы! Сюда а больше не ездок.
Бегу, не оглянус, пойду искать по свету,
Где оскорбленному есть чувству уголок!
Карету мне, карету!

და ახალგაზრდა ქალი უფრო სწრაფად გავარდა აივნიდან ვიდრე არტისტი გარბის ხოლმე სცენიდან. ავტორს მქუხარე ტაში და მილოცვა მიაყარეს. გრიბოედოვი მორცხვად ღიმებოდა და დიდ სათვალეებს თალათინის ნაჭრით ისუფთავებდა. მაიორის ტაში სარეკელას ჰგავდა და ავტორის ყურებში რიყეზე გავარდნილ ფურგუნივთ რახრახებდა.

— ამ ლექსს პუშკინიც არ დაიწუნებდა.—ხმა მაღლა სთქვა გრიგოლ ორბელიანმა და ავტორიც მხოლოდ მის აზრს ელოდებოდა. მის ლოყებზე სიამის სიწითლემ იმატა, მადლობის ნიშნად ორბელიანს ოდნავ დაუკრა თავი და გაახსენდა, რომ ამას წინათ ალექსანდრე ჭავჭავაძემაც იგივე აზრი გამოსთქვა.

ეხლა მესამე პოეტის ჯერი იყო. კნეინა ეფემიამ თავის ძმას გრიგოლს ახედა და ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ანიშნა. გრიგოლმა აღარ დააყოვნა და მასპინძლის მუხამბაზი წაიკითხა, რომელიც ყველამ ზეპირად იცოდა.

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიალალი,
ღღეს მოგვეცა შვება-ლხენა თარიარალი.

პოეტი პოეტის ლექსს ხელგაშლილად და კინტურ იერით კითხულობდა და წელანდელ ლექსების მაღალ კილოს დაგორებულ ლოდივით აქვეითებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემ რომ ერთხელ ინება ყურძნის წვენისა გემება,
თვითონ ნუნუას მოუჯდა, წყალი პირუტყვს დაანება.

. . . . . .

რა ომის ცეცხლი ასტყდება, ბრძენი სიფრთხილით წახდება,
მაგრამ ღლეული მაშინვე ან მოჰკლავს ან შეაკვდება.
დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ ცნებასა.
ბრძენი სულ სიკვდილსა ჰფიქრობს და ლოთი გამარჯვებასა.

. . . . . .

მაშ მოდით ისევ ღვინითა, დრო გავატაროთ ლხინითა.
ქეიფი მაინც მოგვივა, გოგრითა ვსვათ თუ ჩინითა...

ისევ ტაში ავარდა, მაგრამ ყველამ კილოს დამდაბლება იგრძნო და ეს გრძნობა ტაშსა და ღიმილშიც გამოჩნდა. მოღიმარე ავტორი გაწკეპილ ულვაშებს იგრეხავდა და ამ ლექსის არჩევისათვის გულში გრიგოლს ემდუროდა. შემდეგ ნახევარ პოეტს ალექსანდრე ორბელიანს მიუბრუნდა და ჩუმი ხმით უთხრა:

— სჯობდა ჩემი გოგჩის ტბა წაეკითხა.

— იმიტომ არ წაიკითხა, რომ იმ ტბიდან თვითონ მაგასაც ბლომად აქვს დალეული.—ანუგეშა ალსქსანდრემ.

ჭავჭავაძემ ღიმილით ჰკითხა:

— ან მაგის სადღეგრძელო, განა ჩემს „მუხამბზის“ გვერდით არ წოლილა?

— წოლილა, უეჭველად წოლილა.—ხმამაღლა გაიცინა ორბელიანმა.—მაგის „სადღეგრძელო“ ნამდვილად შენი „მუხამბაზის“ შექმნილია, ნამდვილად!

შემდეგ ერთმა გუვერნანტმა ქალმა თერთმეტი წლის კატო გამოიყვანა და ინგლისურ ენაზე ბაირონის ლექსი წააკითხა, ხოლო მეორე გუვერნანტმა პატარა სალომეს ანდრე შენიეს „ნეერა“ წააკითხა ფრანგულად.

სანამ ჭავჭავაძის ქალიშვილები უცხო ლექსებს ტიტინებდენ, გრიბოედოვმა პოეზიას თავი მიანება და წელან-შეწყვეტილი საქმიანი საუბარი აღადგინა. ის დიპლომატობას და პოეტობას აღარ სჯერდებოდა, საზოგადო მოღვაწედაც ითვლებოდა და ეხლა ეკონომისტობაც დაიწყო. გრუბოედოვი „რუსეთ-ამიერ კავკაციის კამპანიას“ აარსებდა, რომელსაც აქაური სახაზინო მიწები და ბაღები უნდა ესარგებლა (განდგომილ და ორგულ ბატონიშვილებს და თავად-ზნაურებს რომ ჩამოართვეს) და ამგვარად ადგილობრივი ვაჭრობა და მრეწველობა გაეცხოველებინა. ამავე ამხანაგობას უნდა ეკისრა რუსების გადმოსახლება, მტკვარზე მენავეობის აღდგენა, ბათომში ნავთსადგურის მოწყობა და საერთოდ ქვეყნის აყვავება და გაბედნიერება.

— ფული?—ჰკითხა ჭავჭავაძემ.—რამდენიმე მილიონი დაგჭირდებათ.

— რამდენიმე ასეული ათასიც გვეყოფა.—უპასუხა გრიბოედოვმა.—ზოგს სომხები შემოიტანენ და ზოგსაც ხაზინიდან გამოვიტანთ. უმთავრესი კი სხვა რამ არის.

— არ მოგვცემენ.—მტკიცედ მოუჭრა ჭავჭავაძემ.—მაინც ცდა ბედის მონახევრეა და უკან ნუ დაიხევთ. მეც ნოგეშველებით.

გრიბოედოვსაც ჯერჯერობით მხოლოდ ეს უნდოდა. მისი პროექტი პასკევიჩმა გენერალ ბურცევს გადასცა და ჭავჭავაძეს მისთვის ორიოდე სიტყვა უნდა ეთქვა, რათა გენერალს ეს საქმე არ ჩაეშალა.

— ბურცევი ჩემი მეგობარია და ვეტყვი.—დაჰპირდა პოეტს ჰიანური.

სანამ პოეტები და ქალები ლექსებს კითხულობდენ, ნაწყენ ბიჭებმა გაბერილი მაიორი აივნის მოაჯირს მიჰყუდებოდა და გზას გასცქეროდა. უცებ მას სიხარულის ელდა ეცა. შეკრთა, გაიბადრა და გაინაბა. წელან ჭავჭავაძე გაუწყრა, მაგრამ ღმერთი მოწყალე ყოფილა. მან არსენა თავის ფეხით მოუყვანა მაიორს და აგერ იქ მარმაროს წყაროსთან დაუყენა. და რათა კარზე მომდგარი ნადირი არ დაეფრთხო, არლოვი უმალვე მიბრუნდა და ცალი თვალი მაინც ქვევით ეჭირა. მერე მრისხანე მასპინძელი მოიხელთა და მოწიწებით მოახსენა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, არსენა ქალაქშია და ამაღამ ან ხვალ დილით დავიჭერ და მოგგვრით.

— წინდაწინვე გილოცავთ.—მიუგო ჭავჭავაძემ, მაგრამ ფრთხილად იყავით თვითონ არსენამ არ დაგიჭიროსთ.

— არხეინად ბრძანდებოდეთ, არ შეგარცხვენთ.—მტკიცედ დაჰპირდა ოძელაშვილის მდევარი და კიბეზე ჩამოგორდა.

* * *

არსენა ვერის ბაღებს გამოსცდა. დიდი გზა მტკვრისკენ ჩადიოდა და ყაბახს ქვემოდან უვლიდა. ოძელაშვილი ამ გზას ასცდა და მეორე გზით წამოვიდა, რომელიც ახალ სასახლის წინ გადიოდა. მარმარილოს წყაროსთან დუქანი იდგა. იქ ოძელაშვილს კარგად იცნობდენ, მაგრამ შიგ არ შევიდა, ცხენი მცირე ხნით შეაჩერა, წყალი დაალევინა და მიიხედ-მოიხედა.

როგორ შესცვალეს რუსებმა ეს ალაგები! არსენას კარგად ახსოვდა ის დრო, როცა ეს მიდამოები—ქაშუეთიც, კალოუბანიც და აქეთა მხარეც--ხევხუვით, კალოსაბძლებით და ბაღებით იყო მოფენილი და შიგ მცირე საზაფხულო შენობები მოსჩანდა. ეხლა კი ღელეებსაც და ხევებსაც ნელ-ნელა ავსებენ და ქვევით, სასახლის ახლოს, ვეება სახლებს აშენებენ. „ერმოლამ“ კალოუბნის ეკლესიის პირდაპირ ოციოდე წლის წინად აშენებული სასახლე არ იკმარა და ისე გადააკეთა, რომ ძველის მნახველიც ველარ იცნობდა. „ამ დუქანსაც და მარმარილოს წყაროსაც მალე დაანგრევენ“.—გაიფიქრა არსენამ, და მართლაც მალე დაანგრიეს, ახალი შენობა ააგეს, მერე ისიც დაანგრიეს და საოპერო თეატრი ააშენეს.

მარჯვნივ, წყაროს გასწვრივ, ჯვარედინის ზემო კუთხეში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი იდგა. არსენა ამ სახლში ადრევაც იყო ნავალი. ზაალმა ძლიერ ალექსანდრეს ოძელაშვილის ხელით რამდენჯერმე ძღვენი გაუგზავნა, შარშანწინ კი ცოცხალი შველიც მიართვა, რომელიც თვითონ არსენამ დაიჭირა ზირბითის მთებში. ეს შველი ეხლაც ცოცხალი ყოფილა და აგერ იქ, ვაზის ხეივანსა და ყვავილნარში დარბის და ვილაც ბიჭები გამალებით დასდევენ მას.

„ეს ხომ ტატეა.—იცხო არსენამ მელიტონ ბარათაშვილის ძე და თავის მეგობარი. ეს ხომ ილიკო ორბელიანია... ის კი ლევან მელიქიშვილია“. მერე ზევით აიხედა და იქაც ნაცნობებს წააწყდა. განიერსა და გრძელ აივანზე რამდენიმე ქალ-ვაჟს მოჰკრა თვალი. ზოგნი მოაჯირთან ისხდნენ, ზოგნი კი დადი-

ოდნენ. გრიგოლ ორბელიანი მოაჯირს მიჰყუდებოდა და ჭავჭავაძიანთ კატოს აცინებდა და თითონაც იცინოდა. ელიზბარ მაღალაშვილი და ზაალის ქალიშვილი დარო მოშორებით დასეირნობდნენ. გრიგოლის დაჲ ეფემია კაპიტან ლომოვს ესაუბრებოდა. ზაალის შვილი დავითი ვილაც ქალს ეარშიყებოდა, მისი სნეული ტასო კი მარტო იჯდა და კატას ეალერსებოდა.

უცებ მაიორის წვერულვაში ჩალის ხელეურივით გადმოეფინა მოაჯირზე, ხოლო მისმა ლობიო-თვალებმა არსენასაკენ გამოიხედეს. ამ დროს ოძელაშვილი ჭრელი ხელსახოცით იხოცავდა ოფლს და ამ სურათს ცალ თვალს ადევნებდა. მერე დინჯად მოატრიალა ლურჯა და ბილიკით ძველ გზაზე ჩამოვიდა. თანაც თავის თავს უწყრებოდა: „რა ვქნა, ხომ არ გავგიჟდი? რა კუდიანმა წამომიყვანა ამ გზით. ან რა ჯანდაბამ ამახედვინა ჭავჭავაძის აივანზე?“. დუქნის ბაღს რომ ჩასცდა უკან მოიხედა და დამშვიდდა: მაიორი ზურგ-მოქცეული იდგა და არც სხვები დაძრულიყვნენ ადგილიდან. არსენა რომ ეცნოთ უმალვე აიშლებოდნენ და მდევარს დაუძახებდნენ.

ყაბახზე სალდათები ვარჯიშობდნენ. „ნეტა ასე ათი-ათასი ჩვენებური გლეხი გამაწვრთნეინონ და მერე დამიდგნენ წინ“.—ინატრა არსენამ და ვანქისა და ორბელიანთა უბანში შემოვიდა.

აგერ ანჩისხატიც. აი მელიტონ და ზაალ ბარათაშვილის სახლებიც. ცოტა მოშორებით გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანების სახლებია. ზაფხულის ცხელი საღამოა და მთელი ქალაქი გარეთ გამოსულა. ხნიერები ხეივნებში დასეირნობენ ან ჩრდილში ჩამომსხდარან, კეკლუცი ახალგაზრდები კი ბანებზე გადმოფენილან და თავიანთი ფარჩა-ხავერდი, ოქრო-მარგალიტი, უშნო ფერუმარილი და ლამაზი თვალ წარბი გამოუფენიათ. აქა-იქ ბინებზე უკვე დაირა, საზანდარი და დუდუკი მოისმის. ფარჩეული ფრიალებს, ნატის ფეხები დახტის, ტაში ატლაშუნებს და ბანიდან ბანზე მხიარული ჟრიამული დარბის.

არსენას თავის დები, ძმები და ბუნაგი გაახსენდა, აიმრიზა და გაიფიქრა: „იქ ხალხი ლამის ამოწყდეს, აქ კი გაუთავებელი ლხინი აქვთ“. ამ მწუხრის დროს არსენა აგერ იმ სასახლეში დასვით მცირე ხნით და ფარჩების ნაცვლად ძაძებს ჩაგაცმევსთ და „მრავალჟამიერის“ მაგიერ “სულთათანას“ გამღერებთ. „იქ გლეხობა იჟლიტება, ომში სიკვდილი ტრიალებს, მუქთახორა ქალაქი კი მუდამ იპრანჭება და ქეიფობს“. არსენაზე უკეთესი მოქეიფე აქაც არ მოიძებნება, მაგრამ ყელაფერს თავისი დრო, ალაგი და ზომა უნდა ჰქონდეს, ეს კი ამ ქალაქს არ ეტყობა. ძალიან ჭრელი ქალაქია. როცა თათრების მოლა სამგლოვიარო სურებს ღაღადებს, მაშინ ქართული სიონი მხიარულად გუგუნებს. რუსები რომ აღდგომას, აყენებენ ებრაელები ტირიან.

აგერ ბაზაზხანიდან შალვა ბარათაშვილი გამოვიდა. სწორეთ ერთმანეთის ნახვა უნდოდათ და აკი შეხვდნენ კიდეც. შალვამ დაინახა, ნაბიჯი შეანელა და ირგვლივ თვალი მოავლო. როცა ურთერთს გაუთანასწორდნენ, სალამიც კი არ მისცეს. ბარათაშვილმა მხოლოდ თავი ჩაუქნია ქვევით და თავისთვის ჩაიბურტყუნა:

„იქ ჩამოვალ“.—„მეც იქ მოგელოდები, ბატონო“.—ჩაიჩურჩულა არსენამაც და გზა განაგრძო.

ამასობაში სიონს გასცდა, აბანოების გორზე გავიდა და მეტეხს შეხედა. კლდეზე დაყუდებული და წყლით შემოვლებული უძველესი ციხე ძლივსღა იცნო. ერმოლოვმა იგი მიანგრევინა, ქვემო სართული ღა დაატოვებინა და ზედ უზარმაზარ საპატიმროს ადგმევინებდა. „რამდენ ხალხს დაალპობენ ამ ტიელში?—გაიფიქრა მარაბდელმა.—რაც აქ ცრემლი დაიღვრება, სამს ამოდენა ქალაქს დაახრჩობს. მაგრამ დრო მოვა და შხამად ამოუვათ. უსამართლობა და სიმართლეც ნამივით იკარგება, მაგრამ ამავე დროს არც იკარგება და როდესმე და სადმე ისევ გამოჟონავს. ყურძნის თესლისგან ისევ ყურძენი ამოვა, ნელოფასგან კი ნელოფა და ისევ დამთესავს მიეძღვნება.

— აგრეა.—დააყოლა ხმამაღლა და მარჯვნივ კლდის სერს ახედა. ზევით ნარიყალა აყუდებულა. ოდესღაც იგი ციხეც იყო და საპყრობილეც, ეხლა კი მხოლოდ საპყრობილეა და თოფის წამლის საწყობიც. ამას წინათ არსენას დედამამა და ფიქრიაც აქ ისხდნენ ეხლა კი—

„ეხლა კი ჩემი ჯერია და ვაი თუ მეც იქ ჩამაგდონ“.

* * *

არსენამ აბანოებისკენ აუხვია. ხარფუხი გადასერა, მერე თავქვე დაეშვა, ორთაჭალაში გავიდა და ერთ დუქანს მიადგა. მედუქნე გარეთ გამოგორდა, მაგრამ დერეფანშივე შესდგა, ხელები გაასავსავა და გაოცდა:

— ისევ შენა ხარ?—დაბალი ხმით წამოიძახა მან.—მაშ გინდა სულ დამღუპო, რაღა! აქაც მომაგენი?

— შენმა ბიძაშვილმა ბაღომ მომასწავლა და მოგაგენი.—მიუგო არსენამ და ცხენის სადავე ბიჭს მიუგდო, თვითონ კი გაფითრებული ლოპიანა წინ გაიძღოლა და უკანა კარით ბაღში გავიდა. ლოპიანამ სტუმარი მტკვრის პირზე ჩაიყვანა, მიყრუებულ ხეივანში შეიყვანა, მწვანეზე დასვა და თვითონ უკანვე გამოიქცა.

ხეივანი მწიფე მტევნებით არის დატვირთული. აქა-იქ კომში, მსხალი, ჭერამი, ვაშლი და ატამი ყვითელ ქარვასავით ქათქათებს. ქლიავი ფიქრიას თვალებივით ჩალურჯებულა, ლელვი კი მაგდანას თვალებივით ჩაშავებულა. არსენას ჰშიან, მაგრამ ხილის ჭამა აზრადაც არ მოსვლია, რადგან ჯერ მარიამობა არ მოსულა, ხილი ნაკურთხი არ არის და ცოდვას არ დაიდებს. ასეა გაზრდილი მარაბდელი.

ლოპიანა ფეხაკრეფით დაბრუნდა და ბიჭიც ჩამოიყვანა. ლურჯა იქვე ბალახზე გაუშვეს და მწვანეზე ლურჯი სუფრა გაშალეს. ბიჭი რომ გაბრუნდა, ლოპიანა ჩაკუნტდა და ფეხმოკეცილ არსენას ჩურჩულით ჰკითხა:

— არამზადა ბაღო როგორ არის? რა დაგაბარა?

— არა უშავს-რა. ჯერ ოხუნჯობდა, ვითომ აინუნშიც არ ჩაიგდო, მაგრამ მერე დადარდიანდა. ეხლა ცოლი უნდა ავუგზავნო ენაგეთში და ისიც იქ ჩამოვა. მადლია, გაიხარებენ.

— ცოლი იმასა და ნაცარი ცხელი! მუდამ ვეუბნებოდი ყაჩაღი გამოხვალ მეთქი და აკი თურმე ენამ მიყივლა!

— ბაღო და ყაჩაღი?—ჩაიცინა არსენამ.—ბედმა გააგდო ტყეში. თორემ რა ეპისკოპოზიც შენ გამოხვალ, ბაღოც ის ყაჩაღი დადგება. ბარიბრა, დამაბარა, თუ ქრთამი გასჭრის მიშველოს და გადაუხდიო.

— ქრთამი რომ არა სჭრიდეს, ჩემისთანა საწყალი როგორ იცხოვრებდა? სამართებელზე უფრო მჭრელია, ვაცხონე იმის მომგონი. მეც მაგან არ გამომიყვანა ნარიყალიდან? მაიორი თურმე ზაალის სიძეობას აპირებს და ფული უჭირს.

— ზაალმა გაგიკეთა ეგ საქე?

— მაშ ვინ გააკეთებდა? შენ დაეღუპე და იმან მიშველა. გინდა შენც მოგიხერხო?

არსენას დარდიც სწორედ ეს არის და ქალაქშიც ამან ჩამოიყვანა. დედამამა, ერეკლე, დათუნა და სხვებიც უნდა გამოაშვებინოს, თორემ შულავერში დალპებიან. მაგრამ ქრთამად ერთ შაურსაც არ მისცემს და არც ზაალს მიენდობა. ცხვარმა მგელს ისევ მგელთან უჩივლოს? და არსენამ პასუხის ნაცვლად ჰკითხა:

— შენი ბადე და დახლი რასა იქს?

— ეჰ, ძმაო, საწყალ კაცისთვის უდახლობაც ჭირია და დახლიც ღვთის რისხვაა. თუ ომი მალე არ გათავდა და ქალაქი ისევ მოქეიფე კნიაზებით არ გაივსო, მე საცაა ფეხებს გავფშეკავ. ისევ გრიგოლ ორბელიანი მიცოცხლოს ღმერთმა. წუხელის აქ ორმოცი თავადი აქეიფა.

— სხვა რამ ხელობა მოსძებნე.—ურჩია ოძელაშვილმა.

— მოვძებნე და კიდევაც ვიპოვე. დღისით ვთევზაობ, ვკრივობ და მამლებსა და ყოჩებს ვაჭიდავებ, საღამოობით კი დუქანში ვტრიალებ, მაგრამ რასაც ვშოულობ, სულ პოლიციას, ბაღის პატრონს ზაალს და ხაზინას მიაქვთ, მუშტარი კი ისევ მინისიავებს და აღარ იძლევა. წადი და სდიე.

— მოსთხოვე.—ურჩია არსენამ.

— არა ძმაო, შენ სოფლელი კაცი ხარ და ვაჭრობისა არა გესმის-რა. რომ მოვთხოვო, მუშტარი დამეფანტება და დუქანსაც დამიკეტავენ. ისევ თხოვნა სჯობია.

— საცა თხოვნა არა სჭრის, იქ ხმა უნდა აიმაღლო.—ისევ ურჩია არსენამ.—მოითხოვე მეთქი!

— ისევ თავისას გაიძახის! გაიგე, ძმაო, მგლების ხროვა გვახვევია და არც გასაქცევი ალაგი გვაქვს და არც იარაღი. დრო-და-დრო ერთი გოჭი ან ერთი გროში მიუგდე და გადარჩები. მაგრამ მეც ადამიანი ვარ და ზოგჯერ ისეთი ბრაზი მომივა ხოლმე, რომ ლამის სისხლი დავღვარო.

არსენამ გაიცინამ:

— შენ და სისხლი?

— ნუ იცინი. ღმერთს გეფიცები საცაა კაცი შემომაკვდება. კინაღამ გუშინ-წინაც შემომაკვდა. ხრამზე მებადურები მყავს და იქიდან მოვდივარ. თელეთში გზის ნაპირას ჩამოვხტი და კაკლის ქვეშ სუფრა გავშალე და წყაროში ღვინო გავაცივე. ისე ცხელა, რომ მზეზე კვერცხი მოიხარჩება. ერთიც ვნახოთ შულავრიდან მაიორი მოდის. ეხლა იმასთან რაღა საქმე მაქვს? ის თრიალეთ-

ბორჩალოს ნაჩალნიკია, მე კი ქალაქელი მედუქნე ვარ. მაინც არ მივიწყებს. ისე არ ჩამოვა ქალაქში, რომ ჩემთან არ იქეიფოს და ძველ ნისიას ახალი არ დაუმატოს. დამიჯერე, არსენ, ათ თუმანზე მეტი დანახარჯი აქვს და მე კი ჯერ მაგის ერთი ბისტიც არ მინახავს, დავინახე და დავპატიჟე. ქართული ადათი შევასრულე, რაღა! ცხენიდან ჩამოხტა და სუფრა დამიცარიელა. მგელია ის ოხერი თუ კაცია! მეცა ვზივარ, ვემსახურები, „პაჟალუსტას“ ვეუბნები და ღვინოსაც ვუსხამ. ის კი ხმას არ იღებს. ორი ჩარეჭა რომ დალია, ისე შემომხედა, თითქოს ეხლაღა დამინახაო. შემომხედა, დამიბღვირა და უწმაწური სიტყვები მომახალა:

— მერე, შენ რა უყავი?—ჰკითხა ბრაზმორეულმა არსენამ.

— სისხლი ყელში მომაწვა და თვალთ დამიბნელდა. სავსე ჩარეჭა ავიტაცე, გავაქან-გამოვაქანე და... და ისევ დავუსხი. პაჟალუსტა, მიირთვი მეთქი.

არსენას ხარხარი მტკვრის გაღმა გავარდა: ლოპიანა გაოცებით შესცქეროდა მარაბდელს და ჭკუას არიგებდა:

— ვა, რა გაცინებს, ბიჭო? ქკუა ვქენი რაღა! რომ დამერტყა იქვე ხეზე ჩამოგვკიდებდნენ. რომ მეთქვა რამე ნარიყალაში დამალპობდნენ. არა, ძმაო, ისევ მესამე ჩარეჭის დაცლა სჯობდა მეთქი. ისიც მოვიმადლიერე და მეც გადავრჩი.

— ეჰ, ლოპიანავ, აბა რა გითხრა! მე და შენ სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი ვართ და ერთი-მეორისას ვერას გავიგებთრა.—თითქოს მწუხარებით უთხრა არსენამ და სიცხით შელანძული თავი რამდენჯერმე ჩაიქნია.

ამ დროს ბაღში შალვა ბარათაშვილი შემოვიდა. წინ დუქნის ბიჭი მოუძღოდა. ცხენი ჩამოართვა და ლურჯას მახლობლად მიაბა, შალვა კი ხეივანს დაჰყვა და არსენასკენ გაემართა. ოძელაშვილი ფეხზე წამოუდგა, მიეგება და საპატიო სალამი მისცა.

— როგორა ხარ, არსენ? ჰკითხა თავადმა და ხელი ჩამოართვა.

— თქვენი წყალობით კარგად გახლავართ, ბატონო, თქვენ როგორ გიკითხოთ?

— ეჰ,—ჩაიქნია ხელი შალვამ და ფარდაგზე დაჯდა.—ეხლა მარტო რუსეთუმეები არიან კარგად, მე კი არც უწინ ვყოფილვარ მათი ყმა და არც ეხლა მინდა,

— მართალი ბრძანებაა შენი ჭირი მე.—და აქაური ყმებიც მოადგა ენაზე, მაგრამ სიტყვა უკანვე ჩაიბრუნა და სთქვა:—ჩვენებური ბატონები ქალაქში ბრძანებულან. მაიორსაც მოვკარი თვალი.

— დიაღ, აქა ბრძანდებიან. თავად-აზნაურებმა გუბერნიის მარშალი უნდა აირჩიონ და ამიტომ მოიყარეს თავი. ალექსანდრე ორბელიანს იმედი აქვს რომ აირჩევენ, მაგრამ მოტყუვდება. ალბათ ისევ მელიქიშვილს ან კონსტანტინე მუხრან-ბატონს აირჩევენ. იცის არსენამ რა არის მარშალი და თავად-აზნაურთა საკრებულო?

— ვიცი, შენი კვნესა მე, რუს ხელმწიფეს და ბატონებს შველიან.

შალვას გაოცებამ გადაჰკრა. პირი დააღო პასუხისათვის, მაგრამ სათქმელი არა სთქვა და არსენაზე გადაიტანა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი სათხოვარი მომივიდა, არსენ.

— მეც მაგისთვინ გეახელი, ბატონო.

გუშინ მაიორი ვნახე და ველაპარაკე. ძალიან გაოცდა. არსენა კიდევაც დამავიწყდაო.

ოძელაშვილმა ჩაიცინა. „ჭამას უფრო ადვილად დაივიწყებს ვიდრე არსენას“.—გაიფიქრა მან. შალვამ კი განაგრძო:

— დიდ ხანს მევაჭრა. სულ იმას მთხოვდა, არსენა ჩამოვიდეს, დამნებდეს და პატიმრებს მაშინ გაუშვებო.

— მამა უცხონდა! — წამოიძახა მარაბდელმა.— იცადოს, სანამ არსენა არსენაობაზე ხელს აიღებდეს და თავს მგელს პირში ჩაუდებდეს.

— მეც ვუთხარი, ეგ არ იქნების მეთქი. ხან იხვეწებოდა, ხან იმუქრებოდა. კინაღამ კიდევაც იტირა. ბოლოს ასე მოვრიგდით: მაიორი ყველას გამოუშვებს, შენ კი იმ დიდ გზაზე აღარ ითარეშებ.

— რომელ გზაზე?

— კოდისა და შულავრის გზაზე. ეს გზა ომის ერთად-ერთი ძარღვია და თუ აქაურობა არ დავამშვიდე, დავიღუპებიო. ისიც მართალია.

— სხვაგან?

— სხვაგან იაროს, მე კი მარაბდელებს მძევლად აღარ წავიყვანო. ამაზე რას იტყვი, არსენ?

არსენა რას იტყვის? ჯერ ღრმად ჩაფიქრდა: ქვეყანა ათასი გზით არის დასერილი და მისი შველა ყველა გლეხს სჭირდება: ხეობელსაც და ლიახველსაც, არაგველსაც და კახელსაც, ივრელსაც და თიანელსაც. არსენა ეხლა სხვაგანაც დასთესავს, მაიორი კი ერთ გზას უჭრის და ათასს უტოვებს. ან რა არგო არსენამ ალგეთ-თრიალეთელებს, მუდამ რომ არწივივით დასტრიალებს იმ ხეობას და დიდ გზას? საცა მივიდა შვების ნაცვლად ჭირი მიუტანა: იქაურები აიკლეს დაროზგეს და გადაასახლეს. ალბათ სხვებსაც ასეთივე დღე მოელისთ, მაგრამ რა არსენას ბრალია? ვინც ხმალი იშიშვლა უნდა კიდევაც მოიქნიოს.

— მაგდანას მამას სეხნიასაც გამოუშვებენ?—იკითხა მარაბდელმა.

— არას გზით. სეხნია არსენას საქმეზე არ არის დაჭერილი და იმის თავს ნუ მოითხოვსო. სხვა მხრივაც ვიცი, რომ სეხნიას მართლა არ დაგითმობენ.

არსენას ალექსანდრე ბატონიშვილის კაცებთან საერთო არა ჰქონდა-რა და ვერც წაესარჩლებოდა, მაგრამ მაგდანამ და ზურამ სთხოვეს და რაიმე ღონე უნდა ეღონა. „ვერ გავიტან,—გაიფიქრა,—სხვა დროს და სხვანაირად მოუხერხებ რამეს“.—და შალვას ახედა. ახედა და უთხრა:

— უთხარი, არსენა ყაბულს არისთქო. მაგრამ თუ მომატყუა და ჩემიანები არ გამოუშვა, იმ გზაზე ერთბაშად ათას კაცზე ნაკლები ველარ გაივლის, და თუ ზარბაზნებიც თან არ ათრიეს, ველარც ათასი გაივლისთქო, აგრე! ლოპიანავ, მოიტა მწვადი, ღვინო, ხრამული, თართი და რაც კი იშოვება. სუფრა დამილოცე ბატონო. ფილადო-ბერის ამბავსაც გიამბობ და საცაა თვითონაც გამოჩნდება.

და არმაზელ ყაჩაღის და ბერის ტყვეობის ამბავი უამბო. შალვამ ბევრი იცინა. ამასობაში ბინდი ჩამოწვა და ბიჭმა ფარანი მოიტანა. მტკვარი გამდნარ

ფოლადის უთავბოლო ზეწარივით გაშლილიყო, ოდნავ ბიბინებდა. დუდუნებდა და ძილისათვის ემზადებოდა. ზედ რამდენიმე ტივმა ჩაირბინა, ოფისათვის ხეტყე სჭირდებოდათ და სოლანლუღში ახალი სატივე და სამხერხაო გაუმართათ.

უცებ ბუჩქებიდან ერთი ტივიც გამოცურდა და არსენას სუფრას მოადგა. ზედ შავი ბერი იდგა დაყუდებულივით. მერე მოსხლტა და სიცილით გადმოხტა ნაპირზე.

— ბერო, გვიამბე, როგორ გაგაშიშვლეს?—ჰკითხა შალვამ და სუფრაზე მოისვა.

სანამ ისინი ოხუნჯობდნენ, ლოპიანამ ღვინო, მწვანილი, მოთალი, ცოცხალი და მწვადი მოართვა.

როცა დანაყრდნენ და ოდნავ შეზარხოშდნენ, ბარათაშვილმა არსენას სადღეგრძელო წარმოსთქვა:

— ძმაო არსენ, საქართველოში ეხლა შენზე სახელოვანი ვაჟკაცი აღარ არის. ალექსანდრე ბატონიშვილი დაბერდა და იმედს აღარ იძლევა. თავად-აზნაურობის უმეტესობას რუსების მხარე უჭირავს და ხალხს ველარ უძღვება. გლეხი უპატრონოდ დარჩა და ბელადს ძებს, შენზე უკეთესი ბელადი კი არცა ჰყოლია და არც ეყოლება.

— ჭეშმარიტად, სიმართლეა!—ჩაურთო ბერმა.

— სანამ ტყეში არ გავარდებოდი, ბევრი არავინ არ გიცნობდა, ამბობდნენ, სანაქებო მოჭიდავეა, განთქმული მოჯირითე, კარგი მონადირე და გულმართალი ვაჟკაცია, ეხლა კი საქართველოში კაცს ვერა ნახავ, რომ ჭკუასაც, პატიოსნებასაც და სინიდისსაც არ გიქებდეს. საითაც გაიხედავ, ყველა შენზე ლაპარაკობს. გლეხობას კი მიწაზე ჩამოსულ ღმერთად მიაჩნიხარ. ყველა ხატები დაივიწყეს და შენზედა ლოცულობენ. ისიც კარგად იცი, რომ სხვა წოდებათა შორისაც ბევრი დამხმარე გაგიჩნდა. აზნაურობა თითქმის სულ შენ მხარეზეა და შენი ვაჟკაცობის დამფასებელი თავადებშიც იშოვება. რაღა შორს წავიდეთ, მეც შენი მეგობარი და მფარველი ვარ. მე ეხლა გისურვებ შენი მოხვეჭილი სახელი საქაროველოსთვის მიგეძღვნას და გლეხობის გარდა სხვებზედაც გეზრუნოს. მარტო გლეხები ვერას გახდებით.

— ვერას გახდებით.—განიმეორა ბერმა და გაცივებულ მწვადს დასწვდა.

— ჰაი, ჰაი, რომ ვერას გავხდებით!—დაუმოწმა სმენად-გადაქცეულმა მარაბდელმაც და ცოტა წინ მიიწია.

— ლელოს ვერც მარტო ჩვენ გავიტანთ.—განაგრძო შალვამ.—საერთო მტერს საერთო ძალით უნდა შევუტიოთ. ეხლა რუსი სულ იმას სცდილობს, რომ თავადაზნაურთა და გლეხთა შორის შუღლი დასთესოს, ერთმანეთს გადაგვკიდოს და საერთო საქმე ჩაგვიფუშოს, ჩვენც დაგვჩაგრეს და გლეხებიც, მაგრამ თქვენ ნამეტანი წააგეთ. ასეთი ხარკი არასოდეს არ გიზიდნიათ. ხორბალს სულ უფასოდ აძლევთ და ურმის ბეგარამ ხომ სულ გაგიჩანაგათ საქონელი. საფულო გადასახადი კიდევ სხვა არის. ეხლა როზგი და დაციმბირებაც შემოიღეს.

— რაღა სიტყვა გაგიგრძელო,—განაგრძო თავადმა,—შენცა და მეც მოწინავე კაცები ვართ და ვალად გვადევს ჩვენს ბედკრულ ხალხს ვუშველოთ, ეხლა მე შენს სადღეგრძელოს ვსვამ და ვისურვებ, რათა თქვენ, გლეხებს, შენის

მეთაურობით ეხლაც ისევე პირნათლად შეგესრულებინოთ თქვენი საქმე, როგორც უწინ შეგისრულებიათ. ქართველი გლეხი მუდამ ბატონის მორჩილი იყო და იმედია არც ეხლა გაგვიწევს ურჩობას. იყავ დღეგრძელი, ჩემო არსენ!

— ამინ! — წამოიძახა ბერმა, არსენამ კი გაიღიმა და არა უპასუხა-რა.

სამთავ დალიეს. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ღამე ჩამოწვა. მტკვრის გალმა მთვარე ამოგორებულიყო და მიდამოს მკრთალად ანათებდა. ბერი და შალვა არსენას საპასუხო სიტყვას უცდიდნენ, მაგრამ მარაბდელი სდუმდა, ულვაშებს იგრეხავდა და კიდევ რაღაცას ელოდა.

ბერი დაიხარა და არსენას ჩასჩურჩულა:

— ეს მოთრეული გენერლები და მათი დამქაშები რომ გავყაროთ, რას იტყვი?

არსენამ გაიღიმა, კვლავ შუბლი მოიფხანა და ჩუმადვე მიუგო:

— არაფერს არ ვიტყვი გაჰყარეთ.

შეთქმულთათვის ცხადი გახდა, რომ გლეხი არსენა გლეხურად ცულლუტობდა. „გავყაროთ“ კი არა სთქვა, „გაჰყარეთო“, და მათი მხრივ კიდევ მეტს სათქმელს ელოდებოდა. მაშინ შალვამ დახლართულ ბილიკებს გადმოუხვია და პირდაპირ ჰკითხა:

— გვიშველი თუ არა?

— თავიდანვე აგრე გეთქვათ, თქვე დალოცვილებო. — გაიღიმა არსენამ და თავადს თვალი თვალში გაუყარა. გაუყარა და თვითონაც პირდაპირ დაუბრუნა:

— რისთვინ უნდა გიშველოთ?

— როგორ თუ რისთვინ?.. აკი გითხარი... ალბათ ვერ გაიგე. — გაოცდნენ ორივენი.

— ძალიან კარგადაც გავიგე. ამბობთ, საქართველო გავანთავისუფლოთო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რისთვინ და ვისთვინ? ჯერ მითხარით, რას აპირებთ, უზურში რა გაქვთ მომავალში და პასუხსაც მერე მოგახსენებთ.

—რა უნდა გვქონდეს უზურში? საქართველოს თავისუფლება და ხალხის ბედნიერება მეთქი. — მიუგო თავადმა.

— მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება. — დაუმატა ბერმა. — ამაზე მეტი რა გინდა?

— გიშველა ღმერთმა! — მიუბრუნდა არსენა ბერს. — მაგაზე მეტი არა მინდა-რა. შენვე სთქვი, რუსეთში მშვიდობაა და ქვეყანასა ზედა ურვაო. ჩვენშიც ზევით მშვიდობაა და ქვევით კი ურვა ტრიალებს. ჰო და ეხლა მითხარი, როგორ უნდა შეანელოთ ეს ურვა?

— არ მესმის... ვერ გავიგე... გამაგებინე. — მიაყარა ორივემ და ეხლა კი მარაბდელისთვის გახდა ცხადი, რომ ბერი და თავადიც ბერ-თავადულად ცულლუტობდნენ.

— ვერ გაიგეთ და გაგაგებინებთ. — და პირდაპირ მიახალა: — ბატონ-ყმობაზე რას იტყვით? ისევ დარჩება?

ორთავ ისე გაოცდა, თითქო მარაბდელი რაღაც თილისმით სხვა კაცად გადაქცეულიყოს. ჯერ არსენას დააშტერდნენ, მერე ერთმანეთს გადახედეს და როცა ორჯელ კიდევ მოესმათ ჟინიანი „დარჩება?“, აირივნენ და ალულლუღდნენ:

— ბატონ-ყმობა?.. მაშ უბატონოდ როგორ შეიძლება?.. სად გაგონილა?

— რაკი არ გაგონილა, მაშ ბატონმა თავის საქმე თვითონ გააკეთოს. ესეც ხომ ღალა არ არის, რომ რუსი დაიხმაროთ და ისევ [illegible]? უბატონოდ სად გაგონილაო! მაშ რისთვინ შეეფიცნენ შარშანწინ ი ვილაც დეკემბრელები? რისთვინ ღალვარა ზღვა-სისხლი ნაპალევანმა? რად შეაზანზარა მთელი ქვეყანა ნაპალევანის სარდალმა და ჩემმა დეიდაშვილმა როსტომმა? მაშ ფრანგისტანში ისევ ბატონ-ყმობა დარჩა? — ეს მაგალითი ხელზე დაიხვია და რამდენჯერმე იკითხა დაჟინებით: — ისევ დარჩა მეთქი?

დაიცა, არსენ, ნუ გააჭენე! იმისთვის კი არ დაგიბარეს ბერმა და თავადმა, რომ ამ ნასწავლ გვამებს ჭკუას ასწავლიდე. ყური უგდე და შენვე ისწავლე. მართალია, „ფრანციაში“ და სხვაგანაც ბატონყმობა აღარ არის, მაგრამ აქაური და იქაური ხალხიც და ცხოვრებაც სულ სხვანაირია და მათი ყურის-გდება ჩვენ არ გვარგებს,

— გვარგებს! — ისევ დაიჟინა ოძელაშვილმა. — ისე გვარგებს, რომ მზე მაღლა იყოს!

— გარდა ამისა, ფრანციაში ბატონ-ყმობა მოისპო, თორემ უნცროს-უმფროსობა კი არ მოსპობილა. — მოუჭრა თავადმა.

— გიშველა ღმერთმა, მეც მანდა ვარ! — იხელთა არსენამ. — მთა და ბარი ვის გაუსწორებია? უნცროს-უფროსობა მუდამ იყო და კიდევაც დარჩეს. მე ნასწავლი არა ვარ, მაგრამ ეგენი მეც კარგად ვიცი. პირველობა ნასწავლისთვის ღამითია, მე კი სულ უკან დავდგები, მაგრამ ბატონ-ყმობა სულ სხვა რამ არის და უნცროს-უფროსობა კიდევ სხვა ერის. აგრეა თუ არა?

— აგრეა, მაგრამ...

მაგრამ უბატონოდ მაინც არ გამოვა-რა. არსენა ოდნავ ფიცხობდა და ხშირად იმეორებდა: „მე თქვენსავით ნასწავლი არა ვარ“, და უფრო მეტად ბრაზობდა იმის გამო, რომ ნასწავლი არ იყო, მაგრამ გულიც და სულიც გატენილი ჰქონდა მწვავე რწმენით. რომ თავდაპირველად უნდა ბატონ-ყმობა მოსპობილიყო და თანასწორობა დამყარებულიყო.

— უამისოდ ჩვენი საქმე ვერ გარიგდების. — იმეორებდა დაჟინებით. — დამიჯერეთ, ვერ გარიგდების მეთქი! და აშვერილი თითი მცირე ხნით ჰაერში შერჩა — დამიჯერეთ მეთქი!

არ დაუჯერეს. დაღონებულმა შალვამ ბერს გადაჰხედა და ღიმილით უთხრა:

— არსენამ ორმოციოდე წლით დაიგვიანა. ფრანციცული შფოთი სწორედ იმიტომ ატყდა, რომ ძმობა, ერთობა და, თავისუფლება გვინდაო.

— ვენაცვალე იმათ ღმერთსა! — წამოიძახა არსენამ. — მეც ეგ მიწერია დროშაზე. არც კი ვიცოდი რა ისე დავაწერე. ჩემმა დეიდაშვილმა როსტომმაც მაგისთვინ მოიხვეჭა სახელი. ისიც მარაბდელი ტლუ ბიჭი იყო, მაგრამ დახე სად გავარდა და რა გმირობა ჩაიდინა! — და სიჩუმის შემდეგ უცებ ჰკითხა: — შეესვლება თუ არა მდაბიოს თქვენს ძმობაში?

შალვა და ბერი დაფეთდენ .ერთმანეთს შიშით გადახედეს და არსენას ჰკითხეს:

— რის ძმობა? რა ძმობა? ვინ გითხრა, არსენ?

— თქვენ მიბრძანეთ, გენერლები უნდა გავრეკოთ. ეს საქმე ვინმემ უნდა ითავოს და მოაწყოს, ამიტომ მეც ვიფიქრე, ამ ხალხს თავი-კაცები ეყოლებათ მეთქი და ამიტომ გკითხეთ.

— არც ძმობა გვაქვს და არც თავიკაცები გვყავს. — უარჰყვეს ბერმაც და შალვამაც.

— რახან არა გყოლიათ, მაშ მერე გეყოლებათ. უამისოდ არ იქნების. — დაბეჯითებით მიუგო არსენამ, რომელიც მათმა ნაუბარმა და „აქტმა გონიერმა„ მტკიცედ დააჯერეს, რომ უკვე რაღაც ძმობა უნდა არსებულიყო. — ამიტომ გეკითხებით, შეესვლება მეთქი თუ არა მდაბიოს თქვენს საქმეში?

— არ ვიცით... მოვიფიქრებთ... ჯერ არაფერი არ არის. — ლუღლუღით მიუგეს მათ და ეს პასუხიც შეთქმულების არსებობას ადასტურებდა. არსენა გაჩუმდა. შალვამ უკანასკნელად ჰკითხა:

— მაშ ვერ მოვრიგდებით?

— ვერა, შენი ჭირიმე, ვერ მოვრიგდებით. რაც არ იქნების, არ იქნების.

— მაინც, კიდევ მოიფიქრე. — ურჩია შალვამ, — ნუ აჩქარდები.

— მოიფიქრე, ძმაო, მოიფიქრე. — ურჩია ბერმაც.

— მშვიდობით იყავი, არსენ.

— შენი წყალობა ნუ მომიშალოს ღმერთმა. — და ერთმანეთს დაშორდნენ.

— ლოპიანავ, — უთხრა არსენამ მედუქნეს, — დილით ადრე ისნის ხიდზე გახვალ. იქ ერთი ბიჭი მოგელოდება. სახელად გიგუა ჰქვიან. წამოიყვანე და სადმე საქმეში ჩააყენე. რაო, ლოგინიო? კარგა ხანია გადავეჩვიე. ჩემთვის ნარ-ეკალი ლოგინზე უფრო რბილია. წადი, დაიძინე. ღამე მშვიდობისა!

ისევ ბაღში ჩავიდა ლურჯა აუშვა და კრწანისისკენ გამოსწია, საცა მისი ქალაქელი მოკეთე ცხოვრობდა.

სწორედ იმ დროს, როცა არსენამ ზემოთ ამოუხვია, უკნიდან ხმაურობა მოესმა და მიიხედა. ლოპიანას დუქანსა და ბაღს ასიოდე მაშხალა შემოჰხვეოდა და კარის რახუნი და შეძახილი მოისმოდა.

„ძაღლმა წელანვე დამინახა და თავი მოიკატუნა, თითქო ვერ მიცნოო. — ჩაილაპარაკა თავისთვის არსენამ. — ეხლა კი მეძებს. კიდევ კარგი. რომ შალვამ და ბერმა დროზე გაასწრეს.“ — და ფოთლიანში მიიმალა.

მაიორი კი ცოფიანივით დარბოდა ბაღებში, ბრძანებლობდა, ჰკიოდა და მტკიცედ სჯეროდა, რომ შებოჭილ არსენას იმ ღამესვე მიუგდებდა ბატონებს.

დილითღა დარწმუნდა არლოვი, რომ აკვიატებული მარაბდელი ერთხელ კიდევ წაუვიდა. დარწმუნდა და, გაწბილებული, ბოსტნის კვალში დაეცა. დიდხანს ფართხალობდა და გაჰკიოდა:

— უშოოლ! უდრაალ! ულეტეეელ!

მეორე დილით ლოპიანამ იმ ალაგას ერთმანეთში არეული რამდენიმე ბღუჯი წითური თმა და ფესვიანად ამოგლეჯილი მწვანილი იპოვა და ხელგაშლილმა ჩაიბურტყუნა:

— ვაა, ეს კაცი თვითონვე ყოფილა დასაბმელი, ის კი სხვებს იჭერს და აბამს! სამართალია?

* * *

არსენამ ბანაკი როსტომს ჩააბარა და იმედნეული წავიდა ქვეყნეთში. ლაცაბიძეც ღირსი იყო, მაგრამ მარაბდელი არ ენდო, რადგან „ეშვიანი მტრედი“ ფიცხლივ მიიწევდა ბარისკენ და რაზმს ფათერაკს წაჰკიდებდა.

როსტომი მეტად ხათრიანი ბელადი გამოდგა. ბრძანების მაგიერ მის ხმაში თხოვნა ისმოდა: შენი ჭირიმე, სევასტი... გენაცვალე, კარპიჩ... მან ოლემ. ჰასან... ბალოჯან, თავი აგტკივდა?.. ზურა, გინდა დაისვენო?“ და მხოლოდ თავის დისთვის და ფიქრიასათვის იცლიდა ხოლმე, მაგრამ არც მარინეს და არც „ქერა ალქაჯს“ მისი ბიძგი არა სჭირდებოდათ.

მუშაობამ და ვარჯიშობამ მეორე დღიდანვე დაიკლო, სამაგიეროდ ღვინის სმამ, ხეტიალმა და ბარში ჩასვლამ იმატა. ნამეტნავ ჩურჩული და განაპირება გახშირდა. ლაცაბიძეს აღარ ასვენებდნენ და არც ის ასვენებდა ზოგიერთებს. დღეში ორჯელ მაინც გაიწვევდა ბუჩქნარში ხან კარპიჩას, ხან დალი ჰასანს, ზოგჯერ მეშთას და ზოგჯერ რომელიმე ახალ-მოსულს, ზოგჯერ კი ჩუმ თათბირსაც მართავდა და რაღაცას ამზადებდა, უკანასკნელ დროს განდგომილებმა პირში წყალი ჩაიყენეს, თათბირის შემდეგ კი სულაც მუნჯდებოდნენ და დანარჩენ ძმებს თითქოს კიდევაც ერიდებოდნენ. დროგამოშვებით რომელიმე მათგანი მოულოდნელად დაიკარგებოდა, სამიოდე დღის შემდეგ ხელახლა გამოჩნდებოდა და უმალვე თათბირი იმართებოდა. ეს ბზარი არსენამაც შეამჩნია, მაგრამ საქმე გათიშვამდე არ მიიყვანა, რადგან არც თითონ უმალავდა დაუმალავს და არც იმათ ამალვინებდა. ორი კაციც რომ განაპირებულიყო, ოძელაშვილიც იქ გაჩნდებოდა, თავის გულს გადაუშლიდა და იმათაც გაადაშლევინებდა და ეჭვიანობის ტილს უპოვიდა, უპოვიდა და ულამუნებდა და აჯერებდა, სანამ იმ ხინჯს არ გააქრობდა. ეხლა კი მოლამუნედ არავინ არ გამოდგა და წერტილი ჯერ ხარვეზად გადაიქცა, მერე გაღრმავდა გაგანიერდა და ბანაკს გასკდომას უქადდა.

— როსტომ, იღონე რამე, თორემ გვიანღა იქნება. — აფრთხილებდნენ ბელადის ნაცვალს ზოგიერთები, მაგრამ ჯორჯიაშვილი მხრებს იშმუშნიდა და ბუზღუნებდა:

— გადია ხომ არა ვარ. რომ ყველას უკან ვსდიო? თუ არსენასაც არ უნახავენ ხათრს, მე რაღას დამიჯერებენ! — და ისევ ტახზე, ჯიხვზე და ირემზე მიდიოდა.

ჯიბრის შენელება მის მაგიერ სულხანმა სცადა:

— იმერელო, — უთხრა ერთხელ სევასტის, — რაღაცას აპირებ და ხელი აიღე.

— კახელო, — მიახალა შავმა მტრედმა და თეთრი ეშვები გაუკრიალა, — მე მეტიჩარა კაცი არ მიყვარს.

ლაცაბიძე ამ ბანაკში შინაური კაცი იყო, სულხანი კი გარეული, ამიტომ გაჩუმდა ყოჩაშვილი და როსტომს ურჩია ტყვია-წამალი მიემალა. ჯაბადარს დაუძახეს და თოფხანა გაუსინჯეს. ნახევარიც აღარ აღმოჩნდა, ცხადია იჩო, რომ სავასტის მოესწრო და უკვე საკუთარი მარაგი გაეჩინა.

ერთხელ სევასტიმ არსენას ერთგულ მაგდანას უთხრა:

— შენ რაღა გალაპარაკებს, დედაკაცო? სახლი გქონდა და გადაგიწვეს; პაპა გყავდა და დაგიწვეს; ქმარი გყავდა და გაგიყიდეს; ძმა გყავდა და ხელახლა დააპატიმრეს.

— რაო, დათუნა ისევ დაიჭირეს?

— კი, დაიჭირეს და კარგს არაფერს დააყრიან. — და ერთი ლოდიც მიახალა: — მამა გყავდა და ჩამოხჩობას უპირებენ.

— რამ გაგაგიჟათ სევასტი! — გაიცინა ბაგდანამ. — მამაჩემი სეხნია ათი წელიწადია სპარსეთშია გადახვეწილი.

— კაი ნათესავები გყოლია. — ჩაიცინა სევასტიმაც. — ერთი თვეც იქნება რაც დაბრუნდა, მარა რამდენიმე დღეში დაიჭირეს. ვისაც გინდა ჰკითხე, შენს გარდა ყველამ იცოდა, მაგრამ არსენამ ბრძანა და დაგიმალეს. რომ არ დაემალათ, აქამდე რაცხას ვიღონებდით, ეხლა კი... ეხლა შენ თვითონ იფიქრე.

მაგდანა უსიტყვოდ მოშორდა და სევასტის წვერივით დაბნელდა. მართლა და რა დასამალავი იყო? ამას ვერ მიხვდა და არსენას ჰკითხა:

— მამისა და დათუნას დაჭერა რად დამიმალე?

— რაც დარდი გაქვს, ეგეც გეყოფა. — მიუგო ბელადმა. — აი ამიტომ დაგიმალე.

— ეხლა რას აპირებ?

არსენაც ხშირად ჰფიქრობს, მაგრამ ჯერ ვერაფერი ვერ მოუგონია. შულავერში კაცი ჰყავს და ის ყველაფერს ატყობინებს. მაგდანა უნდა დაწყნარსდე და ისევ არსენას მიენდოს. ის დროს იხელთებს და ორივეს უშველის, ორივეს და იმ ასიოდე უბედურსაც, ვინც ამ რაზმის გულისთვის ლპება.

ამის შემდეგ მაგდანა თითქოს გაიბუტა. დილით რომ ტყის სიღრმეში შევიდოდა, სამხარზელა დაბრუნდებოდა, და ხელმეორედ რომ მიიმალებოდა, საღამოზედაც ძლივს გამოჩნდებოდა. ჭირისუფლად მარინე და ფიქრია ჰყავდა. მაგრამ სვასტიმ ორივე დაჩრდილა. შულავერში მეორე გაიჩინა და პატიმრებთან საიდუმლო ძაფი გააბა. ამან შავი ქვრივი საბოლოოდ მოჰხიბლა და ლაცაბიძეს მიაბა. მას შემდეგ დღე აღარ გავიდოდა, რომ არ განაპირებულიყვნენ და ქვრივს ახალი ამბავი არ ეკითხა და სათხოვარი რამ არ ეთხოვნა, ხოლო როცა არსენა ქვიშხეთისაკენ წამოვიდა, მაგდანა განდგომილებს აშკარად მიემხრო, სხვებზე მეტად დაფაცურდა და ხშირად ეკითხებოდა ხოლმე შავწვერას:

— რაღას ვაგვიანებთ, სევასტი? როდისღა დავიძვრებით?

ლაცაბიძე ამშვიდებდა: ზაალი ქალაქში წასულა და ჯერ კალოობაც არ გათავებულა. ლაცაბიძემ გლეხებს ბატონის დამზადებული ჭირნახული უნდა დაურიგოს, თორემ ძნებს ხორ არ წააღებინებს. დავითიც ჩამოსულა სომხეთიდან და ჯერ არ გაბრუნებულა.

მაგრამ ზაალის დასჯა მაგდანას არ ეჩქარება. სულ ერთია, ვერსად ვერ წაუვათ. თუნდაც ეხლავე ჩაუხტებიან, თუნდაც სამი თვის შემდეგ. ზაალმა არსენას დანაპირები არ შეუსრულა და ისევ არსენას საქმეა, როდის და როგორ აზღვევინებს. აკი სთქვა კიდევაც ოძელაშვილმა, ზაალს სიტყვის გატეხას არ შევარჩენ და მალე მიუზღავო.

ეხლა შავ ქვრივს მხოლოდ შულავერი იზიდავს, იქ არის ერთ-ერთ მამით მისი სულიც და ფიქრიც, იქიდან ისმის აუტანელი კვნესაც და იქიდანვე მოდის შავი ამბავიც: დათუნას გააციმბირებენ და სეხნიას ჩამოახჩობენო. ათი წელიწადია რაც მაგდანას მამა არ უნახავს. ნეტა ერთხელ კიდევ ენახა, ერთხელ კიდევ მოჰხვეოდა და ბავშურად გაეჩეჩნა მისი შავი წვერი. მაგრამ შერჩა კი შავი წვერი? და მაგდანა ქვეით მიმავალ ზურას აბარებს, ისე არ დაბრუნდე თუ არ გაიგო, პაპაშენს ისევ შავი წვერი შერჩა თუ ჭაღარა შეერიაო. და როცა დანამდვილებით გაიგო, რომ სეხნია თითქმის გათეთრებულიყო, შავი ქვრივი უარესად აფორიაქდა და ატირდა, მაგრამ რად აეკვიატა მას მამის წვერის ფერი, თვითონაც არ იცოდა.

სულ გათეთრებულა! საწყალი სეხნია! მაშ აჩქარდი, მაგდან! სევასტი, შენც ხელი გაანძრიე, თორემ... თორემ სეხნია სულ გათეთრებულა და იქნება მაგდანას ნახვასაც ვეღარ ეღირსოს. ზურასაც სულ დაავიწყდა პაპა და იქნება ვერც კი იცნოს.

ბოლოს მზვერავმა სანატრელი სიტყვა მოიტანა: ზაალი თავის ჯალაბობით მარაბდაში მობრუნებულა, დავითიც იქ არის, მაიორი კი ქალაქში დარჩენილა, თრიალეთ-ბორჩალოს „ნაჩალნიკობა“ მიუღია და ერთი კვირით შულავერში ამოვაო.

აბა ეხლა კი აჩქარდით! არსენას შერცხვენის დროც მოვიდა. სევასტის გემაც მზათა აქვს: ბარათაშვილს ჩაუხტებიან, დაარბევენ და წამოვლენ, ხოლო სევასტი მაგდანა, ზურა და სამი სხვა ბიჭი ხრამის გალმა გაიჭრებიან და შულავრის ბოლოს სეხნიას, დათუნას და სხვებსაც მოუცდიან. საპატიმროს დარაჯი მოსყიდულია. ის გამოუშვებს და თვითონაც გამოჰყვება. ოღონდ არსენას მომხრეები ნუ აყაყანდებიან და ხელს ნუ შეუშლიან, თორემ დიდებულ გეგმის ჩაშლა მათი ბრალი იქნება.

მაშ აგრე. ადრე დაწექით, გამოიძინეთ და მზად იყავით თვითონ სევასტი გაგაღვიძებთ და დანარჩენიც მერე გამოჩნდება.

და როცა ბანაკი ღრმა ძილში შევიდა, ზოგმა მუხის ფესვმა ქურდივით წამოიწია. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ოსტაპმა მეშთას ცხენები არ დაანება.

— ხაი ტობე ბის!—დიყვირა მან და მთელი ბანაკი წამოშალა.—არ მოგცემ. როსტომს ჩემთვის არაფერი არ უთქვამს.

ვინც არაფერი არ იცოდა, განგაში ეგონა, იარაღი იშიშვლა და წინასწარ მიჩენილ საფარს ეცა. როსტომმა ბანაკის შუაგულში მაშხალა დაარჭო და ეხლაც კი არ აუწია ხმას:

— სთქვით, უზურში რა გიდევთ და რას აპირებთ?—ჰკითხა მან წამოშლილებს.

— ვაჟკაცები ვართ და ზაალი უნდა დავარბიოთ. გვეყო ამდენი ჯდომა!

— შულავრიდან ჩვენები უნდა გამოვიყვანოთ... მოცდა აღარ შეიძლების!

შავი ანგელოზი შავ სატანად გადაქცეულიყო, შურისძიებით ანთებულიყო და ვაჟკაცის ხმით ბრძანებლობდა.

— ვისაც არ უნდა, ნუ წამოვა აბა, საგზალი მოამზადეთ, ცხენები გამოიყვანეთ და წავიდეთ. გვეყო ლაპარაკი! შენ კი, როსტომ, ჩემი კაბა ჩაიცვი, აქაურობა დაჰგავე, შეჭამანდიც მოგვიხარშე და საცვალიც გაგვირეცხე, ხა—ხა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისმა სიცილმა ლამის დუმილი შეარხია. ეხლა არსენას, ერეგულებმაც იგრიალეს:

— არსენას არა უთქომს-რა.

— ეგ ხომ აჯანყებაა!

— წესი არ არის, არა!

— ეგ სადაური ძმობაა.

— არსენას მოუცადოთ, არსენას!

ლაცაბიძემ თითი ასწია, მაგრამ შავმა ქვრივმა დაასწრო, მიწას თოფის კონდახი დაჰკრა და შესძახა:

— არსენა მეფე ხომ არ არის, რომ ყველაფერი მარტო მას ეკითხებოდეს? ეხლა არსენა თავის საქმეზე დიდის და ჩვენ არ გვეკითხება. მაშ ჩვენც ჩვენ საქმეს მოუვლით და არსენას აღარ მოვუცდით.

— არსენას რა ენაღვლება, პაპა-ჩემს კი დღეს ან ხვალ ჩამოახჩობენ. — დაიძახა ზურამაც.

— აგრეა! მართალია! წავიდეთ! — დაიძახეს აქეთ — იქედან და დაიძრნენ.

ბარგისთვის და დაჭრილებისთვის ოთხი ცხენი წაიყვანეს და დარჩენილ ძმადნაფიცებს შორიდანაც უკიოდნენ:

— ვიც ვაჟკაცია, წამოვიდეს!

— ვინც ჯაბანია, დარჩეს!

არსენას მომხრენი ჯერ დაიბნენ, მერე ფიქრიამ დაიძახა:

— სირცხვილია!

— აუგია! — დაუმოწმა ქავთარმაც.

— ძმები ვართ უნდა მივყვეთ. — დაეთანხმა როსტომიც და მთელი ბანაკი დაიძრა.

„შინ“ მხოლოდ მოტირალი მარინე და ორი ავადმყოფი დასტოვეს.

— უდროშოდ წასულან. — სთქვა როსტომმა და ალამი მხარზე გაიდო.

როცა უკანანი წინამავალებს დაეწივნენ, სევასტის ჯგუფში სასიხარულო ჩურჩული გაისმა.

— მივდივართ, მაგრამ მოპასუხე თქვენ იქნებით. — უთხრა როსტომმა ლაცაბიძეს და ქვრივს მიუბრუნდა: — შენ კი, ძალიან მაგდან, შავი ანგელოზი კი არა, შავი ალქაჯი ყოფილხარ.

ქვრივმა სიბნელეში ბნელად ჩაიღიმა და წინ-მიმავალი ზურა გააფრთხილა:

— დროშა ქვეით დასწიე, თორემ ხის ტოტებში დაგეხევა.

ეხლაღა შენიშნა როსტომმა, რომ რაზმს მეორე დროშაც მიუძღოდა.

— ეგ რა დროშაა! სადაურია? — იკითხა გაოცებულმა და ცხენი შეაყენა.

სხვებიც შესდგნენ, შეჯგუფდნენ და ახალი დავა ასტეხეს. ეხლა მაგდანას ნაცვლად ლაცაბიძე ლაპარაკობდა:

— ჩვენი დროშაა. მაგდანას შევაკერინე.

— ზედ რა აწერია? რა ფერია?

— შავია. ზედ კი სწერია: „სიკვდილი ჯალათებს“.

— არ ივარგებს. ვერ მოვრიგდებით. — მტკიცედ განაცხადა როსტომმა. — ჩვენ ჩვენი დროშა გვაქვს. ჩვენვე ვაკურთხეთ და ზედ ერთმანეთს ძმობა შეეფიცეთ. რაც ზედ სწერია, ისიც ყველამ დავადასტურეთ. თქვენ კი შავი ნაჭერი ჩუმად შეგიბლანდიათ და ყაჩაღური რამ წაგიწერიათ. აგეთი დროშა ვერც ფიცს განამტკიცებს და ვერც წინ წაგვიძღვების.

— ვერ გაგვიძღვების. — დაუბეჭდეს სხვებმაც.

— შავი დროშა ეშმაკისაა და არ გავყვებით. — გადაჭრით განაცხადა სულხანმა.

— გადააგდეთ! დასწვით! დამალეთ და წამოვალთ.

ლაცაბიძე მოტყდა, წელან არსენელებმა დაუთმეს და გამოჰყვნენ, ეხლა კი თვითონაც დასთმო, მაგრამ შავი ალამი არც დასწვა და არც დახია: ტყეში შეიტანა, ფუღუროში მიჰმალა და გამოვიდა. ზეგ ან მაზეგ ისევ ამ გზით დაბრუნდება და წამოიღებს, რადგან შავწვერას კიდევ დასჭირდება შავი დროშა.

მაგდანა აფორიაქებული იყო და ხმას აღარ იღებდა. ლაცაბიძის დაპირება არა სჯეროდა, რომ სეხნიას დარაჯი გამოიყვანსო, და მტკიცედ იყო დაჯერებული, რომ საპატიმროს კარი ძალით უნდა შეენგრიათ და ბედოვლათი დათუნაც პატარძალივით უნდა მოეტაცათ. მაგრამ ვინ იცის, ჰყავს მართლა ლაცაბიძეს მშველელი? შულავერში არ უვლია და არ უნდა ჰყავდეს. არსენას კი ჰყავს. ნეტა ეხლა აქ ყოფილიყო ოძელაშვილი! რა ეშმაკურად გააცურა მაშინ კოდაზე რუსები! ეხლაც რაღაცას მოიგონებდა.

„ციხე გავტეხოთ და ძალით გამოვიყვანოთო“, უთხრა ერთხელ ქვრივმა ოძელაშვილს. არსენამ თავი გააქნია და მტკიცე უარი უთხრა: „სხვანაირ გზას ვეძებ და დამაცალეო“. და ყველანი დაივიწყა.

— რამ დაგაღონა, ძალო? — ეკითხება ეხლა როსტომი.

— შულავერში წამომყვები? — პასუხის ნაცვლად თვითონვე ჰკითხა ქვრივმა.

როსტომი მიუხვდა.

— არსენას მოუცადე. — მიუგო. — მაგ საქმეს არსენას გარდა ვერავინ ვერ მოახერხებს.

ლაცაბიძე გვერდით მოსდევდა და სდუმდა. ქვრივიც დადუმდა და ეჭვი უფრო გაუსივდა. იქნება მართლა სჯობნებიყო, რომ ისევ ოძელაშვილს მინდობოდა. მაგრამ გვიანლაა. არჩევანი აღარ არის. არსენა დღესაც სადღაც დაეხეტება, ესენი კი უკვე სალაშქროდ მიდიან და უკან დახევაზე კრინტის დაძვრაც აღარ შეიძლება. მაშ გასწით! ჩაუხტით! დაარბიეთ!

და მოძრავ ლაქებივით გაჭიმული რაზმიც მთვარიან ღამეში ფეხაკრეფით მიიპარება. რიჟრაჟზე საურმე გზას გადაუხვიეს. ბილიკებზე გადავიდნენ და კვამლიან ალაგებს შორს მოუარეს.

ენაგეთი როსტომის სოფელია. იქ რამდენიმე მოენე ჰყავთ. თუ ახალი რამ მოხდა, რაზმი ეხლავე გაიგებს, გარდა ამისა, ბალოს ცოლი აქ ამოსულა და როსტომის დედ-მამასთან უცდის. ერთმანეთს გადაეხვევიან. მოიკითხავენ. იტირებენ და ისევ დაშორდებიან. რაზმი ჭალაში იცდის როსტომი და ბალო ბოლოს სოფლიდან დაბრუნდნენ და უცნაური ამბავი მოიტანეს: გუშინ ქალაქიდან

მაიორის ბრძანება მოვიდა შულავერში და ციხიდან ას კაცზე მეტი გაუშვესო. ყველანი ერთად წამოსულიყვნენ და წუხელის თავიანთ სახლებში მოსულიყვნენ.

— ეხლა ღვთისავარიც, მელანოც, ერეკლეც და დათუნაც შინ ყოფილან. — ასე დაასრულა როსტომმა.

— პაპა-ჩემი? — აჩქარებული ხმით ჰკითხა ზურამ.

— სეხნია არ გამოუშვიათ. — მიუგო როსტომმა და მაგდანას გადახედა.

ქვრივმა წარბიც არ შეიხარა და არც არაფერი სთქვა.

— რად გაუშვეს? რა მოხდა? ვინ უშველა? — გაისმა აქეთ-იქიდან.

ლაცაბიძე, როსტომი და მაგდანა თითქო მიხვედრილ არიან. ერთხელ არსენამ გაკვრით უთხრა, მინდა იმ საცოდავებისთვის შალვა ბარათაშვილს ორიოდე სიტყვა შეუთვალოო. მაშინ ორთავ გაკვრითვე მიუგეს, ძალიან კარგი იქნებაო. ეს იყო და ეს. ვინ იცის, იქნება არსენა ეხლა ქალაქში ჩავიდა და ეს საქმე გაარიგა?

— სევასტი, დავბრუნდეთ. — ერთხელ კიდევ სცადა როსტომმა, — დავბრუნდეთ, თორემ იქნება ჭკუა წავაგოთ.

— შენ, ძამიაკ, დიდი ხანია შენი ჭკუა წააგე და წასაგები აღარა დაგრჩენია-რა. — მიუგო ლაცაბიძემ და თავისიანებს მიჰმართა: — დროა, წავიდეთ!

და ურჩი რაზმი ხელახლა წამოვიდა, როსტომმა კი სევასტის უდიერი პასუხის გამო ჯერ შუბლი მოიღუშა, მერე მწარედ ჩაიღიმა და შორიახლოს გამოჰყვა.

ყველამ იცოდა, რომ ზაალის დარბევას მაიორი ისევ გლეხებს გადაუხდიდა და საპატიმროს ისევ პირთამდე გაავსებდა: იცოდა, რომ ქალაქში რაღაც უნდა მომხდარიყო, თორემ ამოდენა ხალხს ერთბაშად არ გამოუშვებდნენ: იცოდნენ, მაგრამ ვერც ხმას იღებდნენ და ვეღარც თავს ილაგმავდნენ. რადგან მტკიცე ჯადოთი იყვნენ შედუღებულნი და მთის წვერიდან მოსხლეტილ მოჰგორავდნენ, რომელიც მაშინლა შეზვავივით სდგება. როცა სხვასაც მიანგრევს და თვითონაც დაიმსხვრევა ხოლმე.

* * *

ზაალს სამი კალო ება, ერთი რას ეყოფოდა! ფირუზა მოურავი განთიადით-საღამომდე მინდვრებში ტრიალებდა, ყმების ძნებს თვლიდა და ლალას ურმებით აზიდვინებდა, სხვა მოურავები და შინაყმები კი მოტანილს ითვლიდნენ, ვეება ზვინებად აწყობინებდნენ და იქვე ალეწვინებდნენ.

ზაალს ქართულ კაბა-წუღებზე რუსული თეთრი კარტუზი დაეხურა, კალოდან კალოზე დააბოტებდა და ყმებს შესჩიოდა;

— ვეჟო, ასეთი ამბავი გაგონილა? ლამის დაღამდეს და ორმოცი ურემიც ვერ მოგიტანიათ?

და საცა ჩრდილს დაინახავდა, გარსიას მიაძახებდა:

— მატრაკვეცავ, დამასვენე.

მატრაკვეცა ჩრთილივით დასდევდა მას და ერთი ხელით ბატონის ჩიბუხი დაჰქონდა, მეორეთი კი დასაკეც სკამს დაათრევდა, რომელსაც „დამასვენეს“ გაგონებაზე იქვე ჩრდილში გაუშლიდა და პირში ვეება ჩიბუხს მიაჩეჩებდა.

ბატონი ეხლაც „დამასვენეზე“ იჯდა, უნდილად აბოლებდა [illegible] თვალებს ადევნებდა ყბებს, რომელნიც გალეწილ მოსავალს [illegible] ბრუნავდნენ და ფიწლებით ანიავებდნენ.

გუშინწინ განთავისუფლებულმა დათუნამ და ღვთისავარმა კალოზე ერთი საძნე ურემი მიაყენეს და ზაალს საღამო მშვიდობისა უსურვეს.

— ვეჟო, ეგ არის შენი ღალა? — ჰკითხა ბატონმა ღვთისავარს. — სხვა დროს თორმეტი ურემი მოგიტანია და ეხლა ხეირიანად ორიც ვერ დაგიდვია.

— სხვა დროს სხვა დრო გახლდათ, შენი კვნესა მე. უწინ თორმეტი დღიურიც დამითესია, ეხლა კი ორსაც ვეღარ მოვერიე, — მიუგო ცალთვალამ.

— რატომ ვერ მოერიე, ვეჟო? — იკითხა ბატონმა, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა და წარამარადაც წუწუნებდა იმის გამო, რომ მომხვნელი აღარა ჰყავდა და ამის გამო ღალაც გაუმეოთხედდა.

— მამა-ჩემისგან გამიგონია, — მიუგო ცალთვალამ, რომელსაც დევის იერი მაიორმა შულავერში დაატოვებინა. — გამიგონია, თურმე ნეტარხსენებული დიდი ზაალი ხუთ კალოს აბამდა და ორ თვეს ლეწავდა, ეხლა კი სამი კალო გიბიათ და ორ კვირაშიც გაათავებთ. მაშინ მშვიდობა იყო და გადასახადიც მცირე ყოფილა, ეხლა კი ომიანობაა და ხარკიც ერთი ოთხად მოგვემატა. გარდა ამისა, მაშინ სპარსეთ-ოსმალეთის მხრიდან უთვალავი საქონელი მოდენილა და დიდი ალიშ-ყელიში დ იაფობა ყოფილა, ეხლა კი რუსებმა ეს კარებიც ჩაგვიკეტეს და თვითონაც ვერაფერი ვერ მოაქვთ. ჩითი და მარილი რა არის, ესეც კი გამოილია და ლამის საქონელიც გაგვიწყდეს და ჩვენც სურავანდმა გადაგვიტანოს.

— ვეჟო, რუსებს თავს აღარ დაანებებ? — წამოიძახა ბატონმა.

— მე კი დავანებებ, შენი კვნესამე, მაგრამ თვითონ აღარ მანებებენ. — ჩაიღიმა ცალთვალამ. — ნახევარ კაცად გადამაქციეს და შინ კატაც აღარ დამირჩინეს. — და დათუნაზე მიუთითა: — ამ კაცსაც სავსე ოჯახი ქონდათ და კერაც აღარ შეარჩინეს.

— ასეთი უმადურობა გაგონილა?! — და ბატონმა ორივე ხელი მუხლებზე დაირტყა, — თქვენ ეხლა ციმბირში უნდა ლპებოდეთ და კიდევაც წუწუნებთ? მაშ ჩემს ჯაფას ტყუილად ჩაუვლია. მაშ მაიორისათვის ტყვილად მითხოვნია თქვენი თავი!

— არა, შენი კვნესამე, რა ბრძანებაა! გუშინწინ შინაც კი არ მივსულიყავით, რომ ყველანი ჯერ თქვენ გეახელით და მადლობა მოგახსენეთ კვლავაც თქვენი მადლიერი ვიქნებით და რაც ყმას მოეთხოვება, სუყველას პირნათლად შეგისრულებთ.

— ვეჟო, ვინ გაგაჩანაგათ, რესებმა და ბატონმა თუ შენმა გიჟმა არსენამ? იკითხა მრისხანე ბატონმა.

— არსენამ. შენი კვნესამე. — მოტეხილი ხმით მიუგო მამამ და ის კი აღარ დაუმატა, რომ არსენას გავარდნა მხოლოდ საბაბი იყო მარაბდის ასაკლებად და რომ ბატონი და ხელმწიფე იქაურობას უარსენოდაც აჩანაგებდნენ.

— ისევ არსენას ბრალია.—ჩაიჩურჩულა დათუნამაც, რადგან ბატონმა ჭალარა თვალები ეხლა მას მიაბჯინა.

— ჰო და, მაგაზე მეტი რა გინდათ, ვეჟო.—უკვე ჩივილივით წამოიძახა მორბილებულმა ზაალმა.—ქალი მომტაცა, ყმები გადაიბირა, განძეულიც წამართვა, სახელიც გამისვარა და კიდევაც მემუქრება. ამაზე მეტი გაგონილა? ეხლა თქვენც გამომდგარხართ და მე მაბრალებთ.

ზაალი გულში თვითონ იბრალებდა, რადგან მართლა ბრალი ედო და ვერ მოეშორებინა. ისიც იცოდნენ, რომ მას თავის შებრალება უყვარდა, მაგრამ არ შეიბრალეს და გაჩუმდნენ. ბატონმა რამდენჯერმე გააბოლა, მერე დათუნას ახედა და ნიშნის მოგებით ჰკითხა;

— ვეჟო, ალექსანდრე დაგიმარცხეს?

— ალექსანდრე ბიძად ხომ არ მერგება, რომ ისიც მე ვიტირო?—აუკრა სიტყვა ბარნაველმა და თვალი მოარიდა.

— ვიცი, კარგად ვიცი. სატირალი სხვაც გეყოფა. პაპა გარდაგეცვალა, და გაგიყაჩაღდა, დისწულიც ტყეში გაგივარდა და მამაც ციხეში გყავს. იმაზედაც იტყვი, რომ ალექსანდრეს კაცი არ არისო?—და პასუხი რომ არ მიიღო, ისევ ღვთისავარს შეუტია:—ვეჟო, არსენა აღარ მორჯულდება?

— აბა რა ვიცი, შენი კვნესა მე. ჩემთვის რომ დაეჯერა, არც გავარდებოდა.

— იმიტომ გამოგიშვეს, რომ მამა ხარ და უნდა დააჯერო, თორემ ისევ შენ მოგეკითხება. შეუთვალე, ზაალი აღარაფერს არ გერჩის და თავი დაანებეთქო.

სწორედ ამ დროს ლაცაბიძის რაზმი მგლების ხროვასავით ამოვარდა ჭალიდან და ავი კიჟინით და მრისხანე შეძახილებით მიესია ზაალის სასახლეს.

— ვეჟო, ეს რა ამბავია?—წამოიძახა ზაალმა და ჩიბუხი ჩალაში ჩაუვარდა.—ისევ ის წყეული არსენა იქნება.—და ბატივით გაიქცა საბძლისკენ.

— დაიჩი! არ გაუშვა!—მიაძახა კარპიჩამ და ისიც კოჭლი ბატივით დაედევნა.—სად მირბიხარ? სად დაგვემალები?—

და ბატონს კისერში მისწვდა და ტომარასავით დაითრია.

ეზო უცებ შეიკრა. სარკმელებში დაფეთებული თვალები გამოჩნდა და ისევ მიიმალა. შემდეგ შიგნიდან კნეინების კივილი გამოვარდა. დავითმა აივანზე გამოჰყო თავი და დაიძახა:

— ფირუზ! გიგოლი! ბიჭებო!—და ისიც უმალვე მიიმალა.

ლაცაბიძე, დალი ჰასანი და მეშთა ფეხდაფეხ მიჰყვნენ მას და მიაძახეს:

— გველის წიწილო, იარაღი დაჰყარე, თორემ გაგათავებთ!

დავითი უკვე მოდუნებულიყო, რადგან რაზმი ერთი-სამად მოსჩვენებოდა. დამბაჩა და ხმალი ტახტზე მიჰყარა და გულხელდაკრეფილი შუა ოთახში გახევდა.

— ეზოში გამოდით!—დაჰკივლეს რაზმელებმა და ყველანი ქვეით შეაქუჩეს. ზურას გიგოლა გოდრიდან ამოეთრია და კინწისკვრით მოერეკებოდა. სოფელში ორი ცხენოსანი დაჰქროდა და იძახდა:

—ხალხო, გამოდით! ჭანდრის ქვეშ მოგროვდით!

მთელი სოფელი ბატონის ეზოში გროვდებოდა. ლაცაბიძე ბატონის „დამისვენეზე“ ჩამომჯდარიყო ბაბა-ხანის წვერს ათივე თითით ეკარცხნდა, ეშვებიც ჩამოეშვა და ძნელი გასაგები იყო, იღიმებოდა თუ იღრინებოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ იმ ჟამად მისი ღრენა მის ღიმილზე უფრო ლმობიერი იქნებოდა. კნეინა ხორეშანმა წელანვე აჭლაგმა კნეინები:

— ნუ წრიპინებთ, სირცხვილია!—შეუტია მათ და ისევ ჩამოვიდა კიბეზე, თითქო სანადიმოდ გამოვიდაო. ეხლაც წინა რიგში სდგას და ყველას უკადრისად ათვალიერებს, ჩოხიან მაგდანას და ფიქრიას კი მედიდურ ზიზღით ულიმის. ირგვლივ ყოველივე სამსჯავრო კრებას ჰგავს და ყველა მის დასაწყისს ელოდება. ბოლოს შავმა მსაჯულმა სთქვა:

— ზაალ, გვითხარი, დაჰპირდი თუ არა არსენას, რომ მარაბდელებს ყველაფერს დაუბრუნებდი, რაც მაშინ წაართვი, და თუ დაპირდი, შეასრულე თუ არა?

— ვეჟო, რაღა დამრჩა, რომ შემესრულებინა?—ხმის კანკალით და ხელების გაშლით მიუგო ზაალმა.—რაცა მქონდა, ხაზინამ წაიღო და ამაზე მეტი რა გინდათ?

— ხაზინამ იყიდა-თქვა.—გაუსწორა ლაცაბიძემ და განაგრძო:—შენ დაგვპირდი, ღალას აღარ წავიღებო, ყმებსაც გავუშვებ და სადავო მიწებზედაც ხელს ავიღებო. სად არის აწი შენი სიტყვა?

— ვეჟო, სად შემიძლიან!—წამოიძახა ბატონმა და სხაპუნით დააყოლა:—სამაგიეროდ არსენამ განძეული მთხოვა და მივეცი, ეგ დროშა მოინდომა და მივართვი, ხალხის გამოშვება მოინდომა და შევუსრულე. აი ყველანი აქ არიან მეტი რა გინდათ, ვეჟო?

— დაისა კასო!—წინ განოვარდა თათარი და ზაალს კბილები გაუელვა.—იავაშ იოლდაშ! ის ოქრო-ვერცხლი და ეს ალამი შენ უფეშქაშე არსენას თუ თითონ მოგასემინა?

— მთხოვა და მივეცი, მეტი რა გინდა, ვეჟო!—წყენით ჩაიბურტყუნა ზაალმა.

„მთხოვა და მივეცი“ მხიარული სიცილი გამოიწვია. ზაალმა კი წინ წამოიწმა და ისეთი სიხარულით წამოიძახა, თითქო წყალწალებული თოკს მოეჭიდაო:

— ვეჟო, თქვენ რათ შეწუხებულხართ? მე ვიცი და არსენამა. ქალაქში მოვრიგდით: მე ამოდენა ხალხი გამოვაშვებინე, იმან კი აქ თარეშზე ხელი აიღო.

ამ განცხადებამ ჩოჩქოლი და ჩურჩული გამოიწვია, ზაალმა კი მესამეჯერ წამოიძახა:

— მე ვიცი და არსენამა. მე ამოდენა ხალხი გამოვაშვებინე და ამაზე მეტი რა გინდათ? რაღას მერჩით, ვეჟო?

მსაჯული აირია და სხვებს გადმოჰხედა, სხვებიც დაიბნენ და მსაჯული შეათვალიერეს.

— მაშ სხვანაირად ყოფილა საქმე.—გაისმა აქეთ-იქიდან.—მაშ არსენას უნდა მოუცადოთ... ჯერ გავიგოთ... დავეკითხოთ.

ამ დროს წინ შავი ქვრივი წამოდგა და თვალები ორი შავი მახვილივით ააციმციმა.

— ძმებო, ჩვენ იმისთვის კი არ ჩამოვსულვართ აქ, რომ სამართალი ვქნათ და ჩვენივე დამღუპველ ბატონს ვკითხოთ, ბრალიანია ის თუ უბრალო.

მაგდანა დინჯად ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში პანაშვიდის სიდინჯე და სამარის სიცივე ისმოდა.

სამართალი ზემოთ მთებში ვქენით, და ეხლა შესასრულებლად ჩამოვედით. ან რა სამართალი უნდა ამ ბატონსა! შარშანდელიც და უწინდელიც რომ დავივიწყოთ, წრევანდელს მაინც სად წაუვა? ზაალო, ნამცეცობა დღეს სალდათები რომ მოიყვანე და ამოდენა ხალხი დააროზგვინე, შენ არ იყავი? იმ ღამეს რომ არსენა გავარდა და სხვებიც გაიყოლა, შენი ბრალი არ იყო? მერე რომ სხვებმაც თავზე ხელი აიღეს და ტყეში გაცვივდნენ, ესეც შენი წყალობით არ იყო?

— მარტალია! მაგისია!—ამოიკივლა კარპიჩამ.

— სულ მაგის ბრალი ხარ, მაგისი;—დაუბეჭდა მეშთამაც.

— აგრეა! ჰაი, ჰაი, რომ მაგისია!—დაუმოწმეს სხვებმაც. ქვრივმა კი იმავე კილოზე განაგრძო:

— იმ ღამეს რომ სოფელი გადაჰბუგეს, გაცარცვეს და...—ქვრივი გაწითლდა. შესდგა, მერე გაჰბედა და ხმას დაუმდაბლა:—და ქალებსაც რომ მიესივნენ, იმ ბინძურ საქმეში შენი ხელიც არ ერია?

— ერია! ეგრია!

— მეორე დილას რომ იმოდენა ხალხი ცხვარივით გაგვრეკეს, ბებერიც, ორსულიც და ბალღიც, მათი ცოდო შენც არ გადევს? ზოგმა რომ ციხეს ვერ გაუძლო და ქვრივ-ობოლი დასტოვა, ამ საცოდაობაში შენი წილიც არ არის? ამ წუნკალმა გიგოლამ რომ მამაჩემი დააჭერინა, ესეც შენი ბრალია. შენი ნაბიჭვარია, შენ ინახავ და პასუხიც შენვე უნდა მოგვცე. ერთი თვის წინათ აი ამ ადგილას სიტყვა მოგვეცი და გასტეხე. ძმებო, რომელი ერთი ჩამოვთვალო?! ამ სიშორეზე ყბედობისთვინ ხომ არ ჩამოვსულვართ! ეხლა კი ეს ბატონი კიდევაც გვიმადლის, და თავსაც გვაბრალებს, ეს ხალხი მე გამოვაშვებინეო. სტყუის ეს ვაჟბატონი! არსენას ამისთვის არაფერიც არ უთხოვნია. ან როგორ იკადრებდა, რომ თავის მოსისხლესთვის რაიმე ეთხოვნა? ეხლა, ჩვენ იმისთვინ ჩამოვედით. რომ ღანაპირები შევასრულებინოთ. ბარათაშვილო, ეხლავე დაურიგე ხალხს ყველაფერი, რაც კი გაბადია: საქონელი, ჭირნახული, ჭურჭელი, სიგელები, ვეჯიც და ფულიც, და ღმერთს მადლობა გადაუხადე, თუ ცოცხალი გადაგვირჩი.

ზაალმა გაიღიმა, ორივე ხელით თავის სამფლობელო შემოხაზა და მორჩილად განაცხადა:

— ეს თქვენა და ესეც ჩემი დოვლათი. თქვენს ხელთა ვარ და აბა რა შემიძლიან?

— ხალხო, წავიდეთ, გავყოთ!—მოუწოდა ქვრივმა სოფელს და დაიძრა, მაგრამ ისევ შესდგა, რადგან რამდენიმე რაზმელის გარდა არავინ არ გაჰყვა.

— რა მოხდა, ხალხო?—იკითხა მაგდანამ.—ბატონისა გენანებათ? მელანო, ედიშერ, ტასო, ღვთისავარ, რისა შეგეშინდათ?

ყველა ღვთისავარს დააცქერდა. ზოგს ეგონა, ხელმწიფისა და ბატონის მიერ შერისხული ცალთვალა თავკაცად აღარ გამოდგებაო, მაგრამ არსენას ნაციხარი მამა ხალხის თვალში ერთი ორად ამაღლებულიყო. შულავრიდან რომ დაბრუნდა, მაშინვე მთელი სოფელი მოეხვია იმის სახლს და დაღამებამდე იქ ტრიალებდა.

ეხლა არსენას მამამ გაპარსულ განიერ ნიკაპზე ხელი გადაისვა და სთქვა:

— რაც არ მერგების, არ შემერგების.

— აგრეა! მართალია.— დაუმოწმეს ხნიერებმაც.

— ბატონისა ბატონსა, გლეხისა გლეხსაო.

— რაც ზაალმა უკანონოდ წაიღო, ის დაგვიბრუნოს, თორემ კანონიერს არ ვედავებით.

— თქვენ წახვალთ და ჩვენ დავრჩებით.

— ვეჟო, რაც მართალია, მართალია!—სიხარულით წამოიძახა ბატონმა.— თუ ზედმეტი რამე გადმოვაყოლე, მითხარით და ინებეთ.

მაგდანა ხედავდა, რომ ხალხი ხელიდან მისდიოდა, რომ გლეხებს ბატონისა და „აქ დარჩენისა“ ეშინოდათ, და ერთი ხერხიც იხმარა:

— მეშთა ზურა, კარპიჩავ, ეს ბატონები მოურავის ოთახში დაამწყვდიეთ.

და როცა ბატონები, მოურავები და გიგოლა ქვემო სართულში შეიყვანეს და კარებს დიდი ბოქლონი დაადეს, ქვრივმა დაიძახა:

— ეხლა კი მომყეთ! წამოდით! ეხლა ვიღას ერიდებით?— და კიბისკენ წავიდა.

ყველა მიხვდა, რომ იმ წამს შავმა ქვრივმა შავწვერა ლაცაბიძეს ბელადობა მოსტაცა.

ხალხი მაინც ყოყმანობდა და ერთმანეთს შეჰყურებდენ. ზოგნი ურთერთს მუჯლუგუნს ჰკრავდნენ და აქეზებდენ, მაგრამ წინ წაწეულები ისევ უკან იწევდენ და პირველობას ერთმანეთს უთმობდნენ. ბოლოს სამმა ღარიბმა გაჰბედა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მაგრამ სხვები რომ არ გაჰყვნენ, ისინიც გამობრუნდნენ.

— რა ვქნა, რას გაჩერებულხართ?—შეუტია ერთმა დედაბერმა რაზმელებს.—ძალით გაგვრეკეთ, რაღა!

— ძალით ჩადენილი ცოდო ადამიანს ცოდოში არ ჩაეთვლება.—დაუმატა ვიღაცამ.

სხვებიც ამას მოელოდნენ, და როცა აქეთ-იქიდან რაზმელები მიაწვნენ, პირველად დედაკაცებმა იხუვლეს სიცილით და მაგდანასაც კი გაუსწრეს.

— წაიღეთ! გაიყავით!—გადმოსძახა შავმა ქვრივმა აივნიდან და თვითონაც წინ შევარდა.

— ღვთისავარ,—მიაძახა ლაცაბიძემ,—შენც წაიღე ნუ ჩამორჩი!

— ხალხი რომ ხრამისკენ გაიქცევა, ისევ ჩამორჩენა სჯობია.—მიუგო ღვთისავარმა და ფიქრიას მოეხვია, რომელიც აქამდე განაპირებით იდგა და მომტირალ დედას ამშვიდებდა.—როგორა ხარ შვილო?... არსენა რასა იქს....

აღარ დამიბრუნდებით?—და ცალი თვალიდან ერთი ცალი ცრემლი წამოსცვივდა.

ზაალის ქონებას რამდენიმე თავიკაცისა და დედაბერის გარდა მთელი მარაბდა მოედო. ზოგი ბეღელს სცლიდა, ზოგი საკუჭნაოს ეცა, ზოგიც მარანს დაეტაკა და ზოგიც ოთახებს შეესია. დოქებით, ტომრებით, ქილებით, კოკებით და კასრებით მოათრევდენ ღვინოს, ხორბალს, (ნამეტნავ კი თავთუხს, ასლსა და მახობელას). ერბოს, ყველსა და ყოველგვარ სარჩოს. აივნიდან სირბილით ჩამოაქვთ ხალიჩები და იარაღი, ფარდები და სუფრები, ჭურჭელი და ბოხჩები და თანაც მოტაცებულს ხელმეორედ სტაცებენ ერთმანეთს და გაჭკივიან:

— ჩემია!—ხელი გაუშვი!

— მე უფრო მომიხდება!

— ჩემზედაც უპრიანია! მეც შემერგება!

და ნასყიდამ პელოს სამოვარი გამოჰგლიჯა, მართამ თეკლეს ხორეშანის მიერ ბისონით მოქარგული ანაფორა მოსტაცა: ვიღაცამ დავითის მუნდირი გადაიცვა; მეორემ მისი ასთუმნიანი მოსასხამი ტყავი წამოისხა; ორმა დედაკაცმა კნეინის საზამთრო ქათიბი გაიყო: ერთს მათგანს ბეწვი ერგო, მეორემ კი ხაერდი დაიჩემა.

— ძმობა ეგ არის, განზე რომ გამდგარხართ?—გავლით უსაყვედურა ლაცაბიძემ არსენას ჯგუფს.

— სწორედ ეს არის.—ღიმილით უპასუხა როსტომმა.—ჩვენ იმისთვის წამოვედით, რომ გასაჭირში გიშველოთ, თქვენ კი ჯერჯერობით ფათერაკი არ მოგელისთ.

— თქვენი შველა არც ჭირში გვინდა და არც ლხინში.—ბრაზით მიუგო სევასტიმ და მეშთას და მეშთას და კარპიჩას მიეშველა, რომელნიც ვარგის უვარგისით ავსებდენ ხურჯინებს და ცხენებს ჰკიდებდენ.

დათუნამ დრო იხელთა, ფიქრია გომურის უკან გაიყვანა და ჰკითხა:

— როგორა ხარ, ჩემო ფიქრო?

— მე რომ შენი ფიქრი ვყოფილიყავი, არ მომატყუებდი და ტყეში ამოხვიდოდი.—უსაყვედურა ქალმა.

— რა მექნა, გენაცვალე, ვერც საქმე დავასრულე და ვეღარც ციხეს დავაღწიე თავი. ეხლა კი მამა-ჩემის საქმეც დამაწვა და სანამ არ გამოვაშვებინებ, აქაურობას ვერ მოვწყდები.

და საკოცნელად მიიწია, მაგრამ უკანვე დაიწია, რადგან ამ დროს კარპიჩამ კოჭლობით გაურბინა გვერდით, მერე ისევ გამოვარდა და მეორე მხარეს გაიქცა. ხელში რაღაც ეჭირა და მალავდა. დათუნა ხელმეორედ მიეტანა, ფიქრიას. ქალმა მას პირზე ხელი დააფარა, განზე გაიწია და შეანელა:

— არა, არ შეიძლება.ტყეში ამოდი და...

და აღარ დაასრულა, რადგან ამ დროს ეზოში კივილი გაისმა:

— ცეცხლი! ცეცხლი!

ბოლი და ალი რამდენიმე ალაგას ავარდა. სასახლის ორივე სართული, ძნები, საბძელი, ბეღელი, გომური—ყველაფერი ბოლში შთაინთქა. ხალხი დაფრთხა, აწიოკდა, ცარცვას თავი მიანება და წყალს ეცა. დოქებით და კოკებით

დარბოდნენ და ცეცხლის ზღვის ჩაქრობას ალგეთიდან ამოტანილ წვეთებით ლამობდნენ. მერე ქრობასაც თავი დაანებეს და გაშეშდნენ. ძველი ტასახლე ფიჩხივით იყო გამხმარი და ზვინივით იწოდა. ხის სვეტები ვეება კელაპტრებს ჰგავდა ხოლო მოაჯირი ცეცხლის ქარგას ემზგავსებოდა. საიდგანღაც ყრუ წივილ-ყვირილი ისმოდა, მაგრამ ყური არავინ არ ათხოვა, რადგან ირგვლივ იმგვარივე ჟრიამული და ყაყანი იდგა.

— თავს უშველოთ, თორემ ჩვენ დაგვაბრალებენ.—დაიძახა ვიღაცამ და მარაბდას შიშის ზარი დაეცა. ეხლა გლეხები ისე გარბოდნენ, თითქოს მაიორი მისდევდათო. ზაალის ეზო უმალვე დაცალიერდა. მხოლოდ რაზმელები დარჩნენ. ისინიც ჩოჩქოლში იყვნენ: ერთმანეთს ეძებდნენ, იბარგებოდნენ და ყვიროდნენ. ბოლოს კარპიჩა დალი ჰასანი და მეშთაც მოცვივდნენ. ლაცაბიძე ისევ ბელადობდა:

— აჰკიდეთ! დაუძახეთ! შესხედით!

— ეხლა საით?—უცებ ჰკითხა მაგდანამ შავწვერას.

— როგორ თუ საით?—გაოცდა სევასტი.—ტყისკენ!

— შულავერი?—გაახსენა ქვრივმა.

— შულავერი?—და ლაცაბიძემ ძლივს მოიგონა—დანაპირები. რა დროს შულავერია, დედაკაცო? ვერა ხედავ რა ამბავია? სეხნიას დარაჯი გამოუშვებს მეთქი, მეტი რა გინდა! დათუნამ გზა იცის და წამოიყვანს.

ზაალის ჯალაბი იწვის.—გააწყვეტინა როსტომმა და ცხენიდან ჩამოხტა.—აბა, ბიჭებო, გამოუშვათ!

— არ გაჰბედოთ! რა თქვენი საქმია!—გადასძახა რაზმელებს გააფრთგბულმა ქვრივმა.

— მეტიჩარები ნუ ხართ!—დაუმატა სევასტიმ.

— არა გვცალიან! ავჩქარდეთ! წავიდეთ!—ააჩქარეს სხვებიც კარპიჩამ, ჰსანამ და მეშთამ.

როსტომს სულხანი, დათუნა, ბაღო და ქავთარი მიჰყვიენ, მაგრამ კართან მისვლა შეუძლებელი იყო. მათ წინაშე ქვემო აივანი იწოდა და საცაა ზემოც უნდა ჩამონგრეულიყო. გარდა ამისა, კარს ვეება ბოქლონი ედო და გასაღები ვეღარ ეპოვათ. მაშინ რაზმელებმა სახლის კუთხეს შემოურბინეს და იმ ოთახს მეორე მხრიდან მიადგნენ. აქეთ მას ერთი მცირე სარკმელი ჰქონდა, რომელიც სამი თითის სისხო რკინით იყო შეხლართული, დამწყვდეულები ამ სარკმელებს მოსდგომოდნენ, ანჯღრევდნენ, და ჰკიოდნენ:

— გვიშველეთ!

ვიღაცამ მუხის მარგილი მოარბენინა და გაუყარა. მიესივნენ და დააწვნენ, მაგრამ მარგილი გადაუტყდათ და რკინის ლანძვი მაინც ვერ გაღუნეს. მეორე მარგილიც გადაამტვრიეს, იმედი გადაუწყდათ, შესდგნენ და ხელები მათრახებივით ჩამოუშვეს.

კალოებზე ცეცხლის რვა ენა ცას სწვდებოდა და სიმაღლით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ბეღელი უკვე ჩაწვა. საქონელი ბღავილით დაიფანტა, ხოლო მათი გომური და საჯინიბო თითქმის ერთად ჩაინგრა. მხოლოდ სახლი ღა იდგა ცალ ფეხზე, რადგან კრამიტი ალს შვებას არ აძლევდა და შიგნითვე

ატრიალებდა. ნიავი მობრუნდა და ეზო სიცხით და ბოლით გასტენა. ხოლო ძველი მუხის ტკაცუნი და ჭახუნი გაღმა ქოტისშიც კი ისმოდა.

— წავიდეთ! აჩქარდით! მივდივართ!—ერთხელ კიდევ მიაძახა იმედმიხდილ რაზმელებს ლაცაბიძის ჯგუფმა და ეზოდან დიდ გზაზე გავიდა. გავიდა და ერთ მხედარს წააწყდა, რომელიც ქაფში გავსებულ ლურჯას ჭენებით მოაქანებდა.

— არსენა მოდის! არსენა მოვიდა!—შესძახეს მათ უცბად და ისე დაუთმეს გზა და ისე დაფრთხნენ, თითქო მაიორის ზარბაზანს წააწყდნენო.

— სევასტი, შენი ნახელავი შორიდანვე ვიცანი!—მიაძახა გაოცებულ მეგობარს ოძელაშვილმა და ცხენი ჭიშკარში შეაგდო.—როსტომ, შენც აქა ხარ? მალე სთქვი რა მოხდა?

— ზაალის ჯალაბობა იწვის და ვერა ვშველით,— მიუგეს აქეთ-იქედან და ხელები სასახლისკენ გაიშვირეს.—კარი დაკეტილია, გასაღები დაიკარგა და ვერც რკინის ფანჯარა შევამტრიეთ. ჩქარა გვითხარი როგორ მოვიქცეთ?

— გვიშველე-ე-ე-ეთ!—განუწყვეტლივ ისმოდა კივილი ალმოდებულ ჯურღმულიდან,—წყალი და ნაბადი.—დაიძახა ოძელაშვილმა და ცხენიდან ჩამოხტა —ოსტაპ, მიშველე!

და საძნე ურემს ეცა, ორ წუთში დაშალეს, ვეება ხელნა მოაძვრეს, გააქანეს, კარს დაატაკეს და ერთი წამით თვითონაც ბოლსა და ალში გაეხვივნენ მერე ისევ გააქანეს და მესამეჯერ რომ დააჯახეს, კარი ჩარჩოს მოძვრა და შიგნით გადავარდა. არსენამ ნაბადი მოისხა, თავი და პირისახე ყაბალახით აიხვია, იქვე ჩაკუნტდა და—

— დამასხით!—მიაძახა·

სანამ ოძელაშვილი წყალში ლბებოდა, დავითმა კვამლი გამოარღვია, თავისი ცოლი გამოიტაცა და უკანვე შევარდა. რაზმელებმა სნეული კნეინა ტასო ასწიეს და განზე მიაწვინეს.

დავითს ხელცარიელი მოურავი ფირუზა მოჰყვა. რომელმაც მხოლოდ თავის-თავს უშველა. მერე კვამლში ზაალიც გამოჩნდა. „ვეჟო, მიშველეთ!“ —დაიძახა და უკანვე შებრუნდა. ბატონს ნაბადში გახვეული არსენა მიჰყვა და თითქმის მაშინვე უკან გამოვარდა. გამოვარდა და გულწასული კნეინა ჩორეშანი გამოიტაცა.

— ეს კნეინა აქაურობას მოაშორეთ! მიაძახა მან რაზმელებს, და დედაბერი მიწაზე მიასვენა, შემდეგ თავი დაჰღუნა და ისევ ბოლში მიიმალა. განზე გამდგარი სევასტელები ისევ ეზოში შემობრუნდნენ და ერთმანეთს ისე შეყურებდენ, თითქოს რაღაცას ეკითხებოდენ.

— რას დაგიკრეფიათ გულზე ხელები!—უცებ შეუტია თავისიანებს მაგდანამ და ხორეშანის მოსულიერებას შეუდგა.

თავდაღუნული მეშთა გაგიჟებულ მოზვერივით დაეტაკა ბოლის ღრუბელს. როსტომმა წყალი გადაივლო და ისევე დინჯად შეალაჯა ალში, თითქო სტუმრად შედიოდაო. სულხანმა ფიქრიას გადაჰხედა და მის მოლრუბლულ თვალებს რომ წააწყდა. ისიც უმალვე მოსხლტა და კვამლში გაეხვია. ფიქრიამ ეხლ-

დათუნას შეჰხედა და უსიტყვოდ ჰკითხა, შენ რაღას გაჩერებულხარ? ბარნაველმა ისე მოაშორა მას თვალები, თითქოს ამშობდა, „სულ ერთია“.

სხვებზე ადრე კვამლიდან მეშთა გამოჩნდა. ხელებზე ვილაც ესვენა და მძიმედ მოალაჯებდა. უცებ დაჰხედა, გიგოლა იცნო, უწმნდირივით დააგდო და აილმიჯა:

— ეს ვინ ოხერი გადაგარჩინე?! ფუჰ!—წამოიძახა და გულიანად გადააფურთხა.

მეშთას როსტომი მოჰყვა. უგონო დავითი სავსე ტომარასავით მოეკიდნა და ეხლაც ისე არხეინად მოალაჯებდა, როგოც წელან შეალაჯა. სულხანიც ფეხდაფეხ მოჰყვა ჯორჯიაშვილს. მხოლოდ არსენა იგვიანებდა, რადგან მან ბოლით მიბნედილი პატიმრები თავის მეგობრებს გაუნაწილა, თავისთვის კი ყველაზე მძიმე და უვნებლად გადარჩენილი ბატონი დაიტოვა, რომელიც ბალღივით ღრიალებდა:

— თავს შემოგევლე, არსენ! ოღონდ მიშველე და თუ გინდა ყმად დამიყენე!

— შენ ნამდვილ ყმებს მოუფონე. თორემ მე შენი ყმობა რად მინდა!—მიუგო არსენამ. მერე ნაბადი მოიხსნა, შიგ ზაალი გაახვია, კუნძივით აიგდო მხრებზე და გარეთ გამოაქცია. ბოლში რომ გაეხვია, თვალები დაჰხუჭა და შუბლი ალმოდებულ სვეტს დაატაკა. დაატაკა, წაიქცა და ბატონიც გაუგორდა. არსენა უმალვე წამოხტა. ზაალი ისევ შეახვია, მკერდზე მიიკრა და სამშვიდობოს გამოვარდა.

— უუჰ, მადლობა უფალსა!—შვებით ამოისუნთქეს რაზმელებმა და ორივეს შემოეხვივნენ.

არსენა მიწაზე იჯდა და დამწვარ ხელებს დამწვარ თავ-პირზე ისვამდა. წარბები და წამწამები სულ აღარ ჰქონდა, ბაჯაღლო ულვაშებიც გაუნახევრდა, სუფთა სახე შეეტრუსა და ქოჩორზედაც ბოლი ასდიოდა.

„ალბათ ეს იქნება, თათარმა რომ მიმკითხავა, პირიდან ბოლი ამოგივაო“ გაიფიქრა არსენამ და თმები ძლივს ჩაიქრო.

ნაბდიდან გამომძვრალმა ზაალმა თვალები მოიფშნიტა და ისე შეათვალიერა ყველანი, თითქო ძილში მაჯლაჯუნა აწვა და ეს-არის ეხლა გაიღვიძაო. შემდეგ ხელები გაასავსავა და ტყის ძმებს მტირალი ხმით შესჩივლა:

— ვეჟო, ასეთი ამბავი გაგონილა?!

ლაცაბიძე ჩამოხჩობილივით იღიმება და ცოცხის-ოდენა წვერს ყველა თითებით ივარცხნის. შეტრუსულ მეგობრებსაც—სულხანს,მეშთას და როსტომს თავიანთი ტკივილი დაუვიწყიათ და რაღაც სასწაულით გამოჩენილ ბელადს გულჩვილად ეკითხებიან:

— არსენ, ძალიან გეწვის? ძლიერ დაიწვი?

მაგდანას და ფიქრიას რაღაც მალამო უშოვნიათ და დამწვრებს უსვამენ. ზურა თითქმის სტირის, ოსტაპი კი კარპიჩას ჩასცივებია:

— ხაი ტობე ბის! სულ შენი ბრალია! ცეცხლი შენ მოუკიდე და გამოტყდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დზმებო, ეს კაცი გააჩუმეთ, რა ჩემი ბრალია?—იძახის ხაბაზი და ოსტაპს კოჭლობით ემალება.

ბაღო მეშთას აბრალებს და მეშთას დალი ჰასანზე გადააქვს. სიმონა ქვიშხელი არსენას შორს სადღაც, ჩამორჩა. ოფლით გაწურული ცხენი ეხლა-ღა შემოაგდო ეზოში და გაშეშდა—ჩამოხტომაც კი დაავიწყდა.

— როგორა ხარ, შვილო?—ჰკითხა ღვთისავარმა და დაიღუნა.

— შვილო!.. არსენ!—ატირდა მელანო და მოეხვია.

— ნუ სწუხარ: დედი არა მიშავს-რა,—და ქალაქიდან დედის საკოცნელად წამოსულმა არსენამ აცრემლებული მელანო ბალიშის-ოდენა მკერდზე მიიხუტა.

სხვებზე ადრე გიგოლა მოსულიერდა. რაზმელები რომ დაინახა. ფითრივით გამწვანდა და ოთხით გაცოცდა ქურდივით. მერე წამოხტა, ბარბაცით გაიქცა და მესერში გაძვრა. მას არავინ არ დაედევნა, რადგან მისთვის აღარ ეცალათ. დავითიც გონს მოსულიყო და მთვრალივით დაბორიალობდა. კნეინა ხორეშანი თითქო საფლავიდან წამომჯდარიყო, ჩონჩხის ხელები ზევით აეწია და ძლივს აცმაცუნებდა პირს. მერე ხმა იპოვა და ხრიწინით ამოიჩივჩივა:

— ბიჭო არსენ, დამიწყევლიხარ. ზევით ჯოჯოხეთმაც არ მიგიღოს და ქვევით ადამიანმა შეგაჩვენოს, ღმერთმა შენი გვარი ძირიანად ამოსთხაროს და შენს დანახვაზე გველმაც კი გადააფურთხოს.

— ნუ იცკივლები, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ!—მიაძახა კარპიჩამ და იმ მოჩვენებისკენ გაალაჯა.

არსენამ ხელი სტაცა და უკანვე მოატრიალა. მთელი ეზო გაინაბა. მხოლოდ ცეცხლის გიზგიზი და დედაბრის შავი ჩიფჩიფილა ისმოდა.

— ბიჭო არსენ, ყველა წმინდა გაგიწყრეს, ყველა ხატმა შეგრისხოს და შენი სახელი ძაღლისთვისაც კი სასაქმებელად გადაიქცეს. აგერიოს გზა-კვალი. როგორც შენ არიე აქაურობა; დღე დაგიბნელდეს და ღამეც არ გაგითენდეს; ფეხქვეშ მიწა გაგისკდეს, თავზე ცა ჩამოგენგრეს, ლუკმა ქვად მოგეჩვენოს და წყალი შხამათ შეგერგოს; კვდებოდე და არ მოკვდე, ცოცხლობდე და არ იცოცხლო, სუნთქავდე და იხრჩობოდე, სჭამდე და გშიოდეს, სვამდე და გწყუროდეს, მუდამ ცოცხლობდე და მაინც მარად სიკვდილს ნატრობდე. ბიჭო არსენ, საითაც მიიხედო, მტერს წააწყდე, გასასროლი თოფი ხელში გაგისკდეს და მოქნეული ხმალი ვადაში გადაგიტყდეს. ოძელაშვილო, დაწყევლილი ხარ! რაც ვითხარი ყველაფერი შეგისრულდეს და აგრე ივლიდე უკინითი უკუნისამდე, ამინ!

და სამჯერ ამოიჩხავლა დატეპნილი „ამინ“.

— შენვე დაგიბრუნდეს, შენვე, ამინ!—ჩაილაპარაკეს აქეთ-იქით! შეჩვენებული არსენა კი დაღონებული იდგა და წყენით ეკითხებოდა თავის მშობლებს:

— ეს დედაბერი რას მერჩის? რა დაუშავე? აქაურობის აკლებასაც მე მაბრალებენ? ან იქნება ის დავაშავე, რომ გველთა ბუდე აქამდე არ გავანადგურე და მათი თავი ეს-არის ეხლაც ცეცხლს გამოვტაცე? გამაგებინეთ, საიმისო რა დაუშავე, რომ ასე უღვთოდ დამწყევლა?

— ნუ შეშინდები, არსენ.—ანუგეშეს ტყის ძმებმა და მშობლებმა,—აგცდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ იცოდა, რომ ამ საქმეში არ ერია. გაიგებს და მოგხსნის.

— დროა წავიდეთ, თორემ ფათრაკძი წაგვეკიდება.

— დროა, დრო—ამბობდნენ რაზმელები და გულისტკივილით შესცქეროდნენ თავიანთ ბელადს იმის გამო, რომ ის მხოლოდ თავის მშობლებს ელაპარაკებოდა და მათ კი ჯერჯერობით ერთი სიტყვაც არ უთხრა.

მართლა წასვლის დრო იყო, ცეცხლის ალს ირგვლივ ყველა სოფელში, კოდაზე და მარნეულშიაც კი შენიშნავდენ და საცაა მოსაშველებლად ამოვიდოდენ.

— სავიდეტ, კაცო!—მოაგონა არსენას კარპიჩამაც.—ცაგვიკვანე, რაგას უცდი?

ოძელაშვილმა კოჭლი ძმა შეათვალიერა, არც კი გაუღიმა და წყნარად უთხრა:

— წასვლას ვინ გიშლის? ვინც მოგიყვანათ, ისევ იმან წაგიყვანოსთ.—და თავის ძმას მიუბრუნდა:— ერეკლევ ჩქარა მუხათში აირბინე და რაც ბაჯიაშვილს დამწვარის წამალი ჰქონდეს, გამოართვი და ენაგეთში დაგვეწიე.

თავჩაღუნულმა ლაცაბიძემ უსიტყვოთ გასწია ჭიშკრისაკენ, მისი ჯგუფიც უსიტყვოდ აედევნა. მხოლოდ არსენას ერთგულები არ იძროდნენ ალაგიდან და მათ შორის შავი ქვრივიც ერია. მარაბდელმა იყუჩა და მერე იქ-დარჩენილებს შეუტია:

— თქვენ რაღას მომჩერებიხართ! თქვენც გასწით! მომშორდით!—და როცა ისინიც ზანტი ბატებივით გაჩანჩალდნენ, არსენა დაღვრემილ ქვრივს მიუბრუნდა. რომელიც შავი ძეგლივით გახევებულიყო და მიწას მისჩერებოდა:

— შენ რაღა გინდა, ძალო?

მაგდანა მკლავზე მოეხვია. ჩუმი ხმით აქვითინდა და ჩოხის სახელო დაუსველა. არსენამ იმედმიხდილი ქვრივი მკერდზე მიიკრა, დამწვარის ხელებით მხრებზე მოუალერსა და უთხრა:

— მესმის. გავიგე. ველარ მოითმინე, განა! საქმე თქვენვე გააფუჭეთ და ველარ გამოსწორდების. აქაურობას ერთხელ კიდევ აიკლებენ. დათუნავ, შენც თავს უშველე. მამა, დედილო, თქვენც მოშორდით აქაურობას. ბევრი მოკეთე გყავთ და თავი შეაფარეთ.

— არა, შვილო, ჩვენი სამარე აქ არის და აქვე დავიხოცებით.—ცრემლნარევი ხმით მიუგო ღვთასავარმა და მელანომაც დაუმოწმა.

— სანამ მამა ციხეში მყავს, სად წამესვლების?— დაურთო დათუნამაც.

— თქვენი საქმე თქვენ უკეთ გეცოდინებათ.—მიუგო არსენამ.— ძალო, მაგდან, შენც წადი და მეც დაგეწევი.

და უცებ შენიშნა, რომ მისი დროშა ჭანდრის ქვეშ დაჰვიწყებოდათ. შენიშნა და მწარედ გაიღიმა.

შეფიცულთა რაზმი წეღან ალგეთის ჭალიდან გამარჯვებულ კიჟინით ამოცვივდა, ეხლა კი დამარცხებულივით მიიზლაზნებოდა და ცალი თვალი უკანვე ეჭირა, რადგან იგი უბელადოთ დარჩა: ახალი აღარ ბელადობდა და ძველიც განზე გადგა.

წისქვილთან რომ მივიდნენ, შესდგნენ, მოუბრუნდნენ და გზას თვალი ვეღარ მოაშორეს: არსენა ისევ თავისიანად ეგულებოდათ და მას ელოდებოდნენ მაგდანა რომ დაეწია მათ, ცოცხალ ლარში თავით-ბოლომდე სასიხარულო ჩურჩული გავარდა:

— წამოვა... მოდის... წამოგვყვება.

არსენა და მისი ლურჯაც ისე მოდიოდნენ თითქო მსუბუქი დროშის მაგიერ ზურგზე ზაალის დამწვარი სახლი ეკიდათო. მარაბდელს უწარბო შუბლი შეკრული ჰქონდა და ზედ ჭმუნვა ღარებივით ეყარა.

— რას გაჩუმებულხართ·—ერთხელ კიდევ შესძახა შორიდან ოძელაშვილმა უჩემოდ ამოდენა გმირობა ჩაიდინეთ და გამარჯვებამ ისე როგორ დაგამჭიმათ, რომ ალაგიდანაც ვეღარ დაძრულხათ? კნეინის ჩვრები მოგიტაცნიათ და დროშა კი დაგვიწყებიათ, ფუჰ თქვენს ვაჟკაცობას!

სირცხვილით ალანძული რაზმი უნდილად დაიძრა, არსენა კი ასიოდე ადლით ჩამორჩა და აღარ დაეწია, რადგან იმ დღიდან მარტო დარჩა და ჰსურდა ისევ მარტო დარჩენილიყო.

(შემდეგი იქნება)

42

ი. მიკიტენკო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძმეგი.

სიკვდილის წინ ბებერი სახნო შვილებს ეუბნებოდა:

— ყველაფერი ძნელი შეიქნა, შვილებო, მიწით თავის რჩენაც და ფულის შოვნაც. გაძნელდა საქმე, აი რაცა მაქვს წაიღეთ და თქვენ იცით რასაც შემატებთ. მიწა ხომ ბატონების კლანჭებშია. სანამ ერთ მტკაველს გამოგლეჯ, ზედ უნდა მთელი ძალღონე შეალიო... მაგრამ თუ ერთად იცხოვრებთ ლუკმა პური გექნებათ. ხელოსნობას ნუ მიეტმასნებით, ხელოსანი და მუშა სულ ერთია—მჩალტე ხალხია. დღეს არის და ხვალ მის კვალსაც ველარ ნახავ. ჯანდაბას! იმათაც ნუ აყვებით ქარხნებში და შაქრის წარმოებაში რომ მიდიან ისინიც იოლ ლუკმას ეძებენ და თან ჰყვებიან. აქ კი, მიწაზე ბევრი სიმწარე და ტანჯვაა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ღვთის წყალობითო რომ იტყვიან, არა გიშავთ ცოტა ჭირნახული თუ გეგულებათ შინ. ბევრი გადამხდა ჩემს დღეში. თქვენც ეს მოგელის. ნუ მიატოვებთ მიწას, რაც უნდა მწირი და მცირე არ იქნეს.

სამი შვილი, როგორც სამი მუხა იდგენ მამის წინ. სამი შვილი ერთი მეორეზე მხოლოდ თითო წლით უფროსი: პროხორი იყო თვრამეტის, სიმონი—ცხრამეტის და ნიკანორი—ოცის. ამას უკვე, როგორც ოდესღაც მამას შავი ულვაში აშლოდა.

იდგნენ და თვითეულის გონება თავთავის ფიქრში წასულიყო. მაგრამ აი ნიკანორმა სამჯერ პირჯვარი გადაისახა და მამის სარეცელისაკენ მიმართვით წარმოსთქვა:

— როგორც ჩვენი მამები ცხოვრობდენ, საუკუნო იყოს მათი ხსენება, ჩვენც ისე ვიცხოვრებთ, თუ იმათ ჩააგონა ღმერთმა ჭკუა-გონება, ჩვენც არ მოგვაკლებს. მიწის რომ ვთქვათ, ცოტაა თუ ბევრი, თუ მიხედავ—არც ის დაგივიწყებს. ღარიბი კი ვართ, მაგრამ პატიოსანი გვარისა ვართ. როგორც ღვთის ნება იყოს, ისე მშვიდობით სული მიაბარე, მამავ, მე ყველაფერს ავასრულებ თქვენი სიტყვის თანახმად. მშვიდობით განისვენე.

მოკვდა სახნო. დარჩა შვილები, ყველა თავის გზას ეწია და ის სიტყვებიც დავიწყებას მიეცა.

ოჯახი დიდია, ნიკანორმა ცოლი შეირთო. მამის მაგიერ ოჯახს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, ლანძღვა-გინების და წვალების გარდა. საქმეს ცეცხლივით ედებოდენ, რა გაუმაგრდებოდა ამდენ ძალას: სამ პაწაწინა

[1]) ი. მ ი კ ი ტ ე ნ კ ო არის უკრაინელი პროლეტარული მწერალი.

მიწის ნაჭერზე ბელტიც კი არ დარჩებოდა ხელშეუვლებელი და პირწმინდათ გადაუმუშავებელი. მთელ მამულს გაცრიდენ და შემოდგომაზე ან ნამთარში ხორბალი სათითაოდ რომ დაეთვალათ და გამოერწყოთ, სამარხვო ზეთის საყიდელი ფულიც კი აღარ რჩებოდათ. მარხვა რომ მოაწევდა, პური უკვე სასესხებელი ჰქონდათ და მასაც მუშა ხელით დახმარების სანაცვლოდ იძლეოდენ.

ნიკანორი სულ იმის ფიქრში იყო:

„რა უყოთ! მარტო ჩვენ თავზე ხომ არაა—ასე წვალობს ყველა და ბოლოს დოვლათს იძენენ. ჩვენ სხვაზე ნაკლები რითი ვართ: ვიშოვით და მოვიპოვებთო“.

სიმონს არა ერთხელ უთქვამს მისთვის:

— ჩვენი საშველი არაა. შემოდგომის ბუზიკით დავიღუპებით, ათი ათასი მიწა მარტო ვარუნის ხელშია, ჩვენ კი მთელ სოფელს, ხუთას კომლს ორჯერ ნაკლები გვიჭირავს. როგორ გინდა წინ წასვლა?

სიმონმა ლოთობა დაიწყო.

ყველაზე უმცროსმა, პროხორმა დაჰყო ოჯახში ერთ წლამდე და მერე მემამულესთან ქირაში დადგა. რასაც იშოვის—სახლში მოაქვს, მაგრამ როგორც ზღვაში წვეთი ისე იკარგება მისი შემოტანილი.

ეხლა კიდევ სიმონმაც ცოლი შეირთო. აღარ ისურვა პროხორმა თავის ნაშოვნის გაყოფა: ერთად იცხოვრო და გასაყოფიც არაფერი გქონდეს. მარტო მიწის ცრა და თავზე ტრიალი.

ასე ცხოვრობდენ. ნიკანორი უფრო შავდებოდა, თმებით იმოსებოდა და შეძლებულებისაკენ ეჭირა თვალი, სიმონი სვამდა და პროხორმა კი ჯანყი ჩამოაგდო. მემამულესთან რომ სამსახური გაათავა, ტანის შესამოსი ფულიც კი აღარ გამოჰყვა, რა ცხოვრებაა ეს? და ასე მთელი წუთისოფელი? რომ დღის სინათლე ვერ დაინახო?როდის უნდა ამოითქვა სული?

მშვენიერი ბიჭი დადგა, აიყარა ვაჟკაცი. თვალები გაბედული, ჯანყივით მიყრილი ღამესავით შავი თმა, ხელებში იმოდენი ძალა—საშინელია სწორედ, მაგიდაზე რომ ხელს დაარტყამს—მთელი ქოხი ზანზარებს. მხოლოდ მხიარული ვერაა, სულ ფიქრშია წასული. ამას გარდა რაღაცა წიგნიც უშოვია და სულ იმალება მის საკითხავად. ნიკანორს მაზე გული გაუტყდა.

— შემომხედე ერთი!— დაუძახებდა ნიკანორი.

ის კი გადახედავდა და გიყურებო—თითქოს ამბობდა.

საკვირველად გამოიცვალა. ერთხელ მუშაობიდან მოდიოდენ: მოწვიმა, მიდორი დაილამა, გზებში წყალი ჩაგუბდა. ჯვარის ქვეშ შეჩერდა, თამბაქოს გასაწყობად. თითები არ ემორჩილებოდა, ვერ გახვია ციგარკა, ამ დროს მემამულის ავტომობილმაც გამოიქროლა, დაიგრიალა და ბორბლებიდან გადმოსროლილმა ტალახმა მთლად გათხუპნა. ხელები, სახე, თვალებიც კი დაუფარა. მანქანა გაფრინდა—მხოლოდ ლურჯი კვამლი დარჩა გზაზე. ნიკანორი ხომ სულ გაუღიმარი კაცია, მაგრამ მასაც ტუჩზე ღიმილი აუთამაშდა, ჩაიცინა ულვაშ ქვეშ. პირი რომ დაგიღია, ვერ უტიეო. თავს უნდა გაუფრთხილდე, იმათი რა ბრალია, როცა მანქანა გაშმაგებული გარბის. პროხორი რამდენიმე წუთს გაქვავებულივით იდგა, ტალახით შეთხიპნული, და არ იძროდა: მხოლოდ ციგარკა კი გააგდო ხე-

ლიდან, ლაფისაგან დამალული იგი არც ვარგოდა. კრიჭა შეკრული უსიტყვოდ იდგა და გაჰყურებდა ავტომობილის კვალს. უცნაურის და იდუმალის ცეცხლით აენთენ თვალები. საფეთქელზე ძარღვები დასჭიმოდა: თითქო უნდა უკან დაედევნოს, დაამსხვრიოს მაშინა და მგზავრები კი ჭაობში გადაჰყაროსო... მაგრამ აი სახე მოიწმინდა და შიშველი გატალახიანებული ფეხებით ლაფიან გზას გაჰყვა.

ამის შემდეგ მას დიდხანს ხმა არ გაუცია ნიკანორისათვის, თითქო ის რამეში დამნაშავე ყოფილიყოს.

და აი ერთხელ, შემოდგომის მიწურულში, როდესაც სოფლის შარებში ცხენოსანი კაზაკები დადიოდენ და სინათლის ანთება აკრძალული იყო, იგი მეტად მოუსვენარი გახდა. გავა ჭიშკრის გარედ, გაჩერდება... არავის ხმას არ სცემს. მოღუშულ სიშორეს თავზე გადადის საბედისწერო ღრუბელი, თითქო სადღაც საშინელი ხანძარია და მძიმე რუხვი ნისლი დასწოლია დედამიწას.

—ნიკანორ, არ შემიძლია,—უთხრა ძმას.—შენ როგორც გიდნა და მე კი აღარ შემიძლია.

— რა იყო, რა არ შეგიძლია? შენსას რას გაიგებ.

— მაწვება რაღაც. მაწვალებს... მართალი სთქვა იმ კაცმა, ჩვენსას რომ ღამე გაათია: ხალხს დაახრჩობენ, სულ ერთიანად დაახრჩობენ. წავალ, გადავიჩეხები საითაც იქნება. იქნება უკეთესს წავაწყდე.

— ქარხანაში თუ საით?—დაცინვის კილოთი ჰკითხა მაშინ ნიკანორმა. მოაგონა მამის ნათქვამი.

— ეხლა,— უპასუხა პროხორმა,—რა გიყო, ნიკანორ, რომ არ გესმის. მამაო რომ სთქვი? ის მიწაშია. ცხოვრებას რა უყოთ? იგი მამას არაფერს აღარ თხოვს, ჩვენ გვიყენებს საკითხს. აი შენ შეძლებულებს შეჰყურებ და თითონ კი მთხოველ გლახასავით ჩაძაღლდები და შეძლებას კი ვერასოდეს ვერ მოესწრები. ბოლოს ისევ იმათ დაუდგები ქირაში. და მე კი ეს არ მინდა, წყეულიც იყოს ისინი! ის მიჯობს სადმე წავიდე, სადაც მეტი სინათლეა. აქ კი ტყუილ უბრალოდ წახდები კაცი. არ ვიცი, იქნებ ქარხანაშიაც დავდგე. არაფერი არ ვიცი... ჩვენ რომ იმ დღეს ურმით ქალაქში ვიყავით, იცი უცნაური ამბავი მოხდა. ყური მიგდე. ვწევართ ურმის ქვეშ. ცხენები ფრუტუნებენ, ტომრიდან ტუჩით ქერს ატრიალებენ. როგორც სჩვევიათ. სულ პატარაობიდან მახსოვს. მაშ ასე, შენ გძინავს და მე კი თამბაქოს ვეწევი. ის იყო თენდებოდა. მთელი ქალაქი ნისლშია, ციხის იქით კი ცას წითელი ფერი გადაკვრია. ვწევარ, ვაბოლებ და უეცრად საყვირმა დაიგუგუნმა, მერე მეორემ, მესამემ. საყვირი საყვირზე. თითქო, იცი, ვიღაც იმღერის, თანაც ისეთი ხმით, რომ ქოხი კანკალებს და აი სადაცაა ჭერი უნდა ჩამოვარდეს. ცა სწორედ ასე კანკალებდა. არ ვიცი რა მომივიდა. თითქოს ვიღამაც გამთვალა. მას აქეთ სულ ის გუგუნი მესმის.

ნიკანორი მოიღუშა, ფართე ბეჭები გაისწორა.

— რა იყო, საყვირი დაუკრავთ, სამუშაოზე გასაწვევად. მორჩა და გათავდა.

— ჰო, ჰო, სამუშაოზე. და აი ვწევარ, ფიჯაკი მეწვის, ცეცხლი მოხვედრია, მე კი ვერაფერს ვგრძნობ. ჩვენთან, ვფიქრობდი, განთიადზე მამალი ხმას მისცემს: კუ-კუ-რ-ე-კუ... გამოვა კაცი ეზოში, თავს მოიფხანს. ბნელა. ძაღლები წაწკანებენ. ამას გარდა, იძახიან, კიდევ კაზაკები უნდა მოყარონო. მემამულესთან ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალლური ცხოვრებაა. ვერსად ვერ დაიმალები, გინდა რომ მგელივით ღმუილი დაიწყო.

— ჰო და მერე რაო?—ყრუთ იკითხა ნიკანორმა.

— ავდექი, ცხენებს საცოხნელი მიუმატე. არსაით სიცოცხლის ნიშანი არ სჩანს. მე კი გული მერჩის. გუგუნებს და გუგუნებს.

— გეძახის არა?

— ჰო, მეძახის და როგორ მეძახის. უბრალოდ კი არ მეძახის, არა! ისე მეძახის, თითქო გულში მიჯდეს რაღაც და მეწეოდეს, სისხლს მწოვდეს. ვდგევარ და სისხლს თავში დაგადუგი გააქვს. საკვირველია! მოვსხლტი ადგილიდან და გავსწიე. მივირბინე ქარხანასთან, დავდექი შენობებთან და ვხედავ—ისინი ჭისკარში შედიან... შედიან კი არა, შავი ნიაღვარივით ცურდებიან შიგ. ვერ გააჩერებ, ვერ დააკავებ. ვერავითარი ძალით. ბნელა, დილა გაცრეცილა რუხვად ირგვლივ ქარხნის შავი, მაღალი შენობებია. მუშებს სანათურები აქვთ ხელში. ციგარკებს უკანასკნელად აბოლებენ, იქვე ჭისკართან ფეხით მიასრესენ და შედიან, შედიან განუწყვეტლივ... მარტო ქუდების მოძრაობაა, მხოლოდ ხანდახან რომელიმე თუ დაიგინებს. თვალები კი ბრწყინავენ, ათასობით, თითქოს სულ სილრმემდე გბურღავენ. გეგონება, დედამიწას გადაივლიან, მოსრესენ, რკინებით ჩაქოლავენ.

— ვის?

— ვის? საქმეც მაგაშია... ეს იმათ ჰკითხე. ალბათ იციან ვის. გავჩერდი სანამ ჩათავდენ. მესმის ამოძრავდა შენობები, ახმაურდა. ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთია ნამდვილი, მაგრამ რომ ველარ ვსცილდები. მცველი მომადგა. „როგორ სარივით დასობილხარ აქ, წადი, გაიარე, ძამია, თუ ნაწილში არ გინდა ამოყო თავი. მოსვენება აღარაა, დაეთრევით აქო“, თითქო სიზმრისაგან გამომარკვია. ქალაქის ქუჩაზე მივაბიჯებ. ის იყო მზემ შემოაჭყიტა. გავიხედე—პატიმართა პარტიას ერეკებიან.

— რა შენი საქმეა. სჩანს დაუმსახურებიათ, თუ ერეკებოდენ. დადექ მიწაზე, იშრომე პატიოსნად—არავინ არ აგერეკება.

— არ აგერეკება, მაგრამ მიწაში ჩაგრეკავს. ამას კარგად ვხედავ. შენ ხომ ძმა ხარ, მაგრამ სული მშრალი გაქვს. ქვის ხომ არაა, თუ იცი? ღატაკი ხარ, კანი კი მუხასავით მაგარი გაქვს! ჰო, და იმუშავე იმათთვის, რამდენიც გენებოს!

— ვისთვის? მე ჩემთვის ვმუშაობ. რასაც ვიშოვი ის მექნება. ვიცი რომ ჩემია, ჩემი ნაოფლარი, ტყუილა მოცემული არაა.

ამაზე კი პროხორმა არაფერი არ უპასუხა. ხელი ჩააქნია და მოცილდა.

ამოაძრო ღობიდან ჯოხი, ჩაიდო ჯიბეში პურის ნატეხი, ერთი პუჭა მახორკა და წავიდა.

საით გასწია, რა გზით? ვინ იცის.

გადმოდგა დილას ნიკანორი, გადასძახა გარემოს:

— პროხორ!

ის კი აღარ იყო.

„ბოლოს მაინც იოლი პურის ჭამა არჩია,—გაიფიქრა ნიკანორმა.—ჰო, და წადი და აღარ დაბრუნდე, შე არამზადა, თუ იმას ფიქრობ, რომ მე ქვის გულის, პატრონი ვარ. შეხედე გლეხად ყოფნა მოსწყინდა!“

ყველაზე უფრო აწუხებდა ნიკანორს ის, რომ პროხორი ქალაქმა დასძლია. დროებით ისევ მოჯამაგირედ მაინც დამდგარიყო, სადმე მიწის ნაგავად ყოფილიყო. იქნება როგორმე ერთი დესეტინის ფული მაინც შეეგროვებინათ. და რახან ქალაქში მოხვდა, დაივიწყა მიწის სურნელება, პურის დაპურება, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ყველაფერი დაივიწყა: სახლი და თავისიანები. გაითქვიფა ქალაქის იმ ფეხშემოდგმულ ბატონთა შორის, რომელნიც მხოლოდ იმას შესცქერიან თუ სად და რა წაგლიჯონ, მხოლოდ იმის მოლოდინში არიან, რომ გლეხი თავის ოფლით და ტანჯვით მონაგარ პურს ჩაუტანს... ქარხანას მიაშურა, მუქთახორობა შეშურდა, თითქო მამაპაპასაც ეს წმინდა მიწა კი არ უხნავთ, დუქან-დუქან თეფშებს ლოკავდენ და ქარხნებიდან უზრუნველი ლუკმა მოდიოდათ. განა იქაური მუშაობა მუშაობაა? რახუნობენ, რაკუნობენ და თითქო დიდი რამ გააკეთესო—პურს მოითხოვენ.

ნიკანორს ჭირივით სძაგდა ქალაქის მცხოვრები. ყველა ისინი მისთვის ერთნაირი იყვენ, ყველა ბატონია, უცხო, გამოპრანჭულები, მატყუარა.

პროხორის შესახებ კი არსაიდან ბუსუნი არ ისმოდა. რამოდენიმე წლის შემდეგ რაღაც ყრუ ამბავი მოვიდა, რომ არეულობა და ბუნტი ჩამოვარდაო. არა ერთ და ორ მოუსვენარს უკრეს თავი ციხეშიო. სადღაც და როგორღაც ამათში პროხორიც მომხვდარა... არა უშავს, იჯდეს იქ, სახლს არ დაუბრუნდა—გზაც იქეთ ჰქონია.

ამ ამბების შემდეგ ნიკანორი სულ ერთიანად შავი წვერით გაიბანჯგვლა, კუზი ამოუვიდა, ხელებზე დიდი და მაგარი, ლობიოს ოდენა კოჟრები გაუჩნდა. ამ ხელებში ეჭირა მას ვინტოვკა და ეკონომიის დარბევის დროს მისი ერთი შემოქნევით ამსხვრევდა ფანჯრებს და მაგიდებს, ჩუმი გაბოროტებით, უსიტყოდ გულიანად. შემდეგ კი ასევე უსიტყვოდ სახნისს დაუბრუნდა, ჩასჭიდა მას მაგრად დაკოჟრებული ხელები და ხმის ამოუღებლივ დაიწყო ხვნა.

ცხრაასოცში, როდესაც სამხედრო რაზმებმა გადიგრიალეს, იმათთან ერთად სადღაც სიმონიც გადაიკარგა, თითქო დაუქრობელ ცეცხლის მგზავსად თვალწინ დაიწვა: წაიყვანა სადღაც ცხენი და გაჰქრა. ცოლიც მიატოვა: ,,აცმა არ იცის დაქვრივებულია ქალი თუ არა: ჯერჯერობით კი დაჯექი და მარტო ჰყარე ცრემლი. როდესაც ხალხი ცოტა მიწყნარდა, ნიკანორს სახლში მყოფელთა რიცხვის მიხედვით მიუზომეს მიწა.

ბევრი მჭამელი ჰყავს ნიკანორს ეხლა! დილით ალიონზე მუშაობას იწყებს და ყველაზე გვიან იძინებს. და ისევ ისე მოღუშულია. მაგრამ, როგორც ეტყობა, მას არა სწამს თავისი ძალა. ლაპარაკის დროს—ყველა ყურს უგდებს. რომელიღაც ყრილობაზეც აირჩიეს. წავიდა, იქაც გამოვიდა, მოუსმინეს. მაგრამ მაინც არ სჯერა.

„ჩვენ გლეხები ვართ, მორჩა და გათავდა,—ამბობს ის, ჩვენი სული მაგარია, იმათი კი, ალბათ, რბილი.“ და თითქოს ხმაც ჩაუწყდება. ქალაქი ისევ ძველებურად არ უყვარს, ეძაგება და არაფერი სწამს მისი. უზომო, რაღაც შავბნელ და ყრუ ტკივილს გრძნობს: სულ ერთნაირად გამსჭვალულია მითი, თითქო მწარე ოფლის ნაკადულში სწურავდეს მას. რევოლიუციამ ჩაიარა და ეხლა ასე და-

ეროვნული

დგა საქმე, მაგრამ როგორ და რა მოხდა—ამის გაგება ვერ შესძლო. მხოლოდ უფრო და უფრო ღიზიანობდა.

პროხორზე ბევრს ფიქრობს, მაგრამ არ ლაპარაკობს. ოჯახშიაც ასევე სიტყვას არვინ სძრავს. ნიკანორი ჩუმად იწვის: ვერ შერიგებია მდგომარეობას.

ასე მიდის მისი დღეები.

აი ყანიდან შინ დაბრუნდა. სდგას შუა ქოხში, ქუდი იქვე ჭერის საყრდენ შუა ბოძზე დაკიდა. წარბები მწყრალად დაშვებია თვალებზე, ტყაპუჭი წვიმისაგან და ცივ უამინდობისაგან აბურძგვნია.

სახლში, ხატების უკან ძველი წერილია შენახული, ნიკანორი ხატების კუთხისაკენ იხედება და დიდხანს სდგას შუა ქოხში, თითქო ორი მძიმე და მოუხეშავი ხის ნაპობივით ძირს დაკიდებულ ხელებით.

— ვივახშმოთ,—მიწასავით ბოხი ხმით ამბობს ის.

ოჯახობა ფეჩთან ფუსფუსებს, ქოთნებს ახმაურებს, დიდ თეფშებს იღებს:

— იქნება, ხელი დაგებანა,—ეუბნება ცოლი.

იგი უხმოთ იხდის ტყაპუჭს და მაგიდას მიუჯდება.

გატეხს პურს და ამბობს:

— ჩვენ ხომ ბატონები არა ვართ. ქალაქის დუქნებში არ გვისწავლია.

— ხელებზე მიწა გაქვს. რა ძნელია წყლის გადავლება?

— ნუ კაკანებ. მაგ მიწაა რომ პურს გაჭმევს.

ამოდენა ოჯახი უხმოდ, თითქო დამნაშავესავით მიუჯდება მაგიდას. ვახშობენ.

პაწია გოგონა ვერ სძლებს, მიაცქერდება მამას შავი ცქრიალა თვალებით:

— მამიკო, ძია პროხორი განა დუქნებში სჭამს? რასა სჭამს იქ, ნეტა, ძია პროხორი?

ყველანი უხმოთ ჩამოდებენ თავთავიანთ კოვზებს წითელი, დიდი ქოთნის კიდეზე და შეჰყურებენ ტანკას.

— რა შენი საქმეა, ნუ ლაპარაკობ, სჭამე.

ლამპაში ნავთი ილევა.

ნიკონარის ცოლი მაღლა სწევს პატრუქს, იგი შავწითელ დამახრჩობელ ბოლს უშვებს. ცარიელ დიდი თეფშის თავზე უკანასკნელად გადმოასხამენ უზარმაზარ ქოთანში ჩარჩენილ კერძს. ისხმება ჭარხალ ჩაჭრილი ბორშჩის ნარჩენი.

— სჭამეთ, ბავშებო,—ამბობს ნიკანორის ცოლი,—პირჯვარი დაიწერეთ და დაიძინეთ.

მაგიდის სხვა და სხვა კუთხიდან გამოშვერილი ათი კოვზი თავს იყრის ქოთნის თავზე, ოდნავ ეხებიან ერთიმეორეს, ტრიალებენ შიგ და მიაქვთ გემრიელი ნახარში. მარცხენა ხელში დაჭერილ ლუკმა პურით კოვზს ქვეშიდან იფარავენ, რომ საჭმელი არ დაღვარონ, ენის ყრანტალი ვახშმის დროს არ ვარგა.

ჩუმად შეექცევიან.

ბოლოს სუფრის თავიდან ზეზე ჭამოიჭრება ნიკანორის მძლე ახოვანება. იგი წვერს იწმენდავს და გადის სუფრიდან.

— ...„რათა განგვაძლე ჩვენ“....—ამოიღებს გულიდან ნიკანორი და ჯვარის გამოსასახავად მაღლა სწევს შავ ნაოჭებიან თითებს.

— დააქვრე, რაღას აყროლებთ,—ეუბნება ის უფროს ქალიშვილს.

იგი უბერავს ლამპას და გაცხელებულ ბოლით გამურულ შუშიდან, როგორც ნამდვილ მილიდან ამოდის სქელი და მახრჩობელი კვამლი.

ჭერი ნელნელა სულ ქვევით ჩამოდის. ახლა იგი კუზივით ჩამობერილ შუაგულით ინთქება წყვდიადში, რომელიც ყველა კუთხიდან შემოედვა ნიკანორის ოჯახს.

ოჯახი ოხრავს, ტრიალებს, დაგებულ თივას აშრიალებს. მამა ჩექმებს იხდის და ფეხსახვევს ფეჩზე ისვრის, ღამეში.

უფროსი შვილი, ვასკა, ცხენთან მიდის ღამის სათევად.

ქოხი თანდათან ყუჩდება. მხოლოდ ისმის თითქო უხილავ სამჭედურის საბერველის ქშინავდეს ამ წყვდიადში.

ნიკანორი ფეჩზე სწევს. არ სძინავს. წარბების რხევით ბნელას შეჰყურებს და ფიქრობს:

„როგორც კი დაიწყეს რკინის ასანთების [1]) კეთება, იმ წამს მიაშურეს თავის გარემოს. ასეა, გასაგებია, რკინის ასანთით პურს ვერ სჭამ. პროლეტერია! თავისი ნაქები ქარხნებიც მყისვე მიატოვეს. ყველაფერს მიაფურთხეს. დაუბრუნდენ სოფელს და თაყვანი სცეს მას. ცოტა რომ გამოირკვა საქმე, ისევ მიაშურეს იოლ პურს!.. მარტო ჩვენ დღემდე აქ ვლპებით, მიწის ჭია ან ბუზანკალივით. შენ კი ელექტრონის შუქზე გაზეთს კითხულობ. შენი სული ხომ სხვაა, რბილია“.

ნიკანორი მეორე გვერდზე გადაბრუნდა, გადაიხურა ტყაპუჭი. წელი სტკიოდა. ალბათ, გაცივდა, ნასადილევს რომ ნოტიო მიწაზე წამოწოლილი იყო.

„განა ჩვენ როდისმე გვაქვს ისეთი წუთი, რომ საქმეს მორჩე და ბატონად თავი იგრძნო? პირში პაპიროსი გაირჭო და ფულები აჩხარუნო... არასოდეს. ჩვენი თვითეული საათი სულ ერთნაირია მთელი სიცოცხლის მანძილზე. როცა მიწას მიგაყრიან, მხოლოდ მაშინ ხარ თავისუფალი, შეგიძლია მოისვენო“.

რაღაც ყრუ შავმა ტალღამ გადაურბინა მას მუცლიდან გულმკერდამდის და ყელში სწვდა.

„კიდევ იმას გაიძახიან. ჩვენ თქვენთვისა ვართ, ჩვენი სიკეთე სულ თქვენთვისაა, ქალაქი—ეს ხომ სოფლის ძმა არისო! ჰო, როგორ არა. ნათესავები არიან... ღვიძლი ძმები. შენი შვილი ელექტრონის პრაქტიკაზეა, ჩემი კი ნეხვშია ნიადაგ ჭიასავით და გოგოები კაბით სულ მიწას ჰგვიან და ასე უნდა ელოდენ თავის ბედს“.

მძიმედ ამოიოხრა და ფანჯარისკენ ხელი გაიშვირა მახორკის ასაღებად. მოგლიჯა ყვითელ ქაღალდს ნახევი, თითებით დაშმუშნა, ხელის გულზე გაასწორა და დააყარა წვრილი მახორკა. გააბოლა და ასე დახუჭულ თვალებით იწვა, წვერში კი მსხვილ და უსწორო ციგარკის ბოლო ანათებდა. დრო გამოშვებით იგი მეტისმეტად ღვივდებოდა და წვერს ტკაცუნი გაჰქონდა. ღრმად მოწევის დროს სქელი კვამლი გამდნარ ტყვიასავით ავსებდა ფილტვებს.

ბოლოს თითებით მოაქრო ნამწვავი და წყვდიადისაგან შეწუხებულმა ამოიოხრა.

---

[1]) „ზაჟიგალკა“

„მოდი შესტუმრეო... მოსაწყენია, მეტი რომ აღარ შეიძლება-კარგი, დამაცა, ჩამოვალ. ვნახო, როგორ დახვდები მაგარი სულის პატრონ ...

მიყრუებულ ღამეში, როდესაც განმარტოვებული ქარი ხეებს ხმაურით გლეჯდა და ცივი და სველი ფრთით ფანჯარას ეხეთქებოდა,—ნიკანორს როგორც იქნა, ღრმად ჩაეძინა.

მაგრამ როგორც კი დაიწყო ნათება და ყველა კუთხეებიდან ოჯახიც წამოშლას აპირებდა, გაელვიძა. ფეჩში უკვე ცეცხლი ენთო. მის განიერ ყბებს ნაცრისფერი სქელი ბოლი ეხვეოდა.

ნიკანორი წამოდგა, სკამთან მივიდა, დაიბუგა პირში ძველ ლურჯ კრუჭკიდინ მოსმული წყალი და პირის დაბანას შეუდგა. ხელზეც დაისხურა, მოისვა თვალებ ქვეშ და ცხვირთან იქ, სადაც წვერი არ ჰქონოდა. რომელიღაც ნახევით შეიმშრალა და მაგიდას მიუჯდა.

— ფედკა, სადაა ის წერილი?—იკითხა.

შკოლაში წასასვლელად გამზადებულმა ბიჭმა მოძია ხატებს უკან და გადმოიღო პროხორის წერილი.

— აჰა, ასოებიც კა არ სჩანს. იმიტომ რომ ყველას ხელში გიჭირავთ.

მამა წერილს ხელში ატრიალებდა, დაკეცა და ხელახლა გახსნა.

— რას სწერს, რაო?

— ერთხელ ხომ წავიკითხე, სულ თავიდან ბოლომდე,—დინჯათ სთქვა პატარა ბიჭმა,—სკოლაში მიგვიანდება.

ნიკანორმა უხმოთ დადო წერილი და შემდეგ სთქვა:

— მოდი ერთი პური ჩამილაგე.

ცოლმა უსიტყვოდ მოუმზადა ქმარს ტომარა. მან გადაიკიდა და წავიდა.

და როდესაც მისი ფართო ბეჭები უკვე გზის მაღალ ნაწილზე გამოჩნდა, გარემოდან მოწყდა და გამოეკიდა მამას ვასკა: რაღაცას უძახოდა, მაგრამ ქარს უკანვე მოჰქონდა. მამას უკან არ მოუხედია. თეთრი ტომარა კუზივით იბერებოდა და ქანაობდა მის მხრებზე და ბოლოს ყრუ მოსახვევში მიიმალა. წვიმიან და სველ ბალახის სურნელიან ქარს უკან მოჰქონდა ვასკას დაძახილი:

— მამილო! გაიგე! მექა-ნი-კო-სზე... მ-ა-მ-ი-ლ-ო!

იგი დიდხანს იდგა ჭისკართან და გაჰყურებდა შემოდგომის აზელილ გზას, ნაპრალს რომ მიჰყებოდა და დაეკლაკნა ჩექმებით გატკეპნილი და გალღობილი, ცივ და უკაცო, წვიმისა და ნისლისაგან, გაჭალარებულ სტეპში შორს გატყორცნილი თავისი ზურგი. აი მამამაც ამოყვინთა შორს: ძლივს ამოაქვს ტალახიდან ჩექმები. აი გაჩერდა და ნელა მსხვილის ჯოხით იცილებს ფეხიდან მიწას. ხელებით დაყრდნობია მიწაში ჩარჭობილ ჯოხს. შემდეგ ისევ გზა გააგრძელა. მხოლოდ ტომარა ღა მოსჩანს ზურგზე კუზივით აკიდებული. ვასკას ფიქრიც ნელა მოძრაობს, მაგრამ მამის სიარულზე უფრო ჩქარა მაინც. და აი მის წარმოდგენაში დგება ცეცხლები, რძის ფერი ბრწყინვალება ქალაქის თავზე, როდესაც გარშემო ცა უსაზღვროთ შავია და მხოლოდ ქალაქის თავზე რძის ფერ კვამლად ციალებს ნათელი წრე. აი მამა უახლოვდება გარეუბანს, ჩერდება ქვაფენილზე, იღებს ჯიბიდან დაშმუშნულ ქაღალდს და კითხულობს—თუ სად უნდა ნახოს ძია პროხორი. მერე

ქუდს მოიხდის, სიარულისაგან გაოფლიანებულ შუბლს იხოცავს, უკანასკნელად იწმენდს ჩექმებს და უკვე ფანრების ქეშ მიაბიჯებს: აირია ხალხი, ნახირია...

რამდენი უფიქრია ვასკას იმაზე, რომ ენახა ძია და მიმკა! ალბათ მარტო ისინი თუ გაუგებენ როგორ უნდა მას მექანიკად გახდომა. ცხოვრობენ ისინი იქ, სამუშაოც სულ სხვანაირი აქვთ, და ალბათ ყველაფერი სხვანაირია იქ. შარშან არ იყო ქალაქიდან ბიჭები რომ შემოვიდენ? რას წარმოადგენს ის იმათთან? სიტყვის მობრუნებაც კი არ ეხერხება. ისინი კი ისე თამამები არიან, მაზუთის სუნი ასდით, და ლაპარაკი ხომ—რა გინდა! აი ორთქლის წისქვილზე რომ მანქანასთან ზეთის წამსვებია, ისიც არა გავს მათ, სოფლის ბიჭებს...

აქ კი... მამას ნიადაგ გული მოსდის, ეს არ მოსწონს, ის არ მოსწონს და როგორ უნდა იყოს—თითონაც ვერ იტყვის. არტელში ტრაქტორია... რომ დაიგრგვინებს, მინდორი ფართოვდება.მას კი არ სჯერა. ასე ტრახ-ტრახუნით არაფერი გამოუვათო.—ეს კი არაა სწორი. ჩვენ უფრო მალე გამოგვივა წირვა. ამ ცხენს რაღა დაემართა. სიმსივნე გაუჩნდა. ჯანდაბას იყოს ასეთი მუშაობა! უთხარი მექანიკოსად მინდა მეთქი და ვის ესმის?...

დაეყრდნო ღობეს და გაჰყურებდა სტეპს უაზროდ, უხალისოდ. აბურდული თმა ქუდს გამოპაროდა და სინესტეს ისრუტავდა. ვასკა რაღაც სევდიანი და გაგრძელებული ხმითსტვენდა. ქოხიდან ვიღაცა გამოვიდა, ხმაურით კარი მიუგდო.

— აქ რას გაშტერებულხარ, ბიჭო ვასკა?—მოესმა დედის ხმა.—საქმე ხომ არ შემოგლევია. წადი ნახირს წყალი დაალევინე.

ვასკამ ამოიოხრა და ნახირისაკენ გასწია.

* * *

გარეუბანს თავს დასტრიალებს შემოღამება. ქარხნებმა ოთხი საათის დაჰკრეს. საყვირების სავსე ფართო ხმები კედლებს მიასკდენ, თავისი ბანით ცას მიაყვირეს და დადუმდენ. ქუჩა სვამს ბინდს; ჩაბნელდა ფანჯრები, ფარდულების ყვითელი ლაქები და ცენტრომუშკოოპის ლურჯი აბრებიც ქრებიან. აგურით ნაშენ საწყობების რიგი ჩრდილავს მეზობლად მდგომ დაბალ, მიწაში ჩაწოლილ და აქა იქ კრამიტ ჩამტვრეულ სახლებს, ტყავის ქარხნიდან აუტანელი სიმყრალე მოდის.

პროხორ სახნო გულიანად აფურთხებს იქითკენ, დაბლა იხურავს ტყავის კაზიროკიან ქუდს და ქუჩის გადაღმა გადადის. რელსებივით მაგარი ხელები სიარულის დროს მძიმედ ირხევიან. მაღალი, მაგრამ ოდნავ მკერდ შენგრეული, იგი ნელ ნელა მიაბიჯაბს ქვაფენილზე. ორმოცისაც არაა, მაგრამ ორმოცდაათი წლისასა ჰგავს. ლოყებს სერავს ორი ხაზი, რომლებშიაც ჭვარტლი ჩამდგარა. მოკლე, უსწოროდ შეკრეჭილი, ჯიუტი და აბურძგლული ულვაში იპარავს ნახევარ ტუჩს—თითქო მავთულით გადაუჭრიათო. საფეთქელზე სქლად მოსდებია ჭაღარა, ჟღალ და მჭრელ თვალებს ორ ამობურთულ არშიად ეკვრის შავი წარბები. რაღაც უცნაურ გამომეტყველებას აძლევენ მას ეს წარბები—ვითომ მკაცრს და ვითომ ალერსით გამთბარსაც, ალბათ, იმიტომ რომ გაფურჩქვნილი არიან.

— დახე, ძველმა ისევ წარბი შეიკრა,—იცინოდენ დღეს ჩამოსასხამ საამქროში.—რაზე ფიქრობ?მოგცლია, მაინც ვერაფერს მოიგონებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი უხმოდ ასხამდა ფორმაში თეთრ ჩუგუნს და დამაბრმავებელი ნაპერწკლები ენთებოდა სახეზე.

— ვინ იცის? იქნება მოვიგონო.

ყოველთვის სანამ საამქროში შევიდოდენ ისინი კედლის წინ რკინის ნაჭრებზე ჩამოჯდებოდენ და მუსაიფს გაბამდენ.

— შენ რა გაქვს საფიქრებელი? მე რომ ჩავძაღლდები აი აქ, ამ ბალიშებზე,—რკინაზე ურახუნებდა ერთი მათგანი სათუთუნეს.—შენ ისა სთქვი, თორემ შენ რა? სოფელში შენიანები გყავს, რაღა გადარდებს?

— ჰო, ეს მართალია. ჩემიანები...—ჩააფურთხებდა პროხორი ჩექმებ შუა.—მაგრამ სიკვდილი რომ მომიახლოვდება, მე შენ იმათ მისამართს მოგცემ—წადი.

ირონიულად ჩაიცინებენ: ვიცით, რისთვისაც ამბობთ: შემდეგ გადავიდოდენ სანარდოზე, მერმე იმასაც გაიხსენებდენ, რომ, ალბათ, ეხლა სოფელში „ფილკას" და „თხის" თამაშით ერთობიან, შინაურ მახორკას ეწევიან ან ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერიო.

მეხსიერების თვალს ავლებდენ—უკვე დიდი ხნის მოგონებებს ან უახლოეს ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ დადიოდენ სოფელ-სოფელ პურის საშოვნელად. და თვითეულს ღიმილი ერეოდა იმის მოგონებაზე, თუ რა სიფრთხილით ყურიდენ ტომარაში გლეხები ფქვილს და თან ეშინოდათ ერთი ნამცეცი არ დაიბნესო. მერმე გაზეთს წაიკითხავდენ და კამათობდენ. და როცა რომელიმე საკითხი ღრმად სწვდებოდათ გულს, ერთი მათგანი არ შეიძლებოდა არ შეკითხოდა პროხორს: „შენი აზრიო?" ძველი, რომელსაც კარგა ბლომად ეყნოსა თოფის წამლის სუნი, წარბს მაღლა ასწევდა, ულვაშს შეარხევდა და რამოდენიმე სიტყვას მაინც დახარჯავდა.

... დაიგუგუნა ოთხმა საათმა. პროხორი ჰკიდებს თავის ნომერს დაფაზე და გადის. რელსებივით მაგარი ხელები სიარულის დროს მძიმედ ირხევიან.

„ნეტა რაზე მოსდით გული? რა უნდათ და რას მისაყვედურებენ? ვწერდი—ჩამოდი, ნახე ეს სამოთხე, დაყნოსე. დღეს ისევ ისე მკითხეს საამქროში: „როგორაა საქმე, ძველო, ძმის რა ამბავი იციო? უჭირავს თუ არა კავშირი ჩვენთანაო?" ის კი სულ სხვა სულითაა გაჟღენთილი. ისევ ისე „შეძლებულებს" შესცქერის. ფუი!"

გაიელვეს და შეირხენ ქარში სანათურები. ძველ ქვაფენილზე ისე დაეცენ სინათლის ფართო ნაფლეთები თითქოს მრავალთვალა მდევის ათრთოლებულმა ენებმა ქვებიდან ასწმინდეს ყოველდღიური შრომის ნაკვალევი.

პროხორს გვერდში ჩაურბოდენ კუნთებით, თვალებით, ხელებით და გაცრეცილ ქუდებით სავსე ტრამვაები. დამძიმებული და მოქანცულები ცვლის შემდეგ სახლისკენ მიდიოდენ. კუთხეში ტრამვაიდან რამოდენიმე კაცი გამოვარდა და გადაჭრეს ქუჩა „ბავარიის" მიმართულებით. ტრამვაიმ ბორბლები დააკრაჭუნა და დარეკა: „წინ!" და ფართო სახეზე ისევ ისე ჩამოწვა ჭვარტლი და დაღლილობა.

პროხორი განგებ არ ჩაჯდა ტრამვაიში, ფეხით მიდიოდა.

„რითია მაინც გაბოროტებული? ერთხელ მაინც მიმხვდარიყო... მაგრამ არა, სდუმს. და ამ დუმილისგან გული უფრო გიდუღს. და სანამ უნდა ატაროს კაცმა ეს მეტი ბარგი გულში".

იგი მივიდა იმ გზაჯვარედინამდე, სადაც ტრამვაის გზები იყრებოდენ. ქვის ხიდის იქით შავ გასასვლელის რგოლში ბრწყინავდა ოქროს სანაურების გრძელი ჯაჭვი—იქ იწყებოდა ქალაქი ზვიადი ქუჩით, მუზეუმებით, გამახარებულ აფთიაქებით და თეატრებით. თავი შეაფარა ხიდის ყურეს, სადაც ქარი ისე ვერ მძლავრობდა. თამბაქო მოსწია. ზემოთ დაიგრიალეს ვაგონებმა და შორს კი ისე დაისტვინა პატარა ორთქლმავალმა, თითქოს ყოყოჩობსო:

— უ უ უ უ.....!

ეს ქარხნის მატარებელია. იგი საქონლის სადგურზე მიიტანს თავის რკინის ბარგს და ცარიელი სტვენით და ქშენით ისევ უკან დაბრუნდება:

— ჩან! ჩან! ჩან!

უახლოეს გზით, მიყრილ გორაკის გადაჭრით, გაეშურა პროხორი თავის დაღმართისკენ. შორეულ ლიანდაგიდან წითელი თვალით იხედებოდა უკანა ვაგონი და სადღაც სადგურის შავ მოხვეულისაკენ იკარგებოდა.

— ამხანაგო სახნო!—უცებ შემოესმა პროხორს ვიღაცას ხმა და შემდეგ სიცილი.

მის წინ აღიმართა დასველებული ფიგურა ტყვავში და ბეჭებში ხელი შემოსჭიდა.

— მამა, აქ ხად მიაბიჯებ, ტრამვაით რატომ არ წადი?

პროხორმა უცნაურად შეარხია მარცხენა ულვაში—ჩაიცინა.

— შენა ხარ? რად შემაშინე?

— ხა, ხა, ხა, ჰაი, ჰაი, მამა, მამა. მე კი გმირი მეგონე.

— შენ კი საით გასწიე ამ ღამეში?

— საქმე მაქვს.

პროხორს ისევ ისე კარგად, მეგობრულად გაეცინა.

— არა, მაინც?

— კრებაზე. მალე ზეიმებია. წესრიგს ვამუშავებთ. კლუბის ილიუმინაციას ვაწყობთ. ახალ ელ-გაყვანილობას ვაკეთებთ. ასე მაშ... არა მცალია. ბოდიშს ვითხოვ, უფროსი ხარ, მაგრამ მეშურება.

— რას ამბობ! ეს არის და! მე კი მეგონა თითქო ესაა აბაზანიდან ამოვედი და ბალალაიკაზედაც ვუკრავდი. წადი, ნულარ ლაპარაკობ. რომ იცოდე—ვინ არის ეხლა ჩვენთან... სახლში.

— ვინ არის?—სიჩქარით იკითხა პროხორმა და გულის შეკუმშვა იგრძნო—

— გამოიცანი.

— სოფლიდან არიან?

— ჰო, და მიყრუებულიდან.

— კარგი, ნუ სულელობ, მიშა. სთქვი, მართალია?

— ნუ აღელდები, მამავ,—უთხრა ახალგაზრდამ.—მართლა ჩამოვიდა სოფლიდან ძია ნიკანორი. ეს ხომ მთაა და არა ძია! რომ იცოდე, როგორ მომწონს! ყოველი მისი სიტყვა—ერთი ფუთი მიწაა. და როგორ იხედება. შუბლიანად ძალიან მომეწონა.

მიშა გაჭრა, პროხორს კი ისევ ისე ყურში ჩარჩენოდა მისი სიცილი—წკრიალა, როგორც ჩაქუჩის პატარა გრდემლზე დარტყმა.

ქარხანაში მიშა მუშაობს ელექტროტეხნიკოსის უმცროს თანაშემწედ. იგი არ მუშაობს მხოლოდ იმ ექვსი საათის განმავლობაში, როდესაც სძინავს. დანარჩენი დრო—სადღაც ყაზარმაშია, ან კლუბში, ან კრებაზე, სახლში ბრუნდება გვიან, სამიოდე წუთს ტრიალებს, ივახშმებს, შემდეგ დაეცემა საწოლზე და სძინავს ისე, რომ კედლები ირხევა...

პროხორმა გაიხედა იქით, საითაც გაჰქრა მიშა. თვალებზე ცხელი და ტკივილამდე სასიამოვნო რაღაც გადაეფარა. ჩაიქნია ხელი და ხელახლა გაიცინა.

— აი მოუსვენარი! მოდი, მოდი, გესმის შენ, აგიტატორო!— გასძახა მან წყვდიადს. აიწია საყელო, ჩამოიფხატა ქუდი და სიჩქარით გასწია სახლისაკენ.

* * *

მეზღვაურთა დაღმართი თავითაა უფსკრულისაკენ დაშვებული, იქ კი— დანგრეული სახლები, ქვები და აგურთა ნამსხვრევების გორებია. აქ სკდებოდენ სამ დიუმიანი ნაღმები და აქვე ახლოს გაბრაზებულმა მუშებმა ჰაერში ააფეთქეს მთელი საარტილერიო საწყობი.

№ 12 სახლის პირდაპირ განმარტოებული კედელი სდგას და ქვაფენილის თავზე გადმოკიდებული უხმოდ ფიქრობს: „გადმოვვარდე თუ არაო?“ ფანჯრების გადმობრუნებულ თვალებში ღამის ფრინველი ირხევა და მზათაა აახმაუროს შავი ფრთა, თუ განსაცდელი მოახლოვდა.

პროხორი სცხოვრობს № 12 სახლში.

მიუახლოვდა ჭისკარს და ჩამოკრა მავთულიან რგოლს. გამოვიდა სახლის პატრონი და გინებით ახმაურა ურდული.

— მადლობელი ვარ—უთხრა პროხორმა.

სახლის პატრონი აქსინდა, უხმოდ მიაგდო ჭისკარი და გააფურთხა.

— მუქთად სცხოვრობს და კიდევ კარები უნდა ულო. რა ხალხია ამ დროში, გაუსკდეთ მიწა.

მაგრამ დღეს პროხორს ვითომ არ ესმის ეს სიტყვები. წელში მოღუნვით იგი ქვის კიბით მიდის თავის ბინისკენ. ბნელა ხელი მოავლო კარებს და აა შეჩერდა.

რითი მოვიდა ნიკანორი? მას შემდეგ მთელი სიცოცხლის ოდენა დრომ ჩაიარა. მძიმე, მრისხანე დრომ. იცოდა რომ ძმა სადღაც ჩაკეტილი ზის... არეულობისათვის, მაგრამ სდუმდა. მუშაობდა შავი ხარივით თავის სახნავზე და სდუმდა. მიწის ერთგული მონა!

... ხელი დააჭირა კარის გასაღებს. გამოვიდა მაშა, შავთმიანი, სახედანაოჭებული, ახალ კოფთაში.

— პროხორ, ჩვენ სტუმრები მოგვივიდა.

ფეხი შეადგა ოთახში და დაინახა ნიკანორი. იგი ისევ ისე გაუხდელი, ტყაპუჭში, იჯდა მაგიდასთან, როგორც მოსულიყო,—და გეგონებოდა, რომ მისი შავი ფიგურა სადაცაა გასტეხს ამ თეთრ და სუფთა მაგიდასო. გვერდით, სკამზე იდო უხეში, მაგრამ კარგად შეკრული ტომარა. მისი გამობერილი კიდეები აშკარად მოწმობდენ, რომ შიგ ჩაწყობილი იყო დამცხვარი პურები და სხვა შეკვრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროხორი შემოვიდა ოთახში და ქუდის მოხდით მიუახლოვდა ნიკანორს.

— გამარჯვება, ძმაო.

ნიკანორმა წვერი შეარხია, ადგა და ხელის გაწვდით უპასუხა.

— გაგიმარჯოს, პროხორ. აი როგორც მხედავ.

მაშამ სახე იქით მიიბრუნა. ნელა კოფთის კალთით თვალები მოიწმინდა. ძმებმა დარბაისლად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, შემდეგ მარცხენა ხელი ერთმა მეორეს ბეჭზე ჩამოადო და სამჯერ დინჯათ გადაკოცნეს: უსიტყვოთ, აუჩქარებლად, სერიოზულად.

— მადლობელი ვარ,—სთქვა ამის შემდეგ პროხორმა.—მიშა შემხვდა და იმან მითხრა. ვერ დაუჯერე. მადლობელი ვარ, მაშ საქმე კარგად ყოფილა,— აღელვებული ამბობდა პროხორი. ნიკანორმა, რა რომ მიშას სახელი გაიგონა გაეცინა საფეთქელით, შუბლით, მთელი სახით.

— მე არც კი ვიცოდი რომ ასეთი ძმისწული მყავდა.

— აქ არის თუ? ისეთია რომ...

— არა, კაი ბიჭია, ლაპარაკიც კარგი იცის... მაშინვე შეატყობ ქალაქის კაცია.

და ეხლა წვერი გადმოეფარა სახეს და ღიმილი დაუფარა.

— მოიტა წყილი,—უთხრა პროხორმა მაშას,—მოიტა ეხლავე უნდა გავლამაზდე. გაიძვრე, რაა, თითქოს ისევ სადგურზე ხარ? აბა, აბა, გაიხადე. განა ფეხით მოხვედი, ამდენი გზა და ფეხით?

— რა უშავს, ცხენი მოღლილია. დაისვენოს?

— დათესე?

— ჰო, რაც იყო ღვთის მოცემული.

— აბა გაიძვრე, მოიტა შენი სვიტა, აქეთ. მაშა, წყალი მომეცი. მაშამ დაუსხა მათ წყალი. ნიკანორმა უსიტყვოთ გაიშიშვლა მკლავები და საამო თბილ წყალში შეყო ხელები. სახეზე ბავშურ უსუსურობის უცნაური გამომეტყველება დაეფინა. იძულებული შეიქნა საპონიც ეხმარა, რადგან მაშა არ სცილდებოდა და ძალად ხელში ჩაუდო იგი ნიკანორს. ორივე ერთ ჭურჭელში იბანდენ. წყალი იმ წუთშივე გაშავდა—ჭვარტლისა და მიწისაგან.

— მოიტა სუფთა წყალი,—ბრძანებდა პროხორი.

წემდეგ ნიკანორმა გახსნა ტომარა, ამოიღო პური და უთხრა მაშას:

— მიიღე, დიასახლისო, ჩვენი გლეხური ხელებიდან. შავად ვცხოვრობთ მაგრამ პურს კი თეთრს ვაკეთებთ.

— რატომ ლაპარაკობ ასე, ნიკანორ?—უპასუხა პროხორმა.—მადლობელი ვარ, მაგრამ ეს რატომ თქვი?

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. ლონიერი, მუშაობაში გაშავებული, უხეში, მაგარ ძარღვებით გადაბაწრული კუნთები თითქო ერთმანეთს ზომავდენ. ერთს თეთრი ულვაშები აქვს და თავი გაშავებულ ვერცხლით შემოსია, მეორეს კი— გაუვალი წვერები მიჰყრია.

— მოდი დაჯექ, მოჰყევი როგორა ხართ იქ?

— რა გითხრა, ჩვენი ცხოვრება ხომ იცი,—სთქვა ნიკანორმა,—სოფელია— ესაა და ეს. თქვენი კი სულ ცოტა რამ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოტა იცი? შეხედე, ძმაო. ყველაფერს დააკვირდი. ქარხანა ნახე.

— შემიშვებენ?

— რატომაც არა?

— იქ ხომ საათობითაა. იცვლებიან...

— მერე რაა რომ იცვლებიან. ნახავ. შეიძლება ცვლაში ერთი საათსაც არ გაჩერდე.

ნიკანორმა მოღუშულად ჩაიცინა.

— ამდენად მძიმეა?

— ვისთვის როგორია. ჩვენ მიჩვეული ვართ.

გაჩუმდენ. მაშა ჭიქებს არაკუნებდა—ჩაის ამზადებდა.

— დავლიოთ, ძმაო, ჩაი—მერე მიშაც მოვა. ის ზეიმისათვის რაღაცეებს აწყობს.

— ზეიმი იქნება მაშ?

— ჰო, იმათი კლუბი აწყობს რაღაცას. თქვენთან როგორაა. არის ასეთი რამე?

— არ ვიცი. ჩვენ თეატრებზე შეჩვეული არა ვართ, არ დავდივართ. რა კოოპერაცია გქონიათ! ჩვენ რომ დავიხოცოთ ასეთი მაინც არ გვექნება. სადაურია! აქ ხელისუფლებაა—ხელის შეწყობაა. ჩვენთან კი რევოლიუციის ცხრა წლის განმავლობაში ცხრა ხეირიანი მოლაპარაკეც არ ყოფილა. ისე ვიღაც გამოწკიპულები მოირბენენ და ისიც ავტომობილებით. მარტო ბენზინს აოხრებენ. ლუღლუღებდენ, აქეთ-იქით: შეფობაზე ლაპარაკობდენ. რა შუაშია. ვინ დაუგდებდა ყურს, დედის რძე ჯერ ტუჩზე არ შეშრობია, ის კი გაიძახის: „ამხანაგებო, ამხანაგებო“. ასეა ჩვენკენ.

ნიკანორი ალაპარაკდა. ხელებით მუხლებზე დაეყრდნო, თავი დახარა და თითქო მიწაში ან მის წინ ამოთხრილ ორმოში ჰყრიდა მძიმე, სისხლით გაჟღენთილ და მწველ სიტყვებს. ისინი ერთი მეორეს ეცემოდენ, ეს მწველი სიტყვები, როგორც გამხმარ, გადამწვარი მიწის ბელტები—და იზრდებოდენ გორად, ავსებდენ ოთახს.

პროხორი უზარმაზარ შავ მუჭს თავით დაყრდნობოდა და უსმენდა. თითებს შუა სახის დამწვარი კანი გარმონივით მოკუმშულიყო.

მას გაახსენდა წარსული წლები. ყრუ ღამეები, მამლები, ძაღლების ღმუილი. ნიკანორი ზის მაგიდის კიდესთან და მძიმედ შეკრულ შუბლით ფიქრობს მიწაზე. შემდეგ მის თვალის წინ გაიარა საკუთარმა ცხოვრებამ—ცეცხლში, მოუსვენრობაში და გასაჭირში. ახლა კი, როდესაც ის შვილთან ერთად შეზრდილია რკინის ყოველდღიურ ჰანგთან და დაგადუგთან და ხშირად უბრალოდ და გულიანად შეხარის სიცოცხლეს—იმის გამო, რომ საქმე დულს მუშაობაში და დავაში, რომ გადააგდებენ და ხელახლა გადაირჩევენ ქარხკომს, რომ გარშემო ყველაფერი გაღელვებს თუ როგორც საჭიროა ისე არ კეთდება, რომ უქმეებში კლუბები მუსიკას უკრავს და ბრწყინავს დროშები,—რატომაა, რომ ეხლაც ნიკანორი ისევ ისე იყურება, როგორც მაშინ?

— ეხ, ნიკანორ, ხომ მოგცეს მიწა. შენ იმის დარდი გქონდა. ეხლა მაინც რატომ არა ხარ გახარებული.

— მომცეს, მაგრამ რითი მიუდგე. კუზით გამაქვს მარტო. პურს გაყიდი და მაგიერს ვერაფერს იყიდი, აბა რა უნდა იყიდო? შენ ეს მითხარი, თორემ შეფობა რაა. თქვენთვის ადვილად სათქმელია.

პროხორმა მწარედ გაიცინა.

— მაშ ჩვენ მშვენივრად ვართ, რძეში ვბანაობთ, არაფერს არ ვაკეთებთ— თითონ სცვივა პირში... შენ ამას მაინც ამბობდი. აბა რისთვის მიდიოდენ მუშები სასიკვდილოდ? რისთვის მოახდინეს რევოლიუცია? მიწებიც ბატონებს დარჩენოდათ და ქარხნები...

— მე მაგაზე არ გელაპარაკები... შენ რა...—არ დაამთავრა ნიკანორმა.

„სანამდე რქნებით თქვენ...“ უნდოდა ეყვირა პროხორს.

მაგრამ უეცრად კარი გაიღო. შემოვიდა მიშა. წვეთ-წვეთად წყალი ჩამოსდიოდა და რბილად ქუდიდან იატაკზე ეცემოდა. შეირხა, წყალი მოიცილა და დაიძახა:

— სხდომა გაქვთ? აი მეც აქა ვარ. მივატოვე და გამოვიქეცი. თქვენი პატივისცემისათვის, ძია. ჰო, რა წვიმაა!

ყველას რაღაც შეუმსუბუქდა, თითქო ამ ჯანიან და მხიარულ ბიჭს, მიშას, შეეძლო ყველა ჭირის და ვარამისაი.ვის შველა, შეეძლო ბიძა მისის ყველა ტკივილების განკურნვა.

— რაღას გაჩუმდით? მომხსენებელი, ვგონებ, ძია ნიკანორია? უარზე არ გადგეთ, მე ხომ შემომესმა ჩვენ ძმას—კომკავშირელს რომ ანადგურებდით. ხა-ხა! რა, ვსტყუი? ხომ ანადგურებდი?

— ჰო, ასე იყო. და ასეც გინდათ. თქვენ ხომ ბარბოსები ხართ, ხეირიანს რას აკეთებთ?—სთქვა პროხორმა ისე დინჯათ და მასთან ისე ალერსიანად, რომ გულიანად გადიხარხარა.

— სწორია! ეხლავე მივალ ჩვენ უჯრედში—შენ მდივნად დაგაყენებთ და შენ იცოდე წესრიგის დაყენება.

— თავი დაანებე ერთი.

— ხა, ხა, ხა! ვგონებ მამას მართლაც ეგონა, რომ ამის მდივნად გახდომა გვინდოდა.

ნიკანორი ცოტა არ იყოს უნდობლად, გვერდიდან უყურებდა მიშას და იღიმებოდა.

— შენ, ახალგაზრდავ, ეს რაები გცოდნია,—მიმართა მას.

— ისე რაღად ვეღირებოდი ბიძია. ვისაც ცხვირის მოხოცვა არ შეუძლია და მხოლოდ დადის და კვნესის ის, ძია, რა კაცია. ის ჰაერს აფუჭებს და სხვა არაფერი. თითონ იმისთვისაც რაა რომ წუწუნებს, უგემურობს და სხვებსაც სატირლად იწვევს.

— მაშ რაღა გამოდის?

— ისე გამოდის, რომ მეტი ცუდი აღარ შეიძლება. ჩვენც რომ მაგ წერტილზე დავდგეთ, მაშინ უნდა ვსთქვათ: „ჩაჯექ ორმოში“.

— ჰმ, მაშ ასეა! შენ ვერ გაგიგებს კაცი, ვის ესვრი,—მოიღუშა ნიკანორი.

— თქვენ არა. თქვენ გაქვთ უფლება.

— რა უფლება?

— აი თუნდაც რომ ჩვენ, უსაქმო ხალხს, შემოგვიკურთხოთ,—იკინოდა მიშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამის საბუთებიც რომ გვაქვს!

— ხომ ხედავთ. საბუთიც ყოფილა. ამ მამამ სთქვას, თუ ასჯერ არ მეთქვას მისთვის: ძია ნიკანორს რომ შვილი ჰყავს რას აკეთებს? ცხენებს კუდს უკრავს. რა ცხოვრებაა ეს? ძია ნიკანორი კი ვერ მიმხვდარა. რომ ვასკა კომკავშირში უნდა მისცეს.

— მოდი და უყურე ეხლა სად გადაისროლა. ვითომ რას წაადგებოდა?

— ამის შესახებ მაშინ გეკითხათ: „გამოგადგა, ვასკა, სულ ცოტათი რამეში თუ არა-თქო?"

— საკითხავიც არაა. კუდების შეკვრა მაინც საჭირო დარჩებოდა. რადგან ჩვენი ცხოვრება ასეთია. არა აქვს მას დასასრული, ისე როგორც შემოდგომის ღამეს, ჩემო კარგო. ისე რომ კუდებს მაინც შეკრავდა...

— მაინც, ძია, უნდა გენახა მერე როგორ შეკრავდა...

— უფრო შეგნებულად, თუ როგორ?

— სწორედ ასე, იცოდეთ. ეხლა კი შეუგნებლად ჰკრავს.

ყველას გაეცინა, თუმცა ნიკანორს გაცინება არ უნდოდა და წარბებს განგებ ღუშავდა.

— ეხლა კი, ძია, ხუმრობა გაშვებით: ვივახშმოთ. მამა ასეთი შემთხვევის გამო, ალბათ, ბოთლი ღვინის ნებასაც მოგვცემს...

— ჰო და...—გამოეხმაურა პროხორი, წადი მოიტანე. საჭიროა მაშ.

ნიკანორს მეტად ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. კიდეც სთქვა:

— უმისოთაც შეიძლება. რა საჭიროა.

— არა, არა, წადი მიშა,—დაიძახა დედამ სამზარეულოდან.—აქ ახლოსაა ფარდული. თუ შეგიძლია.

ამის პასუხად მიშამ გადაიწია ტუჟურკის კალთა და ხელი დაადო ბოთლის არაყს, ჯიბიდან რომ გამოიყურებოდა.

— „ფარდული", დედა, შენ რომ გეგონა იმაზე ახლოს ყოფილა.

— ჰო და ეშმაკი ყოფილა ნამდვილი?—ეხლა უკვე ნიკანორმაც დაიწყო ხარხარი.

— რა ვქნა, მამა, ამოვიღო? უჯრედში არ მიჩივლებ?

— ამოიღე, ამოიღე, მართლა კარგი ეშმაკობა გცოდნია შენც!—გაიკინა პროხორმა.—დადგი. ამდენი სალაპარაკო რა იყო?

— თქვენი აზრის გაგება მინდოდა, მაგრამ ეხლა ვხედავ, რომ იმ „აზრის" ყოფილხართ, რომ ორის წინაადმდეგიც არ გახდებოდით. და ამიტომ მეორე წინადადებაც შემომაქვს...

მეორე კალთაც გადაიწია და მეორე ჯიბიდან ამოიღო კიდევ ერთი ბოთლი.

— შე ხულიგანო, შენა,—სიცილით ეუბნებოდა პროხორი.—მოდით უყურეთ.

მიშა კი განმარტებას იძლეოდა:

— ოთხი მუშა კაცისათვის ორი ბოთლი ღვინო ეს იგივეა როგორც ორთქლის მანქანისათვის ერთი ნიჩაბი ნახშირი. მე ასე ვანგარიშობდი, და თუ იმა-

საც ვიტყვით, რომ მე მსმელი არა ვარ, გამოდის, რომ თქვენ [illegible] მოგზვდებათ,—ვთქვათ—ერთნახევარი ნიჩაბი. მაგრამ ისეთ [illegible] ბს [illegible] ,რომ ხართ, მაინც ვერ ამყოფინებ ამ საბობს.

ისინი დაეთანხმენ. მიშამ ორივე ბოთლი გახსნა.

— პირველი ჩვენი ძალის სადღეგრძელთ იყოს,—სთქვა მან და ნიკანორის ჭიქას მიარაწკუნა.

შესვეს. ნიკანორმა უპასუხა.

— ძალა ხომ თქვენია.

— ვისი „თქვენი“?—უცბად მოტრიალდა პროხორი. ეს იყო პირველი შეურიგებელი და მკვახე მოძრაობა, რომლისგან თავის შეკავება მან ვერ შესძლო.

— ვისი თქვენი, მე შენ გეკითხები?

— თქვენი, ესე იგი არა ჩვენი. რა საკითხავია.

მიშამ ჩაიცინა და წამოიძახა:

— დაარტყით მაგ ექსპლოატატორებს! სულის მოთქმას არ გვაცლიან.

— დაანებე მაგ კრიტიკას თავი,—უპასუხა ნიკანორმა.— ასე გგონია გლეხია და ვერ გაერკვევაო.

— ვინ ამბობს ვერ გაერკვევაო. პირიქით, იმ წუთშივე მივხვდი. პირდაპირ მიზანში ურტყამთ...

— მერე რაო?

— ჰო, მერე რაო ვითომ?—ხელახლა წამოიძახა პროხორმა და ჩააცქერდა.

— აი რა: იქნება ის სთქვა, ვინ გკითხავთო? ჩვენ და ნახირი ერთი ვართ. ჩუჩქნე მიწა, ჩააცივდი, არ მოსცილდე სანამ ბოლო არ მოგეღება.

— ამ დროს კი შენი შინაური მტერი მუშა კი დადის ქარხანაში და ჭერში აფურთხებს,—გადიხარხარა მიშამ.

— არ ვიცი აფურთხებს თუ იმღერის.

— იმღერის როგორც ბურჟუა! თქვენ, ძია ნიკანორ მას არ იცნობთ. მაგრამ არაფერია გაიცნობთ. კარგია, რომ ჩამოდით. გადავდოთ ეს კრიტიკა! აი როცა ახლოს გავიცნობთ ერთი მეორეს მთელ ჩვენ და თქვენ ცხოვრებას და ძალაუფლებას ნაწილ-ნაწილად დავშლით, დავფერთხავთ და ხელახლა როგორც წესია შევკრებთ და ავამუშავებთ. ჯერ კი შევსვათ!

იგი აღელდა. კილოც უფრო მტკიცე და მშრალი შეექნა. თვალებში სიცილის იერი დაეკარგა და მის მაგიერ სხვა ნაპერწკალმა გადაჭკრა...

— მაშ სვით და აშკარად სთქვით ყველაფერი. მაშ ასე, არც ერთი ფიქრიც არ დარჩეს გადამალული! ღიათ, პირდაპირ! თქვენ მაგარი ხალხი ხართ, მარა, ნუ გეშინიათ,—მუშები ბევრად მაგარი ხალხია!

... გვიანობამდის ისხდენ. და მათ საუბარში ერთმანეთში იხლართებოდა რკინა და ხე, ქვა და ფოლადი, საგვარეულო აბობოქრებული სისხლი მიწის მუშის ბნელ მესაკუთრულ სტიქიისა მუშის სისხლთან, რომელიც იპყრობს ქვეყნებს და ხელიდან გლეჯს მათ მჩაგვრელებს. თვითეულ მათგანს დაუქრობელ და თავდაჭერილ ცეცეცხლით ენთებოდა თვალები, თვითეული მაგიდაზე ხელის დარტყმით ცეცხლს აკვესებდა და ამ ცეცხლში გადადნობით კაჟდებოდა ვაჟკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცური და წრფელი გულები, და მათ სურვილთა და მიწრაფებათა—მიწის და რკინის—ცდობაში —ერთი მთლიანი სიმართლე იბადებოდა...

— ჩვენ ხომ... ძმები ვართ.

* * *

ქარხანაში ოქტომბრის ზეიმისათვის ემზადებოდენ. მიშა შეირბენდა ქარხკომში, ხალათში წვდებოდა ქარხკომს და გაბრწყინებული ღიმილით უყვიროდა:

— შე უბედურო, შე ბიუროკრატო, რას აპირობ ილიუმინაციისათვის დამატებით ხუთი თუმანი არ მიშოვო?

მოღლილი და საბოლოოდ ქანც გამოლეული ქარხკომი გარბოდა და შორიდან უძახოდა:

— ვიცი, ვიცი!

— რა იქნება მერე?

— ილიუმინიაცია არ იქნება.

— სწორია. ილიუმინაცია არ იქნება, მაგრამ შენც ალარ იქნები. მიწაში ჩაგაგდებ!

— ოლონდ ღრმად არა.

— ისე ჩაგსვამ, რომ ველარ ამოძვრე! იცოდე ფული იქნეს! ჯერ ერთი ჩვენების შეგვრცხვება, თუ მოღლეტილი იქნა ყველაფერი. და მერე კიდევ სოფლიდანაც მოვა ხალხი. მარტო ძიას გულისათვის სულს ამოგაძრობ.

— რომელ ძიასთვის?

— არის ასეთი. მამაჩემის ძმაა.

— რას ამბობ? სახნო?

— სახნო იქნება მკვიდრი ძმა თუა მაშ! ნამდვილი, უტყუარი მიწისაა. „თქვენო—იძახის—სულ საათები და ცვლები გაქვთო“. ესე იგი: ქალაქის ხალხი მუქთახორები ხართ, ჩვენს კისერზე გადადიხართო.

— საინტერესოა.

— საინტერესოაო? არა, ძამია, უბრალო ინტერესი კი არაა, გწვავს! ჰოდა, შენ იცი!

შემდეგ რიგ-რიგად კლუბის გამგესთან, ოსტატთან, მუშკორთან გარბოდა.

კლუბში კი ჩაქუჩების დარტყმა, შალაშინების შიშინი, ჟესტის ტკაცუნი იდგა. სცენასთან სურნელოვან ბურბუშელაში იქვე დაგდებულ მავთულის რგოლები იმალებოდენ. მიშა ზომავდა. აბამდა მავთულს, უთითებდა სად უნდა მიეჭდოთ დასაკიდები. აქ მთელი დარბაზის თავზე უნდა გადაიფრინოს აეროპლანმა, იქ კი მისი ფრენის გზაზე უნდა კიაფობდენ ვარსკვლავები.

ერთხელ კლუბთან ნიკანორი მივიდა და იკითხა:

— სადაა აქ მიშა სახნო?

— მიშა სახნო?—გამოეხმაურა ვიღაც.—ბიჭებო, ვგონებ მე უნდა ვიყო მიშა სახნო, ასეა თუ არა?

მუშებს გაეცინათ.

— არ ვიცით.

— შემოდით, ძია, შემოდით,—დაუძახა ნიკანორს. იგი ვეებერთელა შავ გორად ჩამომდგარიყო კარებში.—შემოდით მარა ფრთხილად, მავრულს არ წა მოედოთ, თორემ წაქცევაც ადვილია. ვოსტატობთ! გინდათ, ქარხანაში წაგიძღვებით?

— მინდა მაშ. მაგისათვის მოვედი.

— წავიდეთ. ბიჭებო, ეხლავ დავბრუნდები,—დაუძახა მუშებს.

ნიკანორთან ერთად ქუჩა გადაიარა და უჩვენა:

— აი! მოგწონს? თქვენსავით მხიარულია.

— აი ეს?

— არა, ეს ელექტროსადგურია, მის იქით—ჩვენია!

— ოჰო, რამოდენაა!

— არა უშავს. წავიდეთ. შესასვლელ ბარათს ავიღებ თქვენთვის და მერე თქვენ თვითონ მოიარეთ. გაიარეთ ჭისკარი, შემდეგ მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ და მიხვალთ ჩამომსხმელ საამქროში.

ისინი მივიდენ ქარხანასთან. მიშა სადღაც გაქრა. ნიკანორმა შეათვალიერა აბრა და დაბალი ხმით კითხვა დაიწყო, ერთი მეორეს უფარდებდა ბრინჯაოს დიდ ასოებს:

„სახ...ელ...მწ...ი...ფო მა...ნ...ქან...ათ...მშე...ნე...ბე...ლი ქარ...ხა...ნა. სახელმწიფო მანქანათმშენებელი ქარხანა“.

გარშემო მიმოიხედა. პირველი შენობის კედლის ქვეშ, რომელიც ქვაფენილიდან სულ ზევით და ზევით იწევდა, წითელ და შავ ხროებად ელაგა რკინები. მოდიოდენ მძიმე საბარგო მანქანები, მათ ქვეშ მიწა ზანზარებდა. ისროდენ რკინის ბოძებს, დაჟანგებულ გრეხილ სამკუთხედებს, ათფუთიან „ბოლვანკებს“; რელსები ყვიროდა, ტკაცუნობდა ჟესტი, ფუსფუსებდენ და ხმაურობდენ გაჟანგული ტილოიანი ადამიანები. რკინის ნამტვრევების ხროვისაგან მოწყვეტილი თითებივით გამოყოფილიყვენ გრძელი ნაწილები და თითქო შველას თხოულობდენ ჭრილობების შესახვევად. აქ ანაწილებდენ უვარგისს და კარგს, ხელახლა ტვირთავდენ მანქანაზე და ზანზარით მიქონდათ ჭისკრის არკისაკენ, რომლის უძირო ხახაში იკარგებოდა ყველაფერი.

— აბა, ძია, გზა მოგვეცი, რას დამდგარხარ?—წამოსძახა ვიღაცამ მაღალი ხმით. ნიკანორი სიჩქარით განზე გადგა—გაკვირვებული, აღელვებული, დაბნეული. მოულოდნელად თითქო ქვესკნელიდან გაჩენილ მიშას ხმა იცნო.

— გრუხუნებს, განა? ასეთია აქაური მუსიკა, მხიარულია. აჰა შესასვლელი ბარათი თქვენთვის. წამოდით.

ხელი უბიძგა ჭიშკრისაკენ, თითონ კი სადღაც მარცხნისაკენ გავიდა და გაქრა.

ნიკანორმა ბარათს ხელი მაგრად ჩასჭიდა და არკას ქვეშ გაიარა.

— საით?—ჰკითხა ჭისკართან დარაჯმა.

— ჩამოსასხმელში. საბნოსთან.

— ბარათი?

— მაქვს.

— შედით. იქ იკითხეთ.

არკიდან პატარა მოედანზე გავიდა. ეს იყო ვეება ქვის ჭის ძირი. ოთხივე მხრით მუქარით აღმართულიყო კედლები. მათ ძირში კი—მარჯვნივ, კორიდორში, კორპუსთა შუა—სტვინავდენ ძრავთა ტრანსმისიები, ელავდენ თავის მოქნილ გვერდებით... აქ შინებს სჭრიან. კრაჭუნობენ საჭრელი კიდურები ზღაპრულ ფრინველივით. ლურჯი, მუშაობაში გალაპლაპებული კიტაიკა ეკვრის მოლუნულ ზურგებს. ორ შენობის შუა ვიწრო კორპუსის თავზე კვამლის ბურში გადმოკიდებულა რკინის მძიმე ხიდი. ტყავის ხელთათმანებიანი შავი ხელები მაღლა აპყრობილან. შირბიან ვაგონეტკები—ყველაფერი ირხევა ნიკანორის ქვეშ—ცა და დედაიწა.

მარცხნისაკენ მიიხედა. ეს რაღაა? უმოძრაო თავი, ჩამოსხმული გულმკერდი მაღალ ქვაზე დაყრდნობილა. თავს გარშემო ეხვევა კვამლი და რკინის მტვერი აჯდება მხრებზე. მიუახლოვდა. ლენინის ბიუსტია.

შედგა... „აქაც... ისაა! რკინის შუა გულში... იქაც მიწის გაყოფის დროს... ის...“

დიდხანს იდგა. ფიქრობდა...

— ჩამოსასხმელი საამქრო საითაა?—ჰკითხა მუშას, გვერდში რომ ჩაურბინა.

— მარჯვნივ.

კედლებ შუა კორიდორი გაიარა. მარცხნივ საზეინკლო საამქრო დარჩა. წინ—სახარატო. ხშირ ფანჯრებში და შუშაბანდში კვლავ ატრიალდენ უთვალავ ბორბლიანი დანადგრები. ამათგან დაზგებისაკენ მოუსვენრად გარბოდენ ღვედები. და მხოლოდ „ჟ-ჟ-ჟ-ჟ“ ისმის მჭრელების კრაჭუნი, ჩამონაჭრები იკლაკნებიან და მოთვინიერებულ ვერცხლის გველებივით ქვეშ ეცემიან.

კორიდორიდან ვიწრო ეზოში გავიდა.

და დამზადებულ პროდუქციის გორა, თუჯის ნაწარმოები წამოიჭრა მის წინ.

ნახვრეტიანი დაფები, სქელი ფეჩის ზევითა ნაწილები, სხვა და სხვა ზომის რკინის ნაწარმოები ბრწყინავდენ მაგარი კიდეებით, აწვებოდენ თვალს, თავს და თავისი სიმძლავრით თავისკენ იზიდავდენ მას.

ახლოს მისვლა, დათვალიერება უნდოდა. მაგრამ მის თვალ წინ ახმაურდა, აქშინდა რაღაც საშიში და საზღაპრო გველაშაპის ნაპერწკლად ქცეული ცეცხლიანი ბოლო.

განზე მოეცალა და გაქვავდა.,.

ეს ჩამომსხმელი საამქროს კარების ოთხკუთხი ხვრელი იყო. მაგრამ თვით ხვრელი არ სჩანდა. მას ცეცხლის შადრევანი ჰფარავდა. ჯოჯოხეთურ თქეშად სისინებდენ და იბნეოდენ ნაპერწკლები, ლითონის შხაპები, თეთრი, წითელი და ორანჟის ფერი ნალეკი. ყველაფერი ეს მოფრინავდა კარებიდან და მილიან კედელივით ხურავდა შესასლევს. ხარხარით რახრახებდა ცეცხლში გადამდნარი ძალა, კოკსიდან და თეთრი დნობის ათასძალოვან ქურიდან რომ გამოვარდნილიყო და გიჟურ თამაშში გაბმული, ველურ ნავარდს ზეიმობდა და გარშემო არხევდა ადულებულ და აუტანელ დულილის ძლიერებას.

თვალებში ყვითელ-მწვანე წრეები დაუტრიალდა.

„თითქოს ჯოჯოხეთია!“

... ხელახლა მოულოდნელად ისევ გამოჩნდა მიშა. იგი კვალდაკვალ მიყვებოდა ნიკანორს და უთვალყურებდა მის ყოველ მოძრაობას, მისგან შეუმჩნეველი, ტყავებში გაკრული, ჩუგუნისა და ფოლადის შუქით ნიღაბ აფარებული. ეხლა კი ნიკანორს მიუახლოვდა.

— ხარხარებს? აი სწორედ ეხლა წამოვიდა ვაგრანკა. მაშ, გავსწიოთ!

— საით?—ჰკითხა ნიკანორმა და თვალს არ აცილებდა შესავალს.

— სწორედ აქ, ჩაოსასხმელში.

ნიკანორმა თვალები შეაშტერა. „დამცინის თუ მართლა ამბობს“.

— როგორ? განა აქ შესვლა შესაძლებელია? ცეცხლში... კარები სადაა?

— ჰე! ეს რა ცეცხლია! ვაგრანკა ცოტას აფურთხებს და ისაა. ხედავ ქვემოთ კარის ყურს. ცოტა დაიღუზე, თავი დაიფარე და პირდაპირ შეხვალ.

— და იქ კი?

— არაფერი. თქვენ იქაც ხომ ცეცხლი არა გგონიათ? იქ ცოტა კვამლია მხოლოდ. აბა გაძვერით.

ნიკანორი არ იძვროდა. განა შესაძლოა ამ ვარვარებაში შესვლა? მიშა დასცინის, „ცდის“ მას.

მაგრამ მიშა არ ხუმრობდა.

—აბა, მომყევი!—დაიძახა.

და მან დაინახა, რომ მიშამ ხელებით თავი დაიფარა და კარის უკანა კუთხეში ჩაყვინთა, იქ სადაც ლურჯი კვამლი ბურავდა. იშვიათი და მოღლილი ნაპერწკლები იქ ულონოთ ჰქრებოდენ. მაშინ მანაც გადაიფარა თავზე კალთა და მიშას კვალზე გაძვრა.

პირველ შესვლისთანავე ყველაფერი ყვითელ და ლურჯ ბურთებათ აირია. სადღაც ყვირილი ისმოდა და შიშინსა და ბოლში იძროდა ლანდები.

— აბა, მოერიდე!—დაიძახა ვილაცამ.

— ნიკანორ, აქეთ! მეორე მხრიდან მოესმა მას. პროხორი უძახოდა. და კვლავ ვილაცას მკვახე ხმამ უბრძანა;

— განზე დადექ! მარცხნისკენ დაიჭირე! რას დგეხარ თითქო...

და ორმა რკინის კეტზე გაატარეს მძიმე ღია ჭურჭელი და გაქრენ.

— მიშა, სადა ხარ, ვერაფერს ვერ მხედავ,—დაუძახა ნიკანორმა.

— აქა ვარ!—ბოხად მოესმა საიდანღაც პასუხი და ჩაიძირა სილაში და კვამლში.

აუტანელი მხურვალება შეუძვრა ტულუპ ქვეშ, უჯდებოდა ძვალში, რბილში, გაატანა ძარღვებში, მოულოდნელ და ცხელ ოფლად სახეზე დაასხა.

უეცრად გვერდის კარებიდან თეთრმა სინათლემ შემოანათა. გადამდნარ თუჯის სუნი ეცა ნიკონარს. მაღალ ვაგრანკიდან მწველი თეთრი ნაკადით წამოვიდა თუჯი და უხმოდ, რბილად გაივსო მითი ერთი ჭურჭელი, მეორე, მესამე... ჭურჭლები შეირხენ და გაჰყვენ მავთულებს, გაცურეს საამქროს გასწვრივ. იგი უ'ვე ხედავს დაზგებს, ფორმებს და სილაზე მოლოდინე მუშებს—თვითეული თავის ალაგას დგას და მზათაა ვედროდან ამ საშინელ სითხისაგან თავისი ულუფა მიიღოს, ჩაასხას იგი ფორმაში და შემდეგ გამაგრებული და განახლე-

ბული გადაისროლოს ქვეყნის მოსახმარებლად. მათი შავი სახეები ოფლშია ამოვ-ლებული. ხელები თვალით დაუჭერელ რიტმში ქანაობენ და სახელურებიდან და ზუსტ მოძრაობიდან ირხევა კვამლი.

— სხვა, როგორაა იქ მინდვრებში, თქვენი საქმე?

მიუახლოვდა წამოწითლებული და სახე გამურული დაბალი და ჩასკვნილი მუშა. მეგობრული ღიმილით გადახედა მან ნიკანორს, ამოიღო ჯიბიდან თამ-ბაქო და გაიკეთა პაპიროსი.

— მოდის პური?—განაგრძო.

— ამოვიდა... მიწაზე კარგა აჩნია,—რაღაც უხერხულად მიუგო ნიკანორმა, რომ დაათოვდეს—კარგია.

ამ წუთში მოისმა ოსტატის ბრძანება:

— აბა, ყური უგდეთ! აბა! პედო! ღრუბელი არ გამოვიდეს! მოიტათ!

მუშამ პაპიროსი პირში უცებ შეატრიალა და სადღაც თავის ადგილისა-კენ გავარდა.

ხელახლა თუჯი. მოდის საშინელ ნაკადით, თითქო მზათაა ყველაფერი დასწვას თავის გზაზე,—ხელი, ფეხი, ნახევრად აქციოს ადამიანი...

— ეს ხომ სიკვდილია,—უთითებს მის მხარეს ნიკანორი.

— სიკვდილია,—ესროლა მიშამ სიტყვა,—მაგრამ რატომ უნდა ჩაუვარდე პირში მაგ ეშმაკის კერძს! ფორმებში უკრათ თავი, ის არა სჯობს! თუმცა ყო-ფილა შემთხვევა...

ნიკანორი იდგა და გარშემო იხედებოდა, ეძებდა იმას, პურზე რომ სიტყვა ჩამოუგდო.

ეს ლურჯი გაბოლილი ადამიანები გაუგებარი და არა ნამდვილები იყვენ მისთვის. „როგორ? და ასე მთელი სოცოცხლე რკინასა და ფოლადში! წვეთ-წვეთად მიდის სილაში, ჩუგუნში ძალა... და ვერც დაიბრუნებ. დაილია და აღა-რაა. სულ ცხელ ოფლში დაიხარჯა... ძვალი, რბილი, ძარღვები სულ ამას მო-უნდა... ჟანგი ფარავს მათ. მოვა დრო, ხელებს ვერ აამოძრავებ და სამუშევარზე ვერ გახვალ. აღარაა ის ძალა, რომ გქონდა. და არც ქოხი გაქვს... არც ეზო... არც ნახირი... მხოლოდ პატარა სკივრი ღა გაგაჩნია, პროხორს რომა აქვს. მასში კი მუშის მთელი ავლა-დიდება—ახალი შარვალი და ჩექმებია“.

მოიქანცა სხეულით. თვალები ნისლში დასცურავენ, თავში რაკუნი გაუ-დის. საშინლად მოუნდა ჰაერზე ყოფნა.

— ეზოში მინდა გავიდე. საითაა, მიშა?

— აქეთ,—გაეცინა მიშას,—მომყევი.

ნიკანორმა რხევით მიაწია კარებს.

მოღუშული ცის ნაჭერი, რომელიც გზათ შეხვედრილ შენობთა შუა აყუ-დებულ საკვამლე მილებს გულგრილად ასხამდა წვიმის ლეჩაქს, უსაზღვრო და სუფთა სივრცეთ მოეჩვენა.

ნიკანორმა მიმოიხედა, მაგრამ მიშა აღარ იყო, თუმცა ის თითქო მას გა-მოყვა. იქვე რკინის ნაჭერზე ჩამოჯდა და ხარბად ჰაერი შეისუნთქა, თან ისე გაიზმორა, რომ სახსრებს ტკაცანი გაუვიდა.მას თვალწინ წამოუდგა მინდვრები და მოწყენილი საღამო, როდესაც ცის ტატნობზე მძიმე ღრუბლები მიმოდიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ და პროხორი ეუბნებოდა უნდა გავიქცეო... და უეცრად იგრძნო, როგორ შეირყა მიწა ჭისკარში შემოსულ საბარგო მანქანების ბრაგვანი... ეგრძნო ეს საშინელი ძალა. ადგა და ქუჩისკენ გასვლას ეპირებოდა.

— უკვე მიხვალთ,—მოესმა უკანიდან.

მიშა იდგა და იღიმებოდა.

— სადა ხარ? აქედან გასვლა მინდა.

— რატომ? ის იყო წუთით სამანქანოში შევირბინე. თუ გინდა გავიდეთ. მაგრამ აი აქ, ცოტა ქვევით, საწყობია. გინდა ნახოთ? სწორედ იქ ორი ათასამდე სახნისი აწყვია.

ნიკანორს თვალები გაუბრწყინდა.

— საკკოს სახნისებია?

— რატომ საკკოს? ჩვენი! საბჭოთა სახნისებია. აი ვნახოთ.

წაიყვანა საწყობში, და აქ, კარის ჩარჩოს მიყრდნობილი, ნიკანორი გაჰყურებდა დაუბოლოებელ მაღაზიის სიღრმეს, სადაც ტარებით მაღლა და ქვემო ნაწილით სილაში ჩაფლული, უთვალავ რიგებად იდგა ახალი და ახლად შეღებილი სახნისები. და იმ წუთში წარმოადგინა, რომ მუშის სხეულის ნაწილები, ჯერ კიდევ მათი ოფლისაგან შეუმშრალები, მაღაზიის შავ კედლებისაგან მოღუშულები ისინი ჩალაგდებიან ათასობით ვაგონებში და ღამით, პირისპირ ქარიშხლისა და გრიგალისა, შორეულ მინდვრებისაკენ გასწევენ.

და ხელახლა თვალწინ დაუდგა ჩამომსხმელი საამქრო კვამლი, ბოლი და ხელახლა მოესმა შიშინი. ლურჯი ადამიანები სახელურებით. ეს ხომ ისინი არიან... იმათი კუნთები...

. . . . . .

დაიგუგუნა საყვირმა.

— ცვლისაა,—სთქვა მიშამ.—ეხლა მამა გამოვა. ერთად წადით სახლში, მე კი კიდევ მაქვს აქ საქმე.

დაიძრენ მუშები. ნიკანორიც შეერია მათ ნაკადს. ბეჭებით, გვერდებით, ხელებით ყოველი მხრიდან შებოჭილი მიიყვანეს ნიკანორი ჭისკრამდი—მოსაღამურებულ და ძველ ქუჩაში გაიყვანეს.

ზეიმამდი რამოდენიმე დღე რჩებოდა. ნიკანორი უკვე საბოლოოთ შეპირდა მიშას, რომ ამ დღეებისათვის დარჩებოდა.

— იმასაც შევხედო—როგორ წამოადგენთ. ვასკაც გამომკითხავს უსათუოდ ჰო, ისიც დამარტოებული ბიჭია...

— მაგრამ გასავალი რომ არა აქვს,—სთქვა მიშამ.

— მართლა და: კაცმა რომ თქვას, სიმართლეს ამბობ.

— მაშ ტყუილს ვამბობ! იცით რა? ჩადით და გამოგვიგვიგზავნეთ აქ.

— ოჰ და მერე რაო?

— იყოს აქ. იქნება ჩვენ სადმე...

— მუშფაკისკენ ისწრაფვის. არ ვიცი...

და ის არ სთქვა, ვასკას მათ ბინაზე მოწყობასაც რომ აპირებდა.

— ისწრაფვის? საუცხოვოა. გამოგზავნეთ და ისაა,—მხურვალეთ უპასუხა მიშამ.

— მექანიკოსის ნაწილზე მინდაო—იძახის. სულელია. ვითომ და სახლში ლუკმა არ ჰქონდეს.

— მართლა მექანიკოსობა უნდა? მეც მაგას ვსწავლობ, ძია. მაშ, ჩქარა მოგვგვარეთ!

— მე არ გამოუშვებ. რა იმის საქმეა? მიწაზე იმუშაოს. მეურნეობა მართოს. ცხენის კუდები შეჰკრას.

— აბა რა საათქმელია! აი ზეიმის შემდეგ გამოგზავნეთ. აი თქვენც ხომ ნახავთ ჩვენ კლუბს, მგონია, თითონაც შემოგვეხვეწოთ ჩვენ ქარხანაში მიღების შესახებ.

ნიკანორმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ეს არ იქნება. თქვენ კი ასეთი წილი გხვდათ. და ვინ იცის, იქნებ, ვასკასაც,—ფიქრიანად დაუმატა,—მე აქ ბევრი რამ ვნახე. საკვირველი ხალხი ყოფილხართ.

— საკვირველი?

— სხვანაირები. თითქოს თქვენც რკინისა ხართ. უთუოდ სისხლის მაგიერ თქვენში თუჯი ჩქეფს.

— ეს კარგად სთქვი, ძია! სხვას რომ ეთქვა არ დაუჯერებდენ. თქვენ კი დაგიჯერებენ.

— არ ვიცი დამიჯერებენ თუ არა და ახლა კი ვხედავ.

რაღაც კიდევ უნდა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია—სიტყვა ვერ გამოენახა. შემდეგ დაუმატა:

— სიკვდილი კი უკან დაგდევთ.

მიშას გაეცინა.

— იგი ყველას დასდევს. და ყველაზე უფრო იმათ, ვინც სულ არ ფიქრობს. ჩვენი აყოლა ეხლა მას ხელს არ მისცემს.

* * *

ამ საღამოს მიშამ საჩქაროდ ისადილა თავის ცვლის შემდეგ და ხელახლა ქარხნისაკენ გასწია.

— დღესაც მიხვალ?—ჰკითხა დედამ.—ეს საღამო მაინც შინ გაგეტარებია. აი ძიაც მალე მიდის. დარჩი ჩვენთან.

— ნუ მიხვალ მიშა, კარგი!—უთხრა პროხორმაც. უშენოთაც არა უშავთ. ნუ მიხვალ, თუ ხათრი გაქვს.

მაგრამ მიშა მაინც წავიდა. ორი დღე რჩებოდა. დღეს გენერალური რეპეტიცია იქნება. მან თითონ უნდა გაუშვას ელდენი, უნდა ნახოს როგორ განათდება დარბაზი, როგორ იტრიალებს ვარსკლავი. უმისობა როგორ იქნება? შეიძლება ვისმე დენი მოხვდეს. როგორ შეიძლება, უნდა წავიდეს.

წავიდა,

ამ საღამოს კლუბში საზეიმო წარმოდგენის მონაწილე „ლურჯ ხალათიანები“ შეკრებილიყვენ. მიშამ გაიხედა სცენისაკენ და იმ წუთსავე გაარჩია მათში ერთი... მას დედა მისის სახელი ერქვა—მაშა.

შეანათა მას თვალები, როგორც კი კარებში შესული დაინახა.

— გაუმარჯოს ძმა-ბიჭებს!—დაუძახა „ლურჯ ხალათიანებს“.—აბა, გადამწვარ თეატრის მსახიობებო, ამ წუთში გაქრით სცენიდან.

— აბა, აბა,—ხმა მისცეს იმათ,—ჩვენ აქაც კარგადა ვართ.

— მაგრამ მაინც აჯობებს თუ ქვევით ჩახვალთ. აქ ყველგან ელგაყვანილობის მავთულებია და დენის გაშვების დროს არ ივარგებს, რადგან ყველაფერი მზად არაა. ამიტომ, მართლა გეუბნებით, დაიკარგეთ აქედან. თორემ ვისმე რომ ეცეს.

შევარდა სცენაზე და ის იყო მოასწრო მაშას ცხელი თითების დაჭერა.

— გამარჯვება,—წაუჩურჩულა.

მერე ტუჟურკა გაიხადა და კისერზე დახვეული წვრილი მავთული შემოივლო.

— აი ამას ფარდისათვის გავმართავ, შემდეგ კი... ხომ უთხარი იმათ მიაჰედეთ მეთქი—არ გაუკეთებიათ. რა ხალხია! ესეც მე უნდა გავაკეთო.

მიაყუდა გასაშალი კიბე და რომ მავთული მიემაგრებია მაღლა ასვლა იწყო. „ლურჯ ხალათიანები“ დარბაზში ჩამწკრივებულ სკამებზე ისხდენ, თამბაქოს ეწეოდენ, ქალიშვილებს ეკურკურებოდენ.

ხარხარი იდგა. ყველასთვის აშკარა იყო: ოქტომბრის ზეიმი დგება, იქნება სიწითლე და მხიარულება!

დახვეულ მავთულის ერთი ბოლო მიშამ გორგს გამოაძრო და კუთხეში, იზოლიატორის დაფას მოუმარჯვა.

მაშა ყოველ მის მოძრაობას თვალს არ აშორებდა.

მისი ღონიერი და მოქნილი ტანი ახალი პერანგის სითეთრით მოსჩანდა სცენის ნახევრად ბნელ კუთხიდან და ხან საშიშრად გადაიწევდა კიბიდან; ხან კი ძალის დაჭიმვით გარინდული რომელიმე დაბრკოლების გადასალახავად იბრძოდა.

აი ის თითის წვერებზე შედგა. ნელნელა ხელები გაიშვირა.

— არ ჩამოვარდე, მიშა,—ჩუმად უთხრა მაშამ. მაგრამ იგი მაგრად იყო. გაფრთხილების პასუხად მან გაიცინა და ქოჩორი შეარხია: ნუ სწუხდებიო. ამას უკვე მორჩა, ეხლა ის დარჩენოდა, რომ მავთულის მეორე ბოლო მიემაგრებია დარბაზში მყოფ ბოლოსთვის. ამის შემდეგ მავთული შეუერთდება დაფას – და გათავდა. ცუდია, რომ მავთული არაა. ეუბნებოდა არ გვეყოფა, იყიდეთო,—არ უყიდიათ. მაგრამ ჩვეულებრივი მავთულიც გამოდგება.

— ჰო და, რას გაანათებს ილიუმინაცია!

მას დიდ სიამოვნებას გვრიდა ის, რომ ამ საქმეში ბევრი ზრუნვა, შრომა და ფანტაზია ჩაედო. მაშაც გრძნობს ამას. ის თვალებს უნაბავს, იცინის. და როგორ გაუკვირდება ძია ნიკანორს. მას აღდგომასაც კი არ უნახავს ეკლესიაში ისეთი განათება, აქ რომ იქნება.

— ბიჭებო, აბა ეხლავე, ვამაგრებ...

— რას შვები, ჩქარა!

— ერთი წუთი. გაიქეცით ვინმე მექანიკოსთან. სინათლე მოუშვას. სანამ მე აქ...

უცებ ის შეინძრა.

მავთულიანმა ხელმა ჰაერში გაიელვა.

ბოლო რაღაცას წამოედო. დარბაზში ასობით სინათლე გაჩაღდა... იმავე წამს ერთი მოკლე კვნესა აღმოხდა მკერდიდან მიშას და ის მოცელილივით დაეცა სცენაზე. პირველად ვერავინ ვერაფერი გაიგო. მხოლოდ ყველას ერთბაშად ერთ წამში, გაუფართოვდა თვალები და სახეები თითქო გაუქვავდათ. შემდეგ ყველა თავის ადგილიდან წამოცვინდენ.

— დენია!!!

— ვინ აუშვა დენი?!

— გამორიცხეთ!!! გამორიცხეთ დენი!!

მიშა ააბტუნა მაღალისაკენ და თავი რამპას შეუტაკა.

მაშა მივარდა მასთან. ეცა იზოლიატორებს. ვერაა... ვერ ნახა... მოჰქაჩა მისი ხელი—უნდოდა მავთულისგან მოეგლიჯა, მაგრამ თითონ კედლისაკენ გადაისროლა.

ვილაცამ დაიყვირა:

— მონტიორს დაუძახეთ!!!

ვილაცამ გაიმეორა:

— მონტიორს...

ვილაცამ რელსის ნაჭერი დაარტყა დაფას.

. . . . . .

დამარხეს მიშა. სევდიანი ზეიმი იყო. ძველი პროხორი არ ტიროდა, მხოლოდ სულ გაშავებულიყო, თითქო შიგნით ყველაფერი გადასწვოდა. ნიკანორი სახლში წასასვლელად მოემზადა. პატარა ოთახში ბინდი იდგა.

მაშა დამუნჯებულ სასოწარკვეთით საწოლზე იწვა. მისი მოქანცული გამშრალი თვალებით უაზროდ მისჩერებოდა კედლებს.

ნიკანორმა მოიკიდა ტომარა.

— მშვიდობით, ძმაო,—უთხრა მან პროხორს.—მშვიდობით, მაშა.

შემდეგ თავი ჩაღუნა და თითქო თავისავე ძველ ნაფიქრს შეეპასუხაო, ჩაილაპარაკა:

— აი მისი პრაქტიკის ბოლოც...—და შემდეგ მოკლედ და ყრუთ, მთელი სხეულით, აქვითინდა...

— რა კაცი იყო...

პროხორი წამოდგა სკივრის თავიდან. უკვე სამი დღეა ის ქარხანაში არ ყოფილა. თავზე თმა გაუთეთრდა და გაუპარსავი ახორკლილი ყბები ახალმა ნაოჭებმა დასერა.

— წამოდი. გაგაცილებ.

ქუჩაში გავიდენ და გარეუბნისაკენ გასწიეს. ნიკანორი სდუმდა ისე როგორც პროხორი. და როცა ქარხანას მიუახლოვდენ, ნიკანორი ხელში სწვდა ძმას და აღელვებით, მთელი გულის ძალით ჩასჩურჩულა:

— წამოდი სოფელში. მიწის ნუ გეშინია, არ მოგკლავს. გახსოვს მამის სიტყვა?

პროხორი შეჩერდა. სისხლით ავსილი, დამძიმებული თვალებით შეხედა ძმას და პირველად შვილის სიკვდილის შემდეგ ძალის ძალად გულიდან ამოიღო მშრალი, დამწველი სიტყვა:

— მიწაზე წამოვიდე? ნუ თუ ეხლაც ვერ გაიგე? შენ ჩაუფიქრდა...

თავი გააქნია და გახედა მუშებს მოხეთქილ ზვავივით რომ ბეჭუნებოდენ ქარხნის ჭისკრისაკენ, ცვლისათვის.

— მოიხედე აქეთ,—მიუთითა მათზე პროხორმა,—შეხედე ამათ! ვერ შეაჩერებ... შენ რომ დილით მინდორში გადიხარ, ტოროლა შემოგეგებება, მიწა შენთვის ფშვნის სურნელს. აქ კი იგი კვნესის, ძარღვები ისე აქვს დაჭიმული რომ სადაცაა ველარ აიტანენ...

— რჩები?—თითქო ჰკითხა თუ დაუდასტურაო ნიკანორმა.

პროხორმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ მშრალი და ანთებული თვალებით ძმას გადახედა.

შემდეგ მიეყრდნო კედელს, სახე დაიფარა და აკვნესდა.

— მიშა, ჩემო ბიჭო, მექანიკოსო... როგორ ვერ აიცდინე ხიფათი?.. რა ტყუილა დაიღუპე...

ნიკანორი იდგა დადუმებული და სულის დასამშვიდებლად სიტყვა ვერ ენახა. და უეცრად... ამოსცურდა მის წინ ნახევრად ბნელი საწყობი და დაუსრულებელ რიგებად ჩამწკრივებული სახნისები... მათ კიდევ ასდიოდათ ახალი საღებავის სუნი და თითქო სილაშიც კი გადადიოდა რაღაც უხილავი ძალა: მისგან ოფლით გაჟღენთილი ჰაერი გაცხელებულიყო. მაღაზიის კარებში უხმოდ სდგას მიშა და სახნისებისაკენ იშვერს ზეთისაგან გაშავებულ ხელს:

— ჩვენია, ძია ნიკანორ. საკოსი კი არა.

ნიკანორს ჰაერი აღარ ეყო. მთელი ტანით წინ წაიწია, მოეხვია პროხორს, კუნთებში ისე გამოიმწყვრია თითქო შავი მიწით გარს შემოერტყა და უთხრა მას, ქარხანას და კვამლში და გრიალში ატრიალებულ ძრავებს:

— მშვიდობით, ძმაო... სიკვდილამდე არ დამავიწყდება. და თუ ვასკა მოვიდეს, უპატრონე... ღვთის წინაშე...

უკან დაიხია, უკანასკნელად შეხედა ქარხანას, საკვამლე მილებს, მოდარაჯე მდევებივით რომ ცამდე ამართულიყვენ და მძიმედ გასწია ქვაფენილებზე.

როდესაც ქუჩა გათავდა და მის სტეპში შემოდგომის დაუსრულებელ გრძელი, დაკლაკნული და წყალგადავლილი გზა გაიმართა, ნიკანორს ოცი ადგილიდან ერთად უეცრად მოესმა როგორ დაიგრიალა მის უკან გარეუბანმა და მძლავრი ხმებით გადაიარა სტეპზე.

გუ—უ—უ—უ—უ—უ—უ—უ—უ—უ—უ!

უკან მოიხედა. იქ, უკან, სქელი კვამლი ფართედ ამოდიოდა და შენობის თავზე ჰქრებოდა.

თარგმანი: ალი ორბელიშვილის.

სერგო კლდიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლულუმას შემდეგ

მორჩილი ტანის გამხდარი ცხენი ნელი ნაბიჯით უნაგირა მთისკენ მიიწევს. შორს ფერდზე ეკლესია და მაღალი თეთრი სამრეკლო მოჩანს, არგვეთიდან დაწყებული აჯამეთამდე სამრეკლოს გარკვევით ხედავთ, თუ მთას ჯანყი არ შემოხვევია. ეს სამრეკლო ხშირად შუქურას მაგიერობას სწევს. თუ პირველად ხართ ამ მხარეში და ზედა-სიმონეთში მისვლა გინდათ, უსწორეთ შუქურას და ის პირდაპირ სოფელში შეგიყვანთ.

სადგურ სვირიდან სოფლამდე სულ ათი კილომეტრია, მაგრამ იღლებით ისე, თითქო ათჯერ ათი კილომეტრი გაგევლოთ. სვირიდან სოფელ ეწერამდე გზა ყვირილას ჭალებით მიიმართება. ეს გზა მესამედი მანძილია. როცა ამ მესამედს გაივლით, დანარჩენი ორი ნაწილი ადვილად დასაძლევი გეჩვენებათ. ეწერიდან სიმონეთამდე ტყე და ხეობებია, ეწერამდე კი დაუნდობელი მზე მიუჩვევ კანს ისე ჰკბენს, რომ ნემსის ჩხვრეტას გრძნობთ.

ბუზების ჯარი ცხენის თავს მისდევს. ცხენი მათ ყურადღებას არ აქცევს საერთოდ ცხენი ყურადღებას არავის აქცევს. არც ბუზს, არც მე, არც ჩემ წკნელს. თავდახრილი ლაფშ ჩამოარდნილი ფეხს მიათრევს. თითქო ჩაფიქრებულიც არის. ხანდიხან ტანი უთრთის. ამით გვრძნობ, რომ ზურგი სტკივა, ზურგი გადატყაული აქვს.

მცირე რჩევა მგზავრებს: სვირში ნაქირავებ ცხენს შინ მისვლამდი უნაგირი არ ახადოთ. ყოველ შემთხვევაში ზურგზე არ დახედოთ. თუ უნახეთ შეიძლება ასე მოხდეს: ცხენი ისე შეგეცოდებათ, რომ შუაგზიდან გააბრუნოთ.

სვირელი ცხენი მორჩილია, მაგრამ ამასთანავე ცოტათი ეშმაკი. ყოველ მდინარესთან, ღელესთან, რუსთან, წყაროსთან შეჩერდება და ცხვირს წყალში ჩაჰყოფს. სდგას დიდხანს. თქვენ გგონიათ რომ სწყურია, თუმცა გიკვირთ, რომ ასე ხშირად და ამდენს სვამს. ნამდვილად კი ის არ სვამს—სიარული უჭირს და ამიტომ სდგას. თუ გამოუცდელი ხართ, მოგატყუებთ. ორი საათის გზას საღამომღი გატარებთ.

უდიდესი ნაწილი იმ ადგილებისა, რომელსაც ახლა ფართო შარა სჭრის, წინად გიორგი ამილახვარს ეკუთნოდა. ამალახვარი მსხვილი მემამულე იყო. მეზობლად ანანოვი ჰყავდა. ერთმანეთს მეტოქეობდენ. ამილახვარს ქართლშიაც დიდი მამული ჰქონდა.

ჩვენებურ—განსაკუთრებით იმერეთის თავადებს არ გავდა გიორგი ამილახვარი. თავის საცხოვრებელს არ ფლანგავდა და არ აჩანაგებდა. პირიქით,—

საზღვრებს იფართოებდა, ანგარიშის კაცი იყო. პურისა და სიმინდის ყანები გაზიარებული ჰქონდა, ზვრებსა და ბაღებს კი დაქირავებული ხალხი უვლიდა აგრონომის ზედამხედველობით.

ამილახვარი კიდეც ლიბერალობდა. წარმოიდგინეთ დიდი მემამულე—ლიბერალი. თუმცა ლიბერალობის საზღვარი თავდებოდა იქ, სადაც საქმე მის პირად კეთილდღეობას ეხებოდა. ხშირად ამ ლიბერალობით ის მხოლოდ თავის საქმეს იკეთებდა. ხალხის თვალის ასახვევად. განსაკუთრებით 1905 წლის შემდეგ, როცა ამ კუთხეს არა ერთხელ გაუღვიძია მერკვილაძის რაზმის შაშხანების გრიალში. ლიბერალობა თუ სასარგებლო იყო, თორემ მავნებლობის მოტანა მას არ შეეძლო. ამილახვარი ცდილობდა გლეხებთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა.

— უარესს კიდო სჯობია! ირონიით ამბობდენ გლეხები მის შესახებ. რომ როგორმე მოეგო გლეხების გული და უზრუნველეყო თავი მათი „წყრომისაგან“—მერკვილაძის მოკვეთილი აჩრდილი კიდევ დიდხანს დაჰქროდა მაყვლარიანის სერიდან რიონის ჭალამდე—მებატონემ თავის საცხოვრებელ სოფელში გლეხებს „ცერკოვნო—პრიხოდსკოი“ სკოლა გაუხსნა... სულ ერთი მასწავლებელი და პატარა ქოხი... ყველაფერი ეს ძალიან იაფი ჯდება... ნასუფრალი ერგოს მათ, ვინც ამ მდიდარი სუფრის განწყობისათვის შრომობს... მცირე ხარჯი ანგარიშში ჩასაგდებათ არ ღირს, ხალხი კი მადლიერი იქნება.. ესეც ექსპლოტაციის თავისებური პოლიტიკაა.

ჭკუა არ აკლდა ამილახვარს და ცხოვრების გემოც ჰქონდა. ზესტაფონიდან რიონის შესართავამდე ძველ მებორნეებს მდინარე ყვირილაზე არა ერთხელ უნახავთ: ტივზე ქეიფობს მემამულე თავადი. ტივი ნელა მიცურავს. ტივზე ჰყრია სანოვაგე, დოქებით ღვინო, მედუდუკენი. ღამე ნათევი ამილახვარი გრილ მდინარეზე ლხინს აგრძელებს. გვერდით რამოდენიმე მეგობარი უზის. ხანდახან კი მარტოა, თუ მეზურნეებს არ ჩავთლით. თუმცა მედუდუკენი რა ჩასათვალია ისინი მხოლოდ ჰანგის გამომცემი სულიერნი არიან. ამილახვარს სოფელ ზედა-სიმონეთში ერთი მეგობარი ჰყავდა—ანდრია მ—ძე. ანდრია საინტერესო ტიპი იყო. მის შესახებ ქვევით.

ის ადგილები, რომელსაც წინად ამილახვარი ფლობდა, ახლა კოლექტივის ხელშია. აქედან საგრძნობ ნაწილს სიმონეთის კოლექტივი ამუშავებს.

რამოდენიმე წელიწადში მრავალი რამ შესცვალა და აღარც ძველი მებატონე არსებობს. დიდი ხანი არაა, რაც მოკვდა.

ვისაც კიდევ რამოდენიმე წლის წინად უნახავს იმერეთის სოფლები, ისგაკვირვებულა უამრავ ღობე—ყორეს დანახვით. მიწის ყოველი ნაკვეთი ღობით იყო შემოვლილი. არც თუ ისე უბრალო მოვლენაა ეს ღობე. ჩვენი წარმოდგენით ღობე და ყორე საჭირო იქნებოდა პირუტყვისაგან ნათესების ან რგულების დასაცავად. ხანდიხან ასეა, უფრო ხშირად კი არა. იმერული ღობე წვრილ მესაკუთრეების ფსიქოლოგიის საუკეთესო გამოსახულებაა. ამიტომ იყო, რომ როგორც კი იმერეთის სოფელში კოლექტივის პირველი ჩანასახი დავინახეთ, პირველადვე იერიში ღობეზე იქნა მიტანილი. განსაზოგადოებულ მიწის ნაკვეთს, კო-

ლექტიური შრომის პირველი პიონერები, აცლიდენ ლობეებს, დაახვაგებდენ მას და შემდეგ ცეცხლს უკიდებდენ. სწვავდენ თითქო რალაც უწმინდურს.

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ლობის დარღვევის მნიშვნელობა ძნელად წარმოსადგენია, იმერეთში კი ეს მთელ რეოლიუციას უდრიდა.

ლობეს მარტო ქვისაგან და ნაკელისაგან არ აკეთებდენ. არსებობდა აგრეთვე „ცოცხალი ლობე", ანუ; მიწის ნაკვეთის გარშემო რგავდენ კომშის ხეს. წამოიზრდებოდა თუ არა რგულები, ნორჩ ხეებს ერთმანეთში ისე გადაწნავდენ, რომ მასში წიწილაც ვერ გაძვრებოდა. ასეთი ლობე იმის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო რომ მისი გამკეთებელი მეტად მუყაითი მეურნეა. დიდი შრომა აურაცხელი დრო და ხარჯი სჭირდებოდა ლობეს. მაგრამ მიწის პატრონი ამ საქმეზე დახარჯულ დროსა და შრომას დაკარგულად არ სთვლიდა. პირიქით, ერთ—ერთ მთავარ საქმედ მიაჩნდა. ერთი ნააზნაურალი მეზობელი, რომელსაც გზის გაფართოების მიზნით ვენახი ჩამოუჭრეს, აჩეხილ ვაზს კი არ ნანობდა, გულის ტკივილით მეუბნებოდა:—რა ჟივოი იზგოროდი მქონდა, თვალს უხაროდა! ნეტა ის არ ეეჭრათ და შუა ვენახში გაეყვანათ გზა!

ახლა ლობეს თითქმის არავინ აკეთებს. ძველი გახმა და დაილეწა, ახალზე აღარავინ ზრუნავს. ნაწილი კოლექტივშია და მას ლობე არ სჭირდება, ნაწილი დღეს თუ ხვალ კოლექტივში შესვლას აპირებს და ამიტომ ლობეზე აღარ ფიქრობს, დანარჩენი ნაწილი კი "აღარ ეძებს". სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს „არ ძიება" უკვე ბევრ რამეს გვეუბნება. ამ „არ ძიებაშიც" მოსჩანს სოფლის მეურნის სულიერი გარდატეხა. მისი მიდრეკილება „ცალკე სამთავროს შექმნისაკენ დარღვეულია.

ყვირილას ხეობის ყანები თავდება. პატარა აღმართი და შემდეგ სოფელი ეწერი იწყება. ცუდია ეს მიწა წითელი, აყალო თიხნარი. სიმინდის ღერო დაბალია და მოყვითალო. თითქო მალარიით დაავადებული. სამაგიეროთ ვენახია კარგი.

— შემოკარი ცხენს, შემოკარი! უეცრად ხმა მესმის.

ვხედავ შუახნის მამაკაცს მხარზე ცალიერი ტომრით. ოდნავ მოხრილი, გახუნებული თმა, შინ მოქსოვილი ხამის შარვალი და, ღმერთო შენ დამიფარე საკვირველებისაგან, ძველებური კანდუქტორის მუნდირი თავისი კანტებით.

— დაუბრიყვებიხარ ცხენს.. გამარჯობა შენი!—ცნობის მოყვარე, ეშმაკური თვალით ათვალიერებს ცხენს, შემდეგ მე.

— ექიმი ბრძანდები?

პირველად არ მესმის ეს კითხვა. პლაშჩი, კეპი და ხელში პატარა ჩემოდანით სოფლად არა ერთი შეცდომაში შემიყვანია.

— არა ექიმი არა ვარ.

გლეხი ეჭვით მიყურებს.

— უხ, აბა მე ტყუილა ჩამექცა ნაღველა სირბილისაგან, სხვამ მითხრა სოფლისაკენ ექიმი მიდიოდაო და გამოგზდიე. კიდო კაი, რომ ბელი ცხენი გყავს.

ყაბალახით წაკრულ შუბლიდან ოფლი ჩამოდის.

— ავადმყოფი მყავს. ოჯახობა გახლავს ჩვენი. მის მორჩენას არაფერი ეღირსა. შესამე კვირაა ლოგინათ ჩავარდა. რა არ მასწავლეს, არაფერმა უშველა. ხარჯი ხარჯათ მიდის, ადამიანს კი საშველი არ დაადგა. ხუთი თუმნის მარტო ექიმი და წამალი წევიდა..

— დაზღვეული არა ხარ?

— მე ვინ მაღირსებს მაგას..

— კოლექტივის წევრი არ ხარ?

წითურამ შემომხედა. თითქო დამაკვირდენ კიდეც მისი ჩხაკი თვალები.

— მთავრობის კაცა ხარ შენ?

— არა!

ახლა მეტის ეჭვით შემომხედა.

— არც მთავრობის კაცი ხარ, არც ექიმი.. აბა რა გინდა აქეთ?

— ზედა სიმონეთში სტუმრად მივდივარ.

— ჰო და აბა ქე გეტყვი.. რა მინდა მე კოლექტივში?

მისმა კითხვამ პასუხის მაგიერ, რომელიც უკვე პასუხს უდრიდა, ჩემთვის ნათელი გახადა რომ ის კოლექტივის მოყვარე არ ყოფილა.

— შეძლებულებში იქნება! გავიფიქრე.

წითურა ცმუტურა კაცია. ჩემი ცხენი ნელა მიდის, მაგრამ ცხენის ნაბიჯი მაინც ჩქარია ადამიანის ჩვეულებრივ ნაბიჯთან შედარებით და წითურას ფეხის აჩქარება უხდება. სჩანს, რომ მას ჯანმრთელი გული აქვს და ზოგიერთ ქალაქელივით არ ქელავს რამოდეიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ცხენს უკან არ რჩება, ხანდიხან მარდათ გადაახტება პატარა ორმოს, რომელიც ამომშრალ ტუმპეს გზაზე ბუდეთ დაუტოვებია.

— რა მინდა მე კოლექტივში? — იმეორებს კითხვას წითურა და ეშმაკურად მიცქერის, თითქო ამით მეუბნება: სულ ერთია პასუხს ვერ გამცემ. — კოლექტივი გადააშენა ჭირმა!.

— მე მუშა კაცი გახლავარ.. მუშა კაცს რა უნდა კოლექტივში?

— აბა იქ ზარმაცებია?

— ნამდვილად! გადაჭრით ამბობს წითურა. — მოგახსენო, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომე...

წითურა უეცრად გზის შესამოკლებლად ბილიკზე გადადის. როცა მცირე ხნის შემდეგ ერთმანეთს ისევ ვხდებით, მას უკვე აღარ ახსოვს (შეიძლება აღარ სურს დაწყებულის გაგრძელება!) რის შესახებ მელაპარაკებოდა. წითურას უნდა დაემტკიცებია ჩემთვის, რომ კოლექტივში მხოლოდ ზარმაცებია.. მაგრამ.. ბილიკი მისი მხსნელი აღმოჩნდა, დროით ააცდინა ცრუ მტკიცებას. ალბად თავისი ფანტაზიის საფანელა არ ენდო, თორემ თავს არ დაიზოგავდა.

აქამდი წითურა არ მასვენებდა ლაპარაკით, ახლა აღარც მე ვემვები. მისი ლაპარაკიდან მივხდი, რომ კოლექტივს ის რატომღაც გაუჭირდებოდა. პირველი ფიქრია: კულაკია ან შეიძლება...

მიზეზი მინდა გავიგო და შორიდან ვუვლი:

— წელს კარგი მოსავალი იქნება?

— დასტურ კაი იქნება, თუ აწი ამიდმა არ უღალატა!

— შარშან?

— შარშან? ნამეტანი ცუდი იყო, მესამედი ვერ ავიღე.

— გაგიჭირდა მოუსავლობაზე გადასახადის მიცემა?

წითურა გაოცებით შემომცქერის.

— რამდენი შეგაწერეს?

— ვის? მე? მე რა უნდა შემაწერონ?

— როგორ თუ რა უნდა შეგაწერონ?—გაკვირვებული ვრჩები მე, მოველოდი პასუხათ, რომ გადასახადმა წელში გასტეხა, რომ არ დაზოგეს, რომ.. ერთი სიტყვით მთელ რისხვას სოფლის საბჭოზე. ნაცვლად კი უდარდელ სახეს ვხედავ..

— რაც არაფერი მაქვს, რას შემაწერენ..

ამ წუთიდან ნამდვილ სფინქსად იქცევა ჩემთვის ეს კაცი.. ღარიბი შრომის მოყვარე—როგორც თითონ ამბობს— და ამავე დროს კოლექტივის მოწინააღმდეგე!.

მაგრამ სფინქსი მალე თითონ იხდის საიდუმლოების სამოსელს. წითურას ენა საკმაოდ მოუსვენარია, როგორ შესძლოს დაფაროს რამე!

— ჰო და, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემი გლახა რამდენიმე ქცევა ყველაფერს მირჩევნია.

— წითურას ენა თითქო ღობეს გამოედვა, აქ შეჩერდა, სიტყვა უეცრად გაწყვიტა. მერე ამომხედა ისე, თითქო უნდოდა გაეგო—მიუხვდი თუ არა რის თქმასაც აპირებდა? და როცა ჩემს სახეზე მხოლოდ სიმშვიდე ამოიკითხა, თითონაც დამშვიდებით განაგრძო:

— მარა მაინც კმაყოფილი ვარ. ჩემი თავის ბატონი რომ ვარ, ეს ყველაფერს მირჩევნია. წინად არც ამდენი მიწა მქონდა, მარა ქე ვცხოვრობდი მაინც.

— შენ კოლექტივის წინააღმდეგი ხარ.!

— ვინ მოგახსენა?—გაოცებულია წითურა—მთავრობის წინააღმდეგი ვარ მე? მაგისთანა თქვა ჩემმა მტერმა!

— შენ ხომ კოლექტივის წინააღმდეგი ხარ?

— რატო ვითომ?

— წელან არ სთქვი ჭირმა გადააშენოსო?

— შე კაი კაცო, ეს ორივე ვთქვი, სიტყვაზე, თვარა მე რა მენაღვლება, იყოს. ახალი მთავრობა ქე მინდა, მარა კოლექტივის რა მოგახსენო. ჩემს მიწას ნუ ჩამომართმევენ და მეტი არაფერი მიხდა. კოლექტივში შევიდოდა კაცი მარა ასე არ შეიძლება,თუ ჩემი მიწაც შიგ არ შევიტანე. ისე რომ შეიძლებოდეს — კოლექტივშიაც ვიყვე და ეს ჩემი ჩემად მრჩებოდეს კიდო, მაშინ ვინ ოხერი და მუდრეგი..

მე გამეცინა. წითურას, როგორც შევამჩნიე, ეწყინა.

ანგარიშის საქმეა რას იზამ! თუმცა ახლა ისე მიდის ჩვენი საქმე,—თითქო ნამუსს იწმენდს წითურა,—რო შევიდოდე შიგ აღარც ურიგო იქნება.

წითურა ერთხანს სდუმს. ხელს ატრიალებს, რაღაც ფიქრი აწვალებს

-ორივე მეზობელი, ჩემ გვერდით რომ აქვთ მიწები, გაისიდან კოლექტივში შესვლას აპირებს. აპირებენ კი არა, თქვეს და ის იყო.. მე იმათ შუაში ვარ მოტნეული. თუ შევიდენ და შეიტანეს თავისი მიწა კოლექტივში, ჩემი შუაში გაჩხერილი რჩება. ჰო და, ახლა ეს მითხარი, რა ვქნა მე?

— ადექი და შენც შედი!

— შედი.. შედი.! შე მამაცხონებულო, კი შევალ მარა..

როგორც იქნა ამ "ყოყმანის" საიდუმლოც სულ ადვილად იხსნება! თურმე არც ისეთი გულუბრყვილო და „საწყალი" კაცი ყოფილა, როგორც აქამდი მეგონა!

— რა „მარა"? — არ ვეშვები მე.

— რა და, არ შეიძლება..

— რატომ?

— ისეა საქმე!

— მაინც?

— რა, ყმაწვილო, და.. ისეა საქმე რომ, არ შეიძლება..

— არ გინდა?

— მე რომ მინდოდეს, იმათ არ ვუნდებვარ.. გეიგე ახლა?

— ვერა.. რა მიზეზიაო?

— რაო და, არ ხარ ჩვენი კაციო.

— ვითომ რატომაო?

— ინტერესია, ინტერესი.. აბა მეტი არაფერი.! მე რაცხა წელიწადში ერთი—ორჯერ ხელი მოვინაცვლო, ვის რას ვუშავებ ამით? ღარიბი კაცის ამბავი ხომ იცი? თუ ცოტას არ გეინძრა, სულ დეიღუპება.. მე რო სხვაზე მარჯვე და გადახედული კაცი ვიყო, ამიტომ შავ სიაშიც უნდა მომაქციო?

— ვაჭრობდი?

— რავა გეკადრება, სავაჭრო სუმა ვინ მომცა მე.! ხანდიხან ხარს ან ძროხას გავყიდდი, ეს იყო და ეს.. ამასაც მეზობლების ხათრით ვშვებოდი.. მთხოვდა გამიყიდეო და მეც უარს ვერ ვეუბნებოდ..

— ერთი სიტყვით, დალალობდი..

— ვდალალობდი კი არა.! შეგეფეთება ვინმე გამოთაყვანებული და ბებერ ხარს ან ბერწ ძროხას შეატყუებ. პირუტყვის პატრონიც მადლიერია და შეიძლება ერთი—ორი კაპეიკი მეც მერგოს იქედან. ესაა და ეს.!

— დალალი ყოფილხარ, დალალი!

— დეიჯინე ახლა ეგ!—წითურას ეკალივით ჩხვლეტს ეს სიტყვა.—აღარც მაგაშია ხეირი... ახლა სამტრედიიდან მოვდივარ. როგორც ხედავ, ხელცალიერი ვარ. საქონელი ყოველ კაცს ხორცის დამზადებაზე მიყავს. ჩემი დახმარება იქ არავის სჭირდება!

ნილაბ ახდილი წითურა ჩემთვის საინტერესო აღარ ის.

ჩვენ კიდევ დიდხანს მივდივართ ერთად. წითურა „ლულუმას" შესახებ მიამბობს. თუმცა მოკლეთ. არც მე მინდა ვრცლად მიამბოს. მე უკვე ვიცი ეს ამბავი. მან მხოლოდ ერთი მხარე იცის ლულუმასი. ეს ამბავი კი მართლა საინტერესო და სახასიათოა. ლულუმას შემთხვევა ახლო წარსულის საზიზღარი ფაქტია. ლულუმას გლეხების დიდი ნაწილი ახლა კოლექტივშია გაერთიანებული და სოციალისტურ სოფელს აშენებს. რამოდენიმე წლის წინად კი ისინი სრული განადგურების, ფიზიკური მოსპობის საფრთხის წინაშე იდგენ.

ლულუმას შესახებ თავის დროზე გიამბობთ. ახლა მე და წითურა გზაჯვარედინზე ვართ. აქ ვშორდებით ერთმანეთს. ის მარჯვნით უხვევს ძევრის მიმართულებით, ჩემი გზა პირდაპირ მიიმართება.

ჩემ წინ უნაგირა მთის კალთაზე სოფელი გადაშლილა. ეს ზედა-სიმონეთია.

— თუ ექიმი ბრძანდები, ნუ დაიზარებ, გამომყევი... რასაც შევიძლებ, მოგართმევ, აგერ სულ ახლოა ჩემი სახლი! — დამშვიდობებისას უეცრად მეუბნება წითურა.

მაშასადამე, აქამდე კიდევ იმის ეჭვში ყოფილა, რომ ექიმი ვარ და ვუმალავ.

— არა ვარ, ძმაო, ექიმი და ისე კი თუ გინდა წამოვალ და ვინახულებ შენ ავადმყოფს! — ვეუბნები ღიმილით.

მგონი ახლა კი საბოლოოდ დავარწმუნე რომ ექიმი არა ვარ. მშორდება გულგრილად. მაგრამ გაიარა თუ არა რამოდენიმე ნაბიჯი, უეცრად ისევ იბრუნებს სახეს და მიძახის:

— შენ წინ ცხენოსანი არ დაგინახავს? ჰო, კაი, კაი... ზედა-სიმონეთში მიხვალ ხომ? აბა მაგ გზას დაადექი, პირდაპირ აგიყვანს!

მგონი ძალიან ბევრი ვილაპარაკე წითურას შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არ მომსვლია, რომ ერთად საგრძნობი გზა გავიარეთ და ამ განვლილ სივრცის ამოვსება მინდოდა, ან და იმიტომ რომ დავწერდი ყველას შესახებ, ვინც კი უნდა გზაში შემხვედროდა. არა. მე უცბად გადაგიყვანდით ზედასიმონეთში და ამ სოფლის ორღობეების ჩრდილში აღარ გავიხსენებდი იმ გზას, სადაც ცხელი მზე კისერს ჯალათივით სწვავდა. მაგრამ წითურა საინტერესო მეჩვენა იმის დასახასიათებლად, თუ რა გარემოცვაში უხდება მუშაობა ზედასიმონეთის კოლექტივს და მის ხელმძღვანელს ამხ. კ ო ლ ი ა გ ი ო რ გ ა ძ ე ს. წითურა, ცხადია, კოლექტივის მტერია. მაგრამ ზედა-სიმონეთის კოლმეურნეობას მასზე უფრო ძლიერი კლასიური მტრებიც ჰყავს. ისინი თვალხილულათ თუ ჩუმათ ებრძვიან საბჭოთა სოფელს, კოლექტივს. მაგრამ ისინი საკადრის პასუხს ღებულობენ ღარიბ და მოკავშირე საშუალო გლეხობიდან.

II

სიმონეთში კულტურული მეურნეობის გასავითარებლად მშვენიერი პირობები არსებობს. სიმინდისა და ხორბლის გარდა კარგ მოსავალს იძლევა კართოფილი, ხახვი, ბამბა. კარგია ვენახი. ხშირად წელიწადში ერთ ნაკვეთ მიწაზე ორი პირი მოსავალი მოჰყავთ. პურისა და ქერის აღების შემდეგ სიმინდი ითე-

სება. თუ სიცივე ადრე არ დადგა, ნათესი მოსავალს იძლევა. ყოველ შემთხვევაში ჩალათ ვარგა. ალაგ ნიადაგი ძალიან კარგია და მოსავალს გაზრდა ადვილად შეიძლება, მაგრამ მიწის დამუშავება აქ თითქმის პირველყოფილ მდგომარეობაშია. შარშანდლამდი მთელ სოფელში არც ერთი უბრალო გუთანიც არ ყოფილა. არსებითად მხოლოდ მამა-პაპური სახნისი და კაჟიანი პურის სალეწი. უმეტესობა დღესაც ასე მუშაობს. მხოლოდ კოლექტივს აქვს მანქანები კოლექტივი არის მუშაობის ახალ ნიადაგზე დაყენების პიონერი. აქამდე კი ისეთი აზრიც იყო, რომ შეუძლებელია ამ სოფელში არა თუ მანქანებით, ჩვეულებრივ გუთნითაც მუშაობა.

— გუთანი ვერ იმუშავებს და მიწაც გაფუჭდება!—საერთო აზრი ასეთი იყო.

25 წლის წინად დავითმა (მამამ) ბაბუას პეტერბურგიდან რკინის გუთანი გამოუგზავნა. სწერდა მით დაეხნა მიწა და მეზობლებისათვის რჩევა მიეცა ამ გუთანით ემუშავნად. გუთანმა პირველად სოფელში დიდი ინტერესი გამოიწვია. მის უნახავი არავინ დარჩენილა. ყოველ დღე დიდი მსჯელობა იყო გუთნის გარშემო. ნახავდენ, სინჯავდენ, ატრიალებდენ და ბოლოს ბრძნულად დაატანდენ:

— კაია მარა, ჩვენში არ გამოდგება... ფიცხია ჩვენი მიწა, ვერ ეიტანს!

ერთხელ სცადეს მითი ხვნა. ჩვეულებრივად ულელი ხარი გაუბეს· გასწიეს ხარებმა, მაგრამ გაუჭირდათ. გუთანი მიწის გულს ღონივრად სწვდა. სახნისზე მიჩვეულ ხარებს, ცხადია, კვალის გატანა გაუჭირდათ. ეს გარემოება საბედისწერო გამოდგა. ამის შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ტყუილი ხარჯი გასწია დავითმა, რომ გუთანი აქ არაფერში გამოსაყენებელია. გუთანმა ამით დაიწყო და დაამთავრა კიდეც მოღვაწეობა. გუთანი სახლის უკან „პოლქვეშ“ შეაგდეს და მიივიწყეს, მისი ჯაჭვით კი ღორი დააბეს.

ეს პირველი გუთანი იყო სოფელში და მგონი უკანასკნელიც 1930 წლამდე. მხოლოდ ამ წლიდან შემოიჭრა ის სოფელში და მოქალაქეობრივი უფლებაც მიიღო. ამ ჟამად კი სოფლის კოლექტივს აქვს 9 გუთანი, 8 ვერმორელი, 7 მათოხი, 4 ფორცხი და 2 სათესი. ამ ახალი მანქანებით კოლექტივი მარტო ზედა-სიმონეთში 82 ჰექტარს ამუშავებს.

— ჯერჯერობით საკმარისია!—მეუბნება კოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. კოლია გიორგაძე.

მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, ახალგაზრდა ენერგიული სახით, გიორგაძე მანქანებს სიყვარულით დასცქერის. ამ მანქანებთან ერთად იწყება სოფლის ახალი ცხოვრება. სიმონეთის კოლექტივს უკვე რამოდენიმე წლის ისტორია აქვს. თავიდანვე მას სათავეში უდგა ამხ. კ. გიორგაძე. მრავალი დაბრკოლება გადაიტანა ზედა-სიმონეთის კოლექტივმა, მრავალი ბრძოლაც, მაგრამ რწმენამ და შრომამ თავისი გაიტანა. დღეს ის უკვე მკვიდრ ნიადაგზე სდგას და მტკიცე საძირკველზე დაშენებული, ჩქარი ნაბიჯით წინ მიიწევს.

— ჩვენ ძალას არავის ვატანთ!—ამბობს ამხ. კოლია—და არც დავატანთ. იძულებით შემოორეული კაცი არც გვინდა. ვინც ბრმა არ არის და ვისაც გონება დახშული არა აქვს, ან განზრახ არ იხშობს, ის ხედავს ჩვენ გამარჯვებას ჩვენ მომავალს და ხალისით მოდის ჩვენთან!

კოლექტივის კადრი მართლაც მუყაითებისგან შესდგება. საქმეა აქ ისეა დაყენებული, რომ ყველა ხედავს და გრძნობს კოლექტიურად ეშინოს ყველა-ტესობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველაფერი ეს არა უბრალოდ და იოლად იქნა მიღწეული. მხოლოდ ძლიერმა რწმენამ თავისი საქმიანობის სისწორეში შეაძლებინა კოლექტივის ხელმძღვანელებს გამკლავებოდენ სიძნელეებს, გადაეტანათ ბრძოლა ძველ სოფელთან და ბოლოს კიდეც გაემარჯვათ.

გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ საქმის სულის ჩამდგმელი იყო და არის ამხ. კოლია გიორგაძე. ქვევით ჩვენ დავინახავთ, თუ პირადათ მან რა სიძნელეები გადაიტანა.

კოლია გიორგაძე ახალი სოფლის ახალი გლეხის მკაფიო სახეა. ის რევოლიუციამ მისცა სოფელს, რევოლიუციამ აღზარდა და აამოქმედა. ღარიბი გლეხი, ყოფილი მოჯამაგირე, იმპერიალისტურ ომის ცეცხლში გამოვლილი—917 წლის რევოლიუციას ის დახვდა როგორც საუკეთესო მასალა, რომლისგანაც ახალი ცხოვრების მშენელის გამოკვეთა შეიძლებოდა. ამჟამად ამხ. კოლია კომპარტიის კანდიდატია, საქართველოს ცაკის წევრი, კოლექტივის ხელმძღვანელი და სოფლის საბჭოს აქტიური მუშაკი.

რამოდენიმე ეპიზოდი მისი წარსულიდან:

— 1914 წ. სალდათობამ მიწია—მიამბობს ამხ. გიორგაძე.—წამიყვანეს. ამასობაში ომიც დაიწყო. 1915 წლის 15 აპრილამდე გერმანიის ფრონტზე ვიყავი. ამ დღეს კი ტყვეთ ჩავვარდი. ტყვეობაში 1917 წლის აგვისტომდე დავყავი. შენც იცი გაჭივრებას ჩვეული ვარ, მისი არ მეშინია, მარა იქ მაინც ნამეტანი შევწუხდი. ალბად ძალიან მაგარი კაცი ვიყავი, თვარა სხვასავით გადამიტანდა ტყვეობა. ჩემი თავი განწირული მეგონა, როცა ვხედავდი როგორ იხოცებოდენ ჩემი ტყვე-ამხანაგები. ხშირად მიფიქრია გაპარვა, მაგრამ როცა წარმოვიდგენდი ყველაფერს, რაც ამ საქმის შესასრულებლად იყო საჭირო, ჩემი სურვილი მხოლოდ ფუჭ ოცნებათ მიმაჩნდა. მეორე გრძნობაც მაჩერებდა. რომ წავსულიყავი, სად და ვისთან წავსულიყავი? ისევ ძველ ჯარში? ისევ ძველ მდგომარეობაში? ერთ დღეს ტყვეებს შორის ხმა გავრცელდა: რუსეთში მეფე გადააგდესო. ჯერ არ დავიჯერეთ, მაგრამ ბოლოს გავიგეთ რომ მართალი იყო. იმედი მომეცა. მეგონა ახლა მაინც გათავდებოდა ომი. მაგრამ დრო მიდიოდა და ჩვენ ისევ ძველ მდგომარეობაში ვიყავით. მაშინ კი გადავწყვიტე გაპარვა. აღარ ვეძებდი თუ გაქცევის დროს მომკლავდენ. აქ უკეთესი არ მომელოდა...

დალაგებით აუღელვებლად მიამბობს მთელ იმ საშინელებას, რომელიც ტყვეობიდან გაქცევისას შეემთხვა. ამ მართალ, ყოველგვარ ლიტერატურულ მოქარგულებას აცილებელ სურათთან რა მკრთალია ყველა ის პაციფისტური რომანების სტრიქონები, რომლის შთაგონებული ავტორები, რომლებსაც თოფის წამლის სუნიც არ უყნოსიათ, ომის დროს ადამიანის ტანჯის სურათებს აგვიწერენ!

— მგონი სამი თუ ოთხი დღე-ღამე დამჭირდა, სანამ ჩვენ საზღვარს მივაღწევდე. აქ პოლკის უფროსს გამოვეცხადე. დაავადებული აღარ გამაჩერეს და ორი თვით შინ გამიშვეს. ამის შემდეგ უკან აღარ დავბრუნებულვარ...

ოჯახი დაღუპულად სთვლიდა კოლიას. გამოტირებული ჰყავდათ. მეზობლებიც ნანობდენ ლამაზ, ახოვან ვაჟკაცს, იშვიათ მუყაიმ[illegible]ას და ახალგაზრდა ჭკვიან მეზობელს. მე მახსოვს რა დიდი სიხარული [illegible]ისმა მოულოდნელმა ჩამოსვლამ. მრავალს, ვისაც შვილი ან ძმა დაკარგული ჰყავდა, იმედი აღეძრა, რომ შეიძლება მათაც ასე უცაბედათ დაბრუნებოდენ. მაგრამ მხოლოდ ერთსა თუ რო ოჯახს გაუმართლდა ეს შორეული იმედი. მეტი აღარავინ დაბრუნებულა.

მენშევიკურ აგრარულ „რეფორმას“ ცხადია, არ შეეძლო სოფლის შემოქმედებითი ძალის ამოძრავება. რეფორმა, რომელიც ფაქტიურად ძველებურად სტოვებდა სოფელს, არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სოფლის ცხოვრებაში გარდატეხა მომხდარიყო და ახალი გლეხები გამოჩენილიყვენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ მიეცა ამხ. კოლიასაც იმისი საშუალება, რომ თავისი შინაგანი ძალა გადმოეშალა და მუშაობისთვის გასაქანი მიეცა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე ამხ. გიორგაძე გლეხების მოწინავე რიგებში ჩადგა. ყოფილი მოჯამაგირე, ღარიბი გლეხი, მენშევიკურ „რეფორმით“ გულგატეხილი, ახალ ხელისუფლებასთან ხელჩაკიდებული შეუდგა ის სოფლად ახალი ცხოვრების შენებას.

ამ მშენებლობაში დღეს მარტო არ არის ამხ. კოლია გიორგაძე. მას გვერდში უდგას 42 კომლი მხნე და გამრჯე გლეხები, ახალი მეურნენი, სოციალისტური სოფლის მშენებლები, კოლექტივის წევრები.

თუთხმეტიოდე წლის წინად კი ამ გლეხების რამოდენიმე ოჯახს არა თუ თავისუფალი და ახალ ნიადაგზე დაყენებული შრომა ეოცნებებოდათ, მათ უპირებდენ სრულიად აყრას იმ მცირე ნაკვეთებიდანაც, რომელსაც წვალებით ამუშავებდენ.

ეს იყო „ლულუმას“ ისტორია, სავსე ცინიზმით, ახალი თაობისთვის ზღაპრად საამბობი.

ამბავი ასეთი იყო: ქ. ქუთაისში მოხუც ქვრივის მ. მ—ძის ოჯახში ჩვეულებრივად საღამოს მაგიდას უსხდნენ და ჩაის შეექცეოდენ სტუმრები. ამათ შორის იყვნენ სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს წევრები, ნაშემოდგომევს სოფლებიდან ქუთაისში გასასეირნებლად ჩამოსული აზნაურები და მ. მ—ძის ნათესავები. მხიარულ ბაასში, რომლის დროს ხშირად იხსენებდენ წარსულ ახალგაზრდობას, ვიღაცამ სრულიად შემთხვევით ლულუმას სახელი წარმოსთქვა. ეს იყო საკმაოდ დიდი მიწის ფართობი, რომელზედაც რამოდენიმე ათეული გლეხის ოჯახი სახლობდა და მეურნეობას ეწეოდა. გაჰყვენ უცაბედათ წარმოთქმულ სახელს და ბოლოს ერთმა ეჭვი გამოთქვა:

— ბავშობაში ასე გამიგონია, რომ ეს ადგილები ჩვენი და თქვენი გვარეულობის უნდა იყვეს. ვითომ შესყიდული აქვთ ის გლეხებს?

ამ ეჭვმა ინტერესი გამოიწვია და ერთ სტუმართაგანს საქმის გამორკვევა მიანდვეს.

რამოდენიმე დღის შემდეგ კი ამ სტუმარმა ასეთი ამბავი მოიტანა:

— საბუთებიდან სჩანს, ადგილი ჩვენი ყოფილა. საბუთებიდან ის კი არ სჩანს, რომ გლეხებს შესყიდული აქვთ. შეიძლება შეისყიდეს, მაგრამ საბუთი

ამის შესახებ არაფერს ამბობს. მე ვებაასე ვექილებს და მათ მითხრეს: აღძარით საქმე, შეიძლება მოიგოთო... მეც ამ აზრის ვარ. აღვძრათ საჩივარი, მოვითხოვოთ მიწა მის კანონიერ მფლობელებს დაგვიბრუნონ. თუ მოვიგეთ, სომ კარგი,—თუ არა და, რას ვაგებთ. არც აქამდი გვქონდა, მაგრამ არაფერი გაგვჭირვებია...

დაიქირავეს ვექილები. აღიძრა საჩივარი. ვექილებმა გადაქექეს არქივი, გამოსძებნეს რაღაც სიგელები, მოითხოვეს ლულუმას გლეხებისგან ნასყიდობის ქაღალდები.

აწრიალდენ გლეხები, როცა სასამართლოდან უწყებები მოუვიდათ. სასამართლოში ისინი ამტკიცებდენ, რომ მათი ოჯახები დიდი ხნიდან ამ მიწაზე სცხოვრობს, რომ მიწა მათ საკუთრებას შეადგენს. გლეხებმა მოსთხოვეს მოპირდაპირე მხარეს მათი პრეტენზიების დამამტკიცებელი საბუთები. მოპირდაპირეთ მხოლოდ სიგელები ჰქონდათ, მაგრამ ესეც საკმაო აღმოჩდა და სასამართლომ დაადგინა: გლეხები ვალდებული არიან შეისყიდონ მიწა, ან უნდა აიყარონ და მომჩივან მხარეს ეს უამრავი ქონება დაუტოვონ.

ლულუმას გლეხებმა თავი აღარ დაიზოგეს, რამდენიმე ვექილი დაიქირავეს, უამრავი ხარჯი გასწიეს, განაჩენი განასაჩივრეს და... მოხდა სასწაული, საქმე მოიგეს.

მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. არც მოპირდაპირენი იყვენ გულხელდაკრეფილი. ახლა ესენიც უფრო შეიარაღდენ და ამოძრავდენ... საქმე უფრო მაღალ ინსტანციაში გადაიტანეს და კიდეც მოიგეს.

ექვსი თუ შვიდი წლის განმავლობაში გრძელდებოდა უთანასწორო ბრძოლა. მაგრამ ფემიდას სასწორი ძლიერთა ამა ქვეყნისათა მხარეზე უფრო და უფრო იხრებოდა და ბოლოს საბოლოოდ გადაიხარა. უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ სამართლიანად სცნო მემამულეთა მოთხოვნილება და დაადგინა: გლეხები დასტოვონ დასახლებულ ადგილებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიწას შეისყიდიან, თუ არა—აიყარონ. ამას გარდა გლეხებს ევალებათ სასამართლოს მთელი ხარჯების გაწევა და უკანასკნელი წლების განმავლობაში საიჯარო ფულის გადახდა.

ეს ბოლო განაჩენი გამოტანილი იქნა რამოდენიმე თვის წინად 1917 წლის რევოლიუციამდე. გლეხები ან უნდა აყრილიყვენ, ან ფული უნდა გადაეხადათ. ერთიცა და მეორეც საშინელება იყო. დაიწყო მოლაპარაკება. ერთის მხრივ ღარიბი გლეხები, წელში ისედაც გაწყვეტილნი შიმშილისგან, გადასახადებისგან, ომისგან. მეორეს მხრივ მიწის ახალი მფლობელები, რომლებიც კეთილშობილი სისხლისა და გვარის მატარებლების გარდა კარგი აფერისტებიც გამოდგენ. გლეხებმა აყრას ფულის გადახდა არჩიეს. განისაზღვრა თანხა, ვადები და აჰა, პირველმა ფულებმა დენა კიდეც დაიწყო, მაგრამ... ამ დროს რევოლიუციამ აღკვეთა ამ ბოროტი საქმის ბოლომდი მიყვანა.

სახტათ დარჩენ მამა-პაპეული ქონების მაძიებლები. მათი სიხარული მწუხარებით შეიცვალა. სიხარული კი თავდაპირველად დიდი იყო. უკვე წინასწარ იმართებოდა, ავანსათ ასაღებ ფულის ანგარიშში, სადილები და ვახშმები. ერთი

ორჯერ უსიამოვნებასაც ჰქონდი ადგილი: ზოგიერთი მეტ წილს მოითხოვდა. განსაკუთრებით ის, ვისაც ლულუმა პირველად მოაგონდა.

ყველაზე სახარბიელო ლუკმა ქვრივ მ. მ—ძეს ხვდებოდა, მაგრამ ამაში არავინ ედავებოდა. მხოლოდ ხანდახან გაუბედავათ იტყოდენ საყვედურს:—მაგ მამაცხონებულს ისედაც ბევრი მიწა აქვს, ქუთაისში კიდევ სახლები და დუქნები. ახლა ლულუმას მეოთხედიც ხელში იგდო. არც ასეთი სიხარბე ვარგა! მაგრამ მ. მ—ძეს ერთი „უბედურება“ სჭირდა და ამიტომ იყო, რომ მეტ წილს უბრძოლველად უთმობდენ. ეს უბედურება შემდეგი იყო: ქვრივი ცხოვრობდა იმ შემოსავალით, რომელსაც ქალაქში გაქირავებული დუქნები, სასტუმრო და სახლები აძლევდა. სოფლად და ყვირილის ხეობაში თუმცა დიდი მამული ჰქონდა, მაგრამ იქიდან სრულიად არაფერს ღებულობდა. სოფლის მთელი შემოსავალი სოფელში მცხოვრებ მის ვაჟს ანდრიას უნდებოდა. ანდრია ამითაც არ კმაყოფილდებოდა. ყოველ კვირაში დედისგან ღებულობდა კიდევ ფულს, ტანსაცმელს, თუთუნს და სხვას.

მხიარული კაცი იყო ანდრია. ბავშობაში ცოცხალი და დაუდგრომელი. მშობლებს იმედი ჰქონდა, რომ უფროს ძმებსავით ისწავლიდა და მათზე უკეთესიც იქნებოდა. მაგრამ სწავლისთვის გული არ ჰქონდა ანდრიას. თავიდანვე განებივრებული ის ადრე დაეწაფა ცხოვრებას. როცა მშობლებმა დაინახეს, რომ შვილი ქუთაისში ცუდ გზას ადგა, დაიქირავეს ფრანგული ენის მცოდნე კაცი და ანდრიას გააყოლეს პარიზში. პარიზში ანდრია მოხვდა საფრანგეთის უდიდეს მწერლის ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალების წინა დღეებში. იმ დღეს კი, როცა მთელი პარიზი ჰიუგოს საფლავისკენ აცილებდა, ანდრიაც ჩაერია პროცესიაში. ევროპიელები გაკვირვებული უყურებდენ მათ რიგში ადგომ უცხო ტომის კაცს, რომელიც გასაოცრად იყო ჩაცმული (ანდრიას ამ დღეს ჩოხა ცმია). უეცრად ანდრიას თავხედური აზრი მოსდის. ის არღვევს დინჯათ მიმავალ ხალხის ტალღას, კუბოსკენ მიიწევს და თავს აცხადებს საქართველოდან ჩამოსულ წარმომადგენლად.

ეს ამბავი ანდრიას ჩემთვის მრავალჯერ უამბნია.

— მივედი კუბოსთან. რაღაცას მეკითხებიან. მათი პარიზული ფრანგული მე აქა-იქ მესმის, იმათ კი ჩემი ქუთაისური ფრანგულით ვერაფერი გავაგებინე როგორც რიგი და წესი იყო ვერ ჩავაგონე, რომ საქართველოს წარმომადგენელი ვარ. ბოლოს დავწვდი მიცვალებულს. მინდოდა შუბლზე მეკოცნა, მაგრამ გამომწიეს. მხოლოდ ის მოვასწარი, რომ შუბლზე ხელი გადავუსვი. იმ დღესვე ვიშოვე მისი ლექსები, დავაჯინე ჩემი ჩამოყვანილი და ვათარგმნიე. მაშინ კი დავრწმუნდი, რომ ჩვენ აკაკის არ ჩამოუვარდებოდა და ღირსი ყოფილა ჩემისთანა წარმომადგენელი ხლებოდა!—ბოლო სიტყვებს მუდამ მთვრალი ანდრია ყოველთვის სიცილით ამთავრებდა.

პარიზში ანდრიას არაფერი უსწავლია. პარიზი მისთვის მხიარულების ულევი მადანი აღმოჩნდა. მაგრამ აქაც მალე მოსწყინდა. გაეპარა ზედამხედველს და მარსელში გაექცა. აქ იუნგად შედის გემზე და რამოდენიმე წელიწადს ხმელთაშუა ზღვაზე დაცურავს. აქედან აფრიკაში აპირებს წასვლას ოქროს მადნების აღმოსაჩენად, მაგრამ რატომღაც ამ განზრახვას თავს ანებებს და უეცრად ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თავი ამოჰყო საქართველოში. ამის შემდეგ ანდრია სიმონეთში ჩავიდა და დედის მამულში იწყო ცხოვრება.

რომ ცოტათი მაინც დაედინჯათ, ქალი შერთეს. მაგრამ ოჯახის მოკიდებამ ადრიას ბუნება ვერ შესცვალა. ანდრია არც ისე ხნიერი მოკვდა. არ ყოფილა დღე მის სიცოცხლეში, რომ ფხიზელი ყოფილიყოს. ღამითაც დაწოლის შემდეგ სამწყურვალოდ ღვინით დოქს იდგამდა და დილას დოქი უკვე ცალიერი იყო. ხანდახან ანდრიამ მოწყენა იცოდა. ეს იმ დღეებში, როცა ძასთან სტუმრები არ იქნებოდა. მაშინ ის სვამდა იმ მეზღვაურების სალღეგრძელოს, რომლებთანაც ხმელთაშუა ზღვაში ცურავდა და ალბად მეგობრობდა.

მარტო სოფლის შემოსავალათ ანდრია არ კმაყოფილდებოდა. მას ერთი მოჯამაგირე განსაკუთრებით იმისათვის ჰყავდა, რომ ქუთაისიდან ეზიდა ხორაგი, რომელიც სოფლად არ ი შოვებოდა.

საერთოდ ანდრია საფრანგეთით დაბრმავებული იყო და ფრანგული კულტურის გადმოღებაზე ოცნებობდა. თავისებურად მან ეს კიდეც განახორციელა: გამოიწერა ფრანგული ჯიშის კაბერნეს და შამპანიურის ვაზები და ეზოს ბოლოში საკმაოდ დიდი ვენახი გააშენა. მაგრამ ფრანგული ჯიშის ღვინო არავის არასოდეს დაულევია. მოკრეფის დროს ანდრია კაბერნეს და შამპანიურის მტნვნებში ჩვენებურ ციცქასაც, რქაწითელს, ძველშავს და დონდღლაბს ურევდა.

— ღვინო ყველა ერთია! — ამბობდა ანდრია — თუ კი გულს მოხვდა, გინდა კაბერნე იყოს და გინდა ჩვენებური კრახუნა, ყველა ერთია!

ასე ცხოვრობდა ანდრია და რაც დედა მისმა ლულუმა ამოიგო, ასეთი განზრახვა ჰქონდა: გლეხებისგან აღებულ ფულის ნაწილს ანდრიას საჭიროებისთვის გადასდებდა, ერთი სიტყვით ექნებოდა ფონდი ანდრიას კაპრიზების შესასრულებლად.

მაგრამ ეს სურვილი არ შესრულდა. თუმცა არც ანდრიას უცოცხლია ამის შემდეგ.

ახლა ანდრიას მიწები კოლექტივის ხელშია. ძველის ნანგრევებზე ახალი, სოციალისტური სოფელი შენდება. ლულუმას გლეხები ახალ, კომუნისტურ სოფელს საძირკველს უყრიან და ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის იბრძვიან.

ამჟამად კოლექტივში 42 კომლი შედის. ეს კადრი, შემდგარი შეგნებულ და შრომის მოყვარე გლეხებისგან, მტკიცე საფუძველს უყრის სოციალისტურ სოფელის მშენებლობას. ეს 42 კომლი მოსახლეობის 17 პროცენტს შეადგენს. ერთის შეხედვით ეს თითქო მცირე რიცხვია, მაგრამ დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ სოფლის გულისყური ამათ საქმიანობისკენ არის მიმართული.

კოლექტივმა თავიდანვე გამოიჩინა თავისი ძლიერი სასიცოცხლო ძალა, პირველ დღიდანვე ყველამ დაინახა, რომ მისი მუშაობა ყოველმხრივ ნაყოფიერი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ მტრის ბანაკმაც თავი უცბად იჩინა და მის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა, რომელსაც კულაკური და შეძლებული ნაწილი აწარმოებდა, თავიდანვე მიმართული იყო კოლექტივის ხელმძღვანელის ამხ. კოლია გიორგაძის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგეთა აზრით მხოლოდ ის იყო იმის მიზეზი, რომ სოფლად კოლექტივი ღონიერდებოდა და გამარჯვების გზას ადგა. კულაკობა ხედავდა კოლექტივის ხელმძღვანელის აქტივობას, ხედავდა რომ ის

არავითარ მუქარას არ უშინდებოდა. კულაკობა ხედავდა როგორ ახალისებდა და აფრთოვანებდა ამხ. გიორგაძე კოლექტივის წევრებს. და ესენი რაც უფრო მეტ აქტივობას იჩენდენ, მით უფრო იზრდებოდა შიში და ბრაზი მტრის ბანაკში. ამ ბრძოლის შედეგს მალე კიდეც ვხედავთ.

1931 წლის 1 იანვარს ღამით სოფელი საშინელი სურათის მოწმე ხდება. გარედ ძლიერი ქარ-ბუქია. ქარი ნამქერს ატრიალებს და სოფელზე ღრიალით დაჰქრის. კუპრის ღამეა. ბნელში კი სოფლის შუაგულს ცეცხლი მოსდებია. ქარი ატრიალებს ალს, ნაპერწკლებს შორს ფანტავს და სოფელს ემუქრება.

ეს კოლია გიორგაძის სახლი იწვის.

დასახმარებლად მისული მეზობლები ხედავენ, რომ ცეცხლი მოსდებია საცხოვრებელ სახლს, თავლას და სასიმინდეს. თავლაში კოლექტივის საკუთრება ხარები, ძროხები და ხბოებია. სასიმინდეში კოლექტივის სიმინდის მთელი მარაგია.

გიორგაძე თავის სახლს აღარ ეძიებს. სახლში საოჯახო ნივთები დარჩა, მაგრამ მას ყურადღება არ ექცევა.

— საქონელი გადაარჩინეთ! სიმიდი გამოიტანეთ!—გაჰყვირის გიორგაძე.

მაგრამ არაფრის გადარჩენა შეიძლება. ყველა შენობა ერთბაშად იწვის. თითქო ერთსადაიმავე დროს წაეკიდოთ ცეცხლი ყველასთვის. აქ ნათლად მოსჩანდა კლასიურ მტრის ხელი და საქმიანობა.

ყველაფერი იღუპება.

გათენებისას ქარიც ჩადგა. ეზო, სადაც სახლი, თავლა და სასიმინდე იდგა, ახლა ტიტველ ადგილს წარმოადგენს. მხოლოდ ნაცარი ჰყრია, ნაცარში პირუტყვის გარუჯული ძვლები და ობლად ამართულია ბუხრის გამურული აგურები. აქა-იქ კვამლს ახჩოლებს ჯერ კიდევ არა სავსებით დაფერფლილი რამოდენიმე ფიცარი. მეტი არაფერი. რამოდენიმე საათში ასე განიავდა ყველაფერი.

ყველაზე უფრო სადარდელი ამხ. გიორგაძეს ისა აქვს, რომ ცეცხლში დაიღუპა კოლექტივის მთელი ქონება. დაიწვენ მუშა ხარები, ძროხები, ხბოები ერთმა ღამემ, რამდენიმე საათმა გაანადგურა კოლექტივი, საარსებო საშუალება მოუსპო, მოსტეხა და მოღუნა. თითქო მას წარსული არ ჰქონდა, თითქო წასრულში არაფერი უკეთებია.

საჭირო ხდება ყველაფრის თავიდანვე დაწყება.

ჩვენ ასე გვაქვს აზრი და გონება მიჩნეული: გმირს ვუწოდებთ მხოლოდ მას, ვინც ომში ვაჟკაცობას გამოიჩენს. მაგრამ ის, რაც ამ უბედურების შემდეგ ამხ. კოლია გიორგაძემ მოიმოქმედა, განა ნამდვილი გმირობა არ იყო?

ის უცბად ივიწყებს პირად ზარალს და გასაჭირს — ცივ იანვარში უსახლკაროთ დარჩა, როცა კისერზე ცოლი და ბავშები გაწევს, უბრალო საქმე როდია. ახლა მისი საზრუნავი მხოლოდ საზოგადო საქმეა. კოლექტივის წევრები უსიმინდოთ რჩებიან. საგაზაფხულო თესვის კამპანია მალე უნდა დაიწყოს. სათესური კი ცეცხლში დაიწვა, კოლექტივს აღარ ყავს მუშა-საქონელი, მაშასადამე მუშაობის წარმოება შეუძლებელი ხდება. მაშასადამე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადს კოლექტივი უნდა შეხვდეს გულხელ დაკრეფილი, იმის მაგიერ რომ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესრულებისათვის იბრძოლოს თვითონ უნდა გახდეს საზრუნავ საგნათ.

მდგომარეობა სერიოზული იყო. რა იქნებოდა მომავალში, ამის წარმოდგენა ახლა ძნელი იყო. ერთი რამ იყო მხოლოდ ნათელი: ყველაფერი ხელახლა უნდა დაწყებულიყო.

დაიწყო კიდეც!

კოლექტივის წევრები უიმედოთ არიან. გულს არ იტეხს მხოლოდ მათი ხელმძღვანელი ამხ. გიორგაძე. უპირველეს ყოვლისა ის ივიწყებს პირად უბედურებას. ივიწყებს, რომ მის ოჯახს ღამის გასათევი არა აქვს, არ აშენებს რომ სხვას უნდა შეეკედლოს. სახლი დაეწვა, ბინა აღარ აქვს.. იცით როდის გაიხსენა ამის შესახებ ამხ. გიორგაძემ? მხოლოდ ახლა ივლისში!

— მანამდი სად მქონდა დრო! — ამბობს ამხ. კოლია — სახლის გაკეთებისათვის რომ გამეზდია, ვინ იცის რამდენი დრო უნდა დამკარგოდა. სად მქონდა ამის თავი, როცა ყოველი წუთი წელიწადს უდრიდა!

სახლის აშენებაზე მხოლოდ მაშინ ამოიღო სიტყვა ამხ. კოლიამ, როცა კოლექტივმა თავისი მდგომარეობა არა თუ გამოასწორა, არამედ გადაჭარბებით და ბრწყინვალედ შეასრულა გეგმა.

საქმე კი ბევრი იყო. საქმის გაკეთება ორმაგი ენერგიის გამოჩენას მოითხოვდა.

III

რა მიღწევები აქვს დღეს ზედა—სიმონეთის კოლექტივს, როგორ შეასრულა მან დავალება, რა უნარი გამოიჩინა მან ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისათვის ბრძოლაში?

სოფლად ეგონათ, რომ სახლის დაწვა ამხ. გიორგაძის ფსიქიკაზე იმოქმედებდა, დააშინებდა და შესაძლოა მას ხელიც აეღო კოლექტივში მუშაობაზე. მოწინააღმდეგეთ ეგონათ, რომ კოლექტივის ქონების განადგურების შემდეგ მისი წევრები გულგატეხილი იქნებოდენ და დაიქსაქსებოდენ კიდეც.

მაგრამ ამ მოლოდინის სრულიად წინააღმდეგი მოხდა. პირიქით, უფრო შემჭიდროვდენ, ცეცხლმა შეადუღა ისინი, მეტი შეგნებით აამოქმედა.

საგაზაფხულო თესვის წინ ჩატარებულმა მიწადმომწყობამ კოლექტივს ახალი ძალები შემატა.

მიწადმომწყობის დამთავრებისთანავე კოლექტივი შეუდგა მუშაობას.

ამ დღიდან იწყება ბრძოლა გეგმის შესრულებისათვის.

ჯერ კიდევ ცივია მიწის ზედაპირი. ახლობელ მთებზე და ხევებში თოვლი დნობას ნელა იწყებს. თოვლის პატარა ღელეები ფერდობზე იკლაკნება. პირველი კვირტები ტოტებს მუწუკებივით დასხმია. სოფელში უკანასკნელი დასვენების დღეებია. მაგრამ მოსახლეობის ნაწილი უკვე ჩაბმულია მუშაობაში. ეს კოლექტივი იწყებს პირველად მუშაობას. გუთნები და სახნისები ცისკრიდან მზის ჩასვლამდი აღვიძებენ შემოდგომიდან მიძინებულ მიწას.

ზედა—სიმონეთის კოლექტივს დასამუშავებელი აქვს 82 ჰექტარი. უნდა ჩატარდეს მუშაობა აგრეთვე ვენახში. უნდა მომზადდეს მიწა ბამბისა და სოიას დასათესათ.

ამასთან ერთად საჭირო ხდება კოლექტივის წევრთა სულიერად გამაგრება. მათ ხომ წარსული ნამუშევრიდან აღარაფერი დარჩათ, შარშანდელი მოსავალით ველარ ისარგებლებენ. შარშანდელი შრომა ცეცხლმა შთანთქა.

ამ მუშაობის მთელი სიმძიმე კოლექტივის ხელმძღვანელს აწვება და ის ღირსეულად უძღვება კიდეც საქმეს.

ამხ. კოლია მუყაითი მუშაობის მაგალითს იძლევა. პირველი ის გადის სამუშაოზე. ყველაზე ადრე მინდორში მისი ხმა ისმის.

არა ნაკლები მუყაითობით ატარებს ის აგრეთვე კულტურულ მუშაობას. შესვენების წუთები, ან დასვენება სადილის დროს—ეს ამხ. კოლი:სათვის ხელსაყრელი დროა, როცა კოლექტივის წევრებთან შეიძლება გაიმართოს სჯა—ბაასი პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ საკითხებზე. მოყოლა ამხ. კოლიამ მართლაც ისე იცის, რომ ინტერესს უნებურად იწვევს. სიტყვები ისეთივე ნოყიერ ბელტებათ გადმოდის, როგორც ის ბელტები, რომელსაც მისი გუთანი აბრუნებს და სიცოცხლისათვის აღვიძებს. ლაპარაკობს ის უფრ ხშირად მაგალითებით. საერთოდ აბსტრაქცია გლეხს ვერ ეგუება. ისინი ერმანეთს გაურბიან.

კულტურულ მუშაობაში თავდაპირველად ენერგიულად ებმება ადგილობრივი ინტელიგენცია. ამხ. გიორგაძის უახლოესი თანამშრომლობით იწყებს გამოსვლას ჭედლის გაზეთი, სადაც საგაზაფხულო თესვის კომპანიის ჩატარებას ვრცელი ადგილი ეთმობა.

— თავდაპირველად სოფლის ინტელიგენციამ მხურვალე მუშაობა დაიწყო. მეგონა, რომ კამპანიის ჩატარებაში მართლაც მხარში ამოუდგებოდა სოფლის საბჭოს, უჭრედს და კოლექტივს, მაგრამ მალე უსუსტა. საერთოდ ჩემი აზრი ასეთია, რომ ინტელიგენცია ჩვენ სოფელში ვერ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა!—წყენის კილოთი ამბობს ამხ. კოლია.

კოლექტივის ამოძრავებამ, კოლექტივის მიერ თავიდანვე ფართო მუშაობის გაშლამ ერთეული მეურნენიც აამოქმედა. მალე მთელი სოფელი გამოეფინა მინდვრებში და მიწის პირი გადმობრუნებულ ბელტებით გადაშავდა.

უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო მოვლენა: რომ კოლექტივს ადრიანად არ დაეწყო მუშაობა და ამით მაგალითი არ მიეცა ერთეულებისთვისაც, რამოდენიმე ხნის შემდეგ მიწის დახვნა გვიანობამდი შეუძლებელი გახდებოდა. გაზაფხული უჩვეულოდ მშრალი ჩამოდგა. წვიმა დიდხანს არ მოსულა. რომ ადრეევ არ დაეხნათ, შემდეგ გვალვა მუშაობის სიშუალებას არ მისცემდათ. ვინც ხვნა—თესვაში დაიგვიანა, მას დიდი ხნის ცდა მოუხდა. ადრე დათესილი სიმინდი, ბამბა და სოია წელს ძალიან კარგია, ნაგვიანები კი შესამჩნევად ნაკლები.

შეიძლება ითქვას, რომ წელს კოლექტივმა თავისი მაგალითით სოფელი კარგი მოსავალით უზრუნველყო.

*
* *

კოლია გიორგაძე ახალი გლეხია. ახალი ფსიქიკით. მისი მეურნეობა დღეს მალალ და შეუვალ ღობით არ არის შემოკეტილი. მისი თვალი უფრო ფართო ჰორიზონტს გაჰყურებს.

ორღობეში მივდივართ. მარჯვნივ და მარცხნივ ხშირი და მაღალი ეკალი გადმოწოლილ. ეს მაყვალის ბურდებია. ალაგ წითელ მტევნებად დაკიდულა მაყვალი, ალაგ შავია და ტკბილი წვენით დამძიმებული.

დიდ ადგილს კი იკავებს ეს ოხერი! — თავს აქნევს კოლია და თვალით ზომავს ეკლით დაჭერილ სივრცეს. — ამ პატარა გზაზე ეს ადგილი გაუცდენია, მთელ სოფელში რამდენი იქნება!

ერთხანს ჩუმად მიაბიჯებს· მერე თითქო ვიღაც ეწინააღმდეგება მის ფიქრს, ხმამაღლა და მტკიცედ ამბობს:

— რა საჭიროა უნდა მოიჭრას. ტყუილად აცდენს მიწას. მის მაგიერ უნდა დაირგას თხილი, ბჟოლა, აკაცია. აკაცია ვენახისათვის გამოდგება. თუ ღობეში და საქარშია საქმე, ესენი აქაც უკეთეს სამსახურს გასწევენ.

ზედა-სიმონეთში მეაბრეშუმეობასაც ეწევიან. ბჟოლის ხე კი საყოფი არ არის. ამის გამო ქალებს დიდი სირბილი უხდებათ ფოთოლის საშოვნელად. ფოთოლი ხშირად შორეულ მანძილიდან მოაქვთ. ხან ტომრებით, ხან შეხვეული ფუთაში, რომელიც თავზე დაუდევთ და ისე მოაქვთ.

წელს კოლექტივმა ვალდებული გახადა თავისი წევრი ქალები აბრეშუმი დაეჯინათ. ქალები შრომას არ დაერიდენ. ჭია კარგი გამოვიდა, მაგრამ იმ დროს, როცა პარკის გაკეთება უნდა დაეწყო, ერთბაშად დაიხოცა. შრომამ ფუჭად ჩაიარა.

როგორც სჩანს თესლი იყო ცუდი. უვარგისი კოლოფები რომ არ ყოფილიყო სიმონეთი რამდენიმე ათეულ ფუთ აბრეშუმის პარკს მისცემდა სახელმწიფოს.

მეაბრეშუმეობას ზედა-სიმონეთში კარგი ნიადაგი აქვს. ეს საქმე მომავალში, ცხადია, ფართოდ გაიშლება. საამისოდ კოლექტივმა ზომები უკვე მიიღო. კოლექტივის თაოსნობით ბჟოლის ხეების მოშენებას დიდი ყურადღება ექცევა.

* * *

კოლექტივი ოთხ ბრიგადათ არის დაყოფილი. თითოული ბრიგადა ერთიმეორეს ეჯიბრება გეგმის შესრულებაში. მათ შორის სოცშეჯიბრებაა გამოცხადებული.

— ჯერჯერობით არც ერთი ბრიგადა არ მიმაჩნია დამარცხებულად! — ამბობს ამხ. გიორგაძე — ყველა მუყაიფად მუშაობს.

კოლექტივის ხელმძღვანელი განსაკუთრებული სიამოვნებით ლაპარაკობს კოლექტივის წევრების ამხ. ბიქტორ სულამანიძის, კოსტა გვენეტაძის, ნოე სიპანაძის, ვანო გიორგაძის, შალვა წიქორიძის, ონისიმე დოლონაძის და კიდევ რამოდენიმეს შესახებ.

— გიხარია ამათ მუშაობას რომ ხედავ! — უბრალო გახსენებაც კი ახალისებს ამხ. კოლიას.

კოლექტივსა და ერთეულებს შორის მჭიდრო მეზობლური ურთიერთობაა. წინად ასე არ იყო. ერთმა მასწავლებელმა ქალმა შემდეგი მიამბო: სოფლის ბოლოში მოსწავლენი ჰყავდა ექსკურსიაზე. ცხელოდა. ახლოს წყარო არსად იყო. უეცრად დაინახა ქალი, რომელსაც ჩაფით წყალი მოჰქონდა. წყალი სთხოვა. ქალმა ჩამოდგა ჩაფი და ის იყო მასწავლებელი წყალს დაეწაფა, როცა კითხა.

— მასწავლებელი ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ!

— ასე ამბობენ, ყველა მასწავლებელი კოლექტივში შეიდგა. ... კოლექტივის წევრი ხარ?

— დიახ, ვარ!

— აბა, ჩემო დაია, გადაირბინე ის სერი და იქ არის გრილი წყალი!

ეს სთქვა, წყალი არ დაალევინა, შეიდგა ჩაფი და გზას გაუდგა.

კოლექტივისადმი არა მეგობრული დამოკიდებულების შემთხვევები ხშირი იყო.

ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. მეზობლური ურთიერთობა მტკიცეა და გულწრფელი. კოლექტივი ძალიან ხშირად დიდ დახმარებას უწევს ერთეულებს ქვრივებს, წითელარმიელთა ოჯახებს. ესენიც სიამოვნებით ეხმარებიან კოლექტივს, როცა რაიმე საქმის სასწრაფოთ გაკეთება საჭირო ხდება, სწორედ იმ დროს, როცა სოფელში ავდიოდი, ანდრია მ-ძის ყოფილ მამულში უამრავი მუშა დავინახე. მრავალი ათეული გლეხი, გვირგვინის მსგავსად თავზე ნეშო დაფარებული, ორპირი ნადურის გუგუნის ქვეშ ყანას მარგლიდა. ეს იყვნენ კოლექტივის წევრები და მათი სტუმრები — ერთეული მეზობელი გლეხები.

კოლექტივისადმი დამოკიდებულებაში დიდი გარდატეხა მოხდა. უნდობლობა შესცვალა ნდობამ და იმ აზრმა, რომ კოლექტიურ შრომას მტკიცე მომავალი აქვს. მაგრამ ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ კოლექტივს მტერი უკვე აღარ ჰყავს. ახლაც ჰყავს და ჯერ კიდევ ეყოლება. კლასიური მტერი ჯერ კიდევ არსებობს და თავის არსებობის შენარჩუნებისთვის ბრძოლას განაგრძობს. ეს ბრძოლა ხან მწვავეა, ხანდახან კი, ერთის შეხედვით. თითქო უვნებელი, დარბილებული. სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის ერთი შემთხვევა ზეშოთ უკვე გიამბეთ. ახლა მეორე სახის ბრძოლის ნიმუშს მოვიყვან. ეს გახლავთ ბრძოლა მისუსტებული კაცის, ნაანგარიშევი მხოლოდ იმაზე, რომ კოლექტივის წევრების „გუნებაზე" მოახდინოს თუნდაც მცირე გავლენა. ეს არის ბრძოლა კაცის, რომელსაც უკვე შეუგნია, რომ მტერი უძლეველია, მასთან ომს აზრი აღარა აქვს. გონება ამას ეუბნება, მაგრამ რა ქნას გულმა, თუ კი ვერ ეგუება მას, თუ კი მის არსებობას ვერ შერიგებია!

აი ამ მეორე ბრძოლის, ანუ უკეთ სიძულვილის, სურათი:

გოჩა ოდესღაც აზნაური იყო. ეს იყო მხოლოდ მისი უპირატესობა. მეტი არაფერი. თუმცა რატომ უნდა დაუკარგოთ სხვა ღირსებაც: მომლხენი, თამადობაში ფრიად გაწვრთნილი, სიტყვა უჭრიდა და ამიტომ დალალობაშიც დაქნილი იყო და იმდენი მამული კიდევ ჰქონდა, რომ აზნაურობა არ შეერცხვინა. ახლაც იმავე „ოდაში" ცხოვრობს, რომელიც ბავშობაში მინახავს. შეიძლება ეს სახლი ოდესღაც მართლა ღირსეულად ატარებდა ოდის სახელს, ან შეიძლება ბავში ვერ ვამჩნევდი, რომ მაშინაც ძველი იყო,—ყოველ შემთხვევაში ახლა ის ფრიად შელანძღულია. ღმერთმა გოჩას კარგი საბედო მისცა. ესე იგი ისეთი ცოლი, როგორიც მის გუნებას უნდოდა. მხიარული ქალი, კისკისა, გიტარაზე დამკვრელი და ყველა ამ სიკეთესთან არც შვილი ჰყოლია.

გოჩა ჯერ აშკარად ყბედობდა კოლექტივის წინაღმდეგ, შემდეგ თუმცა ყბედობას თავი დაანება, მაგრამ მეგობარი მაინც არ გამხდარა. წელს კი მი-

წადმოწყობაში მოჰყვა მისი ადგილი ისე, რომ სწორედ სახლის წინ გაუარა საზღვარმა და ეზო ჩამოეჭრა. გოჩას მაგიერი მისცეს. მაგრამ ბაიბრ ალორინდა. იბრძოლა, იქაქანა და როცა მიხვდა, რომ არაფერი გაუვიდრდა, დაწყნარდა. ბადალი ადგილი მისცეს გოჩას, მაგრამ ათჯერ უკეთესიც რომ მიეცათ, არ უნდოდა ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მის კეთილშობილ მიწაზე ვილაც კოლექტიველებმა უნდა იმუშაონ...

— იმათ რომ ჩემ ადგილში ვხედავ, ასე მგონია ჩემ გულზე დადიან! — მკერდზე მუშტს იბრაგუნებდა გოჩა.

ერთ დღეს, როცა კოლექტივის ბრიგადა მის ყოფილ ადგილში სახლის წინ მუშაობდა, გოჩამ ცოლს გიტარა გამოატანია (გულში ბრაზი იყო. რა ეგიტარებოდა! მაგრამ შეხედონ რომ გოჩა ძველებურად მხიარულია). ცოლმა გიტარა ააწყო და ბებერი ხმით დაამღერა. აჰყვა გოჩაც.

— ძაან მხიარული ხარ დღეს, გოჩა! — მისცინიან ყანიდან ბრიგადელები — დასცხე, წოუკრიმანჭულე!

— რატომ არ ვიქნები, ბიძია, მხიარული! — თავს იწონებს გოჩა — მაკლია რამე თუ? კოლექტივის წევრი კი არ ვარ, გატყაული ვიყო!

ცოლ-ქმარი თავს აღარ ზოგავს. გოჩა მტერს შეწუხებულად თავს როგორ დაანახვებს. დე იფიქრონ, რომ გოჩა მოგებულია თავისთვის ცალკე რომ არის! გოჩას უნდა, რომ მათ ასე იფიქრონ...

ყანიდან კი სოფელს ნადურის გუგუნი ეფინება. ეს კოლექტივის წევრები და მისი სტუმრები, ერთეული გლეხები მუშაობენ. მათ შორის ძმობა იზრდება. ამ ძმობაში იჭედება მომავალი ძლიერი კოლქტივი, აქ იზრდება მისი მომავალი კადრები.

წელს ზედა-სიმნეთის კოლექტივმა, პირველად სოფლის ცხოვრების ისტორიაში, დაიწყო საბალახოს მოწყობა. უნაგირა მთის კალთებზე საამისოდ მშვენიერი პირობები არსებობს. წინად აქ ბევრი ადგილი იყო უქმად გაშვებული, ალაგ პატარა ყანები. ეს გარემოება სოფელს საშუალებას არ აძლევდა პირუტყვი თავისუფლად გაეშვა. საჭირო იყო მრავალი მწყემსის ყოლა, ახალგაზრდების მთელი დღეებით დაბანდება. საბალახოს მოწყობის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა. კოლექტივმა მთაზე კარავი მოაწყო. მწყემსებად რამოდენიმე თავისი წევრი დააყენა და სოფელს საშუალება მისცა შედარებით თავისუფლად გაეშვა პირუტყვი. თითონ კლექტივისათვისაც დიდათ საჭირო იყო საბალახო. იანვარში თუმცა მას მთელი ჯოგი დაეწვა, მაგრამ ხელმძღვანელის მუყაითობამ იმდენი ქნა, რომ ეხლა კოლექტივს საკუთრად ჰყავს 64 ხარი, 8 ძროხა, 10 ხბო და ამას გარდა ცხვრები და ღორები.

საერთოდ იმერეთში საბალახოების მოწყობას ან სრულიად არა, ანდა სულ მცირე ყურადღება ექცევა. ამ მხრივ არც იმის თქმა შეიძლება რომ საქმე პირველყოფილ მდგომარეობაშია, არც იმის, რომ კუსტარულ ყოფაშია. პირველყოფილ მდგომარეობაში, პირუტყვი, ცხადია, საუკეთესო მოგომარეობაში იქნებოდა. მთა მისი იყო და ბარი. სადაც და როგორც უნდოდა ისე სძოვდა. კუსტარულ მდგომარეობაში კიდევ იმიტომ არ არის, რომ ეს სიტყვა შედარებით კულტურას გულისხმობს.

მაშ რა მდგომარეობაშია იმერეთის საბალახოების საქმე? არ ვიცი, მისი დამახასიათებელი სიტყვა ვერ მომიძებნია. თქვენთვის მომინდვია, თქვენვე მონათლეთ: დილიდან დაღამებამდე პატარა გოგო-ბიჭები არბენენ პირუტყვს გადატრუსულ მინდვრებზე და, თუ სოფელი ბედნიერია ტყის სიახლოვით, მაშინ ტყეებში.საღამოს საქონელი ისევ ფერდებ ჩავარდნილი ბრუნდება შინ და ეზოში ხის ქვეშ დაბმული უგემურად იცოხნება. ხვალაც იგივე მოელის, ზეგაც.

შეიძლება ამიტომ არის რომ იმერული ჯიშის პირუტყვი ყოველთვის ყაჩაღივით არის, გაეშმაკებულია და როგორც კი დროს იხელთებს, გარბის ყანისკენ, რომ სანამ მოუსწრებდნენ და გამორეკავდნენ, ერთ-ორ ღერ სიმინდს მაინც გაჰკრას კბილი.

მეწველი ძროხის კვება? ეს კიდევ უფრო საინტერესო გახლავთ: მეოჯახე ქალი რქებში ბაწარ ჩაბმულ ძროხას დაატარებს ყანის ან ვენახის ნაპირებზე. ქალი საოჯახო საქმეს მოცდენილია, ძროხა კი ამაოდ ეძებს გასაძღომ ბალახს. და ასეთ კვების შემდეგ პატრონს კიდევ პრეტენზიები აქვს — ძროხისგან რძეს მოითხოვს. სისტემატიურად მშიერმა ძროხამ რა უნდა გამოიწველოს? პატრონი კი მაინც მოითხოვს. ქაჩავს შემჭკნარ ძუძუებს, თითო წვეთობით აცლის რძეს და როცა აღარც ეს წვეთი არის, ასე მსჯელობს:

— გადამალა ამ ოხერმა! ხბოს უნახავს!

იმერული ძროხა კი ხშირად კარგი თვისებისაა. ვინც ძროხას უვლის, მას რძეც და ყველა ბლომადა აქვს.

როგორც ვსთქვი, კოლექტივმა საბალახოს მოწყობას დიდი ყურადღება მიაქცია. უნაგირა მთის ფერდობზე, სახელდობრ გვიმბრალზე, კოლექტივი საბალახოს მოწყობას შეუდგა. ეს ადგილი იმდენად დიდია, რომ სოფლის მოთხოვნილებას არა თუ დააკმაყოფილებს, არამედ მორიგ საკითხად დასვამს მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

ერთი საყვედური ეთქმის კოლექტივს და უფრო კი სასოფლო საბჭოს: ნაკლები ყურადღება ექცევა ტყეების დაცვას. ხშირად ტყე უგეგმოთ და უკანტროლოდ იკაფება. ნორჩი ხეები დაუზოგავად იჭრება.

ამ მხრივ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ის პატარა ტყეები, რომელიც თვით სოფელში არის, განსაკუთრებულ დაუზოგავობას იჩენენ კერძო მფლობელები. ორიოდე ზედმეტი ბათმანი სიმინდისათვის შეუბრალებლად იჩეხება მშვენიერი მუხის ტყეები. თუ ასე გაგრძელდა, ყანებში ტრადიციულ საჩრდილობელ ხეების გარდა სოფელში ხე აღარ იქნება.

კიდევ ერთი მოვლენა: სოფლად საქარში ძალიან ხშირად ვხვდებით ძელქვას ხეებს. როგორც ვიცით ამ ჯიშის ხე უკვე აღარც ერი ქვეყანაში არ მოიპოვება. დარჩა ის მხოლოდ ზემო-იმერეთის ზოგიერთ რაიონში. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა რამოდენიმე წლის წინად ხე ძელქვა ბუნების ძეგლად გამოაცხადა და სასტიკად აკრძალა მისი მოჭრა. მაგრამ ეს განკარგულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ამ იშვიათ ჯიშის და სილამაზის ხეებს დაუზოგავად სჭრიან. თუ მალე არ იქნა ზომები მიღებული, მისი ხსენებაც გაქრება.

ამ საქმის მოგვარება ადვილად შეუძლია სოფლის საბჭოს და კოლექტივს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდეც მოაგვარებენ.

უკვე ეხლავე შეიძლება ითქვას. რომ ზედა-სიმონეთის კოლექტივმა არა თუ ბრწყინვალედ შეასრულა დავალება, კიდეც გადააჭარბა. მაგალითად ბამბა და სოია გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი დაითესა და დამუშავდა.

მაგრამ ყველაზე უფრო აღსანიშნავი მის ცხოვრებაში არის შემდეგი: მან არა თუ მარტო თავისი საქმე გააკეთა, არამედ როცა ტყიბულის ქვანახშირის წარმოებას მუშა ხელი შემოაკლდა, თავისი წრიდან რამოდენიმე კაცი იქ სამუშაოდ გაგზავნა. საუკეთესო მიწის მუშაკთაგანი, როგორც მაგალითად ღვინეფაძე, დოლონაძე, გიორგაძე და მრავალი სხვა, პარტიისა და ხელისუფლების პირველ მოწოდებისთანავე ზედა-სიმონეთის კოლექტივმა მიაშველა ტყიბულის ქვანახშირს, რომელიც მუშა ხელის დიდ სიმცირეს განიცდიდა.

ტყიბული არც ისე შორია სიმონეთიდან. რამოდენიმე საათის სავალზეა. და თითქმის ყოველ მეხუთე დღეს სოფლიდან გაგზავნილი კოლექტიველები სოფელში ბრუნდებიან ერთი დღით. დაბინდებისას ხედავთ როგორ ეშვებიან ისინი მთიდან და თავის ოჯახებისკენ მიიჩქარიან. საღამოს და მეორე დღეს კი მათთან საბაასოთ მეზობლები მოდიან. ქვანახშირის სამყაროდან მათ ჩამოაქვთ ახალი აზრი, ახალი ამბები. უამბობენ ისინი თავის ცნობისმოყვარე ამხანაგებს და მეზობლებს, თუ როგორაა წარმოებაში საქმე დაყენებული, როგორ იბრძვიან იქ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, რა მდგომარეობაში არიან დღეს მუშები და კიდევ მრავალ სხვა რამეს, რაც მსმენელებში უდიდეს ინტერესს იწვევს.

იქ, პროლეტარულ შრომით, აზრით და ჰაერით გაჟღენთილ ტყიბულის მაღაროებში ეცნობიან გლეხები ახალ ცხოვრებას, ახალი ფიქრებით და აზრებით ჩამოდიან შემდეგ სოფლად და ამ ახალს თავის მეზობლებს უზიარებენ.

აქ გზით იზრდებიან ახალი გლეხები. ამ გზით სრულიად ბუნებრივად ხდება მიწის მუშასა და წარმოების მუშას შორის დაახლოვება და დაძმობილება, ამ დაახლოვებაში იქმნება ახალი გლეხი ახალი შეგნებით.

ამას მიაღწია ზედა-სიმონეთის კოლექტივმა 1931 წლის 1 იანვრის ხანძარის შემდეგ, როცა მთელი მისი ქონება დაიწვა. ცეცხლში შესაძლებელია დროებით ჩაფერფლილიყო უფრო მეტიც: რწმენა გამარჯვებაში. მაგრამ ამ შემთხვევაში ხანძარმა სხვა ნაყოფი გამოიღო. ცეცხლმა შეადუღა ახალი სოფლის ძალა და ფოლადის ნება გამოსჭედა.

მხოლოდ ივლისის ბოლოში შოაგონდა კოლექტივის ხელმძღვანელს, რომ მისი სახლი დაიწვა და ოჯახს თავშესაფარი სჭირია. ახლა კი დადგა დრო, როცა ამაზე ფიქრი შეიძლება.

— რაიონში ვიყავი და დამპირდენ რაჭის მოსაზღვრე მთიდან სამასალო ხე-ტყის მოცემას! — კმაყოფილებით ამბობს ამხ. კოლია გიორგაძე.

დღემდე არ სცალოდა კოლექტივის ხელმძღვანელს. აქამდე საერთო საქმეზე უნდა ეზრუნა, ახლა კი... ახლა გამარჯვება უზრუნველყოფილია. ეს გამარჯვება საუკეთესო მოწოდებაა იმათთვის, ვინც ჯერ კოლექტიურ შრომაში არ ჩაბმულა.

მიხეილ ჩიქოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვა

შავიქვით გატენილი მთა ორად გაპობილა და გზა მიუცია ჯარბელის ღრმა ხევისათვის. ხევის გვერდებად შავი ქვით გამურული კლდეები დაყუდებულან, ხოლო შუაზე პირველი გზა შორეულ მთებიდან მომავალ ღელეს გაუტანია ყვირილამდე. მაღალ კიდურებათ ქცეულ ციცაბო კლდეებზე ძველი ნაგზეური ბილიკებია და ისტორიულ ჟამთა მომსწრე, წყალგამძლე ხის ბოძები წელში გადმოზნექილნი ყურს უგდებენ სამხრეთის კუთხეში კლდეზე ატოლებულ ქარხნის ხმაურს. ეს ქარხანა რეცხავს ყველაზედ დიდ მაღაროდან მონადენ შავქვას, რომელსაც პირველად სოფლელები „ქვაგუნდას“ ან „მწირ ქვას“ ეძახდენ. ეს იყო პირველი ხახელი იმ სიმდიდრისა, რომლის წყალობით მთა-ხევებით დასერილი, ჭიათურის ტაფობი გახდა ცნობილი მსოფლიოში და მის დაუფლებაზე ოქროთ მადა აშლილილი კაპიტალისტები დღე მუდამ ფიქრობდენ. ამას უძახდენ გლეხები იმ უბრალო ქვას, რომელიც მათ ეზოში სახუნელს მოყვებოდა, ატალახებულ გზაზე საღებავივით აშავებდა ყველაფერს და უსიამოვნო მტვერს აყენებდა ყოველთვის, რომლის დამუშავების ირგვლივ თვით ის გლეხები შეკავშირდენ, გახდენ შინაური და გარეშე მრეწველების საექსპლოატაციო საგნად, სწორედ ამ ქვა-სიმდიდრეში ჩააქციეს მათ საუკეთესო ჯანი, შეალიეს ღონე შორეულ წლების მანძილზე. გაიარეს ყოველგვარი დამცირება, შევიწროება და სიმშილი, სიღატაკე და სიბნელე, მორჩილება და ტანჯვა ათეულ მტაცებლების—ფირმების ხელში, სანამ თვით ეს სოფლები—მუშებად ქცეულნი, არ დაეპატრონენ წარმოებას, არ ჩაუდგნენ სათავეში ახალი ქვეყნის შენებას და გეზი არ მიმართეს სოციალიზმის საბოლოო დამკვიდრებისაკენ.

ყველა ამ ამბების გამომრეა ქარხანა, რომელსაც № 25 აწერია და ყოველდღიურად ათეული ტონებით გზავნის ბაქანისაკენ გამდიდრებულ, საუკეთესო ხარისხის ქვას.

სარეცხი ქარხანა იმ კლდის ძირშია აგებული, რომლის თავზედაც განიტვირთებიან მაღაროდან გამოსული მადნით დამძიმებული ქარავნები. სათავეში მოზიდული ქვა თხემზე დაკიდებულ ღარებით ეშვება დაბლა, აქ წამყვანი, ღარებზე მარგანეცის მზიდავი, წყალია და ლაფად ქცეულ ქვას ქარხნის სახურავთან გაკეთებულ საგროვებელში ამარაგებს, რომ დაზგებმა თავის დროზე მიიღონ კუჭის გასალბობი მასალა.

დინამო მოტორის ქაქანი აყრუებს ხევის არეს. კოროხნარიდან მომავალი ქვა ვეღარ ეტევა ღარში და კლდის თავზე ცვივდება. ცის კამარაში გაკეთებული გზა ირხევა იმისდა მიხედვით თუ ქვის რამდენი მასა მოდის მასზე. გზაზე გადმოყრილი მადნის ხვავი დგება კეხიან კლდესთან და დანაკარგებს ემატება, ამ დროს ქარხანა შეუჩერებლივ მოძრაობს, გაუმაძღარი მანქანები ქვას მოითხოვენ, რომ დაამტვრიონ, დაფქვან, გაარჩიონ, დაახარისხონ, გარეცხონ და რკინის გზას გაუგზავნონ სატრასპორტოთ, მისცენ ქვეყანას სოციალიზმის ფუნდამენტის საშენებელი მასალა.

* * *

შავი ქვის განარეცხი წყალი სილა-ტალახით გასქელებული ეშვება პირველ აუზში. აუზი თითქმის ყელამდე გავსილა ნალექით და ოდნავ დაწმენდილ წყალს მეზობელს უგზავნის. ცემენტით ამოლესილი ღრმა ორმოები აქ ხუთამდეა, რომლებითაც ქარხანას წყლით ამარაგებენ. ნამუშევარი წყალი რამდენიმე აუზს გაივლის, თითოეულში სტოვებს ნალექს, თანდათან იწმინდება და ბოლოს ვიწრო მილით ისევ მაღლა, ქარხანაში მიდის, მეხუთე სართულში, საიდანაც რიგრიგობით დაყვება დაზგებს გასარეცხ მადნეულთან ერთად და უბრუნდება პირველს, ყველაზედ უფრო ტალახიან საგუბარს.

— წყალის მომარაგება და აუზების გაწმენდა ამ თავიდანვე თუ არ დავიწყეთ პაპანება ზაფხულში ყელგამშრალი დაგვრჩება დაზგები და ქარხანაც გაგვიჩერდება!—წინასწარმეტყველებით ამბობს მექანიკოსი. სარეცხი ქარხნებისათვის წყლით უზრუნველყოფა მთავარი საჭირბოროტო საკითხია მადნით მომარაგების გვერდით. ჯარბელა ამით არც ისე მდიდარია და მთავარ საგუბარს ქარხნისათვის ისევე მაღარო წარმოადგენს. მთაში შეჭრილი გვირაბი ზამთარში, გაზაფხულზე და შემოდგომით უხვად იძლევა წყალს. ზაფხულში ისიც ნაკლებ ნესტიანია და ამიტომ ქარხანას სჭირდება ნარეცხი წყლის ხელოვნური დაგროვება, მისი გაწმენდა და ქარხანაში შებრუნება.

— წყალი არაა კარგი გაწმენდილი, ტალახიანი მოდის დაზგასთან და ვერ ამუშავებს ქვას. არ შეიძლება ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. მოსპეთ ამ ღელეზე ყველა წვრილი არტელები, წყალს რომ გვიტალახიანებენ და ქვის ხარისხი აიწევს. ქვა აღარ დაიკარგება. წყალი, წყალი მოგვეცით!.. იძლევა წინადადებას ბრიგადის ხელმძღვანელი რომელიც გულმოსულია ქარხნის ადმინისტრაციაზე, რომ ქარხნის ზემოთ ხევში ტრესტის ნებართვით მუშაობს რამდენიმე შრომის კერძო არტელი, მათ მიერ დამუშავებული წყალი ქარხნისათვის ნახევრად უვარგისია სიახლოვის გამო. მღვრიეში ქვა ცუდად ირეცხება და ტალახით შეღებილი მარგანეცი მიდის ნალექში. დანაკარგებთან ბრძოლისათვის მუშებმა განსაკუთრებული ზომები მიიღეს, გეგმასაც გადააჭარბეს, მაგრამ ამით მაინც არ კმაყოფილდებიან. ახლა წყლის გასუფთავებით ცდილობენ დავალების შესრულებას.

— გზაზე ნუ დადგებით, რონოდა მოდის, დაგეჯახებათ და ქარხანა გახდება პასუხისმგებელი თქვენს სიცოცხლეზე, გესმის! გაეცალე. გზა! მოვდივართ ხომ

ხედავთ, მე და ჩემი კალათა მარგანეცს, რომ ვზიდავთ ქარხნიდან, რკინის გზამდე. გეყურებათ; გზა, გზა, მოდის!..

ქარხნის საერთო ხმაურში ყრუდ ისმის კანათზე რონოდებინ-დამტვირთავის ხმა. სქელ ხელთათმანებიანი მტვირთავი ხელს ავლებს კანათზე მოსრიალე ცარიელ კალათას და გარეცხილი მადნით სავსე ბელლებისაკენ მიაქანებს. ბაქანზე მდგომთ აფრთხილებს. უმძიმს წარმოების ზარალი დიმიტრის. ცარიელ კალათას ახლა თვითონ მიასრიალებს გარეცხილ ქვასთან. შეუდგამს სწრაფად ქვეშ ღრმა მუცლიან გოდორს რკინის ბელელს, გამოუხსნის პირს და რამდენიმე წუთში უკვე მზადაა ქვა გასამგზავრებლად. პირამოვსებულ კალათს ცოტაზე მიაცილებს, გადასცემს ჰაერში მოსრიალე კანათს და თვითონ მეორეს მიუბრუნდება. ასე ასწრებს მთელი საჰაერო გზის დატვირთვას. დიმიტრი ახლა ველარც გუობს დამხმარეს. ნაყოფიერი მუშაობით გახალისებულია და მრეცხავებს ეჯიბრება გარეცხილის გაგზავნაში. დღეს ის მექანიზაციაქმნილი გზით აგზავნის მადანს პლატფორმაზე, უწინ ამ ათი წლის წინ კი საკუთარი ურმით ეზიდებოდა მადანს ხევის სიგრძეზე—ქარხნიდან რკინის გზამდე. გზაზე ებნეოდა ტომრებში ჩაყრილი მარგანეცის ფხვნილი. ტომარი ურმის მანჭოლზე იხევა და სასწორთან მისულს მესამედი აკლდება. იკარგება ქვა. ზარალობს წარმოება. ზარალობს თვით მზიდავი მუშა. აკლდება ფულები და ანგარიშის გასწორებისას სახლში გულდაწყვეტილი რუნდება. ხარები კი დაკანულია, აღარ ვარგა სამუშაოთ, არაქათ გამოლეული საქონელი ძლივს იცოხნება—ასე მუშაობდა დიმიტრი დიდ ხანს. მის შემდეგ, რაც ხარებზე გაყოლა შეიძლო და მაშამ ურემი ანდო კლდე—ღრეში სათრევად.

დიმიტრიმ 25 ქარხნის მექანიზაციის შემდეგ ხარები და ურემი საჩქაროთ მიატოვა. ქარხანას შეეკედლა და მუყაითი შრომით დატვიროვაზე მომუშავე ოთხი კაცის ადგილზე თვითონ დარჩა. მან შესძლო შეესრულებია მთელი დატვირთვა, ხოლო დანარჩენები ზევით, მთის ზურგზე მაღაროში გაგზავნა სამუშაოდ, რადგანაც № 25 გვირაბი მუშახელის სიმცირის გამო ქარხანას ყოველდღიურ სამუშაო ქვას ვერ აწვდიდა. ასე გაატარა დიმიტრიმ, რაციონალიზაცია კანათის მუშაობაზე. ამხანაგების წასვლის შემდეგ ნელი ღიღინით აცილებს სავსე კალათებს და უხარია, რომ მარგანეცით დატვირთული კალათები რიგში გამწკრივებულნი მიექანებიან თავქვე პლატფორმისაკენ. სადაც იზრდება და იზრდება გარეცხილი ქვის ხვავი. იქ შეუსვენებლივ მუშაობს ესკავატორი. შლის მკლავს, რვა ტორით ავსებს რონოდას და სწრაფად აწვდის სავსე შემადგენლობას რკინის გზის სადგურს, ფოთისკენ გასამგზავრებლად.

* *
*

— ჰმმუ...უ! მეხუთე დაზგა! რა დროს ღალატია. განა გამოგელია საჭმელი,? თუ ხელი ზხარზე შეგახმა და ველარ მოქმედობს!... თედორია ვაი შენს ტყავს! შენც მიეჩვიე? და... რა გიყოთ. გაკლიათ ამოქმედება. ნიშადური, ნიშადური გინდათ. დაიცათ. სად წამიხვალთ, ნორმაზე მაკლებთ არა!..

უმადურად ჩაჰკეტა დიმიტრიმ მეხუთე დაზგის გარეცხილი ქვის საყარი ბელელი და გულდაწყვეტილი გაყვა კალათას, რომელიც უკანასკნელად გაავსო

ამ ბელლიდან. მიდის დიმიტრი, მიაქვს მოქანავე გოდორი და მექანიკურ სასწორს თვალს აყოლებს. „ხომ ასწონა? გადმოვიდა თუ არა ანალი ლეფერი?“ იქნებ წონაში დააკლდა და გაუცდა დატვირთვა. გაეპარა დრო ხელიდან. თუ გოდორი კარგად არ გაავსო სასწორი აღარ აღნიშნავს და ცდება გზა. დიმიტრი ყოყმანობს. შესაძლებელია მართლა ასე მოხდა. მერეთ ვინაა დამნაშავე? ვინ შეუშალა ხელი? იქნებ თვით არის უყაირათო, ცულლუტი და არ აცლის გოდორს გავსებას. მაშინ „აბა ჩემო დავითო, რაც მოგივა თავითო“. მაგრამ ბელელში ქვა რომ ამოიცალა?! ქვა ზეციდან არ გამოუშვა დაზგამ და მაშინ დიმიტრი ხომ ვერ ჩაუმატებდა რამეს! არა აქ დიმიტრი არაფერ შუაშია, რწმუნდება თავის თავის სისწორეში მტვირთავი და ხელგაშვერილი მისჩერებია სასწორისაკენ მცოცავ კალათას.

— სწორია, ადი მიდი ხუთი ოცდახუთი! გაიღიმა მტვირთავი, როცა სასწორმა ესეც მიიღო და საკანტროლო წონას ასცილდა სავსე კალათის მიმძიმე. მტვირთავმა შორს გააყოლა თვალი ხევის სიგრძეზე მოცურავე ქვას, რომელიც გზადაგზა იცლება წყალისაგან. სტოვებს ქარხნიდან გამოყოლილ სინესტეს და ბაქანისაკენ მიმავალ ხაზზე საჰაერო გზის ქვეშ ტალახიან ნაკვალევს სტოვებს მიწაზე, ქვებზე და ხეებზე.

— ვაჰ, შენი ღმერთიც გავგზავნე ღომის საქმელად რაღა, შენც მიღალატე?! მეოთხე ნუ დაგიღგა კბილები! დაურეე ქვას ნიჩაბი შე მცონარე, კმარა კამეჩი ხომ არა ხარ,—რომ ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გეგონოს. გაინძრიე. ქვა მომეცი, ქვა...

დიმიტრიმ მიაჯახუნა მეოთხე ბელლის კარები და მუშტი უთავაზა ცარიელ ფერდში. გოდორი მესამით მოათავა და დატვირთულის გაგზავნა ძლივს მოასწრო, რომ ცარიელი მშიერივით კარზე მოადგა.

— მესამე, მეორე თქვენგანაც აგრე?.. წახდით, ბიჭებო.

უკვე დაცარიელდა ბელლები და გამოილია გარეცხილი მადანი. გოდრები აღარ ივსება და საჰაერო გზა გრძნობს სიმჩატეს. მტვირთავმა ხელი უშვა უკანასკნელ ფსკერ დასვრეტილ რკინის კალათას და ელექტრო საკეტს მიაშურა. მოსწია. შეჩერდა ჰორიზონტალურად მბრუნავი დიდი ბორბალი. კბილი კბილს ჩაეჭდო და მოდუნდა გზის მოძრაობა. წამით მთელ ხაზზე გაქვავდენ მოპირდაპირეთ მოსრიალე კალათები და კლდეებს დაუწყეს ყურება.

ცარიელი დაზგების ჩახჩახი ისევ შორს ისმის და ქვის მოლოდინში მყოფი მტვირთავი ხშირ—ხშირად სინჯავს ბელლებს. ქვა მაინც არ არის.

— ქვა, ქვა მოგვეცით! ყვირის დიმიტრი დაზგების მიმართ. მტვირთავი მრეცხავებზეა გულმოსული და ბოლმაზე მოსული ზევით აპირებს არბენას, რომ შეუტიოს, აუყვირდეს მათ და ხელები გაარყევიოს. მრეცხავები რაღას შვრებიან ამ დროს? მრეცხავები ქვის სამტვრევ მილიდან ელიან განმანაწილებელ ცხრილებზე მადნის ზვავს, მაგრამ ზვავი არ სჩანს და გულ აღრენილი მანქანები თითქოს გადაირიენ, ბუდიდან აპირებენ ამოვარდნას.

სამტვრევთან მყოფი აძლევს ნიშანს ქარხნის სათავეში მყოფ საგუბარს, სადაც გროვდება მაღაროდან მოსული მადანი. ქვის მიმწოდებელი ხელს ავლებს საყვირს და კლდის ძირში გაისმის საყვირის ხმა ჩახლეჩილი ძახილი.

— ქვა, ქვა!

ხმა ესმის მაღაროდან ქვის ჩამომშვებლებს. მუშები ხვდებიან, რომ ქვის მიუწოდებლობის გამო ჩერდება ქარხანა, მაგრამ ჩამოსაშვებში მეტი ძალანი აღარ მოეპოვებათ. ისინი უცდიან მაღაროდან მომავალ ქარავნებს.

— ქვა, ქვაა!

ისევ იძახის მეოცდახუთე ქარხანა. აკლია გადასამუშავებელი ნედლი მასალა და ცდება წარმოება. ზარალი და უქმად დგომა იზრდება.

ჯერი ოცდახუთ გვირაბზეა. პასუხი უნდა გასცენ ზევიდან, მთის ძირში შრომაში ოფლგადაღვრილ ქარხანას და ქარხნის ტემპიან ხელებს.

— ქვა, ქვა!

— პასუხი, პასუხი!

ისევ ისმის ხევიდან შეერთებული ძახილი...

* * *

მუშაობის გათავების შემდეგ დიმიტრი თაბაგარი აუჩქარებელი ნაბიჯით შევიდა ქარხნის ეზოს მარცხენა ყურეში მოთავსებულ პატარა შენობაში. ნახევრად დასველებული ხელთათმანები რკინის ცხრილზე გააფინა და უკან დაბრუნდა მტვირთავის მსგავსად აქ სხვებიც შემოვიდნენ. მრეცხავებმა ტალახიან წყალში ამოვლებული ფართუკები გადაკიდეს წინასწარ გამზადებულ ჯოხებზე, რომ ხვალისათვის სველი სპეციალური ტანსაცმელი გამშრალიყო. ისინი არეული ნაბიჯებით და უთანაბრო ხმაურით გამობრუნდენ. შვიდი საათის მუშაობის შემდეგ ბინისკენ ეშურებიან.

— სიკო, დღეს ხომ არაფერია?

კითხულობს ახალგაზრდა ვაჟი და შინ გასამგზავრებლად უჭირავს თვალი. წასვლამდე ქარხკომს ეკითხება დღეს კრება ხომ არ არისო.

— არა, რა უნდა იყოს, პარტიული დღე ხუთშაბათია და დღეს კი ორშაბათი. პოლიტსკოლა გამოუშვით, ხომ გახსოვს! საღამოს სკოლა კი ჰიათურაშია, იქ წახვალთ.

— ჰო, კარგი,

იყო რამდენიმეს პასუხი და სამუშაოდან დაბრუნებული მუშები, თავქვე მიმავალ გზაზე დაეშვენ.

ამ დროს ქარხანაში მეორე ცვლა იწყებდა მუშაობას.

— ამხანაგო დიმიტრი! რაშია საქმე. თავდაღუნული მიდიხარ და აღარ გვიცდი? რამ დაგაფიქრა, გესმის თაბაგარო, შენ გეუბნებიან.

ოდნავ შემაღლებული ტონით მიმართა სერგო ტყემალაძემ დაწინაურებულ თაბაგარს, რომელიც დაღვრემილი სახით განიერად მიალაჯებდა ქარხნიდან მომავალ საურმე გზაზე.

— აღარც გველაპარაკება!

მიაშველა სიტყვა სერგოს მეორემ.

— კი, გელაპარაკები ჩემო პეტრე, მაგრამ შენგან გამოდნება რამე?

დიმიტრი შესდგა. მომავალ ჯგუფს შეუერთდა და გზა ისევ განაგრძეს.

— რა უნდა იქნეს მეტი—იძლევა პასუხს ახლა პეტრე—შეჯიბრებაში ჩაბმული ვარ და გაცდენაც არ მიწერია, მეტი რა გინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეტი რა მინდა? არაფერი. მარა შენ მიმტკიცებ, რომ გაცდენა არა მქონიაო. ეს კი თავიდან ბოლომდე ტყუილია.

— ბიჭოს, აღარ ხუმრობს დიმიტრი!

სიცილით იმეორებენ მადნის მრეცხავები.

— ძველია, ძველი!

შენიშნა სხვა ამხანაგებმაც.

— თუ არ გჯერა ამხანაგო დიმიტრი, მიდი ქარხკომში, მოძებნე ცხრილები და მე თუ უქმად დგომა მექნება, მაშინ მეტიც თქვი. მანამდე კი...

პეტრეს ცოტა გულიც მოუვიდა. სახეზე წამოწითლდა და შავი ქვით გასვრილ წამოსასხამზე დაიწყო ყურება. დამკვრელი კაცი თავს შეურაცყოფილად გრძნობს. არაფრად ეჭაშნიკა ამხანაგისგან ასეთი მომართვა, იმ დროს როცა თავისი გუნებით არაფერ შუაშია. არასოდეს დაუგვიანებია და უქმად ხეტიალში არაა შემჩნეული.

— აბა, რაღა ცხრილი მინდა. დღეს ორი საათი ქარხანა იდგა თუ არა უქმად? თუ შენ მაშინ ქარხანაში არ იყავი?

გაბედულად შეუტია თაბაგარმა პეტრეს და თავის სიმართლეში ეჭვ მიუტანლად თვალი გაუსწორა. მუშათა ჯგუფი შესდგა. მათ სხვებიც წამოეწია და ჯარბელის ხევიდან გამოსავალ პირში ოცამდე მარგანეცის მუშამ მოიყარა თავი.

— ეს კი, მაგრამ აქ მე და ჩემი დაზგა რა შუაში ვართ? გასარეცხი ქვა აღარ იყო და გავჩერდით. მაღაროდან მადნის მოსვლას უცდიდით.

იმართლებს თავს პეტრე.

— სწორია, შენ არაფერ შუაში ხარ. მერეთ რა, ამით საქმეს რამე შველის? ამით მდგომარეობა იცვლება? არა მგონია. სინამდვილე ის არის, რომ ქარხანა ცდება. მე დირექციის ცნობებში ამოვიკითხე, რომ დეკადაში ჩვენი ქარხანა 8 საათი უქმადაა გაჩერებული, ქვის მოუწოდებლობის გამო. აქედან იანგარიშე ახლა რამდენი ზარალი აქვს წარმოებას. რვა საათი დეკადაში მთელი ქარხანა!—ქარხანაში კი სულ უკანასკნელი დაზგაზე 60 კაცი მაინც მუშაობს, მაშასადამე 480 კაც-საათს ვკარგავთ ყოველთვის. ეს ფუჭად ყოფნა ნაწილდება გარეცხილ მადანზე და თვითღირებულების პროცენტი იზრდება. აბა ერთი მითხარი ახლა, არის თუ არა ეს სოციალისტური მშენებლობის ზარალი? რა თქმა უნდა არის, არის და არ უნდა იყოს. ამაშია მთელი ბრძოლის შინაარსი. ამას უნდა შევებრძოლოთ ისე, რომ შევსძლოთ მალე გამოსწორება. მაშინ დაფაზე ჩამორჩენის ნიშანი აღარ გვექნება მუდამ და ქარხანაც შესწყვეტს კუდში ჩანჩალს.

— მაშ დიმიტრი, ვიღაც ხელს ვვიშლის. შეაჩერა თაბაგარი სერგომ და ქარხნის მეჭირისუფლეს წინ დაუდგა.

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე აქ სხვა რამეს ვხედავ. ჩვენ ქარხანას მაღარო ვერ აუდის ქვის მოწოდებაში. ამის შესახებ საწარმოო თათბირიდან ზევით, მაღაროების სამმართველოში ბევრჯერ ვიყავით რამდენიმე მუშა. ბევრი ველაპარაკეთ. სექციის პარტბიუროზე დაისვა ეს საკითხი, მაგრამ გაუმჯობესება პრაქტიკულად მაინც ცოტაა, არაფერი ეტყობა რადგან მაღაროში მუშები არაა საკმარისი. მუშა ხელი აღარ ყოფნის გეგმას. დღეს, რომ გვირაბში ხუთას სა-

მოცი შედის ხვალ ხუთას ოცია მარტო, ზეგ კიდევ ოთხას ოთხმოცდა ხუთი, ან ხუთას ოცდაათი და ასეთი ცვალებადობა იწვევს მაღაროის ჩამორჩენას. როგორც იცით მეშვიდე გვირაბი სულ ჩამორჩენილია. მუშა ხელი ვერ მოიყვანა სოფლიდან და გეგმაც საფრთხეშია. იცი თუ არა ახლა ჩემო პეტრე, რატომ ცდებით შენ და მთელი ქარხანა?

— დიახ, ვიცი, ახლა კი ვიცი,—მაგრამ როგორ მოულოთ ამას ბოლო?— ცოტახნის ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა პეტრემ.

— როგორ?—დიმიტრიმ თავის ქექა დაიწყო. რაღაც ვერ მოიფიქრა ხეირიანად და შეუფერებელი პასუხი არ უნდა მისცეს დამკვრელებს. ამ საქმის გამოსწორება არც ისე ადვილად, უბრალო ხელწამოსაკრავად მიაჩნია. ბევრჯერაც უფიქრია მის შესახებ, მაგრამ ჯეროვან დასკვნამდე ჯერ კიდევ ვერ მისულა. დიმიტრიმ იცის, რომ მუშა ხელი სოფელში არის. კოლმეურნეობებს მუშახელის მთელი რაოდენობა არ სჭირდება, მაგრამ სოფლიდან გლეხები საკმაოდ მაინც არ მოდიან! თუ მოდიან ისიც მათ ყაიდაზე და წარმოების საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტის მწვავე მომენტში გარბიან, ან სხვაგან გადადიან.

— რა უშველის?—კიდევ ფიქრობენ ამხანაგები ამ მდგომარეობაზე.

— მიტრო შენ, უკანასკნელად სტალინის წერილი წეიკითხე?

მოულოდნელად შეეკითხა პეტრე მის პირველ მოსაუბრეს, რომელმაც ამ რამდენიმე წამის წინ ცრუ დამკვიელადაც კინაღამ არ გამოიყვანა.

— წავიკითხე, მერეთ რა!..

— იცი იქ რა ეწერა მუშა ხელის შესახებ?

— მახსოვს, მაგრამ პრაქტიკულად როგორ შევასრულოთ ბელადის მითითება?

იკითხა სერგომ.

— აი, როგორ, და მე კი ასე ვფიქრობ. კოლექტივებს ყავთ ჭარბი მუშები, ქარხანამ ამიტომ ხელშეკრულება უნდა დასდოს კოლმეურნეობის გამგეობასთან სათანადო ვალდებულებით, რითაც მუშახელი მუდმივათ საკმაო რაოდენობით გვეყოლება. ცვალებადობა მოისპობა და ქარხანა-მაღაროები აღარ იქნებიან ისეთ ცუდ მდგომარეობაში, როგორც აქამდე; თუ არა ისე, უმუშევარს ახლა ჩემო ძმაო, სანთლით, რომ ეძებო ვეღარ იშოვი. დიდმა მშენებლობამ მოსპო უმუშევრობა, ტყვილა ყოფნა.

— პეტრე მართალია,—დაემოწმა თაბაგარი, რომელსაც ახალგაზრდა მრეცხავის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა და მოეწონა—კი, ეს ასე უნდა ვქნათ. ხვალ ამის შესახებ კომუჯრედის ბიუროს შეუთანხმდეთ, საწარმოო თათბირი გამოიმუშავებს ღონისძიებებს და ზეგ კაციც გავგზავნოთ კოლექტივებში ხელშეკრულების დასადებათ. ჩვენს ვალდებულებას ჩვენ შეუსრულებთ და ისინიც ჭარბ მუშა ხელს გამოგვიგზავნიან.

დაასკვნა დიმიტრი თაბაგარმა. მტვირთავის სახეზე ახლა კმაყოფილების იერი თამაშობდა. მხიარულია დამკვრელი მუშა, რადგან მიხვდა, რომ ამ ხერხით მაღარო საკმაო ქვას მოაწოდებს ქარხანას და ისინიც გაუსწორდებიან მოწინავე მუშებს ტემპიან ბრძოლაში.

— ასე, ასე აუცილებლად. ბელადის მითითებების შესრულება გვიხსნის ამ გაჭირვებიდან.—გულიდან ამოთქვა სერგომ და მიმავალ ამხანაგებში მეტი ხალისიანი ხმაური შეიტანა.

საუბარში გამართული მუშები ქალაქის შესავალში სწრაფად მიაბიჯებდენ. საბჭოთა სოციალისტურ წარმოებაზე დაფიქრებული აღმშენებლობის გმირები მიდიან დასასვენებლად ხვალინდელი დღის ამოცანების გათვალისწინებით.

* * *

კვარტალის დასასრული მოახლოვდა. სამთვიურ დავალებათა შესრულებამდე დღეები დარჩა. დადგა საწარმოო საფინანსო გეგმებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ხანა. დრო ცოტაა. გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის. მაღაროს აღარ აქვს მოსვენება. მთელი წარმოება ფეხზე დგას. ხელჩართული ბრძოლაა გამარჯვებისათვის. მეოცდახუთე გვირაბი ჯერ მაინც ჩამორჩენაშია. გამძაფრებულ იერიშებს უფრო და უფრო აძლიერებენ პარტიის, კომკავშირის ბრიგადები. საუკეთესო დამკვრელთა თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რათაც „დაგვიჯდეს მორიგ კვარტალს უვალოთ შევხვდეთ-ო. ამით უფრო იმატა მტკიცე შეტევამ. მაღაროს ჩამორჩენით ქარხანაც ვეღარ ასრულებს თავის დავალება და გულმოსული მრეცხავი მუშები ქვის მოლოდინში მოუთმენლად თავს დასტრიალებენ გამამდიდრებელ დაზგებს.

ძნელია ვალის დარჩენა. ერთი კკარტალის დანაკლისი საფრთხეს უმზადებს მომდევნო კვარტალის გეგმის შესრულებას. ამაში ღრმად დარწმუნებულია საწარმოო კომიტეტი, მაღარკომი და ყველა წარმოების მესაიდუმლე მუშა, ამიტომ პარტიის მეთაურობით მოეწყო შაბათობა მაღაროში სამუშაოდ. მთელი დღის განმავლობაში წარმოებას დაუბრუნდა ათეული დაწინაურებული მნგრეველი, მენიჩბე და საუკეთესო მემაღაროე. ამ დღეს კანტორა და მაღაროთა სამმართველო რამოდენიმე მეთვალყურის, მორიგის ხელში იყო. დანარჩენები გმირულად ეკვეთენ წარმოებას გადამწყვეტ მომენტში.

— გარღვევას მალე გამოვასწორებთ, დღეს დღიური დავალება 123 პროცენტით შევასრულეთ და ასეთი ტემპებით მთლიანად დავფარავთ გასულ თვეების დავალიანებას—ირწმუნება პროფკავშირების მდივანი ამხანაგი სონა—გასულშიაც ასე მოგვივიდა. კომპრესორი წაგვიხდა, ტრესტმა ცხენებისათვის თივა ვერ მოგვაწოდა და გეგმაც გვეშლებოდა, მაგრამ ბოლოს ისე გავაძლიერეთ დამკვრელი მუშაობა, რომ გეგმა მაინც შევასრულეთ.

ენტუზიასტი ქალის აზრს რამდენიმე ამხანაგი არ ეთანხმება. ისინი იჭვის თვალით უყურებდენ ოცდახუთი ქარხანა-მაღაროს მდგომარეობას და თუმცა სჯეროდათ, რომ ასეული დამკვრელის გამუდმებული შეტევა, დამკვრელი ხუთდღიურის გამოცხადება და ხუთწლედის გმირების შეუდრეკელი ნება ერთი ორად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ კვარტალის დამთავრებამდე სულ რაღაც ოთხი დღე დარჩა და ამ ხანში ქარხანა და მაღარო რვა დეკადის დანაკლისს ძნელად აინაზღაურებს.

— არა, ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ გეგმას. არ ჩამოვრჩებით. ვნახოთ, როგორ ციფრს მივიღებთ.

ისევ შეუხრელად, ეჭვ მიუტანლად არწმუნებს ყველას დამკვრელი პროფ-მუშაკი და მაღაროსაკენ, ქარხნისაკენ მიუწოდებს ყველას, ვინც ეჭვ—უნარი და მკლავის ძალა, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში გამარჯვებული—გამოვიდნენ.

— ვნახოთ რას გვეტყვიან ციფრები ამხანაგო სონა! ასეთი ტემპები თავიდან ვერ აიღეთ და ბრალიც იმაშია. არ შეიძლება ერთი წამითაც ტემპების შენელება—ასე გვასწავლის ბელადი. მიმართავს საშუალო ტანის, პირხმელი ახალგაზრდა.

— ახლა ფიქრი არაა, დღეს კოლმეურნეობიდან ასზე მეტი მუშა მოგვემატა. ხვალაც მოვლენ და გეგმას უზრუნველვყოფთ. ჩვენი მაღარო მაინც არ შეირცხვენს პირს. ის არ ჩამორჩება.

თაბაგარის და პეტრის შემოტანილმა პრაქტიკულმა წინადადებამ დადებითი შედეგი მოიტანა. წარმოება ახლა დიდ იმედს ამყარებს გეგმით გათვალისწინებულ მუშა ხელის მიღებაზე. მოწესრიგდა თავისუფალი მუშათა გამოყენება სოციალისტური მშენებლობის იმ სამუშაოებზე, სადაც პირველ რიგშია საჭირო დახმარება. თაბაგარი და სარეცხი ქარხნის მუშები ამ დასკვნამდე ნედლი მასალის მოუწოდებლობამ მიიყვანა, ხოლო მათ წინადადების ბელადის მითითებათა საფუძველზე, მაღაროთა სამმართველო კმაყოფილებით შეხვდა. დადებული კოლხელშეკრულებები არტელებისათვის დახმარებას ითვალისწინებდა. ვალდებულების ერთ მუხლში ეწერა, რომ კოლმეურნეობიდან მოსულ მუშათა ნამუშევრის მიხედვით წარმოება კოლმეურნეობას პრემიას გადაუხდის ოთხი პროცენტის რაოდენობით. ეს მეტ ინტერესს აძლევდა კოლმეურნეთა ხელმძღვანელებს, რათა მეტი თავისუფალი მუშა ხელი გაეგზავნათ წარმოებაში, დამკვრელი ამოცანებისათვის ბრძოლაში.

— ვნახოთ!

— ვნახოთ, როგორ ასწევთ ციფრებს!

თითქოს ერთხმად პასუხობენ გვირაბის პირისაკენ მიმავალი დამკვრელები. წერაქვებ აწეულნი მიიჩქარიან ამოკითხვაზე. აქ კოლმეურნეობის თავმჯდომარეც გამოჩნდა. მან მაღარკომთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად მოიყვანა თავისუფალი კოლმეურნეები, ეხმარება წარმოებას იმ იმედით, რომ თვითონაც აუცილებლად მიიღებს სამაგიერო დახმარებას მუშებისგან.

— მაშ! ჩვენც აგრე!

— ჩვენც აგრე!

— ჩვენც თქვენთან საერთო ბრძოლაში!

იმეორებენ ბრიგადის ხელმძღვანელები და შეიარაღებული ჯგუფები მიყავთ ბრძოლის ველზე. მიწის გულთან შესაბრძოლებლად, რომ გამოგლიჯონ ხელიდან ძვირფასი მადანი.

ჯარბელის მიდამო ზეიმობს ბრძოლაში გამარჯვებული. გასარეცხი ქვით დატვირთული ქარხანა მძიმედ ქშინავს. სარეცხი ცხრილები ახლა მჩატეთ ველარ ხტიან თავიანთ ჭკუაზე.

— დუუ... უ, დუ...ურ...

გრიალობს საყვირი და მადნის ჩამოსაშვებს აფრთხილებს: ქვა თანაბრად გამოუშვი, ერთად ნუ ააზვავებ ყველაფერს, ღარში აღარ ეტევა—გაბაზე.

— განა, ჯერი ჩვენს გვირაბზე არ იყო!

გადმოსძახებს ბაქანთან რონოდების დამცლელი და ქვევით მეთოხეებს ამხიარულებს თავისი მადიანი შრომით.

— აი, ჩვენი პასუხი!

— ჩვენი პასუხი

ჰარმონიულად აყოლებენ ხმას ქვის ჩამომშვები დამკვრელები ლავათ ქცეულ შავი ქვის მოძრაობას და სახელოებით შუბლზე წყლის შხეფებს იწმენდენ.

— აგრე, აგრე ბიჭებო!

გახალისებული იძახის დიმიტრი თაბაგარი ქარხნის მისავალში და ზედიზედ აგზავნის გაწმენდილი მადნით დამძიმებულ კალათებს საჰაერო გზით.

შალვა რადიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინური ეტაპისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში

სოციალიზმის პერიოდში შესვლა, სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის ამოშენება მიმდინარე წელში, კლასობრივ ძალების გადაჯგუფება, რომელიც ხდება ჩვენს ქვეყანაში — იწვევს კლასთა ბრძოლის უკიდურეს გამწვავებას.

სოციალისტური ძალების წინსვლა, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, იწვევს კლასიური მტრების გააფთრებულ წინააღმდეგობას.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდი ახალი სახით სვამს პრობლემებს იდეოლოგიური ფრონტის ყველა სფეროებში.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული დისკუსიები თეორეტიულ ფრონტზე — ფილოსოფიის, ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ლიტერატურის მეცნიერების და სხვ. დარგებში წარმოადგენს გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას პროლეტარიატსა, რომელიც გაშლილ სოციალისტურ იერიშებს აწარმოებს და ძველი ქვეყნის უკანასკნელ ნაშთებს შორის.

იმ როლისაგან, რომელსაც ასრულებს თეორია კლასთა ბრძოლის პრაქტიკაში, აუცილებლათ გამომდინარეობს ის, რომ თვით თეორია ხდება კლასთა ბრძოლის ასპარეზათ. კლასიური ინტერესები ეხება თეორეტიული ფრონტის ყველა დარგებს (მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება და სხვ.).

პოლიტიკურათ და ეკონომიურათ დამარცხებული კლასი ყველაზე გვიან მარცხდება იდეოლოგიის სფეროში. აქ იგი ჯერ კიდევ სტოვებს თავის იდეიურ მემკვიდრეობას, რომლის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა უხდება ხელისუფლების სათავეში მოსულ ახალ კლასს.

„რევოლიუცია, — სწერდა კ. მ ა რ ქ ს ი, — აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ სხვა არც ერთი საშვალებით არ შეიძლება დამარცხდეს გაბატონებული კლასი, არამედ იმიტომაც, რომ დამარცხებულ კლასს მხოლოდ რევოლიუციის საშვალებით შეუძლია გაიწმინდოს ძველი საზოგადოების მთელი სიბინძურისაგან და მიეცეს საშვალება შექმნას ახალი საზოგადოება“. სწორედ რევოლიუციონურ პერიოდში, როდესაც გამარჯვებული პროლეტარიატი ანადგურებს ბურჟუაზიულ კლასის ნარჩენებს, მეცნიერებაშიაც, ფილოსოფიაშიაც, ხელოვნებაშიაც და ლიტერატურაშიაც მიმდინარეობს გამწვავებული ბრძოლა კლასიური ინტერესებისათვის. უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მავნებლური ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებდენ კაპიტალისტურ ინტერვენციას საბჭოთა კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის წინააღმდეგ, თავიანთ მავნებლურ პრაქტიკას საფუძვლათ „მავნებლურ „თეორიებს“ უდებენ (კონდრატიევ-გრომანის „გენეტიკის პრიმატი თეორიაზე“, რუბინის მენშევიკურ-იდეალისტური ეკონომიური თეორია, პერევერზევის შეხედულებანი ლიტერატურის მეცნიერებაში და სხვ.).

გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში განსაკუთრებით მკვეთრად დაისვა პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს თეორეტიული მემკვიდრეობის გადაფასების საკითხი.,

გავრცელებული იყო შეხედულება, რომელსაც განსაკუთრებით ენერგიულად იცავდენ მომენშევიკო — იდეალისტები (დ ე ბ ო რ ი ნ ი და სხვ.), რომ თითქოს ერთია პლეხანოვი პოლიტიკოსი და მეორე თეორეტიკოსი, რომ ერთია პლეხანოვის პოლიტიკური მენშევიზმი და მეორე მისი ფილოსოფიურ-ესტეტიურ-ლიტერატურული შეხედულობები. მაგრამ ეს უაღრესად შემცდარი მოსაზრება იყო. პლეხანოვ-პოლიტიკოსსა და პლეხანოვ-თეორეტიკოსს შორის არ არის განსხვავება. პლეხანოვი მთლიანი ფიგურაა, რომელიც ერთნაირ თვალსაზრისს ატარებდა დაწყებული პოლიტიკიდან და გათავებული ხელოვნება-ლიტერატურით და ფილოსოფიით. პლეხანოვის პრაქტიკა კლასთა ბრძოლაში და მისი თეორეტიული შეხედულებანი უწყვეტ მთლიანობაში იმყოფება. მენშევიზმი პოლიტიკაში, ობექტივიზმი ფილოსოფიაში, ისტორიაში, ხელოვნებაში და ლიტერატურაში — აი პლეხანოვის მთლიანი სახე. პლეხანოვი მენშევიკი პოლიტიკაში, მენშევიკი ისტორიული პროცესის გაგებაში, არ შეიძლება სხვა იყოს ფილოსოფიის ან ხელოვნება-ლიტერატურის საკითხებში.

რა საფუძვლებიდან, რომელი თვალთახედვიდან უნდა გამოვმდინარეობდეთ პლეხანოვის მემკვიდრეობის შეფასების დროს? — ლ ე ნ ი ნ ი ს შეხედულებათა საფუძველზე უნდა იქნას გადაფასებული პლეხანოვის თეორეტიული შეხედულებები ლ ე ნ ი ნ ი ს დიალექტიკის საფუძველზე უნდა იქნას გარკვეული პლეხანოვის საერთო-მეთოდოლოგიური ოვალთახედვა.

რაში მდგომარეობს პლეხანოვის ძირითადი შეცდომები?

როგორც ცნობილია პლეხანოვი თავიდანვე გამოვიდა, როგორც მატერიალისტი, მაგრამ მატერიალისტი ფეიერბახ-ჩერნიშევსკის შკოლის. მის მატერიალიზმს ყოველთვის უფრო მეტად ჭვრეტითი ხასიათი ჰქონდა. პლეხანოვის აზრით ფეიერბახი და ჩერნიშევსკი გამოხატავს „მატერიალისტების მთელ მოძღვრებას ობექტის და სუბექტის შესახებ“. ჩ ე რ ნ ო ვ თ ა ნ კამათში პლეხანოვი სწერდა: „ამ საგანზე (ე. ი. სუბექტისა და ობექტის ურთიერთობაზე. შ. რ.) მატერიალისტური შეხედულებანი მშვენივრად იყო გამოთქმული ფეიერბახის მიერ სიტყვებით: „რაც ჩემთვის ან სუბექტი არის აქტი თავისთავად, ობექტურად ეს აქტი არ არის მატერიალური, გრძნობითი. ამ სიტყვებში გამოიხატება მატერიალისტების მოძღვრება ობექტისა და სუბექტის ერთიანობაზე“ (ტ. XVI, გვ. 136). როგორ ესმოდა ფეიერბახს ობექტის და სუბექტის ურთიერთობა?—იგი ობექტს და სუბექტს იხილავდა განსაკუთრებით ნატურალისტურათ, ორგანიზმის ბიოლოგიურ თვისებების მხრივ და არა სოციალ-ისტორიული თვალსაზრისით.

მატერიალიზმის ძირითადი დებულების „ობიექტის გარეშე არ არის სუბექტი“—გაგებაშიც პლეხანოვი ფეიერბახის გზას მიჰყვებოდა. ფეიერბარხი ამ

დებულებას ანვითარებდა „ადამიანის ბუნების“, ანტროპოლოგიის და არა ისტორიის და სოციალურ განვითარების ჩარჩოებში. აქედან პლეხანოვს ადამიანის მოქმედება, რომელიც სცვლის ბუნებას გამოჰყავს არა საზოგადოებრივ ისტორიიდან, არამედ განყენებულ ადამიანისაგან. ობექტის და სუბექტის ანტროპოლოგიური გაგება, რომელიც აწესებს საერთო შაბლონს ყველა კონკრეტულ პროცესებისათვის, იწვევს პრაქტიკის სხვადასხვა ფორმების კონკრეტიულ და და ხარისხობრივ განსხვავების მიჩქმალვას.

პლეხანოვი დიალექტიკას იხილავდა შემეცნების თეორიისაგან გამოყოფით. იგი ფიქრობდა, რომ შემეცნების თეორიის საკითხები ჯერ კიდევ მარქსამდე გადასწყვიტა ფეიერბახმა. მისი აზრით მარქსმა მას მხოლოდ დიალექტიკა მიუმატა.

პლეხანოვისათვის უცხო დარჩა დიალექტიკა, როგორც „ფილოსოფიური მეცნიერება“ (ლენინი). წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი მისთვის არ იყო „შემეცნების და ობექტური სამყაროს კანონი“. წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი მას დაჰყავდა „მაგალითების ჯამამდე“ (ლენინი). პლეხანოვის ყველა ნაწერები დიალექტიკაზე ატარებს აბსტრაქციულ ხასიათს.

პლეხანოვის მიერ შემეცნების თეორიის გაგებაში სუბექტის და ობექტის ურთიერთობა რჩება წმინდა გარეგანი ხასიათის და ხვრელებს სტოვებს იდეალისტური კონცეპციისათვის. სწორედ ასეთი იდეალისტურ კონცეპციას წარმოადგენს ე. წ. იეროგლიფური თეორია. პლეხანოვის შეხედულებით საგნები არ გამოიხატებიან ჩვენს შემეცნებაში, არამედ აისახებიან შეგრძნობით. მისი აზრით ეს შეგრძნობანი არ ემსგავსება გამომწვევ ობექტს.

პლეხანოვის ამ შეცდომებს თავის დროზე საფუძვლიანათ აკრიტიკებდა ლენინი. იგი მთელი რიგი წლების მანძილზე მიუთითებდა პლეხანოვს თავის შეცდომებზე ფილოსოფიაში. ლენინი ბრალს სდებდა პლეხანოვს მატერიალისტური დიალექტიკის დამახინჯებაში, დიალექტიური მატერიალიზმის ვულგარიზაციაში, სოფისტიკაში და ა. შ.

ყველასთვის ცნობილია ლენინის მიერ ჩატარებული პლეხანოვის იეროგლიფების თეორიის კრიტიკა.

ჰეგელის „ლოლიკის მეცნიერების“ კონსპექტში ლენინი სწერდა იმის შესახებ, რომ პლეხანოვმა ვერ გაიგო, რომ დიალექტიკა არის მარქსიზმისათვის შემეცნების თეორია. აქვე ლენინი აღნიშნავდა, რომ პლეხანოვმა ვერ გაიგო, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი არის სამყაროს მოძრაობის და შემეცნების ძირითადი კანონი. შემდეგ ლენინი მიუთითებდა, რომ პლეხანოვი მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ რევიზიონისტებს აკრიტიკებდა უფრო მეტად ვულგარულ-მატერიალისტური, ფეიერბახიანული თვალსაზრისით, ვიდრე დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით: „პლეხანოვი აკრიტიკებს კანტიანელებს (საერთოდ აგნოსტიციზმს) უფრო მეტად ვულგარულ-მატერიალისტური, ვიდრე დიალექტიურ-მატერიალისტური თვალთახედვით, რამდენადაც ის მხოლოდ a limtine უარყოფს მათ მტკიცებას და არ ასწორებს (როგორც ჰეგელი ასწორებდა კანტს) ამ მტკიცებას, არ აღრმავებს, არ ანზოგადოებს, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფართოებს, არ გვიჩვენებს კავშირს და გადასვლებს ყველა და ყოველი სახის ცნებების“ (იხ. Ленинский сб. IX, გვ. 197).

პლეხანოვის ცნობილ „ხუთწვეროვანში“ („მარქსიზმის ძირითადი საკითხები“) უკვე მკაფიოდ მოსჩანს მისი შეცდომები ისტორიული მატერიალიზმის სფეროში. ჩვენს წინაშე აქ როგორც აღნიშნა პოკროვსკიმ არის პოლიტიკური მომენტის ემანსიპაცია და კლასიური ბრძოლის უგულებულყოფა.

ამ „ხუთწვეროვანში“ პლეხანოვმა მექანისტურად გაიგო ბაზისის და ზედნაშენის ურთიერთობა, დაივიწყა კლასიური ბრძოლა, როგორც განმსაზღვრელი, მექანისტურად მიაფუჩეჩა ზედნაშენების აქტიური როლი და სხვ.

ხელოვნების და ლიტერატურის თეორიის და კრიტიკის სფეროში პლეხანოვს არა ნაკლები შეცდომები აქვს.

ზოგადათ პლეხანოვის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური შეცდომა ხელოვნების და ლიტერატურის სფეროში ეს არის მოვლენებისადმი ანტი-ისტორიული, ანტი-დიალექტიური თვალსაზრისით მიდგომა.

შემდეგი ძირითადი შეცდომა, რომელიც ახასიათებს პლეხანოვის მეთოდოლოგიას ეს არის ობექტივიზმის დაცვა ნაცვლად პარტიულობისა. ეს განსაკუთრებით მოსჩანს მის შრომებში ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

პლეხანოვის წერილების ხელოვნებისა და ლიტერატურაზე აგრეთვე ახასიათებს აბსტრაქტული ლოგისტიკა და ფორმალისტიკა.

როგორ სწყვეტდა პლეხანოვი ხელოვნების და ლიტერატურის კონკრეტულ საკითხებს?

ამისათვის ყველაზე უფრო სრულ მასალას იძლევა მისი წერილები ტოლსტოის შესახებ. ამ წერილებში პლეხანოვი სრულიად არ ითვალისწინებდა კონკრეტიულ ისტორიულ პირობებს. იგი ტოლსტოის შეხედულებებში და შემოქმედებაში უმთავრესად ეძებდა ლოგიკურ წინააღმდეგობებს და სრულიად არ სცდილობდა მის სოციალ-კლასიური პოზიციების გამორკვევას. ის წინააღმდეგობები, რომელიც იყო ტოლსტოის შემოქმედებაში და მის მოძღვრებაში პლეხანოვი სრულიად არ უკავშირებდა რევოლიუციას და მის მამოძრავებელ ძალებს.

პლეხანოვი ტოლსტოის მოძღვრებაში და შემოქმედებაში არსებულ წინააღმდეგობებს უკავშირებდა, როგორც ძირითად განმსაზღვრელ მომენტს—ტოლსტოის ინდივიდუალიზმს: „ტოლსტოი არის ერთ-ერთი გენიალური და ყველაზე უკიდურესი წარმომადგენელი ახალი დროის ინდივიდუალიზმის. ინდივიდუალიზმა დაასვა ღრმა ნიშანი როგორც მის მხატვრულ ნაწარმოებებს, ისე და, განსაკუთრებით მის პუბლიცისტურ შეხედულებებს (XXIV, გვ. 252). პლეხანოვის აზრით ტოლსტოის იდეალიზმი ეს არის შემეცნების ყოფისადმი დაპირისპირების ერთ-ერთი ფორმა და აქედან გამომდინარეობს წინააღმდეგობანიც მის მოძღვრებაში და შემოქმედებაში.

ტოლსტოის შეხედულებებს პლეხანოვი იხილავდა კლასიური ბრძოლის, რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთაგან დაშორებით, გამოყოფით.

ტოლსტოის მოძღვრებაში და შემოქმედებაში არსებულ წინააღმდეგობების გარკვევის საქმეში პლეხანოვს საკმარისად მიაჩნია თვითმოძღვრების შინაბუნებიდან გამოსვლა. მისი აზრით ამ გზით უკეთესად შეიძლება განსაზღვროთ

თუ რისთვის არის ტოლსტოის მოძღვრება ასე მდიდარი წინააღმდეგობებით (იხ. ტ. XXIV, 196). ამის გამო პლეხანოვი არ გამოდიოდა ვიწრო რეალიდან და ტოლსტოის წინააღმდეგობებს არ უკავშირებდა საზოგადოებრივ პრობლემებს, რის გამოც იგი არსებითად ვერ არკვევდა, ვერ ითვალისწინებდა იმ ნამდვილ მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია წინააღმდეგობანი ტოლსტოის მოძღვრებაში და შემოქმედებაში.

პლეხანოვის წერილებში ტოლსტოის შესახებ განსაკუთრებუთ გამოსჭვივის მისი მისწრაფება საერთო ჰეშმარიტების უბრალო ლოგიკური განვითარებისა და არა დიალექტიური, არა ისტორიული მიდგომა.

პლეხანოვის წერილებში ტოლსტრის შესახებ აგრეთვე ნათლად გამოსჭვივის მის მიერ დაუფასებლობა ხელოვნების აქტიური როლის, როგორც სინამდვილის შემცნობის და შეცვლის მეთოდის.

პლეხანოვის წერილებში ტოლსტოის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ნათლად ვიპოვნოთ ამასთანავე ფორმის და შინაარსის მექანისტური გადაწყვეტა...

როგორც ცნობილია მოცემულ სპეციფიურ სფეროს ბუნების გაგების გარეშე ვერ შევსძლებთ გავარკვიოთ მისი მოძრაობა, მივსცეთ მას სათანადო მიმართულება და სხვ. ამ ძირითად საკითხში ხელოვნების მიმართ პლეხანოვს აქვს ეკლექტიზმი ერთის მხრივ იგი სწორად განსაზღვრავდა ხელოვნებას, როგორც სახეებით აზროვნებას, მეორე მხრივ მას აქვს ისეთი განსაზღვრა, რომელსაც ხელოვნება დაჰყოფს თამაშობამდე, რაც დაკავშირებულია მის კანტიანურ მოტივებთან. პლეხანოვს აქვს ხელოვნების სხვაგვარი განმარტებაც: ხელოვნება, როგორც უმწიკვლო ჰვრეტა·

როგორ ესმოდა პლეხანოვს ფორმის და შინაარსის ურთიერთობა? — მექანისტურად. იგი მათ ურთიერთობას წმინდათ გარეგნულათ არკვევდა. ფორმას და შინაარს იგი ვერ ითვალისწინებდა, როგორც დიალექტიურ ერთიანობას. იგი ფორმის და შინაარსის ურთიერთობას მექანისტურად ჰყოფდა: ხან ფორმა რჩება უკან შინაარსს, ხან შინაარსი ფორმას.

პლეხანოვი ივიწყებდა ხელოვნების სოციალურ ფუნქციას. რის გამოც მას არ ესმოდა ხელოვნება, როგორც კლასთა ბრძოლის ფორმა.

პლეხანოვი მატერიალური კრიტიკის ორი აქტის გაგებაში სრულ ვულგარიზაციამდე მივიდა. იგი მექანისტურად უდგებოდა საქმეს, ხელოვნურად აშორებდა ერთმანეთს სოციალური ეკვივალენტის გამორკვევას და ესთეტიურ შეფასებას. ამის გამო იგი მოვლენებს მხოლოდ ხსნიდა და არ აფასებდა.

პლეხანოვს კანტიანურად ესმოდა ესტეტიკის მრავალი საკითხი. უპირველეს ყოვლისა აქ უნდა გავიხსენოთ მისი შეხედულება მშვენიერების შეცნობის შესახებ ჰვრეტითი უნარიანობით, რომ მშვენიერების სფერო ინსტიქტია, რომ ესთეტიურ დატკბობის მთავარი განმანსხვავებელი ნიშანი მისი უშუალობაა (ტ. XIV, გვ. 114). ამასთანავე პლეხანოვი მთლიანად ეთანხმებოდა კანტს, როდესაც აცხადებდა, რომ „მსჯელობა გემოვნებაზე უეჭველად გულისხმობს ყოველგვარი უტილიტარული მოსაზრების უქონლობას იმ ინდივიდუმში, რომე-

ლიც ამას გამოსთქვამს“ (იქვე გვ. 119). საბოლოო ანგარიშში, მეშვენიერების გაგებაში პლეხანოვი არა კლასიურობამდე მიდიოდა.

კიდევ სხვა შეცდომები და ნაკლულოვანებანი, რომელიც ახასიათებს პლეხანოვს ხელოვნების და ლიტერატურის საკითხებში ეს არის ბიოლოგიური და საზოგადოებრივი ურთიერთობის არა სწორი გაგება, პოზიტიური უტილიტარიზმის ელემენტები, სუსტად მოხმარა დიალექტიკის და სხვ.

ასეთია პლეხანოვის ძირითადი შეცდომები და ნაკლულოვანებანი [1]) როგორც ვხედავთ ეს შეცდომები და ნაკლულოვანებები ძირითადია. [3]) რეკონსტრუქციის პერიოდი მკვეთრად სვამს მათდამი კრიტიკულ მიდგომას მათ ლენინის თვალსაზსაზრისით შეფასებას.

გადამწყვეტ, არსებით პირობას ლიტერატურის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის წარმოადგენს ლ ე ნ ი ნ ი ს თეორეტიულ მემკვიდრეობის შეთვისება და დამუშავება. ლენინს აქვს უდიდესი სიმდიდრე, რომელიც ჩვენ უნდა შევითვისოთ და დავამუშაოთ ლიტერატურის მეცნიერების დარგში.

ლენინის ნაწერები ფილოსოფიაში, მისი სწავლება მეცნიერების პარტიულობაზე, მისი შეხედულებანი კულტურაზე და კულტურულ რევოლიუციაზე, მისი კრიტიკული ანალიზი ტოლსტოის შემოქმედების და სხვ. იმდენ მასალას იძლევა რომ იგი ხელოვნების, ლიტერატურის მეცნიერებას სწევს უფრო მაღალ საფეხურზე.

დღეს ჩვენი გადაუდებელი ძირითადი სამოქმედო პროგრამა უნდა იყოს ბ რ ძ ო ლ ა ლ ე ნ ი ნ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი.

აქამდე ლენინის, როგორც თეორეტიკოსის როლს განზრახ ჩქმალავდენ. ამ საქმეში განსაკუთრებული „დამსახურება“ მიუძღვის დ ე ბ ო რ ი ნ ი ს მომენშევიკო სკოლას. ეს სკოლა სრულიად ვერ აფასებდა ლენინის თეორეტიულ როლს ფილოსოფიაში, ესთეტიკაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში და სხვ. აი რას სწერდა დ ე ბ ო რ ი ნ ი: „ლენინი ფილოსოფიაში რასაკვირველია, პლეხანოვის „მოწაფეა“, რის შესახებ თვითონაც არა ერთხელ განუცხადებია... პლეხანოვი უპირველეს ყოვლისა თეორეტიკოსია, ლენინი კი უპირველეს ყოვლისა პრაქტიკოსი, პოლიტიკოსი, ბელადი“ (იხ. მისი „Ленин как мыслитель“, 1929 წ. გვ. 26 [3]). საკითხის ასეთი დასმა უსათუოდ ჩქმალავს ლენინის, როგორც თე-

[1]) თვითკრიტიკის ხაზით უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილის ავტორსაც ჰქონდა არა კრიტიკული მიდგომა პლეხანოვის მემკვიდრეობისადმი ხელოვნების და ლიტერატურის სფეროში. პლეხანოვის უსათუოდ შემცდარი ზოგიერთი დებულება ჩემს მიერაც იყო გაზიარებული. ცხადია მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურის მეცნიერების განვითარების თანამედროვე საფეხურზე აუცილებელია კრიტიკულად მიუდგეთ ჩვენს შეცდომებსაც და უნდა გამოვასწოროთ ის.

[2]) უსათუოდ შემცდარი იყო რუს-ნაპოსტოველ ამხანაგების ლოზუნგი: „პლეხანოვის ორტოდოქსიისათვის“.

[3]) სხვათა შორის საქართველოში დებორინული მოსაზრება ლენინის როგორც მხოლოდ პრაქტიკოსის შესახებ, გაიმეორა მ. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე მ. ერთ-ერთ თავის შრომაში იგი სწერს: „ლენინი, როგორც პიროვნება და მსოფლიო ისტორიული მოვლენა, რასაკვირველია, უპირველესი ყოვლისა პრაქტიკოსია“ (იხ. მისი „ლენინი როგორც ფილოსოფოსი“ გვ. 9)... „უდაოთ და უკამათოთ ლენინი მოწაფე იყო პლეხანოვის ორტოდოქსალური სკოლის (იქვე, გვ. 34)... ლენინი აქ პლეხანოვთან არის და თავის თავს მის უერთგულეს მოწაფედ გრძნობს“ (იქვე გვ. 19). ეს ხომ პირწმინდათ მომენშევიკო იდეალისტების მოსაზრებაა.

ორეტიკოსის როლს და ამავე დროს გამოხატავს მენშევიკურ შეხედულებას თეორიის და პრაქტიკის ურთიერთობაზე. ლენინი იყო არა მარტო დიდი პრაქტიკოსი, პროლეტარიატის ბელადი, არამედ იგი იყო ამავე დროს უდიდესი თეორეტიკოსი, რომელმაც მარქსიზმი აიყვანა ახალ სიმაღლეზე. ლენინის ეტაპი წარმოადგენს ახალ საფეხურს მარქსიზმის განვითარების ისტორიაში. ეს ერთნაირად შეეხება პოლიტიკას, ისტორიას, ფილოსოფიას, ხელოვნებას, ლიტერატურას და სხვ.

როდესაც ვიბრძვით ბოლშევიკურ ლიტერატურის მეცნიერებისათვის, აუცილებელია გამოვარკვიოთ ის სხვაობა, რომელიც არსებობს ლენინის და პლეხანოვის მეთოდს შორის. აქ ჩვენ არსებით, ძირითად განსხვავებას ვნახავთ. პლეხანოვის მეთოდს, როგორც ეს ზევით დავინახეთ ახასიათებს ანტიისტორიზმი, აბსტრაქტიულობა, გადაჭარბებული ლოგიზაცია, ანტი-დიალექტიკა და სხვ. ლენინის მეთოდს კი ყოველთვის ახასიათებდა კონკრეტიულ-ისტორიული პირობების გათვალისწინება, ცოცხალ საზოგადოებრივ ძალების ანალიზმი, მოვლენებისადმი დიალექტიური მიდგომა, პარტიული თვალსაზრისი და სხვ.

ლენინის წერილები ტოლსტოის შესახებ წარმოადგენს ლიტერატურის საკითხებში დიალექტიკის მოხმარის იშვიათ ნიმუშს. ის, რაც ლენინს ყოველ თავის შრომაში ახასიათებს, ამ წერილებში განსაკუთრებით სიძლიერით მოსჩანს: კონკრეტიულ-ისტორიული და ღრმა პარტიული თვალსაზრისი.

ლენინი მხატვრულ ნაწარმოებს არ აშორებდა ისტორიულ პირობებს. ის არჩევდა ნაწარმოების იდეურ მიმართულებას, კლასიურ სახეს. ის მწერალს და ნაწარმოებს ყოველთვის პარტიული თვალთახედვით უდგებოდა, მაგრამ ამავე დროს არკვევდა ნაწარმოების ისტორიულ შინაარსს, მის ხასიათს იდეების მხრივ.

ლენინი ნაწარმოების და მწერლის შეფასების დროს სრულად ითვალისწინებდა საზოგადოებრივ მოვლენების ურთიერთობას კლასიურ ბრძოლაში.

როგორი იყო ის ძირითადი გამოსავალი საფუძველი, რომლითაც უდგებოდა ლენინი ტოლსტოის მოძღვრებას და შემოქმედებას? — ამხელდა რა ლენინი ლიბერალურ და ლიკვიდატორულ პრესაში მოთავსებულ წერილებს ტოლსტოის იუბილესთან დაკავშირებით, ხაზს უსვამდა, რომ ეს პრესა „ნაკლებათ არის დაინტერესებული მისი ნაწერების ანალიზში რუსეთის რევოლიუციის და მისი მამოძრავებელი ძალების თვალსაზრისით“ (ტ. XII, გვ. 331).

ლენინი იმ წინააღმდეგობებს, რომელიც იყო ტოლსტოის შემოქმედებაში და მოძღვრებაში იხილავდა არა როგორც მის პირად აზროვნების და ცხოვრების წინააღმდეგობებს, არამედ არკვევდა მას, როგორც იმ წინააღმდეგობების გამოსახულებათ, რომელშიაც ჩაყენებული იყო რუსეთის გლეხობის ისტორიული საქმიანობა რევოლიუციაში. ტოლსტოი მას მიაჩნდა მრავალმილიონიან რუს გლეხების პროტესტის და საყვედურის გამომხატველად. „წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებში, — სწერდა ლენინი, — უნდა შევაფასოთ არა თანამედროვე მუშათა მოძრაობის და თანამედროვე სოციალიზმის თვალთახედვით (რასაკვირველია, ასეთი შეფასება აუცილებელია, მაგრამ არ იქნება საკმარისი), არამედ იმ პროტესტის თვალთახედვით, რომელიც მიმართული იყო მომავ-

კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც გამოიწვევდა მასების განადგურებას და მიწების დაკარგვას, მაგრამ რომელიც დამარცხებული უნდა ყოფილიყო პატრიარქალური რუსული სოფლით. ტოლსტოი დიდია, როგორც გამომხატველი იმ იდეების და განწყობილებების, რომელიც შეიქმნა მრავალმილიონიან რუს გლეხებში რუსეთში ბურჟუაზიულ რევოლიუციის შემოსვლის დროს. ტოლსტოი ორიგინალურია, ვინაიდან მისი შეხედულებების შეჯახება მავნებელია, როგორც მთლიანი, მაგრამ მაინც გამოხატავს ჩვენი რევოლიუციის განსაკუთრებულობას, როგორც გლეხურ ბურჟუაზიულ რევოლიუციას. ამ თვალსაზრისით წინააღმდეგობანი მის შეხედულებაში, ნამდვილათ არის სარკე იმ წინააღმდეგობრივ მდგომარეობის, რომელშიაც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოღვაწეობა ჩვენს რევოლიუციაში" (ტ. XII იქვე).

ლენინი მიუთითებდა იმ საზოგადოებრივ პირობებზე, რომელმაც გამოიწვია წინააღმდეგობანი ტოლსტოის მოძღვრებაში, არკვევდა ამ წინააღმდეგობების კლასიურ ფორმებს, იგი გვიჩვენებდა რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების ხასიათს და მის ნიადაგზე ითვალისწინებდა იმ წინააღმდეგობებს, რომელიც იყო ტოლსტოიში.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ერთის მხრივ, ტოლსტოის მოძღვრებაში და შემოქმედებაში გამოსჭვივის გლეხობის მისწრაფება „ძირფესვიანათ მოესპო სახელმწიფო ეკლესია და მემამულეები, მემამულეთა მთავრობა, მოესპო მიწათმფლობელობის ძველი ფორმები და განწესრიგება, გაანთავისუფლოს მიწა, რათა პოლიციურ-კლასიურ სახელმწიფოს ადგილზე შექმნილიყო წვრილ გლეხობის თავისუფალი და თანასწორი საერთო საცხოვრებელი" (ტ. XII, გვ. 333). მეორეს მხრით, ლენინი ხაზს უსვამდა, რომ გლეხობა „მეტის-მეტად შეუგნებლათ, პატრიარქალურად, მახინჯათ ეპყრობოდა იმას თუ როგორ უნდა ყოფილიყო ის საერთო საცხოვრებელი, როგორი სახის ბრძოლით უნდა მოეპოებიათ თავისუფლება... გლეხობის უმეტესობა სტიროდა და ლოცულობდა, რეზონიორობდა და ოცნებობდა, სწერდა თხოვნებს და აგზავნიდა „შვამავლებს" ისევე, როგორც ამას ტოლსტოი სჩადიოდა (ტ. XII, გვ. 333).

ლენინი ტოლსტოველობას აფასებდა, როგორც მასიურ გლეხურ მოძრაობის სისუსტის გამოხატულებას. მისი აზრით ტოლსტოიმ თავის მოძღვრებაში და შემოქმედებაში ასახა მრავალმილიონიან გლეხების სასოწარკვეთილება და პროტესტი.

ლენინი არსად არ უპირისპირებდა, არ აშორებდა ერთმანეთს ტოლსტოის მოაზროვნეს და ტოლსტოის მწერალს. იგი ორივე მხარეს ერთ მთლიანობაში იხილავდა.

როგორც ვხედავთ ტოლსტოის მოძღვრების და შემოქმედების გარკვევაში და გათვალისწინებაში ლენინი ძირითადათ უპირისპირდება პლეხანოვს. ამ უკანასკნელის აბსტრაქციულობას ლენინი უპირისპირებდა მოვლენების კონკრეტულ-ისტორიულ პირობების გარკვევას.

გარდა ტოლსტოისა ლენინს სპეციალურად და კონკრეტულად თითქმის არც ერთი მწერლისან ლიტერატურული პრობლემის შესახებ არაფერი დაუწერია. მაგრამ შემცდარი იქნება მოსაზრება, რომელიც ფიქრობს თითქოს ლე-

ნინის სხვა ხასიათის ნაწერებში ცოტა მასალა იყოს ხელოვნების და ლიტერატურის თეორიის საკითხებზე. ლენინის ნაწერებში ჩვენ მრავალრიცხოვანობთ ისეთ აზრებს, რომელთაც უახლოესი კავშირი აქვს ხელოვნების და ლიტერატურის სპეციფიურ პრობლემებთან. შემეცნების მატერიალისტური გაგება, პრაკტიკასთან, შემეცნების სხვადასხვა პერიოდების და ფორმების შემეცნების კავშირი კლასიურ სპეციფიურობა, აზროვნების და შეგრძნების ურთიერთობა, შეფასების პრობლემა, გენეზისი და ფუნქცია კლასიური ეკვივალენ-ტის პოვნა, ფორმის და შინაარსის ურთიერთობა, მხატვრულობის პრობლემები და სხვ. საკმაოდ არის გარკვეული ლენინის ნაწერებში. ლენინი საუკეთესო სქემით იძლევა ლიტერატურის ისტორიის სისტემატიური კურსის დასაწერად. მის მიერ აღნიშნული კაპიტალიზმის განვითარების ორი გზის (პრუსიული და ამერიკული) გათვალისწინების ნიადაგზე.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ერთ პრობლემაზე, რომელიც ფართოდ დააყენა ლენინმა. ეს არის თეორიის პარტიულობა. თეორია იყო და არის უაღრესად პ ა რ ტ ი უ ლ ი. ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა თეორიის პარტიულ ხასიათს.

თავის ცნობილ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლენინი ფილოსოფიას საზღვრავდა, როგორც პარტიულ მეცნიერებას, ამხელდა რევიზიონისტებს, რომლებიც იკვეხნიდენ თავიანთი არაპარტიულობით ფილოსოფიაში. ლენინი ამტკიცებდა, რომ არ არის და არ შეიძლება იყოს უპარტიო ფილოსოფია, რომ ადამიანები, რომლებიც იკვეხნიან თავიანთი არაპარტიულობას, სინამდვილეში ეკუთვნიან რეაქციონურ ფილოსოფიას, რომელიც იცავს ბურჟუაზიის დიქტატურას. „მარქსი და ენგელსი,—სწერდა ლენინი,—თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვენ ფილოსოფიაში". სხვა ადგილას იმავე შრომაში ლენინი სწერდა: „მატერიალიზმი გულისხმობს ასე ვსთქვათ პარტიულობას, ყოველგვარი მოვლენის შეფასების დროს აუცილებლათ დგომის პირდაპირ და საჯაროთ გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფის თვალსაზრისზე".

მსგავსად იმისა, როგორც ფილოსოფოსი ვალდებულია იყოს პარტიული, ასევე ლიტერატურის მეცნიერიც ყოველთვის და ყოველ პირობებში უნდა იდგეს პარტიულ თვალსაზრისზე. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება ლიტერატურათმცოდნეობა კლასიური მეცნიერება.

ლენინის მიერ თეორიის პარტიულობის პრობლემის მკვეთრ დაყენებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენი ლიტერატურის მეცნიერებისათვის.

თუ არ დავამუშავეთ, არ მოვიხმარეთ სათანადოთ ლენინის მემკვიდრეობა ისე პროლეტარული მწერლობა ვერ გადასწყვეტს თავისი თეორიის და შემოქმედებითი მეთოდის ვერც ერთ კარდინალურ საკითხს, ვერ გახდება დიდი ეპოქის მწერლობა. სამწუხაროთ ლენინის მემკვიდრეობის შეთვისების საქმეში ჩვენი პროლეტარული ლიტერატურა ძლიერი ნელი ნაბიჯით მიდის წინ.

როდესაც ვლაპარაკობთ ლენინის მემკვიდრეობის შეთვისებაზე, არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ თითქოს ყველაფერი ეს მშვიდათ მიმდინარეობდეს. ლენინის მემკვიდრეობის შეთვისება ნიშნავს ბრძოლას მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილ კონცეპციებისადმი, ყოველი სახის ოპორტიუნიზმისადმი და დამახინჯებათადმი.

ამგვარათ, დღეს ჩვენს გადაუდებელ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ლენინის მემკვიდრეობის შეთვისება, ბრძოლა ლენინიზმისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში.

მთელი ჩვენი ყურადღება ამ ამოცანის შესრულებას!

ა. დუდუჩავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მეთოდოლოგია

I. გუშინ და დღეს

მთელ რიგ წინააღმდეგობათა და იდეურ ძიებათა შემდეგ რუსთაველის თეატრი მივიდა თავის დღევანდელ მდგომარეობამდე. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს თეატრის სტაბილიზაციას, მის გაყინვას ერთ წერტილზე, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობის ამოწურვას; პირიქით: თავის განვითარების თანამედროვე საფეხურზე პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში რუსთაველის თეატრი იტევს შემოქმედებითი ენერგიის უფრო მეტ პოტენციას და, მაშასადამე, თეატრალური კულტურის უფრო ფართო პერსპექტივებს, ვინემ ეს იყო ოდესმე ქართულ თეატრის ისტორიაში. და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პროლეტარიატის ნაციონალურ კულტურის ზრდისა და გაფურჩქვნისათვის ყოველგვარი წინამძღვრები მოცემულია.

ქართული თეატრის ისტორიული გზა ანტითეტიურია; ძველმა სახალხო დღესასწაულებმა და სანახაობებმა შეჰქმნეს მთელი რიგი ელემენტები, რომლებიც შევიდნენ მხატვრულ შემოქმედებაში როგორც თეატრალური კატეგორიები. მხოლოდ რუსული დრამატურგიის საშუალებით ფრანგულ ცრუკლასიციზმზე დაყრდნობამ, ძველი ქართული თეატრი დროებით მოსწყვიტა იმ ტრადიციებს რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ სახალხო დღესასწაულებთან. ცრუკლასიკური თეტრი მოკლებული იყო ორგანიულ ნიადაგს, რის გამოც მან ვერ შესძლო ოდნავათაც მაინც ასახვა იმ შინაგან მოძრაობის, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგრამ ამ პერიოდს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან ნიადაგი გაუმზადა „დამოუკიდებელ“ სანახაობითი ხელოვნების ტრადიციებს და მით, გასწმინდა გზა თეატრალური კულტურისათვის.

საქართველოს შეერთებას რუსეთთან თან მოჰყვა სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარება. ამ გაერთიანებამ ლახვარი ჩასცა ფეოდალურ დაქუცმაცებას, ხოლო სავაჭრო კაპიტალმა შესაფერისი გავლენა იქონია საზოგადოებრივ ყოფაცხოვრების ძველს წესებსა და ტრადიციებზე.

იზრდება მუშათა მოძრაობა და საფუძველი ეყრება მარქსისტულ აზრის განვითარებას. მაგრამ ინდივიუალიზმის ინერცია, რომელიც მიდიოდა ფეოდა-

ლიზმიდან სავაჭრო კაპიტალის დროსაც ამხელს თავის თავს. ამ ის ღებულობს სხვა ფორმას და ასრულებს სულ სხვა ფუნქციას; ის გამოდის ულტორც ჩუმი პროტესტი რუსული ბიუროკრატიზმის წინაღმდეგ.

სამოციანი წლების თეატრი მკაფიოდ გამოხატავდა ასეთ ფსიქოლოგიას, ეს თეატრი თავის შემოქმედებას შლიდა რომანტიული ტრაგედიის, ყოფითი — დრამების და კომედიების ხაზებში. კომედიის თემატიკა განისაზღვრებოდა ფეოდალური ოჯახის დანგრევისა და სავაჭრო კაპიტალიზმის უარყოფითი შედეგების მომენტების ჩვენებით. ყოფითი დრამა ინტიმურ ნატურალიზმით განსაზღვრავდა თავის შემოქმედებას, ხოლო რომანტიული ტრაგედიის ხაზი — ეს იყო რეტროსპეკტიული ოცნებობა ფეოდალურ საქართველოს, „სიძლიერეზე". ეს თეატრი აქტიორული ინდივიდუალიზმის თეატრი იყო, რის გამოც მან დაეყრდნო რა „სახელებს", პრემიერებს, ვერ შეჰქმნა აქტიორული ხელოვნებისა და სპეკტაკლის, როგორც მთლიანი მხატვრული ერთეულის ტრადიციები. (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩემი რუსული ბროშიურა "რუსთაველის თეატრი" გამოცემა სახელგამის 1930 წ.). ამ პერიოდში მოღვაწეობდა მთელი რიგი ქართული სცენის გიგანტებისა, (ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, მაკო საფაროვა-აბაშიხე, ტასო აბაშიძე, ნუცა ჩხეიძე და სხვა და სხვა) მაგრამ თეატრი მოკლებული იყო რეჟისორს, როგორც ორგანიზატორს სპეკტაკლებისა, რის გამოც ამ უკანასკნელს აკლდა მხატვრული მთლიანობის ხასითი.

შემდგომი პერიოდი ქართული თეატრის განვითარებისა ხასიათდება ბრძოლით რეჟისორის ჰეგემონიისა და მხატვრულ ანსამბლისათვის. ბუნებრივია, რომ ეს მოითხოვდა ყველა იმ განწყობათა უარყოფას, რომელიც საფუძვლათ ედო აქტიორული ინდივიდუალიზმის თეატრს. დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წავიდეს კანონზომიერი ორგანიზაცია სპექტაკლის, რომლის ცალკეული ელემენტი უნდა ასრულებდეს რაიმე ფუნქციალურ ამოცანას სპექტაკლის საერთო კონსტრუქციაში. ამ პრობლემის გადაწყვეტაში სათანადო როლი ითამაშა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ტრადიციებმა, ოომლის გამოცდილება საფუძველად დაედო 1900 — 18 წლის ქართული თეატრის განვითარებას. ეს თეატრი ნატურალისტური თეატრი იყო, რომლის იდეურ თემატიურ განწყობილებაში ასახული იყო თავისებური რეაქცია იმ „ნერვიულ" განწყობილებათა წინაღმდეგ, რომელიც შექმნა ერთი მხრით სავაჭრო კაპიტალიზმის ზრდამ და მეორე მხრივ, მუშათა მოძრაობამ და 1905 წლ. რევოლიუციამ. პარალელურად მასთან ფეხს იკიდებს სახალხო მუშათა თეატრი, რომელიც შეძლებისდაგვარად იბრძოდა ახალ იდეებისათვის, ახალ მსოფლ მხედველობისათვის. ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1921 — 22 წლ-დის. ასეთია მოკლედ სქემატიურად ისტორიული ცნობა ქართული თეატრის შესახებ.

საქართველოს გასაბჭოებას ქართული თეატრი შეხვდა ნაციონალისტური რეპერტუარით და სცენიური ხელოვნების ძველი დახავსებული შტამპებით. ამ გარემოებამ შექმნა უდიდესი კრიზისი, რომლის უძლეველად შეუძლებელი იყო თეატრის შემდგომი განვითარება. ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ქართული თეატრის (მაშინ რუსთაველის თეატრის,) ახალგაზრდა რეჟისორ-

მა ა. ახმეტელმა მოიწადინა ახალი თეატრალური მსოფლ-მხედველობის დამკვიდრება ქართულ სცენაზედ. დასდგა სრულიად ახალი გაგებით ს. შანშიაშვილის პიესა „ბერდო ზმანია"; ამ დადგმაში მან უკუაგდო ნატურალიზმის ხაზები, შეეცადა გაენთავისუფლებია აქტიორი პასიურ მჭვრეტელობის მსოფლშეგრძნობებიდან, დაუმორჩილა შინაგანი ტექნიკა („განცდა") აქტიორის გარეგან ტექნიკას და ეს უკანასკნელი განსაზღვრა მოძრაობის რიტმიზაციის ხაზებში, მაგრამ თვით პიესის თემატიური იდეოლოგია იმდენათ მიუღებელი იყო ახალი თეატრისათვის, რომ მან საბოლოო ა-შში უარყოფითად გადასწყვიტა ამ დადგმის ბედი: „მისდამიუხედავათ, რომ ფორმალურ სცენიური თვალსაზრისით ამ დადგმით თითქოს თეატრალური კულტურის ახალი გზები ჩაისახა, მან მიანც ვერ შესძლო თეატრალური კულტურის ახალი თვისობრივი სახის დამკვიდრება და მით რაიმე ცვლილების შეტანა თეატრის მაშინდელ დამყაყებულ ჭაობში.

საჭირო შეიქმნა თეატრალური ხელოვნების ძველი შტამპების ძლევა, ძველი სცენიური გამოსახულებათა პრიციპიალური უკუგდება, რომ თეატრს მისცემოდა ორგანიულათ განვითარების შესაძლებლობა; მაგრამ ძირითადი პირობა კი ამისათვის იყო რეპერტუარის ძირეული გადახალისება, თეატრის იდეოლოგიურ-პოლიტიკური გაჯანსაღება სოციალისტური და რევოლიუციონური თემატიკის ხაზებში. მხოლოდ ასეთ პირობებში იქმნებოდა თეატრის მთლიანი რევოლიუციის დაწყების ობიექტიური შესაძლებლობა. მაგრამ რუსთაველის თეატრმა დაიწყო ეს „რევოლიუცია„ (1923 — 25 წლებში) არა თემატიური გადახალისებით, არა „შინარსით" არამედ ფორმალურ გამოსახულობათა რეკონსტრუქციით, რის გამოც ის, მართალია გაშორდა ნატურალიზმის ფორმალურ ტრადიციებს, მაგრამ გადავარდა მეორე უკიდურესობაში-ესთეტიზმში, რომლის მხატვრული ორიენტაცია დნკადენტური ბურჟუაზიის მსოფლ-მხედველობით განისაზღვრებოდა („ინტერესთა თამაში" „მასკოტ" და სხვა და სხვა.). ახალ ეკონომიურ პირობებში კი ესთეტიური თეატრი თავისი თემატიური ხაზით და ფორმალურ გამოსახულებათა საშუალებით სავსებით უპასუხებდა ნეპმანურ ბურჟუაზიის სულის კვეთებასა და განწყობილებას. ესთეტიზმთან ერთად ფეხს იკიდებს აგრეთვე მეტაფიზიკური ექსპრესიონიზმის იდეოლოგია (შპიგელმეშ), რომელიც წარმოადგენდა თეატრალურ უკუფენას ინტელიგენციის იმ ნაწილის, რომელსაც სძაგს კაპიტალიზმი, მაგრამ ეშინია რევოლიუციის. ამ პერიოდში თეატრმა — მარჯანიშვილისა და ახმეტელის ხელმძღვანელობით, შექმნა ბრძოლის ტრადიციები პასიურ მჭვრეტელობის წინააღმდეგ, დააგროვა გარკვეული გამოცდილება სცენიურ გამოსახულებათა საშუალებების, მაგრამ მან იდეოლოგიურათ ვერ შესძლო ოდნავათაც მაინც გამხდარიყო რევოლუციის ამსახველი და სოციალისტური მშენებლობის მხატვრული პროპაგანდისტი.

სოციალისტური მშენებლობის ძლიერმა ტემპებმა და პროლეტარული საზოგადოებრიობის კატეგორიულმა მოთხოვნამ თავის გავლენა იქონიეს თეატრზე; ხოლო ისინი, ვინც რევოლიუციონურ რეპერტუარს მშრალ და უსიცოცხლო აგიტკათ სთვლიდენ და თეატრალურ შემოქმედებას მხოლოდ კლასიკებისა და მსუბუქი ჟანრის რეპერტუარით განსაზღვრავდენ წავიდენ თეატრიდან. ხდება ძა-

ლთა გადაჯგუფება და იწყება თეატრის თანდათანობითი მობრუნება რევოლიუციონური რეპერტუარისაკენ. „ზაგმუკი„ს დადგმა ცოცხალი ნიშანი შეიქმნა ამ მობრუნების, ხოლო ლავრენიოვის „რღვევით“, რუსთაველის თეატრმა გამოამჟღავნა ის დიდი შესაძლებლობა, რომელიც გააჩნია თეატრს რევოლიუციონური რეპერტუარის პირობებში. ამ ჟამად თეატრის რეპერტუარი ძირითადათ რევოლიუციონურია: „ანზორი“ „სამნი“ „განგაში„ „რღვევა„ „ლიანდაგი გუგუნებს„, „ჯუმა მაშიდი“, „ყამირი“, „ქართა ქალაქი“, „თეთნულდი“ და სხვა და სხვა. თუმცა უნდა ითქვას რომ ამ პირობებშიაც თეატრმა საგრძნობი მარცხი განიცადა „ამერიკელი ძიის“, „დეზერტირკის“ და სხ. დადგმებით, ხოლო „ლამარას„ დადგმით თეატრი დასცილდა რევოლიუციონურ ხაზს, მან თითქოს ინერციით გამოამჟღავნა ნაციონალიზმის რეციდივი, მაგრამ დღეს თეატრმა სძლია „ლამარა“საც (1931—32 წლის სეზონის რეპერტუარიდან „ლამარა„ მოხსნილია თეატრის მიერ), რის გამოც რუსთაველის თეატრი საბჭოთა საზოგადოებრიობის მიერ სამართლიანად შეფასებულია, როგორც მემარცხენე-თანამგზავრულ თეატრი. რევოლიუციონურ რეპერტუარზე ორიენტაცია, სოციალისტურ მშენებლობის არა მარტო ასახვა, არამედ მისი ძლიერი რიტმით გამოსახვა-საჭიროებდა სცენურ ხელოვნების სისტემის რადიკალურ გადახალისებას, ამისთვის კი საჭირო შეიქმნა თვით აქტიორული ხელოვნების სულ სხვა გზით წარმართვა, რომ ის განთავისუფლებულიყო როგორც ნატურალიზმის, ისე ესთეტიზმის ზეგავლენისაგან. ასე დააყენა საკითხი თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა ა. ახმეტელმა და აგრეთვე თეატრის გადახალისებულმა კოლექტივმა.

პირველი და ძირითადი ამოცანა ფორმალური ხასიათის, რომელიც წამოიჭრა თეატრის წინაშე ეს იყო სცენურ სივრცის ისეთი ორგანიზაცია, რომ აქტიორს შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი სხეულის სრული დამორჩილება. ამ გზით ახმეტელს უნდა დაეჭიროს ის რითმი, რომელიც გამოსახავს რევოლიუციის დინამიკას და მით შესძლებს ახალ მხატვრული მსოფლ-ეგრძნობის დამკვიდრებას.

ასეთი იყო კატეგორიული მოთხოვნა იმ რევოლიუციონური რეპერტუარის („რღვევა“, „საჭე მარცხნივ“, ანზორი „ქართა ქალაქი“), რომელზედაც შესდგა რუსთაველის თეატრი. ამისათვის ახმეტელი შეეჭიდა ორგანზომილების მხატვრულ დეკორაციებს და „აფერადებულ“ ტილოების ტრადიციებს. აქტიორის მხატვრული ნების სრული გაშლა მოითხოვდა აქტიორის სხეულის სრულ დამორჩილებას, რაიც შესაძლებელი იყო სამგანზომილებიან სივრცეში. ამ გარემოებამ მიიყვანა რუსთაველის თეატრი, სივრცის ფერწერითი მეთოდების დახასიათების უარყოფის გზით, რეალობის კონსტრუქციამდე, რომელიც იძლევა სამგანზომილების სივრცის ილლუზიას და მით ჰქმნის ობიექტიურ ბაზას აქტიორული ტექნიკის ახალი ორგანიზაციისათვის) (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩემი რუსული შრომა „ქართული მხატვრობის შესახებ“ 1930 წ. სახელგამი).

ასეთ დეკორატიული კონსტრუქტივიზმით რუსთაველის თეატრმა განსაზღვრა თავისი მხატვრული ორიენტაცია და მით პრინციპიალურათ გაიმიჯნა ნატურალისტურ და სანახაობითი ხელოვნების ტრადიციებიდან. ვსტოვებ რა დაწვრი-

ლებითი მსჯელობის გარეშე ამ საკითხს, მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო მეორე პრობლემას, რომელსაც სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მხატვრული კულტურისათვის აქტუალური მნიშვნელობა ეძენება. ნაციონალური კულტურის არაჩვეულებრივი ტემპებით ზრდამ და განვითარებამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ქართული თეატრის წინაშე (ისე როგორც ხელოვნების ყოველი დარგის მიმართ) დააყენა პრობლემა ისეთი ნაციონალური ფორმის შესახებ, რომელიც შესძლებდა სოციალისტური შინაარსის გამოსახვას და მით, თავისი სპეციფიური იარაღებით, შეასრულებდა ინტერნაციონალური აღზრდის ფუნქციას, მეტის მეტად სირთულე ამ პრობლემისა ყველასათვის უდაოა, მით უფრო, რომ ის მეთოდოლოგიური მითითებანი, რომლებიც გვაქვს ჩვენ ლენინისა და სტალინისაგან, თეატრალურ პრაქტიკაში სწორათ და მთლიანად გამოყენებული ვერ არის. რა გააკეთა ამ მხრივ ე. ი. პროლეტარულ-ნაციონალურ ფორმის გამომუშავების მხრივ რუსთაველის თეატრმა? ამისათვის აუცილებლად საჭიროა ზოგადათ მაინც შევეხოთ ნაციონალურ კულტურის პრობლემას მარქსისტულ-ლენინისტური თვალსაზრისით.

2. ნაციონალური თეატრის სოციალისტური მშენებლობა.

ეჭვს გარეშეა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში ნაციონალურ კულტურას სულ სხვა ფონი და სულ სხვა შინაარსი გააჩნია. ისიც უდავოა, რომ ნიღილისტურ შეხედულებას ნაციონალურ კულტურაზე სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში არავითარი კავშირი არა აქვს ლენინიზმთან.

ლენინი ებრძოდა ნაციონალურ კულტურის ბურჟუაზიულ შინაარს და არა ნაციონალურ ფორმას. „ნუ თუ ცხადი არ არის, რომ ლენინი, ებრძოდა რა ნაციონალურ კულტურის ლოზუნგს ბურჟუაზიულ წესების დროს, ურტყამდა ბურჟუაზიულ შინაარსს ამ ნაციონალური კულტურისა და არა მის ნაციონალურ ფორმას. იქნებოდა სისულელე გვეფიქრა, თითქოს ლენინი სთვლიდა სოციალისტურ კულტურას უნაციონალურო კულტურათ, რომელსაც არ გააჩნია ესა თუ ის ნაციონალური ფორმა“. (ს ტ ა ლ ი ნ ი. მოხსენება მე 16 ყრილობაზე.)

ნაციონალური კულტურა, როგორც ორგანიულად მთლიანი კატეგორია, ასეთი რამ კლასიურ საზოგადოებაში ბუნებრივია, არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომაც ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ნაციონალურ კულტურის კლასიურ შინაარსს, მის სოციალურ ძირს: ყოველგვარ ნაციონალურ კულტურაში არის, თუმცა განუვითარებელი სახით სოციალისტური და დემოკრატიული კულტურის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, რადგანაც ყოველ ერში არის მშრომელი მასსა, რომლის ცხოვრების პირობები აუცილებლათ წარმოშობს დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ ყოველ ერში იმავე დროს არის ბურჟუაზიული (უმრავლეს შემთხვევაში შავრაზმული და კლერიკალური) კულტურა, მხოლოდ არა ელემენტების სახით, არამედ როგორც გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კულტურა (ლენინი მე 19 ტომი გვ. 47).

აქედან ლენინი კონკრეტულ დასკვნას აკეთ ებს; „არსებობს რუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, მაგრამ არის აგრეთვე ისეთი რუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის

სახელებით. ასეთივე ორი კულტურა არსებობს უკრაინაში, ისე როგორც გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ებრაელობაში და სხვა და სხვა.

თუ ლენინი ნაციონალურ კულტურის ლოზუნგს რეაქციონურ ლოზუნგათ აცხადებდა ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდში, რადგანაც ასეთი ნაციონალური კულტურა ნიშნავდა კლერიკალების, იმპერიალისტების, კაპიტალის მაგნატების აპოლოგიას და მუშათა კლასის ექსპლოატაციის „დასაბუთებას" ადამიანის „ჰუმანური" ბუნების თვალსაზრისით, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, სოციალისტური მშენებლობის გაშლილ პროცესში, ლენინი ერთად ერთ გადაუდებელ და დაკვრითი ხასიათის ამოცანათ სთვლიდა ნაციონალურ კულტურის ზრდასა და განვითარებას. „ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნაციონალური კულტურის განვითარების ლოზუნგი რეაქციონური ლოზუნგი არისო, ამბობს სტალინი. პროლეტარული კულტურა არ უარყოფს ნაციონალურ კულტურას, არამედ აძლევს მას შინაარს, და წინააღმდეგ: ნაციონალური კულტურა არ სცვლის პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას. ნაციონალურ კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიული იყო, როცა ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა და ერის კონსოლიდაცია ბურჟუაზიულ წესებს ემორჩილებოდა. ეს ლოზუნგი პროლეტარული გახდა მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი მოექცა და ერის კონსოლიდაციის პროცესი დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობის ხაზებში; ვინც ვერ გაიგო ამ მდგომარეობათა პრინციპიალური განსხვავება ის ვერასდროს ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს და ვერც ნაციონალურ საკითხის არსებას ლენინიზმის თვალსაზრისით" (სტალინი).

ასეთია ლენინისა და სტალინის შეხედულება ნაციონალური კულტურის პრობლემაზე. აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საკითხის ამგვარი დაყენებით ნათელი ხდება ის შესაძლებლობა, რომელიც მოცემულია ბურჟუაზიის წესწყობის ნაციონალურ კულტურაში, და რომელიც დიალექტიურად ხსნის ამ უკანასკნელს, ნაციონალური კულტურის ახალი თვისობრივი სახის შესაქმნელად. მაგრამ რასაკვირველია ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ნაციონალური კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, იყვეს მექანიკური აღდგენა და განმეორება იმ დემოკრატიული და სოციალისტური ელემენტების, რომლის მატარებელია მუშათა კლასი ბურჟუაზიული ნაციონალურ კულტურის ბატონობის დროს. უდავოა ის, რომ ეს ელემენტები გარკვეულ ადგილს დაიკავებს პროლეტარულ ნაციონალურ კულტურაში, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს უკანასკნელი ამ ელემენტებით არ ამოიწურვება. პროლეტარიატის ნაციონალური კულტურა ეს კვალიტატურათ ახალი კატეგორიაა, რის სპეციფიკა განისაზღვრება ახალი შინაარსეული ორიენტაციით და აგრეთვე იმ „წინააღმდეგობათა" თვისებებით, რომელიც ახასიათებს პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდს, როგორც გარდამავალ პერიოდს ყოველგვარ დიქტატურის მოსპობისკენ. „რა არის ნაციონალური კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში — კითხულობს სტალინი და უპასუხებს: სოციალისტური თავის შინაარსით და ნაციონალური თავის ფორმით." სტალინის ეს ფორმულა მეთოდოლოგიური ფორმულაა, სადაც ნაგულისხმევია თავისებურება იმ ხაზის, რომელზედაც ხდება ნაციო-

ნალურ კულტურული მშენებლობა პროლეტარიატის ბატონობის დროს. ეს თავისებურობა კი განისაზღვრება უმთავრესად იმ ფუნქციონალური წინააღმდეგობით, რომელიც არსებობს ნაციონალურ ფორმასა და სოციალისტურ შინაარსს შორის. ეს წინააღმდეგობა დიალექტიური ხასიათისაა ე. ი. ისეთი, რომლის გარეშე ყოველგვარი სიცოცხლე და განვითარება ფიქცია და უნიადაგო სპეკულიაციაა. მეორეს მხრით დიალექტიური წინააღმდეგობა ნიშნავს ფაქტისა თუ მოვლენის წინააღმდეგობის არა მარტო კონსტატაციას, არამედ იგი უმთავრესად გულისხმობს მის (წინააღმდეგობის) მოხსნის მომენტსაც.

აქედან სტალინის ფორმულა უნდა მივიჩნიოთ, როგორც ისტორიული კატეგორია ე. ი. როგორც ისეთი მეთოდოლოგიური დებულება, რომელსაც პრაქტიკული სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ისტორიის გარკვეულ მანძილზე და რომელშიაც იმ თავითვე მოცემულია შესაძლებლობა ამ ფორმულის მოხსნისა გარკვეული პერიოდის შემდეგ. ე. ი. როცა პროლეტარიატის დიქტატურის განვითარება მიაღწევს თავის უარყოფას. ამრიგად, სტალინის ფორმულა ნაციონალური კულტურის შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის ფორმულაა, რომელშიაც, მიუხედავათ მისი დროულობითი განსაზღვრულობისა, იმ თავითვე მოცემულია პერსპექტივა ახალი კულტურის გზების წარმოშობის შესახებ მაგრამ ამაზე ქვემოთ.

პროლეტარული კულტურა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დიალექტიური წინააღმდეგობის შემცველია, მაგრამ ეს წინაღმდეგობა არ შეიძლება გაგებულ იქნას ისე, თითქოს ანთიტეტური ელემენტები წარმოადგენენ ორ თავისებურ პოლიუს, რომელთა შორის არაფერია საერთო; ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ფორმალ ლოლიკურ, მეტაფიზიკურ წინააღმდეგობასთან, ე. წ. გარეგან პოლიარობის კანონთა და არა მოვლენის დიალექტიურ ტრაქტოვკასთან. მოვლენის დიალექტიური ათვისება კი ნიშნავს იმას, რომ დავინახოთ მასში წინააღმდეგობათა ერთიანობა და აგრეთვე ელემენტები, რომლებმსაც თვისობრივათ უნდა მოხსნან ეს წინააღმდეგობა. ის გარემოება, რომ ნაციონალურ ფორმაში თავისებური ფუნქციონალური სიდიდეა ორგანიულათ გამომდინარეობს სტალინის დიალექტიური ფორმულიდან პროლეტარულ კულტურის შესახებ; მაგრამ თუ ნაციონალური ფორმა და სოციალისტური შინაარსი დიალექტიურ ერთიანობას წარმოადგენს, მაშინ არა ყოველი ნაციონალური ფორმა შეიძლება გახდეს ფუნქციონალური სიდიდე და მით სოციალისტური შინაარსის გამომხატველი. ფორმა შინაარსით უნდა განისაზღვროს და მხოლოდ ამის შემდეგ ის შეიძლება გახდეს თავისებური კანონი შინაარსის განვითარებისა ე. ი. გახდეს სტრუქტურული ელემენტი შინაარსის. ამ რიგად ფორმის დეტერმინაცია შინაარსით და ამ უკანასკნელის განსაზღვრა საბოლოო ანგარიშში იმ სოციალურ პოლიტიკური წესწყობით, რაიც პროლეტარიატის დიქტატურას ახასიათებს-აი ასეთი არის ის კონკრეტი ხაზი, რომელზედაც უნდა გაიშალოს ჩვენი შემეცნება ნაციონალური ფორმისა და სოციალისტური შინაარსის ურთიერთობისა.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ნაციონალური ფორმა და სოციალისტური შინაარსი ისეთი ანთითეტური კატეგორიებია, რომლებიც იმყოფებიან დიალექტიურ

ერთიანობაში. ხაზი გაუსვით იმ გარემოებასაც რომ მთავარი, დიალექტიურ მეთოდში არის წინააღმდეგობის არა მარტო უბრალო ცნობა, „ეროვნული პროტოკოლური“ რეგისტრაცია, არამედ მისი გადაჭრა ძლევა, მოხსნა; აქედან ცხადია, რომ წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ნაციონალურ ფორმასა და სოციალისტურ შინაარს შორის უნდა ძლეულ იქნას, რომ მივიღოთ პროლეტარული კულტურის ახალი კვალიტეტური სიდიდე. მაგრამ, ამისათვის კი საჭიროა განსაზღვრული რაოდენობით პროცესი, რომლის ფარგლებში ყალიბდება ელემენტები ახალი კვალიტეტის ე. ი. პირვანდელი წინააღმდეგობის მოხსნის. აი სწორედ ამ მდგომარეობით ძლეულია ს ტ ა ლ ი ნ ი ს ფორმულის დროულობით განსაზღვრულობა, რადგანაც აქ გარკვევით ნაჩვენებია მეთოდოლოგიური გზა და დაახლოებითი სტრუქტურა ახალი კულტურის. ლენინურ დიალექტიკის ამ დებულებას განსაკუთრებით გენიალურად და თვალსაჩინოთ ასაბუთებს ს ტ ა ლ ი ნ ი, როდესაც ლაპარაკობს-„თითქოს გაუგებრობაა ის გარემოება, რომ ჩვენ, ვართ რა მომხრენი მომავალში ნაციონალურ კულტურათა გაერთიანების ერთ საზოგადო კულტურაში (როგორც ფორმით ისე შინაარსით.) ერთ საზოგადო ენით, იმავე დროს ვიცავთ ნაციონალურ კულტურათა განვითარების აუცილებლობის საჭიროებას მოცემულ მომენტში, პროლეტარიატის დიქტატურის პერიდში; მაგრამ აქ არაფერი გაუგებრობა არ არის· უნდა განვავითაროთ ნაციონალური კულტურა, უნდა გამოვამჟღავნოთ ყველა მათი პოტენციები, რომ შევქმნათ მათი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს პირობები ერთ-ზოგად კულტურაში. ერთი ზოგადი ენით. გ ა ფ უ რ ჩ ქ ვ ნ ა ნაციონალურის თავის ფორმით და სოციალისტურის თავის შინაარსით კულტურის, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერთ ქვეყანაში მისი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ზოგად სოციალისტურ (როგორც ფორმით ისე შინაარსით) კულტურაში ერთი ზოგადი ენით, როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში და სოციალიზმი შევა ყოფა-ცხოვრებაში-აი, სწორედ ამაში მდგომარეობს ლენინური დაყენების საკითხის დიალექტიურობა ნაციონალურ კულტურის შესახებ (ს ტ ა ლ ი ნ ი მოხსენება მე 16 ყრილ.).

ამრიგად, სოციალისტური ფორმა და სოციალისტური შინაარსი, აი ის ახალი თვისებრივი სახე, რომელსაც მიიღებს პროლეტარული კულტურა, და რომლის ელემენტები, მოცემულია იმ თავითვე ნაციონალური ფორმისა და სოციალისტური შინაარსის პროლეტარულ კულტურაში.

ამ ელემენტების გამომჟღავნება და მათი სტრუქტურული ხაზათ ქცევა კი, თხოულობს პროლეტარულ კულტურის ისეთ განვითარებას, რომლის ნორმალური გზა ნაციონალურ მომენტით შემოიფარგლება, მხოლოდ შინაარსეული კი სოციალისტური თემატიკით განისაზღრება, ეს წინააღმდეგობითი სტრუქტურული მომენტი არის სპეციფიკა ნაციონალური კულტურისა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში.

თეატრს მხატვრულ კულტურულ მშენებლობაში ცენტრალური ადგილი უკავია. საბჭოთა თეატრალური პრაქტიკა ებრძვის ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის შემოქმედებითი განწყობას, რა ფორმაშიაც არ უნდა იყოს ის გამომჟღავნებული. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში სწარმოებს სასტიკი ბრძოლა თეატრალურ

ფრონტზე, რომელიც მიმართული იყო და არის ფეოდალურ-არისტოკრატიულ და ბურჟუაზიულ ესთეტიურ კულტურის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ითქვას, რომ მესამე გადამწყვეტ წელში ძირითადათ საბჭოთა თეატრი, თეატრი პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან, რამაც ბუნებრივად შეამცირა ის დისპროპორცია, რომელიც არსებობდა რეკონსტრუქტიულ პერიოდის მოთხოვნილებასა თეატრის მიმართ და თეატრალურ პროდუქციას შორის. მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ შედარებითია და ისიც ნაწილობრივ თემატიურ ხასიათის.

რაც შეეხება სცენიურ გამოსახულების ახალ სისტემას თეატრალურ შემოქმედების ახალ ფორმას, ახალ ნაციონალურ ფორმას, რომელიც გამომდინარეობს პროლეტარულ შემოქმედებითი მეთოდიდან და რომელსაც, როგორც აქტიურ კატეგორიას უდიდესი გავლენა აქვს თემატიურ მასალის ორგანიზაციაზე ამ უკანასკნელის სოციალურ ღირებულების სახისობრივ გამომჟღავნების მხრივ, იქ საქმე გვაქვს ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებთან, ეს უმთავრესად, აიხსნება იმ გარემოებით, რომ დიალექტიური მეთოდი ჯერ კიდევ ვერ არის გაბატონებული მეთოდი თეატრის შემოქმედების პრაქტიკაში, რომ ამ უკანასკნელიდან ჯერ კიდევ ვერ არის სავსებით განდევნილი მექანისტურ-რეგისტრატული და პასიურ-გამჭვრეტი მსოფლმხედველობის რეციდივები. ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ პარტიის ლოზუნგი ნაციონალურ კულტურის შესახებ, თეატრების უმრავლესობის მიერ სწორად ვერ იქნა გაგებული, რის შედეგათ ზოგ შემთხვევაში ვღებულობთ მთელ გადახრებს პარტიის გენერალურ ხაზიდან პროლეტარულ კულტურის საკითხში. ეს გადახრები ძირითადათ ორი ხაზით მიმდინარეობს: სრული უკრიტიკო აპოლოგია ძველი ნაციონალური ფორმისა და მისი სელოვნური გადმონერგვა სოციალისტურ თემატიკის ნიადაგზე და მეორეს მხრივ, პრინციპიალური უარყოფა ძველ ნაციონალურ ფორმის ყოველგვარი ელემენტების, რაც შედეგია ნიღილისტური შეხედულებისა ნაციონალური კულტურის საკითხებში. თუ პირველი გადახრა მოასწავებს ადგილობრივ ნაციონალიზმის განვითარებას, მეორე პოლიტიკურათ და პრაქტიკულად ხიშნავს დიდ-მპყრობელურ ნაციონალიზმს. პარტია და მუშათა კლასი ებრძვის, როგორც ერთს ისე მეორე გადახრას. ბუნებრივია, რომ თეატრალურ პრაქტიკაში უნდა მოისპოს როგორც ადგილობრივი, ისე დიდ-მპყრობელურ ნაციონალიზმის ყოველგვარი ტენდენციები. ამისათვის, უმთავრესად კი საჭიროა, რომ თეატრებმა კონკრეტიულად დასვან საკითხი იმის შესახებ თუ რა ელემენტებისაგან უნდა შესდგეს ცნება ნაციონალური ფორმისა, რამაც უნდა გამოსახოს სოციალისტური შინაარსი.

პრაქტიკულად ასე მიუდგა საკითხს რუსთაველის თეატრი. რუსთაველის თეატრისათვის უდავოა ის დებულება, რომ მხოლოდ ენა არ განსაზღვრავს და ვერც განსაზღრავს ნაციონალური ფორმის ცნებას. სპექტაკლი ქართულ ენაზე კიდევ არ არის ქართული სპექტაკლი; ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ თვით პრობლემა ნაციონალურ ფორმის შესახებ თეატრალურ შემოქმედების პრაქტიკიდან სავსებით მოიხსნებოდა. აქედან ცხადია, რომ გარდა ენისა საჭიროა კიდევ ის ელემენტები, რომელნიც განსაზღვრებიან სოციალისტური თემატიკით და როგორც ასეთი

შევლენ სტრუქტურულად პროლეტარულ კულტურის ნაციონალურ ფორმაში.

ჩვენ აქ განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ დეტერმინაციის ელემენტს ნაციონალური ფორმისა სოციალისტური შინაარსით, რომ ერთხელ კიდევ ნათელვყოთ მათი ერთიანობის დიალექტიური წინააღმდეგობა, და მით დავასაბუთოთ, რომ არა ყოველი ნაციონალური ფორმა გამოდგება სოციალისტური შინაარსის გამოსახატავათ.

ჯერ კიდევ პარტიის მე-10 ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციაში ნაციონალურ საკითხის შესახებ, ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პარტიის ამოცანაა დაეხმაროს არა რუსულ ხალხების მშრომელ მასებს, დაეწიონ წინ წასულ ცენტრალურ რუსეთს, რათა მათ შესძლონ განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებში, რომლებიც შეესაბამება ამ ხალხების ნაციონალურ-ყოფითი პირობებს“ აქ თვალსაჩინოთ არის ნაგულისხმები, რომ მარტო ენით არ შეიძლება ამოიწუროს ნაციონალური ფორმა პროლეტარული კულტურის, რომ ენასთან ერთად საჭიროა და აუცილებელია გამოვიყენოთ მშრომელი მასების ყოფა ცხოვრების ესა თუ ის ელემენტები. სტალინს, ყველა თავის გამოკვლევებში ნაციონალურ საკითხის შესახებ ანალოგიური აზრი აქვს გატარებული.

„პროლეტარული კულტურა, სოციალისტური თავის შინაარსით, ღებულობს სხვადასხვა ფორმებს სხვადასხვა ხალხთან, რომლებიც აწარმოებენ სოციალისტურ მშენებლობას იმისადამიხედვით თუ როგორია მათი ენა, ყოფა ცხოვრება“ და სხვა.

ყოფა-ცხოვრება, ზნე ჩვეულებათა სისტემაა. საბოლოო ანგარიშში ზნე-ჩვეულებანი წარმოადგენენ პროექციას საწარმოო ურთიერთობისა; ამიტომაც კლასიურ საზოგადოებაში ყოფა-ცხოვრება დიფერენციაციაქმნილია კლასიურ პრინციპის მიხედვით. ბუნებრივია, რომ პროლეტარიატი ვერ გამოიყენებს ბურჟუაზიულ ზნე-ჩვეულებებს, ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებას თავის კულტურის ნაციონალურ ფორმისათვის, ისიც უდაოა რომ მთლიანად, მექანიკურად მშრომელი მასების ძველი ყოფა-ცხოვრების ელემენტები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ—ვერ ამოსწურავენ ნაციონალურ ფორმის პრობლემას პროლეტარულ მშენებლობის პროცესში. აქ ბუნებრივად იბადება საკითხი იმის შესახებ, ფუ კონკრეტულათ, რომელია ის ელემენტები, რომლებიც შედის პროლეტარულ კულტურის ზრდასა და განვითარებაში. აქ ჩვენ გვაქვს ლენინის კონკრეტული მითითება: „ვაყენებთ რა მსოფლიო მოძრაობის, დემოკრატიზმსა და ინტერნაციონალურ კულტურის ლოზუნგებს, ჩვენ ყოველ ნაციონალურ კულტურიდან ვღებულობთ მხოლოთ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვღებულობთ მხოლოდ მას და აუცილებლათ როგორც წინააღმდეგობას ბურჟუაზიულ კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ (ლენინი მე-19 ტომი).

ყველა ზემოთ ნათქვამის შემდეგ, ჩვენთვის უფრო ცხადი ხდება პრინციპიალურობა იმ გზის, რომლებზედაც შესდგა რუსთაველის თეატრი ნაციონალური ფორმის გამომუშავების საქმეში.

რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი ა. ახმეტელი პრინციპიალურათ უარყოფს ნატურალისტურ თეატრის შემოქმედებით განწყობებებს, მან უკუ აგდო

პასიური მჭვრეტელობის მეთოდი, ის ებრძვის თეატრის პრაქტიკაში ფსიქოლოგისტური მსოფლშეგრძნობის ყოველგვარ რეციდივებს. ამის — და მიუხედავათ ის ხშირად მიმართავს ეტნოგრაფიულ ელემენტებს, მაგრამ მიმართავს სრულიად ორიგინალურად და ახალი გაგებით.

ეს გამოიხატება იმაში, რომ „ეტნოგრაფია“ რუსთაველის თეატრში არ ვითარდება აღრიცხვისა ან დეტალების რეგისტრაციის ხაზებში. ამით „ეტნოგრაფია“ არ შედის მოქმედებაში, როგორც შინაარსი, არამედ ის გამოყენებულია როგორც ფონი, რომლებზედაც იშლება სოციალისტური ხასიათის პრობლემები.

რუსთაველის თეატრი მოემწყვდეოდა ნატურალისტურ ხელოვნების ტრადიციების ჩიხში, რომ „ეტნოგრაფიული“ კატეგორიები გამოეყენებინა არა როგორც ზოგადი ფონი, არამედ როგორც შინაარსეული ექსპოზიცია მოქმედების. რუსთაველის თეატრის დამსახურება საბჭოთა თეატრის კულტურის ზრდის საქმეში სხვათა შორის იმაშიაც გამოიხატება, რომ მან ეტნოგრაფიის ხაზი, ყოფა ცხოვრების ელემენტები ორგანიულად დაუმორჩილა კლასთა ბრძოლის კატეგორიას და მით ეტნოგრაფიულ კატეგორიებს ჩამოაცილა ყოველგვარი ეგზოტიკის სამოსელი. დამარცხების განცდა და მტკიცე რწმენა გამარჯვების, ენტუზიაზმი და სიხარული რევოლიუციის მტრებზე გამარჯვების გამო, გმირულად მსხვერპლის გაღების ამოცანა რევოლიუციის გამარჯვებისათვის—აი ძირითადი მომენტები, რომლის ფსიქოლოგიური გამოსამჟღავნებლად გამოყენებულია ყოფაცხოვრების ესა თუ ის ელემენტი რუსთაველის თეატრში. ასეთ მიმართებაში მხოლოდ და ასეთ მიმართებაში სოციალისტურ და დემოკრატიული ხასიათი იმ ზნე ჩვეულებათა, რომელსაც მიმართავს რუსთაველის თეატრი ცხადი და ნათელია. ყველა ამ მოსაზრებათა ცოცხალ ილუსტრაციას წარმოადგენს თეატრის შემოქმედებითი პრაქტიკა. „ლამარა“-ს დადგმით რუსთველის თეატრს უნდოდა ეპოვა ის ძირითადი ხაზი, რომელზედაც უნდა წასულიყო თეატრის შემოქმედებითი მუშაობა ნაციონალური ფორმის გამომუშავების საქმეში. ეს გზა თეატრისათვის აუცილებლად სახიფათო იყო, რადგანაც იმ თემატიურ მასალაზე, რომელსაც შეიცავს გრ. რობაქიძის პიესა შეუძლებელი იყო საკუთარი ორიენტაციის პოვნა ნაციონალურ ფორმის საკითხში. თეატრმა ანგარიში გაუწია ამ მდგომარეობას და უბრალო რომანტიული ამბავი მინდიასა და ლამარას სიყვარულის შესახებ, სპექტაკლში მინიმუმამდე დაიყვანა და სამაგიეროდ ხაზი გაუსვა ქისტების და ხევსურებს შორის არსებულ სისხლის მტრობის „პრობლემის“ გადაწყვეტის მომენტს. ამის და მიუხედავათ პიესა მაინც ვერ განთავისუფლდა ნაციონალისტური შტრიხებიდან, რომელიც ასე უხვად მოცემულია ამ ქართულ ექსპრესიონისტულ პიესაში. ექსპერიმენტალური თვალსაზრისით „ლამარა-მ შეასრულა თავისი როლი განსაკუთრებით რიტმის ძებნის საკითხში, მაგრამ ნაციონალურ ფორმის საკითხი სრულიად ღიათ დარჩა. და ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ პიესის იდეოლოგიაში, რომელსაც ძირითადათ განსაზღვრავს ქართულ ნაციონალიზმის და მეტაფიზიკური ექსპრესიონიზმის მომენტები.

სულ სხვა გზით წავიდა ნაციონალური ფორმის გამომუშავების პროცესი „ანზორ“-ში. თავის მიღწევებით და ორიგინალური ხაზებით „ანზორ“-ის დადგმამ შეჰქმნა მთელი ეპოქა ახალი ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის საქმეში.

სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „ანზორი“-ს დადგმით რუსთაველის თეატრმა პრაქტიკულად განახორციელა ამხ. სტალინის ფორმულა ნაციონალური ფორმისა და სოციალისტური შინაარსის შესახებ. დადგმის ავტორმა ალ. ახმეტელმა რითმის კატეგორია გამოიყენა როგორც ცოცხალი სიტყვა მასის, კოლექტივის. იშვიათ ექსპრესიას მიაღწია ალ. ახმეტელმა „ანზორში“ რითმის გააზრებული გამოყენებით. აქ რითმი აშიშვლებს შინაგან განწყობილობას და თვალსაჩინოთ ხდის ამ განწყობილობის ტემპებსაც. სპექტაკლში სრულიად ორიგინალურად გამოყენებულია ენტოგრაფიული ელემენტები, ლეკების ძველი ზნე-ჩვეულებანი. თეთრგვარდიელთა მიერ გადამწვარ სოფელში მოხუც ლეკს ჩონგურზე უმღერის ახალგაზრდა:

...ატირდა ლეკის სოფელი,
ატირდა დედა მშობელი,
შემოსეული მტრის ხმალი
ბასრია დაუნდობელი...

მაგრამ ის არ ეძლევა პესიმიზმს, მას სწამს გამარჯვება, რადგანაც „რათ უნდა ხმალი ვაჟკაცსა თუ ის შურს არ იძიებს“. მას სწამს გამარჯვება არა იმიტომ, რომ ვაჟკაცობის იმედი აქვს, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ „თურმე იმათ (რევოლიუციას) უნდათ მიწა გლეხებს მისცენ, ქარხნები კი ქალაქის მუშებს“ და სხვა და სხვა. სრულიად გულუბრყვილო სახეებში გადმოცემულია რევოლიუციის პროგრამა და რწმენა გამარჯვებისა და მით ნაციონალური სახე გამოყენებულია ინტერნაციონალური გრძნობის შესათვისებლად.

თეთრგვარდიელთა ხიდის აფეთქების გამო პირტიზანელი ლეკები სიხარულს და აღტკინებას მიეცენ. ამ სიხარულს ფსიქოლოგიის გამოსამჟღავნებლად ალ. ახმეტელმა მიმართა ლეკების ზნე-ჩვეულებათა ტრადიციებს: ცეკვა, სიმღერა, ნაბდებით თამაშობა (მესამე აქტი), მაგრამ აქაც გარკვეული საზღვარი და გარკვეული ზომა, ახმეტელი არ „ანაზებს“ (не балует) მაყურებელს და მთელ აქტს არ ანდომებს დროს გატარებითი კატეგორიებს, და ეს „სიძუნწე“ სავსებით გამართლებულია იმ მხატვრულ გენერალურ ხაზის თვალსაზრისით, რომელზედაც შესდგა რუსთაველის თეატრი. საკმარისია გაიგონ ლეკებმა, რომ ხიდი აფეთქებული არ არის, რომ კოლექტიური მხიარულება, სასტიკ რისხვად გადაიქცეს და ეს გადასვლა ერთი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან მეორეში ალ. ახმეტელს იშვიათის ოსტატობით აქვს გაკეთებული. განსაკუთრებულ სიძლიერეს და ორიგინალობას რუსთაველის თეატრმა მიაღწია უკანასკნელ აქტში. უნდა გაჩერდეს თეთრგვარდიელთა მატარებელი, მაგრამ რა გააჩერებს! სად არის „კაცი“, რომელმაც იცის „ტეხნიკური“. ეს კაციც გამოჩნდა. უნდა ვინმე დაწვეს ლიანდაგზე, მაგრამ ლეკებს არ უნდა უიარაღოთ სიკვდილი! მათ სიკვდილისა არ ეშინიათ, მაგრამ სურთ იარაღით, ბრძოლით სიკვდილი. გამოსავალი არ არის;

უნდა დაწვეს ვინმე ლიანდაგზე უიარაღოთ. საკმარისია ამ მდგომარეობის შეცნობა, რომ პარტიზან-ლეკებს დაებადოს სრულიათ უყოყმანოთ სიკვდილის სურვილი რევოლუციის საკეთილდღეოდ „უნდა შიშველი ხელებით შეეიპყრო ჯავშანო, ის ჩვენ დაგვჭირდება პეტროვსკაში“. ანზორის, ამ სიტყვებმა თითქოს მაგიური ძალა იქონიეს პარტიზან ლეკებზე. „უნდა“ - ყარონ წილი: ვისაც მოხვდება, ის დაწვება ლიანდაგზე და ჯავშანოსაც აიღებენ პარტიზანები! რევოლიუციას სჭირია ჯავშანო მატარებელი, პეტროვსკა ელოდება ჯავშანოს, რომ შემდეგში ბაქოც აიღონ, საჭიროა მაშასადამე არა აფეთქება ჯავშნოსანის, არამედ მისი „შიშველი ხელებით“ აღება. ამისათვის კი საჭიროა ჯავშანოს შეჩერება, ხოლო ეს თხოულობს მსხვერპლს, უიარაღოთ სიკვდილს. ასეთია ამოცანა, ეს ამოცანა რევოლიუციის გამარჯვების ამოცანაა.

რუსთაველის თეატრმა ამ ამოცანის გადასაწყვეტათ მიმართა იმ მხატვრულ სახეებს, რომელიც ახლოა და ორგანიულია ლეკებთან. ახალგაზრდა ქალი, ვისაც გამოიწვევს ცეკვაში (ლეკური) ის უნდა დაწვეს ლიანდაგზე. მაგრამ ამ მოცეკვავემ არ უნდა იცოდეს საქმის ვინაობა. ენტოგრაფიული ხასიათის ჩვეულება ალ. ახმეტელმა გამოყენა რევოლიუციის გამარჯვების პრობლემის გადასაწყვეტათ და რასაკვირველია ამ მიმართებით ეს ჩვეულება გამართლებულია. ხოლო რაც შეეხება მხატვრულ გაფორმებას, აქ თეატრმა მიაღწია ისეთ ემოციონალურ სიძლიერეს, ისეთ მძლავრ ექსპრესიას, რომლის მზგავსი არ ახსოვს ქართული თეატრის ისტორიას. „ბრძოლა სიკვდილთან“ ორგანიულათ გადაისკვნა რევოლიუციის გამარჯვების აუცილებლობასთან, ხოლო რევოლიუციის კანონსა და მოვალეობას დაემორჩილა ეს „სიკვდილის ცეკვა“. ლეკმა თავის მხატვრული სახეებში შეიცნო რევოლიუცია და ამ სახეებით დაეხმარა მას მტრებთან ბრძოლაში. ხელოვნება მხატვრულ სახეებით აზროვნებაა და ალ. ახმეტელმაც მიმართა იმ სახეებს, რომლითაც აზროვნებს გლეხი ლეკი და რომლითაც ის მიუდგა რევოლიუციას.

„ანზორში“ თეატრმა იპოვა გზა ნაციონალურ ფორმის გამომუშავების და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პრინციპიალური და გამართლებულია პარტიის ლოზუნგის თვალსაჩინოთ.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ „ანზორში“ მასალის რითმიზაციის მომენტი. ძიება იმ რითმის, რომელიც გამოხატავს სოციალისტური რევოლიუციის ხასიათს—ერთი მთავარ ადგილთაგანია რუსთ. თეატრის შემოქმედებითი პრაქტიკაში. ამიტომაც აუცილებლად საჭიროა გაკვრით მაინც შევეხოთ ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მეთოდის ამ მეორე მხარეს. უარყო რა ფსიქოლოგისტური მეთოდი, რომელიც თეატრს აქცევს ლიტერატურის უბრალო ილიუსტრატორათ ალ. ახმეტელმა ყურადღების ცენტრი გადაიტანა თეატრის შედარებითი შინაგანი კანონების გამომუშავებაში იმ თემატიურ მასალის ნიადაგზე, რომელსაც რევოლიუციონური რეპერტუარი განსაზღვრავს. მთავარი და ძირითადი აქ მოძრაობისა და რიტმის პრობლემაა. ადამიანის მოძრაობის რიტმი იმ ფიზიკურ რეაქციებში იბადება, რომლითაც ის იცავს თავის თავს და ამავე დროს უტევს გარეშე ბუნებას. უდაოა რომ ამ ბიოლოგიურ პროცესს თავისი სოციალური ძირი აქვს, რაც სრულიად არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ გეოგრაფიულ მდებარეობის მომენტსაც განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება რიტმის ელემენტების სისტემატიზაციის საქ-

მეში. სოციალისტური რევოლიუციით დაშინებულის და ბირჟის ვაკხანალიის ამბებით თავბრუ დასხმული კაპიტალისტის რეაქციები გარეშე ფენების პრინციპიალურათ სულ სხვა არის, ვინემ მუშის, რომლის ისტორიული ოპტიმიზმი კაპიტალიზმის წინააღმდეგობით არის დასაბუთებული, მეორეს მხრით ისიც ეჭვს გარეშეა, რომ მთიულის რიტმი არ შეიძლება გაიგივევდეს ველების მობინადრეთა მოძრაობასთან. აუცილებლად აქ ჩვენ ტემპების რაოდენობით განსხვავებასთან გვაქვს საქმე. ამრიგათ რიტმი მოძრაობის სტრუქტურული ფორმაა—მხოლოდ მოძრაობა მთელი სისტემაა იმ რეაქციების, რომლის ხასიათი სოციალურ გარემოსაგან არის დამოკიდებული. ალ. ახმეტელმა აიღო ადამიანი როგორც სოციალური ერთეული, რომლის მსოფლმხედველობრივი რეაქციები მეღავნდება მის ყოფაქცევაში და ადამიანის რეალურ მოძრაობის მხატვრულ ათასებისაგან მან შექმნა თეატრალური რითმი, რომლის ორგანიულ ჩარჩოებში შლის ის თეატრის ლიტერატურულ მასალას (პიესას).

რიტმი რუსთაველის თეატრში იმორჩილებს, როგორც ბგერითი ისე სინათლის მონტაჟს და აგრეთვე სცენის ყოველგვარ აქსესუარებს და თავისი ემოციურ ზეგავლენის მხრივ აღწევს ხშირად ძლიერ ეფექტს. ამ ხაზებშია გაკეთებული „ლამარა“ „რღვევა“ და განსაკუთრებით კი „ანზორი“. „ანზორში“ რითმი ყოველთვის არ გამოიხატავს გარეგან მოძრაობის ფორმას, ხშირად ის (მესამე და მეოთხე აქტები) გამოდის როგორც კონკრეტის სახე შინაგან მონოლოგიის, შინაგან მოძრაობის. აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ყოველგვარ სიტყვიერი მასალის გარეშე რეჟისორი ძლიერი ექსპრესიული რითმით აღწევს მოქმედების გააზრებას და მაყურებლის ემოციონალურ დაპყრობას. რუსთაველის თეატრში რითმი მოქმედობს, როგორც თავისებური მონტაჟური ნიშანი, და იმდენათ ის გამოდის როგორც აზრობრივ—ემოციონალური კატეგორია. მასალის რიტმიზაციის ფაქტში ზოგი გულუბრყვილო კრიტიკოსი ხედავს მექანისტურ საშიშროებას, ზოგი კი თეატრის პირდაპირ მექანისტურ განხრას. ჩვენის აზრით დანახვა აქ მექანისტური საშიშროების, სერიოზიული სიბეცის ნიშანია: მექანისტურია რითმი მაშინ, როცა „მასსა“, კოლექტივი, მოცემულია, როგორც „ბრბო“, როგორც „ადამიანთა ქაოსი“. უდიდესი დამსახურება რუსთაველის თეატრისა და კერძოთ ალ. ახმეტელის იმაშია, რომ მან მასიური სცენები გაშალა იმ გაგების ხაზებში, რომელიც პრინციპიალურად უარყოფს სუბიექტიურ სოციოლოგიის ტრადიციებს ამ საკითხში. მასა არ არის პასიური კატეგორია. ის შემქმნელია ისტორიის და როგორც ასეთი, წარმოადგენს აქტიურ კატეგორიებს. ბელადი არ უპირდაპირებდა მასას, ის ამწყობრებს და აორგანიზირებს კოლექტივის მოძრაობას. ამით ინდივიდუალური ნებისყოფა იმყოფება კოლექტიური ნების მთლიანობაში, რითაც უზრუნველყოფილია მათი დიალექტიური ერთიანობა. გოდუნი ეს ინდივიდუალიზაციაა მატროსთა კოლექტიურ ნებისყოფის; პარტიზან ლეკებს სჯერათ ანზორის, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მოქმედებას განსაზღვრავს რევოლიუციის ამოცანებით და იმ შესაძლებლობით, რომელიც სუბიექტიურათ და ობიექტიურათ გააჩნიათ პარტიზანებს. ამრიგად, რუსთაველის თეატრში მასიური სცენა გაშლილია არა დაპირდაპირების ხაზებში, არამედ მათი („ბელადი და მასა“) დიალექტიურ გაერთიანების ხაზებში; ყოველ აქტიური

გრძნობს და განიცდის პარტნიორს, ხოლო ყოველგვარი მიზანსაცენა ნაგებულია ამ ურთიერთ გაგების ნიადაგზე, ამით შესაძლებლობის ფარგლებში ეხმაურებელ-ყოფილია ინდივიდუალობის შენარჩუნება კოლექტიურობის ფარგლებში.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ რუსთაველის თეატრმა საბოლოოთ იპოვა ახალი ფორმები პროლეტარული თეატრის. ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო, რომ რუსთაველის თეატრი გადაიქცეს ნამდვილ პროლეტარულ თეატრათ. მაგრამ ერთი უმთავრესი პირობა ამისათვის არის თეატრის შემოქმედებითი დატვირთვა იმ ახალი ფორმების სოციალისტური შრომით, რომელიც წარმოადგენენ ძლიერ ფაქტორებს არა მარტო მრეწველობის გეგმიან დავალებათა განხორციელებისათვის, არამედ შეიცავენ აგრეთვე უდიდეს შესაძლებლობას ადამიანის ფსიქიკის ნამდვილ სოციალისტურ რეკონსტრუქციისათვის. ამ გზით უნდა დაიწყოს ახალი სოციალისტური ფორმის შემუშავება, რომელიც იქნება დიალექტიური მოხსნა იმ წინააღმდეგობის, რომელიც არსებობს ნაციონალურ ფორმასა და სოციალისტურ შინაარსს შორის.

პროფ. კორნ. კეკელიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა.*)

IV.

მოლიდების სახელს ქართულს წყაროებში პირველად ვხვდებით 1191 წელს, როდესაც მოკლულ იქნა ადერბეიჯანის ათაბაგი ყიზ-არსლანი. „მას ჟამსა შინა“, ამბობს თამარის ისტორიკოსი, „მოიკლა ყიზ-არსლან ათაბაგი, აწ გასულტანებული, მულიდთა მიერ (ქართ. ცხოვრ. მარიამ დედოფ. გვ. 454). შემდეგ მათ სახელს ვხვდებით ეგრედწოდებულ „აბდულმესიანში“, რომელიც დაწერილია თამარის უკანასკნელ წლებში (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, გვ. 163). მაგრამ ამ ნაცნობობას ჯერ კიდევ შემოხვევითი, ზერელე ხასიათი ჰქონდა; ისე დაახლოვებით და დეტალურად, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია, მოლიდების გაცნობა ჩვენში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მონღოლების დამკვიდრების შემდეგ, და ისიც არა უადრეს რუსუდანის გარდაცვალებისა. საქმე ისაა, რომ, ავიდა თუ არა ტახტზე მანგუ ყაენი (1250 წელს, Brosset, Hist. de la T. I 521, not. 9), მას აცნობეს, რომ ქართველთა შორის „მწამვლელნი და მხიბლავი კაცი არცა თუ სახელიდების“, მაშინ, როდესაც სპარსთა შორის მულიდნი და მწამვლელნი მრავალ იპოვებიანო (ქართ. ცხოვრ. ბროსეს გამოცემა, გვ. 365, შეად. მარიამის ვარიანტი, გვ. 606). 1249 წელს, როდესაც გარდაიცვალა რუსუდანი, [2]) მონღოლებმა დაიწყეს ბრძოლა მოლიდთა მთავარი ცენტრის, ალამუთის, წინააღმდეგ; მათ ჯერ რუსუდანს მოსთხოვეს „რათა მისცეს საქართველოდამ ლაშქარი კმასაყოფელი ალამუთსა ზედა“ (მარ. დედოფ. გვ. 622), მაგრამ რუსუდანს სიკვდილმა უსწრო. დაანაწილეს რა ამის შემდეგ საქართველო რამდენიმე სამთავროდ, მონღოლებმა ამ მთავართა ხელმძღანელობით წაიყვანეს ქართველები „ბრძოლად ალმუთს“, გაყვეს ისინი ორად,

[2]) რუსუდანის გარდაცვალების წელი სადაოა, მიუხედავად „აფხაზთა ქრონიკის“ კატეგორიული განცხადებისა, რომ რუსუდანი 1245 წელს მოკვდაო (ქრონიკები II, 124), მე მაინც უფრო სწორად მიმაჩნია ჩამჩიანის 1247 (t. III p.) 224), განსაკუთრებით კი ბროსეს 1248—9 წელი (His. de la G. I 528 not. 6). მართლაც, რატომ მაინცადამაინც 1249 წელს დააბრუნეს მონღოლებმა უკან დავით ნარინი და ულუ-დავითი? ვფიქრობ, იმიტომ, რომ ამ წელს გარდაიცვალა რუსუდანი და ქვეყანა უმეფოდ დარჩა, რასაც ხაზს უსვამენ ნოინთა წინაშე დიდებულნი (მარიამ დედოფ. გვ. 622—23, 629). მეორე, ისტორიკოსი ხაზგასმით ამბობს, ისიც არა ერთხელ, რომ ალამუთის ბრძოლა შვიდს წელს გაგრძელდაო, დამთავრდა კი ის, როგორც ისტორიაში ცნობილია, 1256 წელს, მაშასადამე, ომი დაწყებულა 1249 წელს, რუსუდანი კი გარდაიცვალა, როგორც ისტორიკოსი მოწმობს (გვ. 622) ომის დაწყების წელს.

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 5—6.

„ნახევარნი ერთს წელს და ნახევარნი ერთს იყვნიან ალმუთს; და განგრძელდა ბრძოლა ალმუთისი შვიდ—წელ“ (გვ. 624). ქართველნი დიდსა ჭირსა შინა იყვნეს თათართა მიერ“, ამბობს ისტორიკოსი, „რამეთუ მიმდევნი და მოუწყინებელი ბრძოლა აქუნდა ალმუთელთა მიმართ და ქართველნი თანაწარჰყვიან და ორად განყოფილნი იყვნიან“ (გვ. 629). „დიდსა ჭირსა შინა იყვნენ მეფენი და ყოველნი მთავარნი“, განაგრძობს იგივე ისტორიკოსი, „დაუცხრომელად ებრძოდეს ურჩთა და უმეტეს ალმუთს მყოფთა, რამეთუ შვიდსა წლისა ჟამსა განგრძელდა ბრძოლასა ყოფა მათი, ამისთვის წარავლინნა ულოცა ნოინნი და მათთანა მეფის გიორგისძე დავით ქართველთა სპითა, რათა ბრძოდენ ალმუთს“ (გვ. 653). მონღოლების, ქართველების და სპარსელების შეერთებულმა ძალებმა ბოლოსდაბოლოს გასტეხეს ალამუთის სიმაგრე: 1256 წლის 19—24 ნოემბერს მათ აიღეს ეს უძლეველი ციხე-ქალაქი, ხელთ იგდეს უამრავი სიმდიდრე, ტყვე და თან წერილობითი დოკუმენტები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოლიდ-ასასინთა ცხოვრებისა და მოძღვრების გასაგებად. ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, ბოლო მოელო მოლიდთა ძლიერებას და პოლიტიკურ გავლენას აღმოსავლეთში, უმნიშვნელო ნაწილი მათი გადავიდა ეგვიპტეში და მიეკედლა მამლიუკთა სულტანს. „ხოლო იგინი“,—ამბობს ჩვენი ისტორიკოსი, „ივლტოდეს ეგვიპტედ, რომელ არს მისრი, რამეთუ აიღეს დედა-წული და ხვასტაგი და ყოველი სიმდიდრე მათი და მუნ დაამკვიდრა სულტანმან მისრეთისამანო“ (გვ. 653).

ის დეტალური აღწერილობა ქაჯთა (მოლიდთა) ცხოვრებისა, ხასიათისა, ზნე-ჩვეულებისა და ციხე-სიმაგრისა, რომელიც ჩვენ პოემაში გვაქვს, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ამ შვიდწლოვანი ომისა და ალმუთის ციხე-ქალაქის აღების შემდეგ. მე მგონია რომ პოემაში პირდაპირ იყო ნაჩვენები ამ ციხე-ქალაქისათვის ბრძოლა. მართლაც, ქაჯეთზე გალაშქრების წინ ტარიელმა და ავთანდილმა ტარიელის გამოქვაბულში, რომელიც 40 ოთახისგან შესდგებოდა, აღმოაჩინეს დაბეჭდილი კიდობანი, რომელზედაც ეწერა:„ თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო, უმისჟამისოდ ვინც გაჰხსნის, არის მეფეთა მკვლელიო“ (1218a). აქ ჩვენ ვერ ვიგულისხმებთ ზღაპრული, მითოლოგიური ქაჯებისა და დევების შებმას, ვინაიდან, პირველ ყოვლისა, პოემა საზოგადოდ არ ჰბაძავს აღმოსავლურ-ფანტასტიურ მოთხრობებს და გაურბის ქაჯების, დევების და ავი-სულების სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანას, იმას მუდამ საქმე აქვს ბუნებაში მოცემულ საგანთან, მოვლენასთან და არსებასთან; მეორე, თუ ტარიელმა და ავთანდილმა გადასწყვიტეს გახსნა ამ კიდობანისა, იმიტომ, რომ დამდგარა მომენტი ქაჯ-დევთა შებმისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამას არ ჩაიდენდნენ, ვინაიდან, თანახმად წარწერისა, ისინი გახდებოდენ მკვლელნი თავიანთი მეფეებისა, რაც, მათი პატრონ-ყმური იდეალის მიხედვით, დაუშვებელი იყო მათთვის, ასე რომ ქაჯებად აქ უნდა ვიგულისხმოთ პოემის ქაჯეთის სამეფო, ხოლო დევებად—ძმადნაფიცი გმირები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ინიციატივა შებმისა არ ეკუთვნოდა ქაჯებს, ქაჯები კი არ შებმიან გმირებს, არამედ პირიქით, გმირები შეებენ ქაჯებს; ეს ერთი, მეორე დევებად ამ შემთხვევაში თავის თავად იგულისხმება, უნდა ვივარაუდოთ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, მაგრამ პოეტს, რომელიც მათ გმირს, გოლიათს და ლომს ეძახის, არც ერთხელ არ უწო-

დებია მათთვის ფანტასტიური და მითოლოგიური არსების, დევის, სახელი. ამიტომ საფიქრებელია, თავდაპირველს ტექსტში არ იკითხებოდა არც „ქაჯნი", და არც „დევთა". როგორც ჟამთააღმწერლის სიტყვებიდანა სჩანს, ქართველებს სცოდნიათ, რომ მონღოლებს, ერთერთი მათი ტომის, უიღურთა, სახელით, სხვათა შორის ეწოდებოდათ „ქუჯნი" (გვ. 550, 552), ხოლო მოლიდ-ასასინების ორდენის ორს საფეხურს ეწოდებოდა დ ა ვ ი და ფ ე დ ა ვ ი, როგორც ეს მათი ისტორიდან ვიცით. ასე რომ თავდაპირველს ტექსტში უნდა ყოფილიყო: „თუ ქუჯნი დავთა შეებნენ", ესე იგი—თუ მონღოლები ასასინ-მოლიდებს შეებნენ. შემდეგი დროის გადამწერლებმა, რომელთაც არ ესმოდათ ეს სიტყვები, წაიკითხეს ისინი, როგორც „ქაჯნი" და „დევთა" [1])

თუ ყველაფერი ეს ჰიპოტეზის სახით შეიძლება მხოლოდ ითქვას, სამაგიეროდ ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქაჯეთის ციხის აღება ძმადნაფიც გმირების მიერ პოეტს უნდა დაეწეროს მონღოლების, ქართველების და სპარსელების შეერთებულ ძალთა მიერ ალამეთის სიმაგრის აღების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ. ამ შემთხვევაში თითქოს ისტორიული და პოეტური დეტალებიც ხვდებიან ერთმანეთს. ქაჯეთის ციხე-ქალაქი „ყოვლგნით კლდე" იყო (1233) „გარე კლდე" შემოვლებული (1236), ისე, როგორც ალამუთი; იმაში შესვლა, ისე როგორც ალამუთში, გვირაბით და ხვრელით შეიძლებოდა. (1104, 1156, 1237). ისტორიიდან ცნობილია, რომ ალამუთის აღებისას გასწყვიტეს თ ო რ მ ე ტ ა თ ა ს ა მ დ ე მისი მცველი, პოემაშიც ნათქვამია, რომ ქაჯეთის ციხეს იცავდა ათი ათასი ჭაბუკი (1104, 1237, 1258), რომელიც „სრულიად აეწყვიდხეს" (1257); ეს ორი ციფრი დიდად არ არის დაშორებული ერთმანეთს. ისტორიიდანვე ვიცით, რომ ალამუთის სიმაგრიდან გამოტანილი იქნა დიდძალი სიმდიდრე, ასევე ქაჯეთის; პოეტი ამბოს:

„რამე პოვნეს საჭურჭლენი, აწმცა თვალვით ვით ითქმოდა (1263a)
მოკრიბეს ჯორი აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები. (1264)

აქედან, მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი პოემა დაწერილია არა უადრეს 1256 წლისა. [2]) ამასთან ერთად შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ დაწერილია ის არა უგვიანეს 1258 წლისა. საქმე ისაა, რომ, თანახმად სპარსუ-

[1]) ამასთან დაკავშირებით ისიც შესაძლოა, რომ ტარიელის ქვაბები იყო არა „დევთა სახლები" (586), რომელნიც „დევთა შეეკაფნეს" (560) და რომელთა დაკავებისათვის მან გასწყვიტა „დევთა დასები" (1215), არამედ—„დავთა", ესე იგი, მოლიდების ეროერთი სიმაგრე ირანის რომელიმე კუთხეში. საქმე ისაა, რომ, როგორც ვთქვით, ტარიელს და მის მეგობრებს პოეტი არსად არ აბრძოლებს ფანტასტიურ-მითოლოგიურ დევებთან და ქაჯებთან, დამაფიქრებელია შემთხვევა ციფრებისა: ასასინების 40 ციხე და ტარიელის ქვაბების 40 ოთახი.

[2]) მხატვრული შემოქმედების ისტორაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც პოეტი ამათუ იმ სურათის დახატვისას მოდელად იყენებს ხოლმე სინამდვილეში არსებულ პირს, ფაქტს თუ მოვლენას; ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ჩვენმა პოეტმა ქაჯეთის ციხისა და მისი აღების სურათის მოდელად გამოიყენა ალამუთის ციხე და მისი აღების ფაქტი. ეს არ არის ის ისტორიზმი და ისტორიული ალეგორიები, რომელსაც ვეფხისტყაოსანში ეძებენ ჩვენი მკვლევარნი და რომელსაც მე თავგამოდებით ვებრძოდი (იხ. ჩემი „ქართული ლიტერატურის ისტორია" II, გვ. 114—118) და ეხლაც ვებრძვი.

ლი ლიტერატურული ტრადიციებისა, რომელსაც ჩვენ მწერლობაშიც ჰქონდა მოკიდებული ფეხი, პოეტს ქებით მოუხსენებია თანამედროვე მეფე:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე ჰმსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკუმარებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით, დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.

როგორც ვხედავთ, პოეტი ამბობს, რომ თავისი თხუზულება მან დასწერა ქართველთა მეფის დავითის საკუმარებლად (ნ. მ ა რ ი ს კორექტურა „საკამათებლად"-ის მაგიერ), ესე იგი—გასართობლად. [1])

ვინაა ეს მეფე? ეს მეფე, როგორც უფრო ნათლად პოეტის ვინაობის გარკვევისას იქნება ნაჩვენები, არის დ ა ვ ი თ ლ ა შ ა ს ძ ე. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლებმა ორივე დავითს მისცეს მეფობა (მარ. დედოფლის. გვ. 651) ნამდვილ მეფედ და თვითმპყრობელად დავით ლაშასძე ითვლებოდა. დავით ნარინი კი იყო, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მის. მოადგილე დასავლეთ საქართველოში. [2]) „რამეთუ ორნივე", ამბობს ისტორიკოსი, დავით და დავით, ურთიერთსა სიყვარულსა ზედა ეგნეს", „ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა დავითს ეპყრა ლაშას ძეობისათვის და უხუცესობისათვის" (გვ. 652—3). ზემომოყვანილს სტროფაში დავითი წარმოდგენილია მთელი საქართველოს მეფედ, [3]) მაშასადამე, როდესაც პოემა იწერება, საქართველო, ჯერ კიდევ არაა გაყოფილი ორ სამეფოდ, რაც 1258 წელს მოხდა (Brosset. Hist. de la G. I p. 546 not. 4).

ამნაირად, პოემა დაწერილია 1256—1258 წლებში, ან უფრო ზუსტად როე ვთქვათ 1257 წელს.

---

[1]) არ ვასახელებ ამის მომდევნო სტროფს—„დავითის ქნანი ეითა ვთქვნე", ვინაიდან შეუწყნარებელი სტილით, ულაზათო ლექსით და უხეში რითმით ის თვითონ ამჟღავნებს თავის სიყალბეს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არავითარი მნიშვნელობა ჩვენი საკითხისათვის არა აქვს პროლოგის იმ სტროფებს, რომელშიაც თამარ მეფეა მოხსენებული: „ვის შვენის ლომსა", „თამარს ვაქებდეთ მეფესა" და „მიბრძანეს მათდა საქებრად", რადგან ისინი შემდეგშია პროლოგში შეტანილი, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს უკანასკნელი. ისინი პირდაპირ ჰგლეჯენ შუაზე იმ ორ სტროფს, რომელნიც ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენენ, სახელდობრ: „ჰე ღმერთო ერთო" და „აწ ენა მინდა გამოთქმად". მართლაც, პირველ ამათგანში პოეტი სთხოვს ღმერთს: „შენ დამიფარე, ძლევა მეც, მომეც მიჯნურთა სურვილი", ხოლო მეორეში განაგრძობს უშუალოდ: რადგანაც „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება",—„ძალა მომეცი და შეწევნაო". განა ცხადი არაა რომ თამარის სახელის შემცველი სტროფები უალაგო ადგილას ჩაუკერებია ვიღაც არც ისე წინდაბედულ მელექსეს? ამიტომაცაა, რომ თამარის სახელის შემცველი სტროფები არ არის ისეთს ხელნაწერებში, როგორიცაა წერ.-კითხ. №№ 2829, 4988.

[2]) კირაკოზ განძაკელის ცნობით, დავით ნარინი თ თრებს სულაც არ დაუნიშნიათ მაშინ მეფედ. ყაენმა განუჩინა მათ, ამბობს ის, მორიგეობითი მეფობა; პირველად უფროსს მათ შორის, გიორგი ლაშას ძეს დავითს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, – მეორე დავითს, რუსუდანის ძეს, თუ ის მანემდის ცოცხალი დარჩებოდაო (К. П а т к а н о в, **История Монголов по армянским источникам** II, 68.

[3]) ვინ არის „აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად . „აღმოსავლეთისა და დასავლეთის" თვითმპყრობელობა ჩვეულებრივი ტიტულატურაა მთლიანი საქართველოს მეფეებისა (იხ. მაგალითისათვის „საქართველოს არქივი" წიგნი II, გვ. 22, 1927 წ.).

V

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, ამაზე, შემეძლო დამესრულებია მსჯელობა პოემის დაწერის დროის შესახებ, რომ ერთი გარემოება არა. ისმის საკითხი: შეიძლებოდა თუ არა თამარის შემდეგ, განსაკუთრებით მონღოლების ხანაში, შექმნილიყო ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა ვეფხისტყაოსანი? ამგვარი საკითხის დასმას გვაიძულებს შემდეგი გარემოება: ჩვენში ფეხგადგმულია შეხედულება, რომ ვეფხისტყაოსანში ასახულია თამარის ეპოქა, რომელიც მხოლოდ იძლევა შესაძლებლობას ასეთ თხუზულებათა დაწერისასო. ეს ერთი; მეორე: ისტორიოგრაფიაში მონღოლთა ბატონობის შესახებ არამართებული შეხედულება არსებობს: საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს შემოდგეს თუ არა მონღოლებმა ჩვენში ფეხი, იმწამსვე ბოლო მოუღეს თამარისაგან ნაანდერძევ საქართველოს და წყვდიადი, ბნელეთი გაამეფეს იმაში. ასე რომ, არამც თუ ვეფხისტყაოსანისებური ნაწარმოების დაწერა, არავითარი კულტურული შემოქმედება შესაძლებელი იქ ალარ იყოვო.

პოემაში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი საქართველოსა და ქართველების შესახებ, მით უმეტეს არ ჩანს აქ უშუალოდ თამარის ეპოქა. ის ისტორიული ალეგორიები, რომელსაც უჩვენებენ ამ პოემაში ჩვენი მკვლევარნი (იხ. ამის შესახებ ჩემი „ქართული ენის ლიტერატურის ისტორია“ II, 114—119), დამყარებულია შემდეგი დროის ნუსხებზე, სადაც პროლოგში თამარის სახელის შემცველი სტრფებია ჩამატებული; პირიქით—თამარის ეპოქას რომ არ შეეძლო ამ ნაწარმოების წარმოშობა, ამის დამადასტურებელი იდეოლოგიური ფაქტები მე უკვე მომყავდა ზემოთ. ყოველშემთხვევაში ამგვარი თხუზულების დაწერა შესაძლებელი იყო მონღოლთა ბატონობის პირველ ხანებშიაც, მე-13 საუკუნის სამოციან წლების დაწყებამდე. როგორი იყო ამ ხანებში ზოგადი მოსაზრებით, ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული პირობები ჩვენი ცხოვრებისა?

მონღოლების შემოსვლისთანავე არ გაუნადგურებიათ ჩვენში ის საწარმოო ძალები, რომლითაც არსებობდა თამარის საქართველო. მართალია, ხვარაზმელთა და მონღოლთა თავდასხმების დროს ბევრი ხალხი გაიჟლიტა, მაგრამ მუშახელი და ცხოვრების მამოძრავებელი ძალები არ მოსპობილა. ეს იქიდანაცა სჩანს, რომ, როდესაც მონღოლებმა მე-13 საუკუნის ნახევარში ჩვენში მოსახლეობის აღწერა მოახდინეს (მარ. დედოფ. ვარ. გვ. 663, 665), საქართველოში და მასში შემავალ უცხო პროვინციებში რვა ნახევარ მილიონამდე მცხოვრები აღმოჩენილა, რომელთაგან ოთხნახევარ მილიონს ქართველობა შეადგენდა[1].) არ შეწყვეტილა ჩვენში მაშინვე არც ვაჭრობა; პირიქით, როგორც ამდროინდელი

[1]) ცხრა სრული ფუძის ან მიწის მფლობელ გლეხის კომლზე მონღოლებს გაუყვანიათ ერთი ჯარის კაცი, სულ გაუყვანიათ 90000 ჯარის კაცი, მაშასადამე, ყოფილა 810000 გადამხდელი კომლი; ამას უნდა მიუმატოთ არაგადამხდელი წოდება (სამღვდელოება, თავად-აზნაურობა, ბოგანოები და სრული ფუძის არამქონებელი), რაც პ. ინგოროყვას სტატისტიკური ცნობებით, 32% შეადგენდა გადამხდელებისას. ასე რომ, სულ უნდა ყოფილიყო ერთ მილიონზე მეტი კომლი; თუ კომლზე ვიანგარიშებთ რვა სულს, ხოლო ქართველების რიცხვის სახელმწიფოში 55%, მივიღებთ ზემონაჩვენებ ციფრებს (იხ. პ. ინგოროყვას გამოანგარიშება ჟურნ. „კავკასიონში“ № 3—4, 1924 წ. გვ. 77—78 მეცნ. ფილოსოფია).

სიგელ-გუჯრებიდან ჩანს, ,ეხლა გაცხოველებულა, სხვათა შორის, მამულების ყიდვა-გაყიდვა (ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი II, 133, 146). ვაჭრობა არ შენელებულა; წარმოიდგინეთ, საზღვარგარეთთანაც კი, რაც იქიდანა ჩანს, რომ ამბავი ულუდავითისა, რომელიც „მცირე აზიაში იყო ექსორიად, დიდებულებმა გაიგეს „ვითგანმე ვაჭართა“ (გვ. 638). დასასრულ, მართალია უმეტესი ნაწილი დაპყრობილი ქვეყნებისა, საიდანაც ქართველებს ხარკი მოდიოდათ, მონღოლებმა ჩამოაცილეს მათ და ამით წყარო შემოსავლისა შეუმცირეს, მაგრამ სამხედრო ალაფი და ნადავლი, რომელიც თამარის დროსაც ერთერთი მთავარი წყარო იყო ეკონომიური კეთილდღეობისა, ეხლაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. მართალია, ქართველები გარეშე ძალის ხელში არიან, მაგრამ ისინი მაინც ახერხებენ ძლევამოსილ ომიანობას მეზობელ ერებთან და სასულტანოებთან. ასე, მაგალითად, მათ დაამარცხეს თურქები ჯერ ვალაშკერტს და მერე „ავნისის ვაკესა ზედა“; ამ გამარჯვებისას, ისტორიკოსის სიტყვით, მათ „ტყვე ყვნეს სიმრავლე ურიცხვი და აღივსნეს ცხენითა, ჯორითა და აქლემითა, კარვითა, ბარგითა და ალაფითა ურიცხვითა“, „აღიღეს ტყვე და „იავარი ურიცხვი“, ცხენი და ჯორი, აქლემი, კარვები, ყოველი სიმდიდრე, რომელი აქვნდა“ (გვ. 630-633). ამასვე ვხედავთ საბერძნეთის სულტანის დამარცხებისას, როდესაც აღივსნეს ქართველნი და თათარნი ყოვლითა სიმდიდრითა: ოქროთა და ვერცხლითა, სასმურითა და სამზარეულოითა ოქროისა და ვერცხლისაითა, უცხოითა ლარითა და სამოსლითა, ცხენისა და ჯორისა და აქლემისა არა იყო რიცხვი“ (გვ. 603). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბაღდადის აღება მონღოლებთან ერთად (1258 წ. 16—30 იანვ), როდესაც „აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროითა, ვერცხლითა, თვალითა მარგალიტითა პატიოსნითა, ლარითა და შესამოსლითა პატიოსნითა, სამსახურებელითა, ჭურჭლითა ოქროისა და ვერცხლისათა, რომელ არავინ აღიღებდა თვინიერ ოქროსა და ვერცხლსა, თვალსა და მარგალიტსა შესამოსელთაგან კიდე; სხუანი ჭურჭელნი, ჩინეთით და ქაშანით მოხმულნი და მუნ შექნილნი სპილენძნი და რკინა უპატიოდ იბნეოდა—რამეთუ აღივსნეს ლაშქარნი, რომელ უნაგირნი და კურტანნი და ყოველი შეურაცხი სამსახურებელი თვალითა და მარგალიტითა და წითლითა ოქროითა განტენნიან და ზოგთ-ხმალთა ვადის პირსა მოსტეხდიან და ქარქაშნი წითლითა ოქროითა განტენნიან და ზედ ნატეხი ხმლისა ჩააგიან; ზოგთა მკდუარი კაცი ბაღდადელი გამოსწლიან და წითლითა ოქროითა განტენნიან და თვალითა მარგალიტითა, და ვითარ თვისი მკუდარი განიყვიან გარეშე ქალაქსა“ (გვ. 661—662). სწორედ ბაღდადში ნაშოვნი ფულით დაუწყიათ ჩვენში მამულების შეძენა, ეკლესიებისა და მონასტრების აშენება და განახლება როგორც ეს იმ დროინდელი სიგელ-გუჯრებიდანა ჩანს (ქრონიკები II 133—4, 146). თანამედროვე სომეხთა ისტორიკოსებიც ადასტურებენ, რომ ქართველები თათრების შემოსევისთანა არ დაბეჩავებულან ეკონომიურად. ყოველ შემთხვევაში კირაკოზ განძაკელი 1250 წლამდე კიდევ ამჩნევს ჩვენში ძველებურ შემძლეობას. თავადები და დიდებულები, ამბობს ის, იძენდენ და იცვამდენ ძვირფას ტანისამოსს, სჭამდენ, სვამდენ და ქედმაღლობდენო (XLV). თათრების მიერ ყარსის აღების შემდეგ მის უსახლ-კაროსა და მშიერ-მწყურვალე მოსახლეობას ქართველებმა მისცეს საზრდო და თავშესაფარი

(XXVI), ხოლო არზრუმის ან კარინის აოხრების შემდეგ მათ, ავაგის, შანშეს, ვარამის და მისი შვილის აღბუღას მეთაურობით, ტყვეობიდან გამოისყიდეს უამრავი მამაკაცები, დედაკაცები, ბავშები და სამღვდელო პირნი, რომელთაც სრული თავისუფლება მიანიჭეს (XXII—XXIII), გამეფებული ულუ-დავითის შესახებ „ჟამთააღმწერელი“ ამბობს: დამოაწყო ყოველი ქვეყანა და მოიგო სიმდიდრე უზომო ლაშას ძემან დავითმაო“. (მარ. დედოფ. გვ. 656).

ვეფხისტყაოსანში ასახული ფეოდალურ-რაინდული სურათი მისი წარმომშობი ეპოქისა არაა დამახასიათებელი მხოლოდდამხოლოდ თამარის დროისათვის, მას თავისი სიცოცხლე არ დაუკარგავს მონღოლთა ბატონობის აღნიშნულ პერიოდშიაც. პატრონყმური ურთიერთობა, რომელიც მკაფიოდაა წარმოდგენილი პოემაში, ერთადერთი სახეა აღნიშნული პერიოდის საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ცხოვრებისაც. მხოლოდ ეხლა ამ ურთიერთობის კიბეს ემატება ერთი საფეხური მონღოლთა ყაენის სახით, თუმცა პატრონ-ყმური კოდექსის მოთხოვნილებებს ქართველები ამ გარეშე ძალის მიმართ, იგულისხმება, თავისთვის სავალდებულოდ არ სთვლიდენ, ყოველ შემთხვევაში ნებაყოფლობით თვით შიგნით, ერის ყოფა-ცხოვრებაში, თანამედროვე ამბები უფრო მეტს, კონკრეტიულ შემთხვევებს იძლევა პატრონ-ყმური ურთიერთობის გამოსამჟღავნებლად. მაგალითად, ამ კოდექსით ყმისთვის სავალდებულოა პატრონისათვის თავისდადებიც კი, რაც პოეტს შემდეგი სიტყვებით გადმოუცია.

„ხამ: მეფეთა ერთგულება, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“ (105)
„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“ (354)

მონღოლთა ბატონობის ისტორიკოსი იძლევა ერთ საუკეთესო მაგალითს ამ დებულების საილუსტრაციოდ შორსა და უცხო ქვეყანას, ბათო ყაენის წინაშე, გაემგზავრება ავაგ ათაბაგი, რომელმაც თან გაიყოლია თავისი ეჯიბი დავითი. მათ არ იციან, რას შეამთხვევს მათ სისხლისმსმელი ყაენი, როდესაც წარუდგებიან მას, ამიტომ დავითი ეუბნება ავაგს: მე ჩემს თავს გამოვაცხადებ ბატონად და პატრონად, შენ კი გიწოდებ მონასა და ყმასა ჩემსა; როდესაც ყაენთან დაგვიპირებენ შეყვანას, მე წინ წავალ, როგორც შეშვენის პატრონს, შენ კი, როგორც ყმა უკან ძმყევიო. ეს იმიტომ, რომ, თუ სიკვდილამდე მივა საქმე, ყაენი, უნდა ვიფიქროთ, მოჰკლავს ბატონს და არა მონას, ასე, რომ მე მოვკვდები და შენ ცოცხალი დარჩებიო. ასეც იქცეოდენ კარგა ხანს; ბოლოს როდესაც დარწმუნდნენ, არაფერი სახიფათო მათ არ მოელის, როლები შესცვალეს. ყაენმა რომ დაინახა წინმავალი ავაგი, რომელსაც ის მონადა სთვლიდა, შენიშნა მას: როგორ ბედავ შენ ბატონის წინ სვლას? გამომჟღავნდა ყველაფერი, ყაენმა ამისთვის დიდად შეაქო დავითი, რომელმაცო, ამბობს ისტორიკოსი, „ესოდენი სათნოება ქმნა, ვითარცა განმწირველმან თავისამან პატრონისათვის სიკვდილადო“ (მარ. დედოფალი გვ. 608—609). განა ასეთი მაგალითის შემდეგ შეიძლება ითქვას რომ პატრონ-ყმური ურთიერთობა მხოლოდ თამარის დროს მისცემდა პოეტს შესაფერ მასალას?

ასევე უნდა ითქვას კერძოდ რაინდობის შესახებ, რომლის ნამდვილი „ქებათა ქება“ მოცემულია ვეფხისტყაოსანში. მონღოლების ბატონობის პირველს პერიოდში რაინდობა არა ნაკლები დამახასიათებელი მოვლენა იყო ჩვენი ცხოვ-

რებისა, ვიდრე თამარის დროს. ნამდვილი რაინდობით, მამაცობით, შემმართებლობით და გამოჩენებით ქართველებმა საზოგადო ყურადღება ანიხიბურეს მონღოლებისა და მათ იმპერიაში შემავალი ერებისა. რაინდული ამხანაგობა და მეგობრობა ან „მოყმეობა“, რომლის აპოლოგიას ვხედავთ ვეფხისტყაოსანში ძმადნაფიც გმირთა სახით, ეხლა, მოულოდნელ ეროვნულ განსაცდელთა ხანაში, უფრო მეტს შემთხვევას ჰპოულობს თავის გამოსამჟღავნებლად. აი ერთი მაგალითი, რომელიც შემოუნახავს ისტორიკოსს. „თავსა კოხტასა“ შეიკრიბნენ ქართველთა დიდებულნი თავისი მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად და გადასწყვიტეს — აჯანყება მოუწყონ მონღოლებს. მათთან იყო ცოტნე დადიანიც, რომელიც ყველაზე ადრე წავიდა შინ ჯარის შესაკრებად; წავიდა თუ არა ის, შეთქმულებს გარს შემოერტყენ მონღოლები, რომელთაც ისინი წაიყვანეს ქ. ანისში ნოინებთან. თუმცა აქ მათ მოინდომეს თავის გამართლება, მაგრამ ნოინებმა არ დაუჯერეს და გადაუწყვიტეს შემდეგი სასჯელი: შიშველნი და ტიტველნი გამოჰყავდათ ისინი პაპანაქება სიცხეში და იქ სხამდენ ხოლმე ბეჭშეკრულთ, სანამ ისინი არ გამოტყდებოდენ. ცოტნე დადიანი დაბრუნდა არჩეულ ადგილს ჯარით და, რომ გაიგო, რაც მოხდა, ჯარი დაითხოვა, თვითონ წავიდა ანისში და მივიდა მოედანზე, სადაც ეყარნენ მისი ამხანაგები. ის ჩამოხტა ცხენიდან, გაშიშვლდა და ბეჭშეკრული დაჯდა მათთან ერთად. ნოინებმა გამოკითხეს მას მიზეზი ასეთი არაჩვეულებრივი საქციელისა მან უთხრა: თუ ჩემი ამხანაგები რამეში დანაშაულნი არიან, ეს დანაშაული მეც მომიძღვის მათთან ერთად და ამიტომ მათი ბედი მეც უნდა გავიზიაროვო. ამის შემდეგ ნოინები დარწმუნდენ ქართველების ვითომცდა სიმართლეში და ყველანი გაანთავისუფლეს (გვ. 633—37)[1].

მონღოლების შემოსევით არ დაბნელებულა უცბად არც კულტურული სფერო ჩვენი მაშინდელი ცხოვრებისა, პირიქით, ეს სფერო უნდა გაფართოებულიყო კიდევაც, ვინაიდან მონღოლთა იმპერიის რკალში მოქცევის შემდეგ ქართველებს უხდებათ. ზოგს ოთხჯერაც სიცოცხლეში (ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი II, 99), მოგზაურობა, შორეულს „უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა“ (გვ. 608) და ეძლევათ შემთხვევა გაიცნონ ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და კულტურა უცხო ქვეყნებისა. ჩვენში კიდევ არიან ამ დროს სწავლულნი, მეცნიერნი რიტორნი და ფილოსოფოსნი (გვ. 599, 638) და ისეთი გამოჩენილნი მწერალნი როგორიც არიან სახელდებით ცნობილნი არსენ ბულმასისძე, საბა სვინგელოზი,

[1]) ი. ა ბ უ ლ ა ძ ე ს შეუძლებლად მიაჩნია, ჩვენი პოემის დაწერა მონღოლების ბატონობისას, ვინაიდან, ამბობს ის, დამონებული, დაჩაგრული ერი თავის დღეში ვერ შესძლებს რაინდის იდეალების შექმნასო (ვეფხისტყაოსანი, მე-22 გამოცემა, გვ. II, ტფილისი 1914 წელი) ნათქვამის შემდეგ ამ განცხადებას ძალა ეკარგება: მონღოლების ბატონობის პირველს პერიოდში ჩვენ გვაქვს რაინდთა ინსტიტუტი, ისე, როგორც თამარის დროს, მაშასადამე, რატომ არ შეიძლებოდა რაინდის იდიალების არსებობა? მეორე—ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ გაუდგამს ჩვენში ფეხი დაბეჩავებული, დამონებული ერის ფსიქოლოგიას, ქართველები თავს სთვლიან და მარცხებულად და არა დამონებულად. მესამე—აბულაძის დებულება არსებითად არაა სწორი-იმას რომ დაუჯეროთ, დამონებული, დაჩაგრული კლასების და ერების ისტორიაში ადგილი არ ექმნებოდა არც ერთს რევოლიუციას და განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობდენ და მიმართულებას აძლევდენ რაინდთა თვისებების მატარებელი პირები.

აბულსერიძე ტბელი, პეტრე გელათელი, (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I, 343, 353) და სხვა მრავალნი სახელით უცნობნი.

ერთი სიტყვით, სამეფოს ორად გაყოფამდე მეცამეტე საუკუნეში იმდენად არ დაწეულა არც ეკონომიური, არც პოლიტიკური და არც კულტურული დონე, რომ რალაც კატასტროფაზე და ბნელეთზე იყოს შესაძლებელი ლაპარაკი ჩვენში. ასეთი რამ დაიწყო სწორედ სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ, როდესაც მონღოლებმა მოახდინეს მოსახლეობის აღწერა რეგულიარული ხარკის დადების მიზნით [1]). მართალია, ხარკს ამდეხანაც იხდიდენ ქართველები, მაგრამ ამას შემთხვევითი წაგლეჯის ხასიათი ჰქონდა, ეხლა კი აღწერის წყალობით შემოღებულ იქნა გარკვეული საგადასახადო სისტემა, რომელიც სულსა და გულში ჩასწვდა ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას და რომელმაც აუტანელი მდგომარეობა შექმნა ქვეყანაში. აი როგორ აგვიწერს ამ ამბავს ისტორიკოსი: „დაიწყეს აღწერად კაცთამდე და პირუტყვთამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა, სრულსა მიწის მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან; და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი კაცი, მხედართა თათართა თანა წარმავალი, რომელნი არს ცხრა ბევრი. და განაწესეს ძღვენი სოფლისაგან. ათასისა მხედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხვარი ერთი და დრაჰკანი ორი და მიზდი ცხენისა თეთრი სამი“ (მარ. დედოფ. გვ. 664—665). „შეიწრებულ იყო მეფე და ყოველი საბრძანებელი მისი“, განაგრძობს ისტორიკოსი, „არღუნის აღთვლისაგან და რომელი იგი განეწესა: რაცა განისყიდებოდეს ტფილისს, ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ დაიდებოდეს. ამას ზედა ხოჯა აზიზ ვინმე, ნათესავით და სჯულით სპარსი, განეჩინა და დაეტევა ტფილისს, რომელი ესოდენ უწესოდ მიიწია, რომელ თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედანცა ხარაჯა წაულიან“ (გვ. 670). „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოისა ამისანიო“, ამბობს იგივე ისტორიკოსი (გვ. 664), იქამდის, რომ მეფემ განიზრახა განდგომა თათართაგან. ამას თანდაერთო სამეფოს ორად გაყოფა, ყველა თავისი უარყოფითი შედეგებით.

ამნაირად, 1258 წლიდან მონღოლების ფისკალურმა და ეკონომიურმა პოლიტიკამ საქართველო ჩააგდო უკიდურეს გაჭირვებაში და გამოიწვია ის, რომ, როგორც მანუჩას მეჩეთის სპარსული წარწერა გადმოგვცემს (წარწერა ეკუ-

[1]) ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ აღწერილობის თარიღად მიღებულია 1254 წელი, მაგრამ ვფიქრობ, ეს სწორი არაა. საქმე ისაა, რომ ჟამთააღმწერელი (მარ. დედ. გვ. 663) და ვახუშტი (დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 241) ამბობენ, რომ ამ აღწერილობას ადგილი ჰქონდა ბაღდადის აღების, ესე იგი 1258 წელს. მართლაც, ჟამთააღმწერელის გადმოცემით მონღოლეთის აღწერა, რომელიც ვინმე არღუნმა 1254 წელს დაიწყო, შემდეგი თანამიმდევრობით წარმოებდა: ჯერ აღწერილ იქნა ბათო ყაენის საბრძანებელი: რუსეთი, ხაზარეთი, ოსეთი, ყივჩაყეთი, „ვიდრე ბნელეთამდე“, აღმოსავალი ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე. ამის შემდეგ აოღუნი წავიდა ყარაყურუმს და დაიწყო ყუბლი ხანის საბრძანებლის აღწერა, აგრეთვე თურანისა. შემდეგ მან გამოვლო ჯეონი და მოვიდა ხვარასანს ერაყს და რომ—გურს, უკანასკნელად მოიწია ულო-ყაენის წინაშე, რომელმაც ის წარმოგზავნა საქართველოსა და მცირე აზიაში (გვ. 681—4) არღუნს არ შეეძლო ერთი წლის განმავლობაში ამდენი ქვეყნების აღწერა, ასე რომ, თუ მხედველობაში გვექნება აქ წარმოდგენილი თანმიმდევრობა აღსაწერი ქვეყნებისა, ჩვენამდე არღუნი 1258 წლამდე მართლაც ვერ მოაღწევდა.

თვნის 1319 — 1335 წლებს) ქვეყანამ იწყო დაცალიერება, დაბალი წრის მცხოვრებნი დაიფანტნენ, ქალაქისა და ქვეყნის ქეთხუდებმა მიატოვეს თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და მიმოებნიენო (იხ. Анийский Сборник — ში სტატია В. Бартольд — ისა: Персидская надпись на стене о аннпийской мечети Мануче).

ერთი სიტყვით, ის „ბნელეთი", რომლის მიზეზად მონღოლთა ბატონობას სახვენ, იწყება ჩვენში 1260 წლების შემდეგ, მაგამდე კი ჩამავალი სხივები ეთეროვანი თამარის დროისა კიდევ აშუქებდა და ათბობდა ჩვენს სინამდვილეს, აქედან მაშასადამე არც შეუძლებელი რამე იქნებოდა აღნიშნულ დროს ჩვენი პოემის დაწერა.

VI

ახლა, როდესაც გარკვეულია ეპოქა და თითქმის წელიწადიც კი პოემის დაწერისა, შეგვიძლია შეუდგეთ მისი ავტორის ძიებას აღნიშნულ ეპოქაში. ამისათვის საჭიროა გვახსოვდეს შემდეგი რამ: პირველი: პოეტი, რომელიც იმდენად დიდი გაქანების შემოქმედია, რომ მის მუზას თამამად შეიძლება დაეთმოს ერთერთი პირველი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ოლიმპზე, არის უაღრესად განათლებული და განსწავლული პიროვნება. „თვით მინდობილი სიბრძნისა", როგორც თეიმურაზი ამბობს, ის მუდამ „ბრძენთა", „ფილოსოფოსთა" და „სწავლულთა" აზროვნების სფეროში ტრიალებს და ისე მოხდენილად იყენებს მათს აზრებს, ცხოვრების გამოცდილებას, განცდებს და აფორიზმს — სენტენციებს, რომ მისი პოემა გამხდარა საქართველოში სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ. ამასთანავე მჭერმეტყველობით, ენაწყლიანობით და ტკბილი მუსაიფით, არჩილ მეფის თქმით, მას, „ენარიტორსა", "ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ვერავინ".

მეორე: პოეტი, რომელმაც შეუდარებელი ხელოვნებით გადაგვიშალა თვალწინ 12 — 13 საუკუნეთა ქართულ ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრება, მისი იდეალები, აზრები, გრძნობანი და განცდანი, რომელიც გაჟღენთილია ამ ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგიით, გამოსულია ფეოდალური კლასიდან, ის, თვითონ დიდი ფეოდალი, არის „ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგანი" ამ კლასისა.

მესამე: ის ძლიერ დაახლოვებულია სამეფო სახლის ცხოვრებასთან, იცის ყოველდღიური წვრილმანი ამ ცხოვრებისა და მისი ეთიკეტი.

შეიძლება თუ არა მეცამეტე საუკუნის ნახევარში ნაჩვენები იქნეს ისეთი პიროვნება, რომელიც მატარებელი იყოს ყველა აღნიშნული თვისებებისა? ჩემის აზრით — შეიძლება და ასეთი პიროვნება უნდა იყოს ის სარგის თმოგველი, რომელსაც მონღოლთა ეპოქის ჟამთააღმწერელი ასე ახასიათებს: „კაცი სწავლული და ფილოსოფოსი და მრავალღონე" (მარ. დედოფ. გვ. 599), „კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი" (გვ. 638). [1])

[1]) ამ სარგისის სახელთან ერთ დროს ძალიან ახლო მვიდა ს. კაკაბაძე, რომელიც მას აწერდა ვეფხისტყაოსანის პროზაული მოთხრობის სპარსულიდან გადათარგმნას და მის გალექსვას შემდეგში ნესტან-დარეჯანის ქაჯთან შეპყრობის ამბავამდე (იხ. მისი პირველი გამოცემა

პატრონი თმოგვისა და, მაშასადამე, თვითონ მსხვილი ფეოდალი, შთამომავალი მხარგრძელთა დიდი ფეოდალური გვარისა, რომელიც ,ქმნიდა, თამარის მეფობის დიადობას, სარგისი ერთერთი თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურაა მეცამეტე საუკუნის ნახევრისა-

მოიდგეს თუ არა საბოლოოდ მონღოლებმა ფეხი საქართველოში 1235 — 6 წლებში, „შეიწროებულნი მთავარნი საქართველოსანი მიენდვეს თათართა: ჰერ კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი და თმოგველი სარგის (მარ. დედ. 599). მერე მას ხედავთ იმ დიდებულთა შორის ,რომელთაც „თავსა კოხტასა“ შეთქმულება მოაწყვეს თათართა წინააღმდეგ (გვ. 634). 1245 წლიდან სარგისის სახელი განუყრელად უკავშირდება ლაშა გიორგის ძის დავითის სახელს. სარგისი ერთერთი იმ დიდებულთაგანი იყო, რომელთაც საქართველოს ტახტის კანდიტატად წამოაყენეს ლაშას ძე დავითი, ის დავითი, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში პატიმრად ჰყავდა ჯურღმულში მცირე აზიის სულტანს ყიასდინს. დიდებულებმა „ძიება ყვეს“ დავითისი, ვაჭრებისაგან გაიგეს, რომ ის ცოცხალია , მივიდნენ ნოინებთან და სთხოვეს გაგზავნონ „ვინმე სახელოვანი კაცი“ და დაიხსნან ბედშავი პატიმარი. ნოინებმა გაგზავნეს სულტანთან მოციქულად ვინმე ანგურგ, ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი ,რომელთაც ისეთს მდგომარეობაში ჰპოვეს დავითი, რომ „დიდად იცრემლებოდეს“. (გვ. 638 — 641). ნოინებმა საქართველოში მოყვანილი დავითი გაგზავნეს ბათო ყაენთან და თან გაატანეს მას შანშეს ძე ზაქარია, ვარამი ძე აღბუღა და სარგის თმოგველი (გვ. 641 —642). რადგანაც ბათომ ვერ იკისრა დავითის მეფედ დამტკიცება, გაუაუგზავნა ის ყარაყურუმში ყაენს[1]) და თან აახლა სარგის თმოგველი (გვ. 642). ყარაყურუმს მათ დახვდათ რუსუდანისძე დავით ნარინი, რომელიც მეფობას ეძიებდა. სარგის თმოგველი თავგამოდებით იცავდა აქ ლაშას ძის დავითის კანდიტატურას, ის „ძლიერად წინაღმდეგობდა თვით ნარინ დავითს და რომელნი მის წინაშე იყვნეს თანაზრდილნი მისნი, რამე თუ იტყოდა: არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თვითმპყრობელისა მეფისა და მამაკაცისამან“ (გვ. 649)) ყარაყურუმს სარგისმა დაჰყო ოთხი წელი (1245 — 1249) და 1249 წ. უკან მობრუნდა მეფედ დამტკიცებულ დავითთან ერთად. ამის შემდეგ ჩვენ მას დიდხანს ვეღარ ვხედავთ სამოქმედო ასპარეზზე საქართველოში, იმიტომ, რომ სხვა დიდებულებთან ერთად, როგორც კოხტას თავზე შეთქმულთა სიტყვიდან ჩანს (გვ. 634), ისიც მონაწილეობას იღებდა ალამუთის წინააღმდეგ შვიდწლოვან ომში, რომელიც როგორც ზემოთა

პოემისა გვ. 61). სამწუხაროდ შემდეგ ის დაშორდა მას: 1924 წელს გამოთქვა მოსაზრება, რომ პოემის მანემდე უკვე დამუშავებული თუ გადმოთარგმნილი ამბაკი გალექსა ამ სარგისის შვილისშვილმა სარგისმა 1292 — 1297 წლებში („საისტორიო მოამაე“ 1924 წ. წიგნ. 1,121 — 166). 1927 წელს კი ავტორად ვეფხისტყაოსნის პროზაული მოთხრობისა, რომელიც 1196— 7 წლებში შოთა რუსთაველმა გალექსა თითქოს, აღიარა 1178 წლის აჯანყების მონაწილე სარგის მხარგრძელი (იხ. მისი მეორე გამოცემა პოემისა)

[1]) მემატიანეს სიტყვით, ეს თითქოს მანგუ ყაენი იყო. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება: მანგუ ყაენად გახდა 1249 წელს (Brosset, Histde em. Ts. I-521. not 9) როდესაც დავითი მანღოლიიდან სამშობლოში დაბრუნდა. 1246 წელს ის დესწრო მანგუს წინამოადგილის, გაიუქის, ტახტზე ასვლას მონღოლიაში (Brosset, Hist. de la Ts. I და 537 not-2).

ვთქვით, გაგრძელდა 1249-იდან 1256 წლამდე. უკანასკნელად მას ვხვდებით 1262 წლის ახლო ხანებში, როდესაც ის შალვა ბოცოს ძესთან ერთად ებრძვის ალათემურის რაზმს (გვ. 690). გარდაიცვალა ის ალბათ 1265 წლის ახლო ხანებში.

ის დახასიათება სარგის მთოგველისა, რომელსაც ვპოულობთ ჟამთააღმწერლის ისტორიაში და თავის დადება დავითისათვის, რომელიც გამოიჩინა მან, როგორც ტყვეობიდან მხსნელმან მისმან, თანამგზავრმა შორსა და უცხო ქვეყნებში და მისი გამეფებისათვის აქ მოსარჩლემ, დასასრულ, როგორც ხელისშემწყობმან მისი მეფობის დიდებისამ ეშვმიუტანელ საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ ავტორი 1256 — 1258 წლებში დაწერილი პოემისა, რომელიც შეთხუზულია დავით მეფის გასართობად და რომლის ერთერთ ეპიზოდში — ქაჯეთის ციხის აღებაში, ასახულია მონღოლ — ქართველთა მიერ მოლიდების ციხე-ქალაქის ალამუთის აღება, არის სწორად 1235 — 1265 წლების მოღვაწე სარგის მთოგველი [1]).

ამ დებულებას გვერდს უმაგრებს აგრეთვე ლიტერატურული ფაქტებიც. ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა მხედველობაში მაქვს ის ორი სტროფი, რომელთაც ვპოულობთ პოემის დამატებაში. სახელდობრ:

> აწ, გონიერნი სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით:
> ძველნი ნარჩობნი ამბავნი ლექსად ვთქვენ გაიხარენით;
> სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ასე დავაბარენით,
> ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მამახმარენით.
>
> —
>
> ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,
> მერმე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
> მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
> მან მიბრძანა: ლექსად თქვიო, მჭევრ-ქართულად. დაუშრობლად.

არავინ იფიქროს, თითქოს მე ვაპირებდე განცხადებას, რომ ფრაზა „ესე ამბავი“ გულისხმობს უშუალოდ მთელს პოემას, როგორც ამას ჩადის ს. კაკაბაძე, მოყვანილი სტროფები შეადგენდენ პროლოგსა და ეპილოგს პოემის ერთერთ დამატებისას, რომელსაც ეწოდება ტარიელის დასნეულება და ხვარაზმთა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსვლა ინდოეთს (იხ. ს. კაკაბაძის პირველს გამოცემაში 1612-1720 სტროფები). პოეტის სიტყვით, სარგისს ლექსთა შეუწყობლად დარჩენია აი ეს უკანასკნელი „ხვარამზთა“ ამბავი და არა მთელი პოემა (იხ. ამის შესახებ ჩემი შენიშვნა ჟურნალ „მნათობში“ 1927 წ. № 5-6, გვ. 175—176) მე ისიც კი მეეჭვება, რომ ეს პროზაული „ხვარამზთა“ ამბავი, კიდევაც რომ მართალი იყოს განცხადება, რომ ის თმოგვში იყო პოვნილი, ეკუთვნოდა სარგის თმოგველს და

---

[1]) სარგის თმოგველს მიაწერენ „ვისრამიანსა“ (საკუთრივ მის გადმოთარგმნას) და „დილარიანს“, მაგრამ ეს სარგისი არ უნდა იყოს ვეფხვისტყაოსნის ავტორი სარგის თმოგველი საქმე ისაა, რომ „ვისრამიანი“ ჩვენი მწერლობის კლასიკური ხანის ალიონზეა ნათარგმნი, როდესაც ჯერ სარგის თმოგველი, რომელიც არ უნდა იყოს იგი, ცნობილი არაა; რაც შეეხება „დილარიანს“, ის მოხსენებულია „თამარიანში“, მაშასადამე თამარის სიცოცხლეში, როდესაც ჩვენი სარგისი, როგორც სამართლიანად ამბობს ს. კაკაბაძე (ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, გვერ. 12) შესაძლებელია დაბადებულიც არ ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვისმე მის შთამომავალთაგანს. საქმე ისაა, რომ სარგისმა ვეფხვის ტყაოსანში მთლიანად მოგვცა ის, რის მოცემაც განზრახული ჰქონდა. მას, არაფერი დასამთავრებელი მას არ „დარჩომია“ მით უმეტეს, რომ პოემის დაწერისას მას არავითარი პროზაული მოთხრობა, არც სპარსულიდან ნათარგმნი და არც მის მიერ უშუალოდ დაწერილი, წინ არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ზემომოყვანილი მოწმობა მეტად საგულისხმოა, აზრი მისი ასეთია: პოემის შემადგენელ ამბავთაგან ეს ამბავი სარგისს ლექსთა შეუწყობლად დარჩენია, ესე იგი—სარგისს, რომელსაც ლექსით დაუწერია მთელი პოემა, ეს ნაწილი „ხვარაზმთა“ ამბავი, პროზით დარჩენია დაწერილიო, რისთვისაც მას პოეტი ბრალსა სდებს[1]. მაშასადამე, ამ სტროფების დაწერისას, მეხუთმეტე საუკუნის გასულს თუ მეთექვსმეტის დამდეგს, კიდევ ცოცხალი ყოფილა გადმოცემა იმის შესახებ, რომ პოემა სარგის თმოგველს ეკუთვნის.

აღნიშნული სტროფების გამოძახილი გვესმის მამუკა მდივნის „ზააქიანში“, სადაც ავტორი გულისტკივილით შენიშნავს, რომ ამ ძველის-ძველი ამბისათვის, რომელიც საქართველოს დარჩენია, ხელი არავის უხლია: „ვერ შეემართა შავთელსა და ვერცა სარგის თმოგველსაო“ (ი. აბულაძე შაჰნამეს ქართული ვერსიები გვ. 3) მაშასადამე მამუკას ყურამდეც მიუღწევია რაღაცა ყრუ გადმოცემას, რომ სარგის თმოგველი იყო სადევ-გმირო ამბების ლექსად შემწყობი, ის სწუხს, რომ სარგისმა, რომელმაც, იგულისხმება მამუკას მხრივ, გალექსა ვეფხისტყაოსანი, თავი არ შეიწუხა „ზააქიანის“ ლექსად შეწყობით. მამუკა თავის თანამედროვეებთან ერთად, (ცდება მხოლოდ იმ მხრივ, რომ სარგისი არ იყო სხვის მიერ შეთხზული თუ ნათარგმნი ამბების ლექსად შემწყობი, ის იყო უაღრესად ორიგინალური პოეტი, რომელიც „ამბებსაც“ თვითონ სთხზავდა, თვითონ აწყობდა. ამიტომ, რასაკვირველია, ის მართლაც რომ არ შეიწუხებდა თავს „ზააქიანისებუ-რი“ ამბების გალექსვით, ამისთანა საქმეებისთვის ჩვენში ბლომად მოიპოებიან მამუკასებური პოეტები.

დასკვნები ჩვენი ისტორიულ ლიტერატურული ექსკურსიისა ასეთია:

1. პოეტი რუსთველი, სახელითთითქოს შოთა, არის ავტორი არა ვეფხისტყაოსნისა, არამედ მისი დამატებისა მხოლოდ. აქედან, დამატებიდან, მისი სახელი, გაუგებრობის წყალობით, გადაუჯანიათ პოემის პროლოგში და მთელი თხზულებისათვის მიუკუთვნებიათ.

2. ზოგიერთი იდეოლოგიური ფაქტის მიხედვით, პოემა არ უნდა იყოს დაწერილი თამარის დროს; მისი ისტორიული ორიენტაცია მონღოლთა ბატონობის დასაწყისისაკენაა მიმართული. მართლაც, პოემაში, ქაჯების სახით, ლაპარაკია ასასინ-მოლიდთა შესახებ, იმაში თავი უჩენია უკანასკნელთა ცხოვრების, ზნე-ჩვეულების და მსოფლმხედველობის საკმაო ვრცელ აღწერილობას, რაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მონღოლთა პერიოდში. სხვათა შორის, ქაჯეთის ციხის აღება სამი ძმადნაფიცი გმირის მიერ დაწერილია ალამუთის ციხე ქალაქის მონღოლ-

[1]) „დავაბარენით“ უნდა იყოს პროვინციალიზმი „ ბრალი დავსდეთ“; მართლაც ი. აბულაძე პოემის მეორე გაცემა გვ. XXII და ა. ბარამიძე, ანთოლოგია II, 10 ამ სტროფში ჰკითხულობენ არა „დავაბარენით“, არამედ „დავაბრალენით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა, ქართველთა და სპარსთა ჯარების მიერ აღების უშუალო შედეგად ბრძოლების ქვეშ.

4. ნიშანდობლივ პოემა დაწერილია ალამუთის აღების შემდეგ, საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფამდე, მაშასადამე, 1256—1258 წლებში, დავით ლაშას ძის „საკუმარებლად“ ან გასართობად, მასთან დაახლოებული პოეტის მიერ.

5. ეკონომიური სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობასაქართველოსი, მე-13 საუკუნის ნახევარში არაფერს შეუძლებელს არ წარმოადგენს იმისათვის რომ ამ დროს დაწერილიყო ვეფხვისტყაოსნისებური ნაწარმოები.

6. ავტორი პოემისა, გამოსული დიდ ფეოდალთა კლასიდან, არის დავითისათვის დავდადებული „ფილოსოფოსი და რიტორი“ სარგის თმოგველი.

14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

პანტელეიმონ ჩხიკვაძე „სართულები“. რომანი. „ქართული წიგნი“ 1931 წ.

ყველა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ პროლეტარული ლიტერატურა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც მას უყენებს რეკონსტრუქციის პერიოდი. უმთავრესი მისი ნაკლოვანებებია: ემპირიზმი, ნატურალიზმი, რაციონალიზმი, აქტუალურ თემებზე ნელი გამოხმაურება და სხვ.. გამომდინარე ასეთი მდგომარეობიდან ყველა საჭიროდ სცნობს, რომ პროლეტარული მწერლობა გადახალისდეს. მან უნდა მოგვცეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც შეიცავდეს მოწინავე იდეებს, გამოხატავდეს პროლეტარიატის აქტიურ მიზან—მისწრაფებებს მხატვრული სახეების ისეთი სისრულით, რომ ამით ეს ნაწრამოებები იყოს ჩვენი ეპოქის ბოლშევიკური დოკუმენტები.

ლენინი პროლეტარიატის ლიტერატურის შესახებ სწერდა, რომ ის იქნება „თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც გაანაყოფიერებს კაცობრიობის რევოლიუციონური აზრის უკანასკნელ სიტყვას სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებით და ცოცხალი მუშაობით. ლენინის ამ ნითითებათა დონეზე დგომა წარმოადგენს პროლეტარული ლიტერატურის ამოცანას რეკონსტრუქციის პერიოდში.

მხატვრულად გამოვხატოთ სოციალიზმის პერიოდში შესვლის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, კლასთა ბრძოლის ჯიდურესათ გართულების პირობები, ისე რომ ეს გამოხატვა სრულად აშუქებდეს რევოლიუციონურ ბრძოლის პერსპექტივას, აღფრთოვნებდეს მშრომელებს და ეხმარებოდეს მათ სოციალისტური აღმშენებლობის ყოველდღიურ მუშაობაში — მეტად ძნელი საქმეა, რაც მოითხოვს ნიჭს, დიდ შრომას, ენტიუზიაზმს და ცოდნას.

დღეს პროლეტარულმა მწერლებმა უნდა იმუშაონ იმ თემებზე, რომლებიც ისტორიულად წინა რიგებშია წამოწეული. რეკონსტრუქციის პერიოდში პროლეტარული ლიტერატურის მთავარი თემაა—ჩვენი ეპოქის აქტუალური კითხვები: სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, ხუთწლედი, სოციალისტური მშენებლობის გმირები, კოლმეურნეობა შრომის ახალი ფორმა და სხ.. ასეთი უნდა იყოს პროლეტარული მწერლობის გენერალური თემატიური გზა დღევანდელ ეტაპზე.

პ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ი ს „სართულები“ კლასთა ბრძოლის და სოციალსტური აღმშენებლობის მომენტებს ეხება. მასში ერთის მხრივ დასმულია ყოფა-ცხოვრების, კერძოთ ოჯახის პრობლემა, მეორეს მხრივ რომანის ძირითადი ხაზი გადატანილია სოციალ-პოლიტიკურ მოვლენების სფეროში.

რომანის მთავარი გმირი—გრიგოლ გიგაური კომუნისტია. იგი ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაში (თავისი ცოლის მეოხებით) მეშჩანობის ჭაობშია ჩაფლული. გიგაურის ცოლი ლუარა თავისი კომუნისტი ქმრის თვალწინ მეშჩანურ-გადაგვარებულ ცხოვრებას ეწევა. ბავშს ზრდის ძველ წესებზე, ნაციონალისტურად, მისდევს რელიგიურ დღესასწაულებს და სხვ., გრიგოლ გიგაური სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე აქტიურ მუშაობას ეწევა, მაგრამ იგი მაინც არაა ყოველმხრივად მტკიცე, გამობრძმედილი ნებისყოფის ადამიანი. გიგაურის ოჯახი ძველი ყოფის ბუდეა, ამიტომ იგი ადვილათ ხდება თავშესაფარი კონტრრევოლიუციონურ ელემენტებისათვის (ლევან გიგაური).

„სართულების“ ძირითად მაგისტრალს წარმოადგენს არა ყოფა-ცხოვრების გადმოშლა, არამედ წარმოება და მკვეთრი პოლიტიკური პრობლემები. რომანში პირველ პლანზე კლასთა ბრძოლაა წამოწეული. აქ ერთის მხრივ ნაჩვენებია მავნებლობა, კლასიური მტრები, მეორეს მხრივ —მშრომელი მასების, ამომავალი კლასის გრან-

დიოზული ენტუზიაზმი სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე.

შენდება ტფილისში მაუდის დიდი ფაბრიკა ამ ფაბრიკის შენების ირგვლივ იშლება კლასთა ბრძოლის სურათები. აქ გამოყვანილია ორი ბანაკი: მავნებლები და პარტიულები. მავნებელთა მხრივ ამ ბრძოლას მეთაურობს ყოფილი ნავთის მწარმოებელი, ემიგრაციის რწმუნებული, ეხლა კი ქარხნის მთავარი ინჟინერი მელიქოვი. მეორე მხრივ ბრძოლას მეთაურობს ძველი ბოლშევიკი, საღმშენებლო ტრესტების დირექტორი გრიგოლ გიგაური. აქვეა რომანში გამოყვანილი მავნებელთა მოკავშირე, ძველ-უსაქმურ ინტელიგენციის წარმომადგენელი გრიგოლ გიგაურის ძმა-ლევანი.

საუბრის მშვიდი, რეალისტური ტონი, ყოველგვარი გადაჭარბებისგან თავის დაღწევა საშვალებას აძლევს ჩხიკვაძეს „სართულებში" მოგვცეს ცხოვრების ნამდვილი სიტუაცია. ჩხიკვაძე „სართულებში" მიმართავს გაშიშვლებულ კონტრასტების მეთოდს, რაც მკითხველში მკვეთრ ინტერესს იწვევს. მაგრამ რომანის ძირითადი მნიშვნელობა არ მდგომარეობს ამ „პირად ხაზების" განვითარებაში აქ მთავარია ბრძოლა სხვადასხვა იდეოლოგიას, სხვადასხვა მსოფლმხედველობას შორის.

„სართულების" ძირითადი ხაზის განვითარება ხდება გრიგოლ გიგაურის საზოგადოებრივ და შინა-საოჯახო სახის წარმოდგენის გზით. იძლევა რა გრიგოლ გიგაურის პორტრეტს და ხასიათს, ჩხიკვაძე ამავე დროს გვიხატავს პიროვნებს, რომელშიაც იგი ცხოვრობს, რომელსაც იგი ერტყმის, რომელიც მას უფრო სრულად ახასიათებს.

გრიგოლ გიგაური გაორებული პიროვნებაა. იგი ერთია საზოგადო საქმეში, მეორეა ოჯახში, პირად ცხოვრებაში. მისი საზოგადოებრივი სახე: „გიგაური იჯდა თავმჯდომარისათვის მიჩნეულ სავარძელში და ყოველ საკითხზე იძლეოდა მკვეთრსა და საქმიან შესწორებებს... შეჰქონდა სადაო საკითხებზე საბოლოო, მაგრამ ამომწურავი წინადადებები და კინკლაობაზე საღერღელ აშლილი მოკამათეები ძალა უნებურად ჩუმდებოდენ... უკვირდათ გიგაურის ასე შეურყეველი ავტორიტეტიანობა, მაგრამ აქ საკვირველი არაფერი იყო... გიგაურის უანგარო პიროვნებას, საქმის უსაზღვრო მოყვარულს და სახალხო საქმიანობაში საუკეთესო მაგალითის მიმცემს ყველა სხვა დანარჩენებში, არ შეიძლებოდა მის თანამებრძოლთა თუ თანამშრომელთა ყურადღება არ იქცია და ერთგვარი პატივისცემის გრძნობა არ გაეღვიებია ყველა იმათ გულში, ვინც საბჭოთა აღმშენებლობას დახუჭული თვალებით არ უცქერდა და პროლეტარულ სახელმწიფოს მომავალი სწამდა... გიგაური ამ ხრივ საუკეთესო მაგალითი იყო... სულ სხვაა იგივე გიგაური ოჯახში, ცოლთან. იგი ითმენს „ინტერნაციონალის" აკრძალვას ცოლის ბურჟუაზიულ ცხოვრებას ა შეხედულებებს.

ამ მომენტში ჩხიკვაძე კარგათ ხმარობს კლასიკური ნაწარმოებების და მწერლების დამახასიათებელ მხატვრულ ხერხს.

1898 წელს ლ. ტოლსტოი თავის დღიურში სწერდა: „კარგია ისეთი მხატვრული ნაწარმოების დაწერა, რომელშიაც ნათლად იქნება ნაჩვენები ადამიანის მოძრაობა, რომ ის არის ხან ბოროტი, ხან ანგელოსი, ხან ბრძენი, ხან სულელი, ხან ძლიერი, ხან უძლური არსება". ამ ზით იძლეოდა ტოლსტოი თავის მხატვრულ ტიპებს. მის ყოველ გმირში ორი ადამიანი სცხოვრობს (ნეხლიუდოვი, მარია, დოლოხოვი და სხვ.) ასეთ გაორებას ტოლსტოი ყოველთვის ხაზს უსვამდა. აღსანიშნავია, რომ ამ გაორების ნიადაგი თვითეული გმირისათვის ერთი იყო. ამ წინააღმდეგობებს ტოლსტოი იძლეოდა მუდმივ, უწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთთან.

ჩხიკვაძეც გრიგოლ გიგაურს ასეთ წინაღმდეგობების გზით იძლევა. მასშიაც ორი ადამიანი სცხოვრობს. გრიგოლ გიგაურში ეს წინააღმდეგობები არ იმყოფება მყარ მდგომარეობაში ან უბრალო თანაარსებობაში, არამედ მუდმივ ბრძოლაში. ამ ბრძოლის ნიადაგზე მისი ხასიათიც მუდმივ მოძრაობაში, განვითარებაშია.

„სართულების" დანარჩენი მომქმედი პირები ლევან გიგაური, მელიქოვი, პოლოსოვი, ლუარა და სხვა რომანის ხლართებს ართულებენ. თვითეული მათგანი განსაზღვრულ საზოგადოებრივ—ყოფითი ტიპს წარმოადგენს. რომანის მანძილზე თვითეული მათგანის სახე საკმაოდ მოსჩანს. მათი მოქმედებისა და მისწრაფებების საფუძველზე იქმნება რომანში კლასთა ბრძოლის სურათები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რო „სართულებში" მასების როლი მეტად მკრთალად არის დახასიათებული. არსებითად რომანში მხოლოდ „ბელადე ის" მოქმედების და ცხოვრების დახასიათებაა ძირითადად მოცემული. პიროვნებებს ჩხიკვაძე იძლევა გარეშე წრისგან დამოუკიდებლათ, კოლექტივისაგან ჩამოშორებით. მისი გმირები თვითგანვითარებული პიროვნებებია. რომანში კოლეტქივი ზერელედ და სქემატიურად არის მოცემული.

როგორია „სართულების განვითარების მხატვრული ხერხები?

„სართულების“ ფაბულა ჩვეულებრივად უბრალო და არა რთულია. ფაბულაში არ არის დაბნეული ავანტურული მდგომარეობები, მაგრამ მასში მოცემულია კავშირთა და უშუალობათა მრავალფეროვანება.

„სართულებს“ ზოგიერთი დიდი ნაკლოვანებაც ახასიათებს: მასში არ არის აღნიშნული გმირების ფსიქოლოგიის, განცდების საზოგადოებრივ საფუძველი. ფსიქოლოგია ოშორებულია სოციალურ საფუძველს და გადაქცეულია ინდივიდუალისტურ ჩიჩქნათ.

საერთოდ ნაწარმოების ღირსება ყოველთვის მდგომარეობს იმაში, რომ მკითხველს არ უნდა მოათქმევინო სული, არ უნდა შეასვენო, განუწყვეტლივ დაჭიმული უნდა გყავდეს, ამას კი ჩხიკვაძე ხშირად ვერ აღწევს. მაგრამ, დაჭიმულ ადგილების გვერდით რომანში ჭარბათ არის მოდუნებული, ნაწყვეტი ადგილები, მასში ბევრია ისეთი რამ, რაც არ მართლდება რომანის შემდგომი განვითარებით.

ჩხიკვაძე ცდილობს გიგაურის საზოგადოებრივი სახე წარმოგვიდგინოს, როგორც ურყევი ადამიანისა. იგი მას ახასიათებს:„ კრების წინაშე დგება გიგაური კაცი საშუალო ტანის, ჯმუხი, სახის მოძრავი ნაკვთებით, რაიცა ზედმეტი ენერგიულობის დაღს ასვამს გიგაურის ისედაც ჯანიერ გამომეტყველებას, ის დღეს, როგორც ყოველთვის, სუფთად პირმოპარსულია, შავი გრუზა თმა ბატკნის კულულებივით დაკრუნჩხულა განიერ შუბლის ზევით და არწივისებური თვალები დინჯად და მედიდურად მოძრაობენ ისლის ღერებივით დასხეპილ წამწამებში. ერთის შეხედვით ცივი და უხასიათო ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს გრიგოლ გიგაური, მაგრამ..“. ამ სიტყვებში უფრო მეტი ფრაზეოლოგიაა. მხატვრული შემოქმედების ძირითად დებულებას წარმოადგენს, რომ გმირის ხასიათი გასაგები უნდა იყოს მისი მოქმედებიდან და არა საერთო ადგილებით. სწორედ ამის შესახებ ამბობდა ჩ ე ხ ო ვ ი: „იმისათვის, რომ აღვნიშნოთ მთხოვნელის სიღარიბე, არ არის საჭირო ბევრი სიტყვების დახარჯვა, არ არი საჭირო ვილაპარაკოთ მის საცოდავ, უბედურ შეხედულებაზე, არამედ გაკვრით საჭიროა ითქვას, რომ ის იყო ჭრელ მოსასხამში“.

გზადაგზა „სართულებში“ მოსჩანს სიჩქარე, დაუმუშავებლობა. მწერლისაგან აუცილებელია ხანგრძლივი, დაჟინებითი და დაფიქრებული მუშაობა თავის თავზე და თავის ნაწარმოებზე. „ნიჭი არის ხანგრძლივი მოთმენის გამოხატულება“-ო ამბობდა ფ ლ ო ბ ე რ ი.

ხშირად მარქსისტულ კრიტიკას ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი ზიანს აყენებს მწერალს, როდესაც მისგან მოითხოვენ გამოხმაურებას ყოველ დღიურობაზე, რომ მწერალი არ იყოს ბრმა თავის დროის მოწინავე იდეებისადმი. ეს მოწუწუნე ხალხი აცხადებს: რა კი ჩვენი ყოფა არ არის მყარი, ამიტომ ძნელია თანამედროვეობის მოცემა მხატვრულ შემოქმედებაში. ამ უკანასკნელს ყოველთვის ესაჭიროება მყარი ობექტი. ასეთ შეხედულებაში განზრახ დავიწყებულია ლიტერატურის ისტორიის ეტაპები, როდესაც ინგრეოდა ძველი და მოდიოდა ახალი. მწერლის ასეთ „დამცველებს“ ავიწყდებათ კლასიკურ ლიტერატურის გამოცდილება, რომელიც სწრაფად უპასუხებდა თავის დროის მნიშვნელოვან მოვლენებს. კლასიკოსები სარგებლობდენ უდიდესი პოპულიარობით არა მარტო თავისი „კლასიკური“ თვისებებით, არამედ უმთავრესად იმით, რომ ისინი თავიანთ შემოქმედებაში მხატვრულად სახავდენ თავის წინ მყოფ სინამდვილეს, ხელს უწყობდენ იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომელიც აღელვებდა მათი დროის მოწინავე საზოგადოებას. თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული მწერლები კარგათ ახერხებდენ მხატვრულად გამოეხატათ მათ წინაშე მომხდარი სოციალური ცვლილებები.

ამასთანავე, როდესაც ლაპარაკობენ მწერლის შემოქმედების ევოლიუციის, სხვადასხვა ეტაპის შესახებ—ეს უმთავრესად გულისხმობს მხატვრული პასუხის გაცემას მწერლის მიერ ცხოვრების მიმდინარე ცვალებადობაზე, მის „ყოველდღიურობაზე“ და მოძრაობაზე.

ჩვენ დროში თქმა იმისა, რომ მეტის-მეტად ძნელია თანამედროვეობის, დღევანდელი სინამდვილის მხატვრულად ჩვენება—ნიშნავს გაქცევას სინამდვილისაგან, თანამედროვეობისაგან.

რომ მწერალს თანამედროვე არა მყარ ყოფის საფუძველზედაც შეუძლია შექმნას კარგი ნაწარმოები, ამას რამდენიმეთ ამტკიცებს ჩხიკვაძის „სართულები.

შ. რადიანი.

პ. სამსონიძე—„პირველი ქარტეხილი“, 1931 წ. მე-2 გამოცემა.

ქართული პროლეტარული მწერლობა შემოქმედებითი ზრდის პროცესში იმყოფება. ეს ზრდა გამოწვეულია სათანადო სოციალ-პოლიტიკურ მოვლენათა ზეგავლენით. პროლეტარული მწერლობა დღეს უკვე მედგრად იბრძვის რეკონსტრუქციის ტემპებიდან ჩამორჩენის დასაძლევად. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა პირველ რიგში სწორი შემოქმედებითი მეთოდის გამომუშავება, ამ უკანასკნელის მომარჯვებამ უნდა უზრუნველყოს პროლეტარულ ლიტერატურის იდეური სიჯანსაღე, მხატვრული სიძლიერე და სხვ. ვერ ვიტყვით, რომ მატერიალისტური დიალექტიკა ქართულ პროლეტარულ მწერლობას მთლიანად და სავსებით შეთვისებული ჰქონდეს, მაგრამ არის ცდები ამ მეთოდის სწორი გამოყენებისა. ეს ცდები არ არის ძლიერ მრავალი, სამწუხაროდ ჩვენი პროლეტარულ მწერლების საგრძნობი ნაწილი მხატვრული ეკლექტიზმის და კიდევ დეკადენტურ „იზმების“ გავლენის ქვეშაა მოქცეული. ასეთ გდგომარეობას ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

რევოლიუციონური ყარსულის თემა პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთ საინტერესო საგანს წარმოადგენს. ქართულ მწერლობაში ძალზე ბევრი იწერებოდა 1905 წლის რევოლიუციის შესახებ; ამ მოვლენის შესახებ ზოგნი სწერდენ მენშევიკური თვალსაზრისით, ხოლო ზოგნი ბოლშევიკური და ლენინური გაგებით. პირველ მიდგომას რეაქციონურ მწერლობაში აქვს ადგილი, ხოლო მეორე თვალსაზრისს პროლეტარული მწერლობა იცავს. 1905 წლის რევოლიუცია მართლაც საინტერესო თემაა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მწერალს „აუკრძალო“ ამ თემაზე მუშაობა.

პ. სამსონიძის „პირველი ქარტეხილი“ სწორედ აღნიშნულ თემას ეხება. სამსონიძე ცნობილია, როგორც რევოლიუციონური ბრძოლის პოეტი („ცეცხლის ხმები“), უკანასკნელ ხანებში მან პროზის სფეროშიაც დაიწყო მუშაობა. სამსონიძეს აქვს დაწერილი სატირული მოთხრობა „პოეტი ქოშია“, „ბლინძა ყვირილაძე“, ამ უკანასკნელმა ნაწარმოებმა აშკარა მარცხი განიცადა. სულ სხვა ფონზეა გაშლილი „პირველი ქარტეხილი“, აქ სოციალური მომენტები და ფსიქოლოგიური განწყობილებანი გმირებისა მჭიდროდ არის ერთი-მეორესთან დაკავშირებული. არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთგვარი „ლირიკულ“ განწყობილებათა სიჭარბე სამსონიძის ხსენებულ მოთხრობაში. ავტორი ცხრაასსუთი წლის რევოლიუციას ბავშვის საშუალებით გადმოგვცემს, ამ რიგად აქ რევოლიუციონერის კლასიური გამჭრიახობის მაგიერ მოვლენების შეფასების როლს ასრულებს ბავშვის თვალი. ეს შეიძლება უარყოფით მხარედ არ ჩაითვალოს ავტორისთვის, რადგანაც იგი ნათლად იძლევა ძველი რეჟიმის დამხობის აუცილებლობას და ბავშვის ფსიქოლოგიის შესწავლის ნიადაგზე მკითხველში იწვევს რევოლიუციონურ განწყობილებას, გვიჩვენებს იმ ფაქტებს, რომელნიც აღშფოთებდენ ბავშის შეგნებას და აღვიებდენ მათში სტიქიურ სიძულვილს ძველი წყობილების წინააღმდეგ.

ბავშვმა შეამჩნია პირველი რევოლიუციის დასაწყისში, რომ „გლეხები რაღაცას ჩურჩულებდენ... სოფელს მოეფინა რაღაც ფურცლები... სოფელმა თანდათანობით იცვალა ფერი და გლეხების დინჯი, დარბაისლური სჯაბაასიც შეყვარებულთა ფარულ ჩურჩულს დაემსგავსა“ (გვ. 7-8) შვიდი-რვა წლის ბავშვს ამ ხანებში „არაფერი არ აინტერესებდა ქვეყნად, გარდა რიკ-ტაფელობიისა, ჭაკუნოობისა და კენჭაობისა“. მოთხრობაში ნაჩვენებია მთელი რიგი ტიპები ბავშვებისა: დათიკია, ბაჩქუნია, კვერკვეზა, ღუტუა და სხ. მოთხრობის სიუჟეტში საკმარის ადგილს იკავებს სიყვარულის ამბავი, რომელიც სოფლის რევოლიუციონურად განწყობილ გლეხობის ხელმძღვანელის გენო გოფოძის საქმიანობასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. გენო გოფოძეს უყვარს აზნაურ სტეფანე ავალიანის ქალიშვილი, ეს ამბავი იწვევს სტეფანეს განრისხებას, იგი აგინებს გენოს, ემუქრება, საქვეყნოდ ლანძღავს და ცემას უქადის. ავტორს კარგად აქვს ნაჩვენები კლასიური ბრძოლა და ყოველ ყოფით დეტალზე ააშკარავებს მის ზეგავლენას. გენოს ამბავი თავისებურ ამოხმაურებას პოულობს ბავშვებში. ეს უკანასკნელები ნდობის თვალით და სიყვარულით შესცქერიან მას, ბავშვური გულუბრყვილობით სცდილობენ გაერკვენ იმ ფაქტში თუ რას ნიშნავს „ოციალისტობა“ და „რუს ხემწიფის წინააღმდეგ ბრძოლა“. ძველი წყობილების მწარე სინამდვილე კლასიური სკოლა იყო მათთვის. გაბატონებული კლასების და წოდებების წარმომადგენლები სასტიკად სჩაგრავდენ მათს მშობლებს.

„პირველ ქარტეხილს“ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საინტერესოა განსაკუთრებით ბავშვის გათვითცნობიერება; იგი ამბობს: „მივხვდი: თუ რად აგინ

ბდა დუტუა მიტოს, მივხვდი: თუ რას ნიშნავდა სიტყვა ცოციალისტი. მივხვდი: თუ რა იყო კუდაბზიკა აზნაური“ და სხ.

ეს ფრიად დამახასიათებელია ბავშვის შეგნებისათვის. მას უკვე უმახვილდება კლასიური ალლო, ხედავს არსებული წყობილების უსამართლობას.

მოთხრობის შემდეგ ნაწილებში მხატვრულად ასახულია რევოლიუციონურ ტალღების ზრდა, გლეხობის გამოსვლები, ყაზახების თავდასხმა და აჯანყების ჩაქრობა.

მოთხრობა ძალზე საინტერესოდ იკითხება. მკითხველის თვალის წინ ნათლად ჩნდება ათასცხრაას ხუთ წელს აჯანყებული პროვინცია. მოთხრობის ნაკლულოვანებად უნდა ჩაითვალოს სანტიმენტალიზმის სიჭარბე, შედარებების სიძველე და სხ. წიგნს წამძღვარებული აქვს ამხ. ვ. ლუარსამიძის წინასიტყვაობა. გ ნ.

ტ. ტაბიძე—„პოემები“ ტფილისი.

ქართველი სიმბოლიტების ჯგუფიდან ტიციან ტაძიძე განირჩეოდა როგორც ყველაზე უფრო ბოჰემური განხრის პოეტი. იგი მთელ თავის პოეტურ უნარს ბახუსის ტრფიალს და „სამშობლოს“ ცრემლიან დატირილს ანდომებდა. ძველად დაცემულობის გამომსახველ ინტელიგენციის წრეებში ბოჰემა ძლიერ გავრცელებული მოვლენა იყო, საქართველოში ბოჰემამ იპოვა დასაყრდეხი „ტფილისის დეკლასიური მოქალაქის“ სახით (კინტო, მეარღნე და სხ.) ეს პროცესი განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა ტიციან ტაბიძის პოეზიაში, რომელმაც არა—ერთი დიფირამბი შესძღვნა ყარაჩოღელების გადაგვარებულ თაობას. მისტიციზმი ტაბიძის პოეზიაში სხვა სოციალურ დასაყრდენს ვერც მონახავდა. ტიციან ტაბიძის პოეზიის იდეოლოგიური და მხატვრული მხარე მთლიანად განსაზღრული იყო ნაციონალისტური და ჩისტიური მოტივებით. „ცისფერი ყანწები“ თავიდანვე წარმოადგენდა (და დღესაც წარმოადგენს) უაღრეს რეაქციონურ მოვლენას. არავითარი პროგრესიული როლი ამ ჯგუფს არა ჰქონია. ეს იყო ქართული წვრილი ბურჯუაზიის ინტლიგენტური ნაწილის ფსიქოლოგიის მხატვრული გამოთქმა. „ცისფერი ყანწები“ რეაქციის პერიოდში წარმოიშვა, ამ პერიოდის გაბატონებული აზრები მან მტკიცედ შეითვისა და სცადა მათი პოეტური სახეებით გამოთქმა. ქართველ სიმბოლისტებს უკანასკნელ ხანებამდე ვერ მოუცილებიათ რეაქციონური იდეოლოგიის ნაშთები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს, რომელიც თანამგზავრობს ხაზზე შესდგენ და ხანდისხან მოკავშირულ ტენდენციებსაც ამჟღავნებენ.

ტიციან ტაბიძის მსოფლმხედველობას რეაქციონური იდეოლოგიის საკმარისი დოზა ახასიათებს. ის ჯერ კიდევ ვერ შესდგა მთლიანად თანამგზავრულ პოზიციაზე. სარეცენზიო წიგნში მოთავსებულ პოემებიდან ზოგიერთი ატარებს ძველ გზასა ან კავშირის გაწყვეტის ტენდენციებს („რიონპორტი“, და სხვა) ტიციან ტაბიძე სწერს:

„ძველი სიზმარი უკვალოდ გაქრა
ვისაც სჯეროდა ღმერთმა შეარგოს—
დღეს სხვა გემების გამოჩნდა აფრა
და იასონის არა ჰგავს არგოსს.
ახალ ეპოქის უდიდეს ეპოსს
აღარ სჭირდება უკვე მედეა.
პოეტს სხვა ცეცხლი გულს მოედება
თუ თავის თავის მოიმედეა“.

ამ დეკლარატიულ განცხადებას „ძველი სიზმარის“ გაქრობის და „ახალი ეპოქის“ შესახებ ტიციან ტაბიძე ვერ იცავს თანამიმდევრად. ის ხშირად უბრუნდება რეაქციონურ მოტივებს. ასე მაგ. „თვრამეტი წელი“ იდეურად ძალზე გაუმართლებელი მხატვრული ფაქტია. ავტორი სწერს ვაჭრის შესახებ:

„ბევრი იარა
ამ საწყალმა
უცხო ქვეყნებში,
არ დაივიწყა
ქართველური
სტუმრისპატივი“ (ვგ. 22)

მთელი პოემა წარმოადგენს ამ ვაჭრის „ჰუმანიური“ და „ქართველური“ გრძნობების აღწერას. ავტორი დაასკვნის:

„ვერ ნახავთ ვერსად
ასეთ ვაჭარს
ვაჭარს ღვთისნიერს.
მთელ ქვეყანაზე
მარტო ერთი
ჩვენი ქვეყანა
გამოზრდის ასეთ
პატიოსან კომისიონერს“ (.გვ. 24.)

ეს უკვე რეაქციონური ბოდვაა. აქედან უკვე ცხადია, რომ „ცისფერი ყანწები“ წარმოადგენდა ქართულ ვაჭრების იდეების დამცველ ლიტერატურულ თაობას. სხვაგვარად შეუძლებელია ახსნილ იქნეს ტაბიძის ასეთი სიმპატიური დამოკიდებულება „ღვთისნიერი ვაჭრისადმი“, ხოლო თურმე ასეთი ვაჭრების აღზრდა მარტო საქართველოს შეუძლია. ეს „პატიოსანი ვაჭრის“ ლეგენდა სრულიადაც შემთხვევითი არ არის ტაბიძისათვის. იგი ორგანიულად მომდინარეობს მისი წარსულიდან;

ავტორის გადმოცემით თურმე მისი პოეზიის გმირს, „პატრიოტულ“ გრძნობებით შეპყრობილ ვაჭარს, გული უკვდებოდა“ როდესაც „დუქნებში მხოლოდ ყვითელ ჭადს ხედავდა“. მას სურდა საქართველოს ავსება პურით. ამ ამბით აღფრთოვანებული ტაბიძე მიმართავს სანტიმენტალურად „ალეხანდროს“:

„სადა ხარ ეხლა
ალეხანდრო
ჩემო ძვირფასო!!!
შ ე ნ დ ა რ ჩ ი ი ს ე ვ
ა ლ ბ ა დ მ ა ი ნ ც
ფ ა ნ ტ ა ს ტ ი უ რ ი.
. . . . . .
ანგელოსებმა
ალბად გაღირსეს
დ ა უ ც ო დ ვ ე ლ ი
რ ო გ ო რ ც ბ ა ვ შ ვ ი
ო კ ე ა ნ ი ს კ ე ნ
უკან გაფრინდი“ (გვ. 26)

„გულდაგულ“ და „როალდ ამუნდსენი“ შედარებით უფრო გამართლებულია და ნაკლებად შეიცავს რეაქციონურ იდეებს. განსაკუთრებით საინტერესოა „როალდ ამუნდსენ“, ამ პოემაში ასახულია ის შედეგები, რომელიც მოჰყვა შორეულ ყინულიან სივრცეებში გათამაშებულ ტრაგედიას. ნობილეს ექსპედიციის მარცხი დაუკავშირდა მთელ რიგ ისეთ მოვლენებს, როგორც იყო როალდ ამუნდსენის უკვალოდ დაკარგვა და მეორე მხრივ საბჭოთა ყინულისმჭრელ „კრასინის“ ბრწყინვალე გამარჯვებები. ამ ორმა მოვლენამ მსოფლიო გამოხმაურება გამოიწვია. „თოთხმეტ დეკემბერს მთელ ქვეყანაზე მწუხარების გაისმა ზარი“, რადგან

„...არც იმედის
აქვთ ნატამალი
რომ მოინახოს
სადმე „ლატამი“
ან ამუნდსენის
მიაგნონ სამარხს“

ამის შემდეგ ავტორი ეხება ამუნდსენის -პირონვნებას. იმ მრავალ უბედურებათა შორის, რომელიც მოჰყვა ნობილეს ექსპედიციას, ყველაზე უფრო სამძიმო იყო კაცობრიობისათვის ამუნდსენის დაკარგვა. ტ. ტაბიძე ხსენებულ პოემაში სცდილობს გადმოგვცეს საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობის ზეიმი „კრასინის“ ტრიუმფალური სვლების და სამოილოვიჩ—ჩუხნოვსკის გმირული საქმიანობის გამო. ტაბიძე სცდილობს მოხაზოს ამ მოვლენების პოლიტიკური მნიშვნელობა. ოპერის თეატრი გაჩაღებულია, დროშები ჰბურავენ „თავდაცვა ავიაქიმის ქიმიან ვარსკვლავებს“, და მოხსენებას აკეთებს პროფ. სამოილოვიჩი. წითელი არმიის და ფლოტის სახლში მასები ეგებებიან მფრინავ ჩუხნოვსკის. მაგრამ ამ მოვლენების აღწერის დროს ტაბიძეს არ ავიწყდება, რომ ის სიმბოლისტია და უცებ საიდანლაც გამოურევს არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდის“ ილიუზიას.

რა საჭირო იყო აქ არტურ რემბოს მისტიური ფანტაზიის მოთრევა ან რა საერთო აქვს რემბოს სიმბოლისტურ და ავადმყოფურ ოცნებას მშრომელ ხალხის ზეიმთან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიად არაფერი. ამ პოემაშიც ჩართულია ზოგიერთი მომენტები, სადაც ტიციან ტაბიძე ძველებური სიმბოლიზმის იდილიურ და ნაციონალისტურ ტენდენციებს მისდევს: ზემოხსენებული მოვლენები თურმე მას აგონებს ბავშობის დროინდელ „ტკბილ ამბებს“, რომელნიც ახლაც ისე იმონებენ მას, როგორც „მშობელი სიტყვა ქართული“. ასეთივე ხასიათს ატარებს ლექსის ბოლოს გახა წრკლაურის სიკვდილით გამოწვეული რომანტიკა. ხსენებული ნაწარმოები ბევრს მოიგებდა, რომ მასში არ ყოფილიყო „ტიუტჩევის ყრუ—მუნჯი დემონები“ და „ბავშვური ოცნებები“.

შედარებით უფრო თავისუფალია სიმბოლისტური და რეაქციონური აზრებისაგან პოემა „გულდაგულ“. აქ პოეტი ეხება აღმშენებლობის სხვა და სხვა მომენტებს და სცდილობს მათ გაშუქებას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტაბიძის შემოქმედება პოეზიის მრავალ არქაულ და უკვე მოძველებულ ელემენტს აცოცხლებს, სცდილობს მის ხელ-ახლად გამოყენებას. ასე მაგ. ხსენებულ ნაწარმოებში „ახალი საქართველო“ შედარებულია თავფარავნელ ჭაბუკთან. ჩვენ ვიცით, რომ ლეგენდა თავფარავნელი ჭაბუკის შესახებ სრულებითაც არ ატარებდა სოციალურ ხასიათს. პირიქით ის წმინდა სანტიმენტალური ამბავი იყო იმის შესახებ თუ როგორ უყვარდა ჭაბუკს ასპინძას მცხოვრები ქალი, როგორ მიის-

წრაფოდა მისკენ და სხ. ლეგენდა გადმოგვცემდა რომ „ერთი სულმყრალი ბებერი“ ხელს უშლიდა ქალ-ვაჟის სიყვარულს. ამ ბებერის წყალობით „ჭაბუკი წყალში დაიხრჩო“ და სიყვარულის რომანტიული ამბავი ცრემლიანი ტრაგედიით დამთავრდა. ამი შემდეგ თქმა იმისა, რომ „ახალი საქართველოა თავფარავნელი ჭაბუკიო“ აშკარა სიყალბე და ძალზე შაბლონური შედარებაა. ტაბიძის თქმით „თავფარავნელ ჭაბუკს“ (ე. ი. საბჭოთა საქართველოს „ცალ მკლავზე ელექტრო აცვამს, მარჯვენას რკინის ხარია“. ასეთი შედარება არაფრით არაა გამართლებული.

ტიციან ტაბიძე უნდა შეეცადოს ჩვმოსცილდეს ძველ ტრადიციებს და ძველ იდეებს, ამის გარეშე ის ვერ შესძლებს შეეზარდოს საბჭოთა ლიტერატურულ მოძრაობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში თანამგზავრულ-მოკავშირული ლიტერატურა გაძლიერდა და გიაბარდა. მისი ფინსვლა აშკარად დამოკიდებულია საერთო სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე; თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში თავისებური ადგილი უჭირავს „ცისფერ ყანწებს“. ეს უკანასკნელი ზემოდაღნიშნულ თანამგზავრულ-მოკავშირულ ლიტერატურულ მოძრაობის გარეშე სდგას, ვინაიდან მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს „ყანწური“ სახე. ეს განსაკუთრებით ითქმის გრ. რობაქიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის დი სხ. შესახებ.

გ. ნ.

სარედაქციო კოლეგია:

ი. ვაშაყმაძე
გ. დევდარიანი
ს. ეული
შ. რადიანი
გალ. ტაბიძე
ტ. ტაბიძე
ს. ჩიქოვანი
ს. წვერავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

პოეზია.

		გვ.
1.	**ილო მოსაშვილი**—ლექსები ალაზანზე.	3
2.	**შალვა შაველაშვილი**—ცემენტი.	5
3.	**ვარლამ რუხაძე**—ორი ლექსი.	8
4.	**ვარლამ ჟურული**—გმირი იზრდება	10
5.	**ა. ბეზიმენსკი**—შეტევა.	12

პროზა.

1.	**სიმონ წვერავა**—გადაჭრილი მუხლი	17
2.	**ს. შანშიაშვილი**—ანზორ	70
3.	**მიხ. ჯავახიშვილი**—არსენა მარაბდელი.	88
4.	**ი. მიკიტენკო**—ძმები	131
5.	**სერგო კლდიაშვილი**—ლულუმას შემდეგ	158
6.	**მიხეილ ჩიქოვანი**—ქვა.	179

კრიტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა.

1.	**შალვა რადიანი**—ლენინური ეტაპისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში	189
2.	**ა. დუდუჩავა**—რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მეთოდოლოგია (კამათის წესით)	198
3.	**პროფ. კორნ. კეკელიძე**—ავტორი ვეფხის ტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა (დასასრული)	213

ბიბლიოგრაფია.

1.	**შ. რადიანი**—პანტელეიმონ ჩხიკვაძე. „სართულები". რომანი	227
2.	**მ. ნ.**—პ. სამსონიძე—„პირველი ქარტეხილი"	230
3.	**გ. ნ.**—ტ. ტაბიძე—„პოემები" ტფილისი	231